ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

მეორე სემესტრის დოქტორანტი

გიორგი ბადრიძე

სადოქტორო სემინარი

„საქართველო და აზერბაიჯანი: სტრატეგიული პარტნიორობა და მისი მომავალი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. სერგი კაპანაძე

თბილისი

2017

საქართველო და აზერბაიჯანი: სტრატეგიული პარტნიორობა და მისი მომავალი

შესავალი

საქართველოს და აზერბაიჯანის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მათი ისტორიის მანძილზე, ხოლო ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ეს უფრო აქტუალური იყო, ვიდრე ოდესმე. ეს ნათლად გამოჩნდა 1918-1921 წლებში, რუსეთის იმპერიისთან დამოუუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაშიც, როცა ორივე ერმა დამოუკიდებლობა აღიდგინა და სუვერენული სახელმწიფოების მშენებლობა დაიწყო.

როგორც 1918, ისე 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ორივე ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში პატარა ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ტიპიურ პრობლემებს წააწყდნენ. ორივე შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციის მოსაპოვებლად მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის გარეშე ვერც საქართველო და ვერც აზერბაიჯანი ვერ შეინარჩუნებს საკუთარ დამოუკიდებლობას და ვერ მიაღწევს ეკონომიკურ კეთილდღეობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოავლინოს საერთაშორისო სისტემაში საქართველოს და აზერბაიჯანის, ორი პატარა სახელმწიფოს, ერთობლივი სტრატეგიული ეკონომიკური ფუნქციის გაზრდის პერსპექტივა, რაც მათი პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების საწინდარი უნდა გახდეს. ნაშრომი არ ეხება ორმხრივი ურთიერთობების დინამეკიას, არამედ აქცენტს აკეთებს ორი ქვეყნის ერთობლივ როლზე საერთაშორისო სისტემაში.

ნაშრომში განხილულია თუ როგორ მოუწია ორივე ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვებისთანაცე ისეთ გამოწვევებთან ჭიდილი, როგორიც იყო შეიარაღებული კონფლიქტები და მათი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის

ოკუპაცია, შიდა დაპირისპირებები და დესტაბილიზაცია. ორივე ქვეყნის შემთხვევაში ამგვარ პრობლემებს მოყვა სტაბილიზაციის პერიოდი და თანამშრომლობა საერთაშირისო ენერგეტიკულ პროექტებში, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს აზერბაიჯანის და საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე.

ეს მოხდა პირობებში, როდესაც რუსეთისთვის საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების რეალური დამოუკიდებლობის იდეა მიუღებელი იყო. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბორის ელცინის პერიოდში ჩამოყალიბდა ეგრედ წოდებული „შეზღუდული სუვერენიტეტის“ კონცეფციაცია, რომლის თანახმად რუსეთი ეგუებოდა ყოფილი „მოძმე რესპუბლიკებს“ ნომინალურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათგან ვასალურ მორჩილებას ელოდა. პრეზიდენტმა პუტინმა კი უკვე ღიად განაცხადა, რომ მისთვის სსრკ-ის დაშლა „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია“ იყო[1] და ელცინზე უფრო აქტიური ნაბიჯების გადადმა დაიწყო ყოფილი სსრკს-ის ტერიტორიაზე გავლენის ექსკლუზიურ სფეროს უზრუნველსაყოფად.

ამ რთულ ვითარებაში, დიდი ზეწოლის მიუხედავად, ზემოხსენებულმა პარტიორობამ ხელი შეუწყო როგორც აზერბაიჯანის, ისე საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის გამყარებას, მაგრამ ამ ნაშრომის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ჰიპოთეზა, რომ ერთობლივი საერთაშორისო გეოეკონომიკური როლის შემდგომი განვითარების გარეშე, აქამდე არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება ძალიან რთული ან შეუძლებელი იქნება.

იმ ვითარებაში, როცა მსოფლიოში დინამიური ცვლილებები მიმდინარეობს, საკუთარი საერთაშორისო ფუნქციის გაფართოების და გამყარების მიზნით საქართველო და აზერბაიჯანი, თავინათ დასასვლელ პარტნიორებთან ერთად უნდა

[1] Путин, В.В. (2005), Послание президента Федеральному Собранию Российской Федерации, http://kremlin.ru/events/president/transcripts/22931

დაუკავშირდნენ კასპიის ზღვის გადაღმა მდებარე ქვეყნებს და შესთავაზონ სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნისთვის უფრო დიდი პრიორიტეტის მინიჭება.

ამგვარად, დასავლეთის ბაზრებზე ნავთობისა და გაზის მიწოდების ამჟამად არსებული ფუნქციის გარდა, აზერბაიჯანმა და საქართველომ უნდა იტვირთონ კასპიის და შავი ზღვის რეგიონების დამაკავშირებელი ხიდის როლი, რაც დღემდე მხოლოდ მინიმალურად ხორციელდება.

ისტორიული წინაპირობები

ორივე ერმა დამოუკიდებლობა თბილისში, 1918 წლის მაისში გამოაცხადა და იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული სახელმწიფოს მშენებლობა დაისახა მიზნად.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა ისლამურ სამყაროში ერთ-ერთი პირველი დემოკრატიული და სკულარული რესპუბლიკა იყო და პირველმა მიანიჭა ქალებს თანაბარი უფლებები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა სოციალ-დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი უპირველესი ქვეყანა პოლიტიკური სისტემით, რომელიც მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა მრავალ ევროპულ სახელმწიფოს ამის გამო საქართველომ ევროპელი სოციალისტების დიდი თაყვანისცემა მოიხვეჭა. პროფესორი სტივენ ჯოუნსის თანახმად: „[საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა] ამ დროს იმედის და თავისუფლების ჭეშმარიტ შუქურას წარმოადგენდა სოციალ დემოკრატების ისეთი ლიდერებითვის, როგორიც იყვნენ ემილ ვანდერველე, კარლ კაუცკი და რემზი მაკდონალდი, რომლების ეწვივნენ

საქართველოს და შემდეგ დაწერეს მასზე, როგორც ამ დროისთვის არსებული ავტორიტარული და სტატიკური მოდელების რეალურ ალტერნატივაზე.“[2]

საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას თავდაპირველად გერმანიამ დაუჭირა მხარი, რომლის სამხედრო ნაწილები პირველი მსოფლიო ომის ბოლოს მოკლე ხნის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში იყვნენ განლაგებულნი.

ომში დამარცხების შემდეგ, გერმანიამ დატოვა კავკასია და ის სხვა დიდმა ევროპულმა სახელმწიფომ, ბრიტანეთმა ჩაანაცვლა, რომელიც საბოლოო ასევე მხარი დაუჭირა კავკასიური სახელმწიფოების დამოუკიდებლობას.

წმინდა გეოპოლიტიკური მოსაზრებების გარდა, საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მხარდაჭერისას გერმანელებიც და ბრიტანელებიც მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. ამ დროისთვის აზერბაიჯანი მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მომპოვებელი იყო, ხოლო საქართველოზე გამავალი მილსადები მის მსოფლიო ბაზრებზე გატანას ემსახურებოდა. ნავთობმა ჯერ კიდევ პირველი მსოფიო ომის დაწყებამდე შეიძინა სტრატეგიული ნედლეულის ღირებულება. ამას სათავე 1912 წელს დაედო, როდესაც ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი ქვანახშირიდან თხევად საწვავზე გადავიდა.[3] ბრიტანეთის მაგალითს მალავე ყველა წამყვანმა სახელმწიფომ მიმართა და ნავთობით მდიდარ რეგიონებზე კონტროლის დამყარება მათ უნმიშვნელოვანეს მიზნად იქცა.

თუმცა, გერმანიისა და ბრიტანეთის ინტერესი კასპიური ნავთობიდასმი, რომელის გამოც მათ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირეს, გადაფარა რუსეთის ინტერესებბმა, რომლისვისაც ბაქოს ნავთობი

[2] Jones, Stephen, (2009), On the 90th Anniversary of the DRG, 30 August, Available at: http://matiane.wordpress.com/2009/08/30/stephen-jones-on-the-90th-anniversary-of-the-democratic-republic-of-georgia/ (Accessed: 17 June 2017).
[3] Eric J. Dahl, (2001), Naval Innovation: From Coal to Oil, Joint Force Quarterly, NDU Press, pp 50-56

სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა და რომელსაც ყოფილ კოლონიებზე კონტროლის აღდგენის სურვილიც ემატებოდა. ამ ორმა ფაქტორმა უმთავრესი გავლენა იქონია რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე აზერბაიჯანში და საქართველოში შეჭრის და მათი ანექსიის შესახებ.

ბოლშევიკების 1920 და 1921 წლების სამხედრო კამპანიის წარმატება კავკასიაში ამ რეგიონში არსებულმა შიდა დაპირისპირებებმა და ტერიტორიულმა კონფლიქტებმა ბევრად უფრო ადვილი გახადა. პირველ რიგში ეს სომხეთის მხრიდან როგორც აზერბაიჯანის (ყარაბაღი და ნახიჩევანი), ისე საქართველოს მიმართ (ლორეს მხარე) არსებულმა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა გამოიწვია.

1920 წლის აპრილში, მაშინ, როცა აზერბაიჯანის არმია ყარაბაღის დასაცავად იმყოფებოდა, ბოლშევიკებმა რაიმე წინააღმდეგობის გარეშე აიღეს ბაქო, რასაც მოკლე დროში, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაცემაც მოყვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწრაფი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იმაში იყო, რომ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის გარეშე ბრიტანეთის იმპერიისთვის, (როემლიც მანამდეც განიხილავდა კავკასიიდან გასვლის გეგმას), საქართველომ დაკარგა სტრატეგიული და ეკონომიკური ღირებულება და ის ბოლშევიკების პირისპირ მარტო დატოვა.

დევანდელი გადმოსახედიდან ისიც აღსანიშნავია, რომ ბაქოს დაცემის შემდეგ, 1920 წლის 7 მაისს, საქართველოს ხელისუფლებამ ბოლშევიკურ რუსეთთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც ნეიტრალიტეტის და სხვა დათმობების სანაცვლოდ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. ამ ხელშეკრულებით საქართველო პრაქტიკულად დათანხმდა რუსეთსა და თურქეთს

შორის ბუფერული სახელმწიფოს როლის შესრულებას, რომელსაც 1918 წლიდან ის არაფორმალურად წარმოადგენდა.[4]

თუმცა მოსკოვის მიერ ამ ხელშეკრულების დარღვევას და საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალით დამხობას მხოლოდ რვა თვე დასჭირდა. მოკლე წინააღმდეგობის შემდეგ საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება საფრანგეთში გაიხიზნა, ხოლო საქართველოში ჯერ ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდა, ხოლო მომდევნო წელს ის უკვე ფორმალურად იქნა ანექსირებული ახალადშექმნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში - რუსეთის განახლებულ იმპერიაში.

თავისი დრამატიზმის მიუხედავად ამ პერიოდმა საქართველოს და აზერბაიჯანს რამდენიმე ფასეული გაკვეთილი შეთავაზა. პირველი ისაა, რომ მათ დაინახეს, რომ ერთობლივად ისინი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ინტერესს წარმოადგენენ. ასევე გამოჩნდა, რომ იმ დროს, როცა დასავლეთის ქვეყნების ინტერესი საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ხელშეწყობაში გამოიხატება, მსგავსი ინერესის განხორციელებისთვის რუსეთი თავის მიზნად ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის შეზღუდვას ან სრულ განადგურებას მიიჩნევს.

მეორე გაკვეთილი იმაშია, რომ ტერიტორიული დავები სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად ზღუდავს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ძირს უთხრის მის უსაფრთხოებას. 1920-21 წლებში ეს სამივე სამხრეთ კავკასიური ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა.

მესამე გაკვეთილი კი იმაშია, რომ რეგიონული განვითარების სხვა ფაქტორების მიუხედავად, საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ერთმანეთის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

[4] თურმანიძე, თორნიკე, (2011), ბუფერული სახელმწიფო, მეორე გამოცემა, ბთკკ, თბილისი, გვ. 35

დამოუკიდებელი და სტაბილური საქართველოს გარეშე, აზერბაიჯანს არ ექნება რუსეთისგან დამოუკიდებელი წვდომა დასავლური სამყაროს და მისი ბაზრების მიმართ, ხოლო აზერბაიჯანის გარეშე საქართველოს სტრატეგიული ფასეულობა თურქეთისთვის, ევროპის კავშირისთვის და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მინიმუმამდე დავა.

ამგვარად, ორივე ქვეყნისთვის პირველი რესპუბლიკის პერიოდის გამოცდილებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები დაფუძნებულია მათ ერთობლივ საერთაშორისო გეოეკონომიკურ ფუნქციაზე. რადგან ეს ფუნქცია ურთიერთდაკავშირებულია (ნავთობის და გაზის მოპოვება და მათი ტრანსპორტირება საერთაშორისო ბაზრებზე), ორმა ერმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს, რათა მოიზიდოს ისეთი პარტნორები, რომლებისთვისაც ამ ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელშეწყობის ინტერესი უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთის ინტერესი ამ დამოუკიდებლობის დასუსტებისა და განადგურებისადმი.

ახალი საერთაშორისო როლის ძებნა რუსეთის წინააღმდეგობის ფონზე

1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფო საზღვრები და გეოპოლიტიკური რეალობები კვლავ შეიცვალა. კავკასიის სამი რესპუბლიკა, სქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცა. ამის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული შედეგი ის იყო, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის პარტნიორობა დასავლეთისთვის პოტენცურად არა მხოლოდ აზერბაიჯანულ ნავთობზე, არამედ კასპიის ზღვის მეშვეობით ცენტრალურ აზიაზე ხსნიდა გზას.

თუმცა, დიდ შესაძლებლობებთან ერთად ახალმა დროებამ ძველი გამოწვევებიც შემოგვთავაზა: დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისთვის აზერბაიჯანი და სომხეთი უკვე ჩაბმული იყვნენ შეიარაღებულ კონფლიქტში ყარაბაღისთვის, აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიისთვის. საქართველო კი, რომელიც ერთადერთი არაბალტიური ქვეყანა გახდა, რომელმაც უარი განახცადა ბორის ელცინის მიერ ინიცირებულ, სსრკ-ის მემკვიდრე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ გაწევრიაბაზე, რუსეთმა უმკაცრესად დასაჯა: საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული მთავრობა შეიარაღებული გადატრიალების შედეგად იქნა გაძევებული, ხოლო აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში პრო-რუსულმა სეპარატისტულმა დაჯგუფებებმა სრული მხარდაჭერა მიიღეს. ნათელი იყო, რომ რუსეთს სურდა რეგიონული კონფლიქტების გაღვივება, და მათი როგორც ბერკეტის გამოყენება, რათა სამხრეთ კავკასიაზე გავლენა შეენარჩუნებინა.

რუსეთის მიერ რეგიონში განხორციელებული „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მიუხედავად, ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა დასავლეთთან თანამშრომლობის სრულად დასაბლოკად. იმ დროს, როცა ყარაბაღისთვის წარმოებულმა კონფლიქტმა სომხეთი რეგიონული თანამშრომლობისგან იზოლაციაში დატოვა, აზერბაიჯანი და საქართველო ჩაერთვნენ აშშ-ის ლიდერობის ინიცირებულ ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებში, რომელთა უმთავრესი მიზანი კასპიური ნავთობის დასავლურ ბაზრებზე რუსეთისგან დამოუკიდებლად გატანა იყო.

პირველ ეტაპზე დაიგეგმა და აშენდა ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობის მილსადენი. ეს პილოტური პროექტი გამოდგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი ნავთობსადენისთვის, რომელსაც მალევე „საუკუნის პროექტი“ უწოდეს. სულ მალე, მას ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტიც მოყვა.

რეგიონისთვის ამ პროექტების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელი იქნება. მათ არა მხოლოდ ხელი შეუწყეს აზერბაიჯანის ეკონომიკური აღორძინების დაწყებას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აზერბაიჯანის და მისი პარტნიორი საქართველოს რეალური პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამყარების უმთავრეს ფაქტორებად იქცნენ.

დასავლეთმა მილიარდობით დოლარის ინვესტიცია განახორციელა კასპიური ნავთობის და გაზის საბადოების განვითარებაში და მილსადენების მშენებლობაში, რამაც თანმხლებად პოლიტიკური ინვესტიციებიც წარმოშვა. მათ, ვინც მონაწილეობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის თაობაზე მრავალეროვნულ მოლაპარაკებებში, კარგად მოეხსენებათ, რომ 1990-იან წლებში შეერთებული ხსენებული პროექტის დაგეგმვის და გამხორციელების მთელ პროცესში შტატების ლიდერობის და უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობის გარეშე, ეს ნავთობსადენი დიდი ალბათობით ვერასოდეს აშენდებოდა.[5]

ზემოხსენებული, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ამ პროექტისადმი რუსეთის მტრული დამოკიდებულების ერთ-ერთ უმთავრეს, თუმცა არა ერთად-ერთ მიზეზს წარმოადგენდა. 2005 წელს პუტინის ხელისუფლებამ პირველად ღიად დააფისირა ის, რაც მანამდეც აშკარა იყო - რომ რუსეთისთვის უმთავრესი პრობლემა არა ცალკეული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკა, არამედ თავად მათი დამოუკიდებლობის იდეა იყო. ჯერ კიდევ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე რუსეთი ძალღონეს არ იშურებდა ეგრედ წოდებულ „ახლო სამეზობლოში“ გავლენის ექსკლუზიური სფეროს უზრუნველსაყოფად.

იმპერიული ნოსტრალგიის თუ გეოპოლიტიკური მოტივების გარდა, რუსეთის მმართველ რეჟიმს ყოველთვის წმინდა პრაგმატული ინტერესებიც ამოძრავებდა,

[5] 1998-1999 წლებში ავტორი მონაწილეობდა მოლაპარაკებების პროცესში, დაესწრო მთავარი ხელშეკრულების გაფორმებას სტამბულში.

კერძოდ, ენერგეტიკულ სფეროში, როემლიც რუსეთის ბიუჯეტისთვის დღემდე შემოსავლის ყველაზე დიდ წყაროდ რჩება.[6]

მოსკოვის თვალსაზრისით, ნავთობის ყოველი ბარელი და ბუნებრივი გაზის ყოველი ათასი კუბური მეტრი, როემლიც მის მიღმა მიეწოდება კასპიის რეგიონიდან დასავლეთის ბაზრებზე, დაკარგულ შემოსავალს წარმოადგენს. გარდა წმინდა ფინანსური დანაკარგისა, რუსეთი ამას პოლიტიკური ბერკეტის დაკარგვადაც აღიქვამს, რომლთაც ის მანიპულირებს როგორც დასავლეთის ენერგეტიკულ ბაზრებზე და შესაბამისად დასავლურ პოლიტიკაზე, ისე მომწოდებლებზე კასპიის რეგიონში.

2008 წელს, როდესაც რუსული არმია სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციით საქართველოში შემოიჭრა, რაც ღია აგრესიის აქტს წარმოადგენდა, მთელი რეგიონი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მან გამოცდა მოუწყო ცივი ომისშემდგომ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას.[7]

საერაშორისო ზეწოლის ქვეშ რუსეთის ჯარმა უკან დაიხია, თუმცა საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული და რუესთის კონტროლს ქვეშ რჩება, რის პარალელურადაც კრემლი აგრძელებს პოლიტიკურ ზეწოლას საქართველოზე. ეს ყოველდღიურად გამოიხატება მცოცავ საუკუპაციო ხაზში, საქართველოს მოქალაქეების რეგულარულ გატაცებებში და სხვადასხვა არალეგიტიმური შეთანხმებების დადების გზით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ანექსიის პროცესში.

[6] US Energy Information Administration, (2017), Oil and natural gas sales accounted for 68% of Russia's total export revenues in 2013, https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=17231# (Accessed: 17 June 2017)

[7] Asmus, Ronald. D, (2010), A Little War that Shook the World, Pelgrave Macmillan, p. 215.

ამ ეტაპზე რუსეთის ძალისხმევა მიმართულია დასავლეთთან მისი მეზობლების, მათ შორის აზერბაიჯანის და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შეფერხებისკენ.

თუ აქამდე რუსეთი თავისი მეზობლების მხოლოდ ნატოში გაწევრიანებას ასახელებდა მისთვის მიუღებლად, ბოლო პერიოდში ნათელი გახდა, რომ ის მზადაა აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებს დიდი ფასი გადაახდევინოს ევროპის კავშირთან თანამშრომლობის და განსაკუთრებით მასში ინტეგრაციის სურვილისთვის.

ამის ბოლო მაგალითი უკრაინა გახდა, რომელთანაც ჯერაც მიომდინარე სამხედრო დაპირისპირება და ყირიმის ანექსია ამ ქვეყნის მიერ ევროკაშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის სურვილს მოყვა. აქ აღსანიშნავია, რომ რუსეთისთვის თავისი მეზობლის ამგვარი თანამშრომლობა ევროკავშირთან მაშინაც კი მიუღებელი აღმოჩნდა, როცა მის სათავეში პრორუსული ლიდერი იდგა და ნატოსთან თანამშრომლობაზე თავად თქვა უარი.

სომხეთში მსგავსი სცენარი შედარებით უხმაუროდ განხორციელდა, როდესაც რუსეთის ზეწოლის შედეგად სომხეთის ხელისუფლებამაც უარი განაცხადა ევროკაშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერაზე. უკრაინისგან განსხვავებით, სომხეთის საზოგადოება მეტნაკლებად უდრტვინველად შეეგუა ბედს.

მაშინ, როცა რუსეთი თავს დაანებებს „ნულოვანი ჯამის თამაშის“ წესებს და შეეგუება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აზრს, რაც პუტინის მმართველობის პირობებში არარეალურია, ის აღმოაჩენს, რომ სტაბილურ და წარმატებულ ქვეყნებთან მეზობლობას მეტი უპირატესობები მაოქვს, ვიდრე მათი დასუსტების და დესტაბილიზაციის პოლიტიკას.

მაგალითად, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაპირისპირების და მუქარების ნაცვლად, რაც კასპიური ენერგეტიკული პროექტების გამო რუსეთის მხრიდან ჯერ კიდევ ელცინის დროს ხორციელდებოდა, რუსეთ თავად შეუძლია ამ პროექტებში პოზიტიური როლის თამაში. რუსულ კომპანიებს უკვე წლებია შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ აზერბაიჯანის გაზის და ნავთობის საბადოების მმართველ საერთაშორისო კონსორციუმში. უფრო მეტიც, რუსეთის მხრიდან პრაგმატული მიდგომის შემთხვევაში ტექნიკურად შესაძლებელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით თავად რუსული ნაბთობის ტრანსპორტირება, მათ შორის ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენის რევერსულად გამოყენების გზით, რაც რუსეთს გაუზრდიდა ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების პოტენციალს. ამჟამად ის ბოსფორის სრუტის გამტარიანუნარიანობითაა შეზღუდული.

რეგიონული როლის გაფართოების აუცილებლობა

უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ეკონომიკური ფუმქციის შესრულებით, რომლითაც ისინი ხელს უწყობენ საერთაშორისო ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და წარმოადგენენ არაერთი მსხვილი მრავალეროვნული დასავლური კორპორაციის ინტერესის სფეროს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა საერთაშორსო ენერგეტიკულ ბაზარზე საკმაო გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის თავისი პიკური დატვირთვით მუშაობდა. თუმცა ბოლო წლებში ვითარება იცვლება.

ერთის მხრივ, უკვე წლებია აზერბაიჯანში ეცემა ნავთობის მოპოვება და მილსადენს დიდი ხანია აღარ გაუტარებია თავისი მაქსიმალური რესურსის

მიახლოებითი ოდენობაც კი. მაშინ, როცა მილსადენს დღეში ერთ მილიონ ბარელზე მეტის გატარება შეუძლია, BP-ს, მილსადენის მთავარი ოპერატორის ოფიციალური მონაცემებით 2017 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სულ 61.7 მილიონი ბარელი იქნა გადატვირთული.[8] ეს ნიშნავს, რომ მილსადენი, უკეთეს შემთხვევაში, თავისი რესურსის მხოლოდ ორ მესამედზეა დატვრთული. ყოფილა პერიოდები, როცა მილსადენი უფრო დაბალი დატვირთვით მუშაობდა.

ამავე დროს, წარმოების და შესაბამისად ტრანსპორტირების მოცულობის შემცირება დაემთხვა ბოლო წლებში ნავთობის საერთაშორისო ფასის მნიშვნელოვან ვარდნას. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მოწოდების რაიმე კატასტროფიული შეფერხების გარეშე (მაგალითად უმთავრეს მწარმოებელ ქვეყნებში მასშტაბური და ხანგრძლივი დესტაბილიზაციის გამო), ძნელად წარმოსადგენია ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ზრდა. ამის მტკიცების საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) არაერთი მცდელობა წარმოების შეზღუდვის გზით ფასის ზრდის წინაპირობების შესაქმნელად.

პირველ რიგში, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა OPEC-ის და მისი არაწევრი ქვეყნების შეთანხმების მიღწევა წარმოების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: წინა წლებში ერთ ფაქტორს წარმოადგენდა საუდის არაბეთის მცდელობა ბაზრიდან ფიქლის ნავთობის მწარმოებელი ამერიკული კომპანიების განდევნა, რასაც ის დაბალი ფასის მეშვეობით იმედოვნებდა. აღმოჩნდა, რომ ამერიკული ფიქლის ნავთობის მომპოვებლები სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების წყალობით ბევრად უფრო მოქნილები გამოდგნენ, ვიდრე ამას საუდელი სტატეგოსები ელოდნენ. [9] უფრო მეტიც, მათ პრაქტიიკულად

[8] BP, (2017), Baku-Tbilis-Ceihan Pipeline, http://www.bp.com/en_az/caspian/operationsprojects/pipelines/BTC.html (Accessed: 17 June 2017)
[9] Crooks, Ed, (2015), US Shale Companies Show Remarkable Resilience, Financial Times, https://www.ft.com/content/372e52bc-c98b-11e4-a2d9-00144feab7de?mhq5j=e1 (Accessed: 17 June 2017)

ენერგეტუკული რევოლუცია მოახდინეს და აშშ ნავთობის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მომპოველ ქვეყანად აქციეს.

მეორე ფაქტორი ირანია, რომელმაც ეხლახანს დააღწია თავი საერთაშორისო (უმეტესად ამერიკულ) სანქციებს და არანაირი სურვილი არ გააჩნია ხელიდან გაუშვას ნავთობის საერთაშორისო, პირველ რიგში დასავლურ ბაზარზე თავისი წილის გაზრდის შესაძლებლობა.

მესამე ფაქტორი კიდევ უფრო ფუნდამენტალურია, ვიდრე პირველი ორი: ნავთობის ხანა, სრულებით ბუნებრივია, მუდმივად ვერ გაგრძელდება, რასაც ერთის მხრივ ენერგიის გენერირების ალტერნატიული წყაროები უწყობეს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად უფრო ენეგრო-ეკონომიური ტექნოლოგიუბის განვითარება.

ანუ, იმ ვითარებაში, როცა აზერბაიჯანული ნავთობის პოვების მოცულობა და ნავთობის ფასი მცირდება, მსოფლიო ბაზრებზე აზერბაიჯანული ნავთობის მიწოდება გრძელვადიან პერსპექტივაში ვეღარ იქნება აზერბაიჯანის და საქართველოს საერთაშორისო ეკონიმიკური ფუნქციის ისეთი საფუძველი, რომელსაც ამ ორი ქვეყნის უსაფრთხოებაზე და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ძველებული მასშტაბის გავლენის მოხდენა შეეძლება.

ამიტომ დგება აუცილებლობა, ორმა ქვეყანამ მოძებნოს ძველი საერთაშორისო ფუნქციის ისეთი ალტერნატივა, რომელiც უზრუნველყოფდა მათთვის, როგორც საერთაშორისო სისტამეში პატარა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სისუსტეების კომპენსირებას მნიშვნელოვანი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცის შესრულების გზით.

ამგვარი ფუნქციის შერჩევა დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს, რადგან საქართველოს და აზერბაიჯანის მსგავსი ქვეყნები მუდმუვად მაღალი რისკის წინაშე იმყოფებიან. [10]

მაშ რა შეიძლება გახდეს საქართველოს და აზერბაიჯანის ისეთი დამატებითი საერთაშოროსო ფუნქცია, რომელიც მათი დამოუკიდებლობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშემწყობი ფაქტორი გახდება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რეგიონს უფრო ფართოდ, ენერგომატარებლების ტრანსპორტირების მიღმა შევხედოთ და მისი ისტორიული გამოცდილება გავიხსენოთ.

საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანი და საქართველო ისტორიული აბრეშუმის გზის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. დასავლეთის და აღმოსავლეთის სატრანსპორტო არტერიებით ახლიდან დაკავშირების იდეაც დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ TRACECA-ს თუ სხვა პრეოქტების ფარგლებში გაჟღერებული იდეები ცენტრალური აზიის და ევროპის სამხრეთ კავკასიის მეშვეობით დაკავშირების შესახებ ჯერაც მხოლოდ მინიმალურადაა ქცეული რეალობად.

ზემოთ განხილული გარემოებების გამო აუცილებელი ხდება, რომ საქართველომ და აზერბაიჯანმა, თავის პარტნიორებთან თანამშრომლობით, სცადონ თავისი ისტორიული სატრანსპორტო ფუნქციის აღორძინება კასპიის ზღვის არმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისთვის დასავლეთის ბაზრებისკენ ალტერნატიული და უფრო სტაბილური გასასვლელის შეთავაზებით.

ეს გულისხმობს ცენტრალური აზიის ქვეყნების განკარგულებაში არსებული, ძირითადად რუსეთზე გამავალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაციას და არა მათ ჩანაცვლებას.

[10] რონდელი, ალექსანდრე, (2003), პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გვ. 79.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ცენტრალური აზიის ქვეყნები დღესაც დიდწილად რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ შეზღუდული სუვერენიტეტის სახელმწიფოებად რჩებიან. ამის უმთავრესი მიზეზი მათი გეოგრაფიული მდებარეობაა და სატრანსპორტო თვალსაზრისით (მათ შორის ნავთობის და გაზის) დიდწილად რუსეთზე დამოკიდებულებაა. ამავე მიზეზით, თუმცა სხვადასხვა დოზით, რეგიონის თითოეული ქვეყანა რუსეთთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს, ვიდრე ერთმანეთთან, ან მით უმეტეს რეგიონის რომელიმე გარე პარტნიორთან.

ამ ვითარებაში საკუთარი პოტენციალის უკეთ რეალიზების მიზნით ცენტრალური აზიის ქვეყნების მზარდ ინტერესს იწვევს აზერბაიჯანის და საქართველოს თანამშრომლობის მაგალითი. წლების მანძილზე ყაზახეთი შეისწავლის კასპიის ზღვის მეშვეობით საკუთარი ტვირთების ტრანსპორტირების შეესაძლებლობას და საზღვაო პორტების განვითარების გზით ამის წინაპირობებსაც უყრის საფუძველს.

თუმცა, რეგიონის დღევანდელი რეალობა მაინც რუსეთზე დამოკიდებულობა და შედარებითი იზოლაციაა. უახლოეს ხანში ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე, შესაძლოა, ამ ქვეყნებმა საბოლოოდ დაკარგონ რეალური დამოუკიდებლობის და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ყაზახეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის კოლოსალური ენერგორესურსები და ისეთი სტრატეგიული რესურსები, როგირიცაა ხორბალი, ბამბა და მრავალი სახის მინერალური ნედლეული, არამედ მისი მდებარეობა მსოფლიოს ორ სავაჭრო გიგანტს - ჩინეთს და ევროპას შორის.

ამ მხრივ ყაზახეთი უკვე ასრულებს ევროპასთან ჩინეთის სახმელეთო გზით დამაკავშირებელ ფუნქციას, მაგრამ ეს კავშირი ჯერჯერობის მხოლოდ რუსეთის

მოძველებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურით ხორციელდება და მისი რესურსი შეზღუდულია. გარდა ამისა, როგორც რეგიონის ყველა ქვეყანას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, ტრანზიტში ან ექსპორტში რუსეთზე დამოკიდებულება ყოველთვის პოლიტიკურ საფასურთანაა დაკავშირებული და ხშირად მაინც არაა საიმედო.

ამის შესახებ ყველზე უკეთ თურქმენეთისთვისაა ცნობილი. 2009 წლის აპრილში, მას შემდეგ რაც რუსეთმა არ მოისურვა, ან ვეღარ შეძლო თურქმენული გაზის კონტრაქტით გათვალისწინებული მოცულობის შესყიდვა, მოლაპარაკების დაწყების ნაცვლად მან მილსადენი ააფეთქა.[11]

ყოველ შემთხვევაში თურქმენეთმა ღიად დაადანაშაულა რუსეთი და საეთაშორისო ექპერტთა დიდ ნაწილს ეჭვი არ ეპარება იმაში, თუ რა გახდა აფეთქების მიზეზი, მით უმეტეს, რომ რუსეთს უკვე ჰქონდა კიბერშეტევის გზით მილსადენის აფეთქების გამოცდილება. საქართველოში 2008 წლის ომს წინ უძღოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადების აფეთქება თურქეთის ტერიტორიაზე. აფეთქება თავდაპირველად ქურთ ტერორისტებს დაბრალდათ, თუმცა შესწავლის შემდეგ კიბერავდახსმის კვალმა გამოძიება რუსეთში მიიყვანა.[12]

შედეგად თურქმენეთს, რომელსაც არც მეორე ტრადიციულ პარტნიორთან, ირანთან აეწყო გაზის ექსპორტის საქმე, მოუწია საკმაოდ არახელსაყრელი გარიგების დადება ჩინეთთან. მართალია თურქმენეთი დიდწილად თავადაა დამნაშავე დასავლეთთან სერიოზული ეკონომიკური თანამშრომლობის არარსებობაში, მაგრამ უეჭველია, რომ როგორც ყაზახეთი, ისიც სასიცოცხლოდ საჭიროებს ამგვარი კავშირების დამყარებას და შესაძლოა არსებულ ვითარებაში (რუსული და ირანული ბაზრების დიდწილად დაკარგვა, არახელსაყრელი კონტრაქტი ჩინეთთან),

[11] Stratfor, (2017), A New Customer for Turkmen Natural Gas, https://www.stratfor.com/image/new-customer-turkmen-natural-gas (Accessed: 17 June 2017)
[12] Lee, Robert, M, Assante, Michael, J, Conway, Tim, (2014), Baku-Tbilisi-Ceihan Cyber Attack, Industrial Control Systems, New York

თურქმენეთი უფრო მზად იყოს რეალური ნაბიჯების გადადგმისთვის, ვიდრე წარსულში.

ცენტრალური აზიის ქვეყნების მგდომარეობა გაართულა რუსეთის მიერ ინიცირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში იძულებით გაწევრიანებამ, რამაც მათ განვითარებულ ქვეყნებან ვაჭრობაში ხელოვნული ბარიერები შეუქმნა. მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სრული პოტენციალის განხორციელების თვალსაზრისით ეს უკან გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა.

ამის მიუხედავად, რეგიონს გააჩნია შესაძლებლობა, რომ თავისი ბუნებრივი რესურსების და პოტენციურად სატრანსპორტო ინფრასტუქტურის მეშვეობით მსოფლიოში მზარდი სტრატეგიული როლი შეასრულოს. თუმცა ამისთვის ცვლილებებია საჭირო.

ცენტრალური აზიის რეგიონის მომავალ პერსპექტივას ორი ფუნდნეტური ფაქტორი განსაზღვრავს: პირველი რეგიონის მიერ საკუთარი უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების გაკონტროლების და მისგან მოგების მიღების უნარია, ხოლო მერე, სამხრეთ კავკასიასთან ერთად ჩინეთისა და ევროკავშირის სატრანსპორტო დერეფნით დაკავშირების პოტენციური შესაძლებლობაა.

მომავალში ენერგორესურსებზე მოთხოვნა რეგიონის აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც გაგრძელდება. ამავე დროს, საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში ცენტრალურ აზიას და კავკასიას ჩინეთსა და ევროპას შორის მზარდი ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი წილის მოზიდვა შეუძლია.

ამ მხრივ უკვე იდგმება გარკველი ნაბიჯები. ყაზახეთმა ბოლო წლებში ინფრასტრუქტურულად განავითარა აქტაუს პორტი და პრაქტიკულად თავიდან ააშენა ატირაუს პორტი კასპიის ზღვის სანაპიროზე. ამ ინვესტიციის სტრატეგიულ მნიშვნელობაში და იმაში, რომ ყაზახეთი თანდათანობით ნიადაგს ამზადებს

რუსეთზე დამოკიდებულების მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

კასპიის ზღვის გადმოღმაც დაწყებულია ინფრასტრუქტურული განვითარების ახალი ტალღა. ერთის მხრივ, უკვე რამდენიმე წელია BP-ს დაწყებული აქვს პროექტი შაჰ-დენიზ 2, რომელმაც საერთაშორისო კონსორციუმის მიერ მოპოვებული გაზის ექპორტის მოცულობა წელიწადში 16 მილირდი კუბური მეტრით აუნდა გაზარდოს. ამას ემატება თავად აზერბაიჯანის მთავრობის მიერ ინიცირებული ტრანს-ანატოლიური გაზსადენის პროექტი (TANAP), რომელიც აზერბაიჯანულ გაზის დამატებით მოცულობებს საქართველოს სამხრეთ საზღვრიდან ბაკლანეთამდე მიიყვანს, ხოლო შემდეგ, საბერძნეთის გავილით ის ტრანს-ადრიატიკული მილსადენით (TAP) შეუერთდება და იტალიას წელიწადში 10 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის.[13] ეს საკმაოდ მოკრძალებული მოცულობაა.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ტრანსანატოლიური გაზსადენის პროექტის პარტნიორად ტრანსადრიატიკული გაზსადენის შერჩევამ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ეგრედ წოდებული ნაბუკოს პროექტს პერსპექტივა აღარ დაუტოვა.[14] ნაბუკოს წარუმატებლობა პირველ რიგში ალბათ თავად ევრიპელი პარტნიორების ყოყმანის ბრალია. თუმცა, უფრო დიდი გაზის პროექტის განხორციელება კვლავაც არაა გამორიცხული. მას შემდეგ, რაც კასპიის გაზის უშუალოდ ევროპაში უფრო დიდი მოცულობით ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მზად იქნება, კასპიის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქვეყნებმა, განსკუთრებით თურქმენეთმა, შესაძლოა ახლიდან შეაფასოს ტრანსკასპიური გაზსადენის პერსპექტივა, როემლიც დღის წესრიგში საკმაო ხანია აღარ დგა. ამის მიზეზი, ბევრ სხვა წინაღობასთან ერთად (მაგალითად რუსეთის და ირანის წინააღმდეგობა),

[13] Del Sole, Catlin, (2012), Azerbaijan Choses TAP over Nabucco to Provide Gas Pipeline to Europe, The European Institute, http://www.europeaninstitute.org/index.php/component/content/article?id=1771:azerbaijan-chooses-tap-over-nabucco-to-provide-gas-pipeline-to-europe-88 (Accessed 17 June 2017)
[14] Ibid.

თურქმენეთის პოზიცია იყო, რომელიც გაზის ექსპორტის პირობად „საზღვარზე გაყიდვას“ ასახელებდა და უარს ამბობდა რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირების შესაძლებლობის განხილვაზე.

თურქმენეთის პოზიციის შეცვლამ ტრანს-კასპიურ გაზსადენთან დაკავშირებით შესაძლოა სტრატეგიული შედეგები გამოიღოს. თურქმენეთი გაზის დადასტურებული მარაგით მსოფიოში მეოთხე ყველაზე მდიდარი ქვეყანაა და ის 17.5 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. პერსპექტივისთვის - ეს მოცულობა საკმარისია ევროპის გაზის იმპორტის მოთხოვნილების ორმოცი წლის განმავლობაში სრულად დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, თურქმენული გაზის დასავლეთის მიმართულებით წამოსვლის შემთხვევაში, მკვეთრად გაიზრდება ყველა არსებული და მომავალი მილსადენის წარმადობა და მომგებიანობა და დღის წესრიგში ნაბუკოს პროექტის დაბრუნებაც გახდება აქტუალური.[15]

თუმცა, ეს თავისით, ან თუნდაც მხოლოდ აზრეზაიჯანის და საქართველოს აქტივობის შედეგად ვერ მოხდება. თუ ევროკავშირი პასიური დარჩება, თურქმენეთი იძულებული იქნება გაზის უფრო დიდი მოცულობა შეღავათიან ფასად მიმართოს ჩინეთში, ან ახალი შეთანხმება სცადოს რუსეთთან და ირანთან, რომლებიც ისარგებლებელ თურქმენეთის მდგომარეობით და მხოლოდ ისეთ გარიგებას დათანხმდებიან, რომელიც მხოლოდ მათთვის იქნება კომერციულად და პოლიტიკურად მომგებიანი.

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ყაზახეთი ტრადიციულად ყველაზე ფრთხილი იყო და ყოველმხრივ ცდილობდა თავიდან აეცილებინა რუსეთის ინტერესებთან რაიმე სახის დაპირისპირება. ამიტომ ის თავს არიდებდა ისეთ მასშტაბურ ენერგეტიკულ ან სატრანსპორტო პროექტებში მონაწილეობას, რომელიც

[15] Franza, Lucas, (2016), Outlook for Gas Imports from New Suppliers to the EU 2025, Clingendael Internatioanl Energy Program, http://www.clingendaelenergy.com/inc/upload/files/CIEP_paper_2016_2C_New_Suppliers_web.pdf (Accessed 17 June 2017)

რუსეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტიც, რომ 1999 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის შეთანხმებაში პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის მონაწილეობის მიუხედავად, დიდი ყაზახური ნავთობი ამ მილსადენის მიღმა, უმეტესად რუსეთის მეშვეობით ხვდება მსოფლიო ბაზარზე.

ამის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიური სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნის პერსპექტივისთვის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო: პირველი ისაა, რომ რუსული ზეწოლის მიუხედავად, უკვე არსებობს ყაზახური ნავთობის აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიით ტრანპორტირების პრეცედენტი, როდესაც ჯერ კიდევ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მისლადენის ექსპლოატაციაში შესვლამდე ამერიკული კომპანია შევრონი რკინიგზის ცისტერნებით ახდენდა ნავთობის გადაზიდვას შავი ზღვის სანაპირომდე.

მეორე ფაქტორი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია: 2014 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც რუსეთმა ღია აგრესია განახორციელა უკრაინის წინააღმდეგ, ყაზახეთიის მიდგომა საკუთარი უსაფთხოების საკითხისადმი მკვეთრად შეიცვალა. თუ აქამდე ყაზახეთის ხელმძღვანელობა უსაფრთხოების გარანტიად რუსეთისადმი მორჩილებას გამნიხილავდა, რაც, მათ შორის, ეკონომიკის სფეროშიც გამოიხატებოდა, 2014 წლიდან ყაზახეთის დამოკიდებულება ბევრად უფრო ხისტი ხდება. ბოლო წვეთის როლი ამ ცვლილებაში 2014 წლის სექტემბერში თავად პრეზიდენტ პუტინის განცხადება გახდა, როდესაც მან ყაზახეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიული ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ დააყენა.[16]

ეს მომენტი ყაზახეთის მიერ საკუთარი უსაფრთხოების აღქმაში შემობრუნების წერტილად იქცა. გაჩნდა მოლოდინი, რომ უკრაინის შემდეგ კრემლის მომდევნო სამიზნე შესაძლოა ყაზახეთი გამხდარიყო, რომლის მოსახლეობის თითქმის

[16] Najibula, Farangiz, (2014), Putin downplays Kazakh independence, RFERL https://www.rferl.org/a/kazakhstan-putin-history-reaction-nation/26565141.html (Accessed 17 June 2017)

მესამედი რუსებს შეადგენს, ხოლო მისი ტერიტორიის ჩრდილოეთში, ისინი უმრავლესობაში არიან.

2014 წლის ოქტომბერში პრეზიდენტ ნაზარბაევის მიერ გაკეთებული განცხადება უპრეცედენტო აღმოჩნდა. მან ღიად განაცხადა, რომ ყაზახეთისთვის მისი დამოუკიდებლობის ეჭვს ქვეშ დაყენება სრულიად მიუღებელია და რომ მზადაა უარი თქვას ნებისმიერ ისეთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე, რომელიც ყაზახეთის დამოუკიდებლობას პატივს არ სცემს. ამაში იგულისხმებობა არა მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, არამედ თავად რუსეთიც.[17]

დიდი ალბათობით, ყაზახეთის მიერ ეკონომიკურ და განსაკუთრებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაციაზე ზრუნვა ამ ახალ რეალობაზე რეაქციას უნდა წარმოადგენდეს. კასპიის ზღვით ენერგორესურსების და სხვა ტვირთების ტრანსპოტრირება ყაზახეთისთვის კომერციულად ყოველთვის ხელსაყრელი იყო და ამ ნაკადების შეზღუდულობა მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით - კერძოდ რუსეთის ინტერესებით იყო გამოწვეული. დღეს ეს ვითარება იცვლება.

საქართველოსთვის და აზერბაიჯანისთვის ამას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რომ დღეს ყაზახეთი უფრო მონდომებული იქნება ტრანს-კასპიური თანამშრომლობის განვითარებისთვის, ვიდრე მანამდე. სწორი მიდგომის პირობებში, ამ ორი ქვეყნისთვის ეს ახალ შესაძლებლობას წარმოადგენს. აქ საუბარია არა მხოლოდ ყაზახური ნავთობის გარკვეული მოცულობის ტრანსპორტირების პერსპექტივაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით (რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ბოლო წლებში ქრონიკულად დაუტვირთავია), არამედ ხორბლის და სხვა მარცვლეულის მნიშვნელოვანი მოცულობაზეც. მაგალითვისთვის, 2016 წელს

[17] Sadyrbekov, Arslan, (2014), Russian and Kazakh leaders exchange worrying statements, The Central Asia-Caucasus Analyst, https://www.cacianalyst.org/publications/field-reports/item/13050-russian-and-kazakh-leaders-exchange-worrying-statements.html (Accessed 17 June 2017)

ყაზახეთის მხოლოდ ხორბლის ექსპორტმა 7.6 მილიონი ტონა შეადგინა. საქართველოს და აზერბაიჯანის რკინიგზების მიერ ხელსაყრელი პირობების შეთავაზების შემთხვევაში, შესაძლოა ყაზახეთის დაინტერესება ხორბლის (და სხვა პროდუქციის) ხმელთაშუაზღვისპირეთიში გრძელვადიანი ექსპორტის პერსპექტივებით. ამ მიმართულებით ყაზახეთმა სატესტოდ უკვე დაჯავშნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მარშტურზე შეზღუდული მოცულობის ტვირთების გადატანა, მას შემდეგ რაც ეს ხაზი ამუშავდება. გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივები კი, როგორც უკვე ითქვა, დამოკიდებული იქნება შეთავაზებუილი პირობების ხელსაყრელობაზე.[18]

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ყაზახეთის და თურქმენეთისგან განხხვავებით, უზბეკეთს ხშირად არასათანადო ყურადღება ექცევა. ამის მიზეზი პირველ რიგში მისი თვითიზოლაციის ტენდენციაა (უზბეკეთმა თავის დროზე პოლიტიკური მიზეზებით დატოვა გუუამ-ის გაერთიანება და ყოველთვის შედარებით ფრთხილი იყო რუსეთის მიერ ინიცირებულ საინტეგრაციო პროცესებშიც). ამავე დროს, კასპიის ზღვაზე პირდაპირი გასასველის არარსებობა გარკვეულ ფაქტორს წარმოადგენს.

ზემოხსენებულის მიუხედავად, შეუძლებელია ამ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის უგულვებელყოფა. უზბეკეთი ნავთობის მსხვილი მომპოვებელია და მისი მარაგი 81.4 მილიონ ტონას შეადგენს. უზბეკეთის ბუნებრივი გაზი მარაგი 2 ტრილიონი კუბური მეტრია.[19] ეს ქვეყანა ცენტრალურ აზიაში ერთადერთია, რომელსაც სახმელეთო საზღვარი რეგიონის დანარჩენ ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ავღანეთთან, გააჩნია.

[18] Lyddon, Chris, (2016), Kazakhstan 2016, World Grain, http://www.world-grain.com/Departments/Country-Focus/Country-Focus-Home/Kazakhstan-2016.aspx (Accessed 17 June 2017)
[19] Uzbekistan, World Energy Data (2017), https://www.worldenergy.org/data/resources/country/uzbekistan/oil/ (Accessed 17 June 2017)

ამის გარდა ქვეყანას საკმაოდ განვითარებული მრეწველობის სექტორი გააჩნია, რაც 30 მილიონიან მოსახლეობასთან ერთად სერიოზული ეკონომიკური პერსპექტივის საწინდარს წარმოადგენს.[20] მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთის ჩართვა ტრანსკასპიურ ეკონომიკურ და სატრანსპორტო თანამშრომლობაში შედარებით უფრო შორეული პერსპექტივის საქმეა, საქართველომ და აზერბაიჯანმა ამის წინაპირობებზე ზრუნვა დღესვე უნდა დაიწყონ.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გავნითარების თვალსაზრისით ყაზახეთი ლიდერია ცენტრალური აზიის რეგიონში. ის უკვე მონაწილეობს ჩინური ტვირთების ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირების პროექტში, რომელიც ევროპას რუსეთის რკინიგზის მეშვეობით უკავშირდება. 2017 წლის იანვარში კონტეინერებით დატვირთული პირველი მატარებელი ჩინეთიდან ყაზახეთის, რუსეთის და მთელი ევროპის გავლით ლონდონში ჩავიდა. მან 12.000 კილომეტრი სულ რაღაც 18 დღეში დაფარა.[21]

ერთის მხრივ, ეს რუსეთის მხრიდან სერიოზული განაცხადია იმის სასარგებლოდ, რომ მის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მარშრუტი ევროპისა და ჩინეთის დასაკავშირებლად ოპტიმალურია, თუმცა თავისი უპირატესობები სამხრეთ კავკასიის მიმართულებასაც აქვს. მისი უმთავრესი ხიბლი ჩინეთისთვის იმაშია, რომ კავკასიური მარშრუტის, როგორც რუსული მარშრუტის პარალელეური (და არა ალტერნატიული) ვარიანტის არსებობა მას რუსეთის პოლიტიკურ ინტერსებზე სრულად დამოკიდებულს ვეღარ გახდის. ამიტომ არის ახალი ჩინური

[20] Akhunzada, Emin, (2015), Uzbekistan-Turkey Relations, Geopolitics of the Caspian Region, Edited by Ahmet Yukleyen, Caspian Strategy Publications, Istanbul, pp 206-211.
[21] Josephs, Jonathan, (2017), All Aboard China-to-London Freight Train, BBC News, http://www.bbc.com/news/business-38654176, (Accessed 17 June 2017)

ინიციატივის „ერთი სარტყელის და ერთი გზის“ მთავარი იდეა ჩინეთსა და ევროპას შორის სატრანსპორტო კავშირის განვითარება მისი დივერსიფიცირების გზით.[22]

ბოლო ათწლეულის განმავლობაში თურქეთმა მნიშვნელოვნად განავითარა საკუთარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ევროპასთან საგზაო და სარკინიგზო კავშირის გაფართოებისთვის.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ექპლოატაციაში შესვლის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი თავად თურქეთია, თუმცა მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ის საბოლოოდ დაიწყებს ფუნქციონირებას, რაც ახალ შესაძლებლობებს შექმნის არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მთელი კასპიური რეგიონის და, პერსპექტივაში ჩინური თვირთების გარკვეული ნაწილისთვის.

აზერბაიჯანის მთავრობა ბოლო წლებში სერიოზულად უდგება ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური როლის განვითარებას.[23] ამაში შედის საზღვაო პორტების, საგზაო ინფრასტრუქტურის გაფართოება და რეგიონული საჰაერო ჰაბის შექმნის ინიციატივა, რისთვისაც მას არაერთი ყელსაყრელი წინაპირობა გააჩნია. ეს არის მოსახერხებელი მდებარეობის და იაფი საავიაციო საწვავის პრაქტიკულად შეუზღუდავი ოდენობის კომბინაცია. სამწუხაროდ იგივეს თქმა არ შეიძლება საქართველოზე, სადაც ქვეყნის მთავარი აეროპორტის მართვა ხანგრძლივი პერიოდით ისეთ კომპანიას აქვს მინდობილი, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის გამო აფერხებს თბილისის აეროპორტის ისეთ განვითარებას, რომელიც მის საერთაშორისო მნიშვნელობას გაზრდიდა მგზავდების ან ტვირთების გადაზიდვაში.

---

[22] The Economist, What is China's One Belt One Road initiative? 15 May 2017 http://www.economist.com/blogs/economist-explains/2017/05/economist-explains-11 (Accessed 17 June 2017)

[23] Ziyadov, Taleh, (2015), Azerbaijan is a regional hun in Central Eurasia, Geopolitics of the Caspian Region, Edited by Ahmet Yukleyen, Caspian Strategy Publications, Istanbul, p. 159

დასკვნა

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ბოლო ოცდახუთმა წელმა საქართველოს და აზერბაიჯანს ჭეშმარიტად ისტორიული ცვლილებები, გამოწვევები და შესაძლებლობები მოუტანა. სამოცდაათწლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ ორივე ქვეყანას საშუალება მიეცა აღედგინა საკუთარი დამოუკიდებლობა. ამავე დროს, შიდა აშლილობის და საგარეო აგრესიის გამო ისინი დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდნენ: ორივე ქვეყანას თავს მოახვიეს სეპარატისტული კონფლიქტები, რომლებშიც რუსეთს პირდაპირი დაინტერესება, ზოგჯერ კი უშუალო მონაწილეობა ჰქონდა. დღემდე, ეს კონფლიქტები, ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაცია და ეთნოწმენდის შედეგად წარმოქმნილი მრავალრიცხოვანი ლტოლვილების არსებობა საქართველოს და აზებაიჯანის უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბულურობის მთავარი გამოწვევების მიზეზს წარმოადგენს.

ამის მიუხედავად, ორმა ქვეყანამ შეძლოა 1990-იანი წლების დასაწყისის ქაოსის გადალახვა. დასავლელ პარტნიორებთან და თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველომ და აზერბაიჯანმა შეძლეს პარტნიორობის ისეთი მოდელის შემუშავება, რომელმაც ხელი შეუწყო მათთვის კუთვნილი ადგილის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობათა ტრანსფორმირებად სისტემაში: საქართველომ და აზერბაიჯანმა კარგად გამოიყენეს თავიანთი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და მინერალური რესურსები და მჭიდრო ალიანსის შექმნით სამხრეთ კავკასიას მნიშვნელოვანი საერთაშორისო გეოეკონომიკური ფუნქცია შესძინეს.

უმეტესად აზერბაიჯანის ენერგორესურსების საერთაშორისო ბაზარზე ტრანსპორტირების სფეროში არსებულმა ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო საქართველოს და აზერბაიჯანის რეალური დამოუკიდებლობის გამყარებას, მაგრამ

მათი საერთაშორისო ფუნქციის შესანარჩუნებლად ბოლო წლებში გამოიკვეთა ერთობლივი გეოეკონომიკური როლის გაფართოების აუცილებლობა.

ამის მიზეზი აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვების მოცულობის თანდათანობით შემცირება და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი კლებაა. შესაბამისად შეუძლებელი ხდება უმეტესად ნავთობის მიწოდებაზე დამყარებული საერთაშორისო ფუნქციის შენარჩუნებაც.

ორი ქვეყნის მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სტატუსის შენარჩუნებისა და გაფართოებისთვის აუცილებელია კასპიის ზღვის გადაღმა მდებარე მეზობელ ქვეყნებთან სატრანსპორტო-ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვნად განვითარება. ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია პოლიტიკური ნება და შეთანხმებული მოქმედება აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლებებს შორის და მათი ერთიანი პოზიციით ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის სერიოზული წინადადებების შეთავაზება. ორივე ქვეყნის, განსაკუთრების აზერბაიჯანის ხელოსუფლება უნდა ესმოდეს, რომ ცენტრალური აზიის პოტენციური ენერგონაკადები არ უნდა იქნას განხილული ვიწრო კომერციულ კონტექსტში. მაგალითად, დღეს აზერბაიჯანი თურქმენეთს ევროპაში გაზის მიწოდების თვალსაზრისით კონკურენტად განიხილავს, თუმცა ტრანსკასპიური გაზსადენის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი გეოპოლიტიკური მოგება მნიშვლეოვნად გადააჭარბებს კომერციული კონკურენციის მცირე ეფექტს.

1990-იან წლებში მრავალი ინვესტორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს პოლიტიკურად მოტივირებულად თვლიდა და წმინდა კომერციული თვალსაზირისით იუნტერესოდ მიიჩნევდა. პროექტში არაერთი ამგვარი კომპანიის ჩართვას აშშ-ის ადმინისტრციის მხრიდან დარწმუნება და გარანტიები დასჭირდა. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა არა მხოლოდ მასში

მონაწილე ქვეყნებს მოუტანა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური შედეგები, არამედ კომერციულად წარმარებულიც აღმოჩნდა საერთაშორიო ინვესტორებისთვის. ამის შესახებ აზერბაიჯანის მთავრობამ წესით კარგად უნდა იცოდეს და იმედია ამ გამოცდილებას თურქმენული გაზის შემთხვევაში გაითვალისწინებს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთობლივი ძალისხმევით ცენტრალური აზიის ქვეყნებს თანამშრომლობის ისეთი ფორმატი უნდა შესთავაზონ, რაც სამხრეთ კავკასიას ცენტრალურის აზიის დასავლურ კარიბჭედ და თურქეთთან, შავი ზღვის რეგიონთან და ზოგადად დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდად აქცევს.

ამის გაკეთება ადვილი ამოცანა არ იქნება. ცენტრალური აზიის ქვეყნები დღემდე განიცდიან რუსეთის ზეწოლას და ამ ფონზე, ერთმანეთთანაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ბოლომდე სტაბილური პოლიტიკური ან ეკონომიკური თანამშრომლობა. შედეგად, თითოეული მათგანი რუსეთთან უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული, ვიდრე ერთმანეთთან.

ამავე დროს ეს არაა მიუღწეველი ამოცანა. ერთობლივად, საქართველოს და აზერჯაიჯანს შეუძლიათ რეგიონის ქვეყნებისთვის ახალი ალტერნატივა შესთავაზონ და დაანახონ დასავლეთთან სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირის ოპტიმალური პერსპექტივა. ამ ამოცანის პერსპექტიულობას ისიც უწყობს ხელს, რომ მისი წარმატებით არა მხოლოდ ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იხეირებენ, არამედ ჩინეთი, თურქეთი, ევროკავშირი და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები.

თურქეთი მუდმივად გამოხატავდა ინტერესს ცენტრალური აზიის რეგიონისადმი, ზოგჯერ ზედმეტადაც, მაგალითად როდესაც მათ თავს ახვევდა „დიდი თურქული ერთობის იდეას“. ყოველ შემთხვევაში თურქეთს არ დასჭირდება ვინმეს მხრიდან დარწმუნება, რომ სამხრეთ კავკასიის მეშვეობით სატრანსპორტო-

ინფრასტრუქრურული თანამშრომლობა ცენტრალურ აზიასთან მისთვის ხელსაყრელია.

ევროპისთვის, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ცდილობს რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირებას გაზის იმპორტის დივერსიფიკაციის გზით და ასევე რომლის ტვირთბრუნვა ჩინეთთან მსოფლიო სატრანსპორტო ნაკადების ერთ-ერთ უდიდეს კომპონენტს შეადგენს, ბუნებრივად უნდა იყოს დაინტერესებული როგორც ენერგიის, პირველ რიგში ბუნებრივი გაზის, ალტერნატიული წყაროებით, ისე დამატებითი სატრანსპორტო მარშრუტებით.

სხვადასვა მხარეების ინტერესები რომ შევაჯამოთ, გამოიკვეთება სურათი, რომლის თანახმად, სამხრეთ კავკასიის მეშვეობით ცენტრალური აზიის და დასავლეთის ერთმანეთთან ახალი ენერგეტიკული და სატრანსპორტო მაგისტრალებით უშუალოდ დაკავშირება, რუსეთის გარდა, ყველას ინტერესში შედის.

ბუნებრივია, მოგებული დარჩებიან საქართველო და აზერბაიჯანიც, რომელთა მონაწილეობა ახალი სატრანზიტო შემოსავლების წყარო გახდება, მაგრამ რაც უმთავრეს მნიშვნელობას ატარებს - ეს ორი ქვეყანა განიმტკიცებს საკუთარ საერთაშორისო ფასეულობას ახალი გეოეკონომიკური ფუნქციის მეშვეობით.

ახალი კავშირების მთავრი ბენეფიციარები გახდებიან ყაზახეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი (და შესაძლოა სხვა ქვეყნებიც), რომლებიც შეძლებენ არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ახალი შესაძლებლობის მიღებას, არამედ გაიმყარებენ რეალურ სუვერენიტეტს, რომელსაც დღეს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება ზღუდავს.

ამ კავშირით ჩინეთიც დაინტერესებული უნდა იყოს, რადგან ის ხელს შეუწყობს მისი სატრანსპორტო სტრატეგიის - „ერთი სარტყელი, ერთი გზის“

განხორციელებას, რომლის მიზანია დასავლეთთან ახალი სატრანსპორტო მარშრუტების შექმნა.

თურქეთი უკიდეურესად დაინტერესებულია და მისი ინტერესი ზემოთ უკვე ვახსენეთ. კვლავ ხაზი უნდა გავუსვათ ევროპისთვის მის მნიშვნელობას. ჯერ კიდევ ადრეულ ოთხმოცდაათიან წლებში ევროკავშირი თავად იყო ტრანსკავკასიური სატრანსპორტო პროექტის TRACECA-ს, როგორც „ახალი აბრეშუმის გზის ინიციატორი". ამ პროექტმა გარკვეულ წილად ხელი შეუწყო რეგიონის სატრანსპოტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მაგრამ უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენს აქტიურ მოთამაშეს. [24] ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის დასრულება ტრასეკას მიზნებს ბევრად უფრო რეალისტურ გახდის, ხოლო ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე რუსეთის შუამავლობის გარეშე წვდომა ევროპის მრავალი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

ამგვარად, საკითხი ეხება იმას, შეძლებენ თუ არა ზემოთ ხსენებული დაინტერესებული მხარეები საკუთარი ინტერესების გამო იმგვარი თანამშრომლობის პროექტის წამოწყებას, რომელიც თავისი მნიშვნელობით გაანეიტრალებდა რუსეთის წინააღმდეგობას.

ამავე დროს, არაა აუცილებელი გუამის ან შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მსგავსი რაიმე ფორმალური გაერთიანების შექმნა. წლების განმავლობაში აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის ეფექტურმა პარტნიორობამ უკვე აჩვენა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობისთვის საერთო ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებზე უფრო მყარ საფუძველს წარმოადგენს. მთავარია ამ საერთო ინტერესების ნათლად იდენტიფიცირება და დანარჩენი პარტნიორების დაინტერესება.

[24] TRACECA, New Silk Road for the 21st Century, http://www.traceca-org.org/en/traceca/, (Accessed 17 June 2017)

ბუნებრივია, საქართველო და აზერბაიჯანი ვერ გახდებიან ამგვარი მასშტაბური თანამშრომლობის თავარი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მათ საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება და ექსპერტული რესურსი გააჩნიათ, რათა სამხრეთ კავკასიის დიდ სატრანსპორტო ხიდად გადაქცევის იდეას შესაბამისი ეკონომკური და ტექნიკური დასაბუთების შეუმუშავება დაიწყონ (რაშიც სხვა პარტნიორების მოწვევაც შეუძლიათ) და შემდეგ ამ იდეის ლობირება დანარჩენ დაინტერესებულ ქვეყნებთან დაიწყონ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რონდელი, ალექსანდრე, (2003), პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, GFSIS, თბილისი
2. თურმანიძე, თორნიკე, (2011), ბუფერული სახელმწიფო, მეორე გამოცემა, ბთკკ, თბილისი
3. Asmus, Ronald. D, (2010), A Little War that Shook the World, Pelgrave Macmillan
4. Ahmet Yukleyen, Editor, (2015), Geopolitics of the Caspian Region, Caspian Strategy Publications, Istanbul
5. Jones, Stephen, (2009), *On the 90th Anniversary of the DRG*, 30 August, Available at: http://matiane.wordpress.com/2009/08/30/stephen-jones-on-the-90th-anniversary-of-the-democratic-republic-of-georgia/
6. Del Sole, Catlin, (2012), Azerbaijan Choses TAP over Nabucco to Provide Gas Pipeline to Europe, The European Institute, http://www.europeaninstitute.org/index.php/component/content/article?id=1771:azerbaijan-chooses-tap-over-nabucco-to-provide-gas-pipeline-to-europe-88

7. US Energy Information Administration, (2017), Oil and natural gas sales accounted for 68% of Russia's total export revenues in 2013, https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=17231#

8. Eric J. Dahl, (2001), Naval Innovation: From Coal to Oil, Joint Force Quarterly, NDU Press

9. Lee, Robert, M, Assante, Michael, J, Conway, Tim, (2014), Baku-Tbilisi-Ceihan Cyber Attack, Industrial Control Systems, New York

10. Stratfor, (2017), A New Customer for Turkmen Natural Gas, https://www.stratfor.com/image/new-customer-turkmen-natural-gas

11. Franza, Lucas, (2016), Outlook for Gas Imports from New Suppliers to the EU 2025, Clingendael Internatioanl Energy Program, http://www.clingendaelenergy.com/inc/upload/files/CIEP_paper_2016_2C_New_Suppliers_web.pdf

12. Najibula, Farangiz, (2014), Putin downplays Kazakh independence, RFERL https://www.rferl.org/a/kazakhstan-putin-history-reaction-nation/26565141.html

13. Sadyrbekov, Arslan, (2014), Russian and Kazakh leaders exchange worrying statements, The Central Asia-Caucasus Analyst, https://www.cacianalyst.org/publications/field-reports/item/13050-russian-and-kazakh-leaders-exchange-worrying-statements.html

14. Lyddon, Chris, (2016), Kazakhstan 2016, World Grain, http://www.world-grain.com/Departments/Country-Focus/Country-Focus-Home/Kazakhstan-2016.aspx

15. Uzbekistan, World Energy Data (2017), https://www.worldenergy.org/data/resources/country/uzbekistan/oil/

16. Josephs, Jonathan, (2017), All Aboard China-to-London Freight Train, BBC News, http://www.bbc.com/news/business-38654176,

17. The Economist, What is China's One Belt One Road initiative? 15 May 2017

18. TRACECA, New Silk Road for the 21st Century, http://www.traceca-org.org/en/traceca/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

II სემესტრის დოქტორანტი

დიანა ლეჟავა

(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

„შრომით კმაყოფილება საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლია წულაძე

თბილისი

2017

შინაარსი

შესავალი 4

თეორიული მიმოხილვა 5

მონაცემებთა ანალიზი 7

დასკვნა 29

გამოყენებული ლიტერატურა: 31

ცხრილები და დიაგრამები

დიაგრამა 1. შრომით კმაყოფილება 7
დიაგრამა 2. შრომითი კმაყოფილება სქესისა და ასაკის მიხედვით 7
დიაგრამა 3. შრომითი კმაყოფილება განათლების დონის მიხედვით (N=391) 8
დიაგრამა 4. შრომითი კმაყოფილება დასაქმების სფეროს მიხედვით 9
დიაგრამა 5. შრომითი კმაყოფილება სამსახურეობრივი პოზიციის მიხედვით 11
დიაგრამა 6. შრომითი კმაყოფილება თვიური დაბეგრილი შემოსავლის მიხედვით 12
დიაგრამა 7. შრომითი კმაყოფილება სამუშაო განაკვეთის მიხედვით 13
ცხრილი 1. ჰეკმანისა და ოლდემის სამუშაოს მახასიათებლების მოდელი (JCM). შრომით კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 1) 15
ცხრილი 2. ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორია. შრომით კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 2) 17
ცხრილი 3. შრომითი კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 3) 18
დიაგრამა 8. დასაქმებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია 20
დიაგრამა 7. ხელფასით VS შრომით კმაყოფილება 21
ცხრილი 4. პირადი და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ლარში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 22
დიაგრამა 9. 18-24 წლის დაქირავებით დასაქმებულთა სახელფასო განაწილება 24
დიაგრამა 10. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (18-24 ასაკობრივი ჯგუფი) 25
დიაგრამა 10. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (25-34 ასაკობრივი ჯგუფი) 26
დიაგრამა 11. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (35-44 ასაკობრივი ჯგუფი) 28

შესავალი

შრომით კმაყოფილება შრომის ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ორგანიზაციული წარმატებისთვის აუცილებელია, თანამშრომლებს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდეთ და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამსახურის მიმართ; აღნიშნული ეხმარება ინდივიდს, უფრო მეტი მონდომებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობაზე აისახება (Deepak, 2016; Mat Ali et al., 2013). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შრომით კმაყოფილების კვლევა აქტუალური საკითხია, რასაც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. თუმცა, საქართველოში ეს საკითხი სათანადოდ ნაკვლევი არ არის. წინამდებარე ქვეთავი ეხება საქართველოში სამუშაო ადგილზე შრომით კმაყოფილებას და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს. ანალიზისთვის გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2016 წლის ზაფხულში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული რეპრეზენტატული გამოკითხვა. მოცემული ემპირიული მონაცემები ასახავს კვლევის მონაწილე დაქირავებით დასაქმებული პერსონალის შრომით კმაყოფილებას. დაქირავებით დასაქმებულებში არ მოიაზრება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები, რომლებიც ნატურალურ მეურნეობას ეწევიან (არ აქვთ ფინანსური სარგებელი სოფლის მეურნეობიდან). წინამდებარე ქვეთავი, ასევე, არ განიხილავს თვითდასაქმებულ მოსახლეობას (თუნდაც ეკონომიკური სარგებლის მქონეს), ვინაიდან ეს ნაწილი ეხება ორგანიზაციის შიგნით დასაქმებული პირების კმაყოფილებას და ზოგად ორგანიზაციულ კლიმატს, დაქირავებული თანამშრომლების თვალით დანახულს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ანალიზში მოხვედრილ რესპონდენტთა საერთო ერთობლიობა 391 ადამიანს შეადგენს, მათ შორის 47% ქალია, ხოლო 53% - კაცი.

თეორიული მიმოხილვა

სანამ უშუალოდ ემპირიული მონაცემების ანალიზზე გადავალთ, აუცილებელია განისაზღვროს, რა იგულისხმება შრომით კმაყოფილებაში. ლოკის თანახმად, შრომით კმაყოფილება არის დადებითი ემოციური მდგომარეობა, რომელსაც განაპირობებს დაქირავებული თანამშრომლის მიერ შესრულებული „სამუშაოს დაფასება“ (Lock, 1976 in Dugguh & Ayaga, 2014). ეს არის ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულება სამსახურის მიმართ, ანუ რა დოზით მოსწონს ან არ მოსწონს მას საკუთარი სამსახური (Lyord, 2000 in Mat Ali et al, 2013); ხოლო მოწონება-არ მოწონებას სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავს. შრომით კმაყოფილების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თეორია განავითარა ფრედერიკ ჰერცბერგმა, რომლის თანახმად, შრომით კმაყოფილებას ორი ფაქტორი განაპირობებს: მოტივაცია და „ჰიგიენა.“ მოტივაცია შინაგან (intrinsic) ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა ინდივიდის სამსახურთან დაკავშირებული პირადი მიღწევები, ამ მიღწევების აღიარება და დაფასება, თავად შესასრულებელი სამუშაო, პასუხისმგებლობის განცდა, და დაწინაურების პერსპექტივები. ეს ფაქტორები, ანუ მოტივატორები, განსაზღვრავენ ინდივიდის კმაყოფილების განცდას სამსახურის მიმართ. „ჰიგიენა“ დამოკიდებულია გარეგან (extrinsic) ფაქტორებზე, როგორიცაა ხელფასი, სტატუსი, უსაფრთხოების განცდა, ხელმძღვანელობა, თანამშრომლებთან ურთიერთობები, ორგანიზაციული პოლიტიკა და სამუშაო გარემო. აღიშნული ფაქტორები კი, ჰერცბერგის თანახმად, უკმაყოფილების გამომწვევია დასაქმებულებში (Herzberg, 1987). როგორც აღინიშნა, ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს შრომით კმაყოფილებას და შრომით უკმაყოფილებას, თუმცა ამ ორ ცნებას არა ერთმანეთის საპირისპიროს, არამედ ურთიერთშემავსებელ ცნებებად განიხილავს, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი შესაძლოა ერთდროულად სამსახურით კმაყოფილიც იყოს და უკმაყოფილოც (იქვე, გვ. 8).

ჰერცბერგის თეორიის მიხედვით, „ჰიგიენური“ ფაქტორების პოზიტიურმა ან ნეგატიურმა ცვლილებამ მხოლოდ შრომით უკმაყოფილების შემცირება ან გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს, მას გავლენა არ ექნება შრომით კმაყოფილებაზე.

და პირიქით, მოტივაციის ფაქტორების ცვლილება გავლენას მხოლოდ შრომით კმაყოფილებაზე იქონიებს, და არა შრომით უკმაყოფილებაზე. თუმცა, კრიტიკოსტა აზრით, ჰერცბერგი არ აკონკრეტებს, თუ როგორ შეიძლება გაიზომოს შინაგანი ფაქტორები, ან მოტივატორები, რაც ართულებს აღნიშნული თეორიის ემპირიულად შემოწმების შესაძლებლობას (Hackman & Oldham, 1976).

ჰერცბერგის თეორიის ალტერნატიული თეორია ჰეკმანმა და ოლდემმა ჩამოაყალიბეს, რომლებმაც შრომითი კმაყოფილების განმსაზღველად ხუთი ფაქტორი დაასახელეს: ავტონომია, უკუკავშირი, უნარების მრავალფეროვნება, სამუშაოს არსი („იდენტობა“), და ამ სამუშაოს მნიშვნელობა (Hackman & Oldham, 1974, in Mat Ali et al., 2013). ავტონომიაში იგულისხმება, თუ რამდენად თავისუფლად და დამოუკიდებლად იღებს ინდივიდი გადაწყვეტილებებს სამუშაოს დაგეგმვის თვალსაზრისით. უკუკავშირი მოიცავს ინდივიდის მიერ შესრულებულ სამუშაოზე/დავალებაზე მისი ხელმძღვანელობის პასუხს, რამდენად ეფექტურად შესრულდა დავალება. სამუშაოს არსი („იდენტობა“) დაქირავებულ თანამშრომელს ანიჭებს განცდას, რომ მისი სამუშაო ღირებულია, შესაბამისად, მოტივაციას უმაღლებს, უკეთ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. ხოლო სამუშაოს მნიშვნელობა, ანუ სასარგებლო საქმე, განისაზღვრება იმით, თუ რა გავლენას ახდენს ის უშუალოდ ამ ორგანიზაციაში თუ მის მიღმა მომუშავე სხვა ადამიანების ცხოვრებასა თუ სამსახურზე. უნარების მრავალფეროვნება კი მოიაზრებს იმ უნარების ერთობლიობას, რომელიც დასაქმებულს სამსახურში დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ესაჭიროება (იქვე, გვ. 47-48). უნდა აღინიშნოს, რომ ჰეკმანისა და ოლდემის სამუშაოს მახასიათებლების მოდელი (Job Characteristics Model) შრომითი კმაყოფილების განმსაზღვრელ ფაქტორად არ განიხილავს ინდივიდის კმაყოფილებას შემოსავლით, რაც ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

მონაცემებთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დაქირავებით დასაქმებულ რესპონდენტთა (N=391) შორის, შრომით კმაყოფილებას გამოთქვამს გამოკითხულთა 78%, ხოლო 7% უკმაყოფილოა სამსახურით. როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ქვეთავში განხილულია მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილება; კვლევა არ მოიცავს თვითდასაქმებულთა შეხედულებებს ამ საკითხის მიმართ.

დიაგრამა 1. შრომით კმაყოფილება



შრომითი კმაყოფილების კუთხით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება სქესის და ასაკის ნიშნით. კაცი რესპონდენტების შემთხვევაში, 82% კმაყოფილია სამსახურით, ხოლო ქალების შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებას 74% გამოხატავს. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში სამსახურით კმაყოფილთა მაჩვენებელი 75-83% მერყეობს.

დიაგრამა 2. შრომითი კმაყოფილება სქესისა და ასაკის მიხედვით



შრომითი კმაყოფილება ვარირებს განათლების დონის მიხედვით. უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულთა 84% კმაყოფილია სამსახურით, მაშინ როცა ზოგადი განათლების მქონე დასაქმებულთა მხოლოდ 67% გამოთქვამს კმაყოფილებას სამსახურით; რაც შეეხება პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შრომით კმაყოფილებას, აღნიშნული მაჩვენებელი 73%-ია, თუმცა კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის საკმაოდ სუსტია (r=.14, p<.05). აღნიშნული სხვაობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს ანაზღაურების ოდენობაზე. ზოგადი და პროფესიული განათლების მქონე დაქირავებით დასაქმებულთა უმეტესობის (ზოგადი განათლება - 75%; პროფესიული განათლება - 84%) თვიური შემოსავალი 600 ლარამდეა, მაშინ როცა უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულების შემთხვევაში, 600 ლარამდე შემოსავალი უფრო ნაკლებს - 63% აქვს; ხოლო დანარჩენების, 37%-ის თვიური შემოსავალი აღემატება 600 ლარს, 16% შემთხვევაში კი აჭარბებს 1000 ლარს.

დიაგრამა 3. შრომითი კმაყოფილება განათლების დონის მიხედვით (N=391)



შრომითი კმაყოფილების კუთხით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება დასაქმების სექტორის მიხედვით: საჯარო სექტორში დასაქმებულთა 77%, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულთა 83% კმაყოფილებას

გამოთქვამს სამსახურის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით კმაყოფილებას გამოთქვამს საბანკო-საფინანსო და სადაზღვევო (92%), განათლებისა (89%) და ადმინისტრაციულ სფეროში (86%) დასაქმებული პერსონალი, ხოლო ყველაზე ნაკლებ კმაყოფილებას - სასოფლო-სამეურნეო (60%), წარმოებასა (61%) და ინდივიდუალური მომსახურების (65%) სფეროში დასაქმებული პერსონალი (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. შრომითი კმაყოფილება დასაქმების სფეროს მიხედვით



რაც შეეხება შრომით კმაყოფილებას დასაქმებულთა სამსახურებრივი პოზიციის მიხედვით, მაღალ შრომით კმაყოფილებას გამოთქვამენ შემდეგი პოზიციებზე მომუშავე რესპონდენტები: ფინანსების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები (100%), საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სპეციალისტები (100%), სამხედრო ოფიცრები (100%), მენეჯერები და დირექტორები (93%), მომსახურების სფეროში მომუშავე სპეციალისტები (88%) და განათლების სფეროს სპეციალისტები (89%). ყველაზე ნაკლებად შრომით

კმაყოფილებას გამოხატავენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკები (33%), დაცვის სამსახურის მუშაკები (47%), მძღოლები (50%), კვების სპეციალისტები (50%) და ხელოსნები (53%) (იხ. დიაგრამა 5).

უნდა აღინიშნოს, რომ შრომით კმაყოფილებას უფრო მეტად იმ პოზიციაზე მომუშავე პერსონალი გამოხატავს, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციის პროფესიებს წარმოადგენენ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციების, ISCO 2008 თანახმად, პოზიციების კატეგორიებად დაყოფა დამოკიდებულია იმ უნარებზე, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ პოზიციისთვის (ISCO-08, 2012). უნარების პირველ ქვეკატეგორიაში (Skill Level 1) გაერთიანებულია ისეთი პროფესიები, რომლებიც მარტივ ფიზიკურ და რუტინულ სამუშაოს მოითხოვენ. აღნიშნული დონე მოითხოვს მხოლოდ წერა-კითხვისა და მარტივი არითმეტიკის ცოდნას. უნარების მეორე ქვეკატეგორია (Skill Level 2) აერთიანებს ისეთ პოზიციებს, რომლებიც მოითხოვს ელექტრონულ მოწყობილობასთან მუშაობას; შესაბამისად, ამ ქვეკატეგორიისთვის საჭიროა სრული ან არასრული საშუალო განათლების ქონა მაინც. უნარების მესამე ქვეკატეგორია (Skill Level 3) აერთიანებს კომპლექსურ და სპეციფიურ პოზიციებს, რომელთათვისაც აუცილებელია მაღალ დონეზე განვითარებული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარები და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის გავლა (ბაკალავრის ხარისხი); ხოლო მე-4 ქვეკატეგორია (Skill Level 4) მოიცავს მაღალი დონის პოზიციებს, როგორიცაა აღმასრულებელი დირექტორები, ფინანსისტები, ა.შ. ამ ქვეკატეგორიისთვის დამახასიათებელია მაღალი დონის ანალიტიკური, ინტერპერსონალური და კომუნიკაციის უნარების არსებობა და უმაღლესი განათლების მეორე ან მესამე საფეხურების დამადასტურებელი ხარისხი (მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი) (ISCO-08, 2012, გვ. 23-24).

დიაგრამა 5-ზე მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ შრომით კმაყოფილებას განსაკუთრებით მე-3 და მე-4 ქვეკატეგორიის პოზიციებზე დასაქმებული რესპონდენტები გამოთქვამენ, ხოლო ნაკლებ კმაყოფილებას - მე-2 ქვეკატეგორიის პოზიციებზე დასაქმებული რესპონდენტები. შრომითი უკმაყოფილების თვალსაზრისით, მაღალ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სოფლის

მეურნეობაში დასაქმებული მუშაკები (33%) და მუშები (27%). აღნიშნული განსხვავება ადასტურებს ჰოფსტედეს მიერ განვითარებულ აზრს, რომ ისეთ პოზიციებზე მომუშავე პერსონალი, რომელსაც უმაღლესი განათლება სჭირდება (უნარების მე-3 და მე-4 ქვეკატეგორიის მქონე), შინაგან ფაქტორებს ანუ მოტივატორებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ხოლო ნაკლები განათლების მქონე ინდივიდები, რომლებიც შედარებით დაბალ პოზიციებზე არიან დასაქმებულები, „ჰიგიენურ“ გარეგან ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას (ჰოფსტედე და ჰოფსტედე, 2011). შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ჰერცბერგის თეორიის მიხედვით, შრომით კმაყოფილებაზე სწორედ შინაგანი ფაქტორები ახდენს გავლენას, სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ მე-3 და მე-4 ქვეკატეგორიის პოზიციებზე დასაქმებული რესპონდენტების შრომით კმაყოფილების შედარებით მაღალი მაჩვენებელი.

დიაგრამა 5. შრომითი კმაყოფილება სამსახურეობრივი პოზიციის მიხედვით



მნიშვნელოვანია შრომითი კმაყოფილების განსაზღვრა დაქირავებით დასაქმებულთა შემოსავლის მიხედვით. როგორც დიაგრამა 6-დან ჩანს, ხელფასის ოდენობის მიუხედავად, იმ პირების წილი, ვინც კმაყოფილებას გამოთქვამს სამსახურის მიმართ, საკმაოდ მაღალია. დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით, 20-200 და 201-400 ლარის შემოსავლის მქონე რესპონდენტების შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებას 61% და 68% გამოთქვამს; აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ კატეგორიებშიც (20-200 და 201-400 ლარი) შრომითი კმაყოფილება საკმაოდ მაღალია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტებისთვის დამაკმაყოფილებელია თუნდაც მცირე შემოსავლის არსებობა იმისთვის, რომ კმაყოფილნი იყვნენ სამსახურით.

დიაგრამა 6. შრომითი კმაყოფილება თვიური დაბეგრილი შემოსავლის მიხედვით



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომით კმაყოფილებას ყველაზე მეტად გამოთქვამენ სრულ განაკვეთზე (21-40 საათი კვირაში) მომუშავე რესპონდენტები (84%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - ის რესპონდენტები, რომლებიც 40 საათზე მეტს მუშაობენ კვირის განმავლობაში (71%). ზეგანაკვეთზე (40+ საათი კვირაში)

რესპონდენტების საერთო ერთობლიობის 38% მუშაობს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია; მათგან 62% წერილობითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, დანარჩენებს კი ზეპირსიტყვიერი, ან საერთოდ არ აქვთ. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება განისაზღვრება მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე (მუხლი 17, პუნქტი 4); ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების უპირობო ვალდებულების არარსებობა, საშუალებას აძლევს დამქირავებელს, შრომით ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინოს იმ სამუშაო საათების ანაზღაურების საკითხი, რომელიც კვირაში 40 საათს აღემატება. (იხ. დიაგრამა 7). ამ კონკრეტული ჯგუფის საშუალო თვიური შემოსავალი კი არ განსხვავდება საერთო პოპულაციის საშუალო შემოსავლის მაჩვენებლისგან და 200-600 ლარის (60%) ფარგლებში მერყეობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის პირები, რომლებიც 40 საათზე მეტს მუშაობენ კვირაში, არ იღებენ ანაზღაურებას ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის. შესაბამისად, ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მათ კმაყოფილებაზე სამსახურის მიმართ.

დიაგრამა 7. შრომითი კმაყოფილება სამუშაო განაკვეთის მიხედვით



იმისთვის, რომ გაგვეგო, თუ კონკრეტულად რა ფაქტორები ახდენს გავლენას დასაქმებულების შრომით კმაყოფილებაზე, გადავწყვიტეთ ზემოთ განხილული ორივე თეორიული მოდელი გამოგვეყენებინა და გვენახა, რა ფაქტორები ახდენს გავლენას შრომით კმაყოფილებაზე საქართველოს შემთხვევაში. ჰეკმანისა და ოლდემის სამუშაოს მახასიათებლების მოდელის (JCM) შემთხვევაში, მონაცემთა ანალიზისთვის გავაკეთეთ წრფივი რეგრესიული ანალიზი. დამოკიდებულ ცვლადად გამოვიყენეთ შრომითი კმაყოფილება, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად შემდეგი ფაქტორები: ავტონომიურობა, დაქირავებულთა კოგნიტური და ტექნიკური უნარების სუბიექტური შეფასება, საინტერესო სამუშაო და სასარგებლო სამუშაო (რამდენად სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის). ჩვენი კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების სპეციფიკიდან გამომდინარე, JCM თეორიული მოდელმა ცვლილება განიცადა: ჰეკმანისა და ოლდემის მიერ განსაზღვრული ფაქტორი - „იდენტობა“, რომელიც გულისხმობს, თუ რამდენად ღირებულად აღიქვამს დასაქმებული საკუთარ საქმიანობას, ჩანაცვლდა ფაქტორით „საინტერესო სამუშაო.“ სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენი კვლევის შემთხვევაში ჰეკმანისა და ოლდემის მოდელი არ მუშაობს (R^2=-.038, F=.499, p>.05). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ ფიქსირდება დამოკიდებულ ცვლადსა და მის პრედიქტორებს შორის (იხ. ცხრილი 1). სავარაუდოდ, აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში კორელაცია არ დასტურდება ავტონომიურობასა და შრომით კმაყოფილებას (r=.052, p=.675), და კომპეტენციებსა (როგორც კოგნიტურ (r=-.024, p=636), ასევე ტექნიკურ (r=-.03, p=.550)) და შრომით კმაყოფილებას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ლიტერატურის თანახმად, ავტონომიურობის ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის კმაყოფილებას სამსახურის მიმართ (Nguyen et al., 2003; Amarasena et al., 2015; Belias et al., 2015). ანალოგიურად, დასაქმებულების უნარების მაღალი მაჩვენებლები განაპირობებს მათ პოზიტიურ დამოკიდებულებას სამსახურის მიმართ (Allen & Velden, 2001).

ცხრილი 1. ჰეკმანისა და ოლდემის სამუშაოს მახასიათებლების მოდელი (JCM). შრომით კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 1)

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
(Constant)	4.708	.589		7.998	.000
ავტონომიურობა	.080	.134	.076	.594	.554
მნიშვნელოვანი სამუშაო (ღირებულება საზოგადოებისთვის)	-.136	.140	-.127	-.970	.336
კოგნიტური კომპეტენციები	.177	.179	.124	.986	.328
ტექნიკური კომპეტენციები	.121	.178	.085	.680	.499
საინტერესო სამუშოა	.093	.142	.084	.658	.513

რაც შეეხება ჰერცბერგის ორფაქტორიან თეორიას, ამ შემთხვევაშიც მონაცემთა ანალიზისთვის შევიმუშავეთ წრფივი რეგრესიული მოდელი, რომლისთვისაც გამოვიყენეთ შინაგანი (მოტივატორი) და გარე („ჰიგიენური“) ფაქტორები. დამოკიდებულ ცვლადად ავიღეთ შრომითი კმაყოფილება, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად გამოვიყენეთ შემდეგი ცვლადები:

შინაგანი ფაქტორები (მოტივატორები): შემოსავლით სუბიექტური კმაყოფილება, დაწინაურების პერსპექტივების არსებობა სამსახურში, გამოცდილება ამ მიმართულებით (დაწინაურებულა თუ არა რესპონდენტი), სამსახურის დაკარგვის შიში და სამსახური, როგორც არამატერიალური ღირებულება. ბოლო ცვლადი მიღებულია რამდენიმე შინაარსობრივად მსგავსი ცვლადის ერთობლიობით, რომლებიც ეხება სამსახურის არამატერიუალურ ასპექტებს: საინტერესო საქმე, სხვების დახმარების შესაძლებლობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთების შესაძლებლობა.

გარე ფაქტორები („ჰიგიენა“): რეალური ხელფასი (თვიური დაბეგრილი შემოსავალი), სოციალური კაპიტალი სამუშაო ადგილზე (ფორმალური და

არაფორმალური ურთიერთობის შეფასება ხელმძღვანელობასა და კოლეგებთან), ავტონომია (აღნიშნული ცვლადი მიღებულია რამდენიმე შინაარსობრივად მსგავსი ცვლადის ერთობლიობით, როგორიცაა დამოუკიდებლად მუშაობა, სამუშაო საათების დროს სახლიდან მუშაობის შესაძლებლობა, სამუშაო აქტივობების დამოუკიდებლად დაგეგმვის შესაძლებლობა, პირადი საკითხების მოსაგვარებლად სამუშაო საათებიდან დროის გამოყოფა), სტრესული გარემო, ტრენინგების გავლის შესაძლებლობა სამსახურში და სტატუსი (სამსახურეობრივი პოზიცია). რეგრესიული მოდელისთვის ასევე გამოვიყენეთ ცვლადი - როლური კონფლიქტი, რაც გულისხმობს სამუშაოსა და ოჯახურ ვალდებულებებს შორის არსებულ ბალანსს (კონფლიქტს), ანუ რამდენად ხელს უშლის სამუშაო მოვალეობები ოჯახური ვალდებულებების შესრულებას.

გარდა ამისა, რეგრესიისთვის გამოვიყენეთ შემდეგი დემოგრაფიული ცვლადები: განათლება, ასაკი, სქესი, სამუშაო გამოცდილება, დასახლების ტიპი და დასაქმების სფერო.

რეგრესიული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ შრომით კმაყოფილებაზე როგორც შინაგანი, ასევე გარე ფაქტორების ნაწილს აქვს გავლენა: შემოსავლით კმაყოფილება; სამსახური, როგორც არამატერიალური ღირებულება; სოციალური კაპიტალი სამუშაო ადგილზე; დასაქმების სფერო, და კონფლიქტი სამსახურსა და ოჯახურ ვალდებულებებს შორის. ხოლო დანარჩენი ცვლადების შემთხვევაში (სქესი, ასაკი, განათლება, რეალური ხელფასი და სხვ.) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც კმაყოფილებას გამოთქვამენ სამსახურის მიმართ, 39% დაწინაურებულა პოზიციურად ან ხელფასის თვალსაზრისით. თუმცა, ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ ფიქსირდება, შესაბამისად, რეგრესიულ მოდელში, აღნიშნული ცვლადი გავლენას ვერ ახდენს შრომით კმაყოფილებაზე. ნეგატიური კორელაცია ფიქსირდება შრომით კმაყოფილებასა და სამსახურში არსებულ სტრესულ გარემოს შორის ($r=-.190$, $p=.000$), რაც ნიშნავს, რომ შრომით კმაყოფილებაზე სტრესულ გარემოს უარყოფითი გავლენა აქვს: რაც უფრო იმატებს სტრესი, მით უფრო იკლებს

კმაყოფილების განცდა. თუმცა აღნიშნული კორელაცია საკმაოდ სუსტია, შესაბამისად, ვერც ეს ფაქტორი მუშაობს რეგრესიულ მოდელში.

ზემოაღნიშნული ცვლადების კომბინაციამ გვიჩვენა, რომ მოდელი შრომითი კმაყოფილებას 30%-ით ხსნის (R^2=.301, F=31.25, p=.000). ამასთანავე, მნიშვნელოვანი ცვლადების შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს შემოსავლით კმაყოფილება (41%), რომელსაც მოსდევს სამსახურის არამატერიალური ღირებულება (24%). როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ ფაქტორში გაერთიანებულია რამდენიმე ცვლადი, როგორიცაა საინტერესო საქმე და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთების შესაძლებლობა. ასევე, დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის (15%) არსებობა სამსახურში. რაც შეეხება კონფლიქტს სამსახურსა და ოჯახურ ვალდებულებებს შორის, აღნიშნული პრედიქტორი 12% განაპირობებს შრომით კმაყოფილებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ცვლადს შორის ნეგატიური კორელაციაა, რაც გულისხმობს, რომ რაც უფრო მატულობს როლური კონფლიქტი (სამსახური ხელს უშლის ოჯახურ ვალდებულებებს), მით უფრო მცირდება რესპონდენტთა შრომითი კმაყოფილება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორია. შრომით კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 2)

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
(Constant)	3.858	.210		18.358	.000
სოციალური კაპიტალი	.188	.057	.149	3.307	.001
სამსახურის არამატერიალური ღორებულება	.319	.062	.236	5.129	.000
დასაქმების სფერო	.021	.007	.129	2.843	.005
ხელფასით კმაყოფილება (სუბიექტური აღქმა)	.522	.058	.408	9.005	.000

კონფლიქტი ოჯახურ ცხოვრებასა და სამსახურს შორის	-.144	.052	-.125	-2.771	.006

გარდა ზემოაღნიშნული მოდელისა (ცხრილი 2), მონაცემების ანალიზისთვის შევიმუშავეთ კიდევ ერთი მოდელი მხოლოდ ერთი განსხვავებული ცვლადით: შრომითი კმაყოფილების ასახსნელად, ნაცვლად შემოსავლით კმაყოფილების სუბიექტური აღქმისა, გამოვიყენეთ რესპონდენტთა რეალური ხელფასი. მოდელში დანარჩენი ცვლადების ერთობლიობა არ შეცვლილა, თუმცა შეიცვალა თითოეული ფაქტორის წილი და გავლენა შრომით კმაყოფილებაზე (იხ. ცხრილი 3). მოდელმა შრომითი კმაყოფილება ახსნა 15% (R^2=.152, F=14.86, p=.000). ამ სახით შეცვლილი მოდელის მნიშვნელობა, სავარაუდოდ, შემდეგით აიხსნება: რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია რეალური ხელფასი იმისთვის, რომ კმაყოფილების გრძნობა ჰქონდეთ სამსახურის მიმართ, თუმცა, მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია იმის აღქმა, რომ სამსახური და, შესაბამისად, ხელფასი აქვთ, განსაკუთრებით კი ქვეყანაში არსებული დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებლისა და სიღარიბის ფონზე. შესაბამისად, თუნდაც დაბალი ხელფასის არსებობა, სხვა სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად (როგორიცაა პოზიტიური არაფორმალური ურთიერთობები სამსახურში და საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის განცდა), საკმარისია იმისთვის, რომ რესპონდენტი კმაყოფილი იყოს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. შრომითი კმაყოფილების რეგრესიული ანალიზი (მოდელი 3)

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
(Constant)	5.145	.132		38.892	.000
სოციალური კაპიტალი	.228	.059	.184	3.857	.000
სამსახურის არამატერიალური ღირებულება	.360	.065	.264	5.500	.000

დასაქმების სფერო	.017	.008	.098	2.069	.039
კონფლიქტი ოჯახურ ცხოვრებასა და სამსახურს შორის	-.140	.051	-.130	-2.740	.006
რეალური ხელფასი (დაბეგრილი თანხა)	.000	.000	.186	3.937	.000

ჰერცბერგის თეორიის მიხედვით შექმნილი ორივე მოდელი (ცხრილი 2 და 3) ცხადყოფს, რომ შრომით კმაყოფილებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შინაგანი, სუბიექტური ფაქტორები, ხოლო გარე, ობიექტურ ფაქტორებს ნაკლები ეფექტი აქვს. აღნიშნული ადასტურებს ჰერცბერგის თეორიას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებაზე ერთ გარე ფაქტორს, სოციალურ კაპიტალს, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. ჰერცბერგის კლასიკურ მოდელსა და ჩვენ მოდელს შორის არსებული ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკით, სადაც, ზოგადად, ძალიან ძლიერია არაფორმალური, აფექტური (bonding) სოციალური კაპიტალი და ნაკლებადაა განვითარებული ფორმალური, ინსტრუმენტული (bridging) სოციალური კაპიტალი (CRRC, 2011). ისეთ საზოგადოებებს, სადაც არაფორმალური ურთიერობები ცხოვრების ყველა ასპექტში ძლიერია, მათ შორის სამსახურებრივ ურთიერთობებში, ტრომპენაარსი დიფუზურ საზოგადოებებს უწოდებს (Trompenaars & Hampden-Turner, 1997). დიფუზურ საზოგადოებებში პირადი ურთიერთობები გადაჯაჭვულია საქმიან ურთიერთობებთან. შესაბამისად, შრომით კმაყოფილებაზე სოციალური კაპიტალის, განსაკუთრებით არაფორმალურის, გავლენა სწორედ დიფუზური კულტურის მახასიათებლებით შეიძლება აიხსნას. სამსახურში სოციალური კაპიტალის (როგორც ფორმალურის, ისე არაფორმალურის) მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ ამჟამად დაქირავებით დასაქმებულთა 34% ნაცნობ-მეგობრებისა და სოციალური კონტაქტების საშუალებით დასაქმდა. ამასვე ადასტურებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის სხვადასხვა წლებში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვები, რომლის თანახმად, დასაქმებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად სოციალური კონტაქტების არსებობა აღიქმება. აღნიშნული

შეხედულება განსაკუთრებით გაძლიერდა 2012 წლის შემდეგ და 20%-დან 30-31%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 8)

დიაგრამა 8. დასაქმებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია



წყარო: CRRC, კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო

როგორც უკვე ითქვა, შრომით კმაყოფილების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს ხელფასით კმაყოფილება წარმოადგენს: ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სამსახურით კმაყოფილთა 34% კმაყოფილია საკუთარი ხელფასით, 27% - უკმაყოფილოა, ხოლო 39%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს. ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება კმაყოფილთა და უკმაყოფილოთა პროცენტული მაჩვენებლები. თუმცა, თუ დამოკიდებულ ცვლადად ხელფასით კმაყოფილებას ავიღებთ, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადად - შრომით კმაყოფილებას, ვნახავთ, რომ მონაცემები რადიკალურად იცვლება: ხელფასით კმაყოფილთა 99% კმაყოფილია სამსახურით (იხ. დიაგრამა 7). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ

სუბიექტური კმაყოფილების გრძნობას და არა თავად რეალურ შემოსავალს, რომელიც რესპონდენტს აქვს. როგორც ზემოთ მოცემული ცხრილებიდან ჩანს, ხელფასით სუბიექტურ კმაყოფილებას გაცილებით მაღალი წონა აქვს (41%) (იხ. ცხრილი 2), ვიდრე რეალური ხელფასის ცვლადს (19%) (იხ. ცხრილი 3). გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, რეგრესიულ მოდელში შრომით კმაყოფილებაზე გავლენა არ ჰქონდა რესპონდენტების ასაკს, თუმცა ეს ცვლადი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაძლოა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა ფაქტორები იწვევდნენ შრომით კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას, მათ შორის ხელფასის სუბიექტური აღქმა და რეალური ხელფასი. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას შრომით კმაყოფილებაზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში.

დიაგრამა 7. ხელფასით VS შრომით კმაყოფილება



18-24 ასაკობრივი ჯგუფისთვის პირად შემოსავალსა და შრომით კმაყოფილებას შორის სტატისტიკური კავშირი არ დაფიქსირდა (r=.165, p>.05). თუმცა, ამ ორ ცვლადს შორის კორელაცია იზრდება ასაკობრივი ჯგუფების ზრდასთან ერთად: 25-34 და 35-44 ასაკობრივი ჯგუფებისთვის r=.546, p<.05 და

r=.493, p<.05, ხოლო 45-54 და 55-64 ასაკობრივი ჯგუფისთვის - r=.465 და r=.523, p<.05. ეს ადასტურებს, რომ რაც უფრო იზრდება რესპონდენტის ასაკი, მით უფრო დიდ ყურადღებას აქცევს ის არსებულ თვიურ შემოსავალს. როგორც ცხრილიდან #4 ირკვევა, დაქირავებით დასაქმებულთა პირადი საშუალო თვიური დაუბეგრავი შემოსავალი დაახლოებით 500-600 ლარამდე მერყეობს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, გარდა 55-64 და 65+ ასაკობრივი ჯგუფებისა. რაც შეეხება ოჯახის საშუალო თვიურ დაუბეგრავ შემოსავალს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ 18-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით აღემატება სხვა ასაკობრივი ჯგუფების თვიურ შემოსავალს და თვეში 1200 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 4. პირადი და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ლარში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	რესპონდენტთა რაოდენობა	პირადი საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი)		ასაკობრივი ჯგუფი	რესპონდენტთა რაოდენობა	ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი)
18-24	49	536.21		18-24	40	1244.41
25-34	100	621.38		25-34	78	1202.89
35-44	103	524.43		35-44	86	1042.62
45-54	82	540.92		45-54	72	1034.76
55-64	41	414.99		55-64	37	773.38
65+	23	450.04		65+	21	641.06
ჯამი	397	538.23		ჯამი	333	1047.52

18-24 ასაკობრივი ჯგუფისთვის შრომით კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების დასადგენად გამოვიყენეთ შემდეგი ოთხი ცვლადისგან შემდგარი მოდელი: სამსახურის პრიორიტერულობა ხელფასზე, სამსახურის არამატერიალური ღირებულება, სამსახურთან დაკავშირებული

არასტაბილურობის განცდა და სოციალური კაპიტალი. რეალური ხელფასის და ხელფასით კმაყოფილების ცვლადებს სტატისტიკური მნიშვნელობა არ აქვს. ეს მოდელი 57%-ით ხსნის შრომით კმაყოფილებას (R^2=.572, F=15.86, p=.000). რეგრესიის შედეგად აღმოჩნდა, რომ თავად სამსახურის არსებობის ფაქტი 61%-ით (β=.610, p=.000) განაპირობებს შრომით კმაყოფილებას, ანუ, ის, რომ რესპონდენტს სამსახური აქვს, საკმარისია კმაყოფილების განცდის გამოსაწვევად; ხოლო სამსახურის არამატერიალურ ღირებულება (რაშიც იგულისხმება საინტერესო საქმე და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთება) 67%-ით (β=.667, p=.000) და სოციალური ურთიერთობები 34%-ით (β=.338, p=.004) განაპირობებს კმაყოფილების გრძნობას. ამ ჯგუფის შემთხვევაში, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს არასტაბილურობის განცდას (β=.-218, p<.05), რომელიც ნეგატიურ კორელაციაშია შრომით კმაყოფილებასთან, ანუ რაც უფრო იზრდება იმის შანსი, რომ რესპონდენტებს მოუწიოთ სხვა სამსახურის მოძებნა მომდევნო 12 თვის განმავლობაში, მით უფრო იკლებს შრომითი კმაყოფილება. აღნიშნულ ჯგუფის რესპონდენტების შრომითი კმაყოფილების განმსაზღვრელ ფაქტორად არ ფიქსირდება რეალური შემოსავალი და მისით კმაყოფილება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ 18-24 ასაკობრივ ჯგუფში დაქირავებით დასაქმებულ რესპონდენტთა 93% ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს, მათი საშუალო პირადი შემოსავალი 536 ლარია, ხოლო ოჯახის თვიური საშუალო შემოსავალი არის 1244 ლარი (იხ. ცხრილი 4, დიაგრამა 9). გარდა ამისა, რესპონდენტების 85%-ს მიაჩნია, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 18-24 წლის რესპონდენტებისთვის, რომელთა 45%-ს 2 წელზე ნაკლები სამუშაო გამოცდილება აქვს, კარიერული წინსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განვითარების ამ ეტაპზე პირადი ხელფასის არსებობა.

დიაგრამა 9. 18-24 წლის დაქირავებით დასაქმებულთა სახელფასო განაწილება



როგორც უკვე აღინიშნა, 18-24 ასაკობრივ ჯგუფში შრომით კმაყოფილების განმსაზღვრელი მნივნელოვანი ფაქტორია სამსახურის სტაბილურობა და არა ამჟამინდელი რეალური შემოსავალი. თუმცა, ზოგადად, რესპონდენტთა 95% მიიჩნევს, რომ მაღალი ხელფასის არსებობა მნიშვნელოვანია, ხოლო 50% თანახმა არაა იმუშავოს დაბალანაზღაურებად სამსახურში. ერთი შეხედვით, ეს განსვლა რეალურ შრომით კმაყოფილებასა და სურვილს შორის პარადოქსურად ჟღერს, თუმცა შესაძლოა დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ რესპონდენტები გათვლას მომავალზე აკეთებენ. ანუ, მათთვის ამ ეტაპზე ხელფასს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა გადამწყვეტია მომავალში. რესპონდენტთა 70% თანახმა არ არის, საცხოვრებლად გადავიდეს სხვა ადგილას ქვეყნის შიგნით იმისთვის, რომ ჰქონდეს სამსახური (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმეტესობა (57%) ქალაქში ცხოვრობს), მაშინ როცა სხვა ქვეყანაში გადასვლაზე თანახმაა რესპონდენტთა 59% (იხ. დიაგრამა 10). ეს საკმაოდ საინტერესო მონაცემია იმის გათვალისწინებით, რომ 2012-2016 წლებში შრომით მიგრანტთა საშუალოდ 22% სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფზე მოდის (საქსტატი, 2016).

დიაგრამა 10. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (18-24 ასაკობრივი ჯგუფი)



25-34 ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: შემოსავლითა (β=.408, p=.000) და, ზოგადად, ფინანსური მდგომარეობით (β=.224, p<.05) კმაყოფილება, დაწინაურების პერსპექტივა (β=.174, p<.05) და სამსახურში ტრენინგების გავლის შესაძლებლობა (β=.456, p=.000). ისევე როგორც წინა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ამ ჯგუფისთვისაც შრომით კმაყოფილების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია სტაბილურობის განცდა. სამსახურის არასტაბილურობა ნეგატიურ გავლენას ახდენს შრომით კმაყოფილებაზე (β=-.319, p=.001). აღნიშნული ცვლადებისგან შემდგარი მოდელი 49%-ით ხსნის 25-34 ასაკობრივი ჯგუფში შრომით კმაყოფილებას (R^2=.492, F=16.36, p=.000). ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის რესპონდენტთა 95% ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს. საშუალო დაბეგრილი თვიური პირადი შემოსავალი 621 ლარია, ხოლო ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1200 ლარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 25-34 ასაკობრივი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება 18-24 ასაკობრივი ჯგუფისგან, მათთვის ხელფასით კმაყოფილება მაინც განაპირობებს შრომით კმაყოფილებას. აღნიშნულის ახსნად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, 62%

დაოჯახებულია (მაშინ, როცა 18-24 ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 32%-ია დაოჯახებული), შესაბამისად, მათთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე ზრუნვა. სავარაუდოდ, ოჯახური მდგომაროებაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ განსხვავებით წინა ჯგუფისგან, რესპონდენტთა 57-58%-სთვის მიუღებელია სამსახურის შესანარჩუნებლად საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა, როგორც ქვეყნის ფარგლებს შიგნით, ასევე მის მიღმა (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (25-34 ასაკობრივი ჯგუფი)



35-44 ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, შრომითი კმაყოფილება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ხელფასით კმაყოფილება (β=.455, p=.000), დაწინაურების პერსპექტივა (β=.250, p=.003) და სოციალური კაპიტალი სამსახურში, ანუ არაფორმალური ურთიერთობა თანამშრომლებსა და მენეჯერებთან (β=.395, p=.000). მოდელი შრომით კმაყოფილებას ხსნის 43%-ით (R^2=.426, F=23.85, p=.000). ამ ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 77% დაქორწინებულია/ცხოვრობს პარტნიორთან ერთად, ხოლო 58%-ს მცირეწლოვანი შვილი(ები) ჰყავს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 35-44 ასაკობრივ ჯგუფში

დაბეგრილი საშუალო შემოსავალი 524 ლარია, ხოლო ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი აღემატება 1000 ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ამ ჯგუფში უფრო მეტია უსაფთხოების განცდა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 65% აღელვებს სამსახურის დაკარგვის შანსი, მათ უმეტესობას (62%) მიაჩნია, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში ახალი სამსახურის მოძებნა არ მოუწევთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯგუფში 73% თანახმაა, სამსახურის შესანარჩუნებლად ახალი უნარ-ჩვევები განავითაროს (იხ. დიაგრამა 11). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 53%-ს გაუვლია სხვადასხვა ტიპის ტრენინგი უნარების გასაუმჯობესებლად ბოლო 12 თვის განმავლობაში, რაც შედარებით კორელაციაშია შრომით კმაყოფილებასთან (r=.277, p<0.5). რაც შეეხება, უსაფრთხოების ასეთი მაღალ განცდას, შესაძლოა, ეს კავშირში იყოს რესპონდენტების დასაქმების სფეროსთან: ყველაზე დიდი ნაწილი (25%) დასაქმებულია განათლების სფეროში, რომელსაც მოსდევს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფერო (13%). ორივე მიმართულება საჯარო სამსახურს წარმოადგენს, რაც გაცილებით მეტ გარანტიას აძლევს დასაქმებულს, ვიდრე ამას კერძო სექტორი სთავაზობს: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის წესით განუსაზღვრელი ვადით (მუხლი 33; მუხლი 34, პუნქტი 1). გარდა ამისა, განათლების სფერო არ ხასიათდება სამუშაო ბაზრის მოქნილობით, რაც გულისხმობს, რომ რეგულარულად არ ხდება სამუშაო ძალის განახლება, და ამ სფეროში მომუშავე ადამიანს ერთგვარ გარანტიასაც აძლევს, რომ მის პოზიციაზე არც ისეთი დიდი კონკურენციაა, ხოლო მოთხოვნა მუდმივად არსებობს (სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა TALIS 2013 (2014), ეროვნული ანგარიში). რაც შეეხება სამსახურის შესანარჩუნებლად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, წინა ჯგუფებთან შედარებით, ამ ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 40%-ია თანახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. შესაძლოა, ესეც დაკავშირებული იყოს, სტაბილურობის განცდასთან, თუმცა ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ ფიქსირდება.

დიაგრამა 11. იმისთვის, რომ უმუშევარი არ დავრჩე, თანახმა ვარ... (35-44 ასაკობრივი ჯგუფი)



45-54 ასაკობრივ კატეგორიაში სამი ფაქტორი განაპირობებს შრომით კმაყოფილებას: შემოსავლით კმაყოფილება (β=.450, p=.000), სოციალური კაპიტალი (β=.207, p<.05) და სამსახურის არამატერიალური ღირებულება (β=.282, p=.005). ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 62% ქალია; რესპონდენტთა 28% საგანმანათლებლო სექტორში მუშაობს და მათი საშუალო თვიური შემოსავალი 540 ლარს შეადგენს. 76% დაქორწინებულია და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1000 ლარს აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, გაცილებით მაღალია სტაბილურობის განცდა, ვიდრე წინა შემთხვევაში: რესპონდენტთა 77%-ის, მიაჩნია, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში სხვა სამსახურის მოძებნა არ დასჭირდებათ, რაც, სავარაუდოდ, კვლავაც გამოწვეულია დასაქმების სფეროს (განათლება) სპეციფიკით. აღნიშნული ფაქტორებისგან შემდგარი მოდელი შრომით კმაყოფილებას 31%-ით ხსნის (R^2=.307, F=11.95, p=.000).

რაც შეეხება 55-64 ასაკობრივ კატეგორიას, მათ შემთხვევაში შრომით კმაყოფილებას მხოლოდ ორი ფაქტორი განაპირობებს: შემოსავლით კმაყოფილება (β=.469, p=.001) და ფიზიკური უსაფრთხოება (β=.315, p<.05). მოდელში

წარმოდგენილი ცვლადები აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის შრომით კმაყოფილებას 33%-ით ხსნის (R^2=.372, F=10.61, p=.000). ამასთანავე, ამ ასაკობრივ ჯგუფში 33% პროცენტი განათლების სფეროში მუშაობს, ხოლო მათი საშუალო დაუბეგრავი თვიური შემოსავალი 400 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამ ჯგუფში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია ოჯახის თვიური შემოსავალი, რომელიც ოდნავ აღემატება 600 ლარს (იხ. ცხრილი #3). ისევე როგორც 45-54 ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, ამ ჯგუფშიც მაღალია სამსახურთან დაკავშირებით სტაბილურობის განცდა - რესპონდენტა 82%-ს დარწმუნებულია, რომ მომდევნო წლის განმავლობაში არ დასჭირდება სხვა სამსახურის მოძებნა.

დასკვნა

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ხელფასით კმაყოფილება მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომით კმაყოფილებას ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, გარდა 18-25 ასაკობრივი კატეგორიისა. ამ ჯგუფის შემთხვევაში, გაცილებით მნიშვნელოვანია დაწინაურების პერსპექტივები და სამსახურის არსებობა, როგორც კარიერული წინსვლის წინაპირობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როდესაც შრომით კმაყოფილებას ვზომავთ, არც ერთი ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში არ ფიქსირდება სტატისტიკური კავშირი შრომით კმაყოფილებასა და რეალურ ნომინალურ ხელფასს შორის. სტატისტიკური კავშირი დასტურდება მხოლოდ ხელფასით კმაყოფილების სუბიექტურ აღქმასა და შრომით კმაყოფილებას შორის, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უმეტესობის შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათ აქვთ სამსახური და, შესაბამისად, გარკვეული ანაზღაურებაც, თუნდაც ის არ იყოს მაღალი, განსაკუთრებით კი ქვეყანაში არსებული უმუშევრობის ფონზე. როგორც ცნობილია, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, უმუშევრობის მაჩვენებელი 12%-ია (საქსტატი, 2015 წლის მონაცემები). თუმცა ჩვენი კვლევის, ასევე სხვადასხვა დამოუკიდებელი კვლევის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 65-70% ფარგლებში მერყეობს (კავკასიის

ბარომეტრის დროითი მწკრივები 2008-2015; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2015). გარდა ამისა, ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 31% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება და რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში (სოციალური მომსახურების სააგენტო, დეკემბერი 2016).

ზემოთქმულის გათვალისწინებით სამსახურის, თუნდაც დაბალ-ანაზღაურებადის, ქონა უკვე მნიშვნელოვანია, ხოლო სხვა საკითხებზე ზრუნვა, როგორიცაა უსაფრთხოება, ტექნიკური და კოგნიტური უნარების შესაბამისობა სამსახურთან და სხვა, უკანა პლანზე გადადის. სავარაუდოდ, ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტიც, რომ არც ერთ ასაკობრივ ჯგუფში შრომით კმაყოფილებას არ განაპირობებს ავტონომიურობის განცდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში, დასაქმებულთა უმეტესობისთვის, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს რამდენად დამოუკიდებლად შეძლებს სამუშაო აქტივობების დაგეგმვას ან სამუშაო დროის განაწილებას. სამსახურში ავტონომიურობის გაცდა კი ლოკის გავლენის თეორიის მიხედვით, შრომითი კმაყოფილების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია (Lock, 1976 in Dugguh & Ayaga, 2014) და დასტურდება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე (Nguyen et al., 2003; Amarasena et al., 2015; Belias et al., 2015).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტებისთვის სოციალურ კაპიტალის (არაფორმალური ურთიერთობა კოლეგებსა და მენეჯერებთან) დიდი მნიშვნელობა ენიჭება და განაპირობებს შრომით კმაყოფილებაზე. სოციალური კაპიტალის ასეთი გავლენა შრომით კმაყოფილებაზე შეიძლება აიხსნას საქართველოსთვის დამახასიათებელი, კოლექტივისტური კულტურით, სადაც არაფორმალური ურთიერთობები თანამშრომლებს შორის სამსახურეობრივი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Amarasena, T. S. M., Ajward, A. R. A, Ahasanul Haque, A. K. M. (2015). The Impact of Work Autonomy on Job satisfaction of Academic Staff: An Empirical Examination of Government Universities in Sri Lanka. *International Journal of Recent Advances in Organizational Behaviour and Decision Sciences (IJRAOB)* , *1*(4).

Belias, D., Loustelios, A. Sdrolias, L, Aspridis, G. (2015). Job Satisfaction, Role Conflict and Autonomy of employees in the Greek Banking Organization. *Procedia - Social and Behavioral Sciences, 175*, 324–333

Caucasus Research Resource Centers. (2011). *An Assessment of Social Capital in Georgia.* Briefing Paper. Retrieved from http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/CRRC_Social_Capital_Briefing_Paper.pdf

Deepak. (2016). Antecedent Value of Professional Commitment and Job Involvement in Determining Job Satisfaction. *Management and Labour Studies. 41*(2), 154–164

Dugguh, S. I., Ayaga, D. (2014). Job Satisfaction Theories: Traceability to Employee Performance in Organizations. *IOSR Journal of Business and Management, 16*(5), 11-18.

Hackman, R. J., Oldham, G. R. (1976). Motivation through the Design of Work: Test of a Theory. *Organizational Behavior and Human Performance, 16,* 250-279

Herzberg, F. (1987). One More Time: How Do You Motivate Employees? *Harvard Business Review*

International Labour Office. (2012). International Standard Classification of Occupations: Structure, Group Definitions and Correspondence Tables.

Mat Ali, S. A., Said, N. A., Yunus, N. M., Abd Kader, S. F., Ab Latif, D. S., Munap, R. (2013). *Hackman and Oldham's Job Characteristics Model to Job Satisfaction*. Paper presented at the International Conference on Innovation, Management and

Technology Research. Retrieved from http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042814028286

Nguyen, A. N., Taylor, J., Bradley, S. (2003). Job Autonomy and Job Satisfaction: New Evidence. Lancaster: Lancaster University.

Siegler, V. (2014). Measuring Social Capital. Office for National Statistics. UK.

Trompenaars F., Hampden-Turner, Ch. (1997). Riding the Waves of Culture: Understanding Cultural Diversity in Business. London: Nicholas Brealey Publishing

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. *კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო.* ხელმისაწვდომია http://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/codebook/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2010). *საქართველოს შრომის კოდექსი.* ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567#!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *ემიგრანტებისა და იმიგრანტების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.* ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo

საქართველოს შრომისა და ჯანდაცვის სამინისტრო. (2015). *შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა.* თბილისი. ხელმისაწვდომია http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2015). *სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS). ეროვნული ანგარიში.* ხელმისაწვდომია: http://www1.naec.ge/images/doc/SXVA/talis%20final%20report_ready_print%20links.pdf

ჰოფსტედე გ., ჰოფსტედე, გ. ი. (2011). *კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

მე-9 სემესტრის დოქტორანტი

ნინო გელაშვილი

სადოქტორო სემინარი

“ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს გამოყენებული ტერმინების ანალიზი”

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნათია კუპრაშვილი

თბილისი

2017

შესავალი

1990 წლებში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოში დღემდე გრძელდება. თუმცა, მიუხედავად 25-წლიანი გამოცდილებისა, ქართული მედიისთვის ომისა და მშვიდობის გაშუქება კვლავ პრობლემად რჩება. განსაკუთრებით პრობლემურია ტერმინები. დღემდე არ არსებობს მედია სტანდარტი, რომელიც ჟურნალისტებს შესთავაზებს რა ტერმინებით მოიხსენიონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და იქ მომუშავე უწყებები. ერთმანეთისგან განსხვავებულ ტერმინებს იყენებენ არა მხოლოდ სხვადასხვა მედიის, არამედ ხშირად ერთი და იგივე რედაქციის წარმომადგენლებიც კი.

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს ქართულ მედიაში ჟურნალისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ მასალებში გამოყენებული ლექსიკა და გამოაკვიოს სწორი ვერსიები.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენების აღსაწერად ხშირად გამოიყენება თვითაღიარებული, ე.წ., ზოგჯერ მარიონეტული რეჟიმი ან სამაჩაბლო. რიგ შემთხვევაში, ტერმინები შეფასებითია და ნათელია, რომ ჟურნალისტი მიკერძოებულია. მაგალითად, პოლიტიკოსების მიერ ხშირად გამოყენებულ ტერმინს “მარიონეტული რეჟიმს” ჯერ კიდევ შეხვდებით ქართულ გადაცემებსა და სტატიებში. ეს ტერმინი ემყარება არა სამართლებრივ, არამედ სუბიექტურ წარმოდგენას/შეფასებას.

ასეთი ლექსიკა ვნებს მშვიდობის მშენებლობის პროცესს. 90-იანი წლებიდან დღემდე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს პროექტების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის შედეგად დაშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციის და ნდობის აღდგენას. ამ პროცესში მედიის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. მედიას შეუძლია ხელი შეუწყოს ურთიერთობების აღდგენას და ისევე,

როგორც კიდევ უფრო დააშოროს ისედაც გაყოფილი და დაშორებული საზოგადოებები.

ობიექტური და დაბალანსებული გაშუქება, ისევე როგორც შუღლის ენის თავიდან არიდება ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტის ყველა მხრიდან ნდობის აღდგენის და საზოგადოებრივი დიალოგის წარმართვისთვის. საერთაშორისო მედიაში არსებობს ტოპონიმების გამოყენების წლების განმავლობაში აპრობირებული პრაქტიკა, რომელიც მხარეებისთვის მისაღებია და არ ხდება დიალოგის მცდელობების ჩაშლის მიზეზი.

ჟურნალისტის ამოცანა, ინფორმაციის ზუსტად და მიუკერძოებლად გადმოცემაში მდგომარეობს, ამ პრინციპებიდან გადახვევა აკარგვინებს ჟურნალისტს ნდობას და ხელს უწყობს კონფლიქტის კიდევ უფრო გაღვივებას.

ჟურნალისტებმა თავი უნდა აარიდონ მიზანმიმართულ ეთნიზაციასა და განზოგადებას, მტრისხატის ფორმირებასა და კოლექტიური დანაშაულის გრძნობის შექმნას. კონფლიქტით გახლეჩილ მხარეებს შორის კონტაქტების შენარჩუნება და კონსტრუქციული დიალოგი საზოგადოებებს შორის შესაძლებელია და უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფორმატში და სხვადასხვა დონეზე, რაზეც ჟურნალისტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ.

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი ჟურნალისტებს ურჩევენ იმოქმედონ ჟურნალისტური ეთიკის საერთაშორისო ნორმების და კონფლიქტის გაშუქების 6 სავალდებულო წესის ფარგლებში:

1. ვალდებულება გაერკვიე კონფლიქტში;
2. ვალდებულება გააშუქო სამართლიანად;
3. ვალდებულება გააშუქო კონფლიქტის წინაპირობა და მიზეზი;
4. ვალდებულება წარმოაჩინო ადამიანური მხარე;

5. ვალდებულება გააშუქო სამშვიდობო ინიციატივები;
6. ვალდებულება აღიარო საკუთარი გავლენა.[1]

საბედნიეროდ, ქართულ მედიაში თითქმის არ გვხვდება აფხაზების და ოსების მიმართ სიძულვილის ენა. თუმცა ამის მიზეზი შესაძლოა, ისიცაა, რომ ზოგადად, მედია არ იჩენს დიდ იტერესს გამყოფი ხაზის მიღმა მიმდინარე მოვლენების შესახებ. სიუჟეტები ძირითადად შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, შიდაპარტიულ დაპირისპირებებს და რუსეთთან თანამშრომლობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. მედიაში არ ჩანს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხი და არ შუქდება აქ მიმდინარე მნიშვნელოვანი ამბები, სოციალური საკითხები, პრობლემები. უფრო ხშირად კი, ოკუპირებული ტერიტორიები განიხილება საერთშორისო ორგანიზაციების ან მაღალი თანამდებობის პირების განცხადებების შესახებ მომზადებულ მასალებში. სიუჟეტები და სტატიები ეფუძნება უცხოელი პოლიტიკოსების და ექსპერტების განცხადებებს, რის გამოც, მასალებში ენა, უმეტესად ნეიტრალურია, თუ არ ჩავთვლით ტერმინებს, რომლებიც შეფასებით ხასიათს ატარებს.

ქართველი ჟურნალისტები, როგორც კონფლიქტის მხარის წარმომადგენლები, შესაძლოა, დაინტერესებული იყვნენ ამბის გაშუქების დროს. პროფესიონალიზმი მოითხოვს ფაქტებისა და მოსაზრებების მკაფიოდ გამიჯვნას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მომზადებული მასალების გაშუქების მედია სტანდარტი. სწორედ ამის მცდელობაა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ეფუძნება საკანონმდებლო ბაზის ანალიზს, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს და თავად მედიაში გასული მასალების მონიტორინგს. კვლევა ხელს

[1] ომისა და მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის, IWPR, https://goo.gl/TtrazQ (უკანასკნელად ნანახია 14.06.2017)

შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში სწორი ლექსიკის შესახებ დისკუსიას.

კვლევის მეთოდები

კვლევა მომზადდა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შინაარსის ანალიზის (კონტენტ-ანალიზის) მეთოდს, რამდენადაც კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს გაარკვიოს რა ტერმინებს იყენებს ქართული მედია ოკუპირებული ტერიტორიების გასაშუქებლად, კონკრეტულად დაითვალოს გამოყენებული ტერმინების სიხშირე და წყაროები - ვისგან ისმენს ამა თუ იმ ტერმინს მაყურებელი.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის განმარტების თანახმად, შინაარსის ანალიზი რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდია, რომელიც დაკავშირებულია მედიის შინაარსის (ინფორმაციის) შესწავლასთან, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით. კონტენტ-ანალიზის ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების, ანკეტის ღია კითხვებზე პასუხების და ა.შ. შინაარსი.

“რამდენადაც ერთი და იგივე საზრისისეული ერთეული შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული ენობრივი ხერხებით, საჭიროა განისაზღვროს ამა თუ იმ კატეგორიის კონკრეტული ემპირიული ინდიკატორები. ბოლოს ხდება აღრიცხვის ერთეულების განსაზღვრა, რაც შეიძლება იყოს: მოხმარებული სიტყვის სიხშირე, სტრიქონების რაოდენობა, რომლებიც ეთმობა მოცემული საზრისისეული ერთეულის აღწერას,

საგაზეთო სვეტის მოცულობა, გადაცემის ხანგრძლივობა და სხვ. ეს საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს განსაზღვრული რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც დაექვემდებარება კომპიუტერულ დამუშავებასა და სტატისტიკურ ანალიზს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რა ხასიათის, ღირებულებითი ორიენტაციის, იდეოლოგიის (მსოფლმხედველობის) საინფორმაციო მასალასთან გვაქვს საქმე.[2]"

მედია მონიტორინგი წარმოებდა ტელე, ბეჭდურ და ონლაინ მედიაზე.

ტელევიზიებიდან შერჩეულია ყველაზე რეიტინგული ტელევიზია "რუსთავი 2" და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ ტელევიზიების ეთერში მონიტორინგისთვის შერჩეულია პრაიმტაიმში გასული საინფორმაციო გამოშვებები. რუსთვი 2-ზე ასეთი გადაცემებია კურიერი 21:00 საათზე, შაბათის კურიერი და კურიერ P.S., ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელზე - მოამბე 20:00 საათზე და მოამბე კვირას, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანთან ერთად.

ინტერნეტმედიიდან შერჩეულია, top.ge მთვლელის მიხედვით, ორი ყველაზე რეიტინგული ვებგვერდი ambebi.ge და newposts.ge, ხოლო ბეჭდური მედიიდან გაზეთები: "კვირის პალიტრა" და "ალია".

მონიტორინგი ხორციელდებოდა მასალებზე, სადაც ნახსენებია საკვანძო სიტყვები:

- აფხაზეთი / აფხაზი;
- სამხრეთ ოსეთი / ცხინვალის რეგიონი / სამაჩაბლო / ოსი;
- ოკუპირებული ტერიტორია;

[2] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, კონტენტ-ანალიზი (უკანასკნელად ნანახია 07.06.2017) https://goo.gl/xtggBx

- საოკუპაციო ხაზი/გამყოფი ხაზი;
- ე.წ. საზღვარი;
- ტერიტორიული მთლიანობა;

მონიტორინგი წარმოებდა სტრუქტურული კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

რაოდენობრივ ნაწილში ანგარიშდება კონფლიქტების თემაზე მომზადებული მასალებში საკვანძო სიტყვების გამოყენების სიხშირე.

თვისებრივი ნაწილი აღწერს როგორ მოიხსენიებს მედია ოკუპირებულ ტერიტორიებს და იქ განთავსებულ ორგანიზაციებს.

კვლევაში საკითხები განხილულია ფრეიმინგის თეორიის ჭრილში.

“ჟურნალისტები სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გაშუქებისას ირჩევენ ხატებს, სიტყვებს, რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოების წარმოდგენებზე. ეს პროცესი, ნაწილობრივ, ფრეიმინგის ეფექტთანაა დაკავშირებული (Tewksbury, Scheufele, 2007) “.

“ფრეიმის ცნებას მედიის მკვლევარები იყენებენ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხის აღსანიშნავად. ამ ფუნქციების შესასრულებლად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა საშუალება: მეტაფორა, მაგალითი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა, ნახატები, ვიზუალური გაფორმება” (Gamson, Lasch, 1983)[3].

ამ თეორიის ჭრილში განხილულია მეტაფორის “მარიონეტული რეჟიმის” გამოყენება, ასევე ცალკეული შემთხვევები - რატომ იყენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება “მოამბე 20:00 საათზე” მუდმივად ტერმინს “ოკუპირებული აფხაზეთი” ნაცვლად “აფხაზეთისა”, ან რატომ თარგმნის იგივე გამოშვება

[3] ფრეიმები მასკომუნიკაციაში, https://goo.gl/U2D6ft, (უკანასკნელად ნანახია 07.06.2017)

საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოყენებულ სიტყვას “შეთანხმებას” (egreement), როგორც “ე.წ. შეთანხმებას”.

ნაშრომი, ასევე, მოიცავს საკანონმდებლო ბაზის და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში გამოყენებული ტერმინების ანალიზს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ინტერვიუ ომისა და მშვიდობის გაშუქებაში გამოცდილ ჟურნალისტებთან და დარგის სპეციალისტებთან.

კვლევის კითხვებია:

- რა ტერმინებს იყენებს ქართული მედია ოკუპირებული ტერიტორიების და ამ ტერიტორიებზე განთავსებული უწყებების აღსაწერად?
- გამოყენებული ტერმინებიდან რომელია რეკომენდებული?
- როგორ უნდა შეინარჩუნონ ჟურნალისტებმა მიუკრძოებლობა, როცა აშუქებენ საკუთარ ქვეყანაში მომხდარ კონფლიქტს?

კვლევაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

მარიონეტული მთავრობა/რეჟიმი/ქვეყანა - მთავრობა, რომელიც კონტროლდება სხვა ქვეყნის მთავრობის მიერ. პირველი ჩანაწერი, სადაც მარიონეტული მთავრობა გვხვდება, თარიღდება 1884 წლით, ეგვიპტის ნაცვალთან მიმართებით. [4]

სიძულვილის ენა - მონიტორინგის ფარგლებში სიძულვილის ენის განმარტებად მიჩნეულია ევროპის საბჭოს სიძულვილის ენის დეფინიცია (1997წ):

სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს,

[4] Merriam Webster ონლაინ ლექსიკონი, უკანასკნელად ნანახია 07.06.2017 https://goo.gl/djQcJO

ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

სამაჩაბლო - სათავადო ფეოდალურ საქართველოში. სახელწოდება მომდინარეობს მაჩაბელთა გვარიდან. "სამაჩაბლო გაუქმდა 1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილებით მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა.[5]"

სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი - პირობითი სახელი რეგიონისა, რომელიც მოიცავს ყოფილი საქართველოს სსრ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას 1922-დან 1990 წლამდე. მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ამ რეგიონთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ყველაზე მეტ გაუგებრობას იწვევს როგორც ჟურნალისტებში, ისე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებში. ამიტომ ლიტერატურის მიმოხილვაში ვრცლად არის განხილული ტერმინის ისტორია.

ქვემოთ ჩამოთვლილია საერთაშორისო იურიდიულ პრაქტიკაში მიღებული ძირითადი ტერმინები, რომლებსაც კონფლიქტთან დაკავშირებული მოვლენების აღსაწერად გამოიყენებენ.

- **კონფლიქტის მხარეები** – აღნიშნავს კონფლიქტის ყველა ძირითად მონაწილეს.

● **მშვიდობიანი მოსახლეობა** – იმ ადამიანებს აერთიანებს, რომლებიც განხილვის მომენტში არ არიან კონფლიქტის რომელიმე მხარის ძალოვანი ან სამხედრო სტრუქტურების თანამშრომლები.

[5] Wikipedia, სამაჩაბლო, უკანასკნელად ნანახია 07.06.2017 https://goo.gl/8OLlKL

● **კონფლიქტის მსხვერპლი** – ადამიანები, რომლებიც უშუალოდ დაზარალდნენ კონფლიქტის შედეგად (დაჭრილთა და დაღუპულთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრები).

● **იძულებით გადაადგილებული პირები** – კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს უძრავ–მოძრავი ქონება კონფლიქტის მიმდინარეობისას და არ აქვთ საშუალება უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს.

● **დევნილები** – ადამიანები, რომლებიც იძულებული გახდნენ უეცრად, ჯგუფებად გამოქცეულიყვნენ საკუთარი სახლებიდან, საომარი კონფლიქტის შედეგად, შიდა კონფლიქტების შედეგად, ადამიანის უფლებათა სისტემატური შელახვის ან სტიქიური უბედურებების შედეგად და არ დაუტოვებიათ მშობლიური ქვეყნის საზღვრები.

● **საომარი მოქმედებების მონაწილე** – ყოველ მხარეს ჰყავს თავისი გმირები, რომლებიც მოწინააღმდეგეთათვის ანტიგმირებად აღიქმებიან. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება ომის მონაწილეს, რომელსაც აქვს ოფიციალური სტატუსი, მაგალითად, ნაციონალური გმირი, მოიხსენიეთ როგორც საომარი მოქმედებების მონაწილე, რომელმაც მიიღო ნაციონალური გმირის წოდება.

● **ინციდენტები საომარი მოქმედებების ზონაში** – აღნიშნავს ყველა მოვლენას, რაც ხდება საომარი მოქმედებების ზონაში (სროლები, დაბომბვა, სნაიპერების მოქმედება). ინციდენტების აღწერისას ჟურნალისტებმა თავი უნდა მოარიდონ რაოდენობრივ ეთნიკურ მარკირებას. მაგალითად, სომხებმა დაცხრილეს, აზერბაიჯანელებმა დაიპყრეს, აფხაზებმა დააპატიმრეს, ოსებმა გადმოწიეს საზღვარი, ან ქართველებმა დაარღვიეს შეთანხმება. გირჩევთ გამოიყენოთ შემდეგი განსაზღვრებები – სომხეთის, აზერბაიჯანის, დე–ფაქტო სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოსამსახურეები.

● **საზოგადოებრივი კონტროლი** – აღნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებულ კონტროლს, რომელიც ემყარება მხარეების მიერ მიღებულ რაიმე შეთანხმებას.

● **კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა** – მონიტორინგი მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე პოლიტიკოსებისა და სამხედრო მოსამსახურეების დონეზე. არაპოლიტიკური აქტივობა, რომელიც მიმართულია კონფლიქტის გადალახვის ან მისი ტრანსფორმაციისკენ. შეხვედრებისა და რეგულარული დიალოგებისთვის პლატფორმის შექმნა. დისკუსიების, კულტურული და სპორტული ღონისძიების სისტემატიურად ჩატარება.

● **სამშვიდობო პროცესი** – პოლიტიკური მოლაპარაკების პროცესია, რომელიც გულისხმობს კონფლიქტის შესაძლო ტრანსფორმაციას, სამოქალაქო საზოგადოებების დონეზე, მიმართული კონტაქტების შენარჩუნებასა და ურთიერთობების განვითარებას.

● **ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნებაზე სამოქალაქო კონტროლი** – მას ახორციელებენ კონფლიქტში ჩართული მხარეების სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტებისგან შექმნილი საერთო ჯგუფები, რომლებიც ჩართული არიან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგში.

● **დიალოგის პლატფორმების ფორმატი** – გვთავზობს რეგულარულ შეხვედრებს, განხილვებს, დისკუსიას სხვადასხვა დონეზე, საზოგადოების მაქსიმალურად ფართო ფენების წარმომადგენელთა ჩართვით.

● **აქტორები/ მხარეები** – ჩართული კონფლექტის მოგვარების სამშვიდობო და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესებში.

● **კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზომების გამყარება** – სიძულვილის ენის გამორიცხვა, სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება ოფიციალური სტრუქტურების მოქმედებებზე, რომლებიც ჩართული არიან მოლაპარაკების პროცესში. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების გარანტიებისა და/ან კომპენსაციების გაცემის პროცესის ინიცირება, სხვა საერთაშორისო კონფლიქტების გამოცდილების შესაძლო გამოყენების შესწავლა.

● **ქართულ–აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტი** – ტერმინი გულისხმობს პოლიტიკურ კონფლიქტს, მიმართულს ტერიტორიების მიმართ ახალი სტატუსის განსაზღვრისკენ და არა ეთნიკურ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს შორის.

● **ქართულ–რუსული კონფლიქტი** – გამოიყენება ორ სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი დაპირისპირების აღსანიშნად.[6]

ლიტერატურის მიმოხილვა

კანონმდებლობის ანალიზი

კონსტიტუციის, ქვეყნის მთავარი კანონის, პირველი თავის პირველივე მუხლში ვკითხულობთ:

“მუხლი 1 1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის

[6] ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის ოფიციალური ვებ-გვერდი Iwpr.net

ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.[7]”

კონსტიტუცია, ასევე, ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს:

“აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ “. (10.10.2002 N1689)”

თავად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში კი მითითებულია:

“აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული, რომლის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებაა “აფხაზეთი”, რომლის სინონიმია “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა”.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ამ კანონის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი.

კანონის მე-2 მუხლში ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონები ჩამოთვლილია:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები;

[7] საქართველოს კონსტიტუცია, თავი 1

ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)[8];

როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია და კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ განსხვავებულ ტერმინებს გვთავაზობენ. ერთ შემთხვევაში შემოთავაზებულია "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქი", ხოლო მეორეში - ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები);

არც ერთ საკანონმდებლო დოკუმენტში არ გვხვდება ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" ან "ცხინვალის რეგიონი" ცალ-ცალკე, თუმცა კანონის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე მიღებულ დოკუმენტში, რომელიც 6 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის სახელით არის ცნობილი და ხელს საფრანგეთის და რუსეთის პრეზიდენტები აწერენ, რამდენჯერმეა ნახსენები ტერმინი "სამხრეთ ოსეთი". დოკუმენტი მხარდაჭერილია ქართული მხარის მიერ.

საერთშორისო ორგანიზაციების განცხადებების ანალიზი

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივა COBERM (ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი) 2010 წლიდან მუშაობს. პროგრამა კონფლიქტებით დაზარალებულ თემებს შორის ნდობის აღდგენას ემსახურება. როგორც COBERM-ი ვებგვერდზეა მითითებული, ის მხარს უჭერს სწრაფად განხორციელებად და კონკრეტულ სამოქალაქო ინიციატივებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.[9] ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოქვეყნებულ ტექსტებში გამოყენებული ენა მაქსიმალურად ნეიტრალურია. თავიდან არის არიდებული

[8] კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ
[9] პროგრამა COBERM ვებ-გვერდი http://www.coberm.net/en/

ტერმინები “სამხრეთ ოსეთი”, “ცხინვალის რეგიონი”, “აფხაზეთი”, “ოკუპირებული ტერიტორიები”. ოკუპირებული ტერიტორიების და იქ მცხოვრები საზოგადოებების აღმნიშვნელად გამოყენებულია:

- კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებები (communities affected by conflict);
- კონფლიქტით გაყოფილი საზოგადოებები (communities divided by conflicts);
- ქართველი, ოსი და აფხაზი (Abkhazian, Georgian and Ossetian)

ევროპის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში ვხვდებით განსხვავებულ ტერმინებს. უმრავლეს შემთხვევაში, გამოყენებულია ლექსიკა, რომელსაც ოფიციალური თბილისი იყენებს. რიგ შემთხვევებში, ის აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს მოიხსენიებს, როგორც საქართველოს რეგიონს, ხოლო ზოგჯერ ვხვდებით ოკუპირებული ტერიტორიების სახელწოდებებს დამოუკიდებლად[10];

- ე.წ. შეთანხმება (so-called “Agreement on the State Border”);
- ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი (Georgian region of Tskhinvali region/South Ossetia)’
- აფხაზეთი (Georgian region of Abkhazia);
- სამხრეთ ოსეთი (South Ossetia);
- ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი აფხაზეთთან (Administrative Boundary Line with Abkhazia);
- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის განცალკევებული რეგიონები (breakaway regions of Abkhazia and South Ossetia);

[10] ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი https://goo.gl/Ki0Kyp

რაც შეეხება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდს[11], აქაც ევროსაბჭოს სატის მსგავსად გვხვდება “სამხრეთ ოსეთი” და “აფხაზეთი” როგორც საქართველოს რეგიონი და ასევე, დამოუკიდებლად.

- საქართველოს რეგიონები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (South Ossetia regions of Georgia, ასევე, Georgia’s Abkhazia and South Ossetia regions);
- სამხრეთ ოსეთის განცალკევებული რეგიონი (breakaway region of South Ossetia);

ცხინვალის რეგიონი ნახსენებია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ძველ მასალებში, მაგრამ 2016 წლის მერე მსგავსი ტერმინი აღარ იძებნება.

სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო თუ სახელმწიფო ორგანიზაციის ვებგვერდების ანალიზი ასევე, აჩვენებს, რომ ტერმინებისადმი კონსესუსი არც საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია “სამხრეთ ოსეთი” რომელიც ხან ცხინვალის რეგიონთან ერთად მოიხსენიება და ხან - მის გარეშე.

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის წარმომადგენელის, გიორგი კუპატაძის თქმით, ისეთ შემთხვევებში, როცა ნეიტრალური ტერმინების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ან შეუძლებელია, ჟურნალისტებმა თავი უნდა აარიდონ კონფლიქტისა და სიძულვილის უფრო გამღვივებელ რიტორიკას.

„ჩვენს საერთაშორისო გამოცემაში, კავკასიის საინფორმაციო სამსახური, კონფლიქტის ერთ მხარეს მომზადებულ სტატიაში, მითითებულია მეორე მხარის პოზიცია ტოპონიმებთან დაკავშირებით, მაგალითად: Akhalgori district (which Ossetians call

[11] https://www.state.gov/

Leningorsky). ასევე, ყველა მასალაში არის მოცემული განმარტებები კონფლიქტის შესახებ, მაგალითად:

South Ossetia has claimed independence from Georgia since a conflict in the early 1990s, and its ally Moscow recognized it as a sovereign state following the Russian-Georgian war of August 2008. Georgia's insistence that South Ossetia lies firmly within its borders is supported by most of the international community. "

(სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებლობა 1990 წლიანი წლების დასაწყისის კონფლიქტის შემდეგ და მისი მოკავშირე მოსკოვი აღიარებს მას როგორც სუვერენულ ქვეყენას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. საქართველოს განაცხადი, რომ სამხრეთ ოსეთი მის საზღვრებშია, მხარდაჭრილია საერთაშორისო საზოგადოებების უმრავლესობის მიერ."

ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" ისტორიულ წყაროებში

სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი არის პირობითი სახელი რეგიონისა, რომელიც მოიცავს ყოფილი საქართველოს სსრ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას 1922-დან 1990 წლამდე. 1990 წლის 10 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოლქის სტატუსი გააუქმა, ხოლო ტერიტორია გადანაწილდა ახალგორის, გორის, ჯავის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებზე. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ყოფილი ავტონომიის ტერიტორია შედის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში;

საქართველოში ყოფნისას (1802 წ.), გენერალ კარლ კნორინგის საიმპერატორო კარისადმი შედგენილ ანგარიშში ცხინვალის რეგიონის მაღალმთიანი მხარეები, სადაც

ოსური მოსახლეობა ჭარბობდა, ოსეთი ეწოდება (Осетия), ხოლო დანარჩენ, ძირითადად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას კი — საქართველო.[12]

XIX საუკუნის პირველი მესამედის სხვა რუსულ დოკუმენტებში ტერმინის — „ოსეთი“ და ოსები“ პარალელურად გამოიყენება ასევე „საქართველოს ოსეთი“ («Грузинская Осетия») / „ქართველი ოსები“ («Грузинские осетины»), „საქართველოს კუთვნლი ოსეთი“ («Осетия, принадлежащая Грузии») / „საქართველოს კუთვნილი ოსები“ («Осетины, принадлежащие Грузии»), "ჩრდილოეთ ქართლის ოსეთი" («Осетия Северной Картли») / „ჩრდილოეთ ქართლის ოსები“ («Осетины Северной Картли») და სხვა. [13]

1830 წელს საქართველოში გამომავალ გაზეთში — «Тифлисские ведомости» გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის სტატია, რომელშიც ის იყენებდა ტერმინს — „სამხრეთ ოსეთი“ (ცხინვალის რეგიონის ოსებით დასახლებული კუთხეების აღსანიშნავად) და „ჩრდილოეთი ოსეთი“ (ოსებით დასახლებული ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია).

ამ დროიდან ტერმინმა — „სამხრეთ ოსეთი“ თანდათანობით გამოდევნა ხმარებიდან ყველა სხვა და მყარად მოიკიდა ფეხი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ და უცხოურ გამოცემებში.[14]

1840 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში — საქართველო-იმერეთის გუბერნიაში (Грузино-Имеретинская губерния) გაერთიანდა. ამასთან, ცხინვალის რეგიონი გორის მაზრის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ცოტა მოგვიანებით, 1842 წელს გორის მაზრის

---

[12] კვირიკაშვილი, ვასილი, „სამხრეთ ოსეთი“- ტერმინის წარმოშობის ისტორია, 2011 (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017) https://goo.gl/dYucJ7

[13] სონღულაშვილი, ავთანდილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! 2009, https://goo.gl/7k1y26 (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017)

[14] მეტრეველი, როინი, აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა, 2008, https://goo.gl/Qdu4bX (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017)

შემადგენლობიდან გამოიყო ე. წ. "ოსეთის ოკრუგი", რომელიც მოიცავდა ცხინვალის რეგიონის ოსებით დასახლებული მაღალმთიან ზოლს, კერძოდ, ნარის (ისტ. დვალეთი), ჯავისა და ლიახვის თემებს. „ოსეთი “, როგორც სახელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა, პირველად სწორედ ამ დროს დაფიქსირდა.[15]

უშუალოდ ტერმინი „სამხრეთი ოსეთი “, უკვე 1860 წლიდან ფიქსირდება ოფიციალურ დოკუმენტებში.

საბოლოო იურიდიული დაკანონება ტერმინებისა „სამხრეთი ოსეთი“ და „ჩრდილოეთი ოსეთი“ მოხდა 1922-24 წლებში, როდესაც შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ (აპრილი, 1922).[16]

ოფიციალურად ეს ტერმინი 1990 წლამდე არსებობდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, იყენებდა ტერმინს სამაჩაბლოს. 90-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში რეგიონი განსხვავებული ტერმინით მოიხსენიება.

კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ქართულ მედიაში გამოყენებული ტერმინების კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა. თუმცა თავად კონფლიქტების გაშუქების შესახებ რამდენიმე ნაშრომია ხელმისაწვდომი.

“მედიის განვითარების ფონდმა” 2012 წელს ქართულ სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში კონფლიქტების გაშუქების ერთთვიანი მონიტორინგი განახორციელა. კვლევა

---

[15] მეტრეველი, როინი, აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა, 2008, https://goo.gl/Qdu4bX (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017)

[16] თოთაძე, ანზორი, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, 2008

აანალიზებს კონფლიქტების თემატიკის გაშუქების სიხშირეს, მრავალფეროვნებას, ასევე, იმ განსხვავებებს და თანხვედრას, რაც განხილული საინფორმაციო საშუალებების ერთმანეთთან შედარების გზით გამოიკვეთა. ანგარიშში საუბარი არ არის ტერმინოლოგიაზე[17].

ციცინო ბუკია კვლევაში „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე პრესაში“ მიზნად ისახავს გამოარკვიოს თუ როგორ აშუქებს თანამედროვე ბეჭდური მედია კონფლიქტების თემატიკას. უთმობს თუ არა მას საკმარის ყურადღებას და რა ტიპის მასალები ჭარბობს ამ თემასთან დაკავშირებით. კვლევის მიხედვით, ბეჭდურია მედია („ალია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“ და „რეზონანსი“) კონფლიქტების მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენს. ამას მოწმობს ამ თემაზე მომზადებული მასალების სიმცირე.

„აფხაზეთისა და სამხეთ-ოსეთის თემატიკა აქტუალურად მხოლოდ ერთ პერიოდულ ორგანოს _ „რეზონანსს“ მიაჩნია, რაც ამ პერიოდული ორგანოს 2011 წლის ნომრების ანალიზმა აჩვენა. ხსენებულ გაზეთში 2011 წლის განმავლობაში 88 პუბლიკაცია გამოქვეყნდა.“[18]

„კონფლიქტის გაშუქება საინფრომაციო გამოშვებებში საქართველო–რუსეთის კონფლიქტის მაგალითზე“ ასე ჰქვია კავკასიის უნივერსიტეტის მედია სკოლის სტუდენტის გვანცა ფოცხვერიას მიერ 2014 წელს მომზადებულ ნაშრომს. აბსტრაქტის მიხედვით, კვლევა ეხება კონფლიქტების გაშუქებას საინფრმაციო საშუალებებში რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე. კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა სამი ტელეკომპანიის - რუსთავი2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი - საღამოს

[17] “კონფლიქტების გაშუქება მედიაში”, ნინო ხუციძე, მედიის განვითარების ფონდი, 2012
[18] „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე პრესაში, ციცინო ბუკია, 2014

საინფორმაციო გამოშვებები. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2008 წელი პირველი აგვისტოდან 15 აგვისტომდე.

კვლევა ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამოარკვიოს რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქებისას ქართული მედია საშუალებები რა სახის ჟურნალისტიკას აწარმოებნენ, საომარ ჟურნალისტიკას თუ სამშვიდობოს? ნაშრომში შემოთავაზებულია მონიტორინგის ჩასატარებელი მეთოდოლოგია. ასევე, მოცემულია კოდირების ცხრილი[19].

საინტერესოა, მეცნიერების და მოქმედი ჟურნალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ომის და მშვიდობის ჟურნალისტიკა. არსებობს ფაქტების ჟურნალისტიკა.

ამავეს მოწმობს ჯანეტ ანდერსონი, ჟურნალისტი, რომელიც წლების განმავლობაში აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა გამოცემისთვის მუშაობდა, იყო BBC-ს რეგიონული რედაქტორი. ის http://mediachecker.ge-თან ინტერვიუში, კითხვაზე ჟურნალისტიკაში არსებობს ორი ცნება - მშვიდობის ჟურნალისტიკა და ომის ჟურნალისტიკა. რა განსხვავებაა მათ შორის, პასუხობს:

„ჩემთვის ომის ჟურნალისტიკაა, როდესაც აშუქებ კონფლიქტის ყველაზე ძალადობრივ ნაწილს, სამხედრო თემატიკას. არ ვიცი არის თუ არა ომის ჟურნალისტიკა ომის რეპორტინგი, როდესაც რეპორტიორი ფიზიკურად იმყოფება ცხელ წერტილში და ყვება რა ხდება. ამგვარ გაშუქებას დიდი ისტორია აქვს, ბევრი ჟურნალისტია, ვინც საკუთარი თვალით ხედავდა რა ხდებოდა ომის შუაგულში. მათი მუშაობა იყო უკიდურესად საჭირო იმისთვის, რომ გაგვეგო რა ხდებოდა.

რაც შეეხება სამშვიდობო ჟურნალისტიკას, მე პირადად, არ მჯერა მისი არსებობის. მე მგონია, რომ არსებობს კონტექსტის ჟურნალისტიკა, ახსნაზე ფოკუსირებული

[19] კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში, გვანცა ფოცხვერია, კავკასიის უნივერსიტეტი, 2011

ჟურნალისტიკა, ხალხის ჟურნალისტიკა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე კონფლიქტის დროსაც. ასე რომ მე ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი მშვიდობის ჟურნალისტიკისადმი, მაგრამ მოდი დავუტოვოთ არჩევანი ჟურნალისტებს, თავად გადაწყვიტონ რა არის შესაძლებელი.[20]“

ომის და მშვიდობის გაშუქების მკვლევრები, ანაბელ მაკ გოლდრიკი და ჯეიკ ლინჩი, აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტების დამოკიდებულება „ვაშუქებთ მხოლოდ ფაქტებს“ ზედაპირულია და არასრულია. ის არასრულად წარმოაჩენს ჟურნალისტიკის როლს. მით უფრო, რომ მთავრობა ყოველთვის ცდილობს მისთვის სასურველი ინფორმაციის გავრცელებას.

მშვიდობის ჟურნალისტიკის ტერმინი მჭიდროდაა დაკავშირებული იოჰან გალტუნგთან. მშვიდობის პროფესორმა, ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებელმა 1970-იან წლებში პირველმა გამოიყენა ტერმინი “მშვიდობის ჟურნალისტიკა“. გალტუნგი აღნიშნავს, რომ ომის ჟურნალისტიკა ჰგავს სპორტულ ჟურნალისტიკას პრინციპით „იგებს მხოლოდ ერთი ორ მონაწილიდან“. მისი შეფასებით, მშვიდობის ჟურნალისტიკა ჰგავს ჯანდაცვის ჟურნალისტიკას. ჯანდაცვის ჟურნალისტიკის კარგმა კორესპონდენტმა უნდა აღწეროს პაციენტის პრძოლა სიმსივნურ უჯრედებთან, რომლებიც ორგანიზმს ჭამს. მან უნდა მოგვითხროს სიმსივნის გამომწვევ მიზეზებზე - ცხოვრების წესზე, გარემოზე, გენეტიკურ განწყობაზე - რამდენადაც მნიშვნელოვანია სრული სპექტრი განკურნებისა და პრევენციისთვის[21].

---

[20] ჯანეტ ანდერსონი: „კონფლიქტის გაშუქებისას საკუთარი როლის გაცნობიერებაა მთავარი “, უკანასკნელად ნანახია 10.06.2017 https://goo.gl/I4W0mv,

[21] მშვიდობის ჟურნალისტიკა, ანაბელ მაკ გოლდრიკი და ჯეიკ ლინჩი, 2000

მედიამონიტორინგის შედეგები

მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სიუჟეტებს ყველაზე ხშირად ამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებელი. პრესაში ოკუპირებულ ტერიტორიბთან დაკავშირებული თემატიკა ძირითადად საინფორმაციო საიტების მიერ მომზადებულ მოკლე ახალ ამბებში გვხვდება.

მედიასაშუალებებში გამოყენებული ლექსიკა და სიხშირე:

- აფხაზეთი (118);

- ოკუპირებული აფხაზეთი (77);

- ე.წ. საზღვრები (63);

- ე.წ. შეთანხმება (55);

- ოკუპირებული რეგიონ(ებ)ი (153);

- დე-ფაქტო სოხუმი/დე-ფაქტო სოხუმის ლიდერები (60);

- აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა (11);

- ე.წ. სამინისტრო (47);

- საოკუპაციო ზოლი/ხაზი (58);

- საოკუპაციო რეჟიმი (32);

- დე-ფაქტო ლიდერი/პრეზიდენტი (40);

- ე.წ. არჩევნები (56);

- ე.წ. გამოსასყიდი ჯარიმა (9);

- ე.წ. ოპონენტები/ოპოზიცია (54);

- დე-ფაქტო მთავრობა/ხელისუფლება (72);

- თვითაღიარებული პრეზიდენტი (18);

- სეპარატისტები (7);

- ე.წ. ელჩი (4);

- ე.წ. გამგებელი (6);

- ე.წ. სამხრეთ ოსეთი (103);

- სამაჩაბლო (17);

- მარიონეტული რეჟიმი (23);

ხსენებული ტერმინებიდან ყველაზე საგულისხმოა სამაჩაბლო და მარიონეტული რეჟიმი, რომელსაც ყველა მედიასაშუალება, განსაკუთრებით ხშირად ონლაინ მედია, იყენებს. მონიტორინგის პერიოდში, საიტმა Ambebi.ge 8-ჯერ გამოიყენა სიტყვა სამაჩაბლო, ხოლო newsposts.ge-ზე იგივე ტერმინი 5-ჯერ შეგვხვდა.

ტერმინების განმარტების ნაწილში აღნიშნულია, რომ „სამაჩაბლო“ რამდენიმე მიზეზით არ შეიძლება გამოყენებული იყოს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მნიშვნელობით. რადგან ის არ ემთხვევა რეგიონის საზღვრებს და შეიძლება, ითქვას, წარმოადგენს გასული საუკუნის ადმინისტრაციულ ერთეულის სახელწოდებას. ამიტომ ტერმინის გამოყენება როგორც ჟურნალისტების, ისე რესპონდენტების მიერ არასწორია. იმ შემთხვევაში, როცა რესპონდენტი იყენებს ამ ტერმინს, სასურველია, რომ ჟურნალისტმა იქვე გააკეთოს მინიშნება - სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი.

რაც შეეხება „მარიონეტულ რეჟიმს“, ჟურნალისტის ტექსტში მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ტერმინი გამოხატავს სუბიექტურ აღქმას და ის მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „მარიონეტული რეჟიმი“ ხშირად გამოყენებულია სხვადასხვა კონფლიქტის დროს, მათ შორის შეხვდებით ოფიციალური უწყებების განცხადებებში, მიუკერძოებელმა ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს მსგავსი ტერმინის გამოყენებისგან.

მედიაში ხშირად ვხვდებით „ე.წ. საზღვარს“ საოკუპაციო ზოლის ნაცვლად. იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიაა და არა ქვეყანა, მასთან არ შეიძლება გვქონდეს საზღვარი, თუნდაც მასთან ერთად გამოყენებული იყოს ე.წ. უმჯობესია, მის ნაცვლად, გამოვიყენოთ, საოკუპაციო ხაზი, ხოლო თუ გვსურს, რომ თავიდან ავირიდოთ მკვეთრი ტერმინების გამოყენება, რათა თავიდან ავირიდოთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის განაწყენება, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნეიტრალური ტერმინი - „გამყოფი ხაზი“.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზემოთქმული ეხება მხოლოდ სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და დანარჩენ ნაწილთან მას აქვს საზღვარი. ამიტომ აფხაზეთთან მიმართებით „საზღვრის“ გამოყენება დასაშვებია.

ისევე, როგორც დასაშვებია გამოვიყენოთ ტერმინი „აფხაზეთი“ ყოველგვარი ეპითეტის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობაში „აფხაზეთი“ რეგიონის ისეთი სრულყოფილი სახელწოდებაა, როგორც „აჭარა“. აქედან გამომდინარე, მისთვის სიტყვა „ოკუპირების“ დამატება საჭირო არ არის, თუ ჟურნალისტს არ ამოძრავებს სხვა

მიზნები. ახალი ამბების ტექსტები უნდა იყოს მიუკერძოებელი და დაცლილი პატრიოტული გრძნობებისგან და ემოციებისგან.

საინტერესოა, რომ ქართულ მედიაში ტერმინი „აფხაზეთი“ უმეტესად გამოყენებულია რუსი ან აფხაზი პოლიტიკოსების მიერ.

სუბიექტური და სამართლებრივ შეფასებას მოკლებულია ტერმინებია „თვითაღიარებული“, „სეპარატისტული რეჟიმი“, რომელიც ხშირად არა, თუმცა მაინც გამოიყენება მედიაში.

საინტერესოა, რომ არის შემთხვევები, როდესაც რედაქცია სხვა ქვეყნის წარმომადგენლის განცხადებას არასწორად თარგმნის. მაგალითად, 5 დეკემბრის 20:00 საათიან „მოამბეს“-ში გასულ სიუჟეტში, ეკრანზე ვკითხულობთ ინგლისურ ტექსტს, სადაც წერია სიტყვა „შეთანხმება“, მაგრამ ნათარგმნია, როგორც „ე.წ. შეთანხმება“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, რესპონდენტის აზრის მაყურებლებისთვის არასწორად მიტანასთან.

მედიაში გაჟღერებულ ტერმინებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა.

მარია პლიევა, გაზეთი “21-ე საუკუნეს” რედაქტორის მოადგილე, ამბობს:

“ქართველი ჟურნალისტები იყენებენ ტერმინს ცხინვალის რეგიონი, რომელიც ჩვენთვის მიუღებელი ტერმინია. რაც შეეხება ტერმინს, თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, მე თავად ნეიტრალურად ვეპყრობი და ამაყი ვარ, რომ იგი თვითგამოცხადებული რესპუბლიკა არის, მაგრამ ჩემი კოლეგები ამას დადებითად არ აღიქვამენ.”

მიუღებელი ლექსიკა ხშირად ხდება ხოლმე ქართველ ჟურნალისტებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის მიზეზი.

„სტუდია რე“ უკვე 20 წელზე მეტია აშუქებს კონფლიქტებს და მშვიდობის მშენებლობის პროცესს. ქართული მედიის დიდი ნაწილისგან განსხვავებით, სტუდიის მიერ მომზადებულ გადაცემებში ხშირად შეხვდებით გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები ადამიანების მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სტუდიის ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ წარმატებული თანამშრომლობა ფრთხილი მოქმედების შედეგია. ისინი ცდილობენ, რომ ხისტი ლექსიკა მაქსიმალურად შეარბილონ. გადაცემებში ხვდება სოხუმსა და ცხინვალში მომზადებული სიუჟეტები, რომელიც პირდაპირი თარგმანით გადის ეთერში, თუმცა მას ყოველთვის ახლავს განაცხადი, რომ სტუდია არ იზიარებს სიუჟეტში გამოთქმულ მოსაზრებებს. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ კონფლიქტების გაშუქებას ქართულ მედიაში სენსაციის ელფერი დაჰკრავს. მათ შორისაა საზოგადოებრივი მაუწყებელიც. ახალი ამბების ჟურნალისტები არ ცდილობენ, რომ დაიცვან ბალანსი და ნეიტრალური ენის გამოყენებით გადმოსცენ სათქმელი.

რეკომენდაციები:

- ჟურნალისტებმა თავი უნდა შეიკავონ ტერმინი “სამაჩაბლოს” გამოყენებისგან, რადგან ის რეგიონის მხოლოდ ნაწილს აღწერს. სამაჩაბლო მაჩაბლების პატარა სათავადო იყო და არ მოიცავს მთელ რეგიონს. გარდა ამისა, სამაჩაბლო სათავადოს სახელწოდებაა. რადგან ჩვენ დღეს გეოგრაფიული მდებარეობის მისათითებლად არ ვიყენებთ სათავადოების სახელებს, არც “სამაჩაბლო” უნდა გამოვიყენოთ. ისევე, როგორც არ ვიყენებთ “სამუხრანბატონოს”, “საციციანოს” და ა.შ.

- ახალ ამბების გაშუქებისას ჟურნალისტებმა არ უნდა გამოიყენონ ტერმინები, რომლებიც გამოხატავს სუბიექტური შეფასებებას: მარიონეტული, არაღიარებული, სეპარატისტული რეჟიმი და ხელისუფლება. მათ ნაცვლად, რეკომენდებულია, სამართლებრივი ტერმინების გამოყენება.
- კარგი იქნება, თუ მედიასაშუალება შეიმუშავებს სარედაქციო კოდექსს, სადაც აღნიშნული იქნება ოკუპირებული ტერიტორიების აღმნიშვნელი ტერმინები. ამით ის თავიდან აირიდებს ერთა და იმავე გამოშვებაში სხვადასხვა ტერმინის გამოყენებას.
- ჟურნალისტი, რომელიც აშუქებს კონფლიქტს, მასალის გამოქვეყნებამდე უნდა დაფიქრდეს არის თუ არა მის მიერ შედგენილი ტექსტი ნეიტრალური, ხომ არ იყენებს სადავო ტერმინებს, მის მიერ გამოყენებული ლექსიკა ხომ არ ვნებს მშვიდობის მშენებლობას, შესაძლებელია, თუ არა უფრო ნეიტრალური ლექსიკის გამოყენება.

დასკვნა

როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო რეზოლუციებში არ არის მოცემული ერთიანი წესი კონფლიქტურ რეგიონებში ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა ჟურნალისტებმა უნდა იხელმძღვანელონ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებით და მაქსიმალურად უნდა შეიკავნონ თავი მიკერძოებული ლექსიკის გამოყენებისგან.

ლოგიკურია, რომ ჟურნალისტისთვის განსაკუთრებით ძნელია იყოს მიუკერძოებელი, როდესაც მის ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტს აშუქებს. იმისათვის, რომ ის არ მოექცეს მთავრობის გავლენის ქვეშ და შეინარჩოს მიუკერძოებლობა, ის

განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა მიუდგეს ყველა ინფორმაციას, ასევე, ლექსიკას, რომელსაც ის ამბის გაშუქებისას იყენებს.

ის ფაქტი, რომ ქართულ მედიაში ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა „აფხაზეთი“ „ოკუპირებულის“ გარეშე მოიხსენიება. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ქართული მედია ვერ ახერხებს კონფლიქტის მიუკერძოებლად გაშუქებას და ნებსით თუ უნებლიეთ, ის პროპაგანდის იარაღია.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც ჩვენ ვაშუქებთ გავლენას ახდენს, არა მხოლოდ კონფლიქტის მსვლელობაზე, არამედ ადამიანების ცხოვრებაზეც.[22]

[22] ომისა და მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის, IWPR, https://goo.gl/TtrazQ (უკანასკნელად ნანახია 14.06.2017)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ;
3. სონღულაშვილი, ავთანდილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! 2009, https://goo.gl/7k1y26 (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017)
4. კვირიკაშვილი, ვასილი, „სამხრეთ ოსეთი“- ტერმინის წარმოშობის ისტორია, 2011 (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017) https://goo.gl/dYucJ7
5. მეტრეველი, როინი, აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა, 2008, https://goo.gl/Qdu4bX (უკანასკნელი ნახვა 15.06.2017)
6. თოთაძე, ანზორი, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, 2008
7. “კონფლიქტების გაშუქება მედიაში”, ნინო ხუციძე, მედიის განვითარების ფონდი, 2012
8. „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე პრესაში, ციცინო ბუკია, 2014
9. კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში, გვანცა ფოცხვერია, კავკასიის უნივერსიტეტი, 2011
10. ჯანეტ ანდერსონი: „კონფლიქტის გაშუქებისას საკუთარი როლის გაცნობიერებაა მთავარი “, უკანასკნელად ნანახია 10.06.2017 https://goo.gl/I4W0mv,
11. მშვიდობის ჟურნალისტიკა, ანაბელ მაკ გოლდრიკი და ჯეიკ ლინჩი, 2000

12. ომისა და მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის, IWPR, https://goo.gl/TtrazQ (უკანასკნელად ნანახია 14.06.2017)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

მე-5 სემესტრის დოქტორანტი

მედეა სიგუა
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

„დემოკრატიული რიტორიკა საქართველოს პრეზიდენტების ოფიციალურ გამოსვლებში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი – ალექსანდრე კუხიანიძე

თბილისი
2017

სარჩევი

შესავალი---------- 3

თავი I. დემოკრატიის პრინციპები ---------- 6

თავი II. საქართველოს პრეზიდენტების დემოკრატიული რიტორიკა ოფიციალურ გამოსვლებში ---------- 11

2.1 პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დემოკრატიული რიტორიკა---- 12

2.2 პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დემოკრატიული რიტორიკა--- 19

დასკვნა---------- 28

გამოყენებული ლიტერატურა---------- 32

შესავალი

ქვეყნის მეთაურები იცვლებიან, მაგრამ მათ მიერ წარმოებული პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ადამიანებზე და სახელმწიფოზე მთლიანობაში. სახელმწიფოში რიგითი მოქალაქეების და თვით ქვეყნის ბედი დიდ წილად არის დამოკიდებული იმაზე თუ ვინ იქნება ქვეყნის სათავეში და როგორ პოლიტიკას წარმართავს იგი ქვეყნის შიგნით და გარეთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია როგორი პირველი პირი ეყოლება ქვეყანას და შეძლებს თუ არა ღირსეულად უპასუხოს მან დროის გამოწვევებს. დრო კი ყოველთვის ართნაირი არ არის...

ჩემი სემინარის თემიდან გამომდინარე ავიღე საქართველოს ორი პრეზიდენტის: ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური გამოსვლები, სადაც ნათლად ჩანს, რომ მათ ძალიან საინტერესო და ამავე დროს საკმაოდ რთულ ეპოქაში მოუხდათ მოღვაწეობა. ამავე დროს ეს ორი პიროვნება საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან თავისი წარსულით, პოლიტიკური შეხედულებებით, მიდგომებით და გამოცდილებით. მაგრამ განგებამ მათ საქართველოს პრეზიდენტობა არგუნა და დააყენა იმ დროისთვის ძალიან რთული გამოწვევების წინაშე, რაც, ვფიქრობ, უბრალო ამოცანა ნამდვილად არ იყო...

თემა აქტუალურია იმით, რომ ეს პერიოდი საქართველოსთვის იყო გარდამავალი პერიოდი სოციალისტური წყობილებიდან დემოკრატიული საზოგადოებისკენ – ერთ მშვენიერ დღეს "დამთავრდა" საბჭოთა კავშირი და საქართველოს უნდა მოეხერხებინა თავის დამკვიდრება მსოფლიოს დემოკრატიულ სახელწიფოთა რუკაზე, რაც საკმაოდ რთული და ეკლიანი გამოდგა. ამასთან ორივე – ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძეც საბჭოთა რეალობის და, გარკვეულ წილად, მენტალიტეტის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც რა თქმა უნდა ჰქონდათ წვდომა დასავლეთთან და დემოკრატიულ პროცესებთან, მაგრამ ისინი მაინც საბჭოთა აზროვნების ადამიანებათ რჩებოდნენ. ფაქტობრივად, საბჭოთა ადამიანს უნდა აეშენებინა დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც იდენტური იქნებოდა დასავლური დემიკრატიისა მტელი თავისი ლიბერალური ღირებულებებით, რომ საქართველოს ღირსეულად დაემკვიდრებინა თავისი კუთვნილი ადგილი ამ ქვეყნების გვერდზე. და მეორე ფაქტორიც, პოლიტიკური ისტორიის ეს მონაკვეთი ნაკლებად არის შესწავლილი თანამედროვე მკვლევარების მიერ და ვფიქრობ ამ ორი პრეზიდენტის დემოკრატიის პრიზმიდან შეფასება მოგვცემს ახალ დასკვნებს და საფიქრალს სამომავლოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ორი პრეზიდენტის დემოკრატიული რიტორიკა დღესაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმის გამო, რომ საქართველოს ახლაც აწუხებს ის პრობლემები, რომლებსაც საფუძველი მათი პრეზიდენტობის დროს ჩაეყარა - ტერიტორიული მთლიანობა, გაუმართავი პოლიტიკური სისტემა, ჩამოუყალიბებელი მედია, რთული სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობა, ადამიანის უფლებები, უმცირესობების უფლებები და სხვა საკითხები, რაც დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი მაჩვენებელია სახელმწიფოში... ამიტომ, ვფიქრობ, საინტერესო და მნიშვნელოვანია აღნიშნული კუთხით სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა, რადგან დემოკრატია ერთ დღეს ვერ ჩამოყალიბდება. ეს პროცესია, რომელიც დიდ ცოდნას, შრომას და გარკვეულ წილად პოლიტიკურ ინტუიციას, გემოვნებას და მსოფლიოს დემოკრატიულ სტანდარტებზე ორიენტირებას მოითხოვს.

ნაშრომის ამოცანაა დემოკრატიის პრიზმიდან გამომდინარე ანალიზი მოახდინოს ძვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური გამოსვლების, გაარკვიოს თუ რაში გამოიხატებოდა ერთი ან მეორე პრეზიდენტის დემოკრატიული ხედვები ან, საერთოდ, რა იყო „დემოკრატია“ მათთვის. ასევე ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ის რომ, გამოავლინოს სხვადასხვა მიდგომები დემოკრატიისადმი ამ ორი პრეზიდენტის ოფიციალური გამონათქვამების მიხედვით.

ჩემი ნაშრომის მიზანია ნათელი გახდეს იმდროინდელი პირველი პირების დემოკრატიულობის კოეფიციენტი, რაც, შესაბამისად, ქვეყნის მაჩვენებლებზე აისახებოდა. ასევე გამოაშკარავდეს სხვაობა ამ ორი პრეზიდენტის დემოკრატიულ რიტორიკაში, რაც უდაოდ არსებობდა მათ შორის მათი დემოკრატიისადმი მიდგომებიდან გამომდინარე.

აღნიშნული თემის ემპირიული მასალა აღებულია მეორადი წყაროდან – 1991-2003 წლის გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკიდან”, რადგან მხოლოდ ამ გაზეთში იბეჭდებოდა იმ პერიოდში პრეზიდენტების ოფიციალური გამოსვლები. მეორადი მასალის შერჩევისას ვხელმძღვანელობდი მასალის სისტემური შერჩევის პრინციპით, რადგან სათაურიდან გამომდინარე მჭირდებოდა მხოლოდ ოფიციალური გამოსვლები, რომლებიც დროის გარკვეული ინტერვალით იბეჭდებოდა ამ გაზეთში. ამასთან ამ ორი პრეზიდენტის მმართველობამ გასტანა 1991 წლიდან 2003 წლამდე და, შესაბამისად, მუშაობა მომიწია ზღვა მასალასთან, რომელიც რაღაც ნიშნით უნდა დახარისხებულიყო. სწორედ მასალის სისტემატური შერჩევითობის მეთოდის გამოყენების მეშვეობით ნათელი გახდა ბევრი პრიორიტეტი ამ რიტორიკაში, რამაც გამიადვილა თემაზე მუშაობა. დოკუმენტების ანალიზის დროს გამოვიყენე კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს ემპირიული მასალის ციტატების, ნაწყვეტებისა და ჩანაწერების რაოდენობრივ და თვისებრის ანალიზს, ჩვენს შემთხვევაში, ტერმინ “დემოკრატიასთან” მიმართებაში. ეს მეთოდი დამეხმარა გამოვლენილი დაკვირვებების და მათი ურთიერთკავშირების გამყარებაში. აღნიშნულ მეთოდს ხშირად მიმართავენ არა მარტო პოლიტიკის მეცნიერებაში, არამედ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომ წარმოადგინონ ანალიზის უფრო სრულყოფილი სურათი, გამყარებული რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზით. “ეს პროცესი კონტენტ–ანალიზისა ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან მკვლევარმა

უნდა გაზომოს შინაარსი ისე, რომ ეს ანალიზი მიესადაგოს საკვლევ თემას. ასევე მკვლევარმა უნდა მოახდინოს იმ შინაარსის განსაზღვრა ისე, რომ მის მიერ მიღებული გაზომვა იყოს ვალიდური და სანდო."[1]

რა სიახლის მატარებელია აღნიშნული ნაშრომი? ვფიქრობ მისი ნოვატორობა და სიახლე მდებარეობს შემდეგში:

- კვლევა წარმოადგენს ახალ ინფორმაციას ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის შესახებ;
- ნაშრომში გამოყენებულია ახალი მიდგომები, კერძოდ, განსახილველად აღებულია მხოლოდ ოფიციალური მიმართვები;
- ამ პერიოდში თავი იჩინა უამრავმა პრობლემამ, მაგრამ კვლევა არის განხორციელებული მკაცრად მხოლოდ დემოკრატიის პრინციპების მიხედვით თანამედროვე დასავლური დემოკრატიის ცნების მიხედვით, ე. ი. მოცემულია ამ პრეზიდენტების დემოკრატიული რიტორიკის ახალი თანამედროვე ინტერპრეტაცია;

ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული მასალის დამუშარების თანამედროვე მიდგომები - სისტემური შერჩევისა და კონტენტ-ანალიზის მეთოდი. აღნიშნული პერიოდის ქვეყნის მეთაურების დემოკრატიულობა ნაკლებად არის შესწავლილი თანამედროვე დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად, რაც ვფიქრობ თავისთავად არის სიახლე.

პოლიტიკა არაზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ მასში ყოველ სიტყვას და მოქმედებას თავისი მნიშვნელობა და ძალა აქვს. ამასთან მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის პიროვნული ფაქტორი, მისი შინაგანი რესურსი, ხედვა, ინტუიცია და პოლიტიკური ვექტორი. ხოლო ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავისი პოლიტიკური გემოვნების შესაბამისად ანდობს ქვეყანას ამა თუ იმ პოლიტიკურ ლიდერს. სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე ქვეყნის მეთაურის კვალიფიკაცია და შესაძლებლობები, რადგან ერთია ცოდნა და მეორე მოცემული ცოცხალი რეალობა, სადაც მრავალ გამოწვევებს უნდა უპასუხო, რომ ემსახურო ნამდვილ დემოკრატიას.

---

1. ჯონსონი, ჯანეტ. ბუტოლფ. რეინოლდსი, ჰ. ტ. მაიკოფ, ჯეისონ. (2013). *პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები.* თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 354.

თავი 1.

დემოკრატიის პრინციპები

“დემოკრატია“ ბერძნულიდან მომდინარეობს და ხალხის მმართველობას ნიშნავს (ბერძნ. demos - ხალხი და kratos - მმართველობა). ტერმინი დაიბადა ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთისა და რომის იმპერიაში, სადაც უდიდეს განვითარებას მიაღწიეს პოლისი-სახელმწიფოებმა. დაწყებული პლატონით, არისტოტელეთი და გეროდოტეთი დამთავრებული თანამედროვე ავტორებით არ წყდება ტერმინ “დემოკრატიას” მნიშვნელობის განმარტება. საბოლოოდ ყველა თანხმდება, რომ დემოკრატია არის სახელწიფო მმართველობის ყველაზე უკეთესი მოდელი, საზოგადოებრივი მოწყობის გარკვეული მსოფლმხედველობა, დაფუძნებული ადამიანის უფლებების, თავისუფლების და ტოლერანტობის ღირებულებებზე. დემოკრატია სახელმწიფოს საზოგადოებრივი მმართველობის ფორმაა, სადაც ხალხი მონაწილეობს პირდაპირ ან არჩევნების გზით მოსული ადამიანების მეშვეობით. დემოკრატიის პირობებში, ხალხია ხელისუფლების წყარო და საზოგადოება ახორციელებს მმართველობას საერთო სიკეთისათვის და საერთო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

დღეს დემოკრატია პოლიტიკური მმართველობის ერთადერთი ფორმაა, რომელიც ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას. არსებობს დემოკრატიის სხვადასხვა თეორიები, მაგრამ ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ლიბერალური დემოკრატიის თეორია, სადაც ხალხი თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობს ხელისუფლების მმართველობაში, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია ამომრჩევლების წინაშე. ამასთან საზოგადოება ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ითხოვს ყოველი მისი ინდივიდის უფლებების და თავისუფლების დაცვას, ითხოვს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას და თავისუფალ სასამართლოს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველ აზრს და შეხედულებას აქვს არსებობის უფლება და მოქალაქე პლურალისტურად უნდა იყოს განწყობილი მისდამი.

თეორიის თანახმად, დღეს დემოკრატია არ განისაზღვრება მხოლოდ ხალხის მმართველობით, არამედ მისი ხარისხის მაჩვენებელია ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცულობა, საზოგადოების წევრების ტოლერანტობა და შემწყნარებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. იქ სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები, ზედმეტია ლაპარაკი დემოკრატიაზე, რადგან მთავარი ღირებულება და ამოსავალი წერტილი ამ თეორიის მიხედვით არის ადამიანი თავისი მსოფლმხედველობით, ინტერესებით, მოთხოვნილებებით და ა. შ. სწორედ ამას ემსახურება ათასობით სამოქალაქო საერთაშორისო თუ ლოკალური ორგანიზაცია, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

დღეს მშოფლიოში დემოკრატიის მზარდი აღიარებისა და სწრაფი

გავრცელების ფონზე აქტუალურობა შეიძინა შემდეგმა საკითხმა - რითი განსხვავდება ერთნათისაგან დემოკრტაიული და არადემიკრატიული რეჟიმები? ღოგორ უნდა იყოს მოწყობილი პოლიტიკური სისტემა, რომ მას დემოკრატიული ეწოდოს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ დემოკრატიის პრინციპები:

- **სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვა**, რაც იმაში გამოიხატება, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს აქვს სრული უფლება განახორციელონ სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების მონიტორინგი და შეზღუდვა. ეს პრინციპი ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მის მონაწილეობას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მის კონტროლსა და ზედამხედველობას მთავრობის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. ამ მექანიზმის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია პასუხობდეს ყოველი მოქალაქის მოთხოვნილებებს, იყოს ანგარიშვალდებული ყველა ინდივიდის წინაშე და დაიცვას მათი ინტერესები თავისი პოლიტიკის გატარებისას, რაც ტოტალიტარულ სახელმწიფოში შეუძლებებლია. სწორედ ასეთი მონიტორინგის მიზნით იქმნება მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, ომბუდსმენის ინსტიტუტი და სხვა გამაკონტროლებელი რგოლი, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ძალაუფლების გადაჭარბება და დროზე იქნას მიღებული ზომები მისი შეზღუდვის მიმართულებით. ძალიან ხშირად ეს პრინციპი ლაკმუსის ქაღალდის როლში გვევლინება, განსაკუთრებით ახალგაზრდა დემოკრატიის, ე. წ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რადგან ხელისუფალთ ხშირად "ავიწყდებათ" ხალხი, თავისი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე და ხდება დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევა დიქტატურისკენ, რაც საკმაოდ ცუდად მთავრდება ქვეყნისთვის.
- **არჩევნების გზით მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება.** ამ პრინციპის მიხედვით მოქალაქეები ნებაყოფლობით ქმნიან პოლიტიკურ ორგანიზაციებს, პარტიებს, საზოგადოებებს თავისი პოლიტიკური პლატფორმებით და სამოქმედო გეგმებით, რომლებიც კონკურენტული არჩევნების გზით მოდიან ხელისუფლებაში და ახორციელებენ თავისი ამომრჩევლების პოლიტიკურ ნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატია არის მხოლოდდამხოლოდ კონკურენტულ არჩევნებზე დაფუძნებული მმართველობა: დემოკრატია მოითხოვს რეგულარულ კონკურენციას პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რომელთა შორის თითოეული ცდილობს დაარწმუნოს ადამიანები, რომ იგი გამოხატავს მათ ინტერესებს და იმსახურებს მათ ნდობას. შესაბამისად, საზოგადოება თუ დემოკრატიულია მასში უნდა იყოს უზრუნველყოფილი გარკვეული თავისუფლებები, უნდა იგრძნობოდეს საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტივობა ამ პროცესების მიმართ, პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება. როგორც ვიცით, დემოკრატიულ სახელმწიფოში გაყოფილია პოლიტიკური მმართველობის ფუნქციები, არსებობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. შესაბამისად, ქვეყანაში ტარდება საპარლამენტო და

საპრეზიდენტო არჩევნები. ამომრჩევლები აფიქსირებენ თავის პოლიტიკურ ნებას საარჩევნო ურნებთან. მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი ხელისუფლების გადაბარება მშვიდობიანი არჩევნების გზით და ამომრჩევლის ნების პატივისცემა.

- **ტოლერანტობა, სამოქალაქო თანხმობა, კომპრომისების მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა, პლურალიზმი.** დემოკრატია არის ცოცხალი პროცესი, რომელშიც ქვეყნის მოქალაქეები მონაწილეობენ. ხშირად წარმოიშვება ხოლმე აზრთა სხვადასხვაობა, შეხედულებების კონტრასტი, მიდგომებისა და მენტალობის სხვაობა, რადგან საზოგადოება სხვადსხვა ინტერესების, განათლების, მსოფლმხედველობის მქონე ფენებისაგან შედგება. დემოკრატიული საზოგადოების პირობებში წინა პლანზე გამოდის ისეთი დემოკრატიული ღირებულებები, როგორიცაა სხვისი აზრის პატივისცემა და ამავე დროს კომპრომისების მონახვის ხელოვნება, ტოლერანტობა და პლურალიზმი და ამავე დროს სამოქალაქო თანხმობა. ეს ღირებულებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოიქმნება გამოცდილებიდან და სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა. ამ მიდგომების გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული პროცესების განხორციელება, ხელისუფლების და ხალხის ძალაუფლების ბალანსი და სხვადახვა ინტერესების მქონე ადამიანების და ფენების თანაარსებობა.
- **ქალების, სხვადასხვა უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვა და საზოგადოებაში მათი ღირსეული ინტეგრირება.** ეს პრინციპი ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ჯგუფებს მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში, დაცულად იგრძნონ თავი სახელმწიფოს ფარგლებში, რომ არ მოხდეს მათი უფლებების ხელყოფა. საზოგადოება განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატიას, როდესაც იგი უქმნის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას სხვადსხვა ჯგუფებს და ამით რეალიზებულს ხდის ამ ადამიანების ინტერესებს. დემოკრატიის ეს პრინციპი უზრუნველყოფს სხვადსხვა ჯგუფების ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოჩენას და ბალანს. სახოგადოება, სადაც დაუცველია ქალის, ბავშვის, უმცორესობების და შეზღუდული შესაძლებლობების პირების ინტერესები ვერ პასუხობს დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტებს და შესაბამისად იგი ვერ იქნება წარმოდგენილი სრულფასოვნად განვითარებული ქვეყნების გვერდით.
- **სამოქალაქო საზოგადოება.** დემოკრატიის ერთ-ერთი მიღწევაა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მრავალი ჯგუფების, ფენების და შესაძლებლობების ადამიანებისაგან შედგება. ასეთ საზოგადოებაში მინიმუმამდეა დაყვანილი კლასობრივი კონფლიქტები და პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხე, ვინაიდან იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი ინტერესების წარმოქმნას. რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, უფრო სავარაუდო ხდება მათი ურთიერთობა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და

ინტერესების მქონე ადამიანებთან. ამ ურთიერთგადამკვეთმა ზემოქმედებამ უნდა შეამციროს მათი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიულობა და ხელი შეუწყოს უფრო ვრცელი და მრავალმხრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტოლერანტობასა და მეტ მზადყოფნას კომპრომისებისათვის. სამოქალაქო საზოგადოება პირდაპირ როლს თამაშობს დემოკრატიის გამტკიცების საქმეში: ის აქტიურად ადევნებს თვალყურს არჩევნების პროცესს, ითხოვს საზოგადოებაში ყველა მოვლენის გამჭვირვალობას, იცავს ადამიანების უფლებებს, ახორციელებს ხელისუფლების მონიტორინგსა და ძალაუფლების შეზღუდვას. სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ ფუნქციების შესრულება და სრულფასოვანი დემოკრატის ჩამოყალიბება.

- **თავისუფალი მედია.** "მე რომ მიწევდეს გადაწყვეტილების მიღება, რომელი ჯობია, მთავრობის ქონა გაზეთების გარეშე თუ გაზეთები მთავრობის გარეშე, დაუფიქრებლად, ავირჩევდი უკანასკნელს"[1] – წერდა 1787 წელს ტომას ჯეფერსონი. ასეთი გამონათქვამი ამერიკის კონსტიტუციის პირველ შესწორებას მოჰყვა, რომლის აუცილებლობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლით იყო ნაკარნახევი. მოქალაქის უფლება მიიღოს თავის მთავრობაზე ინფორმაცია დემოკრატიის ერთ-ერთი პირობაა. ხოლო კარგად ინფორმირებულ საზოგადოებას შეუძლია შეგნებულად ასრულებდეს თავის მოვალეობებს პოლიტიკის და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების მიმართულებით. მაგრამ ამისთვის მედიასაშუალებები უნდა იყვნენ თავისუფალნი. ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის დონეზეა აკრძალული ცენზურა და ჟურნალისტებს უფლება აქვთ აწარმოონ ჟურნალისტური გამოძიება, მოიპოვონ საჭირო დოკუმენტები თუ ინფორმაცია(მათ შორის კონფიდენციალური წყაროებიდან) ამა თუ იმ საჯარო და სხვა სახის მოხელეს შესახებ. თვით ჟურნალისტიკამაც განიცადა ჟანრობრივი ტრანსფორმაცია: ინფორმაცია გაიყო ნიუსებზე და კომენტარებზე. ყოველივე ეს ემსახურება საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებას, მოქალაქეების ინტერესების დაცვას და მათ მონაწილეობას საჯარო პოლიტიკის წარმართვაში. თავისუფალი პრესა არის ინფორმაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. პოსტსაბჭოთა სივრცის ახალბედა დემოკრატიის სახელმწიფოებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა პრესის ასეთი სტანდარტების აღქმა, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებში ეს ცოდნა რამდენიმესაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობოდა. მაგრამ ეს დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია და მისი უგულებელყოფა დემოკრატიაზე იარის თქმას ნიშნავს.

---

1. აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს ელექტრონული ჟურნალი. 2 ტომი. №1. (1997). *დემოკრატიის საკითხები. თავისუფალი პრესა.* ვენა. აშშ-ს საელჩოს გამოცემა. გვ. 2.

- **დამოუკიდებელი სასამართლო.** ხელისუფლების ნუსხაში სასამართლო ხელისუფლება მესამე ადგილზეა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შემდეგ. იმის გამო, რომ დემოკრატიული საზოგადოება თავის თავში კანონის უზენაესობას გულისხმობს და ყველა დავა თუ კონფლიქტი მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით რეგულირდება, აუცილებელი გახდა, რომ ეს ინსტიტუტი ყოფილიყო დამოუკიდებელი ყველანაირი ჯგუფების ზემოქმედებებისაგან. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო კანონის ძალით იცავს ყველა ადამიანისა თუ ჯგუფების ინტერესებს, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და სხვა ღირებულებებს. დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე არ არსებობს სამართლიანობის განცდა. სასამართლო მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ქმნის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩარჩოს, რომელიც შემდეგ ივსება ადამიანის უფლებების, უმცირესობების უფლებების დაცვით, ტოლერანტობით, პლურალიზმით და კომპრომისების ძიების ხელივნებით. სხვაგვარად დემოკრატია წარმოუდგენელია.
- **და ბოლოს, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ნება.** ეს პრინციპი არ შედის დემოკრატიის თანამედროვე მოთხოვნილებების ნუსხაში, მაგრამ საქართველოსთვის კონფლიქტები განსაკუთრწებული თემაა. იმის გამო, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გვაქვს ორი გაყინული კონფლიქტი, რის შედეგად დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და სხვა, ვფიქრობ აუცილებელია ამ კუთხით პრეზიდენტების რიტორიკის განხილვა და მათი მიდგომებისა და პოზიციის გარკვევა.

თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დემოკრატიის პრინციპებს და ფიქრობენ, რომ დემოკრატია მხოლოდ უმრავლესობის დიქტატია უმცირესობაზე, სადაც საერთოდ უარყოფილია ამ უკანასკნელის ინტერესები.

მაგრამ სახელმწიფოებრიობის მხრივ დემოკრატიას აშკარად აქვს უპირატესობა მმართველობის სხვა ფორმებთან და ჯერჯერობით კაცობრიობას პოლიტიკური მმართველობის უკეთესი ფორმა არ მოუგონია, ამიტომ დღეს მრავალი სახელმწიფო ირჩევს დემოკრატიული მმართველობის ფორმას, რადგან ეს მოსახლეობის დაკვეთაა. მათ შორისაა საქართველოც, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გააკეთა მკაცრი განაცხადი და გეზი აიღო დასავლური დემოკრატიის მშენებლობისკენ.

თავი 2.

დემოკრატიული რიტორიკა საქართველოს პრეზიდენტების – ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ოფიციალურ გამოსვლებში

ჩემს ნაშრომში განხილულია საქართველოს პირველი ორი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური გამოსვლები. ისინი მოღვაწეობდნენ ე. წ. გარდამავალი დემოკრატიის პერიოდში და, ვფიქრობ, საინტერესოა როგორ იბადებოდა დემოკრატია საქართველოში. მეორე მიზეზი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქვეყანას ჰყავს მეოთხე პრეზიდენტი და, შესაბამისად, მედიაში არსებობს ზღვა მასალა ამ პრეზიდენტების გამოსვლების შესახებ. ოთხივე პრეზიდენტის ოფიციალური გამოსვლების ანალიზი შორს წაგვიყვანდა, თუმცა, შესაძლებელია ყოფილიყო ძალიან საინტერესო. მესამე, პრეზიდენტების - ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის ოფიციალური გამოსვლები ჩვენ გავაანალიზეთ დემოკრატიის თანამედროვე მიდგომებით და პრინციპებით, რაც, უდაოთ, არის ახალი სიტყვა და ახალი ხედვა მათი მოღვაწეობისა. მეოთხე - აღნიშნული პერიოდი ნაკლებად არის შესწავლილი თანამედროვე დასავლური დემოკრატიის კუთხით და, შესაბამისად, კვლევა წარმოადგენს ახალ სიტყვას ამ მიმართულებით.

ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისმა მმართველობამ 7 თვეს გასტანა: 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გახდა ქვეყნის პირველი პირი, ხოლო 1992 წლის 6 იანვარს თბილისში ოპოზიციის მიერ მოწყობილი გამოსვლების შედეგად იძულებული შეიქმნა თავის მომხრეებთან ერთად გაქცეულიყო სომხეთში.

ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის მეორე პრეზიდენტი გახლდათ და მისი მმართველობა 13 წელი გაგრძელდა: 1992 წლის 7 მარტიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე. შევარდნაძის მმართველობაც ოპოზიციის მიერ მოწყობილი გამოსვლებს შეეწირა.

ორივე პრეზიდენტი მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მოღვაწეობდა. სწორედ ისტორიის ამ მონაკვეთში მოხდა საბჭოთა კავშირის ნგრევა და პოლიტიკურ ორბიტაზე ახალი სახელმწიფოები გამოჩნდნენ, რომლებმაც გეზი დასავლური დემოკრატიის მშენებლობისკენ აიღეს. იმ პერიოდში პრეზიდენტების ოფიციალური გამოსვლები და სხვა სახელისუფლებო ანგარიშები მხოლოდდამხოლოდ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდებოდა, რომელიც ე. წ. ქვეყნის ოფიციოზი გახლდათ. ამიტომ კვლევისთვის საჭირო ემპირიული მასალა ამ გაზეთიდან არის აღებული.

2.1

ზვიად გამსახურდიას დემოკრატიული რიტორიკა ოფიციალურ გამოსვლებში

1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდიამ ჩაიბარა ახალადმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შედეგად წარმოიშვა. საქართველოსთვის ეს იყო არსებობის ურთულესი წლები, როდესაც ყველა პრობლემამ ერთად იჩინა თავი, დაწყებული მძიმე კრიმინოგენური ვითარებიდან დამთავრებული ტოტალური სიღარიბით. სახელმწიფო სტრუქტურის არც ერთი რგოლი არ ასრულებდა თავის ფუნქციას და სუფევდა ხაოსი. ამასთან, საბჭოთა კავშირი კი მოიშალა, მაგრამ ახალადმოცენებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ჯერ არ ცნობდა ცივილიზებული სამყარო. პრაქტიკულად საჭირო იყო, რომ ქვეყნის მეთაურს აეშენებინა ისეთი თანამედროვე სახელმწიფი, რომელსაც აღიარებდა დემოკრატიული დასავლეთი. თვით ზ. გამსახურდიას პიროვნება არაფერს ეუბნებოდა დასავლეთს, იმის გარდა რომ იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იყო დისიდენტი, ებრძოდა საბჭოთა რეჟიმს და იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი მერაბ კოსტავასთან ერთად. ხოლო გამსახურდიასთვის დასავლური ცივილიზაცია იყო დემოკრატიის მისაბაძი მაგალითი და მას საქართველო ამ ცივილიზირებული სამყაროს ნაწილად ჰქონდა გააზრებული. ამით აიხსნება ზ. გამსახურდიას ლტოლვა დემოკრატიისადმი, რაც არაერთხელ ყოფილა გაჟღერებული მის გამოსვლებში.

“დამთავრდა ცივი ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იძენს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის იდეები. ამის ნათელი დადასტურებაა ევროპის გაერთიანებული ქვეყნების კავშირურთიერთობანი, ინიციატივა, ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე განცხადებულია ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას – იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ექმნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა. საქართველოს რესპუბლოკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში. ამ ინიციატივის წარმატებით განხორციელება, ჩვენთვის უზრუნველყოფს მსოფლიოს დიდ ნაწილზე მშვიდობისა და დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრებას, პოლიტიკურ და ეკონიმიკურ სტაბილიზაციას”[1] – განაცხადა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა - ზვიად გამსახურდიამ თავის მიმართვაში საქართველოს მოქალაქეებისადმი უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს.

---

1. (1991). 7ივნისი. საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ.1.

ეს ამონარიდია იმ განაცხადისა, სადაც პრეზიდენტმა წარმოადგინა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გეგმა. ამ განცხადებაში პრეზიდენტმა 4 ჯერ გააჟღერა სიტყვა "დემოკრატია", მაგრამ ამ სიტყვას არ ჰქონდა თანამედროვე დატვირთვა. მის გამოსვლაში ძირითადი აქცენტები მაინც მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და დემოკრატიულ სამყაროსთან თანაბარუბლებიანი ურთიერთობის მშენებლობისკენ იყო მიმართული.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ზ. გამსახურდიას რიტორიკა დემოკრატიის პრინციპების მიხედვით.

1. სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა. "ჩვენ ვაღიარებთ საპარლამენტო ოპოზიციას, სხვა ოპოზიციას ჩვენ არ ვცნობთ და იგი არც არსებობს."[1] – ბრძანა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის სექტემბერში, როდესაც ძალიან დაიძაბა ვითარება მას და ოპოზიციას შორის. გამსახურდიას მმართველობის 7 თვიანი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობისთვის უცხო იყო "სამოქალაქო საზოგადოება", "ომბუცმენის ინსტიტუტი". არც პრეზიდენტს უხსენებია თავის რიტორიკაში ეს ტერმინები. მოსახლეობა ადანაშაულებდა თავის პრეზიდენტს არაეფექტურ მმართველობაში. გაჩნდა ოპოზიცია, რომელიც ქვეყნის მოწყობის სხვა ხედვას სთავაზობდა ხელისუფლებას, რაზეც გამსახურდია ძალზე მტკივნეულად რეაგირებდა: "დღეს კრიმინალური სამყარო – დამნაშავეთა სამყარო და ოპოზიციის ეს ნაწილი – განუყოფელია. ისინი განუყოფელნი არიან და ამას სათავეში უდგას ის კრიმინალური ინტელიგენცია, რომელიც აგრეთვე იდეური, შეიძლება ითქვას, იდეური მამაა ყოველივე ამისა."[2] საქმე იქამდეც კი მივიდა რომ, არასაპარლამენტო ოპოზიცია მან კრემლის აგენტებთან კავშირშიც კი დაადანაშაულა.[3] გამსახურდია ერთპიროვნულად წყვეტდა საკადრო საკითხს კადრის ზნეობის და ნდობის საფუძველზე: "მე გთხოვთ დაფიქრდეთ ამაზე ვით იპოვოს პრეზიდენტმა ამდენი სანდო ადამიანი და მათ უწოდოს თავისი მეგობარი? საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, მინისტრი უნდა იყოს ჩემი მეგობარი ჩემი სანდო ადამიანი, რომელსაც მე ვანდობ გარკვეულ სფეროს ვანდობ გარკვეულ გაგებით ერის ბედს. ეს იმის შედეგია, რომ შეუძლებელია პოვნა ამდენი ერთდროულად ზნეობრივი, კეთილშობილი და კომპეტენტური კადრისა."[4] და ასე ერთპიროვნულად გადაწყვეტილ საკადრო პოლიტიკას მისი აზრით უნდა დამორჩილებულიყო ყველა, მათ შორის ოპოზიცია.[5]

---

1. (1991). 15 ნოემბერი. გამოსვლა საღამოს სხდომაზე. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

2. იქვე.

3. იქვე.

4. იქვე.

5. იქვე.

2. არჩევნების გზით მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის მოვალეობტა და უფლებათა აღიარება. "1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი ქართველი ერის და ეროვნული ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებით აღვსილმა ხელისუფლებამ, გატარებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების, მრავალპარტიულობის იურიდიული და ფაქტობრივი დამკვიდრების, მთავრობის რეორგანიზაციის, ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების – საკრებულოების და პრეფექტურების შემოღების, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შედეგად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით დაამკვიდრა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა."[1] – თქვა ზ. გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. მართლაც, საბჭოთა კავშირის 70 წლიანი მმართველობის შემდეგ პირველად გახდა შესაძლებელი თავისუფალი, მრავალპარტიული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. მთლიანად შეიცვალა ქვეყნის მმართველობის სისტემა არამარტო დედაქალაქში, არამედ რაიონებში(პრეფექტურების და საკრებულოების ჩამოყალიბება). ეს ყველაფერი მიმდინარეობდა კონკურენციის პირობებში, რის შედეგად ხალხმა ხმა მისცა ახალი ტიპის სახელმწიფოს – საპრეზიდენტო დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამას ყველაფერს ერთობლივად ახორციელებდა ხალხი და მაშინდელი ერობნული მოძრაობის ლიდერი – ზვიად გამსახურდია, რომლებიც ერთსულოვანნი იყვნენ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სურვილში.

3. ტოლერანტობა, სამოქალაქო თანხმობა, კომპრომისების მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა, პლურალიზმი. ზ. გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში ხალხი და მთავრობა საკმაოდ მოტივირებულად იყო კონსოლიდირებული ერთმანეთში. მაგრამ ძალიან მალე ხანში, ფაქტობრივად, რამდენიმე თვეში გამსახურდიას გაუჩნდა ოპოზიცია თვით პარლამენტში, პარლამენს გარეთ და თავის უახლოეს პოლიტიკურ გარემოცვაშიც. ძალიან ბევრი მისი თანამებრძოლი, რომლებიც მის გვერდზე ივნენ 1989 წლის 9 აპრილს და მანამდეც გახდა ოპოზიციონერი და მოუწოდებდა კიდევაც ხალხს "დიქტატორ გამსახურდიას რეჟიმის დამხობისკენ".[2] პრეზიდენტის რიტორიკაში იმატა გაღიზიანებამ და ისეთმა შეფასებებებმა, როგორიცაა: "ეგრეთ წოდებული ოპოზიცია", "კრემლის აგენტი", " კრიმინალური ოპოზიცია".[3] გამსახურდია ასე ხსნოდა თავისი ძალაუფლების უპირატესობას: - "მე მგონია, დამეთანხმებით და ალბათ დემოკრატიის არსი ჩემზე უკეთ მოგახსენებათ, მდგომარეობს იმაში, რომ უნდა არსებობდეს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების უზენაესობა და ამავე

---

1. (1991). 7 ივნისი. საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

2.(1991). 27 ნოემბერი. საქართველოს თავისი გზა აქვს. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 2

3. (1991). 15 ნოემბერი. პრეზიდენტის საათი. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

დროს ამ კანონების უზენაესობა, რომელსაც ხელისუფლება შეიმუშავებს ხალხისავე აპრობირებით. სხვაგვარი გაგება დემოკრატიისა, მე მგონი, არ არსებობს."[1] რა თქმა უნდა, გამსახურდია მოუწოდებდა უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარების, პარლამენტის სესიის სხდომების არ დატოვების, შიმშილობის არ დაწყებისკენ, მაგრამ ის აღმოჩნდა მარტო ოპოზიციურად გაწყობილი საზოგადოების წინაშე და მისი მოწოდება არ იქნა შესმენილი. აქ მინდა გავიხსენო 1991 წლის სექტემბრის ინცინდენტი, როცა გამსახურდიას ესტუმრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია, რომლის მიღების ცერემონიალზე რუსთველის პროსპექტზე გაისმა სროლა. ოპოზიციამ ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად გამსახურდიას ხელისუფლებას დააკისრა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლურმა პრესამ ეს პროვოკაციად შეაფასა, რომელიც ქართველების პრეზიდენტის და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული.[2] ზვიად გამსახურდია, ხშირად მოუწოდებდა სამოქალაქო მშვიდობისკენ, საუბრობდა გარე საფრთხეებზე, მიუთითებდა კანონის უზენაესობაზე: "დემოკრატიის წინააღმდეგ არავინ არ არის, მაგრამ ვინც არ ეთანხმება იმ აზრს, რომ დემოკრატია არის სწორედ კანონების უზენაესობა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების უზენაესობა, ის უკვე დემიკრატიას ურევს ანარქიაში და დემოკრატია, მეგობრებო, ცენტრალურ პროსპექტზე ნაგვის დაყრით არ გამოუხატება, არ გამოიხატება არც ხულიგნობით, არც მტვრევით, არც ხულიგნობით, არც ლანძღვა-გინებით, მეგობრებო. დემოკრატია არის ის , რასაც ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ აუცილებლად დიდი წარმატებით."[3] აშკარაა, რომ საზოგადოებაში იყო სამოქალაქო აზროვნების დეფიციტი, სადაც წამყვანი ღირებულებაა სხვისი აზრის პატივიოსცემა, კომპრომისების ძიების ხელოვნება და აზრთა პლურალიზმია. პირიქით, ჩვენ მივიღეთ სასიცოცხლოთ გადამტერებული საზიგადოებაბი, რომლის ნარჩენები დღესაც დაცინვის, დაკნინების და გალანძღვის საგანს წარმოადგენს ზოგიერთებისათვის.

4. ქალების, სხვადსხვა უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვა და საზოგადოებაში მათი ღირსეული ინტეგრაცია. ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტობის პირველივე დღიდან გამოაცხადა ხალხზე ორიენტირებული პოლიტიკა, რადგან საქართველოს მოსახლეობისთვის ეს უკიდურესი გაჭირვების წლები იყო. რეფორმირების პირველივე დღიდან მან აქცენტი გააკეთა სიციალურად დაუცველ ფენებზე, მრავალშვილიან და მცირეშემოსავლიან ოჯახებზე: "საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია წარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება. ამის მიზეზი მრავალია: ადამიანთა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მრავალშვილიანობა, სამუშაოს დროებითი დაკარგვა და ა. შ. აუცილებებლია ამ ადამიანებს შევუქმნათ სოციალური დაცვის გარკვეული

---

1. (1991) 15 სექტემბერი.გამოსვლა სადამოს სხდომაზე. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ.1.

2. იქვე.

3. იქვე.

მექანიზმი, რომელიც მათ ცხოვრებას საარსებო მინიმუმის დონეზე მაინც უზრუნველყოფს, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში."[1] ამასთან პრეზიდენტმა პირველმა მიაქცია ყურადღება სამაჩაბლოდან დევნილების ნაკადს და ითხოვდა, რომ ამ ოჯახებს მიექცეს შესაბამისი ყურადღება.[2]

5. სამოქალაქო საზოგადოება. ძალიან საინტერსოა თანამედროვე გადასახედიდან იმდროინდელი საზოგადოების აღქმა, ვინაიდან სწორედ საზოგადოების დონე განსაზღვრავს რეფორმირების ეფექტურობას. თვით ტერმინი "სამოქალაქო საზოგადოება" შემოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში უფრო გვიან და გამსახურდიას მმართველობის დროს იგი არც იყო პოლიტიკური ლექსიკონის აქტუალური სიტყვა. არც გამსახურდიას და არც ოპოზიციონერი ლიდერების რიტორიკაში ეს ტერმინი ნახსენები არ არის. და არც იმ დროინდელ საზოგადოებას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოება, რადგან მოსახლეობის ინფორმირების დონე, მოქალაქეობრივი შეგნებულობა, კომუნიკატივისტიკის მაჩვენებელი, თავისი უფლებების და თავისუფლებების ცოდნა ვერ აღწევდა სამოქალაქო საზოგადოების სტანდარტებს.[3]

6. თავისუფალი მედია. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი სატელევიზიო სამაუწყებლო არხი, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს არსებობის დროს და მისი მაუწყებლობა მთელ საქართველოს ფარავდა. ტელევიზიის სამაუწყებლო ბადე განისაზღვრებოდა დილის რვა საათიდან საღამოს ტორმეტ საათამდე, სადაც დღის მთავარი საინფორმაციო პროგრამა "მოამბე" საღამოს რვა საათზე გადიოდა. აღნიშნული არხი, შეიძლება ვთქვათ, იყო მთლიანად სახელისუფლებლო, რის გამო მისი შენობის გარეთ ხსირად ხდებოდა ოპოზიციის მიტინგები, რომლებიც ზოგჯერ შეიარაღებული შეხლა-შემოხლითაც დამთავრებულა. ამის გარდა, არსებობდა სახელმწიფო რადიოარხი, ქვეყნის ოფიციოზი გამოცემა - გაზეთი"საქართველოს რესპუბლიკა", მისი ანალოგი რუსულ ენაზე – "სვობოდნაია გრუზია" და სხვა გაზეთები, როლებიც სახელმწიფო ბიუეტიდან ფინანსირდებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის საინფორმაციო სივრცე საზრდოობდა საბჭოთა სისტემის მიერ დატოვებული საინფორმაციო საშუალებებით. გამსახურდიას დროს მომზადდა კანონი პრესის თავისუფლების შესახებ.[4] ოპოზიციამ მოითხოვა არხი, რომ ჰქონოდა საზოგადოებასთან წვდომა, რაც მთავრობის მხრიდან შესმენილი არ იქნა.[5]

---

1. (1991). 15 ნოემბერი. პრეზიდენტის საათი. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1

2. იქვე.

3. სამოქალაქო საზოგადოება. (2000). თბილისი. საზოგადოების კვლევის ცენტრი.გვ.1.

4. (1991). 15 ნოემბერი. პრეზიდენტის საათი. გაზეთი *საქართველოს რესპუბლოკა*. გვ. 1

5. იქვე.

7. დამოუკიდებელი სასამართლო. ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეუდგა არსებული მმართველობის სტრუქტურულ დემონტაჟს და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ხელისუფლების რეფორმირება უმაღლესი ეშელონებიდან დაიწყო. გამსახურდია ცდილობდა სამართლებრივი სახელმწიფო აეშენებინა: "სამართლებრივი რეფორმის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოთა ურთიერთგამიჯვნა. ეს გამორიცხავს ხელისუფლების მონოპოლიზაციას, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემის შესაბამოსობას სამართლის მოთხოვნებთან და მათ თანმიმდევრულ აღსრულებას."[1] ამ ხელისუფლებების გამიჯვნა დაიწყო კიდევაც, მაგრამ მალე იგი ჩამოაშორეს ხელისუფლებას და საქმე ამის იქით არ წასულა...

8. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ნება. გამსახურდიას მოსვლისთანავე დაიძაბა ვითარება სამაჩაბლოში: დროდადრო ადგილი ჰქონდა ქართული სოფლების აწიოკებას და ქართული ოჯახების დევნილებად ქცევას. აფხაზეთშიც მალე თავი იჩინა სეპარატიზმმა. აჭარაში გავრცელდა ხმები, რომ გამსახურდია მისი ავტონომიის გაუქმებას აპირებს. ხაზი მინდა გაუსვა იმას, რომ ამ პერიოდში მოსახლეობაში იყო დიდი რაოდენობით იაღაღი, რაც მიუღებელია საერთოდ ნორმალური საზოგადოებისათვის. ყველა ვისაც იარაღი ჰქონდა ცდილობდა იარაღის ძალით გაერკვია თავისი "სიმართლე", რაც უკიდურესად ბაძავდა მდგომარეობას და საზოგადოებაში ქმნიდა ახალ კონფლიქტებს. გამსახირდიას კეთილი ნება და მოწოდებები მშვიდობიანი თანაცხოვრებისა არ იყო საკმარისი. მაშინდელი მილიცია უძლური იყო ამასთან ბრძოლაში. თან რუსული მმართველობის ე. წ. "კრიშები" ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრად მეფობდნენ ქვეყანაში. "ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი უნდა იყოს, აფხაზების როგორც საქართველოს მკვიდრი ერის პოლიტიკურ უფლებათა აღიარება. ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრობა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი სამშობლოა როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა. საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეკრულება. საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენასთან ერთად უნდა არდგეს ტრადიციული ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალს განსაზღვრავს თავად აჭარის მოსახლეობა."[2] გამსახურდიას მიმართვაში ოსი ხალხისადმი ნათქვამია: "კონფლიქტის მსვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივიტ შეიქმნა და თვეზე მეტია მუშაობს საპარლამენტთაშორისო კომისის, რომელმაც დაისახა სტაბილიზაციის გზები. გამოინახა ოს მოსახლეობასთან შეხების წერტილები. გაირკვა, რომ ისინიც არანაკლებ შეწუხებული არიან გაჭიანურებული საომარი მდგომარეობით.

---

1. (1991). 7 ივნისი. საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 3.

2. იქვე.

საპარლამეტთაშორისო კომისიამ პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად დასახა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. ვასრულებ რა კომისიის თხოვნას, ვადასტურებ, რომ ყველა, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იარაღის უკანონო ტარებისათვის. იარაღის ებაყოფლობითი ჩაბარება და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება იქნება გარანტიაძმათა შორის სისხლისღვრის შეწყვეტისა, ოს ხალხთან ტრადიციული მეგობრობის და მშვიდობის აღდგენისა."[1] აქვე მინდა ავღნიშნო, ზვიად გამსახურდია ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ მის მიერ აშენებული სახელმწიფო ჯერ კიდევ შორს იყო ნამდვილი დემოკრატიისაგან: "რა თქმა უნდა, არავინ ამტკიცებს, რომ დღეს საქართველოში დასავლეთ ევროპის დარი დემოკრატია სუფევს – ეს არც შეიძლება ასე იყოს, არის შეცდომები, უკანდახევა, მაგრამ კურსი აღებულია დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ."[2]

---

1. (1991). 19 ივნისი. საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 3.

2. (1991). 9 აგვისტო. მიმართვა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტა-რიკის 23-ე კონფერენციისადმი. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 1.

2.2

ედუარდ შევარდნაძის დემოკრატიული რიტორიკა მის ოფიციალურ გამოსვლებში

ედუარდ შევარდნაძე წარმოადგენს ადამიანს, რომელმაც თავისი სახელი დატოვა მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში. დასავლეთისათვის ეს ის ფიგურაა, რომელმაც მოახდინა ურყევი საბჭოთა სისტემის დემონტაჟი და მსოფლიოს აჩუქა გაერთიანებული გერმანია და გათავისუფლბული ევროპა. ხოლო ედუარდ შევარდნაძისთვის დასავლეთი იყო დემოკრატიის შუქურა და თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ძალიან ბევრი ადამიანი საქართველოში თავის პოლიტიკურ იმედებს სჭორედ ე. შევარდნაძის პოლიტიკურ ავტორიტეტზე ამყარებდა და 1992 წლის 7 მარტს იგი ჩამოვიდა საქართველოში.

"გზა ერთია – დემოკრატია – ძნელი და გრძელი გზა. დემოკრატია ერთბაშად როდი მკვიდრდება იქ, სადაც დიდხანს ბატონობდა ტოტალიტარიზმი. ეს არის გზა ახალი შეგნების ჩამოყალიბებისა, დემოკრატია იმ ადამიანთა წყობილებაა, რომლებიც ღირსეულ არჩევანს აკეთებენ. დემოკრატიული საზოგადოება კი არ არსებობს დემოკრატიული თავისუფალი პიროვნების გარეშე."[1] – განაცხადა ე. შევარდნაძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ა. ბეიკერის საქართველოში ვიზიტის დროს.

შევარდნაძის ჩამოსვლისას საქართველოში რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ პიკს მიაღწია, ირზდებოდა განხეთქილება მოსახლეობაში. ამიტომ შეაფასა რა საქართველოში მიმდინარე მდგომარეობა, შევარდნაძემ პირველი რაც გააკეთა იყო ის რომ გამოაცხადა "ეროვნული მშვიდობა, თანხმობა და შერიგება"[2] მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისთვის.

უდაოა, შევარდნაძეს ძალიან დიდი პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა, როგორც დასავლეთიდან, ისე რუსეთიდანაც – მას იცნობდნენ და ენდობოდნენ, მისი პოლიტიკურ ავტორიტეტი ნამდვილ დასავლურ დემოკრატიასთან ასოცირდებოდა. ამიტომ საქართველოსთვის ერთბაშად რამდენიმე კარი გაიხსნა. 1992 წლის 9 ივლისს ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირში მიღების დოკუმენტს. ეს იყო საქართველოს პირველი ნაბიჯი ევროპულ ოჯახში, სადაც პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ განაცხადა: "საქართველო დიდხანს ელოდა ამ დღეს. მისთვის იგი ბევრ რამეს ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა – ევროპის სულიერი ერთიანობის სამყაროში

---

1. (1992). გზა ერთია – დემოკრატია. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. (1992). გვ. 2.

2. იქვე.

დაბრუნებას, რომელსაც იგი ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მოსწყვიტა."[1] შევარდნაძემ ბრძანა, რომ "ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში საქართველოს შემოაქვს უკვე შეძენილი გამოცდილება, რომელიც მოწმობს საბოლოო აქტის პრინციპების პატივისცემას – ეს არის უარის თქმა ძალის პოლიტიკაზე პოლიტიკის ძალის სასარგებლოდ, ცალხმრივ მოქმედებაზე - დიალოგის, მოლაპარაკებისა და კომპრომისის სასარგებლოდ... რაგინდ პატარა არ უნდა იყოს ესა თუ ის ქვეყანა – საქართველო კი პატარა ქვეყანაა – იგი მოვალეა დაიმკვიდროს თავი მსოფლიოში ადამიანის სიცოცხლის ღირებულების, პიროვნების თავისუფლების, უმცირესობათა უფლებების დაცვის პრიორიტეტების მეშვეობით."[2] 1992 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მალე მრავალმა ქვეყანამ აღიარა საქართველოს სუვერენიტეტი და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. შევარდნაძის მმართველობა 13 წელი გრძელდებოდა. იგი ორჯერ აირჩია ხალხმა ქვეყნის პრეზიდენტად. მოდით, განვიხილოთ შევარდნაძის მმართველობა დემოკრატიის პრინციპების მიხედვით.

1. სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა. შევარდნაძის პოლიტიკური მმართველობის დროს საქართველომ სცადა დასავლური დემოკრატიის სტანდართებთან მიახლოვება. მთავრობაში გაჩნდა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომლის ვალდებულებაა სახელმწიფოს საქმიანობის გაკონტროლება და რეაგირება. ქვეყანა ცდილობდა, რომ გადაქცეულიყო ღია ტიპის საზოგადოებად. მრავალმა ევროპულმა და ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიდო ბინა თბილისში და შეუდგა როგორც ხალხის ინფორმირებას, ისე რეკომენდაციების გაცემას პოლიტიკური მმართველობის სფეროში. გაჩნდნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: სოროსის ფონდი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა. ეს ორგანიზაციები ახორციელებდნენ, როგორც ხელისუფლების მონიტორინგს, ისე უსასყიდლოდ იცავდნენ ადამიანის უფლებებს, მიუხედავად მათი შეხედულებებისა და პოლიტიკური ამბიციისა. ე. წ. უცხოური არასამთვერობო სექტორის მიერ ითარგმნა და გამოიცა უამრავი ლიტერატურა, რომელიც უფასოდ ვრცელდებოდა მოქალაქეებში და ემსახურებოდა მათი განათლების ამაღლებას.[3] შევარდნაძეს მალე გაუჩნდა ოპოზიცია დასავლეთში განათლება მიღებული ახალგაზრდების სახით, რომლებიც პრეზიდენტს არადემოკრატიული მეთოდებით მმართველობაში ადანაშაულებდნენ და პოლიტიკური პროცესების და, მათ შორის, არჩევნების პროცესის დასავლური სტანდარტებით და ღიად ჩატარებას ითხოვდნენ. კარდინალურად განსხვავდება ასევე შევარდნაძის პირველი პრეზიდენტობის და მეორე პრეზიდენტობის ვადებში გატარებული პოლიტიკა. შევარდნაძის სახელმწიფო ძალაუფლება მისი მმართველობის მეორე ვადაში ნამდვილად არ

---

1. (1991). 9 ივლისი. ე. შევარდნაძის გამოსვლა ფინლანდიაში. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

2. იქვე.

3. სამოქალაქო საზოგადოება.(2000).თბილისი.საზოგადოების კვლევის ცემტრი. გვ. 8.

პასუხობდა დემოკრატიის პრინციპებს და ჩამორჩებოდა თუნდაც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მმართველობას. თუ შევარდნაძემ საქრთველოში ჩამოსვლისთანავე გამსახურდიას ფრაზა "ბრძოლა ჯერ დამოუკიდებლობისათვის და შემდეგ დემოკრატიის მშენებლობა" ასე შეაბრუნა: "თქვენი ჩამობრძანება საქართველოში უბრალო დიპლომატიური ვიზიტი კი არა, პოლიტიკური განცხადებაა, იმისა რომ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო მხარს უჭერს საქართველოს იმ ძალებს, რომლებიც იღვწიან ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის, რეალური დემოკრატიული ინსტიტუტებით და ძლიერი თავისუფალი ეკონომიკით, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა ღირსების რეალური დაცვით რომ არის გარანტირებული"[1] (ე. შევარდნაძის სიტყვა ჯეიმს ა. ბეიკერის ჩამოსვლისას თბილისში), რაც ნიშნავდა დამოუკიდებლობის მოპოვებას დემოკრატიული მიდგომებით და რასაც მიესალმა დასავლეთი... ამასთანავე შევარდნაძე უფრო შორს წავიდა და ყველა მოქალაქეს ოფიციალურად შესათავაზა: "ეროვნული მშვიდობა, თანხმობა, შერიგება განყენებული სიტყვები აღარ არის. როცა ამაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს საზოგადოების ძირითადი ნაწილი, პიველ რიგში მისი შეგნებული ნაწილი."[2] შევარდნაძე ასევე სთხოვდა საზოგადოებას: "ეს უნდა გავიგოთ, ჩვენი ინტერესია, რომ ჩვენი ქვეყანა სტაბილური იყოს,. სხვა არაფერი არ არის საჭირო, რომ ღირსეულ პარტნიორებად გვაღიარონ."[3] მაგრამ პირველი საპრეზიდენტო ვადის დასასრულს რიტორიკა შეიცვალა და დემოკრატია თავდაცვით დიქტატურაში გადაიზარდა. არ მუშაობდაარც ერთი სახელმწიფო რგოლი, სუფევდა საშინელი კორუპცია, ნეპოტიზმი, ფალსიფიცირება. პოზიცია აშკარად ამხელდა შევარდნაძის სისტემას. განსაკუთრებით, არჩევნების დროს ხმების მოტაცების პროცედურა გახდა საგანგაშო, რომელსაც მრავალი უცხოელი ექსპერტიც ადასტურებდა. 2003 წლის ნოემბრის არჩევნებს გადაყვა ე. შევარდნაძის მმართველობა და ახალგაზრდა დემოკრატებმა ხელში აიღეს ხელისუფლება.

2. არჩევნების გზით მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, დემოკრატიული მოქალაქეებრიობისთვის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. 1992 წელს ე. შევარდნაძემ გააგრძელა ზ. გამსახურდიას მიერ დაწყებული სახელმწიფოს დაყოფის დემოკრატიული კურსი, ე. ი. ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახლდათ და მისი მმართველობა იყოფოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, ხოლო რაიონებში საკრებულოებად და პრეფექტებად. ქვეყანაში არსებული მრავალპარტიული სისტემა კონკურენტუნარიან არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. რთული იყო თავიდან მათი კონსოლიდირება, მაგრამ ე. შევარდნაძემ შეძლო ამის გაკეთება: "სახელმწიფო საბჭოს ფარგლებში არცთუ ცუდად თანამშრომლობენ პოლიტიკური პარტიები. ისინი ბევრნი არიან, მათი იდეალია დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. მინდა გავიხსენო

---

1. (1992). 27 მაისი. ე. შევარდნაძის სიტყვა გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1-2

2. (1992). 6 ივნისი. ეროვნული მშვიდობა, თანხმობა, შერიგება. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1

3. იქვე.

26 მაისი. პარტიები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოში თანამშრომლობენ და ისინიც, რომლებიც არ თანამშრომლობენ, ერთმანეთს შეხვდით აქ, ამ დარბაზში, ვისაუბრეთ და, მე მგონი, ეს იყო ამის კარგი დემონსტრაცია, რომ ჩვენ შეგვიძლია თანამშრომლობა, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთობა, და თურმე შეიძლება დავივიწყოთ ცალკეული უთანხმოება თუ წყენანი, როცა საქმე ეხება დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს."[1] შევარდნაძისთვის დემოკრატიული თავისუფალი არჩევნების ჩატარება, როგორც განაცხადა, ღირსების საქმე იყო: "ახლა მთავარი საფიქრალი ის კი არ არის, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, - შესაძლოა გაიმარჯვოს ისეთმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელსაც ჩვენ დღეს იქნებ არც კი ვთვლით ღირსეულ ძლიერ ოპონენტად, - არამედ ის, რომ თვით არჩევნები იყოს ნამდვილად დემოკრატიული, ხალხის ნების სრული გამოხატულება და დაე გაიმარჯვოს ღირსეულმა!"[2] ამასთან, საჭირო იყო პოლიტიკური ოპონენტების შერიგება და ერთ სამოქალაქო პლატფორმაზე დაყენება. სამისოდ შევარდნაძემ დიალოგის მეთოდი აირჩია. "ჩვენ დავიწყეთ დიალოგი ჩვენს ოპონენტებთან."[3] – ბრძანებდა იგი. პლურალიზმმა შედეგი გამოიღო. დაპირისპირებულმა ძალებმა შეძლეს ერთმანეთში დიალოგი. მაგრამ მალე 1995 წლის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი პარტია "მოქალაქეთა კავშირი" შექმნა, რომელიც სახელისუფლებო კადრების სამჭედლოდ იქცა და მმართველობა "ქართული სტილით" გაგრძელდა, რამაც შევარდნაძის მმართველობის მეორე საპრეზიდენტო ვადის დასასრულს მთლიანად დააკარგვინა თავისი პოლიტიკური ავტორიტეტი და "შევი"(როგორც მას თავისი ამერიკელი მეგობრები, კერძოდ, კლინტონი და მისი გუნდი ეძახდა) დემოკრატიული მმართველიდან დიქტატორად "მოინათლა".

3. ტოლერანტობა, სამოქალაქო თანხმობა, კომპრომისების მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა, პლურალიზმი. ე. შევარდნაძის ჩამობრძანება საქართველოში ურთულეს პერიოდს დაემთხვა. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ქუჩაში დღისით-მზისით შეეძლოთ ადამიანის მოკვლა. საჭირო იყო ახალი მიდგომების ძიება, რომ ქვეყანა სახელმწიფოს დამსგავსებულიყო და დასავლეთი დაინტერესებულიყო საქართველოთი. შევარდნაძემ დაასახელა: "სტაბილურობა, ვიმეორებ, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური კრედიტების მიღების გარანტიაა."[4] განსაკუთრებული დისბალანსი შეიქმნა ექსპრეზიდენტის მომხრეების მხრიდან, რომლებიც ყურადღების მიქცევის მიზნით ყველანაირ მოქმედებაზე მიდიოდნენ. საზოგადოებაში დიდი განხეთქილება და აზრთა სხვადასხვაობა იყო, რაც ახალი კონფლიქტების და განხეთქილების წყარო ხდებოდა. ასეთ ვითარებაში დემოკრატიული საზოგადოება ვერ დაიბადებოდა. საჭირო გახდა ამ ადამიანების

---

1. (1992). 3 მაისი. ე შევარდნაძის გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ. 2

2. (1992) 14 ნოემბერი. არჩევნების მზადებაში. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*.. გვ.1.

3. (1992). 29 ივნისი. ე. შევარდნაძის პასუხი. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ.1.

4. (1992). 19 სექტემბერი. ე. შევარდნაძის მიმართვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა*. გვ.1.

მოსმენა, მათი ჩართვა სამოქალაქო პროცესის მშენებლობაში. შევარდნაძემ განაცხადა: "ჩვენ არა ვკრავთ ხელს ჩვენ ოპონენტებს, მეტიც პატივს ვსცემთ მათ, ვინც გინდა იყვნენ ისინი, თუგინდ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ მათთან. მზად ვართ გვქონდეს მათთან დიალოგი, რა ძნელიც და რა რთულიც არ უნდა იყოს იგი."[1] ამასთან შევარდნაძემ მზადყოფნა გამოთქვა პირადად შეხვედრილიყო ზოგიერთ ლიდერებს და დიალოგის გზით მიეღწია შედეგისთვის: "ჩვენ მზად ვართ ყველასთან ვისაუბროთ. ვალტერ შურდაიას, თუკი კაცი არ ჰყავს მოკლული, შევეცდები შევხდე, როგორც კაცი კაცს, ადამიანი ადამიანს. შენც ხომ ქართველი ხარ, შენს ხომ ამ ქვეყნის შვილი ხარ, რა არის ჩვენს შორის გასაყოფი, რომ საერთო ენა ვერ გამოვნახოთ."[2] აქვე აუცილებლად მინდა ავღნიშნო, რომ ტოლერანტობა, პლურალიზმი, კომპრომისების ძებნის ხელოვნება და სხვისი აზრის პატივისცემაზე საკმაოდ რთული იყო საუბარი იმ ფონზე, რასაც რუსეთი უქმნიდა საქართველოს. ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადა, ინფორმაციული ომი ჩვენს წინააღმდეგ, დივერსიები და სხვა აქტებით ის ცდილობდა საქართველო შეეშინებინა და ხელში ჩაეგდო. ე. შევარდნაძემ მიმართა რუსეთს: "თქვენს თვალში საქართველო პატარა და სუსტი ქვეყანაა, რუსეთი კი დიდი და ძლიერი – იმდენად ძლიერი, რომ მის ზოგიერთ ხელმძვანელს ჰგონია, თითქოს უფლება ჰქონდეს თურქმენეთის გაზის მიწოდება შეუწყვიტოს სხვა რესპუბლიკებს."[3] როდესაც ყველა მხრიდან გიტევენ ძალიან რთულია წონასწორობის შენარჩუნება და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე ფიქრი, მით უმეტეს, როცა ასეთ დიდ და დაუღლელ მტერთან გაქვს საქმე, როგორიც რუსეთია. კრიზისი იყო ყველა დარგში, მოშლილი ყველა რგოლი. ედუარდ შევარდნაძემ ძალას ძალით არ უპასუხა და საზოგადოებას გამოუცხადა: "კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა დიალოგის გზაა, კომპრომისების გზაა, სხვა გზა არ არსებობს, რამეთუ ნებისმიერი სხვა გზა ადამიანთა გულს კი არ მოგვაგებინებს, არამედ დიქტატურასთან მიგვიყვანს."[4] დიქტატურა კი კიდევ დიდი ხნით ჩამოგვაშორებდა ცივილიზებულ სამყაროსთან იდენტურობას და ღირსეულ თანამშრომლობას. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ადამიანების გულების მოგებით, ის ერს გაამთლიანებდა და ამით ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა გაუადვილდებოდა. ამიტომ შევარდნაძე მიმართავდა ადამიენების გონებას, ზნეობას და მათ მოქალაქეობრივ შეგნებას, რომ მათში პასიხისმგებლობა გაეღვიძებინა: "დადგა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალი ეტაპი, რომლის ძირითადი საზრისი საქართველოს გამთლიანება, ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებაა. ახალი წესრიგი შინაარსლილობის დაძლევას, ეროვნული თანხმობის დაძლევას, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას

---

1. (1992). 14 დეკემბერი. გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ.1.

2. (1992). 18 მარტი. მიმართვა მოსახლეობას. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ.1.

3. (1992). 21 ივნისი. ე. შევარდნაძის მიმართვა რუსეთის პრემიერს. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

4. (1992). 10 აპრილი. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

ითხოვს უსისხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე."[1] შევარდნაძის ინიციატივით 1992 წელს 31 ივლისი საქართველოში ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისო მშვიდობის, შერიგების დღედ დაწესდა (სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის მანიფესტი).

4. ქალების, სხვადასხვა უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვა და საზოგადოებაში მათი ღირსეული ინტეგრირება. აღნიშნული პრინციპი შეიცავს საზოგადოების სხვადსხვა კატეგორიებს, რომლების ინტეგრაცია და უფლებების დაცვა ლაკმუსის როლს თამაშობს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისას. რა თქმა უნდა ეს კატეგორიები არსებობს ყველა სეხლმწიფოში, მაგრამ მათი დაცულობა ყველგან არ არის უზრუნველყოფილი. თქვენ წარმოიდგინეთ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველო, სადაც ყოველი მეორე ოპონენტი მიტინგის ჩატარებას ითხოვს და ამას დემოკრატიის პრინციპით ხსნის. შევარდნაძის მიდგომა ასეთი იყო: "დიდი დავაა მიტინგების გამო. რა თქმა უნდა, იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებენ, მიტინგების დარბევა დაუშვებელია. ეს უნდა გავიგოთ, მაგრამ მე ასევე ამ ხალხს, ამ ადამიანებს ვინც ამის ორგანიზაციას კისრულობს, ადამიანურად, თუ გნებავთ, მამაშვილურად ვთხოვ, როგორც მოქალაქე, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ ქვეყნისა, მოდით, მოვაწესრიგოთ ეს საკითხი."[2] კონფლიქტმა სამაჩაბლოში ახალი საზრუნავი გააჩინა – ეროვნული უმცირესობების პრობლემა, რომელიც სწორ და დროულ გადაწყვეტას ითხოვდა. შევარდნაძემ საერთაშორისო დონეზე გაიტანა საკითხი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მოითხოვა ეროვნულ უმცირესობათა საქმეთა კომისარის პოსტის შემოღება, რომელიც გააკონტროლებდა ამ ჯგუფების რეალურ მდგომარეობას, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც მრავალი კონფლიქტი აღმოცენდა, ვითომდა, ამ კუთხით. "დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ხალხების და ეროვნული უმცირესობათა უფლებებზე. დროა ასევე გარკვეულად დაისვას სტაბილურობისა და მშვიდობის დაცვისათვის მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. ეროვნულ უმცირესობათა პროტესტი ყურად უნდა ვიღოთ."[3] – აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ამ პერიოდში ნაკლებად იყო ლაპარაკი ქალის როლზე საზოგადოებაში, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის მხრიდან ამ საკითხზე არ არის პუბლიკაცია. ასევე შეზღუდულ შესაძლებლობათა პირების შესახებ... თუმცა სწორედ შევარდნაძის დროს დაიწყო არასამთავრობო სექტორმა ამ საკითხების ამოწევა საზოგადოებაში და აქტუალური გახადა ისინი. პრეზიდენტ შევარდნაძის დემოკრატიული რიტორიკა დასავლეთის და ქართული საზოგადოების წინაშე სხვა აქცენტებზე იყო კონცეტრირებული, რადგან მაშინ ადამიანის უფლებები ზოგადად და

---

1. (1992). 9 აგვისტო. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

2. (1992). 20 ივლისი. პრეზიდენტ ე. შევარდნაძის გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

3. (1992). 9 აგვისტო. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1

უმცირესობათა უფლებები ქვეყნისთვის გადამწყვეტი ღირებულება იყო. ”ჩვენ შევასრულებთ ყველა ნაკისრ ვალდებულებას, დროზე მოვაწყობთ დემიკრატიულ არჩევნებს, ავაშენებთ დემოკრატიულ სახელმწოფოს, სადაც საიმედოდ იქნება დაცული ადამიანის უფლებები და უხრუნბველყოფილი უმცირესობათა უფლებები.”[1] – ჰპირდებოდა ედუარდ შევარდნაზე მსოფლიო საზოგადოებას.

5. სამოქალაქო საზოგადოება. ‘სამოქალაქო საზოგადოება არის სწორედ ის სიმდიდრე, რომელიც გააჩნიათ დასავლურ ქვეუნებს – ზოგჯერ მისი მნიშვნელობის გაცნობიერების გარეშე. ეს არის სწორედ ის სიმდიდრე, რომელიც არ არსებობდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და რომელიც დღესაც გვაკლია.”[2] მითუმეტეს, ეს ფუფუნება არ არსებობდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა მოსახლეობის ხელში უთვალავი იარაღი იყო და მთავრობას სხვადასხვა ინტერესებით გაერთიანებული შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებდნენ. შევარდნაძის ნება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა მხოლოდ ნებად რჩებოდა, როცა გადიოდი ქუჩაში და შეიძლებოდა უკან ვერ მობრუნებულიყავი ცოცხალი. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო დასავლეთის ოჯახის წევრობა, ამიტომ პირველი რაც გააკეთა პრეზიდენტმა იყო ის, რომ: “დღეს ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ: უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი უნდა აიკრძალოს და ამაში მილიცია, პროკურატურა, ადგილობრივი ორგანოები უნდა დაგვეხმარონ. მე მივმართავ ყველა პოლიტიკურ პარტიას – დაგვეხმარონ ამ საკითხის მოგვარებასა და გადაწყვეტაში. არ შეიძლება პატარა ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა იყოს – 13 თუ 14 სხვადასხვა უწყებას ჰყავს შეიარაღებული რაზმები. ეს უნდა შეწყდეს.”[3] შეიარაღებული მოქალაქეები იყო საფრთხე საზოგადოებისათვის და არც ერთი უცხოელი არ შემოვიდოდა საქართველოში თუ არ მოხდებოდა განიარაღება და კრიმინალის დონის შემცირება. ამიტომ მეორე ნაბიჯი იყო: “უნდა დავაყენოთ ის საკითხი, რომ მოხდეს იარაღის რეგისტრაცია და დაკანონდეს იგი. უნებართვოდ იარაღის შენახვისთვის ალბათ უნდა განხორციელდეს ძალიან მკაცრი სანქციები. ვისაც უკანონო იარაღი აქვს უნდა დაისაჯოს.”[4] სამოქალაქო საზოგადოება წარნმოუდგენელია თანხმობის, თანამშრომლობის, სამოქალაქო სოლიდარობის და მოქალაქეთა ძალების კონსოლიდაციის და საერთო პასუხისმგებლობის გარეშე. შევარდნაძე ხედავდა, რომ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას მოქალაქეთა თანხმობა სჭირდებოდა. თანხმობა, რომელიც საზოგადოებად აქცევდა სხვადასხვა დაჯგუფებებს. ”ჩვენ ვიცით თუ რა არის თანხმობის დიადი ძალა. მას ვეყრდნობოდეთ დღესაც, როცა კვლავ გაჩაღდა და საშიშ ნიშნულს მიაღწია

---

1. (1992). 19 აგვისტო. აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესები. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ 1.

2. სამოქალაქო საზოგადოება.(2000).თბილისი.საზოგადოების კვლევის ცენტრი. გვ.38.

3. (1992). 7 ოქტომბერი. ვაშენოთ ახალი საქართველო. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

4. იქვე.

უთანხმოებებმა, რომლებმაც შეიძლება მოსპონ ყოველივე."[1] – განაცხადა მან. სამოქალაქო საზოგადოება დასავლეთში ერთ დღეს არ აშენებულა. იქ ამას უძღოდა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური რევოლუციები. საზოგადოების ასეთი შეთანხმებისკენ მოქალაქეები რამდენიმე ასეული წელი მიდიოდნენ. შევარდნაძემ აიღო ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოების წინაწე, რომ: "საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთგულებას საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისადმი, ადასტურებს და უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების და სხვა ასოციაციების შექმნას, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების, სიტყვის, პრესის, საკუთარი აზრის გამოხათვის თავისუფლებას საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ზნეობის მოთხოვნებთან შესაბამისობით."[2] ეს ნიშნავდა იმას, რომ კურსი უცვლელი იყო და დრო გვჭირდებოდა მიზნის მისაღწევად.

6. თავისუფალი მედია. სიტყვის, პრესის, მედიის თავისუფლების გარეშე არ არსებობს დემოკრატია. შევარდნაძის დროს საქართველოში მრავალი ოპოზიციური მედიასაშუალება გაიხსნა, მაგრამ მათში ყველაზე ოპოზიციური ტელევიზია – "რუსთავი2" , რომელიც 1994 წელს დაარსდა და დღესაც აგრძელებს თავის მოღვაწეობას. სწორედ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2" მოახდინა საქართველოში ვარდების რევოლუცია. ამ ტელევიზიასთან მრავალი მოვლენაა დაკავშირებული. მათ შორის ცნობილი ჟურნალისტის ვახო სანაიას მკვლელობა და ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილის შეშინების მცდელობა. სწორედ ამ არხმა გამოიყენა პირველად საქართველოში ჟურნალისტური გამოძიების ჟანრი და ამხილა შევარდნაძის გუნდის წევრები. შევარდნაძის მეორე პრეზიდენტობის დროს მრავალჯერ იყო მცდელობა შეეშინებინათ ამ ტელევიზიის ჟურნალისტები, დაეხურათ ეს არხი, მაგრამ ხალხი ამოუდგა მათ მხარში და არ დათმეს ტელევიზია. პრეზიდენტი შევარდნაძე მმართველობის პირველივე წლებში არ იყო სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მედიამ როგორც კი ამხილა მისი გუნდი, შევარდნაძე თავდაცვით პოზიციაზე გადავიდა და კანონიერების საბაბით ცდილობდა შეეჩერებინა მედიის ამგვარი მოქმედება.

7. დამოუკიდებელი სასამართლო. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პერიოდთან არის დაკავშირებული სასამართლო რეფორმა საქართველოში, რომელიც ევროკავშირის დახმარებით, კერძოდ, გერმანიის რესპუბლიკის ხელშეწყობით განხორციელდა. საქმე ეხება ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი მოსამართლეების დათხოვნას და ახალი ტესტირებული კადრების დანიშვნას, რომლებიც თავისი მომზადების დონით ევროქვეყნების სასამართლო სტანდარტებს მიუახლოვდნენ. რეფორმა არ ჩატარებულა ცარიელ ფურცელზე, მას მომზადების დიდი წინაეტაპი უძღოდა წინ. მათ შორის, ჩვენი ახალგაზრდა კადრების მომზადების პროცესი ევროპაში. ტესტის ბილეთები გერმანიაში დაიბეჭდა და

---

1. (1993). 16 მარტი. ე. შევარდნაძის გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ 2.

2. (1993). 21 სექტემბერი. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

დიპლომატიური ავიარეისით იქნა ჩამოტანილი საქართველოში. რეფორმა ეტაპობრივად ხორციელდებოდა და მსოფლიო და ქართული პრესა მას თვალს ადევნებდა. გამოცდების პროცესი ფართოდ შუქდებოდა ტელევიზიით. მედიამ ლადო ჭანტურიას, მინდია უგრეხელიძეს და მიხეილ სააკაშვილს ამ რეფორმის მამები უწოდა.

8. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ნება. საქართველოს გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნული პუნქტი უნდა ჩავთვალოთ დემოკრატიის პრინციპად, რადგან სწორედ კონფლიქტების მიმართ ხედვა, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ ოჯახში. "ტოტალიტარული რეჟიმების მსხვრევამ, მესიანური იდეოლოგიების კრახმა, ძალის უფლებაზე დაფუძნებული იმპერიების აღსასრულმა შექმნა ვაკუუმი, რომელშიც ახალი, დამანგრეველი სტიქიები შეიჭრა. იქმნება ახალი კერები, რომელთა მოწესრიგება ტრადიციული საშუალებებით ვერ ხერხდება."[1] – აღნიშნავდა ედუარდ შევარდნაძე თავისი მმართველობის დასაწყისში. პრეზიენტი იმთავითვე გაემიჯნა ძალის პოლიტიკას და სცადა ხალხებშორის დიალოგის გზით კონფლიქტის მოგვარება: "უნდა დავძლიოთ უნდობლობა – არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ ხალხებს შორისაც."[2] ძალიან რთული იყო ამ გზის გაკაფვა, მაგრამ საქართველოს სხვა არჩევანი არ ჰქონდა. რუსეთმა არ დაუტოვა მას სხვა არჩევანის საშუალება. "ჩვენ შევუდექით დიალოგს ცხინვალში." - ბრძანა ე. შევარდნაძემ ერთ-ერთ რადიოინტერვიუში. ოსებს და აფხაზებს ის საქართველოს მოქალაქეებად თვლიდა და ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობდა: "დღეს კი მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ ვეპატიჟებით ბატონ კულუმბეგოვს და მის კოლეგებს: ჩამობრძანდით, ბატონებო, თბილისში, გნებავთ დაცვის თანხლებით, გნებავთ დაცვის გარეშე, მე მინდა გითხრათ, რომ თბილისი თქვენი დედაქალაქია და ცხინვალი საქართველოა! ასე იყო, ასე არის და ასე იქნება! ერთადერთი გზა ამისთვის, რომ ჩვენ ამ ერთიან სახელმწიფოში მშვიდობის, მეგობრობის, თანაცხოვრების ყველა წესის დაცვით ერთად ვიცხოვროთ, ეს არის დიალოგის, ნორმალური და ცივილიზებული დიალოგის გზა."[3] შევარდნაძე შეხვდა აფხაზებს, ოსებს და რუსებს იმდენჯერვე რამდენჯერაც მათ მოითხოვეს ასეთი შეხვედრა. ამასთან ის ენდობოდა და იცავდა ყველა ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რასაც ხშირად არღვევდა მეორე მხარე. და ეს მაშინ, როცა რუსეთი საშინელ ომს აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ და ისე წარმოაჩენდა ფაქტებს თითქოს საქართველო დამპყრობელი იყო. კონფლიქტის ყოველი მოწესრიგების შემთხვევის შემდეგ რუსეთის მხრიდან თავს იჩენდა ახალი ინცინდენტი ან პროვოკაცია. "განსაკუთრებით ის გვაკვირვებს, რომ რუსეთის

---

1. (1992). 4 მაისი. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ.1.

2. (1992). 26 ოქტომბერი. ე. შებარდნაზის გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

3. (1992). 11 მარტი. მიმართვა ოსეტის ხელმძღვანელობას.გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 2.

პარლამენტის სპიკერმა ხმა აღიმაღლა მაშინ, როცა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა გახდა."[1](ე. შევარდნაძის პასუხი ხაზბულატოვს) პრეზიდენტი ხშირად აღნიშნავდა გულდაწყვეტით რუსეთის მიმართ: "ერთი სიტყვაც არ თქმულა ჩვენს სამშვოდობო ძალისხმევაზე, გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ რომ ვეწევით: იმაზე, რომ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის შინაგან ჯარების გაყვანის შემდეგ თავი შევიკავეთ მათი საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებით შეცვლისაგან, რის შედეგადაც მათი პოზიციები ოსეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს."[2] პატარა საქართველოში ორი შეიარაღებული კონფლიქტი მძვინვარებდა და ეს მაშინ, როცა რუსეთმა ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო მას, გადაუკეთა საბჭოთა კავშირის ყველა რესურსი (მათ შორის, გაზი და ელექტროენერგია), აწარმოებდა საშინელ ინფორმაციულ ომს ჩვენი ქვეყნის შესახებ (ბოროტების იმპერია და დამპყრობელი გვიწოდა), თვითონ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში, როგორც მხარე. "ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ის, რაც გვევალება, რეალობად ვაქციოთ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ჩვენი პოლიტიკა, რადგან ეს თუ არ მოვიმოქმედეთ, ვერ განვახორციელებთ ჩვენს ოცნებას თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოზე."[3] – ამბობდა ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს ხშირად უწევდა შევარდნაძის პოლიტიკური ავტორიტეტი დახმარებას, რომელიც არწმუნებდა მთელ მსოფლიოს, რომ: "თქვენთვის კარგად არის ცნობილი ჩემი ცხოვრებისეული და პოლიტიკური ფილოსოფია, ძალის პოლიტიკის მიმართ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება, დიალოგისა და აწინილ-დაწონილი გადაწყვეტილებებისადმი ჩემი ერთგულება. საქართველო – ოსეთის, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ჩემეული შეფასებაც კარგად ცნობილი უნდა იყოს თქვენთვის. მომაჩნია, რომ კონფლიქტი ექსტრემისტი პოლიტიკოსების მიერ იყო ინსპირირებული და მისი მოწესრიგების ერთადერთი გზა პოლიტიკური დიალოგი და მშვიდობიანი მოლაპარაკება გახლავთ."[4]

---

1. (1992). 16 ივნისი. ე. შევარდნაძის სიტყვა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

2. იქვე.

3. (1993). 18 ივნისი. ე. შევარდნაზის გამოსვლა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.* გვ. 1.

4. (1994). 26 იანვარი. პოლიტიკური დიალოგის გზა. გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა* გვ. 2

დ ა ს კ ვ ნ ა

მე ავიღე დასამუშავებლად საქართველოს ორო პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მმართველობის პერიოდი, რადგან ეს პერიოდი საინტერსოა იმით, რომ ჩემი აზრით ეს იყო მოსამზადებელი პერიოდი საქართველოსთვის პოსტკომუნისტური სივრციდან დასავლური დემოკრატიისკენ გადასვლისა. მიხეილ სააკაშვილის მმართველობიდან საქართველოში უკვე სხვა ეტაპი დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობისა.

ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა კურსს. ჩვენი სახელმწოფო მემკვიდრეა 1990 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმისა, რომელშიც თავისი ნება ქართველებთან ერთად ოსებმა და აფხაზებმაც გამოხატეს. სწორედ ამ მემკვიდრეობას ეფუძნება ჩვენი კონსტიტუციები და სხვა ლოკალური თუ საერთაშორისო ხელსეკრულებები, როცა საქართველოს როგორც სახელმწიფოს და მისი ტერიტორიული მტლიანობის აღიარების აქტს ეხება საქმე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული საძირკვლის ჩაყრის პერიოდი და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობდა შეეშალა ხელი საქართველომ ეს მაინც მოახერხა.

თემა ეხება დემოკრატიულ რიტორიკას ამ ორი პრეზიდენტების ოფიციალურ გამოსვლებში. საქმე იმაშია, რომ მათ სხვადასხვა ვადით მოუწიათ ამ პოსტზე ყოფნა და მოცემული ზღვა მასალიდან ბალანსის შენარჩუნების მიზნით შეკვეცილ იგნა ე. შევარდნაძის რიტორიკა, უფრო სწორედ კვლევაში ნაცვენებია მისი რიტორიკის საწყისი, შუა და ბოლო ეტაპი. კვლევა განხორციელებულია დემოკრატიის პრინციპების მიხედვით და გამოაქვს შემდეგი დასკვნები:

- <u>სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა</u> **ნულოვანია** ზ. გამსახურდიას დროს და შედარებით **მაღალია** ე. შევარდნაძის მმართველობისას. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ მეორე მმართველობის ბოლოს სცადა ამ აქტივობების შეძღუდვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხოლო ზ. გამსახურდიას შემთხვევაში, ჩემი აზრით, სწორედ ამ ფაქტორის უარყოფით იყო განპირობებული გარკვეულ წილად ოპოზიციის ასეთი კატეგორიული ზომები;
- <u>არჩევნების გზით მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება</u> ზვიად გამსახურდიასთან **მაღალია,** ხოლო ედუარდ შევარდნაძესთან **დაბალია,** მიუხედავად იმისა რომ არც ერთ პრეზიდენტს არ გადაუხვევია ხელისუფლებაში არჩევითობითობის გზით მოსვლის პრინციპისადმი. გამსახურდიას ხალხის მაღალი ნდობის კოეფიციენტი ჰქონდა და დიდი უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში

კონკურენტული საარჩევნო გარემოს პირობებში, ხოლო შევარნაძის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ყოველთვის სადაო იყო და არაერთ პრობლემას იწვევდა ოპოზიციაში. საბოლოოდ სწორედ ამის შეუსრულებლობას გადაჰყვა მისი საპრეზიდენტო კარიერა;

- <u>ტოლერანტობა, სამოქალაქო თანხმობა, კომპრომისების მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა, პლურალიზმი</u> **დაბალია** ზ. გამსახურდიასთან და **მაღალია** ე. შევარდნაძესთან, მიუხედავად იმისა რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში მრავალი შეცდომა გამოვლინდა ამ კუთხით;
- <u>ქალის, სხვადასხვა უმცირესობების და შეზღუდულ შეაძლებლობათა მქონე პირების უფლებების დაცვა და საზოგადოებასი მათი ღირსეული ინტეგრირება</u> ორივე შემთხვევაში **ნულოვანია** და საერთოდ მათ რიტორიკაში არ არის ამაზე არანაირი აქცენტი გაკეთებული. სხვა საკითხია ეროვნული უმცირესობები, რომელთან მიმართებაში ორივეს **მაღალი** მაჩვენებელი აქვს, ოღონთ შევარდნაძის შენთხვევაში სამაჩაბლოს კონფლიქტს აფხაზეთის კონფლიეტიც დაემატა;
- <u>სამოქალაქო საზოგადოება</u> **ნულოვანია** ზ. გამსახურდიას მმართველობის დროს და **იწყებს განვითარებას** ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში;
- <u>თავისუფალი მედია.</u> ზ. გამსახურდიამ კი გააუღერა, რომ დემოკრატიის პირობებსი მედიისა და სიტყვის თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს, მაგრამ ამ მიმართულებით **არაფერი გაკეთებულა**. ხოლო ე. შევარდნაძის დროს მედიის თავისუფლებამ **პიკს მიაღწია** და ამას საერთაშორისო საზოგადოებაც აღიარებს;
- <u>დამოუკიდებელი სასამართლო.</u> ზ. გამსახურდიამ მხოლოდ **გამიჯნა** და გამოყო საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მაგრამ სასამართლოს ცნობილი რეფორმა, რომელიც ევროსტანდარტებს მიუახლოვდა ე. შევარდნაძის დროს **განხორციელდა**;
- <u>კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ნება</u> ორივე პრეზიდენტთან **არსებობდა**. ორივე საკუთარ მოქალაქეებად თვლიდა ოსებს და აფხაზებს და დიალოგისკენ მოუწოდებდა. უბრალოდ შევარდნაძემ ეს ნება უფრო მაღალი ტრიბუნებიდან გააჟღერა და მოითხოვა კიდევაც ამ საკითხსი ევროპის უშიშროების თათბირის მსვლელობისას ეროვნულ უმცირესოთა საქმეში კომისარის დანიშვნა;
- <u>კონტენტ-ანალიზის</u> მხრივ ზ. გამსახურდიას რიტორიკაში **მწირედ** არის ნახსენები სიტყვა "დემოკრატია": მხოლოდ რამდენიმე გამოსვლაში და ისიც ერთ სტატიაიში 3-4 ჯერ. ხოლო ე. შევარდნაძის ყოველი გამოსვლა **დატვირთულია** ამ სიტყვით და ეძღვნება დემიკრატიის რომელიმე პრინციპს;
- <u>მიდგომების მხრივ</u> ზ. გამსახურდია ცდილობდა ყველა ხერხით **დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მერე დემოკრატიის** მსენებლობას, ხოლო ე. შევარდნაძე **დემოკრატიული მიდგომებით აპირებდა დამოუკიდებლობის დაცვას**;

- <u>ლექსიკის თვალსაზრისით</u> ზვიად გამსახურდიას რიტორიკაში არბობს სიტყვა "**დამოუკიდებლობა"**, ხოლო ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში – "**დემოკრატია**";
- <u>დემოკრატიის გაგების მხრითაც</u> განსხვავებული მიდგომებია: ზ. გამსახურდიასთვის დემოკრატია – **კანონის უზენაესობაა**, ხოლო ე. შევარდნაძისათვის – **დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა** და მათი რეალური ამუშავებაა;

როგორც ვხედავთ, საქართველოს ამ ორ პრეზიდენტის მმართველობაში საკმაოდ არსებითი განსხვავებები იყო დემოკრატიის საკითხების აღქმაში. სხვადსხვა იყო მიდგომებიც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისადმი. შესაბამისად, ამან თავისთავად იმოქმედა მათ კარიერაზე და დატოვა თავისი კვალი ქვეყნის ისტორიაში. რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე თავისი არსით განსხვავდებოდნენ ერთმანითისაგან და მტრადაც კი აღიქვადნენ ერთმანეთს, მაგრამ ორივეს ბევრი რამე აღმოაჩნდათ საერთო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიდან დაწყებული საქართველოს რიგითი მოქალაქის - იქნებოდა ეს ქართველი, რუსი თუ აფხაზი - მათი ტკივილით ცხოვრება. ეს საკმაოდ ნათლად ჩანს მოცემულ პუბლიკაციებში. გავა წლები და კიდევ ახლებურად გადაიხედება მათი მოღვაწეობის წლები და შეიძლება სულ სხვა შეფასება მიეცეს მათ რიტორიკას...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოლოვიოვი, ა. ი. (2003). *პოლიტოლოგია. პოლიტიკური თეორია. პოლიტიკური ტექნოლოგიები.* მოსკოვი: ასპექტ-პრეს.
2. მუხაევი, პ. ტ. (2002). *პოლიტოლოგია.* მოსკოვი: პრიორ.
3. მუხაევი, პ. ტ. (2000). *პოლიტოლოგია.* მოსკოვი: პრიორ.
4. ბასილიცა, მ. ა. (2004). *პოლიტოლოგია.* მოსკოვი: გარდარიკი.
5. გუბსკი, ე. ფ. კორაბლიოვა, გ. ვ. ლუტჩრნკო, ვ. ა. (2004). *ფილოსოფიის ენციკლოპედიური ლექსიკონი.* მოსკოვი: ინფრა-მ.
6. სმეიზერ, ნ. (1998). *სოციოლოგია.* მოსკოვი: ფენიქსი.
7. ჯონსონი, ჯ. ბ. რეინოლდსი, ჰ. ტ. (2013). *პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები.* თბილისი: ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტი.
8. (2000). *სამოქალაქო საზოგადოება.* თბილისი: საზოგადოების კვლევის ცენტრი.
9. გოლბერგ, ს. (1991). *მასალები თავისუფლებაზე.* ვენა: აშშ-ს საელჩო.
10. (1997). *დემოკრატიის საკითხები. თავისუფალი პრესა.* რუსეთი: აშშ-ს საელჩო.
11. (1997). *პრესის როლი.* თბილისი: აშშ-ს საელჩო.
12. (1991-2003). გაზეთი *საქართველოს რესპუბლიკა.*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

V სემესტრის დოქტორანტი

გიორგი გოგსაძე

სადოქტორო სემინარი

„ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი

თბილისი

2017

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მრავალეთნიკური საქართველო ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის აუცილებლობის წინაშე დადგა. 90-იანი წლების ორმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტმა საქართვლოს მძიმე შედეგები მოუტანა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით გონივრული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, რათა საქართვლოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შემცირდეს პოტენციური კონფლიქტის ან დაძაბულობის შესაძლებლობა სატიტულო მოსახლეობას და უმცირესობებს შორის.

მრავალეროვან სახელმწიფოში უმცირესობების ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციის პროცესისთვის. კონსოლიდირებული დემოკრატიის არმქონე ქვეყნებში, ერი-სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკა ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკას. ერი-სახელმწიფოს კონსტიტუციები ძირითადად ცნობენ მხოლოდ სატიტულო ერის ენას და ეროვნული რელიგიისთვის უპირატესობის მინიჭებას. ხშირად, დომინანტური ერის კულტურული სიმბოლოები აისახება სახელმწიფოს სიმბოლიკაზე.[1] საპირისპიროდ, დემოკრატიული პოლიტიკა სახელმწიფოს მშენებლობისას მიმართულია ფართო და მონაწილეობრივ მოქალაქეობაზე, როდესაც ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები ენიჭება.[2]

ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის ეთნიკური უმცირესობების წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაცია სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სახელმწიფოებს აქვთ პრაქტიკული ინტერესი, რათა უზრუნველყონ მოქალაქეების მონაწილეობა (მიუხედავად იმისა უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელია ის) საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. თუ მრავალფეროვან საზოგადოებაში არ ტარდება კარგი ინტეგრაციის პოლიტიკა, მაშინ არსებობს საშიშროება, რომ

---

[1] დომინანტური ერის კულტურული სიმბოლოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე ასახვის კარგ მაგალითად საქართველოს დროშა და გერბი გამოდგება.

[2] ჟორჟოლიანი გია და სხვები. დემოკრატიზაცია: საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო. „მეცნიერება“. თბილისი. 2001. გვ. 64-65

კომპაქტურად განსახლებული უმცირესობა დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლირებული აღმოჩნდება.[3]

2012 წელს ეუთომ მიიღო დოკუმენტი, რომელიც ცნობილია, როგორც ლიუბლიანას გზამკვლევი მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის. მისი მიზანია გამოკვეთოს ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისას. ლიუბლიანას გზამკვლევი სახელმწიფო ვალდებულებებს განსაზღვრავს. განასხვავებენ ვალდებულებებს, რომელებიც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პრეროგატივაა, რათა შექმნას შესაბამისი გარემო სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ინდივიდუალურ ვალდებულებებთან. სახელმწიფო ვალდებულების შემთხვევაში, ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს შემდეგი პრინციპები: კარგი და დემოკრატიული მმართველობა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის უმცირესობათა უფლებების დაცვა. ასევე არის ისეთი პრინციპები როგორიცაა: მრავალფეროვნების აღიარება, ნებაყოფლობითი თვით-იდენტიფიკაციის უპირატესობა, ერთობლივი საჯარო ინსტიტუტები, ჩართულობა და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაცია და ა.შ[4].

ეუთოს ეროვნული უმცირესობების საკითხებში უმაღლესი კომისრის მიხედვით, ინტეგრაციის მთავარი მიზანია იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე კარგი და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა[5]. ლიუბლიანას გზამკვლევის მიზანია დაამკვიდროს ზემოთაღნიშნული აზროვნება და მიდგომა. აღნიშნული გზამკვლევი სთავაზობს, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა არა მხოლოდ ისარგებლონ უფლებით, რომ ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში, არამედ ისინი წახალისებულნი უნდა იყვნენ ამისთვის. გზამკვლევი აღიარებს, რომ ინტეგრაციის პროცესის გატარება და შესაბამისი პოლიტიკის იმპლემენტაცია, ყოველთვის სახელმწიფოს ვალდებულებაა (თუმცა ამავდროულად არ

[3]The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: www.osce.org/HCNM

[4] Gijs Thus. Capabilities, Language proficiency and civic integration: assessing capabilities related to civic integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia. Utrecht University. December 2016. Pg. 36

[5] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012.Pg. 3-4. Available at: www.osce.org/HCNM

არსებობს ზოგადი რჩევა სახელმწიფოებისთვის და მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული პოლიტიკა გაატაროს საკუთარი სპეციფიკიდან გამოდინარე)[6].

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოგიდგინოთ, საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასება, მოცემული მიზნის მისაღწევად ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: უნდა კერძოდ:

1. რამდენად ინტეგრირებულნი არიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
2. შევეცდებით შევაფასოთ საქართველოში, დამოუკიდებლობის პერიოდში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის დინამიკა;
3. ნაშრომში განვიხილავთ ეუთოს ლიუბლიანას გზამკვლევს მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის და შევეცდებით დავადგინოთ რამდენად მოდის საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკა შესაბამისობაში ლიუბლიანას გზამკვლევში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან.

ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული და სომხური წარმომავლობის თემებზე, რადგან ისინი ჩვენი ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ წარმოებული სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებლად. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრაქტიკული შედეგები მთლიანობაში შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ლიუბლიანას გზამკვლევში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან. ამასთან, ჩვენი აზრით, მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში წინ გადადგმული ნაბიჯებისა, სახელმწიფოს საკმაოდ დიდ მუშაობა მოუწევს, რათა მოხდეს როგორც ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, ასევე, არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. ნაშრომის ძირითად ნაწილში საუბარი გვექნება ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე.

---

[6] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012.Pg. 3-4. Available at: www.osce.org/HCNM

ნაშრომში გამოყენებულ იქნა სალიტერატურო და ანალიზის მეთოდები. რაც გულისხმობს განსახილველ სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების და საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტების მოძიებას, მიმოხილვასა და ანალიზს. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის შეფასებისას (ასევე მათი საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობის განხილვისას) გამოყენებული იქნა საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები (აგრეთვე სამთავრობო სამოქმედო გეგმები), სახალხო დამცველის და ადგილობრივი არასამთავრობოების ანგარიშები და კვლევები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების, მათ შორის, გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის, ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ტომას ჰამარბერგის ანგარიშები. ასევე დიდი ყურადღება მივაქციეთ ამ სფეროში მოღვაწე ექსპერტებისა და მეცნიერების ნაშრომებს, როგორიცაა გიორგი სორდია, სანდრა ველოი მატეუ, გიის ტუსი და ა.შ.

პირველ ნაწილში მოცემული იქნება ინფორმაცია ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოზე და სტატისტიკური მონაცემები საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების შესახებ. მეორე ნაწილში განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას უმცირესობებთან მიმართებაში დამოუკიდებლობიდან დღემდე. შემდეგ განხილული იქნება ლიუბლიანას გზამკვლევის მიერ გამოყოფილი ინტეგრაციის მთავარი სფეროები და არსებული მდგომარეობა. ნაშრომში მიმოხილულია უმცირესობებისა და რეგიონული ენების ევროპული ქარტია, რადგან ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან და ინტეგრაციასთან საქართველოში. ნაშრომის ბოლოს წარმოვადგენ დასკვნას.

საქართველოს კონსტიტუცია და საკანონმდებლო ჩარჩო

ლიუბლიანას გზამკვლევის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები ასახული უნდა იყოს კონსტიტუციაში, ასევე სპეციალურ ნორმებსა და მექანიზმებში. უმცირესობათა უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია[7].

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, აგრეთვე – მათ თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილებისა. 38-ე მუხლის თანახმად: „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“[8]. საქართველოში აკრძალულია პარტიის შექმნა ტერიტორიული ან რეგიონული ნიშნის მიხედვით[9]. ამავდროულად, არ არსებობს კონკრეტული კანონი ეთნიკური უმცირესობების სტატუსისა და უფლებების შესახებ[10]. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მიერ აღინიშნება, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ დახვეწას საჭიროებს.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონით ყველა სამართლებრივი პროცედურა ქართულად უნდა განხორციელდეს. ამავდროულად, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მეათე მუხლი საშუალებას აძლევს პირს, თუ მან არ იცის ქართული ენა მიეჩინოს თარჯიმანი, რომლის მომსახურება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან[11]. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელებულია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს თარგმანის დაბალი დონე, ასევე ზოგიერთმა თარჯიმანმა ცუდად იცის

---

[7] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 29. Available at: www.osce.org/HCNM

[8] საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

[9] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“. მუხლი 6. ხელმისაწვდომია: http://smr.gov.ge/Uploads/doc25_6a7b68c1.pdf

[10] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 10. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[11] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. მუხლი 10. სამართალწარმოების ენა. ხელმისაწვდომია: http://smr.gov.ge/Uploads/doc25_6a7b68c1.pdf

ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. თარჯიმანთა ოფისთა შექმნა ჯერ-ჯერობით ვერ ხორციელდება[12]. სამცხე-ჯავახეთში არაოფიციალურად ბევრი სამართლებრივი პროცედურა სომხურ ენაზე ტარდება.

2014 წელს მიღებულ იქნა დისკრიმინაციის ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი. რომლის მიზანი გახლდათ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა, რადგან მანამდე არსებული დისკრიმინაციის ნორმები არაეფექტური იყო და დარღვეული უფლებების აღდგენის სათანადო მექანიზმი არ არსებობდა. კანონმდებლობით დაცული ნორმებით ყველა თანაბრად ისარგებლებს, მათ შორის განსხვავებული ეროვნული თუ რელიგიური ნიშნის მქონე პირები.

სტატისტიკური მონაცემები საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნული უმცირესობების შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობებს აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენენ. მათი დიდი ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. საქართველოში ჩატარებული 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, ქვეყანაში 168 ათასი სომხური ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, ხოლო აზერბაიჯანული ეროვნების - 233 ათასი (სომხური და აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა, საერთო ჯამში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 11%-ს შეადგენს)[13]. სომხური ეროვნების მქონე მოსახლეობა ძირითადად სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, აღნიშნული ტერიტორია საზღვრისპირა ტერიტორიას წარმოადგენს, ისტორიულად ეს ტერიტორია შედარებით იზოლირებული და მოწყვეტილი იყო ცენტრს, რამაც გაართულა აქ მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ-ლინგვისტური ინტეგრაცია საქართველოში. დაახლოებით, იმავეს თქმა შეიძლება აზერბაიჯანული ეროვნების მქონე მოქალაქეებზე, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგენენ.

---

[12] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 39. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია. ხელმისაწვდომია: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

შესაბამისად, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნების მქონე მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაცია ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსთვის, ხოლო აღნიშნული საკითხის შესწავლა საკმაოდ აქტუალურია სამეცნიერო თვალსაზრისით.

საქართველოს მოსახლეობის 233 ათასზე მეტი ადამიანი აზერბაიჯანულს თავის მშობლიურ ენად თვლის (სულ ქვემო ქართლის ქვემო ქართლის მოსახლეობა 423,986 ათასს შეადგენს; ამ რეგიონში აზერბაიჯანული ეროვნების პირთა რაოდენობა 177 ათასია. ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ კახეთის ტერიტორიაზეც, მათი რიცხვი დაახლოებით 32 ათასია). დაახლოებით 44 ათასი თავისუფლად ფლობს ქართულ ენას, მათგან დაახლოებით 19 ათასი ცხოვრობს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც არ ფლობენ ქართულს თავისუფლად დაახლოებით 173 ათასია; ამ უკანასკნელთაგან დაახლოებით 143 ათასი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სახლობს. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანული უმცირესობის წარმომადგენლები ვერ იქნებიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში, სანამ არ გაიზრდება მათი ქართული ენის ცოდნის დონე, რომელიც წარმოადგენს მთავარ წინაღობას მათი ინტეგრაციის მიმართულებით. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს რათა გააუმჯობესოს ქართული ენის ცოდნა უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე.

საქართველოში სომხური ეროვნების მქონე მოსახლეობა 168 ათას შეადგენს, მათ შორის, 81 ათასი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს (სულ ამ რეგიონის მოსახლეობა 160,504 ადამიანია. აღნიშნული რეგიონი საქართველოს ტერიტორიის 10.7% შეადგენს). ამ რეგიონში სომხები ყველაზე დიდი რაოდენობით ჯავახეთის ისტორიულ პროვინციაში ცხოვრობენ, კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკურად სომხური მოსახლეობის რაოდენობა 95%-ზე მეტია[14]. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დაახლოებით 22 ათასი სომხური წარმოშობის მოქალაქე ბინადრობს. სომხურ ეროვნების მქონე უმცირესობებში ქართულად თავისუფლად მოსაუბრე პირთა რაოდენობა 57 ათასია, მათგან 17 ათასი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სახლობს. ხოლო მათი ციფრი ვინც ქართულს არ ფლობს

[14] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 7. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

თავისუფლად 75 ათასზე მეტია, აღნიშნული რაოდენობიდან 57 ათასზე მეტი სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებელია[15].

სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხის მიმართ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში

1989-1991 წლებში ეროვნული უმცირესობების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა საქართველოში. გამსახურდიას ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად გაეტარებინა უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა. უმცირესობების წარმომადგენლები უფრო ქართული სახელმწიფოსთვის საფრთხის მატარებლად აღიქმებოდნენ. ქართულ-ოსურმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა ეროვნულ უმცირესობებს არასტაბილურობის და დაუცველობის განცდა ჩამოუყალიბა, და ბიძგი მისცა მათი ემიგრაციის პროცესს.

ვითარება შეიცვალა შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში. პრაქტიკულად შეწყდა ღია აგრესიის შემთხვევები, თუმცა დარჩა ეთნიკური უმცირესობების მიმართ დომინანტური დამოკიდებულება, და არ გატარებულა რაიმე თანმიმდევრული პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით. ხელისუფლება ძირითადად თვალს ხუჭავდა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების პრობლემებზე, თუმცა ამავე დროს ნაკლებად ახვევდა თავს რაიმე შეზღუდვებს. ამის პასუხად უმცირესობების წარმომადგენლები ერთხმად აძლევდნენ ხმას მმართველ პარტიას. აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობით დასახლებული რეგიონები ეკონომიკურადაც და სოციო-კულტურულადაც საქართველოზე უფრო მეტად დაკავშირებულნი იყვნენ აზერბაიჯანთან და სომხეთთან.

ევრო საბჭოში გაწევრიანებისას, საქართველომ 1999 წელს აიღო ვალდებულება "რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის" რატიფიცირების შესახებ. 2002 წელს საქართველომ ხელი მოაწერა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

---

[15] მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდიდან. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები.
მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და ეროვნებების მიხედვით.
მოსახლეობის განაწილება რეგიონების, მშობლიური ენისა და ქართული ენის თავისუფლად ფლობის მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://census.ge/ge/results/census1/demo

ჩარჩო კონვენციას“, რომელიც 2006 წელს იქნა რატიფიცირებული. კონვენცია საქართველოს ავალდებულებს უზრუნველყოს პირობები უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. მიუხედავად ამისა არ შექმნილა სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებდა ამ ურთიერთობებს.

2003 წლამდე ეთნიკური უმცირესობები თავს საქართველოს მოქალაქეებად არ მიიჩნევდნენ, რადგან სოციალურ და სახელმწიფო საკითხებში მათი ჩართვის შესაძლებლობა არ არსებობდა. წლების განმავლობაში სამცხე-ჯავახეთი რჩებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონად, რაც განპირობებული იყო საკომუნიკაციო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სრული მოშლით, სამუშაო ადგილების სიმწირით და მძიმე კლიმატური პირობებით. რუსეთის გავლენამ ადგილობრივ მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, რუსეთის 62-ე ქვედანაყოფის სამხედრო ბაზა იქ ერთადერთი დამსაქმებელი იყო, რაც მოსახლეობას ვაჭრობის რესურსებსა და რუსეთთან მჭიდრო კავშირებს სთავაზობდა ახალქალაქში ადგილობრივ მკვიდრებს, ეს კიდევ უფრო მეტად აშორებდა ცენტრალურ ხელისუფლებას[16]. ამან განაპირობა რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესი გამწვავება და სოციალური ფონის დამძიმება, რაც სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის ფონზე კიდევ უფრო ამძაფრებდა დეზინტეგრაციის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და თბილისის ბაზართან სიახლოვის გამო ეკონომიკურად უფრო გამართული იყო, უკმაყოფილებას იწვევდა კორუმპირებული ჩინოვნიკების (საგზაო პოლიციის და სხვა) ზეწოლა ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები, კერძოდ:

[16] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 7. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

2005 წელს იქმნება საკონსულტაციო უწყება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომელსაც კოორდინირებას უწევს პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში. 2005 წლიდან მთავრობაში მოქმედებს ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ურთიერთობას სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ჯგუფებს და მთავრობას შორის. 2006 წელს – ძალაში შევიდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული კონვენცია, რამაც ბიძგი მისცა სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბებას და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესებას. 2007 წელს შესწორებები შევიდა საქართველოს კანონში ლტოლვილთა შესახებ. მიღებული იქნა საქართველოს კანონი რეპატრიაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, 1940-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან გასახლებული პირების საქართველოში დასაბრუნებლად. 2009 წლის დეკემბერში ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეობის შესახებ და გაუმჯობესდა საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ[17].

2004 წლის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული შემდეგი სახელმწიფო ორგანოები ზრუნავენ: საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, უმცირესობებისა და კანონის უზენაესობის დეპარტამენტი. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი[18].

2009 წლის 8 მაისს პრემიერ მინისტრის #348 დადგენილებით მიღებულ იქნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (შსიეკ) და სამოქმედო გეგმა, ეუთოს რეკომენდაციების შედეგად მოხდა სამოქმედო გეგმის (2009-2014 წწ) იმპლემენტაცია და კანონმდებლობაში შევიდა პოზიტიური ცვლილებები[19], რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხების გაუმჯობესების

[17] Gogsadze, G. et al., "Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)", The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014. Pg. 19
[18] Ibid: Pg. 21
[19] ECRI Report on Georgia (fifth monitoring cycle). Adopted on 8 December 2015. Published on 1 March. European Commission against racism and intolerance. Pg. 23.

საქმეში. ეს კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარჩო – კონვენციას და საქართველოს კონსტიტუციას, მიზნად ისახავს დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული კონსოლიდირებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, რომელიც მრავალფეროვნებაზე იქნება დამყარებული და ამავე დროს უზრუნველყოფს ყველა ინდივიდებისთვის იდენტობის შენარჩუნებას და განვითარებას, მათი კულტურის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას.

კონცეფცია განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიას და ექვს სამოქმედო მიმართულებას: განათლება და სახელმწიფო ენა, კანონის უზენაესობა[20], მედიის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ აქტივობებისთვის სახსრები ბიუჯეტიდან გამოიყოფა. სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინირებას ახდენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი[21].

2008 წლიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევალება ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება. სამინისტრო, ყოველწლიურად ადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ისეთ მიზნებს როგორიცაა: ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისებას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ინფორმაციასა და მასმედიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, უმცირესობების უფლებების შესახებ მოსახლეობის ცოდნის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება, მათი კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა[22].

---

[20] შსიეკ-ის თანახმად ეს მიმართულება ითვალისწინებს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო ვალდებულებებთან, დისკრიმინაციისგან ეფექტურ დაცვას და ა.შ.

[21] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია. საქართველოს მთავრობის განკარგულება N348. 2009 წლის 8 მაისი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642

[22] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2017 წლის გეგმა. ხელმისაწვდომია: http://smr.gov.ge/Uploads/Action_Pla_74390baa.pdf

ჩამონათვალი შესაბამისობაშია ლიუბლიანას გზამკვლევის მიერ გამოყოფილ მიზნებთან და პრინციპებთან.

2012 წელს ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო გაღრმავდა უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობა. ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში ის აქტიურად აღასრულებს საქართველოს მიერ რატიფიცირებულ კონვენციებს და შეუერთდება რამდენიმე საერთაშორისო (ევროპულ) კონვენციას.

ქართულმა ოცნებამ განახორციელა სხვადასხვა ქმედებები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, მათი განათლების გაუმჯობესების, ქართული ენის სწავლების კუთხით, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის რეალიზების მიზნით შემუშავდა ახალი სამოქმედო გეგმა. ასევე გადაიდგა ნაბიჯები მათი სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისთვის და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. არასამთავროების განცხადებით დადებითი მოვლენაა, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არჩევნები უფრო გამჭირვალედ და თავისუფლად ჩატარდა. გადაიდგა ნაბიჯები შსს-ს სისტემაში მათი დასაქმების (ადილობრივ დონეზე), ასევე თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის აკადემიაში მათი მოზიდვის მიზნით. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების ინტერესები რეალიზებაზე[23].

2013 წლის ნოემბერში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოს ავალდებულებს, უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია. 2014 წლის მაისში მიღებულ იქნა ანტი-დისკრიმინაციული კანონი, რომლის მიზანია აღმოფხვრას ყველა სახის პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევები[24]. მთავრობამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, რომელშიც წინ წამოწია რელიგიის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობის დაცვა.

---

[23] ინფორმაცია აღებულია ქართული ოცნების მმართველობის ორი წელი: არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება. ოქტომბერი 2012-დეკემბერი 2014. თბილისი 2015. გვ 50-51.
ხელმისაწვდომია: http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/06/qartuli_otsnebis_mmartvelobis_ori_tseli-arasamtavrobo_organizaciebis_shepaseba.pdf

[24] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. 02.05.2014 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf

მთავრობამ ასევე დაამტკიცა 2014-2016 წლების სათანადო სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გატარდეს სტრატეგიის შესაბამისი სამუშაოები. დასახულ მიზნებს შორის იყო რელიგიური დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რელიგიურ სიძულვილზე დაფუძნებული მოტივირებული დანაშაულების პრევენცია და შედეგიანი გამოძიება, სამოქალაქო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცება, რელიგიური ორგანიზაციებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ა.შ[25].

2014 წელს შეიქმნა რელიგიური საკითხების სახელმწიფო სააგენტო თუმცა ამ პროცესისას კონსულტაცია არ იქნა გავლილი სახალხო დამცველის აპარატთან და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან. (სახალხო დამცველს გააჩნია რელიგიათა საბჭო 2005 წლიდან). ჯერჯერობით საბჭო შემდეგ საკითხებზე მუშაობს რელიგიური ჯგუფებისადმი ფულის გამოყოფა, ისლამოფობიური თავდასხმების შემთხვევაში ადგილობრივი შერიგების მექანიზმების დაწესება, ახალი სტრატეგიისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება რელიგიასთან დაკავშირებით[26].

2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტი ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობების წახალისებას პოლიტიკურ პროცესებში, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და ა.შ[27].

მოქალაქეობა

ლიუბლიანას გზამკვლევის მიხედვით, უმცირესობების ინტეგრაციის დონის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მოქალაქეობა, ეფექტური

---

[25] საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ, 2014 წელი, საქართველო. გვ. 11. ხელმისაწვდომია: http://photos.state.gov/libraries/georgia/328671/pdfs/irfg14.pdf

[26] სააგენტომ გადაწყვიტა, რომ დაეფინანსებინა ოთხი რელიგიური ჯგუფი, როგორც ნაწილობრივი კომპენსაცია საბჭოთა რეჟიმის მიერ მიყენებული ზიანის ნიშნად. მუსლიმურმა თემმა 1 100 000 ლარი მიიღო, სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ - 300 000 ლარი, კათოლიკურმა ეკლესიამ - 200 000 ლარი, ხოლო ებრაულმა თემმა 100 000 ლარი. თუმცა ზემოთ ნახსენებმა ჯგუფებმა, ხაზი გაუსვეს გადაწყვეტილების მიღებამდე დიალოგის ნაკლებობასა და კრიტერიუმების გაუმჭირვალობას.
ცნობა აღებულია: ECRI Report on Georgia (fifth monitoring cycle). Adopted on 8 December 2015. Published on 1 March. European Commission against racism and intolerance. Pg. 28

[27] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1740. 2015 წლის 17 აგვისტო. თბილისი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879

მონაწილეობა, ენის ცოდნა, განათლება, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და კანონის აღსრულება: მართლმსაჯულების აღსრულება, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სიმბოლოების მრავალფეროვნება და საზოგადოებრივ სივრცეში მათი გამოყენების თავისუფლება[28].

უნივერსალური და არადისკრიმინაციული მოქალაქეობის კონცეფცია და პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი ელემენტია. ლეგალურად „მოქალაქეობა" განისაზღვრება, როგორც „ლეგალური კავშირი ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც არ მიუთითებს (აღნიშნავს) პიროვნების ეთნიკურ წარმომავლობას"[29]. ეთნიკური სომხები თუ აზერბაიჯანელები არ დგანან რაიმე კონკრეტული დაბრკოლების წინაშე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არც ერთ სამთავრობო თუ არასამთავრობო, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციას და არც საქართველოს სახალხო დამცველის რომელიმე მოხსენებაში არ გვხვდება ამ საკითხის შესახებ არანაირი შენიშვნა[30].

ლიუბლიანას დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო უნდა იცავდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს რომლებიც ცხოვრობენ უშუალოდ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ეს ასევე ეხება ორმაგი მოქალაქეობის მქონე მოქალაქეებს. მათი დაცვა აღნიშნული სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა. ინტეგრაციის პროცესი შეიძლება გაღრმავდეს, თუ იმ ადამიანებს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში. ბავშვებს რომლებმაც დაბადებისთანავე მიიღეს ორმაგი მოქალაქეობა არ უნდა ეკრძალებოდეთ ორმაგი მოქალაქეობის ქონა მათი სიცოცხლის მანძილზე[31].

მეორეს მხრივ, არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების მქონე მოქალაქეების ნაწილს (მათ შორის სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის მქონეს) აქვს როგორც საქართველოს ასევე მეზობელი ქვეყნის მოქალაქეობა (ეთნიკური წარმომავლობის მქონე ქვეყნის). ასევე ცნობილია, რომ

---

[28]The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: www.osce.org/HCNM

[29] Ibid

[30] Gogsadze, G. et al., "Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)", The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014

[31] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 44. Available at: www.osce.org/HCNM

მათი გარკვეული ნაწილი ამას არაოფიციალურად (საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ნებართვის გარეშე აკეთებს). ჩვენი აზრით მთლიანობაში აღნიშნული ფაქტი საგანგაშო მოვლენად არ უნდა შევაფასოთ. ისიც აღსანიშნავია რომ, ლიუბლიანას გზამკვლევი ორმაგ მოქალაქეობას ძირითადად პოზიტიურად აფასებს.

ეფექტური მონაწილეობა

ლიუბლიანას გზამკვლევი გამოჰყოფს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრესს უფლებასა და წინაპირობას თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული უფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობაში. სოციო-ეკონომიკური ჩართულობის გაზრდისთვის რეკომენდირებულია, პოზიტიური ვალდებულების აღება სახელმწიფოს მხრიდან, რათა სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფმა საწარმოებმა მოახდინონ ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკის გატარება. ასევე წახალისდნენ კერძო სექტორის დამქირავებლები, რათა მათ ხელი შეუწყონ უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს (მაგ: შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებით)[32].

2009-2014 წლის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. ეუთოს რეკომენდაციების შედეგად მოხდა სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და კანონმდებლობაში შევიდა პოზიტიური ცვლილებები[33]. აღნიშნული სამოქმედო გეგმის შედეგად, დაიწყო მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული გეგმების განხორციელება, როგორიცაა გზებისა და რკინიგზის მშენებლობა. მისი მიზანი გახლდათ გეოგრაფიული იზოლაციის შემცირება იმ რეგიონებთან, სადაც სახლობენ ეროვნული უმცირესობები. ასევე სამუშაო ადგილების შექმნა, რათა მომხდარიყო მათი ინტეგრაციის წახალისება შრომის ბაზარზე[34].

---

[32] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 46-47. Available at: www.osce.org/HCNM
[33] ECRI Report on Georgia (fifth monitoring cycle). Adopted on 8 December 2015. Published on 1 March. European Commission against racism and intolerance. Pg. 23.
[34] Ibid: Pg. 24.

კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. უმცირესობების მონაწილეობა საკუთარი და ფართო საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში ხელშეწყობილ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ (კულტურის პოლიტიკამ უნდა მოიცვას ისეთი პრინციპები როგორიცაა პლურალიზმი, დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია (მაგ: არა ტერიტორიული თვითმართველობა როგორიცაა კულტურული ავტონომია) და მონაწილეობა). სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ უნდა შეზღუდონ, თუ რომელ ენაზე ჩატარდება რელიგიური და კულტურული ღონისძიება. თუმცა მათ შეუძლიათ მოითხოვონ, რომ კულტურულმა ორგანიზაციებმა თარგმნონ ოფიციალური ან ადმინისტრაციული დოკუმენტები ოფიციალურ სახელმწიფო ენაზე[35]. დაცული უნდა იყოს როგორც კულტურული მემკვიდრეობა, რელიგიური პრაქტიკები, კულტურული ნაგებობები და ა.შ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე მოქმედებს რელიგიური დაწესებულებები სადაც მიმდინარეობს ღვთისმსახურება. სამწუხაროდ ადგილი აქვს გარკვეულ დაპირისპირებებს იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობს როგორც ქართული წარმოშობის ასევე ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობა (ე.წ შერეულ დასახლებებში). 2013 წელს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახდინა მინარეთის დემონტაჟი, იმ მიზეზით, რომ იგი უნებართვოდ შენდებოდა. ამ ფაქტმა დაძაბულობა და ძალადობა გამოიწვია. ხელისუფლების ჩარევა აღნიშნულ ინციდენტში არადამაკმაყოფილებელი იყო და მის მოვალეობაში შედის ყველა რელიგიისა და მრწამსის მოქალაქის უფლების დაცვა[36].

სახალხო დამცველის ანგარიში აღნიშნულია, რომ 2016 წელს შენარჩუნდა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების არასამართლიანი წესი. რელიგიურ უმცირესობებს ექმნებათ წინაღობები საკულტო ტიპის ნაგებობების მშენებლობისას, გარკვეულ შემთხვევებში მათ ექმნებათ პრობლემები მშენებლობის ნებართვის გაცემისას

[35] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 50-51. Available at: www.osce.org/HCNM

[36] ჰამარბერგი ტომას. საქართველო გარდამავალ პერიოდში. ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები. 2013 წლის სექტემბერი. გვ. 39

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან[37]. ნაბიჯები არ გადადგმულა, რათა რელიგიურ უმცირესობებს დაუბრუნდეთ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება.

2016 წელს კულტურის სამინისტრომ დაიწყო თბილისის პეტროს ადამიანის თეატრის რეაბილიტაციის ხელშეწყობა (სამუშაოები მალე დაიწყება). თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის თეატრის რეაბილიტაციის საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელია[38]. კულტურული ძეგლების დაცვის მხრივ, შედარებით კარგი მდგომარეობაა თბილისში, სადაც დაიწყო სხვადასხვა პროგრამების განხორციელება ძეგლების რესტავრაციის მიზნით. თუმცა ქვეყნის მასშტაბით ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლი მოითხოვს რეაბილიტაციას, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ გაიზარდა რელიგიურ უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები. მუსულმანებს ხელს უშლიდნენ შეკრებასა და ლოცვაში. საგამოძიებო უწყებებმა არ მიიღეს საკმარისი ზომები და დამნაშავეები დაუსჯელები დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯაროდ დაგმეს ეს ფაქტები[39]. კანონის უზენაესობის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საზოგადოების კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებების დაცვისთვის, პოლარიზაციის თავიდან აცილებისთვის, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და მეზობელ სახელმწიფოებთან (სომხეთთან და აზერბაიჯანთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შესანარჩუნებლად).

იმისათვის, რომ წარმომადგენლობა ადეკვატური იყოს ის არ არის აუცილებელი, რომ მათემატიკურად პროპორციული იყოს, თუმცა უნდა ასახავდეს საზოგადოების შემადგენლობას. უმცირესობებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობები ეფექტური მონაწილეობისთვის[40]. ჰამარბერგის ანგარიშში, საუბარია საქართველოში უმცირესობათა

---

[37] საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf

[38] საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016. გვ. 11. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf:

[39] ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში. მარტი 2014 წ. ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eu_georgia/progress_report_2014/enpprogress_report_2014_ka.pdf

[40] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 46. Available at: www.osce.org/HCNM

წარმომადგენლობის გაზრდის აუცილებლობაზე საჯარო უწყებებსა და არჩევით ინსტიტუტებში და მათი პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის წახალისებაზე[41].

ლიუბლიანას დოკუმენტი მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ შეუქმნან უმცირესობებს პირობები პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისთვის. საქართველოს კანონმდებლობა ქმნის შესაბამის გარემოს ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციისთვის, თუმცა მათი წარმომადგენლობა ცენტრალურ და ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურებში საკმაოდ დაბალია და არ არის პროპორციული. გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი მოუწოდებს, საქართველოს ხელისუფლებას, რომ მიიღოს ზომები, რათა გაიზარდოს ეროვნული უმცირესობების რაოდენობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე[42].

პოლიტიკურ პროცესსა და არჩევნებში ეთნიკურ უმცირესობებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მთავარი მიზეზი ენის ცოდნის დაბალი დონეა. მეორე მიზეზი პარტიებსა და არჩევნებში მონაწილეების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. პარტიები პრაქტიკულად არ ატარებენ წინასაარჩევნო კამპანიებს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. რაც უმცირესობებს კიდევ უფრო იზოლირებულს ხდის და იწვევს მათ დაბალ ჩართულობას პოლიტიკაში. ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად, ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯი და ცესკოს ვებ-გვერდზე ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ.[43] (ასევე, ერთ-ერთი მიზეზი რატომაც ეთნიკური უმცირესობები არ არიან ჩართულნი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათადმი ძირითადად სტერეოტიპული დამოკიდებულების არსებობაა).

როგორც აღინიშნა, საქართველოში წარმოდგენილი სომხური და აზერბაიჯანული უმცირესობები, საკმაოდ მწირად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეთნიკური უმცირესობები არაპროპორციულად იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს

---

[41] ჰამარბერგი ტომას. საქართველო გარდამავალ პერიოდში. ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები. 2013 წლის სექტემბერი. გვ. 37

[42] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 434. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

[43] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 40. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლობა წლების განმავლობაში იზრდებოდა, პროცენტული მაჩვენებელი მაინც დაბალია. 2016-2020 წლის მოწვევის პარლამენტის წევრთა 7.3% არის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი (აქედან 4 დეპუტატი არის აზერბაიჯანელი, 3 - სომეხი, 2 აფხაზი, ერთი ქურთი/იეზიდი და ერთი ოსი)[44]. უმცირესობების დეპუტატებს საპარლამენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მინიმალური გავლენა აქვთ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არჩევნებში მონაწილეობა განსხვავებული აქტივობით ხასიათდებოდა. 2010 წელს თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობა საკმაოდ მაღალი იყო, მაშინ როდესაც 2014 წელს-დაბალი. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს შორის საკმაოდ პესიმისტური დამოკიდებულებაა საარჩევნო პროცესის მიმართ, რადგან მათ არ აინტერესებთ ქართული პოლიტიკა[45]. აღნიშნული დამოკიდებულება სერიოზულ წინაღობას წარმოადგენს ინტეგრაციის პროცესისთვის. ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში და საკრებულოებში ეთნიკურ სომხებს მოწინავე პოზიციები უკავიათ და ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. თუმცა, სამცხე-ჯავახეთის სხვა რეგიონებში ადმინისტრაციულ პოზიციებზე ქართველებს მოწინავე პოზიციები უკავიათ და სომხები არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი[46].

ამავდროულად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს უმცირესობებში განამტკიცოს გენდერული თანასწორობის პრინციპები, რათა გაუმჯობესდეს მათი წარმომადგენლობა და მონაწილეობა[47]. სომხური ან აზერბაიჯანული წარმოშობის ქალბატონები არ არიან წარმოდგენილნი 2016-2020 წლის მოწვევის პარლამენტში. ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დასახელებული ეთნიკური უმცირესობების წარმოშობის მაჟორიტარები ყოველთვის მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან (არის

[44] ინფორმაცია დაწვრილებით იხილეთ: ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში 2016-2020. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი. იანვარი 2017. ხელმისაწვდომია: http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf

[45] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 41-42. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[46] იქვე: გვ 40-41.

[47] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: Pg. 46. www.osce.org/HCNM

შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პარტიას შეყავს პროპორციულ სიაში ეთნიკური უმცირესობების წარმოშობის წარმომადგენლები, მათ შორის ქალბატონები)[48].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან ჩართულნი პოლიტიკაში, ძირითადად ენის არცოდნისა და კანდიდატების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებისა და კანდიდატების შესახებ ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდა, პოლიტიკური პარტიები მაინც ნაკლებ დროს უთმობენ ეთნიკური უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე პოლიტიკური კამპანიის ჩატარებას.

სახელმწიფოს ასევე მოუწევს ეფექტური მექანიზმების შემუშავება რათა თავიდან აირიდოს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირების თავიდან აცილება. ბოლო წლებში გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები ეთნიკური უმცირესობების კულტურული ძეგლების აღდგენის მიმართულებით (ძირითადად თბილისში), თუმცა, ამ მხრივ, კვლავ არსებობს პრობლემები. იმისათვის, რომ აცილებულ იქნას რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე არსებული დაპირისპირება, მნიშვნელოვანია უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა კანონმდებლობის და პოლიტიკის გატარების იმპლემენტაციასა და მონიტორინგის პროცესში.

ენის ცოდნა და განათლება

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან გამოჩნდა, ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. ხელისუფლებამ უნდა შექმნას საშუალება ოფიციალური ენის შესასწავლად, რათა არსებობდეს ერთი ან მეტი საერთო ენა, რომელიც აუცილებელია საზოგადოების ინტეგრაციისა და ფუნქციონირებისთვის. უმცირესობებს უმრავლესობასთან ერთად გააჩნიათ პასუხისმგებლობა მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს გულისხმობს, რომ უმცირესობებმა უნდა სათანადო დონეზე შეისწავლონ სახელმწიფო

[48] მდედრობითი სქესის წარმომადგენლების რაოდენობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, 12%-ს შეადგენს, რაც ძალიან დაბალია. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატებიდან მხოლოდ 17% იყო ქალი. სულ პარტიულ სიაში ქალთა რაოდენობა 37% იყო. ინფორმაცია აღებულია სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშიდან. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf

ენა[49]. საქართველოში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მოსახლეობას გააჩნია ქართული ენის შესწავლის საშუალება სკოლებში. ამ კუთხით სიტუაცია გაუმჯობესებულია.

ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა ქვეყნის სამოქალაქო, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის, წარმომადგენლობისა და ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი საკითხია. 2009 წელს დაიწყო პროგრამა „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა". 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტმა წარმოადგინა სპეციალური პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", რომელიც მოიცავდა არაერთ პროექტს (2015 წლიდან აღნიშნული პროგრამები გაერთიანდა და ამ უკანასკნელის სახელს ატარებს)[50].

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" მიხედვით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელე უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას. 2015 წელს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, იგი მთავარ როლს ანიჭებს ქართულ ენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გარკვეულ როლს - უმცირესობების ენებს. კანონი კრიტიკის საგანი გახდა ექსპერტების მხრიდან, რადგან აკნინებს უმცირესობათა ენებს[51].

2016 წლიდან დაიწყო მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მშობლიური ენის შესწავლის პროცესი (მათ შორის, ქისტური, ასურული, უდიური, ოსური და ხუნძური)[52]. მცირერიცხოვანი და გაქრობის წინაშე მყოფი (უდიური) ენების სწავლება ამ ენების გადარჩენისა და განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია და ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა აკმაყოფილებს ლიუბლიანას გზამკვლევის მიერ დაყენებულ მოთხოვნას, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას,

---

[49] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: Pg. 52-54. www.osce.org/HCNM

[50] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 27-28. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[51] იქვე: გვ. 12.

[52] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 431. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

უმცირესობების ენების დაცვით[53]. თუმცა არსებობს პრობლემები ენის მცოდნეებთან და სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.

სახელმწიფომ უნდა განავითაროს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც უმცირესობებს ექნებათ საშუალება ისწავლონ საკუთარ მშობლიურ ენაზე (განსაკუთრებით მათ მიერ დასახლებულ ტერიტორიებზე). საგანმანათლებლო პოლიტიკამ უნდა იპოვოს ბალანსი უმცირესობების უფლებას ისწავლონ საკუთარ ენაზე და იმ აუცილებლობას შორის, რათა შეიქმნას საერთო საგანმანათლებლო სივრცე ყველასათვის თანასწორი შესაძლებლობით მიიღონ ხარისხიანი განათლება. აღნიშნული საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა ისწრაფოდეს, რათა ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული და ინკლუზიური განათლების სივრცე, რომელიც პატივს სცემს მრავალფეროვნებას. შესაბამისად უნდა შეიქმნას ისეთი აუცილებელი სასწავლო გეგმა (კურიკულუმი), რომელიც მოიცავს და აღწერს სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობებისა და უმრავლესობის რელიგიას, კულტურას და მათ წვლილს ქვეყნის ისტორიაში. პლურალიზმი და განსხვავებული პერსპექტივა ასახული უნდა იყოს სასწავლო გეგმაში. ამ მხრივ, სკოლის სახელმძღვანელოები არ ასახავენ საზოგადოების მრავალფეროვნებას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში ასახვის მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასკოლო სახელმძღვანელოებში დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შინაარსის მქონე ცალკეული მასალების არსებობა.[54]“ ასევე ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის რომ, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოები არ შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს. უკვე დიდი ხანია ზემოთ ნახსენები სახელმძღვანელოები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოდის[55]. განათლების სამინისტროს მოუწევს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა, რომ ამ რეგიონებში სადაც სკოლებში არ ჰყავთ ორენოვანი პედაგოგი, ბილინგვური

---

[53] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: Pg. 52. www.osce.org/HCNM

[54] საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf

[55] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 429-430. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

სახელმძღვანელოდან სწავლება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ორენოვანი პედაგოგის არარსებობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება აღნიშნული წიგნების იმ ნაწილის სწავლა, რომელიც ქართულ ენაზეა შედგენილი[56]. სასწავლო წიგნების 70% იქნა თარგმნილი ქართულიდან უმცირესობების ენებზე, დანარჩენი 30% იგნორირებულია მასწავლებლების მიერ. ქართულის სწავლების ხარისხი პრობლემატურია, რაც უმცირესობების წარმომადგენლების შედარებით დაბალ განათლების დონეს იწვევს. ამის შედეგად, მათ წარმოექმნებათ ბარიერები დასაქმებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას[57].

ხელისუფლებამ ასევე გადადგა ნაბიჯები მასწავლებლების გადამზადების მხრივ. ის მხარს უჭერდა ქართული ენის 300 მასწავლებელს. თუმცა ბევრი მაინც ვერ ფლობს ენას სათანადოდ. პრობლემა არის არსებული პროგრამების უკმარისობა და არაეფექტურობა, სასწავლო ინფრასტუქტურის გაუმართავობა, კვალიფიციური კადრების და დაფინანსების სიმცირე. 2014 წელს ზურაბ ჟვანიის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ გადახედა უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების მეთოდებს. ამის შედეგად, სკოლაში უმცირესობებისთვის ქართულის როგორც მეორე ენის სწავლება, განხორციელებულ იქნა რვა რეგიონული ტრენინგის ცენტრში. აღნიშნული დადებითი მოვლენაა, თუმცა მისი მასშტაბი არასაკმარისია[58].

ენის სწავლების მხრივ დაიწყო შემდეგი პროექტი სახელწოდებით: „მასწავლებელთა დაწყვილება“, სამცხე-ჯავახეთიდან მასწავლებლებს მასპინძლობდნენ, სხვადასხვა ქართულენოვან ქალაქებში (2015წ) პროექტის ორი მიზანი ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სომხურენოვანი მასწავლებლების ქართული ენის ინტენსიური კურსით უზრუნველყოფა და მეორე, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ჯგუფებს შორის მულტიკულტურალიზმისა და საერთო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მხარდაჭერა[59].

---

[56] საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 500;

[57] ECRI Report on Georgia (fifth monitoring cycle). Adopted on 8 December 2015. Published on 1 March. European Commission against racism and intolerance. Pg. 25.

[58] Ibid: Pg. 24.

[59] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 11. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

2009 წელს ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში უმაღლესი განათლების შესახებ. უმცირესობებს საშუალება მიეცათ საკუთარ მშობლიურ ენაზე ჩაებარებინათ ერთიანი ეროვნული გამოცდები. ამან გაამარტივა უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. 2012 წელს 200-მდე სომხურენოვანი და 400-მდე აზერბაიჯანულად მოსაუბრე სტუდენტი ჩაირიცხა უმაღლესი განათლების დაწესებულებაში, მათი ციფრი იზრდება. აღსანიშნავია, რომ 2004 წლიდან უმცირესობების წარმომადგენლებს განსაზღვრული აქვთ ადგილების 5%-იანი ქვოტა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ინსტიტუტებში (ოთხი ტესტის ნაცვლად მათ მხოლოდ ერთი ტესტის ჩაბარება სჭირდებათ მშობლიურ ენაზე)[60].

2015-2020 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიხედვით სამოქმედო გეგმის მიხედვით საჯარო მოხელეებისთვის იგეგმება ტრენინგი ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების პროფესიულ განათლების ხელშეწყობას. 2012 წელს შეიქმნა პროგრამა, რომელიც შსს-ს შექმნილ სააგენტოებში ეთნიკური უმცირესობების დასაქმებისთვის იყო განკუთვნილი, 2013 წელს შსს-ში 456 ეთნიკური სომეხი იყო დასაქმებული[61].

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია

საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები დაჟინებით ურჩევენ საქართველოს ხელისუფლებას დააჩქაროს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია. საქართველოს ხელისუფლების წევრებმა აღნიშნული ქარტიის რატიფიცირების სურვილი საჯაროდ დაადასტურეს, მაგრამ იგი დღემდე არ არის რატიფიცირებული. პრობლემატურია ის საკითხი, რომ მოხდება აღნიშნული ქარტიის არასწორი ინტერპრეტაცია, რაც გაზრდის სეპარატიზმის რისკებს[62].

---

[60] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 11. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[61] იქვე: გვ. 37

[62] საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ის აზრი, რომ აზერბაიჯანული და სომხური მიჩნეულია დიასპორის და არა ტრადიციულ ენებად, რომლებიც საქართველომ უნდა დაიცვას. იხილეთ მატეუ გვ. 10

უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების მხრივ, არსებობს ორი გამოსავალი: 1. სახელმწიფომ უნდა ხელმისაწვდომი გახადოს ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლება, ან 2. დაკანონდეს „რეგიონული ენები“ საქმეთწარმოებაში სახელმწიფო ენასთან ერთად. ნაციონალურ მოძრაობას არ შემოუღია რეგიონული ენების სტატუსი. დღემდე ქართული ოცნების ხელისუფლებასაც არ მოუხდენია რეგიონული და უმცირესობათა ენების რატიფიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში საქმეთწარმოება ძირითადად უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს, რაც ფორმალურად კანონის დარღვევაა.

საქართველოს მიერ აღნიშნული ქარტიის რატიფიცირება საკმაოდ პოლიტიზირებულია და ეს თემა ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, აღნიშნული ქარტიის მიღება შეასუსტებს ინტეგრაციას. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ქარტიის მთავარ იდეა მდგომარეობს იმაში, რომ უმცირესობების და რეგიონული ენების აღიარებით მოხდეს კულტურული მრავალფეროვნების გამოხატულება[63]. ამავდროულად, ქარტიის მეხუთე მუხლის თანახმად, ქარტია არ უნდა განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებთან იქნება წინააღმდეგობაში[64]. “რეგიონული ან უმცირესობათა ენები არის ის ენები, რომლებიც:

1. ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე მისი მოქალაქეების მიერ, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს;

2. განსხვავდება სახელმწიფოს ოფიციალური ენის/ენებისაგან, ამაში არ შედის სახელმწიფოს ოფიციალური ენის/ენების დიალექტები ან მიგრანტთა ენები”. (მუხლი 1ა)[65]

---

[63] სორდია გიორგი. რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია და საქართველო. ხელმისაწვდომია: http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=339

[64] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 436. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

[65] ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ. განმარტებითი მოხსენება.

ქარტიის მეორე ნაწილში საუბარია გაქრობის წინაშე მყოფ ენებზე და მათი დაცვის მექანიზმებზე (მაგალითად აღნიშნული ენების საჯარო სკოლებში სწავლების ხელშეწყობა და ა.შ). ქარტიის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ კონკრეტული სახელმწიფოს გადასაწყვეტია, თუ რომელი ენები უნდა იქნას გათვალისწინებული დაცვის ქვეშ. (იგივე ეხება ქარტიის მესამე ნაწილსაც).

ექსპერტების მიერ ქარტიის განხილვისას გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები, როგორიცაა: აღნიშნულ ენაზე უნდა საუბრობდეს ადამიანების დიდი რაოდენობა, აგრეთვე არსებობდეს სულ მცირე ერთი ტერიტორია სადაც ამ ენაზე საუბრობენ და ეს ადამიანები უნდა ცდილობდნენ დაიცვან და განავითარონ საკუთარი ენა[66]. საქართველოში ყველაზე მეტად აზერბაიჯანული და სომხური ენები აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

სახელმწიფოს აქვს უფლება თავად აირჩიოს კონკრეტული ენები, რომლებიც, შესაძლებელია დაცულ იქნას ქარტიის მესამე ნაწილის მიერ, რაც რატიფიკაციის დოკუმენტში უნდა იყოს განსაზღვრული. „ამასთანავე სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ნაწილი III მხოლოდ გარკვეული მუხლების რატიფიცირება, ანუ ამოარჩიოს ის პუნქტები, რომლებიც ყველაზე მეტად არის რელევანტური მისი ლინგვისტური, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემატიკისათვის“[67].

ქარტია არ ითვალისწინებს რეგიონული ენის სტატუსის საკითხს და პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას ენისთვის. შესაბამისად ვერც ერთი უმცირესობების ენა საქართველოში ვერ შეიძენს დამატებით სტატუსს; შესაძლებელია ენისთვის დამატებითი უფლების მინიჭება, რაც უკვე ხორციელდება (მაგალითად განათლების მშობლიური ენაზე მიღება და ა.შ)[68].

მოსახლეობის ეჭვების გასაქარწყლებლად, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქარტიის, განსაკუთრებით კი მისი ცალკეული მუხლების ღია საჯარო განხილვებს, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ეს დებატები უნდა სისტემატურად შუქდებოდეს მედიის მიერ. აუცილებელია, რომ რეგიონული ენების ქარტიის რატიფიკაცია იყოს ქართულ საზოგადოებაში მიღწეული კონსესუსის შედეგი.

---

[66] ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ. განმარტებითი მოხსენება.

[67] სორდია გიორგი. რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია და საქართველო. ხელმისაწვდომია: http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=339

[68] იქვე

უსაფრთხოება და კანონის აღსრულება

ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მიერ გამოქვეყნებული ლუბლიანას გზამკვლევის „მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის“ მიხედვით, ქვეყნებმა პრიორიტეტად უნდა დაისახონ მართლმსაჯულების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ეთნოსთა შორისი ურთიერთობები გაუმჯობესდება, თუ უსაფრთხოების სამსახურის (მაგ: პოლიციის) შემადგენლობა ასახავს საზოგადოების შემადგენლობას (ამ კუთხით ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გადაიდგა ნაბიჯები უმცირესობათა წარმომადგენლების შსს სისტემაში დასაქმების მიმართულებით). ჯავახეთში ეთნიკური სომხებით დასახლებულ ტერიტორიაზე სამართალდამცავების უმრავლესობა სომხურად საუბრობს, თუმცა არ არის დაწესებული რაიმე მოთხოვნა მათი სამსახურში მიღებისას. შესაბამისად, თუ სამართალდამცველი ქართველი ეროვნებისაა, მას კომუნიკაციის პრობლემა აქვს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან. შესაბამისად უმცირესობების წარმომადგენლების რეკრუტირება აღნიშნულ ორგანოებში უნდა იყოს გამიზნული პოლიტიკა ან ხელისუფლებამ უნდა შექმნას პროგრამები, რომელიც საშუალებას მისცემს ქართულენოვან სამართალდამცველებს უმცირესობების ენის დაუფლებას. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების დასაქმებას სამართალდამცავ ორგანოებში და ამ მხრივ სიტუაციის გაუმჯობესებას[69]. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის პრობლემა სხვა სახელმწიფო უწყებებშიც იკვეთება. ვინაიდან ქართული ერთადერთ სახელმწიფო ენას წარმოადგენს, პროკურატურა, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ისევე, როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ქართულ ენაზე ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული თარგმნის სერვისი ყველა სახელმწიფო ორგანოში მოქმედებს. უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, 2007-დან 2011 წლამდე

[69] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 39. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

სომხურ ენაზე თარგმნის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 17 ათას ლარზე მეტი გამოიყო[70].

მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საქართველოს კანონმდებლობა მედიასთან დაკავშირებით დემოკრატიულია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია[71]. ქართული კანონმდებლობის, მათ შორის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ეთნიკურ უმცირესობებს მიაწოდოს ინფორმაცია და ახალი ამბები მათ მშობლიურ ენაზე. 2010 წლიდან აღნიშნული ტელევიზია სამუშაო დღეებში თხუთმეტი წუთის ხანგრძლივობის ახალი ამბების პროგრამას გადასცემს ეთნიკური უმცირესობების ენებზე. (საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენს „მოამბის“ სინქრონულ თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). აღნიშნული მოვლენა დადებითად შეფასდა სახალხო დამცველის მიერ, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს ციფრული მაუწყებლობის მიღებისთვის აუცილებელი ე.წ „სეთ-ტოპ-ბოქსებით“[72]. ამავდროულად, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები უმცირესების წარმომადგენლები, ინფორმაციას თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და ირანული არხების საშუალებით იღებენ[73]. აქედან გამომდინარე, მათ ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2012 წელს ქართული არხების მიერ გაშუქებული ახალი ამბები მინიმალურად ფარავდა ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან

---

[70] Gogsadze, G. et al., “Minority Integration in Geogia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)”, The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014. Pg. 25

[71] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 25. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[72] საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016. გვ.11. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf

[73] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 435. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

თემებს და პრობლემებს. დღევანდელი სატელევიზიო პროგრამები ვერ უზრუნველყოფს უმცირესობების მოთხოვნილებას სრულად მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა დოკუმენტური ფილმების სერია „ჩვენი ეზო“, რომელიც მიზნად ისახავდა, გაეშუქებინა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ფასეულობები, ისტორია, მათი პრობლემები, ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში წარმატებული თანაცხოვრება და მათი წვლილი ქვეყნის განვითარებაში. გადაცემა 2015 წელს დაიხურა და დღესდღეობით არ არსებობს მსგავსი გადაცემა, რომელიც ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელებს. რუსულენოვანი არხი „პიკ“ აშუქებდა კულტურულ პროგრამებს კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო უმცირესობებს შორის. 2012 წელს არხი დაიხურა, რაც უმცირესობების ინფორმირებულობის და ინტეგრაციის მხრივ საკმაოდ ცუდი იყო[74].

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიძლება ვერ გამოყოს მეტი თანხები ეთნიკური უმცირესობების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, აუცილებელია ალტერნატიული საშუალებების გამოძებნა. მაგალითად, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონული ტელევიზიების გაძლიერება. ამჟამად სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ტელევიზია მაუწყებლობს: ტვ ბორჯომი, მეცხრე არხი, ფარვანა და ტვ თორმეტი. ბოლო ორი სატელევიზიო არხი სომხურ ენაზე ფუნქციონირებს, თუმცა ცოტა პროგრამები აქვთ და მათი შესაძლებლობები ვერ აკმაყოფილებს რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნებს[75].

საზოგადოებრივი მაუწყებელი რადიოს მეშვეობით ასევე გადასცემს ახალი ამბების აუდიო ვერსიას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თუმცა მაუწყებლობა მიმდინარეობს დილის ხუთიდან ექვს საათამდე. მეტიც, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი აღნიშნული რადიოს დაფარვის ზონის გარეთაა. 2006-დან 2010 წლამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო რეგულარულად გადასცემდა პროგრამას „ჩვენი საქართველო“, რომელიც შუქდებოდა საქართველოში

---

[74] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 27-28. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[75] Gogsadze, G. et al., “Minority Integration in Geogia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)”, The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014.

მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ტრადიციები, კულტურა, ისტორია, პრობლემები და წარმატებები. მიუხედავად იმისა, რომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და მისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა „ჩვენი საქართველოს“ აღდგენას პროგრამა ჯერჯერობით არ გააქტიურებულა. აღსანიშნავია, რომ ორი კერძო რადიო „ალიქ მედია“ და „ნორი“ თანამშრომლობენ; პირველი უკანასკნელის რადიო ტალღების მეშვეობით, სამცხე-ჯავახეთში სომხურ ენაზე გადასცემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. სამცხე-ჯავახეთში არსებობს რამდენიმე ვებ-გვერდი, მათ შორის სომხურენოვანი (მაგ: ჯეი-ნიუსი), თუმცა სოფლებში ცოტას მიუწვდება ხელი ინტერნეტზე[76].

ბეჭდურ მედიაზე ხელმისაწვდომობის კუთხით მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. სამცხე-ჯავახეთში ფუნქციონირებს: „ბორჯომი“, და „სამხრეთის კარიბჭე“. ეს უკანასკნელი ორენოვანია და 1200 ქართულენოვანი და 500 სომხურენოვანი ტირაჟით გამოიცემა. საქართველოში ასევე გამოიცემა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“, თუმცა მათ მატერიალური რესურსები შეზღუდულია და ტირაჟი საკმაოდ მცირეა და ისინი ვერ ახერხებენ მოსახლეობის უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფას[77] (კარგი იქნება, თუ ხელისუფლება უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული გაზეთების ფინანსურ დახმარებას).

სიმბოლოების მრავალფეროვნება და საზოგადოებრივ სივრცეში მათი გამოყენების თავისუფლება

რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის არარსებობის გამო, ირღვევა ეროვნული უმცირესობების აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. რელიგიური უმცირესობები განიცდიან დისკრიმინაციას, კერძოდ, რელიგიური ორგანიზაციები არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის სუბიექტებს და დარეგისტრირება შეუძლიათ მხოლოდ როგორც ასოციაციებსა და ფონდებს, რაც ვერ უზრუნველყოფს რელიგიური ჯგუფის სათანადო თვითიდენტიფიკაციას და შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მიღებას. ეს პრობლემას უქმნის ღვთისმსახურების პროცესს; მათ არ შეუძიათ

[76] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 28-29. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

[77] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 435. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

უცხოეთიდან შესაბამისი რელიგიური ლიტერატურის შემოტანა, რადგან რელიგიური უმცირესობები არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის სუბიექტებს[78].

დასკვნა

ნაშრომში მიმოვიხილეთ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოში. ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ და არსებული მდგომარეობა. შევეცადეთ, შეგვეფასებინა რამდენად მოდის თანხვედრაში საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა ლიუბლიანას დოკუმენტის ძირითად პრინციპებთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით შედარებით აქტიური ნაბიჯების გადადგმა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს დაიწყო, რაც გაღრმავდა ქართული ოცნების მმართველობის დროს. მიგნების თანახმად, საქართველოს მიერ გატარებული ინტეგრაციის პოლიტიკა, ძირითადად შესაბამისობაშია ლიუბლიანას დოკუმენტში გამოყოფილ პრინციპებთან. თუმცა, არსებობს პრობლემატური სფეროები, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიქცევას და გაუმჯობესებას.

უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა, უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და ამით გამოწვეული დაბრკოლებებია, რაც ხელს უშლის მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში, განათლებას, დასაქმებას, პოლიტიკასა და სახელმწიფო სექტორში წარმომადგენლობას.

უმცირესობების წარმომადგენლებს დღესდღეობით უფრო მეტი საშუალება ეძლევათ დაეუფლონ ქართულ ენას. თუმცა ინტეგრაციასთან დაკავშირებული უპირველესი პრობლემა მაინც ენის უცოდინარობაა. ერთის მხრივ აუცილებელია სკოლებში განვითარდეს ქართული ენის სწავლება. პრობლემას წარმოადგენს სახელმძღვანელოების ხარისხი და ორენოვან მასწავლებელთა ნაკლებობა. არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამების დაფინანსების ზრდა და მასალების უმცირესობების ენაზე თარგმნა.

უმცირესობების ინტეგრაციის ენის სწავლებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემური მხარე ის არის, რომ განათლების სამინისტროს პოლიტიკა ეხება

[78] Gogsadze, G. et al., “Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)”, The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014

ახალგაზრდებს და იგი არ მოიცავს საშუალო და უფროსი ასაკის უმცირესობების მოსახლეობას, რაც მათ ინტეგრაციის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება. თავის მხრივ, ეს ფაქტი ახალგაზრდებისთვის ენის შესწავლას ართულებს[79]. უმცირესობების მოსახლეობის უფროსი თაობისთვის, ამ პრობლემის გადაწყვეტა კი რთული იქნება.

უმაღლესი განათლების მხრივ სიტუაცია გაუმჯობესებულია, რადგან უმცირესობებს მიეცათ საშუალება ოთხის ნაცვლად მხოლოდ ერთი მისაღები გამოცდა ჩააბარონ საკუთარ მშობლიურ ენაზე. ამ ცვლილების შედეგად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობის წარმოშობის მქონე სტუდენტების რაოდენობა ქართულ უნივერსიტეტებში. უმაღლესი განათლების მიღება ხელს შეუწყობს როგორც მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში ასევე მომავალ დასაქმებას. შესაბამისად, ზემოთაღნიშნული ნაბიჯი დადებითად უნდა შეფასდეს.

„უმცირესობათა და რეგიონული ენების ევროპული ქარტიის შესახებ“ რატიფიცირება საკმაოდ პოლიტიზირებულია. ხელისუფლებას აქვს უფლება თვითონ აირჩიოს, თუ ქარტიის რომელ მუხლებს (ნაწილს) აამოქმედებს, თუმცა მას ჯერ-ჯერობით არ მოუხდენია ქარტიის რატიფიცირება, რადგან ეს თემა ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს, ის შეიძლება არასწორად იქნეს ინტერპრეტირებული და გამოიწვიოს გარკვეული დაძაბულობა. აუცილებელია, რომ ცნობიერების დონის ამაღლებისთვის გაგრძელდეს საინფორმაციო შეხვედრები ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.

როგორც ნაშრომიდან გამოჩნდა, ეთნიკური უმცირესობებისთვის დამახასიათებელია საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში სუსტი მონაწილეობა, მათ შორის, აღსანიშნავია, ეთნიკური უმცირესობების დაბალი და არაპროპორციული წარმომადგენლობა ცენტრალური და სამხარეო დონის მმართველობასა და სამთავრობო ინსტიტუტებში. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ ხელისუფლებას, გააუმჯობესონ კანონმდებლობა და ხელი შეუწყონ პოლიტიკაში უმცირესობების წარმომადგენლების გაზრდას. დაბალი მონაწილეობის მთავარი მიზეზი ქართული ენის არცოდნაა, ამის გამო, უმცირესობებს მცირე ინფორმაცია აქვთ პარტიებსა და არჩევნებში მონაწილეების

[79] მატეუ სანდრა ველოი. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი. 2016. გვ. 24. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf

შესახებ. თავის მხრივ, უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიები, ხშირად, პოლიტიკოსების მიერ, იგნორირებულნი არიან საარჩევნო პერიოდში.

მედიაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ვითარება შედარებით გამოსწორებულია, თუმცა საინფორმაციო გადაცემა, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე უმცირესობების ენებზე გადაიცემა არ არის საკმარისი უმცირესობების ინფორმირებისათვის. ბოლო პერიოდში შეწყდა ეთნიკურ უმცირესობებზე მიმდინარე გადაცემები, რაც ინტეგრაციის პროცესისთვის არ არის კარგი. ადგილობრივი ბეჭდური მედია, შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, მცირე ტირაჟით გამოიცემა. იმის გამო, რომ საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ხშირად ინფორმაციას თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და ირანული არხების საშუალებით იღებენ, მწირია მათი ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც მათ იზოლაციას უწყობს ხელს. ამავდროულად, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პრობლემას წარმოადგენს უმრავლესობის ობიექტური ინფორმირება უმცირესობების შესახებ, ხშირად ინფორმაცია უმცირესობების შესახებ სტერეოტიპული შინაარსისაა[80]. შესაბამისად, სახელმწიფოს მოუწევს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა და რესურსების გამოყოფა, რათა გააუმჯობესოს უმცირესობების ხელმისაწვდომობა მედიასა და ინფორმაციაზე.

სახელმწიფომ ასევე გადადგა ნაბიჯები უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებისკენ საჯარო უწყებებში (მაგ: შსს). ეს დადებითი ნაბიჯია, რაც საჯარო უწყებებში გარემოს უფრო ტოლერანტულს გახდის. თუმცა იმის გამო, რომ ქართული ერთადერთი სახელმწიფო ენაა, სახელმწიფო უწყებებში და სასამართლოში ქართული ენა ფუნქციონირებს, რაც უმცირესობებისთვის ბარიერს წარმოადგენს ინტეგრაციის პროცესისას.

საქართველომ აიღო საკუთარ თავზე ინტეგრაციის პოლიტიკის გატარება და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. თუმცა, როგორც დავინახეთ, არსებობს გარკვეული პრობლემები. სახელმწიფოს მოუწევს უფრო ეფექტური ნაბიჯების გადადგმა, რათა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია განახორციელოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

---

[80] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016. გვ 435. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

(2015 წლის 17 აგვისტო). *"სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ". საქართველოს მთავრობის განკარგულება N1740.* თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879 -დან

(1992 წლის 5 ნოემბერი). *ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ. განმარტებითი მოხსენება.* Council of Europe. მოპოვებული https://rm.coe.int/168070aafc

(2017 იანვარი). *ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში 2016-2020.* ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი. მოპოვებული http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf -დან

მატეუ, ს. ვ. (2016). *სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. პოლიტიკის დოკუმენტი.* მოპოვებული http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf -დან

ჟორჟოლიანი, გ., ბერეკაშვილი, თ., & მუსხელიშვილი, მ. (2001). *დემოკრატიზაცია. საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში.* თბილისი: "მეცნიერება" ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.

(2014 წლის 25 მარტი). *საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში.* ბრიუსელი. მოპოვებული http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eu_georgia/progress_report_2014/enpprogress_report_2014_ka.pdf-დან

(2014). *საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ. საქართველო.* მოპოვებული http://photos.state.gov/libraries/georgia/328671/pdfs/irfg14.pdf-დან

საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ". მოპოვებული http://smr.gov.ge/Uploads/doc25_6a7b68c1.pdf -დან

(2014). *საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოპოვებული http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866-დან

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312-დან

საქართველოს კონსტიტუცია. მოპოვებული http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68 -დან

საქართველოს ორგანული კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ". მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324 -დან

საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ". მოპოვებული http://smr.gov.ge/Uploads/doc25_6a7b68c1.pdf -დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016) 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში. მოპოვებული http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4410.pdf -დან

სორდია, გ. (2013). *რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია და საქართველო.* მოპოვებული http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=339 -დან

(2013). *უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში.* აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. მოპოვებული http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG1_Umciresobebi_1.pdf -დან

(2015). *ქართული ოცნების მმართველობის ორი წელი: არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება. ოქტომბერი 2012 - დეკემბერი 2014.* თბილისი. მოპოვებული http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/06/qartuli_otsnebis_mmartvelobis_ori_tseli-arasamtavrobo_organizaciebis_shepaseba.pdf-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოპოვებული http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf http://census.ge/ge/results/census1/demo -დან

(2009). *შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642-დან

შერიგების სამინისტრო 2017 წლის გეგმა. მოპოვებული http://smr.gov.ge/Uploads/Action_Pla_74390baa.pdf-დან

ჰამარბერგი, ტ. (2013 წლის სექტემბერი). *საქართველო გარდამავალ პერიოდში. ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები.*

(2016 March 1). *ECRI Report on Georgia (fifth monitoring cycle). European Commision against racism and intolerance.* Council of Europe. Retrieved from www.osce.org/HCNM

Giorgi, Gogsadze et al. (2014). *Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti).* Tbilisi: The Levan Mikeladze Foundation.

(2012 November). *The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies.* Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities.

Thus, G. (December 2016). *Capabilities, Language proficiency and civic integration: assessing capabilities related to civic integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia.* Utrecht University .

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის და მედიის სოციოლოგია სადოქტორო პროგრამა

მეორე სემესტრის დოქტორანტი

მარიამ ამაშუკელი

სადოქტორო სემინარი

„ფორმალური განათლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური შესაბამისობა ეროვნულ შრომის ბაზართან და დასაქმებულების ტრანსფერული უნარების შეფასება საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია წულაძე

თბილისი

2017

ფორმალური განათლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური შესაბამისობა ეროვნულ შრომის ბაზართან და დასაქმებულების ტრანსფერული უნარების შეფასება საქართველოში

განათლებისა და დასაქმების შესაბამისობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია განათლების ეფექტიანობის კვლევის კონტექსტში. ფორმალური განათლების საფეხურსა და საქმიანობის ტიპს შორის განასხვავებენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შეუსაბამობას (education-job mismatch). ვერტიკალურ შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დასაქმებულის განათლების დონე იმაზე უფრო მაღალი ან დაბალია, ვიდრე მისი სამუშაოს შესრულება მოითხოვს (შინაარსობრივი და/ან პოზიციური თვალსაზრისით). ვერტიკალური შეუსაბამობის შემთხვევაში, განისაზღვრება დაბალკვალიფიციური (undereducated), შესაბამისად კვალიფიციური (well-matched) და დაბალკვალიფიციური (overeducated) დასაქმებულების წილი მთლიან სამუშაო ძალაში. განათლება-დასაქმების ვერტიკალური შესაბამისობის შეფასება ხდება დასაქმებული ინდივიდების განათლების დონესა (ფორმალური განათლების საფეხური) და მათი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო განათლების დონეს შორის სხვაობის გამოთვლით. აქვე უნდა განიმარტოს, რომ განათლებისა და დასაქმების შესაბამისობა არ გულისხმობს ფორმალური განათლების ხარისხის შესაბამისობას შრომის ბაზართან, არამედ ფორმალური განათლების საფეხურს, რომლის დამადასტურებელ დიპლომსაც ფლობს დასაქმებული. ჰორიზონტალური შეუსაბამობა კი აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ინდივიდი დასაქმებულია, თუმცა არა თავისი პროფესიით/სპეციალობით (OECD, 2014; Kupets, 2015).

განათლების და დასაქმების ვერტიკალური შესაბამისობა საქართველოში

პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური რეფორმები შედარებით გვიან დაიწყო, შრომის ბაზრის რესტრუქტურიზაცია განვითარებული ეკონომიკებისგან განსხვავებულად წარიმართა, სადაც დასაქმება ურთიერთსაწინააღმდეგო, კერძოდ, მაღალი და დაბალი კვალიფიკაციების საჭიროების მქონე მიმართულებით გაიზარდა. საქართველოსა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში გაიზარდა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოების რაოდენობა, გამრავლდა ისეთი საქმიანობები, სადაც მაღალია მოთხოვნა ფიზიკურ უნარებზე, მაგალითად, მშენებლობა, მომსახურების სფერო, ტრანსპორტირება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა. შრომის ბაზრის ამგვარმა ტრანსფორმაციებმა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ზრდასრული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განათლების ხარისხის, ცოდნისა და კომპეტენციების გაუფასურება გამოიწვია (credential inflation) იმის გათვალისწინებით, რომ პოსტ-კომუნისტური ქვეყნები (საქართველოს ჩათვლით) საუნივერსიტეტო განათლების მქონე მოსახლეობის მაღალი წილით ხასიათდებიან (Kupets, 2015). საბოლოოდ, ეს აისახა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მაღალ მაჩვენებლებში, ვინაიდან უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მოსახლეობა დათანხმდა სწორედ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულებას. ამავე დროს, უფროსი თაობის სამუშაო ძალა არ არის აღჭურვილი

თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა თუ უნარებით, რაც, თავის მხრივ, ცოდნის გაუფასურების პრობლემის გამოხატულება. საერთო ჯამში, სამუშაო ძალის აღნიშნული ნაწილი ეროვნულ შრომის ბაზარზე „ჩამოქვეითებული“ რჩება დაბალი პროდუქტიულობის მქონე სამუშაო ადგილებზე, სადაც პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მინიმალურია, ხოლო მათზე დაბალი კომპეტენციის მქონენი სულაც უმუშევრები ხდებიან (Kupets, 2015; OECD, 2016; Hanushek, 2017). „ჩამოქვეითების“ პროცესებს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში მუდმივად მზარდია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები, რომელიც აღემატება ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და შედეგად, სახეზეა, ერთი მხრივ, დისბალანსი სამუშაო ძალის შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, დაბერებულ სამუშაო ძალას ანაცვლებს ახალი თაობა, რომელიც ასევე თანხმდება დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს. შედეგად, კონკურენცია არსებულ შეზღუდულ ბაზარზე იზრდება და დაბერებული სამუშაო ძალა გადაინაცვლებს კიდევ უფრო დაბალი დონის სამუშაო ადგილებზე ან ხდება მისი გადანაცვლება უმუშევართა კატეგორიაში. საერთო ჯამში, დაბერებული თუ ახალგაზრდა სამუშაო ძალა, რომელსაც არ აქვს თანამედროვე სტანდარტის განათლება და უნარები, აფერხებს შრომის ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, ინოვაციური სამუშაო მიმართულებების განვითარებასა და ქვეყნის მაკროეკონომიკურ დონეზე პროდუქტიულობის ზრდას (Kupets, 2015; Aiyar et al., 2016).

მსოფლიო ბანკის მიერ 2015 წელს საქართველოში ჩატარებული რეპრეზენტატული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალის 64% შესაბამისად კვალიფიციურის კატეგორიაში ხვდება, 30% მაღალკვალიფიციურის, ხოლო 6% კი - დაბალკვალიფიციურის კატეგორიაში (World Bank Microdata, 2015). სხვა სიტყვებით, დასაქმებულების 64% აცხადებს, რომ მიღებული ფორმალური განათლების შესაბამის (ადეკვატურ) სამუშაოს ასრულებს, 30%-ს მიაჩნია, რომ მათი სამუშაოს შესრულება იმაზე უფრო დაბალი განათლების დონეს საჭიროებს, ვიდრე მათ აქვთ, ხოლო 6%-ის აზრით, ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულებასაც ფორმალური განათლების უფრო მაღალი დონე სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ პოსტ-კომუნისტური და გარდამავალი ეკონომიკის მქონე საქართველოს, უკრაინის და სომხეთის შემთხვევაში, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის წილი, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებისგან. რაც შეეხება დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალას, სამივე ქვეყნის მაჩვენებელი თვალშისაცემად დაბალია სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (Kupets, 2015, გვ. 6) [იხ. დიაგრამა 1].

დიაგრამა 1: ევროპის ქვეყნების სამუშაო ძალის განაწილება მაღალი (მუქი ლურჯი) და დაბალი (ღია ლურჯი) კვალიფიკაციის მაჩვენებლების მიხედვით.

წყარო: Skill mismatch and overeducation in transition economies. IZA World of Labor 2016: 224, p.6, Figure.1



რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში (და არა მხოლოდ) მიღებული შედეგები უტყუარია, იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტთა სუბიექტურ თვითშეფასებას ემყარება (self-assessment). თუმცა, აღნიშნულ შედეგებს და განსაკუთრებით კი შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ძალის ყველაზე მაღალ წილს საქართველოში, აქვს თავისი ახსნაც. როგორც უკვე ითქვა, საჯარო სექტორი საქართველოში დღეს ყველაზე დიდი დამსაქმებელია, სადაც შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ძალის 76%-ია თავმოყრილი, კერძო სექტორში კი მათი რაოდენობა 60%-ს შეადგენს [იხ. დიაგრამა 2]. როგორც აღმოჩნდა, შესაბამისად კვალიფიცირებულთა პროცენტული განსხვავება დასაქმების სექტორების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Independent T- Test, (F(786)= 36.5, p=0.000). საქართველო, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანა უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება (43% - World Bank Microdata 2015; 34% - სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2016; 27% - საქსტატის 2014 წლის საყოველთაო აღწერა), საჯარო სექტორში კი დასაქმებისთვის ფორმალური განათლების მოთხოვილი მინიმალური დონე ბაკალავრის ხარისხია (იხ. https://www.hr.gov.ge/). შესაბამისად, საჯარო სექტორში, მოთხოვნისამებრ, ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე პირები საქმდებიან, რაც განაპირობებს ამ სექტორში შესაბამისად კვალიფიციური დასაქმებულების მაღალ წილს (შეფასების მეთოდოლოგიის ლოგიკის შესაბამისად). რაც შეეხება დასაქმების კერძო სექტორს, ამ შემთხვევაშიც დამსაქმებლები უპირატესობას უმაღლესი განათლების მქონე სამუშაოს მაძიებლებს ანიჭებენ. თუმცა, არა იმიტომ, რომ განათლების ხარისხს ენდობიან, არამედ აქვთ მოლოდინი, რომ უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატები უფრო მარტივად, მოკლე დროში და მრავალგზის გადამზადების გარეშე (რაც კერძო კომპანიებისთვის დამატებითი ხარჯის ეკონომიაა) შეძლებენ სამუშაოსთვის ალღოს აღებას და საქმის წარმოებას (Kupets, 2015,). აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სტატისტიკა, რომლის თანახმად, შესაბამისად კვალიფიცირებულების წილი კერძო სექტორშიც ყველაზე მაღალია (64%).

დიაგრამა 2: ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალის განაწილება დასაქმების სექტორებში კვალიფიციურობის თვითშეფასების მიხედვით. წყარო: World Bank Microdata 2015



რაც შეეხება სამუშაო ძალის განაწილებას კვალიფიკაციის დონისა და სახელფასო განაკვეთის მიხედვით, შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ძალა მაღალია ანაზღაურების ყველა კატეგორიაში. მისი პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალია 250 ლარამდე ანაზღაურების კატეგორიაში (51%), დანარჩენ შემთხვევებში კი 70%-ს აჭარბებს. ამასთანავე, სწორედ 250 ლარამდე ანაზღაურების კატეგორიაშია მოხვედრილი მაღალკვალიფიციური დასაქმებულების უმრავლესობა (41%). ეს მაჩვენებელი მინიმუმ ორჯერ აღემატება დანარჩენ კატეგორიებში განაწილებულ მაღალკვალიფიციურთა წილს [იხ. დიაგრამა 3].

დიაგრამა 3: დასაქმებულების განაწილება კვალიფიციურობის თვითშეფასების მიხედვით სახელფასო კატეგორიებში. წყარო: World Bank Microdata 2015



ქვეყნის დონეზე მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი წილი (ყოველი მესამე დასაქმებული), საქართველოში სამუშაო ძალის დაბერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. კერძოდ, მაღალკვალიფიციურთა ყველაზე დიდი წილი 1946-1970 წლებში დაბადებულების კოჰორტაში ხვდება (33%), თუმცა მხოლოდ 3%-ით ჩამოუვარდება მას 1971-1987 და 1988-1996 წლებში დაბადებულთა პოპულაციებში (30%). ასაკსა და კვალიფიკაციას შორის კავშირის თვალსაზრისით, სომხეთი, უკრაინა და საქართველო განსხვავდება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისგან. კერძოდ, ძლიერად განვითარებულ ეკონომიკებში 50 წელს გადაცილებული სამუშაო ძალის უფრო მცირე რაოდენობა ხვდება მაღალკვალიფიციურის კატეგორიაში, ვინაიდან მათ უკეთესი

ტრანსფერული უნარები და შრომის ბაზარზე ვერტიკალური მობილობის უკეთესი შესაძლებლობები აქვთ საქართველოსნაირ (პოსტ-კომუნისტურ, ტრანზიტულ) ქვეყნებთან შედარებით. ამის მიზეზი კვლავ დაკავშირებულია საქართველოსა და სხვა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში სწრაფ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესტრუქტურიზაციის პროცესებთან და პირველ რიგში, საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის სისტემის ჩამოშლასთან, რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა განათლებისა და ამ განათლების მქონე სამუშაო ძალის შრომის გაუფასურება (Kupets, 2015).

იმისდა მიუხედავად, რომ სამუშაოსთან კვალიფიკაციის შესაბამისობის ხარისხი რესპონდენტების თვითშეფასების საფუძველზე განისაზღვრება, ეროვნულ შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე მრავალი ადამიანია რეალურად დასაქმებული დაბალანაზღაურებად (ელემენტარულ) სამუშაო ადგილებზე, რაც პოსტ-საბჭოთა ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის შედეგად, ზემოხსენებული პროფესიული „ჩამოქვეითების“ კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა. აქვე, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, მაღალკვალიფიფური სამუშაო ძალის კატეგორიაში მოხვედრილი რესპონდნეტების უმრავლესობას უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს (40%), 34%-ს პროფესიული და 26%-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული. ამ კონტექსტში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკურ ტრანსფორმაციებს მოჰყვა შედეგად, არის სამუშაო ადგილების „გადატანა“ ინდუსტრიიდან მომსახურების სფეროში. შესაბამისად, ინდუსტრიასთან დაკავშირებული პროფესიული ხარისხისა და ამ სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე სამუშაო ძალის ძირითადი ნაწილი იძულებული გახდა მუშაობა გაეგრძელებინა ისეთი ელემენტარული საქმიანობით, რაც არ მოითხოვდა სპეციფიკურ ცოდნას/უნარებს (ან მათი ათვისება მცირე დროშიც შესაძლებელი იქნებოდა), გადასულიყო დასაქმების სხვა სექტორში ან დაბალანაზღაურებად პოზიციაზე (Kupets, 2015, გვ. 6-7).

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს 2015 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებიც, რომლის თანახმად, მაღალკვალიფიციური დასაქმებულების ყველაზე დიდი წილი ხვდება ინდუსტრიული მეურნეობის საქმიანობებსა და მომსახურების სფეროში, რომელიც საკმაოდ დაბალანაზღაურებადი სამუშაო მიმართულებებია [იხ. დიაგრამა 4]. საგულისხმოა, რომ კვალიფიკაციის თვითშეფასებისგან დამოუკიდებლად, დიაგრამაზე მოცემულ საქმიანობებში, სამუშაო ძალის უმრავლესობას უმაღლესი ან პროფესიული განათლება აქვს მიღებული [იხ. დიაგრამა 5].

დიაგრამა 4: ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალის განაწილება საქმიანობის ტიპების მიხედვით. წყარო World Bank Microdata, 2015



დიაგრამა 5: ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალის განაწილება განათლების საფეხურისა და საქმიანობის ტიპების მიხედვით. წყარო: World Bank Microdata, 2015



განათლების და დასაქმების ჰორიზონტალური შესაბამისობა საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, განათლებასა და დასაქმებას შორის ჰორიზონტალური შესაბამისობა განისაზღვრება იმის მიხედვით დასაქმებულია თუ არა პირი მისი არჩეული სპეციალობით (Kupets, 2015). უფრო კონკრეტულად კი ტერმინი აღნიშნავს შესაბამისობის ხარისხს კურსდამთავრებულის საგანმანათლებლო პროგრამას, მიღებულ ცოდნას, უნარებსა და შესასრულებელ სამუშაოს (სამუშო სფერო, ადგილი, პოზიცია) შორის. ხარისხის თვალსაზრისით, განათლებასა და სამუშაოს შორის განასხვავებენ სამი ტიპის შესაბამისობას: ძლიერ შესაბამისობას, სუსტ შესაბამისობას და სრულ შეუსაბამობას (Robst, 2007a, Nordin et al. 2010, as cited in Domadenik, Farčnik & Pastore, 2013). განათლების სფეროსა და დასაქმების სფეროს შორის შესაბამისობა განსაზღვრავს შრომითი პროდუქტიულობის ხარისხსა და ანაზღაურებას, რაზეც სხვადასხვა თეორია განსხვავებული პრესპექტივიდან საუბრობს (Domadenik, Farčnik & Pastore, 2013). მაგალითად, ადამიანური კაპიტალის თეორიის თანახმად, განათლების სფერო (საგანმანათლებლო პროგრამა) ინდივიდს აძლევს, როგორც ზოგად,

ასევე ამ სფეროსთვის სპეფიციკურ ცოდნას, რომლითაც ეს ერთი კონკრეტული სფერო განსხვავდება სხვა დანარჩენებისგან. ამ თეორიისგან განსხვავებით, „სკრინინგისა“ (the screening theory) და „კვალიფიკაციის“ (theory of credentialism) თეორია არ ამბობს, რომ განათლების პირდაპირი შედეგი არის პროდუქტიულობის ზრდა, თუმცა ხაზს უსვამს, რომ განათლება ქმნის საფუძველს და ამდენად, წარმოადგენს ინდივიდის შრომითი პროდუქტიულობის და შრომის ბაზარზე მისი მოქნილობის მნიშვნელოვან პრედიქტორს (Robst, 2007a, Arrow, 1973, Spence, 1973, as cited in Domadenik, Farčnik & Pastore, 2013). არ მოიპოვება ერთმნიშვნელოვანი პასუხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახება განათლების სფეროსა და დასაქმებას შორის ჰორიზონტალური შეუსაბამობა ანაზღაურებაზე. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ჰორიზონტალური შეუსაბამობა უფრო დიდი ფინანსური ზარალის მომტანია, ვიდრე ვერტიკალური. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სწავლის პერიოდში, კონკრეტულ დარგში ცოდნის მიღების გარდა, ადამიანები ზოგად (ტრანსფერულ) უნარებსაც იძენენ. შესაბამისად, რაც უფრო ტრანსფერული და თავსებადია ხსენებული უნარები სხვადასხვა ტიპის სამუშაოსთვის, მით უფრო ნაკლებია განათლება-დასაქმების შეუსაბამობის ხარისხი და ფინანსური ზარალის ალბათობაც (Domadenik, Farčnik & Pastore, 2013, გვ. 4). როდესაც ვსაუბრობთ ანაზღაურებაზე განათლება-დასაქმების ჰორიზონტალური შეუსაბამობის კონტექსტში, მხედველობაშია მისაღები მიზეზიც, თუ რატომ თანხმდება ინდივიდი კონკრეტულ სამუშაო პოზიციას. კერძოდ, მნიშვნელოვანია რომ განისაზღვროს, უკავშირდება დათანხმების მიზეზი შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების დეფიციტს (ბაზრის, იგივე მოთხოვნის მხარე) თუ ინდივიდის ისეთ პირად ინტერესებს, როგორიც არის მაგალითად, უკეთესი ხელფასი, დაწინაურების პერსპექტივა, დამატებითი ბენეფიტები და ა.შ. (სამუშაო ძალის, იგივე მიწოდების მხარე) (იქვე, გვ.4).

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მსჯელობას დავიწყებთ განათლება-დასაქმების ჰორიზონტალური შეუსაბამობის განმაპირობებელი, განათლებასთან დაკავშირებულ ფაქტორების მიმოხილვით. ინდივიდუალურ დონეზე მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიც არის პირის მიერ არჩეული განათლების სფერო (სპეციალობა, დარგი) და განათლების დონე. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ჰორიზონტალური შეუსაბამობა განსაკუთრებით ხშირია ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებულთა შორის და ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი ჯანდაცვის სპეციალისტების შემთხვევაში (Robst, 2007a, Wolbers, 2003, as cited in Somers et al., 2016). რაც შეეხება ფორმალური განათლების დონეს, არსებობს მოსაზრება, რომ უმაღლეს განათლებასთან შედარებით, პროფესიული განათლების შემთხვევაში ჰორიზონტალური შესაბამისობის უფრო მაღალი ალბათობაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი სტუდენტებს კონკრეტული საქმიანობისთვის საჭირო უნარებს აწვდის და ამდენად, შრომის ბაზარზე წინასწარ განსაზღვრული სამუშაო პოზიციებისთვის ამზადებს. პროფესიულისგან განსხვავებით, უმაღლესი განათლება სტუდენტებისთვის ბევრად ფართო და ზოგადი

კომპეტენციების მიწოდებას ახორციელებს, რაც კურსდამთავრებულებს სპეციალობით არ დასაქმების შანსს „ბუნებრივად“ უზრდის (Levels, van der Velden & Di Stasio, 2014, as cited in Somers et al., 2016). თუმცა, საქართველოში სწორედ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების შემთხვევაში ფიქსირდება განათლებასა და დასაქმებას შორის ჰორიზონტალური შესაბამისობა, რაზეც ქვემთ უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) მიერ 2016 წელს ჩატარებული „განათლების ამონაგებისა და შრომითი კმაყოფილების კვლევის“ შედეგების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებული პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 53% ამბობს, რომ თავისი პროფესიით მუშაობს და 6%-ით ნაკლები აღნიშნავს, რომ ამჟამად, თავისი პროფესიით დასაქმებული არ არის (47%). მათ შორის, ვინც ამბობს რომ დასაქმებულია პროფესიით, 80% უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს, 20%-ს პროფესიული განათლების. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა პროფესიული და უმაღლესი განათლების მიხედვით რესპონდნეტების პროფესიით დასაქმებაში (Independent T-Test, $F(1.9)= 14.$, $p<0.05$). ეს აიხსნება იმით, რომ პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტებში პროფესიით მუშაობს 43%, ხოლო არ მუშაობს - 57%. საწინააღმდეგო სურათია უმაღლესი განათლების მქონეთა შორის, სადაც პროფესიით დასაქმებულია უმეტესობა - 56%, 43% პროფესიით არ მუშაობს.

პროფესიით დასაქმებულთა შორის უმრავლესობა განათლების სფეროში მუშაობს (41%), 13% დასაქმებულია პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების მიხედვით, ხოლო 11% - ჯანდაცვის სისტემაში. ზემოხსენებული დასაქმების სწორედ ის სფეროებია, სადაც პროფესიულ ცოდნასთან ჰორიზონტალური შესაბამისობა ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი, ვინაიდან სპეციფიკური ცოდნისა და კომპეტენციების ფლობას მოითხოვს (Somers et al., 2016). ვინც ამბობს რომ არ მუშაობს თავისი პროფესიით, 18% მუშაობს საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, 15%-ინდივიდუალური მომსახურების სფეროში, 13% განაწილებულია კომპლექსურ საოფისე და ადმინისტრაციულ სამუშაო ადგილებზე და ასევე 13% დასაქმებულია განათლების სისტემაში [იხ. დიაგრამა 6 და დიაგრამა 7].





უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე და პროფესიით დასაქმებულების უმრავლესობა (48%) თავმოყრილია განათლების სისტემაში, 14% კი დასაქმებულია პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების მიმართულებით. როგორც აღმოჩნდა, ჯანდაცვის საქმიანობებში ხვდება პროფესიული განათლების და პროფესიით დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა (24%), 18% მუშაობს განათლების სიტემაში, 12% საცალო-საბითუმო ვაჭრობაში და ასევე 12%- პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებში. რაც შეეხება იმ დასაქმებულებს, რომლებიც პროფესიით არ მუშაობენ, როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების მქონეთა უმრავლესობა თავს იყრის საბითუმო და საცალო ვაჭრობაში (22% და 16%, შესაბამისად) [იხ. ცხრილი 1].

ცხრილი 1: რესპოსნდენტების განაწილება დასაქმების სფეროებში პროფესიით მუშაობისა და განათლების საფეხურის მიხედვით

		სახელმწიფო მმართველობა და უსაფრთხოება	შემოქმედება და ხელოვნება	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	ჯანდაცვის საქმიანობები	განათლება	საფინანსო, საბანკო და სადაზღვეო საქმიანობები	კომპიუტერული დაპროგრამება და კონსულტირება	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	კომპლექსური საოფისე, ადმინისტრაციული სამსახური	საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	ტრანსპორტი და დასწყობება	წარმოება	ინდივიდუალური მომსახურება	მშენებლობა და სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა	სხვა (არაკლასიფიცირებული)
მუშაობს პროფესიით	პროფესიული განათლება	0%	3%	12%	24%	18%	3%	6%	12%	0%	3%	3%	0%	6%	0%	0%	9%
	უმაღლესი განათლება	0%	2%	2%	8%	48%	9%	2%	14%	7%	2%	1%	3%	0%	1%	1%	2%
არ მუშაობს პროფესიით	პროფესიული განათლება	9%	4%	22%	0%	2%	9%	0%	0%	0%	7%	4%	7%	4%	22%	4%	4%
	უმაღლესი განათლება	0%	4%	16%	3%	2%	15%	9%	2%	3%	15%	3%	3%	7%	11%	5%	0%

ანალიზს გავაგრძელებთ პროფესიიდან შრომის ბაზარზე მობილობის ტენდენციების მიმოხილვით საქართველოს მსოფლიო ბანკის 2015 წლის კვლევის მონაცემთა ბაზიდან[1], რაც განათლება-დასაქმების ჰორიზონტალური შესაბამისობის კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ თითქმის ყველა პროფესიულ ჯგუფში რესპონდენტების უმრავლესობა ე.წ. პროფესიონალად მუშაობს [იხ. დიაგრამები 8, 9]. საქმიანობის ეს ტიპის პროფესიების

[1] ვინაიდან, კვლევის მთავარი ფოკუსი განათლებასა და შრომის ბაზარს შორის კავშირების შესწავალაა, მეტად დაინტერესებული ვართ დაქირავებით დასაქმებულების ჯგუფით, რომელსაც აქვს პროფესიული განათლების ან უმაღლესი განათლების დიპლომი ამა თუ იმ სპეციალობაში. ასეთი ადამიანები CSS-ის 2016 წლის კვლევის შერჩევაში 20.6%-ს შეადგენენ, მსოფლიო ბანკის 2015 წლის საქართველოს კვლევაში კი 19.6%-ს. ეს შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს CSS-ის მიერ ჩატარებული კვლევის სტატისტიკურ რეპრეზენტატულობას. თუმცა, ჩვენი კვლევის შემთხვევაში, დემოგრაფიულ და სხვა ცვლადებთან მიმართებაში მონაცემთა შემდგომი სტატისტიკური დამუშავებისთვის („ჩაშლისთვის") პრობლემას ქმნის რესპონდენტების შეზღუდული რიცხობრიობა CSS-ის მონაცემთა ბაზაში (306 რესპონდენტი 1486-დან). აღნიშნულიდან გამომდინარე და მონაცემთა მეტი თვალსაჩინოებისთვის, წარმოგიდგენთ დამუშავებულ მონაცემებს მსოფლიო ბანკის 2015 წლის საქართველოს კვლევის ბაზიდან, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო რესპონდენტების ჯგუფი (პროფესიის მქონე დაქირავებით დასაქმებული) შეადგენს 588 ინდივიდს 2996-დან.

საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის, ISCO – 08-ის მიხედვით წარმოადგენს კლასიფიკაციის მეოთხე (მაღალ) დონეს, რომელშიც ერთიანდება ადამიანური კაპიტალის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, არსებული ცოდნის კვლავწარმოებასთან ერთად, ახალი ცოდნის წარმოებაც ძალუძს (პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი: ISCO-08 / შრომის საერთაშორისო ბიურო). პროფესიონალების კატეგორიაში განსაკუთრებით ბევრი რესპონდენტია მოხვედრილი შემდეგი პროფესიული ჯგუფებიდან: განათლებასთან დაკავშირებული პროფესიები (76%), ზუსტი და საბუნებისმეტყველო (67%), ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებები (66%) და ჯანდაცვასთან დაკავშირებული პროფესიები (57%). სხვა პროფესიულ კატეგორიებში მათი რაოდენობა 11%-დან 43%-მდე მერყეობს. საგულისხმოა, რომ მსოფლიო ბანკის 2015 წლის ბაზაში წარმოდგენილი, დაქირავებით დასაქმებული პროფესიონალების 46% იმ სამუშაო ძალის მაჩვენებელია, რომელიც თავისი პროფესიით მუშაობს და რომელიც 53%-ს აღწევს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 2016 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით (დაბადების წლებისა და განათლების სისტემების მიხედვით რესპონდენტების მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე იხილეთ ამ ქვეთავის დანართში). საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ჰორიზონტალური შეუსაბამობა სწორედ მაღალი რანგის და ასოცირებული პროფესიონალების, ასევე მენეჯერების შემთხვევაშია ნაკლებად მოსალოდნელია (Farooq 2011, as cited in Somers et al., 2016)



დიაგრამა 8: მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე. წყარო: WORLD BANK MICRODATA, 2015



დიაგრამა 9: მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე (გაგრძელება). წყარო: WORLD BANK MICRODATA, 2015

განათლებასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია დასაქმების ბაზართან ასოცირებული ფაქტორები და კერძოდ, დასაქმების შესაძლებლობები რომელსაც ქვეყანა სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და ტიპის სახით და რაც ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზეც მეტყველებს (Witte & Kalleberg, 1995, as cited in Somers et al., 2016). 2015 წელს საქართველოში ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შედეგების მიხედვით, ვაჭრობა, მანქანებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების რემონტი, რესტორნები და სასტუმროები, მეტალურგიული მრეწველობა, ინდივიდუალური მომსახურება, ასევე განათლება და ჯანდაცვა ის ეკონომიკური საქმიანობებია, რომელშიც დამსაქმებლები კადრების დეფიციტს განიცდიან (შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015, გვ. 20). მასწავლებლებსა და ჯანდაცვის პროფესიებზე განსაკუთრებული მოთხოვნა რეგიონებში ფიქსირდება. თუმცა, არსებული განსხვავებების მიუხედავად, თბილისის ჩათვლით საქართველოს ყველა რეგიონშია მოთხოვნა ბუღალტერებზე, მიმტანებზე, გაყიდვების ასისტენტებზე (იქვე, გვ. 25). უფრო კონკრეტულად, თუ რა პოზიციებზეა მოთხოვნა, მოცემულია ცხრილში ქვემოთ.

ცხრილი 2: კონკრეტულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიები

წყარო: შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015, გვ.25, ცხრილი 25

პოზიციათა დასახელება	**ვაკანსიების რაოდენობა**
მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები	621
სტილისტები	465
პროცესის მაკონტროლებელი ტექნიკოსები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	389
მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები	367
მეეზოვეები და მსგავსი პროფილის მუშახელი	362
სამრეწველო სფეროს სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	354
მიმტანები	306
ფარმაცევტები	266
საშუალო განათლების სფეროს მასწავლებლები	264
პროფესიონალი (ექსპერტები)	256
მოლარეები და ბილეთების გამყიდველები	217
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	209
სილამაზის სალონისა და მასთან დაკავშირებული მუშაკები	207
შენობის ჩარჩოს მშენებლები და მონათესავე პროფესიის მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	198
სპორტული მწვრთნელები, ინსტრუქტორები და თანამდებობის პირები	183

სამუშაო ძალის დაქირავების პრობლემებთან დაკავშირებით, დამსაქმებელი ორგანიზაციების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოში კონკრეტული და საჭირო კადრების დეფიციტია და რომ აპლიკანტებს არ აქვთ მოთხოვნილი სამუშაო პოზიციების რელევანტური უნარები. დეფიციტურ პროფესიებს შორის სახელდება გაყიდვების და მარკეტინგის მენეჯერები, კონდიტერები, ბანკის მოლარეები, მასწავლებლები, ჟურნალისტები და სხვ. [იხ. ცხრილი 3]

ცხრილი 3: შრომითი რესურსების ნაკლებობა კონკრეტული პროფესიის კადრების დეფიციტის გამო
წყარო: შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015, გვ.18, ცხრილი 9

პოზიციათა დასახელება	რაოდენობა
გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	135
საშუალო განათლების სფეროს მასწავლებლები	97
მვალცავები	57
ჟურნალისტები	51
მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის კლერკები	48
დირექტორები და აღმასრულებელი პირები	47
სამრეწველო სფეროს სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	47
მეხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	27
პროგრამების სპეციალისტი	26
სამართლის პროფესიონალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	21
კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები	19
საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრენერები	19
ათლეტები და სპორტული მოთამაშეები	18
ბუღალტრები	16
საკრედიტო და სესხების ოფიცრები	15
ბანკის მოლარეები და მონათესავე პროფესიის მუშაკები	15
ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას	15

ISCO-08 ის კლასიფიკაციის მიხედვით დამსაქმებლების მიერ ზემოდასახელებული პოზიციები დიდწილად მომსახურებისა და გაყიდვების, ინდივიდუალური მომსახურების სფეროებში, ასევე ხელოსნებისა და მონათესავე სფეროს მუშების, და განათლების პროფესიონალების კატეგორიაში ერთიანდება. ამის გათვალისწინებით საინტერესეოა, თუ რა მიმართულების კურსდამთავრებული ჭარბობენ დღეს საქართველოში და რამდენად დროში ცვალებადია პროფესიული პრეფერენციები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტების ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულთა შორის, უმრავლესობა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართალის კურსდამთავრებულია [იხ. დიაგრამა #..]. აღნიშნული პროგრამები 2011 წლიდან მოყოლებული ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში. კურსდამთავრებულთა მზარდი რაოდენობით ხასიათდება მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამები და საინჟინრო-სამშენებლო დარგები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებში. კლების ტენდენცია ვლინდება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების პროგრამებისა და სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში [იხ. დიაგრამა 10].

დიაგრამა 10: კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან,.
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



	2011	2012	2013	2014	2015	2016
განათლება	82	144	415	311	426	281
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	1258	1685	2066	2300	1994	1865
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	3738	4049	5094	6033	4515	4590
მეცნიერება	1423	1199	1336	1102	2284	2190
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	522	650	892	1228	924	883
სოფლის მეურნეობა	60	94	114	52	49	43
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1014	1345	1467	1016	769	456
მომსახურება	413	698	607	181	651	686

დიაგრამა 11: კურსდამთავრებულთა რაოდენობა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



	2011	2012	2013	2014	2015	2016
განათლება	11	0	32	60	68	38
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	325	164	680	978	482	588
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	2731	1477	1977	3215	3249	3160
მეცნიერება	119	33	26	106	109	121
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	371	161	196	36	52	108
სოფლის მეურნეობა	705	248	207	84	40	60
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	317	305	305	258	123	88
მომსახურება	195	2	102	181	359	421

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე შრომის ბაზარზე უფრო დიდია მოთხოვნა და შესაბამისად, ვაკანტური პოზიციების სიმრავლეა მომსახურებისა და გაყიდვების, ასევე ინდივიდუალური მომსახურების მიმართულებით, ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა კი ყველაზე დიდია ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელიც მომავალში პროფესიონალებად დასაქმებას უფრო გულისხმობს, ვიდრე ვაჭრობის, გაყიდვებისა და მომსახურების სფეროში მუშაობის დაწყებას (ISCO-08), გაზვიადებული არ იქნება იმის თქმა, რომ თანამედროვე, ეროვნულ შრომის ბაზარზე, ადამიანურ კაპიტალის მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით, რეალური დისბალანსია. მეორე მხრივ, ეს გარემოება ნათლად მიუთითებს განათლების პოლიტიკასა და შრომის ბაზარს შორის სუსტ ინსტიტუციურ კავშირზე, რაც განათლება-დასაქმებას შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მაღალი ხარისხის შეუსაბამობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია (Domadenik et al., 2013; Kupets, 2015; Somers et al., 2016). განათლების სისტემასა და დამსაქმებლებს შორის არაეფექტური თანამშრომლობის გამოძახილი და განსაკუთრებით ვერტიკალური შეუსაბამობის გამომწვევია ისიც, რომ დამსაქმებლების მხრიდან (როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში) უმაღლესი განათლება ერთ-ერთი წამყვანი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა იმის მიუხედავად, საჭიროებს თუ არა მას კონკრეტული ვაკანტური პოზიცია. მაგალითად, ისეთ სამუშაო პოზიციებზე, როგორიც არის საწყობის გამგე, ქოლ-ცენტრის ოპერატორი ან

პრომო აგენტი, დამსაქმებლები აპლიკანტებისგან უმაღლეს განათლებას ითხოვენ (შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015, გვ. 77-85). თუმცა, ამ კატეგორიის პოზიციებზე (გაყიდვები, მომსახურება) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 400 ლარის (ნეტო) ფარგლებში მერყეობს. თავის მხრივ, ეს გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან აძლიერებს და ხელს უწყობს პოსტ-კომუნისტურ საქართველოში ეკონომიკურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციებით განპირობებული ცოდნის გაუფასურების (credential inflation) პრობლემის შენარჩუნებას და კვლავწარმოებას. აღნიშნული მჭიდრო კავშირშია ქვეყანაში არსებულ მინიმალური ხელფასის პოლიტიკასთან. დღეს საქართველოში მოქმედი ერთადერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც კერძო სექტორში დასაქმებულებისთვის მინიმალურ ხელფასს 20 ლარის ოდენობით განსაზღვრავს, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულებაა (საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2016). აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებზეც. თუმცა, 2005 წლის 24 იანვრის საქართველოს პრეზიდენტის N43 ბრძანებულებით, მინიმალური შრომის ანაზღაურება დამოუკიდებლად განისაზღვრა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული პირებისთვის 135 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, დამოუკიდებლად რეგულირდება მასწავლებლების შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობაც და სრული დატვირთვის შემთხვევაში, 384 ლარით განისაზღვრება (იქვე, გვ. 4-5). აქვე, საყურადღებოა, რომ ქვეყენაში საარსებო მინიმუმზე (157 ლარი 2016 წლის ივნისის მიხედვით) დაბალი ხელფასი 62 681 დასაქმებულ ადამიანს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმზე (263 ლარი 2016 წლის ივნისის მიხედვით) დაბალი კი 130 282 ადამიანს (იქვე, გვ. 5). აღნიშნულის კარგი თვალსაჩინოებაა კავკასიის ბარომეტრის 2015 წლის მონაცემიც, რომლის თანახმად დასაქმებული მოსახლეობის 17%-ს არ აქვს საკმარისი ფინანსები კვებისთვის, 27%-თანხა ჰყოფნის მხოლოდ კვებაზე, 46%-ს კი მხოლოდ კვებასა და ტანსაცმელზე (Caucasus Barometer 2015 Georgia dataset). საქართველოს სახალხო სახალხო დამცველისა და პროფკავშირების 2016 წლის ერთობლივ დოკუმენტში „მინიმალური სახელფასო პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში“ წარმოდგენილია რიგი რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებს სამართლიანი მინიმალური ოდენობის განსაზღვრას, საქართველოს შრომის კოდექსში მინიმალური ანაზღაურების დეფინიციის დამატებას, შრომის ინსპექციის მხრიდან მინიმალური ხელფასის ანაზღაურებაზე მონიტორინგს და სხვ. (საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2016).

კუპეცი (2015) აანალიზებს განათლებისა და დასაქმების მიმართებას ისეთ პოსტ-კომუნისტურ, ტრანზიტულ ქვეყნებში, როგორიც არის სომხეთი, საქართველო, მაკედონია და უკრაინა (Kupets, 2015). როგორც ავტორი აღნიშნავს, დასახელებულ ქვეყნებში არსებული

დისბალანსი უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მიწოდებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნას შორის გამოწვეულია არა მხოლოდ განათლების სუსტი სახელმწიფო პოლიტიკით, არამედ დასაქმების ბაზრის სტაგნაციით, სადაც თანამედროვე და მაღალპროდუქტიულ სექტორებში ახალი სამუშაო ადგილები ნელი ტემპით ჩნდება. შრომის ბაზრისგან განსხვავებით, პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში 90-იანი წლების შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემა საგრძნობლად გაფართოვდა განსაკუთრებით კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამრავლების ხარჯზე. შესაბამისად, ლიმიტირებული შრომის ბაზარი ამჟამად ვერ უმკლავდება კურსდამთავრებულთა ჭარბ მიწოდებას და ეფექტურად ვერ იყენებს ქვეყანაში არსებულ ადამიანურ კაპიტალს. კუპეცი აღნიშნავს, რომ ოთხივე ტრანზიტულ ქვეყანაში სამუშაო ადგილების უმრავლესობა მოწოდებულია ისეთ დაბალპროდუქტიულ კერძო სექტორებში, როგორიც არის ვაჭრობა, დისტრიბუცია და რემონტი, სოფლის მეურნეობა, მომსახურება, კვება, მრეწველობა, ტრანსპორტი ან საჯარო სექტორში, რომელიც დასაქმებულებს ადეკვატურ ანაზღაურებას არ სთავაზობს (იქვე, გვ. 9-10), რასაც ჩვენი კვლევის შედეგებიც ადასტურებს. ავტორი ეხება განათლების ტიპის საკითხსაც. მისი მსჯელობის თანახმად, საქართველოში (დანარჩენი სამი ქვეყნის მსგავსად) არსებული სამუშაო ადგილების მესამედი რეალურად პროფესიულ განათლებას საჭიროებს, თუმცა ეს მოთხოვნა შრომის ბაზარზე ვერ კმაყოფილდება იმ მიზეზით, რომ არ მოიპოვება საკმარისი რესურსი, რომლის ჩანაცვლებაც ხდება საუნივერსიტეტო განათლების მქონე სამუშაო ძალით (იქვე, გვ. 10). ზემოთქმულს ადასტურებს სტატისტიკური მაჩვენებლებიც, რომლის მიხედვით 2016 წლის კურსდამთავრებულთა შორის მხოლოდ 2155 წარმოადგენდა პროფესიული პროგრამების გამოშვებას, ხოლო 15578 საბაკალავრო პროგრამებისას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებული „განათლების ამონაგებისა და შრომითი კმაყოფილების კვლევის“ საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს შორის უმრავლესობა (57%) თავისი პროფესიით არ/ვერ მუშაობს. ასევე, იმ რესპონდენტებს შორის, რომელსაც პროფესიული განათლება აქვს მიღებული, დასაქმებულია მხოლოდ 23% მაშინ, როდესაც უმაღლესი განათლების მქონეთა შორის დასაქმებულების წილი 50%-ს აღწევს.

აქვე, საინტერესოა რას ფიქრობს მოსახლეობა იმის შესახებ, თუ რა დონის განათლებაა საჭირო/საკმარისი მათთვის სასურველ სამსახურში (გულისხმობს სასურველ ანაზღაურებასაც) დასაქმებისთვის. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის წარმოდგენები თანხვედრაშია არსებულ რეალობასთან, რომლის მიხედვით უმაღლესი განათლების დიპლომი დღეს პრიორიტეტულია ეროვნულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, გამოკითხული მოსახლეობის 33% თვლის, რომ საჭიროა მაგისტრატურის დიპლომი, 24%-ს მიაჩნია, რომ ბაკალავრის ხარისხიც საკმარისია, ხოლო 18%-ის აზრით განათლების არც ერთი დონე არ არის საკმარისი სასურველი სამსახურის საშოვნელად საქართველოში. მნიშვნელოვანია

აღინიშნოს, რომ მაგისტრატურის დიპლომი დასაქმების წინაპირობად მოიაზრება, როგორც ფორმალური განათლების საერთოდ არ მქონე რესპონდენტებისთვის, ასვე სკოლის, პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების უმრავლესობისთვის [იხ. ცხრილი 4].

ცხრილი 4: დასაქმებისთვის საჭირო განათლების დონის განსაზღვრა რესპონდენტების ფორმალური განათლების საფეხურების მიხედვით. წყარო: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016

რესპონდენტის განათლების რეალური დონე	*უმაღლესი განათლება-ბაკალავრის ხარისხი*	*უმაღლესი განათლება-მაგისტრატურის ხარისხი*	*უმაღლესი განათლება-დოქტორის ხარისხი*	*პროფესიული განათლება*	*სასკოლო განათლება*	*არც ერთი დონის განათლება არ არის საკმარისი სასურველი სამსახურის საშოვნელად საქართველოში*
ფორმალური განათლების გარეშე	17%	**33%**	0%	7%	20%	23%
სკოლის განათლება (არასრულის ჩათვლით)	29%	**34%**	7%	7%	6%	17%
პროფესიული განათლება	22%	**30%**	11%	17%	3%	17%
უმაღლესი განათლება(BA, MA, PHD)	24%	**37%**	13%	2%	1%	22%

ზემონათქვამი განათლებასა და დასაქმებას შორის შეუსაბამობის პრაქტიკას უფრო მაკრო დონეზე განიხილავს. თუმცა, არანაკლებ საყურადღებოა მიკრო (ინდივიდუალურ) დონეზე მოქმედი ფაქტორებიც. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ინდივიდის მიერ გაკეთებული პროფესიული არჩევანი და ამ არჩევანის გონივრულობა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროფესიით დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებას თანამედროვე შრომის ბაზართან ვერტიკალური/ჰორიზონტალური შეუსაბამობისა და შედეგად, ფინანსური დანაკარგის (არადეკვატური სახელფასო განაკვეთის სახით) თავიდან არიდების მიზნით (Robst, 2007, as cited in Kupets, 2015).

საქართველოს მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემთა დისპერსიული ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ პროფესიული არჩევანი განსხვავდება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (One way ANOVA, ($F(4)= 3.45$, $p<0.05$). როგორც ეს საქსტატის მონაცემებითაც ნათლად გამოჩნდა, 18-27 წლამდე ახალგაზრდების ჯგუფში პრიორიტეტული პროფესიული არჩევანია ბიზნესი და ადმინისტრირება (35%), ჟურნალისტიკა (29%) და ვეტერინარია (29%), სამართალი (19%) და სხვა. ინჟინერიასა და სამშენებლო-საწარმოო დამუშავების პროფესიებში ჭარბობს 39+ ასაკის რესპონდენტების წარმომადგენლობითი წილი [იხ. დიაგრამა 12].



დიაგრამა 12: პროფესიულ არჩევანში ასაკობრივი განაწილება. წყარო: World Bank Microdata, 2015

კონკრეტული პროფესიული არჩევანის გარდა საყურადღებოა განათლების მიღების მოტივაციებიც. მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 2016 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 52%-სთვის *„დასაქმების კარგი შესაძლებლობა“* წარმოადგენს ხარისხის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) მიღების მთავარ მოტივაციას; მეორე ადგილზე სახელდება *„მაღალი ანაზღაურება“* [2] (35%), მესამეზე კი *„სოციალური სტატუსის შეძენა“* (18%). პირველი პასუხის შემთხვევაში (*„დასაქმების კარგი შესაძლებლობა“*) რესპონდენტებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა ასაკის (One way ANOVA, $F(5)=1.183$, $p>0.05$), სქესის (Independent T- Test, $F(510)=3.39$, $p>0.05$), დასახლების ტიპის (ქალაქი/სოფელი) (Independent T- Test, $F(510)=1.44$, $p>0.05$) და არც დასაქმების სტატუსის მიხედვით (Independent T-Test, $F(510)=0.049$, $p>0.05$) მიხედვით.

მეორე პასუხის შემთხვევაში (*„მაღალი ანაზღაურება“*) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა რესპონდენტების სქესის (Independent T-Test, $F(510)=18.35$, $p= 0.000$) და დასახლების ტიპის (Independent T-Test, $F(510)=26.90$,$p=0.000$) მიხედვით. აღნიშნული შედეგები მოულოდნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ უმაღლესი განათლების მქონე და ამჟამად დასაქმებული რესპონდენტების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო სქესის ნიშნით მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, უმაღლესი განათლების მქონე ქალების ყოველთვიური, დაბეგრილი ანაზღაურების საშუალო არის 243.96 ლარი (ნეტო), ხოლო კაცების - 495.07 ლარი (ნეტო). რაც შეეხება დასახლების ტიპს, საქართველოს ქალაქებში საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 368.73 ლარს (ნეტო), სოფლებში კი - 296.03 ლარს (ნეტო).

[2] იგულისხმება რესპონდენტისთვის მისაღები/სასურველი ანაზღაურება

კვლევის მონაცემები საშუალებას გვაძლევს, ასევე დავაკვირდეთ არსებულ რეალობას რესპონდენტების სუბიექტური მოტივაციისა და შეიძლება ითქვას, მოლოდინებისგან/წარმოდგენებისგან დამოუკიდებლად. თუ დავაკვირდებით უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს დასაქმების სტატუსის ჭრილში, თვალსაჩინოა, რომ ამჟამად დასაქმებულებისა და დაუსაქმებლების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია სწორედ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების შემთხვევაში მაშინ, როდესაც ფორმალური განათლების საერთოდ არ მქონე, მხოლოდ სკოლის ან მხოლოდ პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტებში უმრავლესობა დაუსაქმებელია [იხ. ცხრილი 5]. დასაქმებაზე განათლების გავლენას ცხადყოფს ისიც, რომ განათლების დონის მიხედვით დასაქმების სტატუსებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა (Independent T-Test, $F(1484)= 17.3$, $p= 0.000$).

ცხრილი 5: დასაქმების სტატუსი და ფორმალური განათლების დონე

			დასაქმების სტატუსი			სულ
			ამჟამად დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში (მონეტარული მოგების მქონე თვითდასაქმებუთა ჩათვლით)	ამჟამად დაუსაქმებელი, მაგრამ წარსულში დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში	არასდროს ყოფილა დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში	
	ფორმალური განათლების გარეშე	რაოდენობა	3	15	14	32
		%	9.4%	46.9%	43.8%	100.0%
	სასკოლო განათლება (არასრულის ჩათვლით)	რაოდენობა	135	196	207	538
		%	25.1%	36.4%	38.5%	100.0%
	პროფესიული განათლება	რაოდენობა	94	218	91	403
		%	23.3%	54.1%	22.6%	100.0%
	უმაღლესი განათლება (BA, MA, PhD)	რაოდენობა	255	197	60	512
		%	49.8%	38.5%	11.7%	100.0%
სულ		რაოდენობა	487	626	372	1485
		%	32.8%	42.2%	25.1%	100.0%

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფორმალურ განათლებას გავლენა აქვს დასაქმებაზე იმ თვალსაზრისით, რომ სამუშაო ადგილის მოპოვების შესაძლებლობას ზრდის (ბაკალავრის ხარისხი 3-ჯერ, მაგისტრის კი 4.6-ჯერ). თუმცა, არ წარმოადგენს შრომის ბაზართან ვერტიკალური/ჰორიზონტალური შესაბამისობის და ამდენად, *„დასაქმების კარგი შესაძლებლობის“ ან „მაღალი ანაზღაურების“* რეალურ წინაპირობას.

ამაზე მეტყველებს დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტების პასუხებიც შეკითხვაზე, რატომ მიიღეს გადაწყვეტილება ამჟამინდელ სამსახურში დაეწყოთ მუშაობა, რომელიც შემდეგნაირად განაწილდა:

i. *„ანაზღაურება არ არის კარგი და არც ჩემს პროფესიას შეესაბამება, მაგრამ ფინანსურად მიჭირდა“ - 33%*
ii. *„ანაზღაურება არ არის კარგი, თუმცა ჩემს პროფესიას შეესაბამება“ – 26%*
iii. *„ჩემს პროფესიას არ შეესაბამება, თუმცა ანაზღაურება კარგია“ – 23%*
iv. *„ანაზღაურება კარგია და ჩემს პროფესიასაც შეესაბამება“ – 19%*

რესპონდენტების პასუხების კორელაციური ანალიზი მათ ფორმალური განათლების დონეებთან აჩვენებს, რომ მათ შორის ძალიან სუსტი, თუმცა უარყოფითი კავშირია. ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ განათლების მაღალი დონის მქონე რესპონდენტების უმრავლესობა ფინანსური სიდუხჭირის გამო დათანხმდა ამჟამინდელ სამუშაოს ($r = -.115$; $p<0.05$). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება ამჟამინდელ სამსახურში მუშაობის დაწყების მიზეზსა და რესპონდენტების სქესს შორის (Independent T-Test, $F(367)= 15.3$, $p= 0.000$). კერძოდ, 14%-ით მეტი კაცი ამბობს, რომ კარგი ანაზღაურებისა და კარგ ანაზღაურებასთან ერთად პროფესიით დასაქმების შესაძლებლობის გამო გადაწყვიტა ამჟამინდელ სამსახურში მუშაობის დაწყება. ქალი რესპონდენტების შემთხვევაში დომინანტურია პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურება კარგი არ არის (74%) და ასევე, ფინანსური სიდუხჭირის გამო მუშაობის დაწყება მიუხედავად იმისა, რომ არც ანაზღაურებაა კარგი და არც პროფესიის შესაბამისი სამუშაო (53%). [იხ. ცხრილი 6]

ცხრილი 6: ამჟამინდელ სამსახურში დასაქმების მოტივაცია სქესის მიხედვით

	კაცი	*ქალი*
ანაზღაურება არ არის კარგი და არც ჩემს პროფესიას შეესაბამება, მაგრამ ფინანსურად მიჭირდა	48%	53%
ანაზღაურება არ არის კარგი, თუმცა ჩემს პროფესიას შეესაბამება	26%	74%
ჩემს პროფესიას არ შეესაბამება, თუმცა ანაზღაურება კარგია	57%	43%
ანაზღაურება კარგია და ჩემს პროფესიასაც შეესაბამება	57%	43%

ასაკთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ რაც უფრო მაღალ ასაკობრივ კატეგორიაში ხვდება რესპონდენტი, იზრდება იმის ალბათობაც, რომ ფინანსური სიდუხჭირის გამო დათანხმდეს დაბალანაზღაურებად სამუშაოს. კარგი ანაზღაურების გამო და კარგ ანაზღაურებასთან ერთად პროფესიით დასაქმების მიზეზებს 18-24 წლის დასაქმებულების ჯგუფში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს [იხ. დიაგრამა 13].

დიაგრამა 13: ამყამინდელ სამსახურში დასაქმების მიზეზები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. წყარო: CSS, 2016



ტრანსფერული უნარები

არაერთი ემპირიული კვლევით დასტურდება, რომ არსებობს პოზიტიური კორელაცია ფორმალური განათლების წლებსა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც დაკვირვებადია ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის მთლიანი მშპ-ს მაჩვენებლების ზრდით. სწორედ ასეთმა ემპირიულმა მიგნებებმა განაპირობა როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი ფორმალური „განათლების გაფართოების“ (education expansion) მნიშვნელობის აღიარება და განვითარებული ქვეყნების მიერ პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანა. ფორმალური განათლების წლები, ფორმალური განათლების საფეხური და საქმიანობის ტიპი 60-იანი წლებიდან მოყოლებული, წარმოადგენდა ადამიანური კაპიტალის ერთადერთ საზომს (Broecke, 2016; Hanushek, 2017). თუმცა, აღნიშნული ემპირიული შედეგების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება თანდათანობით გაძლიერდა. სკეპტიციზმის საფუძველს წარმოადგენდა პოსტულატი, რომლის თანახმად ფორმალური განათლების წლებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის პოზიტიური კორელაციური კავშირი ავტომატურად არ აღნიშნავს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას და მაღალპროდუქტიული ადამიანური კაპიტალის წარმოებას, რადგან არსებობს სწავლასა და აკადემიურ მიღწევებზე მოქმედი სხვა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორიც არის განათლების ხარისხი

(რომელიც ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია), ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, თანატოლები, ჯანმრთელობა და სხვ. (იქვე, გვ. 3).

თანამედროვე განათლების ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის ალტერნატიულ საზომს კოგნიტური უნარების პირდაპირი შეფასება წარმოადგენს, რომელიც „ცოდნის კაპიტალის“ (Knowledge Capital) სახელით არის ცნობილი (Hanushek, 2017). კოგნიტური უნარები გულისხმობს ისეთ კომპონენტებს, როგორიც არის წიგნიერება, მათემატიკური აზროვნება, პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა, კომუნიკაცია, სწავლების უნარი, ინფორმაციის დამუშავების უნარი და სხვ. (OECD, 2016). ზემოხსენებულ კოგნიტური უნარები უფრო კომპლექსური ცნების,- კომპეტენციის ერთ-ერთი პარამეტრია. ფართო განმარტებით, კომპეტენცია არის შესაძლებლობა მიზნის/სასურველი შედეგის შესაბამისი მოქმედების(ების) შესასრულებლად (მაგ.: კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე). უფრო კონკრეტულად კი, კომპეტენცია როგორც შესაძლებლობა, გულისხმობს რესურსების (მაგ.: ცოდნა, უნარები) მობილიზებას კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, ამ კონტექსტის შესაბამისი მიზნების მისაღწევად; კომპეტენცია არის დასწავლადი ანუ სწავლისა და სწავლების პირდაპირი შედეგი, საჭირო და მნიშვნელოვანი ყველა ინდივიდისთვის, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის არის ზოგადი და ტრანსფერული ანუ რელევანტური სხვადასხვა სოციალური გარემოსთვის/სიტუაციისთვის და საქმიანობის სფეროსთვის/ტიპისთვის (OECD, 2016, გვ. 96-97). უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, საერთაშორისო დონეზე განისაზღვრა ძირითადი კომპეტენციების ნაკრები და ის სამი განზომილებით არის წარმოდგენილი: ცოდნა, უნარები და პერსონალური თვისებები (ღირებულებები, განწყობები, წარმოდგენები). ქვემოთ ცხრილში ჩამოთვლილია ის უნარები (და მათი შემადგენელი ინდიკატორები), რომელიც აუცილებელი პირობაა შრომის ბაზარსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის (OECD, 2016).

მეტაკლასიფიცირებული კომპეტენციების ჩარჩო (OECD, 2016)	
უნარების კატეგორიები	**უნარების ინდიკატორები**
კოგნიტური უნარები:	
კომუნიკაცია	*კითხვა, წერა, ვერბალური კომუნიკაცია, უცხო ენის ფლობა*
ინფორმაციის დამუშავება	*ანალიტიკური აზროვნება, ინფორმაციის ორგანიზება*
პრობლემის გადაჭრა	*პრობლემის იდენტიფიცირება, სამოქმედო გეგმის დასახვა და იმპლემენტაცია, კაუზალური/კორელაციური კავშირების დადგენა და პრობლემის გადაჭრის პროცესში მათი გამოყენება*
სწავლა	*სწავლის უნარი, რეფლექსია, სწავლის პროცესის მართვა*
მათემატიკა	*რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება, რაოდენობრივი მსჯელობა, კომუნიკაცია მათემატიკურ ენის გამოყენებით*

2. ინტერპერსონალური უნარები:	*ჯგუფური მუშაობა, პროექტულ სამუშაოში მონაწილეობა, კულტურული სენსიტიურობა, მოლაპარაკების წარმოება*
3. ინტრაპერსონალური უნარები:	
თვითრეგულირება	*გაცნობიერება/საკუთარი მოქმედებების ანგარიშის მიცემა, თვითრეფლექსია, შემეცნება, ადაპტურობა, სტრესთან გამკლავება*
მენეჯმენტი	*საკუთარი თავის (ასევე სხვების) მენეჯმენტი, ორგანიზება, პასუხისმგებლობა*
შემოქმედებითობა/წარმოება	*კრეატივი, ინიციატივა, შეფასების და რისკის გაწევა*
4. ტექნოლოგიური უნარები:	
ICT	ტექნოლოგიებთან მუშაობა, ტექნოლოგიები

როგორც ცხრილში იკვეთება, „ცოდნის კაპიტალად“ სახელდებული კოგნიტური უნარები მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა კომპეტენციის შემადგენელი უნარების განზომილებაში. „ცოდნის კაპიტალის“, როგორც საზომის უპირატესობას ფორმალური განათლების წლებზე განაპირობებს შემდეგი: ა) „ცოდნის კაპიტალის“ მაჩვენებლების ზრდა, ქვეყნებს შორის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ვარიაციის ¾-ს ხსნის მაშინ, როდესაც ფორმალური განათლების წლები - ¼-ს; ბ) სტატისტიკური კავშირი სტაბილური რჩება (არ იცვლება), როდესაც რეგრესულ მოდელში ემატება ქვეყნისთვის სპეციფიკური მახასიათებლების ცვლადები (პოპულაციის რიცხვი, პოლიტიკური სტაბილურობა, სააქციო კაპიტალი, გეოგრაფიული მდგომარეობა და სხვ.). ეს დამატებითი ცვლადები აკონტროლებს „ცოდნის კაპიტალსა“ და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რომელიც „იკარგება“ ანალიზის ტრადიციულ მოდელში (სადაც დამოუკიდებელ ცვლადად აღებულია ფორმალური განათლების წლები); და გ) სტატისტიკური კავშირი „ცოდნის კაპიტალის“ ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის ძალიან ძლიერია. კერძოდ, „ცოდნის კაპიტალის“ ერთი სტანდარტული გადახრით ზრდა ასოცირებულია 2%-ით სწრაფ წლიურ ეკონომიკურ ზრდასთან, რაც დაახლოებით აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის უპირატესობის ექვივალენტურია OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლთან მიმართებაში (Hanushek, 2017, გვ. 3-4).

ზრდასრული პოპულაციის კოგნიტური უნარების ფართომასშტაბიან და ქვეყნებს შორის შედარებადი შეფასების მექანიზმებია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ინიცირებული ციკლური ხასიათის კვლევები (International Adult Literacy Survey. 1994-1998; Adult Literacy and Lifeskills survey, 2002-2003, 2006; Survey of Adult Skills, 2008-2013, 2012-2016) (Broecke, 2016). მართალია, ზემოხსენებული OECD-ის არცერთი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, თუმცა 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკმა STEP-ის (Skills toward Employment and Productivity) პროგრამის ფარგლებში,

საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში ჩაატარა ზრდასრული მოსახლეობის უნარების კვლევა დასაქმებასა და შრომით პროდუქტიულობასთან მიმართებაში. კერძოდ, მსოფლიო ბანკის საქართველოს მონაცემთა ბაზა მოიცავს ინფორმაციას მოსახლეობის კოგნიტური, სოციო-ემოციური და შრომასთან დაკავშირებული უნარების შესახებ (Skills toward Employment and Productivity (STEP) Survey Findings (Urban Areas), Georgia, 2015, გვ. 20-21). გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის STEP 2015 წლის მონაცემების ბაზა გვაწვდის ინფორმაციას ზრდასრული რესპონდენტების წიგნიერების (literacy) დონის შეფასების შედეგებზე, რომელიც ეფუძნება არა რესპონდენტების თვითშეფასებას, არამედ ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული, რიგი სტანდარტიზებული დავალებების შესრულებას (ტექსტში მოცემულ ინფორმაციის იდენტიფიცირება, ინტერპრეტაცია, რეფლექსია და სხვ.).[3] მიღებული შედეგების თანხმად, რესპონდენტების 95%-მა შეძლო ტესტის ჩაბარება (პასუხების 3/8-ზე მეტს სწორად უპასუხა). 8 სწორი პასუხი ჰქონდა მიღებული კვლევის მონაწილეთა 67%-ს, 7 სწორი პასუხი - 17%-ს, 1-5 მდე სწორი პასუხი დაფიქსირდა რესპონდენტების 12%-ის შემთხვევაში, ხოლო 3.4%-მა ვერ მიიღო ვერცერთი სწორი პასუხი (World Bank Microdata, 2015). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სირთულის თვალსაზრისით ტესტური დავალებების 90% 5-დონიანი შეფასების პირველ და მესამე დონეებს შორის ნაწილდება, სადაც პირველი დონე ყველაზე მარტივი დავალებების შესრულებას გულისხმობს (A guide to understanding the literacy assessment of the STEP Skills Measurement Survey 2014, გვ. 14).

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფერულ უნარებს ადამიანი მრავალი სხვადასხვა გზით იძენს, მთავარი წყარო, მაინც ფორმალური განათლებაა. OECD-ის (2016) ქვეყნებს შორის შედარებითი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულები უფრო ხშირად იყენებენ ინფორმაციის დამამუშავებელ უნარებს, ვიდრე განათლების უფრო დაბალი დონის მქონენი. კვლევის მიხედვით, სამუშაო ადგილზე წერისა და პრობლემის გადაჭრის უნარები ყველაზე ხშირად გამოყენებადია. მათ მოსდევს კითხვის უნარების და ბოლოს მათემატიკისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების გამოყენება (OECD, 2016). მოცემული კვლევის შედეგები ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ უნარების გამოყენების სიხშირე განსაზღვრავს შრომის პროდუქტიულობას, ასევე ინოვაციებისა და ინვესტიციების სტიმულირებას. თუმცა, თავის მხრივ, სამუშაო ადგილზე მენეჯმენტის სპეციფიკა განსაზღვრავს დასაქმებულთა მიერ უნარების გამოყენების ხარისხსა და სიხშირეს (OECD, 2016). მსოფლიო ბანკის საქართველოს მონაცემების (2015) თანახმად, ეროვნულ შრომის ბაზარზე (განათლების საფეხურისგან დამოუკიდებლად) კითხვა ყველაზე ინტენსიურად გამოყენებადი უნარი აღმოჩნდა (67%), რომელსაც მოსდევს მათემატიკური უნარების გამოყენება (60%), წერა (52%) და ბოლოს კომპიუტერის მოხმარება

[3] დეტალური მეთოდოლოგიისთვის იხილეთ დოკუმენტი შემდეგ ბმულზე file:///C:/Users/CSS11/Downloads/A%20guide%20to%20understand%20the%20literacy%20assessment%20of%20the%20STEP%20Skills%20Measurement%20Survey%207Nov2014%20(1).pdf

(48%) [იხ. დიაგრამა 14]. რაც შეეხება აღნიშნული უნარების გამოყენების კავშირს ფორმალური განათლების საფეხურთან, პირსონის ბივარიაციული კორელაციური ანალიზი ცხადყობს მათ შორის პოზიტიური კავშირის არსებობას. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია განათლების საფეხური, მით უფრო მაღალია ზემოხსენებული უნარების გამოყენების ინტენსივობა სამუშაო ადგილზე. მაგალითად, საშუალო სიძლიერის კორელაცია გამოვლინდა სამუშაო ადგილზე კითხვის უნარის ხშირ გამოყენებასა და განათლებას შორის (r= 0.442, p>0.01). სიძლიერის მიხედვით მას მოჰყვება კორელაცია კომპიუტერის გამოყენების სიხშირესა და განათლება შორის (r= 0. 374, p>0.01), წერასა და განათლებას შორის (r= 0.331, p>0.01) და ბოლოს, ყველაზე სუსტი კორელაცია ფიქსირდება მათემატიკის უნარების გამოყენების ინტენსივობასა და განათლების საფეხურს შორის (r= 0.125, p>0.01).



დიაგრამა 14: სამსახურში ძირითადი უნარების გამოყენება. წყარო WORLD BANK MICRODATA, 2015

კომპიუტერის გამოყენების უნარი თანამედროვე მსოფლიოში შრომასთან დაკავშირებული ცენტრალური ტექნიკური უნარია, ტექნიკური უნარები კი თანამედროვე ეროვნულ შრომის ბაზარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნით სარგებლობს როგორც ლურჯსაყელოიანი (მუშები, ხელოსნები) ასევე თეთრსაყელოიანი (ოფისის კლერკები) სამუშაო ძალის შემთხვევაში (Rutkowski, 2013).

კომპიუტერის მოხმარების თვალსაზრისით, მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ ორ ნაწილად იყოფა: ისინი, ვინც კომპიუტერს მაღალი სიხშირით იყენებენ როგორც სამსახურეობრივ, ისე არასამსახურეობრივ სივრცეში (51%) და ისინი, ვინც კომპიუტერს საერთოდ არ იყენებენ (32%) (World Bank Microdata, 2015).



დიაგრამა 15: კომპიუტერის გამოყენების სიხშირე, WORLD BANK MICRODATA, 2015

ლოგისტიკური რეგრესული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უმაღლესი განათლება, ასაკი, დასაქმების სტატუსი, დასაქმების სფერო, წერა-კითხვის უნარები და ასევე განათლების სისტემა (საბჭოთა, პოსტ-საბჭოთა, ბოლონია) არის ფაქტორები, რომელიც კომპიუტერის ინტენსიურ გამოყენებას განაპირობებს [იხ. ცხრილი 9]. კერძოდ, საშუალო განათლებასთან შედარებით, ბაკალავრის ხარისხის შემთხვევაში კომპიუტერის ინტენსიური გამოყენების ალბათობა 2-ჯერ მაღალია; 3-ჯერ მაღალია მაგისტრის, ხოლო 10-ჯერ მაღალი დოქტორის ხარისხის შემთხვევაში. ასაკთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 50+ ასაკობრივ პოპულაციასთან შედარებით, კომპიუტერის გამოყენება 8-ჯერ უფრო ინტენსიურია 18-27 ასაკობრივ კატეგორიაში, 5-ჯერ უფრო ინტენსიური 29-38 ასაკობრივ კატეგორიაში და 2-ჯერ უფრო ინტენსიური 39-48 ასაკობრივ კატეგორიაში. დასაქმებულების შემთხვევაში კომპიუტერის ხშირი გამოყენების შესაძლებლობა 2-ჯერ იზრდება დაუსაქმებლებთან შედარებით; ასევე 2-ჯერ იზრდება კითხვის უნარის, ხოლო 1.5-ჯერ წერის უნარის გამოყენებასთან ერთად. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, ბოლონიის პროცესის დაწყების შემდეგ კურსდამთავრებულებთან შედარებით, კომპიუტერის გამოყენების ინტენსივობა 0.33-ჯერ ნაკლებია პოსტ-საბჭოთა გამოშვებების, ხოლო 0.47-ჯერ ნაკლები საბჭოთა განათლების მქონე მოსახლეობაში. რაც შეეხება კომპიუტერის ინტენსიური გამოყენების ალბათობას დასაქმების სფეროების მიხედვით, პროფესიონალებთან შედარებით 0.4-ჯერ ნაკლებია დამწყები კვალიფიკაციის მუშახელის შემთხვევაში. თუმცა, ის 2-ჯერ მაღალია ტექნიკოსების/დამხმარე პროფესიონალების, 3-ჯერ მაღალი მენეჯერების, ხოლო 8-ჯერ მაღალი ოფისის მუშაკების შემთხვევაში. მარტივი აღწერითი სტატისტიკის საფუძველზეც თვალსაჩინოა, რომ ეროვნულ შრომის ბაზარზე კომპიუტერის გამოყენების მაჩვენებელი საშუალო და საშუალოზე მაღალია ისეთ საქმიანობებში, როგორიც არის საოფისე სამუშაო, თავდაცვა, მენეჯმენტი. კომპიუტერს საერთოდ არ იყენებს დაქირავაებული სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, გაყიდვებში ან ხელოსნად მუშაობს [იხ. დიაგრამა 15]. დამატებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერთან ინტენსიური მუშაობის გამოცდილება თითქმის 2-ჯერ ზრდის დასაქმების შესაძლებლობას. რაც შეეხება კოგნიტურ უნარებს: წერითი უნარების გამოყენების გამოცდილება (როგორც ფორმალურ, მაგ., სამსახურეობრივ, ისე არაფორმალურ სივრცეში) 2.4-ჯერ ზრდის დასაქმების ალბათობას, ხოლო მათემატიკური უნარების - 1.4-ჯერ. კითხვის უნარი და მიღწევები წიგნიერების ტესტში არ აღმოჩნდა დასაქმების პრედიქტორი ცვლადები ($p>0.05$) [იხ. დანართი, ლოგისტიკური რეგრესია].

ცხრილი 9. კომპიუტერის ინტენსიურ გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორების ლოგისტიკური რეგრესული ანალიზის მოდელი. წყარო; მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, 2015

Model Summary			
Step	-2 Log likelihood	Cox & Snell R Square	Nagelkerke R Square
1	2908.913[a]	.304	.406

		B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
Step 1[a]	ფორმალური განათლების გარეშე_Dummy	-17.873	40192.970	.000	1	1.000	.0
	სკოლის განათლება (არასრული)_Dummy	-.201	.189	1.125	1	.289	.8
	პროფესიული_Dummy	.165	.201	.673	1	.412	1.2
	ბაკალავრის ხარისხი_Dummy	.799	.223	12.872	1	.000	2.2
	მაგისტრის ხარისხი_Dummy	1.202	.184	42.531	1	.000	3.3
	დოქტორის ხარისხი_Dummy	2.289	.604	14.347	1	.000	9.9
	სქესი_Dummy	.031	.106	.083	1	.773	1.0
	18-27_Dummy	2.096	.302	48.112	1	.000	8.1
	28-38_Dummy	1.555	.245	40.165	1	.000	4.737
	39-48_Dummy	.806	.140	33.116	1	.000	2.239
	სწორი პასუხების რაოდ. წიგნიერების ტესტში_Dummy_ STEP SKILLS	.159	.110	2.070	1	.150	1.172
	დასაქმების სტატუსი_Dummy	.557	.123	20.587	1	.000	1.745
	წერა_dummy	.384	.105	13.286	1	.000	1.468
	მათემატიკური უნარები_dummy	.155	.137	1.282	1	.258	1.167
	კითხვა_dummy	.671	.117	32.764	1	.000	1.956
	შეირაღებული ძალები_Dummy	.245	.884	.077	1	.782	1.277
	მენეჯერები_Dummy	1.121	.278	16.300	1	.000	3.067
	ტექნიკოსები/ასოც. პროფესიონალები_Dummy	.643	.286	5.054	1	.025	1.903
	ოფისის მუშაკები_Dummy	2.084	.463	20.263	1	.000	8.037
	მომსახურება/გაყიდვები_Dummy	-.002	.170	.000	1	.993	.998
	სოფლის მეურნ./მეცხოველეობა_Dummy	1.654	1.004	2.711	1	.100	5.227
	ხელოსნები_Dummy	.309	.281	1.208	1	.272	1.362
	ოპერატორები/ამწყობები_Dummy	.182	.375	.235	1	.628	1.199
	დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი_Dummy	-.889	.269	10.967	1	.001	.411
	ზოლონია			13.524	2	.001	
	პოსტ-საბჭოთა	-1.121	.312	12.891	1	.000	.326
	საბჭოთა	-.746	.232	10.292	1	.001	.474
	Constant	-1.876	.398	22.253	1	.000	.153



უნარებთან დაკავშირებით საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვითაც. კერძოდ, კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ ფორმალური საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლს რიგი კომპეტენციების განვითარებაში, რესპონდენტებმა განსაკუთრებით მაღალი თვითშეფასება გამოავლინეს კოგნიტური უნარების შემთხვევაში, რომელშიც ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ერთიანდება შემდეგი პარამეტრები: დარგობრივი ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სტრესულ გარემოში/შეზღუდულ დროში მუშაობა, დროის ეფექტურად განაწილება და ჯგუფური მუშაობა. კვლევის მონაწილეების მხრიდან განსაკუთრებით დაბალი თვითშეფასება შემდეგი (პირობითად) ტექნიკური უნარების მიმართულებით გამოვლინდა: მართვა და მენეჯმენტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, შემოქმედებითი აზროვნება, ეფექტური პრეზენტაციის უნარი (მაგ.: აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა, ანგარიშების და სხვა სპეციფიკური ფორმატის დოკუმენტების წერა, ინგლისური ენის ცოდნა, საკუთარი CV-ს (რეზიუმეს) შედგენა [იხ. დიაგრამა 16]. საგულისხმოა, რომ მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა ცენტრის 2015 წლის კვლევაშიც, სადაც მონაწილეობა მიიღო სოციალური მეცნიერებებისა და ბიზნეს ადმინისტრირების 2012-2014 წლების 1001 კურსდამთავრებულმა (ლეჟავა, ამაშუკელი, 2015). კვლევის შედეგების თანახმად, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს უნივერსიტეტის როლს მათთვის კოგნიტური უნარების განვითარებაში, თუმცა ნაკლებად კმაყოფილია, ისევ და ისევ, ტექნიკური უნარების მიმართულებით, რაც განსაკუთრებით სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ეხება (იქვე, გვ.18, გვ.45). ამავე კვლევის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ თავად დამსაქმებლები საკმაოდ ნეგატიურად აფასებენ კურსდამთავრებულთა ტრანსფერულ უნარებს და აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებმა მეტი უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ მათ სტუდენტებს ანალიტიკური, წერითი და საკომუნიკაციო უნარები უკეთ ჰქონდეთ განვითარებული შრომის ბაზარზე შესვლის პერიოდისთვის. დამსაქმებლებისთვის პრობლემას წარმოადგენს ასევე კურსდამთავრებულების მიერ ინგლისური ენის არასამუშაო დონეზე ფლობა. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გარკვეულწილად ეთანხმება მათ მოსაზრებას და უნივერსიტეტებსა და დასაქმების ბაზარს შორის თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბრობს (იქვე, გვ.38-40).



არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ტრანსფერული უნარების ეკონომიკური ეფექტი, რაზეც თანამედროვე განათლების ეკონომიკაში დღეს უკვე ბევრს მსჯელობენ (Rutkowski, 2013; Broecke, 2016; Hanushek, 2016). საერთაშორისო კვლევების საფუძველზე ეპირიულად დასტურდება, რომ უნარების გაძლიერება ეკონომიკურად აქტიურ სამუშაო ძალაში პოზიტიურად მოქმდებს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე (მაკროდონე), არამედ დასაქმებულების ანაზღაურების მატებაზე (მიკროდონე) და შრომის ბაზარზე სახელფასო სხვაობით გამოწვეული უთანასწორობის შემცირებაზე (იმ შემთხვევაში, თუ უნარების გაუმჯობესება სამუშაო ძალის პროპორციული იქნება და ხელმისაწვდომი არა მხოლოდ ელიტური ჯგუფებისთვის) (Hanushek, 2016, გვ.8). მჭიდრო კორელაცია გამოვლინდა დასაქმებულების მიერ სამუშაო ადგილზე ტრანსფერული უნარების გამოყენებასა და მათ ანაზღაურებას შორის: ბევრად მაღალია იმ დასაქმებულების ანაზღაურება, რომლებიც ზოგად უნარებს სამსახურში უფრო ხშირად იყენებენ, მიუხედავად განსხვავებისა პროფესიისა და განათლების დონის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ხელფასებთან ყველაზე მჭიდრო კორელაციაშია საინფორმაციო-საკომუნიკაციო და კითხვის უნარების გამოყენების სიხშირეები (OECD, 2016). ინდივიდის უნარებსა და ანაზღაურებას შორის კავშირის სადემონტრაციოდ ბროიქი (2016) განიხილავს OECD-ის ინიცირებულ ზრდასრულთა წიგნირების უახლესი კვლევის (PIAAC survey) შედეგებს, რომლის მიხედვით 60%-ით მაღალია იმ დასაქმებულების ანაზღაურების საშუალო, რომლებსაც სწორედ კომპლექსური მათემატიკური ინფორმაციის დამუშავების და გაგების უნარი აქვთ (მათემატიკური წიგნიერების ტექსტში მინიჭებული აქვს 4 ან 5 ქულა), განსხვავებით იმ ინდივიდებისგან, რომლებიც ბაზისური მათემატიკური უნარების სიმწირით ხასიათდებიან (მათემატიკური წიგნიერების ტექსტში მინიჭებული აქვს 1 ან ნაკლები ქულა) (Broecke, 2016, გვ. 5-6).

ტრანსფერულ უნარებსა და ანაზღაურებას შორის კავშირზე მსჯელობისას ასევე გასათვალისწინებელია შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის კომპონენტი. კერძოდ, როდესაც რიგ უნარებზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა ადეკვატური სამუშაო ძალა დეფიციტური, ინდივიდის ეკონომიკური სარგებელი იზრდება მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის ხარჯზე. შესაბამისად, იზრდება ანაზღაურების სხვაობა და სახელფასო უთანასწორობა მაკროდონეზე. და პირიქით, როდესაც რელევანტური უნარებით აღჭურვილი სამუშაო ძალის მოცულობა აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს, ინდივიდის დონეზე ეკონომიკური სარგებელი კლებულობს და მცირდება სახელგასო უთანასწრობაც (იქვე, გვ. 7). ევროპული სტანდარტების მიხედვით, სახელფასო უთანასწორობა საქართველოში მაღალია. მაღალი სახელფასო უთანასწორობა მჭიდრო კავშირშია დაბალი ანაზღაურების მაღალ მაჩვენებელთან. დაბალი ანაზღაურება განისაზღვრება როგორც ანაზღაურების საშუალო ან მედიანური მაჩვენებლის 2/3-ზე ნაკლები (Rutkowski, 2013). ამ კრიტერიუმის მიხედვით, ეროვნულ შრომის ბაზარზე დასაქმებულების 40% ხვდებოდა დაბალანაზღაურებადი მუშახელის კატეგორიაში 2013 წელს (იქვე, გვ. 3). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის მონაცემების თანხმად კი ეს მაჩვენებლი 42%-მდეა გაზრდლი 2016 წელს. რუტკოვსკის (2013) თანახმად, დაბალი ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში 10%-დან 20%-მდე მერყეობს და უფრო მაღალი მაჩვენებლები იშვიათია შემთხვევაა. აქვე აღსანიშნავია, რომ დაბალი ანაზღაურების მაღალი მაჩვენებლები ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი ძლიერი ფაქტორია (Rutkowski, 2013).

დიაგრამა 17: დაქირავებით დასაქმების სფეროების საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება ქვეყნის საშუალოსთან მიმართებაში (ნეტო). წყარო: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016



მსოფლიო ბანკის საქართველოს 2015 წლის მონაცემთა დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ეროვნული შრომის ბაზარზე კომპიუტერის გამოყენების უნარი ინდივიდუალურ დონეზე ეკონომიკური სარგებელის გაზრდის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი ცვლადია. კერძოდ, კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია 68%-ით მაღალი საშუალო ყოველთვიური ხელფასის მიღება. რაც შეეხება

სხვა უნარებს, 25%-იანი ზრდა გამოვლინდა წერითი უნარების ფლობის შემთხვევაში. რაც შეეხება წიგნიერების ძირითად ტესტში მიღწევების ცვლადს (კოგნიტური უნარების სტანდარტიზებული ტესტი - STEP), ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი აღმოჩნდა და კერძოდ, ყოველი დამატებითი (ერთი) სწორი პასუხის შემთხვევაში, მოსალოდნელია საშუალო ყოველთვიური ხელფასის ზრდა 7%-ით. მათემატიკურ და კითხვის უნარებს ანაზღაურების ზრდასთან მიმართებაში სტატისტიკური გავლენა არ აღმოაჩნდა (R^2=0.72, F(10)=1, 3p>0.05) [იხ. დანართი, წრფივი რეგრესული ანალიზი].

მიღებული შედეგები და განსაკუთრებით კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევის მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობა გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული უნარი საკმაოდ დეციციტურია მოსახლეობაში (32% საერთოდ არ იყენებს) და სხვა უნარებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი ეროვნულ შრომის ბაზარზე (48%). პარალელურად, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და ზოგადად ტექნიკური უნარების ფლობა ყველაზე მაღალი მოთხოვნით სარგებლობს დამსაქმებლების მხრიდან. ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბაზარზე მოთხოვნა უფრო დიდია, ვიდრე რელევანტური სამუშაო ძალის მიწოდება. შესაბამისად, სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს უფრო მაღალ ეკონომიკური სარგებელ ნახულობს (მოსალოდნელი 68%-ით მაღალი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება). რეგრესული ანალიზის შედეგების თანახმად კი ეს პერსპექტივა ყველაზე მეტად აქვს სამუშაო ძალის ინ მაწილს, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი) ბოლონიის სისტემის პერიოდში და ხვდება 18-27 ასაკობრივ კატეგორიაში. დამატებით, მათი დასაქმების შესაძლებლობა იზრდება ისეთი საქმიანობების მიმართულებით, როგორიც არის მენეჯმენტი, კომპლექსური საოფისე და ადმინისტრაციული საქმე, თავდაცვა და უსაფრთხოება, და პროფესიული საქმიანობა [იხ. დანართი, ლოგისტიკური რეგრესია]. თუმცა, ზემოხსენებულ პერსპექტივასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კომპიუტერული უნარების ფლობა მხოლოდ 2-ჯერ ზრდის დასაქმების ალბათობას, რაც განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის მეტად ტრადიციული სტრუქტურით და შესაბამისად, დაბალპროდუქტიული დასაქმების სექტორით. ამის პარალელურად, ბაზარზე ძალიან დაბალია თანამედროვე ბიზნესისა და ფინანსური სერვისების წილი, რომელიც განათლებულ და მაღალუნარიან სამუშაო ძალას საჭიროებს (Rutkowski, 2013).

შემაჯამებელი დისკუსია

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განათლება-დასაქმების ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეუსაბამობის განმაპირობებელი ძირითადი მაკრო ფაქტორი სტრუქტურული უმუშევრობაა, - მდგომარეობა, როდესაც სამუშაო ძალა ვერ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს (Rutkowski, 2013) . როგორც უკვე არა ერთხელ ითქვა, საქართველოსა და პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევ მთავარ მიზეზად რიგი ეკონომიკურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციები სახელდება, რაც ასეთ ქვეყნებს ტრანზიტული ქვეყნების კატეგორიაში ათავსებს. აღნიშნული ტრანსფორმაციების ფონზე, სამუშაო ძალის იმ პოპულაციაში, რომელსაც განათლება (უმაღლესის ჩათვლით) საბჭოთა სისტემაში ჰქონდა მიღებული, სტრუქტურული უმუშევრობის მთავარი გამომწვევი მიზეზი მიღებული განათლების გაუფასურება გახდა, რც აისახა ხსენებულ პოპულაციაში ერთი მხრივ უმუშევრობის და მეორე მხრივ, განათლება-დასაქმებას შორის ვერტიკალური შეუსაბამობის ზრდაზე (Kupets, 2015). თუმცა, იგივე მიზეზი ნაკლებად ესადაგება იმ ახალგაზრდა სამუშაო ძალას, რომელსაც განათლება პოსტ-კომუნისტურ საქართველოში აქვს მიღებული, უშუალოდ უმაღლესი განათლება კი ბოლონიის პროცესის შემდეგ. ახალგაზრდა პოპულაციაში სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევია პირველ რიგში, შეუსაბამობა თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად საქმიანობის ტიპებსა და იმ პროფესიებს შორის, რომელსაც დღეს ახალგაზრდები მასობრივად ეუფლებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ჰორიზონტალური შეუსაბამობა). შედეგად, მათი უმრავლესობა ან გრძელვადიანი უმუშევრობის მდგომარეობაში გადადის ან დაბალპროდუქტიულ სამუშაო ადგილს ჯერდება (ვერტიკალური შეუსაბამობა), რაც პროფესიული განვითარების შანსების კლებასთან ერთად ფინანსური ზარალის მომტანია განათლებაზე დახარჯულ თანხებთან მიმართებაში (Kupets, 2015; Schnabel, 2016; Somers et al., 2016). განსაკუთრებით ახალგაზრდების პოპულაციაში, განათლებასა და დასაქმებას შორის შეუსაბამობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, ძირითადი რეკომენდაცია განათლების პოლიტიკის შემქმნელების მხრიდან პროფორიენტაციის (career guidance) მექანიზმების გაძლიერებაა არაეფექტური (არაპროდუქტიული) პროფესიული არჩევანის თავიდან არიდების მიზნით. ამისთვის კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა დამსაქმებელი სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა განათლების სისტემებთან. გარდა ამისა, დამსაქმებლები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ დასაქმებულების სამუშაო კომპეტენციების გაძლიერებას მათში ახალი ცოდნის/გამოცდილების ინვესტირებისა და სამუშაო ადგილზე სწავლების (on job training) ხელშეწყობის გზით. დამატებით, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა შრომის ბაზრის გაფართოება ინოვაციური სამუშაო მიმართულებების დანერგვის გზით (Kupets, 2015).

ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული ვითარების გათვალისწინებით და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მიზანმიმართული, ქმედითი ღონისძიებები არ გატარდება, მაღალი ალბათობით შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ ახალგაზრდა პოპულაციაში უმუშევრობა და განათლება-დასაქმებას შორის ჰორიზონტალური/ვერტიკალური შეუსაბამობას სულ უფრო მზარდი ტენდეცნია იქნება. აქვე, უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენციები ახლაც საკმარისად თვალსაჩინოა. მაგალითისთვის, 1988-1994 წლებში დაბადებულების ჯგუფში (23-29 წლის), რომლებსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება საქართველოში ბოლონიის პროცესის დაწყების შემდეგ და მინიმუმ, ბაკალავრის ხარისხს ფლობენ, ყველაზე მაღალი წილით არიან წარმოდგენილი გაყიდვების და მომსახურების სფეროში, ასევე ოფისის დამხმარე მუშაკებად (42%) [იხ. დანართი, ცხრილი 7]. ამ სფეროებში დასაქმებულების წილი ყველაზე ნაკლებია 1948-1970 წლებში დაბადებულების (47-69 წლის) კოჰორტაში, რომლებსაც მიღებული აქვთ საბჭოთა (5-წლიანი) უმაღლესი განათლება და შეადგენს 14%-ს, ხოლო 1971-1987 წლებში დაბადებულების ჯგუფში (30-46 წლის) აღწევს 21%-ს. პარალელურად იკლებს პროფესიონალების კატეგორიაში დასაქმებულების რიცხვი და ყველაზე მცირე მაჩვენებელს დასაქმებულების ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფში აღწევს (შესაბამისად, 61%, 46%, 31%) [იხ. ცხრილი 7]. იმ ახალგაზრდების 42%, რომელიც დღეს გაყიდვების და მომსახურების სფეროში, და ოფისის დამხმარე მუშაკად მუშაობს უმაღლესი განათლება ბიზნეს ადმინისტრირების, ჟურნალისტიკის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, ასევე ჯანდაცვის მიმართულებით აქვს მიღებული [იხ. დანართი, ცხრილი 8]. ზემოხსენებული მეტყველებს ეროვნულ შრომის ბაზარზე სწორედ 23-29 წლის სამუშაო ძალის შემთხვევაში განათლება-დასაქმებას შორის ძლიერ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეუსაბამობაზე.

განათლებასა და დასაქმებას შორის ვერტიკალური/ჰორიზონტალური შეუსაბამობის გარდა, საქართველოში პრობლემას წარმოადგენს უნარებსა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს შორის მაღალი ხარისხის შეუსაბამობა (skill gap). მართალია, ეს პრობლემა ეხება ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალის უდიდეს ნაწილს, თუმცა, განსაკუთრებით პრებლემატურია 50+ ასაკის პოპულაციაში. ასევე, მხედველობაშია მისაღები, რომ უმაღლესი განათლების დიპლომი არ წარმოადგენს იმის წინაპირობას (გარანტიას), რომ ინდივიდი თანამედროვე შრომის ბაზრისთვის აუცილებელ ტრანსფერულ უნარებს ფლობს, რაც მას დასაქმებაში დაეხმარება. ეს ფაქტორი უმაღლესი განათლების მქონე პოპულაციაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა სამუშაო ძალაში უმუშევრობის გამომწვევი საფუძველმდებარე მიზეზია. სამუშაო ძალაში რელევანტური უნარების დეფიციტი ყველაზე უარყოფითად ინოვაციურ სექტორზე აისახება, რომელიც ეროვნულ შრომის ბაზარზე ისედაც მცირე წილით არის წარმოდგენილი და ადეკვატური ადამიანური რესურსის სიმწირე მის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს (Rutkowski, 2013). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი აუცილებელია ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის სამოქმედო დღის წესრიგში პრიორიტეტად განისაზღვროს არა მხოლოდ

განათლების ხელმისაწვდომობა (access approach), არამედ განათლების ხარისხიც მის ყველა საფეხურზე (quality approach), რაც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარების ხელშეწყობას საჭირო და ადეკვატური ადამიანური კაპიტალის წარმოების გზით (Hanushek, 2017).

დანართი

ცხრილი 7: რესპონდენტების განაწილება დასაქმების სფეროებში განათლების სისტემების მიხედვით. წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, 2015

	1-digit ISCO Rev.8 occupation code										სულ
	შეიარაღებულ ძალები	მენეჯერები	მაღალი რანგის პროფესიონალები	ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	ოფისის დამხმარე მუშაკები	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშები	ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	
1948-1970		10.1%	61.3%	7.4%	6.9%	7.4%		2.3%	0.5%	4.1%	100.0%
1971-1987	1.7%	13.3%	45.8%	10.0%	7.5%	13.8%	0.4%	3.3%	1.3%	2.9%	100.0%
1988-1994	7.7%	3.8%	30.8%	11.5%	30.8%	11.5%			3.8%		100.0%
სულ	1.2%	11.4%	52.0%	8.9%	8.5%	10.8%	0.2%	2.7%	1.0%	3.3%	100.0%

ცხრილი 8: მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე

1948-1970 წლებში დაბადებულების კოჰორტა	მენეჯერები	მაღალი რანგის პროფესიონალები	ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	ოფისის დამხმარე მუშაკები	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშები	ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი
განათლებასთან დაკავშირებული პროფესიები	7%	85%			7%				
ჰუმანიტარული მეცნ. და ხელოვნება	6%	71%	2%	3%	12%		3%		3%
სოციალური მეცნ. (ეკონომიკის ჩათვლით)	24%	20%	4%	12%	20%	4%	4%	4%	8%
ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია		100%							
ბიზნესი და ადმინისტრირება	6%	35%	3%	3%	19%		6%		26%
სამდივნო და საოფისე საქმესთან დაკავშირებული პროფესიები				33%	33%				33%
სამართალი და იურიდიული მომსახურება	9%	27%	18%		27%		9%	9%	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნ.	8%	54%	15%	8%	8%		8%		
კომპიუტერული მეცნ./საინფორმაციო ტექნოლოგიები	50%	17%							33%
ინჟინერია	17%	27%	12%	10%	12%		10%	6%	6%
წარმოება და დამუშავება	9%	9%			36%		9%	18%	18%
მშენებლობა და არქიტექტურა	9%	18%			36%		18%	9%	9%
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა	33%	11%					22%		33%
ვეტერინარია					50%			50%	
ჯანდაცვა	8%	47%	15%	4%	17%				9%
სოციალურ მოსახურებასთან ასოცირებული პროფესიები	25%	25%					25%		25%
ტურიზმი, სპორტი და გართობასთან დაკავშირებული პროფესიები	25%	50%							25%
სტილისტი, კოსმეტოლოგი							100%		
სატრანსპორტო სფერო			20%		20%				60%
სხვა	3%	26%	21%	9%	21%		9%	3%	9%

ცხრილი 8: მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე (გაგრძელება)

1971-1987 წლებში დაბადებულების კოჰორტა	შეიარაღებულ ძალები	მენეჯერები	მაღალი რანგის პროფესიონალები	ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	ოფისის დამხმარე მუშაკები	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშები	ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	სამრეწველო დანადგარების ა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი
განათლებასთან დაკავშირებული		9%	50%	9%	14%	14%				5%
ჰუმანიტარული მეცნ. და ხელოვნება		13%	50%	3%	13%	17%	1%	1%	1%	1%
სოციალური მეცნ. (ეკონომიკის ჩათვლით)		21%	34%	10%	7%	17%	3%			7%
ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია		14%	43%			14%				29%
ბიზნესი და ადმინისტრირება		27%	17%	7%	17%	20%		7%	3%	3%
სამდივნო და საოფისე საქმესთან დაკავშირებული პროფესიები			100%							
სამართალი და იურიდიული მომსახურება	7%	9%	30%	17%	2%	28%			7%	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნ.		9%	73%		9%	9%				
კომპიუტერული მეცნ./საინფორმაციო ტექნოლოგიები			38%	13%		38%			13%	
ინჟინერია		21%	18%	7%	11%	21%		14%	4%	4%
წარმოება და დამუშავება		25%				25%			25%	25%
მშენებლობა და არქიტექტურა			100%							
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა			40%					40%		20.0%
ვეტერინარია										100.0%
ჯანდაცვა		14%	45%	14%		19%		2%	2%	2%
ტურიზმი, სპორტი და გართობასთან დაკავშირებული პროფესიები			17%	17%	33%	17%			17%	
სტილისტი, კოსმეტოლოგი						100.0%				
სატრანსპორტო სფერო			25%	50%					25%	
სხვა	3%	18%	39%	6%	6%	15%		12%		

ცხრილი 8: მობილობა პროფესიიდან შრომის ბაზარზე (გაგრძელება)

1988-1994 წლებში დაბადებულების კოჰორტა	შეიარაღებულ ძალები	მენეჯერები	მაღალი რანგის პროფესიონალები	ტექნიკოსები და მათთან ასოცირებული პროფესიონალები	ოფისის დამხმარე მუშაკები	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს მუშები	ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები
განათლებასთან დაკავშირებული პროფესიები						100%		
ჰუმანიტარული მეცნ. და ხელოვნება			80%		20%			
სოციალური მეცნ. (ეკონომიკის ჩათვლით)					50%	50%		
ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია				100%				
ბიზნესი და ადმინისტრირება	11%		11%	22%	33%	22%		
სამართალი და იურიდიული მომსახურება			100%					
კომპიუტერული მეცნ./საინფორმაციო ტექნოლოგიები			100%					
ინჟინერია						33%	33%	33%
ჯანდაცვა			33%		50%	17%		
ტურიზმი, სპორტი და გართობასთან დაკავშირებული პროფესიები		50%			50%			
სხვა			25%		50%	25%		

კომპეტენციები და დასაქმების შესაძლებლობები (ლოგისტიკური რეგრესია). წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, 2015

Model Summary

Step	-2 Log likelihood	Cox & Snell R Square	Nagelkerke R Square
1	3158.721[a]	.080	.118

Classification Table[a]

Observed			Predicted		
			დაქირავებით დასაქმება_Dummy		Percentage Correct
			0	1	
Step 1	დაქირავებით დასაქმება_Dummy	0	2170	54	97.6
		1	714	54	7.0
	Overall Percentage				74.3

		B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
Step 1[a]	პროფესიული_Dummy	.455	.151	9.113	1	.003	1.576
	ბაკალავრის ხარისხი_Dummy	.871	.154	32.109	1	.000	2.388
	მაგისტრის ხარისხი_Dummy	.884	.123	51.474	1	.000	2.421
	დოქტორის ხარისხი_Dummy	1.101	.441	6.220	1	.013	3.007
	სქესი_Dummy	.280	.096	8.526	1	.004	1.323
	ასაკი	.018	.004	17.592	1	.000	1.018
	კომპიუტერი_dummy	.554	.125	19.750	1	.000	1.739
	კითხვა_dummy	.202	.128	2.520	1	.112	1.224
	წერა_dummy	.885	.098	80.888	1	.000	2.424
	მათემატიკური უნარები_dummy	.302	.152	3.958	1	.047	1.353
	სწორი პასუხების რაოდ. წიგნიერების ტესტში_Dummy_ STEP SKILLS	-.125	.108	1.343	1	.247	.882
	Constant	-3.491	.271	165.872	1	.000	.030

კომპეტენციები და საშუალო ყოველთვიური ანაზღაურების ზრდა (წრფივი რეგრესია). წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, 2015

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.409[a]	.167	.154	.725

ANOVA[a]

Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	67.878	10	6.788	12.931	.000[b]
	Residual	338.051	644	.525		
	Total	405.929	654			

Model	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
(Constant)	-.631	.213		-2.955	.003
მუშაობის ხანგრძლივობა ამჟამინდელ სამსახურში_squared	-2.464E-06	.000	-.165	-1.537	.125
მუშაობის ხანგრძლივობა ამჟამინდელ სამსახურში (გაზომილია თვეებით)	.001	.001	.178	1.575	.116
კომპიუტერი_Dummy	.521	.083	.257	6.304	.000
კითხვა_Dummy	-.059	.095	-.026	-.625	.532
წერა_Dummy	.227	.064	.142	3.527	.000
მათემატიკური უნარები_Dummy	.045	.107	.016	.416	.678
სწორი პასუხების რაოდ. წიგნიერების ტესტში_ STEP SKILLS	.065	.019	.126	3.427	.001
სექტორი_Dummy	.124	.062	.078	2.001	.046
სქესი_Dummy	.397	.062	.239	6.370	.000
ასაკი	.006	.003	.084	1.821	.069

ბიბლიოგრაფია

Aiyar, Sh., Ebeke, Ch., & Shao X. (2013). *The Impact of Workforce Aging on European Productivity* (Working Paper 16/238). Prepared by International Monetary Fund

Broecke, S., (2016).Do skills matter for wage inequality? *IZA World of Labor.* wol.232. doi: 10.15185

Caucasus Research Resource Centers (CRRC-Georgia). Caucasus Barometer Georgia 2015. Retrieved from: http://caucasusbarometer.org/en/ http://caucasusbarometer.org/en/

Domadenik, P., Farčnik, D., & Pastore, F. (2013, July). *Horizontal Mismatch in the Labour Market of Graduates: The Role of Signalling.*IZA Discussion Paper No. 7527. Retrieved from: http://ftp.iza.org/dp7527.pdf

Hanushek, E. (2017). For long-term economic development, only skills matter. *IZA World of Labor* . wol.343. doi: 10.15185

Kupets, O. (2015). Skill mismatch and overeducation in transition economies*. IZA World of Labor*. wol.224. doi: 10.15185

Kupets, O. (2015, February). *Education in transiton and job mismatch: Evidence from the skills survey in non-Eu transition economies.* Kier Discussion Paper Series at Kyoto Institite of Economic Research. Kyoto, Japan. Retrieved from: http://www.kier.kyoto-u.ac.jp/DP/DP915.pdf

OECD (2014), *Education at a Glance 2014: OECD Indicators*, OECD Publishing, Paris. DOI: http://dx.doi.org/10.1787/eag-2014-en

OECD (2016), *Education at a Glance 2016: OECD Indicators*, OECD Publishing, Paris. DOI: http://dx.doi.org/10.1787/eag-2016-en

Rutkowski, J.J. (2013). *Georgia Skills Mismatch and Unemployment Labor Market Challenges* (Report No. 72824- GE). The World Bank, Europe and Central Asia Region, South Caucasus Country Department, Human Development Sector Unit.

Schnabel, C., (2016). Low-wage employment. *IZA World of Labor.* wol. 276. doi: 10.15185

Somers, M, A., Cabus, S. J., Groot, W., & Maassenvandenbrink, H. (2016). Horizontal Mismatch between Employment and the Field of Education: Evidence from a Systematic Literature Review. Retrieved from: https://www.researchgate.net

The World Bank CENTRAL MICRODATA CATALOG [Data file, 2016 The STEP Skills Measurement Program]. Retrieved from: http://microdata.worldbank.org/index.php/catalog/step

განათლების ამონაგებისა და შრომითი კმაყოფილების კვლევა 2016. *სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.* (ბეჭდვაშია)

ლეჟავა, დ., ამაშუკელი, მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. *სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.* ჩამოტვირთულია: http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=93&info_id=1145

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი: ISCO-08. შრომის საერთაშორისო ბიურო. http://eqe.gov.ge/res/docs/ISCO-08.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. ჩამოტვირთულია: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა 2015. ჩამოტვირთულია საქ-ოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოხიალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან: http://moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

ჭანტურიძე, გ., თათულაშვილი, ნ., წიკლაური, ლ., სურმავა, თ. (2016). მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში. *ფრიდრიხ ებერტი ფონდი.* ჩამოტვირთულია: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

მეორე სემესტრის დოქტორანტი

ლელა მელიქიშვილი

სადოქტორო სემინარი

,,რუსეთის რბილი ძალა, საინფორმაციო ომი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის მაგალითზე"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე

თბილისი

2017

სარჩევი

შესავალი ----------4

1.საინფორმაციო ომების შესახებ ზოგადი მიმოხილვა----------5

2. კიბერუსაფრთხოება ----------7

3.სოციალური მედია---------- 10

4. პროპაგანდის დეფინიცია---------- 13

5. რბილი ძალის შესახებ ზოგადი მიმოხილვა----------15

5.1 რუსეთის რბილი ძალა----------18

6. ომისწინა და შემდგომი მსვლელობა,ისტორიული მიმოხილვა---------- 20

7. კოდორის ხეობა, ისტორიული მიმოხილვა----------24

7.1 კოდორის ხეობა – ბატალიონი „მონადირე'' ---------- 27

8. ევროკავშირის ეგიდით შესწავლილი აგვისტოს ომი---------- 30

9. აგვისტოს ომის შეფასებები---------- 32

10. დაკვნა---------- 38

გამოყენებული ლიტერატურა----------40

შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს , იგივე სამხრეთ ოსეთის ომის დროს განვითარებული მოვლენების ანალიზს. ეს იყო ომი, ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, რუსეთის ფედერაციას შორის, ოსებსა და აფხაზებთან ერთად.

თანამედროვე რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელია და როგორც უძლიერესი მსოფლიო მოთამაშე, გავლენების გაზრდას ყველა კონტინენტზე სხვადასხვა ფორმით ცდილობს, იქნება ეს ხისტი თუ რბილი ძალისმიერი მეთოდები.

ნაშრომის მიზანია დადგინდეს ის ძირითადი მეთოდები და საშუალებები , რომლებიც გამოყენებული იქნა 2008 წელს რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომის მიმდინარეობისას.

რუსეთის მთავრობა ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად ანიჭებს უპირატესობას არასამხედრო საშუალებებს თვისი სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად, რაც სამიზნე სახელმწიფოს საფუძვლის შერყევას გულისხმობს. ასეთ ბერკეტებს შორისაა სახელმწიფოს ეკონომიკური დამოკიდებულების მოპოვების მცდელობა საინფორმაციო ომის საშუალებით.

აღნიშნულია საინფორმაციო ომის, პროპაგანდის, მედია საშუალებებისა და კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა კონფლიქტის შემთხვევაში, მათი გამოვლენის მახასიათებლები, ასახული შედეგები სამიზნეზე, მათგან მომდინარე საფრთხეები, დადებითი და უარყოფითი ბუნება, უბრალოდ გავლენის მოხდენის მცდელობები და ა.შ. ომი განხილულია როგორც მედია საშუალებების გამოყენებით წარმოებული პროპაგანდა, ასევე ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული, მიზანმიმართული, კიბერ-შეტევები საინფორმაციო საშუალებებზე.

აგვისტოში გააქტიურდნენ რუსული პროპაგანდისტული ძალები, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს საინფორმაციო ომის წარმოება საქართველოში. რუსულმა პროპაგანდამ მძლავრად დაიწყო ფესვების გადგმა საქართველოს დიპლომატიურ და სამთავრობო სტრუქტურებში,

ეკონომიკაში, მედიაში. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მძლავრ იარაღს ფართო მასების ფსიქოლოგიური მანიპულირებისთვის.

2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე მონაწილე ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება და განაცხადეს, რომ საქართველო გახდებოდა ალიანსის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ომის არარსებობის პირობებშიც არ ექნებოდა ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანების გარანტია, ეს შანსი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის მიაღწევდა გარდატეხას საკუთარი ეთნო ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრაში. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ამ ახალი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად მიიღო რუსეთმა გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო ომში.

ნაშრომი ასევე მოიცავს საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მიერ რბილი ძალის მოქმედებას, საფრთხეებსა და უპირატესობებს, მისი რესურსებისა და ინსტრუმენტების გათვალისწინებით. აღნიშნულია რბილი ძალის მნიშვნელობა კონფლიქტის შემთხვევაში, მისგან მომდინარე საფრთხეები, მისი დადებითი და უარყოფითი ბუნება.

ნაშრომში გამოყენებულია უცხოური და ქართული საინფორმაციო სააგენტოების ინტერნეტ-გვერდებზე არსებული ღირებული მასალა - საერთაშორისო თემების მიმოხილველების, მკვლევარების, მეცნიერების სტატიები და ა.შ.

პუტინი რუსული იმპერიის სიძლიერისთვის ორი იარაღით იბრძვის - სამხედრო ინტერვენცია, რომელიც 2008 წელს საკუთარ თავზე გამოვცადეთ, მაგრამ ამაზე არანაკლებ სახიფათოა რბილი ძალა, რომლის გამოვლინებებსაც სხვადასხვა ფორმით არაერთი ქვეყანა გრძნობს, იქნება ეს პროპაგანდა, რომელსაც კრემლის მიერ კონტროლირებადი მედიის მეშვეობით ავრცელებს, თუ სხვადასხვა ექსტრემისტული პოლიტიკური პარტიები.

1. საინფორმაციო ომის შესახებ ზოგადი მიმოხილვა

საინფორმაციო ომი არის ქმედება მიმართული საკუთარი ინფორმაციული სისტემის შენარჩუნებისკენ, რათა არ მოხდეს არასურველი შეღწევა გარედან, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დარღვევის მიზნით. ასევე, ეს არის ქმედება მიმართული მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემის პარალიზებისკენ, უპირატესობის მოპოვების მიზნით.

ინფორმაცია სხვადასხვა გზით, საშუალებებით და ფორმით ვრცელდება; ახლადშექმნილი სტრუქტურის მიზანი სხვადასხვა პროფესიის ადამიანური რესურსისა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გაერთიანებაა, რომ უფრო კოორდინირებულად მოხდეს საინფორმაციო ომის წარმოება. ,,საინფორმაციო არმია'' აერთიანებს: ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, რელიგიის სპეციალისტებს, ანალიტიკოსებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, ტელეოპერატორებს, ვიდეო მემონტაჟეებს, მსახიობებს, სცენარისტებს, ყველა იმ სპეციალობის ადამიანს, ვისაც შეუძლია შექმნას ,,რუსეთისთვის საჭირო'' საინფორმაციო პროდუქცია: წიგნი, ბროშურა, პლაკატი, მხატვრული, დოკუმენტური თუ ნახატი ფილმი; მათვე ევალებათ საზოგადოებრივი აზრის მართვა სოციალურ ქსელებში.

თანამედროვე ყველაზე დიდ სიმდიდრეს და სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს ინფორმაცია წარმოადგენს. ის, ვინც ინფორმაციას ფლობს, ფლობს ასევე ძალაუფლებასაც. ინფორმაციული ომი, ერთის მხრივ, მედია საშუალებების მიერ წარმოებული პროპაგანდაადა ამავე დროს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე შეტევები. აქ იგულისხმება ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული შეტევები საინფორმაციო საშუალებებზე. ასეთ ინტერნეტ-ომს ასევე კიბერ-ომიც შეგვიძლია ვუწოდოთ, რათა ადვილად განვასხვავოთ იგი ინფორმაციული პროპაგანდული ომისაგან.

საინფორმაციო ომი მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიურომთან , რომელიც იარაღად ინფორმაციას იყენებს და ჯავშან-ტექნიკისგან განსხვავებით იგი უხილავია, თავდაცვის მობილიზება კი საკმაოდ რთული ხდება. თუკი ვერ შევძლებთ საინფორმაციო ომის მოგერიებას მისი შედეგები საკმაოდ ღრმა და იარაღზე მეტად გამანადგურებელი

აღმოჩნდება. ასეთი ფსიქოლოგიური ომი ბევრად უფრო დახვეწილია და იგი შუმჩნევლად ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით გაატაროს საკუთარი ინტერესები.

სამოქალაქო საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განსახორციელებლად ძირითადად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. სადაც თავსდება კარგად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების მქონე ინფორმაცია - მიზანმიმართული და ინტენსიური მიწოდებით, რომელებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ფუნქციები და მიზნები. მასიური ფსიქოლოგიური ზეწოლა იწვევს ფსიქოლოგიურ წნეხს.

საინფორმაციო ომები ხორციელდება კარგად ორგანიზებული ჯგუფებისგან, ისინი მიზანმიმართულად მოქმედებენ და წინასწარ განსაზღვრული მოქმედების გეგმით ავრცელებენ ისეთი სახის ინფორმაციას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში.

საინფორმაციო ომის ძირითადი მიზანია მართვადი ქაოსის შექმნა, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. საბოლოო შედეგი მოწინააღმდეგის სრული დემორალიზებაა.[1]

[1] სვანაძე ვლადიმერ,2015,გვ.18,19,20,21. https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf

2. კიბერუსაფრთხოება

კიბერსივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სირთულეებს საზღვრები არ გააჩნია. თუმცა ყველა ქვეყანა ცდილობს ეს საკითხი გადაჭრას თავად დამოუკიდებლად, რის გამოც ყველა საჭირო ზომები და ღონისძიებები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი. „კიბერსივრცე'' წარმოადგენს ინფორმაციულ - ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსს, რომელიც თავისთან მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს.

გლობალიზაციასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ზრდის პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს სისტემა იყოს მოქნილი. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანამ განსაზღვროს ამ სფეროში არსებული საფრთხეები, რათა ქვეყანამ მოახდინოს დროული პრევენცია და თავიდან იქნას აცილებული კიბერშეტევები საქართველოს ინფორმაციულ ქსელებზე და საერთოდ ინფრასტრუქტურაზე.

სახელმწიფოს და სახელისუფლებო ორგანოებს პირველ რიგში ადარდებთ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კრიტიკული ინფორმაციისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვა როგორც უცხო სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო სუბიექტებისა და დაჯგუფებების მხრიდან ხელყოფისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის მოპარვა, ქსელის დაზიანება ანსაერთოდ განადგურება. სახელმწიფოს უსაფრთხოების რეალურ საფრთხეს წარმოადგენს კიბერშეტევები, რომლებიც მიმართულია ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურის განადგურებისკენ, როგორებიცაა სატელეკომუნიკაციო ქსელების, ენერგოგენერირებისა და ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების სისტემები, ასევე ელექტრომომარაგების, საფინანსო, ჯანდაცვისა და სატრანსპორტო სისტემები .

კიბერ სივრცეში, იმავე - ინტერნეტში, საომარი მოქმედებების წარმართვა არც თუ ისე ძნელია. ათობით ათასი დაინფიცირებული კომპიუტერისგან შემდგარი ქსელი ე.წ. ბოტ-ნეტი იწყებს ერთდროულად შეტევას რომელიმე სერვერზე. ბოტნეტი - წარმოადგენს პროგრამას, რომელიც ფარულად არის დაყენებული მსხვერპლის/ობიექტის კომპიუტერულ მოწყობილობაში, რაც დამნაშავეს/ბოროტმოქმედს საშუალებას აძლევს

დავირუსებული კომპიუტერის რესურსების გამოყენებით, შეასრულოს გარკვეული ქმედებები. ჰაკერების ეს სახეობა თავისი პროგრამებით ავირუსებენ კომპიუტერების დიდ რაოდენობას, რომელთა რესურსებსაც შემდეგ იყენებენ კიბერშეტევის კოორდინირებისთვის, ასევე „სპამის“ გასაგზავნად, ფიშინგისთვის და სხვა მავნე ქმედებისთვის. მსგავსი სახის ქსელები წარმოადგენენ არალეგალური ვაჭრობის ობიექტს;ეს არის სპეციალური პროგრამა, რომელიც ავტომატურად ან მიცემული დავალების თანახმად, ასრულებს იგივე მოქმედებებს, რასაც ჩვეულებრივი მომხმარებელი.[2]

კიბერ კონფლიქტი არის პოლიტიკური ან სოცილაური მოტივის მქონე კონფლიქტი, რომელიც ტექნოლოგიურ ხასიათს ატარებს. ეს არის სამხედრო კონფლიქტი ინფომრაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც მიმართულია სამიზნე ქვეყნის სასიცოცხლო და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების წინააღმდეგ.

2008 წლის აგვისტოში მიმდინარეობდა უმნიშვნელოვანესი ბრძლობა კიბერსივრცესა და მედიაში.რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შესაბამისი ფონი შეექმნა და ამისთვის ყველაზე ეფექტური საშუალებაც გამონახა- ინტერნეტი, სოციალური ქსელები, მედია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პროექტში ვკითხულობთ შემდეგს: „საქართველოს ხელისუფლება ისწრაფვის საქართველოს სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმებით და პრინციპებით და მიაჩნია, რომ უსაფრთხოება განუყოფელია როგორც ქვეყნის შიგნით მოქალაქეთა შორის ურთიერთობაში, ასევე, საერთაშორისო სისტემაში და ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოების შეზღუდვის ხარჯზე. საქართველოს მიზანია, ჩამოაყალიბოს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სამართლებრივ

[2] სვანაძე ვლადიმერ,2015,გვ.74. https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf

და დემოკრატიულ სახელმწიფოდ განვითარებას, მისი მოქალაქეების თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას. [3]

საერთაშორისო დონეზე კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის თაობაზე მიღებულია ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები „დანაშაულებრივი მიზნებით ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან ბრძოლა''[4].

2008 წლის 1 – 2 აპრილს, სტრასბურგში მსოფლიო კონფერენციაზე ,,თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ"50 მიღებული დოკუმენტი „კიბერდანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში სამართალდამცავი ორგანოებისა და ინტერნეტ - პროვაიდერების ერთობლივი მუშაობის ძირითადი პრინციპები'' ,,კომპიუტერულ დანაშაულებთან ბრძოლა".[5]

[3] http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx .
[4] http://www.itu.int/ITU-D/cyb/cybersecurity/docs/UN_resolution_58_199.pdf .
[5] http://www.oas.org/juridico/english/cyber_links_coe.htm .

3. სოციალური მედია

სოციალური მედია ეს არის კიბერსივრცეში მიღწევადი კავშირისა და კომუნიკაციის საშუალება, რომელიც ოპერატიულად ფუნქციონირებს ტექნოლოგიური მოწყობილობების ბაზაზე (ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა) და გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფის (Facebook, Twitter, MySpace, LinkedIn, YouTube და ა.შ.) პლატფორმა. ყოველივე აღნიშნულის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლიათ:

- ერთმანეთთან ურთიერთობა;
- სხვადასხვა სახის კონტენტების (ვიდეო, ფოტო, აუდიო, დასხვა) გაზიარება;
- ქსელურიგ აერთიანებების შექმნა (პროფესიული, რელიგირი, კულტურული, ნაცნობები, პოლიტიკურიდაა. შ.);
- სოციალური იდენტურობის განსაზღვრა და განვითარება.

სოციალურ მედიას გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. მისი არასწორი მიმართულებით გამოყენებამ შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. თუმცა ამავე დროს სოციალურ მედიას შეუძლია დადებითი ეფექტის მოტანა ქვეყნისთვის, მისი საშუალებით შესაძლებელია სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიზნების მიღწევა, საფრთხეებზე მუშაობა და მათი დროული პრევენცია.

სოციალური მედია ძალზედ სწრაფად ვითარდება, და აუცილებელია მისი საშუალებით გეო - პოლიტიკურ, გეო - ეკონომიკურ, თუ სხვა სახის პროცესებზე მუდმივი მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან. მთლიანობაში, კომპლექსურად ეს პროცესი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საგარეო საფრთხეები და მათი გავლენა საშინაო მოვლენებზე. შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მედიას საკმაოდ წარმატებით იყენებენ საერთაშორისო დამნაშავე ჯგუფები, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციები. თავისი მიზნების მისაღწევად, სოციალურ მედიას თავის ინტერესებში გამოყენებას არ ერიდებიან აგრეთვე პოტენციურად ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქვეყნები და ალიანსები.

სოციალური მედია შეიძლება გამოყენებული ქნას ადგილობრივი და საერთაშორისო დამნაშავე ჯგუფების მიერ, რომელიც პირდაპირ უქმნიან საფრთხეს ეროვნულ უსაფრთხოებას. ასეთ ჯგუფებად მოიაზრებიან:

- ეროვნული დივერსიული
- ჯგუფები (მარქსისტულ - ლენინური დაჯგუფებები, ანარქისტები);
- ეროვნული და ტრანსნაციონალური დამნაშავე ჯგუფები (მაფია, იაკუძა, ტრიადა, კამორა);
- ტერორისტული ორგანიზაციები;
- კომპანიები საგარეო კაპიტალით;
- რელიგიური სექტები;
- ჰაკერთა დაჯგუფებები;
- სხვა სახელმწიფოსი და ეროვნული სამხედრო - პოლიტიკური, აგრეთვე ფინანსური გაერთიანებები;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები;

საჭიროა მუდმივი მონიტორინგი სოციალურ მედიაზე, თუმცა არ უნდა დაირღვეს პიროვნების უფლებები და უნდა ეტეოდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, სამართლიანობისა და კანონიერების ჩარჩოებში.[6]

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისწინა პერიოდში გაჩნდა მაქსიმ გურეევის სრულმეტრაჟიანი პუბლიცისტური ხასიათის ფილმი ,,Абхазия. Взгляд из Европы''[7], რომლის სცენარის ავტორი და ფილმის მთავარი გმირი ინგლისელი კავკასიოლოგი, აფხაზების სიძე-ჯორჯ ჰიუიტია. დოკუმენტურ ფილმში გადაკეთებულია აფხაზეთის ისტორია. ავტორი აღნიშნავს: „რთულ ვითარებაში აფხაზეთმა ააშენა და ხვეწს დემოკრატიულ საზოგადოებას, უკვე 15 წელია ის დამოუკიდებლად ვითარდება. აფხაზეთი შედგა როგორც სახელმწიფო''.

ფილმის მიზანი იყო ისტორიის ფალსიფიცირება და ასეთი სახით მიტანა მაყურებლამდე. აღნიშნული ფილმი გავრცელდა აგვისტოს ომამდე რამდენიმე კვირით ადრე. ისტორიის მიზანმიმართული გაყალბებით იქმნება მცდარი საზოგადოებრივი შეხედულებები. ის ფაქტი რომ აფხაზებს- პატარა და დაუცველ ერს ვიღაც იდენტობის დაკარგვით და ფიზიკური განადგურებით ემუქრება - გამოიწვევს მსოფლიო საზოგადოების უარყოფით

[6] სვანაძე ვ.2015.გვ.13
[7] https://www.youtube.com/watch?v=pSMY6YxiTYQ

დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ და ასეთ შემთხვევაში რუსეთის მიერ განხორციელებული საომარი მოქმედებები იქნება არა დანაშულებრივი, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამართლებული სამხედრო ინტერვენცია, ერთგვარი დახმარება დაჩაგრული ერის მიმართ.

4. პროპაგანდის დეფინიცია

პროპაგანდა საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილია. თავისი არსით, პროპაგანდა არაა უარყოფითი მოვლენა. ეს ტერმინი გულისხმობს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას ან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას გარკვეული საკითხის, პიროვნების ან ჯგუფის მიმართ, რომელიც შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც.

პროპაგანდა ნეგატიურია, თუ ის ხელს უწყობს ძალადობას, ქსენოფობიას, რასიზმს, მოუწოდებს ომისკენ ან აღვივებს კონფლიქტს. ამასთანავე, უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს პროპაგანდა, რომელიც ცრუ და ყალბ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.[8]

პროპაგანდა სხვადასხვა დისციპლინის მიერ შეისწავლება, მათ შორის ისტორიკოსების, ჟურნალისტების, პოლიტიკური მეცნიერების და ფსიქოლოგების მიერ. მისი ინტერდისციპლინური გაგება მისი კომპლექსურობიდან გამომდინარეობს. წარმომშობი მიზეზები მეტწილად ერთი და იგივე, რასაც ვერ ვიტყვით მის შედეგებსა და გამოყენებულ საშუალებებზე. მასთან დასაპირისპირებლად აუცილებელია პიროვნებასა და შედეგებზე გავლენის შესწავლა.

პროპაგანდის მიზანია, სამიზნის მიყვანა წინასწარგანსაზღვრულ ადგილზე სურათების, სლოგანებისა და ემოციების თამაშით.

კრემლის პროპაგანდა იქმნება სხვადასხვა ფორმატში (ტექსტი, აუდიო, ვიდეო, ფოტომასალა). მისი გავრცელება ხდება განსხვავებული არხებით - ინტერნეტი, სოციალური მედია, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია, საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრებითა და კომუნიკაციით. კრემლის პროპაგანდა დაფუძნებულია შეთხზულ ამბებზე, რეალური ფაქტების დამახინჯებაზე ან კრემლისეულ ინტერპრეტაციაზე, რაც გულისხმობს ამბის ან სიახლის კონტექსტიდან ამოღებას და კრემლისთვის სასურველი კუთხით გაშუქებას, რომელსაც ახასიათებს სიხშირე, უწყვეტობა და განმეორებადობა , რათა კრემლისთვის სასურველი გზავნილის აქტუალობამ არ იკლოს.

---

[8] https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Propaganda%20in%20Georgia%20-%20Policy%20Paper.PDF გვ.8.

რუსული საინფორმაციო საშუალებები განსაკუთრებით მრავალენოვანი „RT“ და საინფორმაციო სააგენტო „Sputnik“, წარმოადგენენ ერთგვარ „რბილ'' ანტი-დასავლურ პროპაგანდისტულ ქსელს, რომელიც ხაზს უსვამს დასავლური საზოგადოების ნაკლოვანებებს: კორუფცია, ძალაუფლების სათავისოდ გამოყენება. ძირითადად გამოყენებულნი არიან სახელმწიფო მოხელეები, „დამოუკიდებელი ექსპერტები", „დამოუკიდებელი ჟურნალისტები", რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

რუსული პროპაგანდის მთავარი საყრდენი საქართველოში რამდენიმე ადგილობრივი ვებ-პორტალია: ,,საქინფორმი", ,,საქართველო და მსოფლიო", ,,ივერიონი". ეს მედია-საშუალებები საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციის - ,,ევრაზიული ინსტიტუტის" მედია-პარტნიორები არიან. ,,ევრაზიულ ინსტიტუტს" თავის ვებ-გვერდზე დაფინანსების წყაროები მითითებული არ აქვს, თუმცა, ცნობილი რუსი იდეოლოგის - ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია ,,საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობა" მიუთითებს, რომ საქართველოში მისი პარტნიორი სწორედ ,,ევრაზიული ინსტიტუტია". [9]

[9] http://www.ei-lat.ge/images/doc/rusetis%20rbili%20da%20xisti%20safrtxeebi%20sagartveloshi.pdf

5. რბილი ძალის შესახებ ზოგადი მიმოხილვა

ძალა არის რაიმეს კეთების უნარი და შესაძლებლობა. ის გვამოქმედებს სხვის ქცევაზე ჩვენთვის სასურველი შედეგების მისაღწევად. ძალის ორი ტრადიციული სახე - „ხისტი ძალ'' და „რბილი ძალა'' ერთმანეთისგან გამიჯნულია თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე. „ხისტი ძალა'' პირდაპირი ძალადობის საშუალებებს მოიცავს და ფიზიკური ზემოქმედების შედეგად გულისხმობს სამიზნის დაზიანებას, მისგან სასურველი შედეგების მიღების მიზნით.

ტერმინი „რბილ ძალა'' ახალი ტერმინია და მის, როგორც ჩამოყალიბებული კონცეფციის ავტორად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი - ჯოზეფ ნაი (Joseph Nye). ავტორს „რბილი ძალის'' კონცეფცია სრულად აქვს წარმოდგენილი 2004 წელს დაწერილ თავის წიგნში - ,,რბილი ძალა, წარმატების არსი მსოფლიო პოლიტიკაში".[10]

ადრე ურთიერთობები წარმოებდა სახელმწიფოს ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაჭრელად. უსაფრთხოების და თვითგადარჩენის „მაღალ პოლიტიკას'' ჰქონდა უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების „მცირე პოლიტიკასთან'' შედარებით. დღესდღეობით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ არის მხოლოდ ურთიერთობები ქვეყნის ლიდერებს შორის, არამედ არსებობს ურთიერთობები ბევრ სხვადასხვა დონეზე ბევრი სხვადასხვა აქტორების და სამთავრობო განშტოების გავლით, მეტია კონფლიქტებში მესამე მხარის მშვიდობიანი ჩართულობა საერთაშორისო სასამართლოების, ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების საშუალებით, ასევე წარმოებს ხშირი ურთიერთობები ადამიანებს და ჯგუფებს შორის სახელმწიფოს ჩაურევლად. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში სამხედრო ძალა პოლიტიკის წარმოების ნაკლებად გამოყენებადი ინსტრუმენტია. ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხდება სხვადასხვა ჯგუფების ფორმირება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ამ საკითხებს ახასიათებთ სხვადასხვა ხარისხის

[10] http://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/joe_nye_wielding_soft_power.pdf .

კონფლიქტურობა. ამ კონფლიქტების უმრავლესობისთვის სამხედრო ძალა შეუფერებელი ინსტრუმენტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ეპოქაში ძალას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და სხვა რესურსები უფრო ფასობს, მაგალითად, როგორიცაა მოლაპარაკების წარმოების უნარჩვევები. სწორედ აქ არის რბილი ძალა დომინანტი.[11]

ჯოზეფ ნაის წიგნში - ,,რბილი ძალა, წარმატების არსი მსოფლიო პოლიტიკაში" არის ერთი თავი სათაურით „რბილი ძალის რესურსები''. ამ თავში აღნიშნულია, რომ ქვეყნის რბილი ძალა სამ ძირითად რესურსს ემყარება (J. Nye. 2004.)

1. კულტურა
2. პოლიტიკური ღირებულებები
3. საერთაშორისო ურთიერთობები

თითოეული ეს რესურსი შედგება სხვადასხვა ქვერესურსისგან, რომლებიც ჩართული არიან ერთი საერთო მიზნის მისაღწევად - ეს არის რაიმე დაპირისპირების გადაყვანა დაძაბული ფაზიდან რბილ, მშვიდობიან ფაზაში. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რბილი ძალა თავისი რესურსებით მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციაში გამოიყენება. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური კონცეფციების, ინსტიტუციების, სხვადასხვა ჯგუფებისა თუ პიროვნებების დონეზეც კი რბილი ძალა შეიძლება ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე უბრალოდ მიმზიდველობის გაზრდას ემსახურებოდეს, თუმცა ხშირად კონფლიქტის სამშვიდობო კუთხით ტრანსფორმაციაში რბილ ძალას წამყვანი როლი ენიჭება, რადგან უშუალოდ მოგვარების, დიალოგის პროცესების უკან სწორედ რბილი ძალა დგას. ასევე ხშირად სამიზნეზე რბილი ძალა წინასწარ არის განხორციელებული ხისტ ძალამდე ან/და მას შემდეგ იმისათვის, რომ ხისტი ძალა გამართლდეს და ამან დამატებითი დანაკარგები არ გამოიწვიოს, ანუ ხისტი ძალით მიყენებული დაზიანება ლეგიტიმურად წარმოჩინდეს, მას მოწინააღმდეგე მხრიდან მხარდამჭერები ჰყავდეს. ამის მაგალითები მრავლად არის როგორც ძველ, ასევე თანამედროვე კონფლიქტების ფონზე.

[11] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10377

კულტურა იმ კონტექსტით არის განხილული, რომლითაც ქვეყანა სხვებისთვის მიმზიდველად გამოიყურება, როგორც გარეთ მიმართული. კულტურა, როგორც სხვადასხვა ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.ის სხვადასხვა გამოვლინებით ხასიათდება და მნიშვნელოვანია მისი გამიჯვნა ორ ნაწილად - დიად კულტურად და პოპულარულ კულტურად. დიადი კულტურა მოიცავს ლიტერატურას, მხატვრობას, განათლებას, რომელიც აისახება ელიტებზე. პოპულარული კულტურა კი ფოკუსირებულია მასობრივ სანახაობებზე.

როდესაც ქვეყნის კულტურა მნიშვნელოვანწილად ემყარება უნივერსალურ ღირებულებებს და მისი მიდგომები ასევე ემსახურებიან უცხოელებისთვის მისაღებ ღირებულებებს, ეს ხელს უწყობს სასურველი შედეგების მიღებას გამომდინარე შექმნილი მომხიბვლელობიდან და საპატიო განწყობიდან. ვიწრო ღირებულებები და ადგილობრივი კულტურები ნაკლებად უნარიანნი არიან რბილი ძალის წარმოებისათვის. მაგალითად აშშ სწორედ ამ უნივერსალური კულტურის მეშვეობით სარგებლობს.

5.1 რუსეთის რბილი ძალა

ამ ქვეყნის ისტორია მრავლად შედგება შეიარაღებული კონფლიქტებისგან, რამაც მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა მსოფლიო ცივილიზაციათა შორის ურთიერთობებში. ორივე მსოფლიო ომიდან გამარჯვებულის სახით გამოსვლამ კიდევ უფრო გაამყარა ამ ქვეყნის დაპყრობითი სურვილები შედეგად კი სახეზეა გამუდმებული შეიარაღებული კონფლიქტები სხვადასხვა ქვეყნებთან მათი დაპყრობისა და მიერთების, მათ რესურსებზე დაუფლების მიზნით.

ხისტ ძალასთან და ტრადიციულ დიპლომატიასთან ერთად რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციად სულ უფრო თვალსაჩინოდ ყალიბდება რბილი ძალის პოლიტიკა და მისით გავლენების მოპოვება როგორც კონკრეტულ სამიზნე ქვეყნებზე, ასევე მთელს საერთაშორისო სივრცეზე. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთი დასავლური სამყაროს მხრიდან სხვადასხვა სამშვიდობო მითითებებს, რომლებიც მისთვის მიუღებელია, სულ უფრო და უფრო პასუხობს მეზობელი ქვეყნების ან მათ ნაწილის ოკუპაციითა და ანექსიით (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ჩეჩნეთი).

რუსეთის მიერ წარმოებული რბილი ძალის პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შიდა, კერძო სტანდატებზე მორგებული რუსული მასმედიის საშუალებები, რომელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ან მის მიერ კონტროლირებადია. რუსული მასმედია გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. განსხვავებული აზრის დაფიქსირების ერთადერთი საშუალება ინტერნეტია. იზღუდება სამოქალაქო აქტივობა და გახსნილი საზოგადოებრივი დებატები.

საქართველო სხვა არაერთ დამოუკიდებელ ქვეყანას შორის ის ერთერთია, რომელსაც ყველაზე კონფლიქტურ ურთიერთობაში ყოფნა რუსეთის ფედერაციასთან უწევს, შესაბამისად რუსეთის რბილი ძალის მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება საკამოდ აქტიურია.

აღნიშნული საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის მომწოდებლად გვევლიენა გამომცემლობა „მთაწმინდელის'' მიერ 2010 წელს დაბეჭდილი წიგნი სათაურით „Soft

Power -რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში - 2008 წლის აგვისტოს ომისშემდგომი პერიოდი'' , რომლის რედაქტორია გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, 2014 წლის ივნისიდან დღემდე საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე.

წიგნში ვკითულობთ „ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის იმიჯის შექმნას არა მხოლოდ რუსი ექსპერტები, არამედ კრემლის მესვეურებიც ცდილობენ. 2009 წლის 16 ნოემბერს რუსეთის მაშინდელმა პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა ევგენი პრიმაკოვს დაბადების დღე მიულოცა და ყველასთვის მოულოდნელად საქართველოს გამთლიანება დაავალა. „გადაუჭრელი საკითხები ჩვენთვის არ არსებობს - საქართველოს გამთლიანების საკითხი გადაჭრადია“. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ დარწმუნებული იყო და იმედოვნებდა, რომ მისი სიტყვები დარბაზის კედლებს აუცილებლად გასცდებოდა. აქვე აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ ამ წვეულებაზე მოსკოვში მოღვაწე ბევრი ცნობილი ქართველი ესწრებოდა და პუტინის გამოსვლის შემდეგ დარბაზში რევაზ ლაღიძის „თბილისო''-მაც გაიჟღერა.

პუტინის ეს განცხადება საქართველოს გამთლიანების შესახებ რბილი ძალის რუსული ინტერპრეტაციის აშკარა მაგალითია. ერთი მხრივ რუსეთის პრემიერი ყველას და მათ შორის დასავლეთის გასაგონად აღნიშნავდა, რომ კონსტრუქციულადაა განწყობილი საქართველოს მიმართ და მზადაა დიალოგისათვის, მეორე მხრივ კი ხაზს უსვამს საკუთარ ძლევამოსილებას - „ჩვენთვის გადაუჭრელი საკითხები არ არსებობს''.[12]

[12] ფხალაძე თენგიზ .2010. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში.გვ.18.19.

6. ომისწინა და შემდგომი მსვლელობა, ისტორიული მიმოხილვა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა ერთი მხრივ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი,რომელსაც ზურგს უმაგრებდა რუსეთი, მეორეს მხრივ, საქართველო.ბრძოლები ორ ფრონტზე მიმდინარეობდა. პირველი ფრონტი ეს იყო ცხინვალი, სადაც ცეცხლი პირველად 7აგვისტოს გაიხსნა , მეორე ფრონტზე კი 9 აგვისტოს გაიხსნა ცეცხლი აფხაზეთის მიერ, სადაც ბრძოლა კოდორის ხეოიბისთვის მიმდინარობდა. სამხედრო ოპერაციებში შეიარაღებულ ოს სეპარატისტულ ძალებს მხარს უჭერდა კრემლი.

7- 8 აგვისტოს ღამეს დაიწყო ბრძოლა სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციები, რომელმაც ხუთი დღე გასტანა, საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოედო. ომმა მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში დიდი ნგრევა და განადგურება გამოიწვია. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ ქართული ჯარები განდევნილ იქნენ როგორც ცხონვალის რეგიონიდან, ასევე აფხაზეთიდან . რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქალაქებში შედიოდა უკვე ფოთი და გორი.

ქართულ-რუსული ბრძოლების წინა ხაზზე ამ დროისთვის იმყოფებიან საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები : ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი, ასევე, გაერთიანებული შტაბის უფროსი ზაზა გოგავა.

აპრილი-ივნისის პერიოდში რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვნად ზრდის მძიმე შეიარაღების რაოდენობას აფხაზეთში. მათ შორის კონფლიქტის ზონაში შეყვანილი არის საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფები. ასევე აფხაზეთში შემოყვანილი იქნა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ბატალიონი ,,ვოსტოკი'' ე.წ. ჩეჩნური ბატალიონი, რომლის ნაწილი შემდგომ იქნა შემოყვანილი ცხინვალში. ამავე პერიოდში აპრილ-ივნისის განმავლობაში რუსებმა აფხაზეთში შეიტანეს 3 ბუკის ტიპის საჰაერო თავდაცვის კომპლექსი.

,, 26 მაისს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში გააგზავნა რუსეთის რკინიგზის ჯარები. რუსეთის შეიარაღებული ძალები ვერ გადაადგილდება, როგორც წესი ჩეულებრივი გზით, მათ აუცილებლად სჭირდებათ რკინიგზა. 5 აგვისტოსთვის აღდგენილ იქნა სოხუმი-

ოჩამჩირეს რკინიგზა. გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე მთავრდება 3 ანგარის მშენებლობა მძიმე ტექნიკის მისაღებად.ეს კიდევ ერთი ნიშანი იყო იმისა, რომ რაღაც მზადება ხდება. ” [13] - ვკითხულობთ თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის სიტყვებს აგვისტოს ომის შემსწავლელ კომისიასთან მიცემულ განცხადებაში.

4 ივლისს ვებ-საიტი ,,Кавказ-центр” აქვეყნებს სტატიას, რომ რუსეთი საქართველოსთან ომს 2008 წლის აგვისტოში დაიწყებს. ,, Предполагается, что военные действия начнутся в период между 20 августа и 10 сентября 2008 года. Началу войны будут предшествовать увеличение интенсивности и количества стычек между абхазами и грузинами, серия провокаций (терактов) с человеческими жертвами, как на территории Абхазии, так и на территории России. По одному из сценариев крупный теракт, в котором будут обвинены грузинские спецслужбы, должен произойти в Сочи. Операция будет носить характер блицкрига. Наступательные действия с вытеснением грузинских войск из Кодори (верхней Абхазии) должны завершиться в течение 7–10 дней.” [14]

,,2004 წლის შემდეგ პირველად, სეპარატისტები საარტილერიო ცეცხლს უხსნიან ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ სოფლებს. არტილერია ქალაქ ცხინვალშია განლაგებული. პარალელურად, ანძისთან და სარაბუკთან ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამშვიდობოებს. სეპარატისტები იყენებენ 120 მმ კალიბრის ნაღმმტყორცნებს, რომელთა განლაგება კონფლიქტის ზონაში აკრძალულია. ომი ფაქტობრივად დაწყებულია.”[15]- ვკითხულობთ გრიგოლ ვაშაძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

7 აგვისტოს კონფლიქტი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ცალმხრივად ცეხცლის შეწყვეტა გამოაცხადა, ოსი სეპარატისტები ცხინვალის მისადგომებიდან ქართული სოფლების მისამართით ისროდნენ.

სეპარატისტების მიერ 8 აგვისტოს განხორციელდა მასირებული შეტევა მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით. ამის საპასუხოდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხედრო უწყების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თბილისმა სამხრეთ ოსეთში

---

[13] http://www.civil.ge/geo/article.php?id=20104&search=%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%90
[14] http://magazines.russ.ru/continent/2009/140/ill16.html
[15] http://topnews.mediamall.ge/?id=54995&fb_comment_id=596255783758179_5948978#f21e7d59dad3f

„კონსტიტუციურ წესრიგის“ აღდგენა გადაწყვიტა, ქართულმა არმიამ ძლიერი სამხედრო იერიში მიიტანა სეპარატისტებზე. საქართველოს მიერ იერიშის მიტანიდან რამდენიმე წუთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა ასეულობით სამხედრო პირი და სამხედრო ტექნიკა.

8 -9 აგვისტოს დაიბომბა ქარელი და გორი.გორი, რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობამ ქვეყანა ორად გაყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით რუსულმა ბომბდამშენებმა ორი ბომბი ჩამოაგდეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. რუსულმა თვითმფრინავებმა ასევე დაბომბეს სამხედრო აეროდრომი მარნეულში.

,,საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2008 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. ბრძანებულების ტექსტი პრეზიდენტის საიტზე გამოქვეყნდა 9 აგვისტოს 17:26 საათზე. ანუ ამ დროისთვის უკვე მომხდარია 7 და 8 აგვისტოს მოვლენები, დგას 9 აგვისტო და საღამოს 6-ის ნახევარზეც კი ვერ ხვდება სააკაშვილი, რომ რუსები ატყუებდნენ’’[16]- პაატა ზაქარეიშვილი.

9 აგვისტოს რუსებმა ასევე დაბომბეს ფოთის პორტი და აგრძელებდნენ სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაბომბვას. დილით ადრე, ასევე დაიბომბა ვაზიანის აერდრომის ასაფრენი ბილიკი.

საქართველომ აკრძალა რუსული ტელეარხების ტრანსლაცია ქვეყანაში, რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომის წარმოების გამო. რუსეთის ბომბდამშენებმა დაბომბეს სენაკის სამხედრო ბაზა.

10 აგვისტოს ქართული ჯარები ტოვებენ ცხინვალს. ამავე დღეს სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მან 1000 ჯარისკაცი გაგზავნა კოდორის ხეობაში და მობილიზაცია გამოაცხადა. მან ასევე გააფრთხილა, რომ აფხაზეთი მზად იყო იერიშისთვის და უფრო მეტზე წავიდოდა, თუ ქართველები წინააღმდეგობას გაწევდნენ.

[16] http://smr.gov.ge/Uploads/ba5833.pdf გვ.15

ამავე დღეს გვიან ღამით თბილისში ჩამოფრინდა მეთიუ ბრაიზა, ასევე ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის- შვედეთის წარმომადგენელი - კარლ ბილდტი.

12 აგვისტოსთვის საქართველოში გამოემართა ბერნარ კუშნერი რათა ვითარებას ადგილზე გაცნობოდა. მას ჰუმანიტარული კრიზისებისა და ლტოლვილთა დახმარების საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა ეუთო-ს წარმომადგენელი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ალექს სტუბი.

ევროკავშირის თავმჯდომარე საფრანგეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში -16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა ბრძოლები მაშინვე არ შეწყვეტილა.შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. თუმცა ამასთან ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში.

რუსეთის თვითმფინავებმა 5 დღის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ოთხასზე მეტი საჰაერო იერიში მიიტანეს საქართველოს ტერიტორიაზე .

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. 2009 წლის მდგომარეობით რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მათ შორის იმ ტერიტორიებზეც, რომლებსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა.[17]

[17] http://www.civil.ge/eng/article.php?id=19479

7. კოდორის ხეობა, ისტორიული მიმოხილვა

ზემო აფხაზეთი, იგივე კოდორის ხეობა აფხაზეთში დე ფაქტო გამყოფ ზოლს წარმოადგენს საქართველოს იურისდიქციის გარეთ მყოფი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და დანარჩენ საქართველოს შორის. 1993 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე ხეობა აფხაზეთის ერთადერთი ნაწილი იყო, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა.

კოდორის ხეობა დაახლოებით. 60 კმ-ზე იჭიმება სოხუმიდან სამხრეთით 30 კმ-ში. მდ. კოდორი 1994 წლის ომის შეწყვეტის შეთანხმებით გამყოფი ზოლი იყო აფხაზ და ქართველ ძალთა სამხერდო ტექნიკისთვის. გალის სექტორთან ერთად ეს რეგიონი ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებადსაშიშ რაიონად ითვლება აფხაზეთში.

გაეროს 937-ე რეზოლუციით [18]1994 წელს საქართველოში გაეროს დამკვირვებელ მისიას კოდორის ხეობაში დაეკისრა ორი მისია:

1. საქართველოს შეიარაღებული ძალების ხეობიდან გამოყვანის მონიტორინგი.

2. კოდორის ხეობის რეგულარული პატრულირება.

2006 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა ბრძანებულება კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთად წოდებისა.

2008 წლის აგვისტოში ზემო აფხაზეთი დაკავებული იქნა რუსეთის საოკუპაციო ნაწილების მიერ.

ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულია სტატია სახელწოდებით ,,კოდორის ხეობა თბილისზე გაიცვალა?'' რომელშიც ვითხულობთ :- ,,13 აგვისტოს, გამთენიისას აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსეთის ფედერაციის დახმარებით, კოდორის ხეობა აიღეს, ადმინისტრაციული შენობის თავზე აფხაზური დროშა ააფრიალეს, იქვე დიდი პურ-მარილი გაშალეს და კარგადაც მოილხინეს.''

[18] http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/09/1994-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-21-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98.-11.pdf

,,ვერსიის" რედაქციაში კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობა რეკავდა და ხეობაში განვითარებული მოვლენების დეტალებს ყვებოდა. როგორც დევნილები იუწყებიან, ქართულმა სამხედროებმა ხეობა გასროლის გარეშე დატოვეს და აფხაზურ მხარეს ნადავლად დიდი რაოდენობის იარაღიც დაუტოვეს. იარაღის დატოვების დამდასტურებელი კადრები, ერთ-ერთი უცხოური ტელევიზიის ეთერით გადაიცა კიდეც.

როგორც ცნობილია, კოდორის ხეობის აღებამდე, ქართულმა მხარემ 4 შემოტევა ისე მოიგერია, რომ ჩვენს სამხედროებში ერთი მსხვერპლიც არ ყოფილა, - ხეობა ფაქტიურად აუღებლად ითვლებოდა, მაგრამ ხეობაში გვიან ღამით 12 აგვისტოს რა მოხდა, ეს არავინ იცის.

,,ვერსიის" წყაროები იმასაც ამბობენ, რომ კოდორის ხეობა, ხელისუფლებამ ფაქტიურად თბილისზე გადაცვალაო, მთავრობის ადგილობრივი თავმჯდომარე - მალხაზ აქიშბაია კი, თურქეთში გარბოდა და ბათუმში შეუჩერებიათო. მართალია, კოდორის ხეობის მოსახლეობის უმეტესობამ სახლ-კარი ჯერ კიდევ მაშინ დატოვა, სანამ ხეობას ქართველები აკონტროლებდნენ და რუსეთის ბომბდამშენები ტერიტორიაზე ჭურვებს ყრიდნენ, მაგრამ როგორც ,,ვერსიას" შეატყობინეს, 14 აგვისტომდე სოფელ ხაიშში 800 ადამიანი იყო ჩარჩენილი.'' [19]

2008 წლის აგვისტოს ომამდე, ზემო კოდორის ხეობა ერთადერთი ადგილი იყო სეპარატისტულ აფხაზეთში, რომელიც თბილისის კონტროლს ექვემდებარებოდა. გასამხედროებული ჯგუფი ,,მონადირე", რომლის მეთაურიც ემზარ კვიციანი იყო, მას შემდეგ შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით ხეობის დაცვის მიზნით, რაც 1992 წელს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. ეს ჯგუფი განაგებდა ხეობას, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება კოდორის ხეობაზე მხოლოდ პირობითი იყო. თუმცა, ეს სიტუაცია 2006 წლის ზაფხულში შეიცვალა. კვიციანმა 2006 წლის 22 ივლისს ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და ამის მიზეზად „მონადირის'' დაშლის გეგმები დაასახელა, საპასუხოდ, ხელისუფლებამ

[19] http://presa.ucoz.net/news/2008-08-15-116

კოდორში სამხედრო ძალები გაგზავნა, რის შემდეგაც კვიციანი იძულებული გახდა ხეობიდან გაქცეულიყო.

,,ჩემი ძმის მთავარი გარანტია სიმართლეა. ემზარი ჩამოსვლას კარგა ხანია ფიქრობდა... ის მზად არის, ითანამშრომლოს ახალ ხელისუფლებასთან და ბოლოს და ბოლოს, დადგინდეს, რა მოხდა 2006 წელს კოდორის ხეობაში, რატომ დაიკარგა ეს წლების განმავლობაში ბრძოლით შენარჩუნებული ხეობა 2008 წელს. ემზარის ერთადერთი დანაშაული დაუმორჩილებლობაა, მაგრამ ამას აქვს გამართლებაც - იცოდა, რომ ,,ნაციონალები'' ხეობას აბარებდნენ და ამიტომაც არ დაემორჩილა მათ'' [20] - რამდენად შეესაბამება ნორა კვიციანის განცხადება სიმართლეს გაურკვევლია , ან იყო თუ არა ემზარ კვიციანის დაუმორჩილებლობა ეროვნული მოტივით განპირობებული? თუმცა ფაქტია რომ ჩვენ დავკარგეთ ზემო კოდორის ხეობა ერთადერთი ადგილი სეპარატისტულ აფხაზეთში.

[20] http://www.kvirispalitra.ge/politic/20819-nora-kviciani-qthqvas-oqruashvilma-ra-mokhda-kodorshi-sinamdvileshiq.html?add=1&device=xhtml .

7.1 კოდორის ხეობა – ბატალიონი „მონადირე”

აფხაზეთში ქართული რეგულარული არმიის 1993 წლის დამარცხების შემდეგ საქართველომ შეინარჩუნა ერთადერთი პლაცდარმი აფხაზეთში – კოდორის ხეობა. მიუხედავად იმისა, რომ კოდორის ხეობაში ქართული საჯარისო ფორმირებები და პოლიცია არ იყო, ხოლო აფხაზების და რუსების მხრიდან კოდორის ხეორის აღების და გაკონტროლების არაერთი მცდელობა იყო, ხეობა ყოველთვის რჩებოდა ქართული კონტროლის ქვეშ და ამას ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობით დაკომპლექტებული შეიარაღებული ბატალიონი „მონადირე’’ ახერხებდა. ეს ჯგუფი 2002 წელს თავდაცვის სამინიტროს დაქვემდებარებაში შევიდა, როგორც ადგილობრივი გასამხედორებული სასაზღვრო ბატალიონი (შემადგენლობა 300-500 კაცის ფარგლებში მერყეობდა). ჯგუფის ხელმძღვანელი, ემზარ კვიციანი მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის რწმუნებული იყო კოდორის ხეობაში. რწმუნებული იყო ის მას შემდეგაც, რაც ხელისუფლება ,,ვარდების რევოლუციის” გზით შეიცვალა. 2004 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციამ მისი თანამდებობიდან ჩამოცილება ხეობაში რწმუნებულის პოსტის გაუქმების გზით შეძლო. ამის გამო კვიციანსა და ახალ ხელისუფლებას შორის დაძაბულება ყოველთვის იყო, მაგრამ 2004 წელს ხელისუფლებამ თვალი დახუჭა „მონადირი’’ დე-ფაქტო პარტიზანულ სტატუსზე. თუმცა, უკვე 2005 წლის აპრილში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ „მონადირემ’’ თავისი ფუნქცია ამოწურა, და როგორც თავად უწოდა – „უსაქმურებით დაკომპლექტებული რაზმი’’ – მალევე გააუქმა. ოქრუაშვილმა შენაერთის წევრებს კრიმინალურ საქმიანობაში დასდო ბრალი და ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებისკენ მოუწოდა. აფხაზეთის მთავრობა, რომელსაც მაშინ ირაკლი ალასანია ხელმძღვანელობდა, ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა და უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივნის გელა ბეჟუაშვილის მხარდაჭერაც მოიპოვა. მართალია, ოქრუაშვილმა რაზმის სტატუსის გაუქმებაზე თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა, მაგრამ კოდორში ფაქტიურად ყველაფერი ძველებურად დარჩა. თუმცა ბატალიონისთვის ლეგალური სტატუსის გაუქმებამ აფხაზებს და რუსებს საფუძველი მისცათ, კოდორის ხეობაში უკვე

არარეგულარული, ანუ „უკანონო რაზმის'' არსებობა კიდევ უფრო ხმამაღლა გაეპროტესტებინათ.

2006 წლის ზაფხულში, როცა ალასანია უკვე გაეროში იყო საქართველოს წარმომადგენელად, კოდორის ხეობაში ისევ გამწვავდა სიტუაცია. 23 ივლისს საქართველოს პარლამენტში ოპოზიციური პარტიების მოთხოვნას – მეორე დღეს მთავრობის დამტკიცებისას ვანო მერაბიშვილის გადაყენების შესახებ (სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით), „მონადირის'' უფროსმა ემზარ კვიციანმა ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომის ულტიმატუმის ფორმით მოთხოვნაც დაუმატა. ოპოზიციური პარტიები კვიციანის მოთხოვნას გაემიჯნენ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ამ დროისათვის სვანეთში აფრასიძეების კლანის განადგურების მასშტაბური სისხლიანი ოპერაცია ჩაატარა, აჭარაზე კონტროლი აღადგინა და „ნულოვანი ტოლერანტობის'' საპრეზიდენტო ლოზუნგით მოტივირებულმა მრავალი ათეული ახალგაზრდა პირდაპირ ქუჩებში ჩაცხრილა, გადაწყვიტა, ერთი დარტყმით ორი კურდღელი დაეჭირა – თან აღეკვეთა ქვეყნის ტერიტორიაზე უკანასკნელი არაკონტროლირებადი რაზმი, თან ამ სერიოზულ კრიზისზე ყურადღების გადატანით „გადაეფარა“ გირგვლიანის საქმეზე საზოგადოების სულ უფრო მზარდი პროტესტი.

27 ივლისს კოდორის ხეობაში, რომელიც 13 წლის განმავლობაში იარაღასხმული ცხოვრობდა დასავლეთ მხრიდან აფხაზთა და რუსთა შენაერთების შეტევის მოლოდინში, აღმოსავლეთიდან ქართული საბრძოლო შენაერთები (ჯარი და პოლიცია) შევიდნენ, მათი შემადგენლობა სავარაუდოდ 2,000 ჯარისკაცს უახლოვდებოდა. ოპერაციის ბოლო ფაზაში სოფელ ჩხალთაში გამაგრებულ კვიციანის ჯგუფზე ქართულმა ჯარმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით მიიტანა შეტევა ვერტმფრენებით და არტილერიის გამოყენებით. რაზმ „მონადირის'' ნაწილმა სოფელი ჩხალთა დატოვა და აფხაზეთში გადავიდა. ხელისუფლებამ დაშალა ბატალიონი „მონადირე'' და ხეობის დასაცავად დაახლოებით 600-კაციანი პოლიციური საბრძოლო დანაყოფი დატოვა. ამ სპეცოპერაციით ხელისუფლებამ არამცთუ მერაბიშვილი „გადაარჩინა'' გადაყენებას, არამედ თავიდან მოიშორა საკმაოდ სერიოზული და თან შეიარაღებული ოპონენტი იმ ტერიტორიაზე, სადაც აჭარის და სვანეთის შემდეგ უკვე ასევე სრულად აღადგინა

ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დააპატიმრა – მოღალატე კვიციანისათვის „მორალური მხარდაჭერის'' აღმოჩენის საბაბით – ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი.[21]

[21] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-02-uni.pdf

8. ევროკავშირის ეგიდით შესწავლილი აგვისტოს ომი

ევროკავშირის დაფინანსებული მისიის მიერ 30 სექტემბერს გამოქვეყნებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ ,,ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვით."[22]

ტალიავინის კომისიის ანგარიშის პირველი ნაწილში ვკითხულობთ : ,,ღია საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციით ცხინვალის და მისი მიმდებარე ტერიტორიების წინააღმდეგ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს. ოპერაცია ქართული მხარის მასიური საარტილერიო შეტევით დაიწყო.''

საქართველოს ოფიციალური პოზიციაა, რომ იგი იძულებული შეიქმნა თავდაცვითი ოპერაცია დაეწყო 7 აგვისტოს 23:35 საათზე, რათა უკვე დაწყებულ რუსული სამხედრო აგრესია შეეჩერებინა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ფაქტების შემსწავლელი მისია, რომელსაც შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ კომისიამ საქართველოს მტკიცება, რომ რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრა 8 აგვისტომდე განახორციელა საკმარისად დასაბუთებულად ვერ მიიჩნია.

თუმცა, მისიის დასკვნა ასევე მიანიშნებს იმ რამოდენიმე ინფორმაციასა და პუბლიკაციაზე, მათ შორის რუსულ წყაროებში, რომლის თანახმადაც რუსული მხარე სამხრეთ ოსური და აფხაზური ძალების წვრთნასა და აღჭურვას 2008 წლის აგვისტომდეც ახორციელებდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს აგვისტოს დასაწყისში მოხალისეთა და დაქირავებული მებრძოლების დიდი ნაკადი შევიდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბის და კავკასიონის ქედის გავლით''.

დოკუმენტში ასევე წერია, რომ 8 აგვისტოს 14:30 საათამდე, როდესაც რუსეთის თქმით, მან მიიღო გადაწყვეტილება ინტერვენციის თაობაზე, გარკვეული რუსული ძალები- გარდა სამშვიდობოებისა - უკვე იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთში.

---

[22] http://www.civil.ge/files/files/2009/iiffmgc_report_volume1.pdf .

იმასთან დაკავშირებით, გამართლებული იყო, თუ არა საქართველოს მიერ ძალის გამოყენება, მათ შორის ცხინვალის დაბომბვა, საერთაშორისო სამართლის კუთხით, დასკვნაში წერია: ,,არ იყო".

ასევე აღნიშნულია, რომ ცხინვალის დაბომბვა გრადის ტიპის საარტილერიო სისტემის გამოყენებით 7-8 აგვისტოს ღამეს ,,საჭირო და პროპორციულ" ქმედებად ვერ ჩაითვლება.

რუსეთის მიერ ძალის გამოყენების კანონიერებას საერთაშორისო სამართლის კუთხით, ამ საკითხზე მისიას ,,დიფერენცირებული" მიდგომა აქვს და რუსეთის რეაქციას საქართველოს შეტევაზე ორ ფაზად ყოფს - ერთი, რომელიც იყო მყისიერი რეაქცია ცხინვალში მყოფი რუსი სამშვიდობოების დასაცავად და მეორე, სამხრეთ ოსეთის მიღმა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შეჭრა.

მისია ასკვნის, რომ პირველ შემთხვევაში ,,თუ რუს სამშვიდობოებს თავს დაესხნენ, რუსეთს ჰქონდა უფლება პროპორციული სამხედრო ძალა გამოეყენებინა მათ დასაცავად.ამრიგად, რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვითი მიზნით კონფლიქტის პირველი ფაზის დროს კანონიერი იქნებოდა."

რაც შეეხება მეორე ფაზას, რომ ,,რუსული სამხედრო მოქმედებების უმეტესობა მნიშვნელოვნად გასცდა თავდაცვის გონივრულ საზღვრებს ,უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთის ფარგლებს მიღმა ძირითადად საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა," - ნათქვამია დასკვნაში.

ასევე ნათქვამია, რომ რუსეთმა გაეროს წესდება დაარღვია, როდესაც მან და მისმა აფხაზმა მოკავშირეებმა ზემო კოდორის ხეობაზე მიიტანეს იერიში.[23]

[23] http://www.civil.ge/geo/article.php?id=21826 .

9. აგვისტოს ომის შეფასებები

ბერნარდ კუშნერი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბერნარ კუშნერი რუსეთი დაადანაშაულა საქართველოსთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევაში და მოსკოვს მოუწოდა, გაიყვანოს ჯარები 2008 წლის აგვიტოს ომამდე პოზიციებზე. ამ მოწოდებით კუშნერი თბილისში, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა. მანვე დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საფრანგეთის მხარდაჭერა. „მინდა, რომ ნათელი ვიყო: ჩვენთვის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონები, ეს არის საქართველოს რეგიონები - ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს ეკუთვნის ... და ჩვენ ვეცდებით, რომ უფრო მეტი თავდადებით, მეტი ეფექტურობით ვიმუშაოთ იმისათვის, რომ, როგორც სარკოზის შეთანხმებაში ითქვა და როგორც უკვე არაერთხელ განვაცხადეთ, ეს რეგიონები საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს. არანაირი ორაზროვნება საფრანგეთის პოზიციაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს“, - განაცხადა ბერნარ კუშნერმა თბილისში.[24]

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ,,2008 წლის აგვისტოს ომში ყველამ წააგო''.

,,როგორც წესი, ომში ყველა აგებს, თუმცა არსებობენ ფორმალური გამარჯვებულები და დამარცხებულები. ჩვენს შემთხვევაში აბსოლუტურად ყველამ წავაგეთ. ჩვენ დავკარგეთ ძალიან ბევრი დრო და ფული, აღარაფერს ვამბობ ადამიანურ მსხვერპლზე, როდესაც აგვისტოს აგრესიის შედეგების დაძლევას ვცდილობდით. რუსეთმა საბოლოოდ დაკარგა იმ გავლენის ნარჩენები, რომელიც საქართველოში ჰქონდა. ანუ, მან ვერ გადაწყვიტა ის პრობლემა, რომელსაც საკუთარი თავის წინაშე აყენებდა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი მხოლოდ ინსტრუმენტებია, თამაშის მიზანი კი, რომელიც რუსებმა 2008 წლის თებერვალში დაიწყეს, მთელი საქართველოს მოპოვება იყო. ოკუპირებული ტერიტორიები სრულიად განადგურებული და გაღარიბებული დარჩა, რუსულ-ქართული

[24] http://www.myvideo.ge/v/288144 .

ურთიერთობები კი ისეთ ჩიხში შევიდა, რომლიდან გამოსვლასაც ბევრი თაობის ძალისხმევა და დიდი მოთმინება დასჭირდება'' .[25]

მერაბიშვილის ჩვენება

მერაბიშვილმა წარმოადგინა ქართული მხარის მტკიცებულებები , სატელეფონო ჩანაწერები ,სადაც ოსურ ენაზე საუბარია 7 აგვისტოს დილის 3:41 საათზე როკის გვირაბის გავლით რუსული ტექნიკის შემოსვლის თაობაზე. ,,გორში მყოფი გადამტანი ოპერატორების მეშვეობით განხორციელდა ეს ჩანაწერი და იმ დროს არ მოხდა მისი დაარქივება. ჩვენ გვქონდა 4 ათასზე მეტი საინტერესო ჩანაწერი. კონკრეტულად ამ ჩანაწერს ვეძებდით დიდი ხნის განმავლობაში. გარკვეული დრო დასჭირდა ამ მოსმენების მოძებნას და თარგმანს''- განაცხადა მერაბიშვილმა კომისიის კითხვის საპასუხოდ, თუ რატომ დაგვიანდა ამ მტკიცებულების გამოქვეყნება.

,,უწყვეტი კოლონა როკის გვირაბიდან შემოდიოდა დაწყებული 7 აგვისტოს ღამის 3 საათიდან კიდევ მინიმუმ 15 დღის განმავლობაში. ამ კოლონის პირველმა ნაწილმა ცხინვალის მისადგომებს მიაღწია 8 აგვისტოს დილის 10 საათზე და სწორედ ისინი იქნენ განადგურებული ქართული ბომბდამშენების მიერ.

ძირითადი მიზანი იყო რუსული ტექნიკის გადაადგილების შეჩერება ჯავასთან მაინც, მეორე ეს იყო მშვიდობიანი მოქალაქეების გამოყვანა და მათი გამოყვანა შეუძლებელი იყო შემოვლითი გზით, რადგან ხდებოდა ამ გზის საარტილერიო დაბომბვა. ცხინვალში შესვლის მთავარი მიზანი იყო დიდი ლიახვის ხეობის მოქალაქეების გადარჩენა და საცეცხლე წერილების ჩახშობა. ჩვენი გეგმა იყო ჩვენი დანაყოფების მაქსიმალური ჩართვა ოპერაციაში.''[26]

---

[25] http://droni.ge/?m=9&AID=2764 . http://www.civil.ge/geo/article.php?id=20103&search=%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9A .

[26] http://www.civil.ge/geo/article.php?id=20097&search=%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91 .

აღსანიშნავია, რომ ივანე მერაბიშვილი გვევლინება როგორც ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იდეოლოგიისა და პოლიტიკის მიმდევრად.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ,,სასოწარკვეთილ არეულობად'' აფასებს. „2008 წელს რუსეთმა მისი ომით ე.წ. სახელმწიფო აფხაზეთი შექმნა. ,,ახლა მოვლენები სასოწარკვეთილ არეულობას ჰგავს", - წერს ბილდტი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" საკუთარ გვერდზე.

2008 წლის სამხრეთ ოსეთის ომის შემდეგ, ბილდტმა დაწერა თავის ბლოგში, რომ რუსეთის ინტერვენციის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, ვითომდა საკუთარი ემიგრანტების კეთილდღეობაზე ზრუნვა ,,ახლო საზღვარგარეთში'', რომელსაც დიდი მსგავსება ჰქონდა სუდეტენლენდის (გერმანია) ანექსიის მთავარ მიზეზთან. შეგახსენებთ რომ სუდეტენლენდის ანექსირება მოახდინა ნაცისტურმა გერმანიამ, ადოლფ ჰიტლერის ინიციატივით, 1938 წლის თებერვალში, იმ მიზნით რომ დაეცვა ეთნიკურად გერმანელი მოსახლეობა ჩეხოსლოვაკიაში.

ბილდტის ამ განცხადებაზე რუსეთის რეაქცია იყო ძლიერი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბილდტი აღარ იყო მისაღები მოსკოვში. თავის მხრივ ბილდტმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას „ხუმრობა" უწოდა და განაცხადა, რომ ამას მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ „უმწეო" ბევრი ქვეყნები. ის განიხილებოდა როგორც არასასურველი პიროვნება რუსეთში, მას შემდეგ რაც შეადარა 2008 წლის ომის მოტივები, ნაცისტურ გერმანიას ჰიტლერის დროს და ასევე აკრძალული ჰქონდა შრი-ლანკაში ვიზიტი.

როგორც მოგვიანებთ ირკვევა ის ცდილობდა მიხეილ სააკაშვილის დაცვას და მისი იმიჯის შენარჩუნებას. [27]

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწის, მეთიუ ბრაიზას მოსაზრებას, რომლის

[27] https://professorsblogg.com/2014/09/10/swedish-foreign-minister-carl-bildt-acussed-of-corruption .

თანახმადაც, საქართველოს რუსეთისთვის საპასუხო ცეცხლი არ უნდა გაეხსნა, არ ეთანხმება და იდიოტიზმს უწოდებს.[28]

,,ომის დროს ის იყო, რომ 7 აგვისტოს, როცა საქართველოს მთავრობა უკვე დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთს ჯარი შემოჰყავდა როკის გვირაბიდან, ქართულმა შენაერთებმა უკან არ დაიხიეს, როგორც ამას ჩვენ ვეუბნებოდით. მეც ამას ვეუბნებოდი, მაშინაც, როცა საგარეო საქმეთა მინისტრ ტყეშელაშვილთან და სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან ტელეფონზე ვსაუბრობდით. ჩვენ ქართველებს ვურჩევდით, რომ უკან დაეხიათ და მიეღოთ თავდაცვითი პოზიციები. ამ შემთხვევაში მთელს მსოფლიოს ეცოდინებოდა, რომ რუსეთი საქართველოს დაესხა თავს. დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც რუსებმა და ოსებმა ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს, საქართველომ მათ ცეცხლი დაუბრუნა. საქართველოს რომ არ დაეწყო იერიში და დაეხია უკან, ქვეყანა ომის შემდგომ პოლიტიკურ ომს მოიგებდა. ქართველებს დაავიწყდათ, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. მათ ასევე იფიქრეს, რომ საომარ ოპერაციებში მოიგებდნენ. მათ ამის შანსი არ ჰქონდათ და რომც მოეგოთ, რუსეთს პოლიტიკურ ომს მაინც ვერ მოუგებდნენ. აი, ეს იყო კიდევ ერთი დიდი შეცდომა – ეგონათ, რომ ომს მოიგებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საუკეთესო ჯარისკაცები მაშინ ერაყში იყვნენ. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ სრულიად არასწორად იყო გაგებული ჩვენი განზრახვები. ჩვენ სრულიად გასაგებად ვეუბნებოდით, რომ თქვენ არ ხართ ნატოში, თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით. ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ომის დროს ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოვუჩენდით საქართველოს და ეს იმიტომ, რომ ასე ძალიან გვიყვარდა ეს ქვეყანა. ეს გიგანტური შეცდომა იყო. ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებდნენ, რომ საქართველოსთან ძალიან თბილი დამოკიდებულება გვქონდა, რომ ზედმეტ მხარდაჭერას ვაძლევდით. მაგრამ ის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაწყვეტილებებს ქვეყნის არჩეული ლიდერები იღებენ და ამ შემთხვევაში მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.'' [29] [30]

---

[28] http://netgazeti.ge/news/25785/ .

[29] (http://netgazeti.ge/opinion/25581/ .

[30] https://www.youtube.com/watch?v=pNMktvYBxpo .

სააგენტო GHN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ირაკლი ალასანიამ კიდევ ერთხელ განმარტა საკუთარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით 2008 წლის აგვისტოში ვინ დაიწყო ომი.

,,ჩემი პოზიცია ზუსტად იგივეა, როგორიც იყო იმ დროს, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოში საქართველოს ინტერესებს ვიცავდი. ეს იყო აგრესიული ომი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ, კონფლიქტის გაჩაღება, ესკალაცია კი დაიწყო მაშინ, როცა ოსურმა მხარემ და შეიარაღებულმა ბანდფორმირებებმა დაიწყეს ჩვენი სოფლების დაბომბვა დიდი ლიახვის ხეობაში.''- აღნიშნა ინტერვიუში გაეროში საქართველოს ყოფილმა ელჩმა და დასძინა: ,, აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი მეორე საკითხი - როგორ უპასუხა ამ გამოწვევას და პროვოკაციას სააკაშვილმა. ეს იყო აბსოლუტურად მცდარი ნაბიჯი, რაც გამოიყენა რუსეთის ფედერაციამ დაეწყო სამხედრო შეიარაღებული შეტაკება საქართველოს წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ცხინვალის დაბომბვა. უნდა გვყოლოდა მომზადებული შეიარაღებული ძალები, რათა დაგვეცვა ჩვენი სოფლები ლიახვის ხეობაში. ხოლო იქ, სადაც დაცვა შეუძლებელი იყო, უნდა დაგვეწყო ამ სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია. შეგვეყვანა საერთაშორისო დამკვირვებლები და მთელი მსოფლიოსთვის დაგვენახებინა, რომ ეს არის პროვოკაცია. სააკაშვილმა თავი გაყო ამ პროვოკაციაში. დაიწყო ცხინვალის დამბომვა რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსეთის ფედერაციამ დაიწყო შემოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე.''[31]

2008 წლის აგვისტოს ომის გამოსაკვლევად მნიშვნელვან წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი ამერიკის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მემუარები.

,,ცხინვალის რეგიონში სამომარი მოქმედებების დაწყება საფრთხეს შეუქმნის მთელი საქართველოს სტაბილურობას. აქ საერთაშორისო დონის გზები გადის. ამიტომ არ მიკვირს, რომ რუსეთი ცხინვალის საშუალებით გეგმავს სამომარი მოქმედებების განახლებას. მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს ომის დაწყების პროვოკაციაში ჩათრევის საშუალება მისცა''. რაისი იხსენებს, რომ არწმუნებდა სააკაშვილს, ძალის

[31] http://www.tabula.ge/ge/story/56738-irakli-alasanias-mosazreba-28-tslis-agvistos-omis-datskebaze .

გამოუყენებლობის შეთანხმება გაეფორმებინა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ამაზე უარი განაცხადა. [32]

[32] https://www.youtube.com/watch?v=SQTzxdhlnPI .

10. დასკვნა

ამ კონფლიქტის შემდგომ რუსეთის რეალური სახე გამოჩნდა, აშკარა იყო რომ რუსეთი საქართველოსთვის საკუთარი ნების თავს მოსახვევად არაფერს დაიშურებდა. დასავლეთისთვის ნათელი გახდა რომ რუსეთი არა მარტო ძალით შეიჭრა მეზობელ ქვეყანაში , არამედ მან არაფრად ჩააგდო ევროპის უსაფრთხოების კანონი, რომელის თანახმადაც იარაღის ძალით ევროპაში საზღვრები აღარასოდეს უნდა დარღვეულიყო.

ომის უმთავრესი მიზეზი გეოპოლიტიკურია- საქართველოს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი, რუსეთი კი ამას ვერ შეეგუა. ეს კონფლიქტი რუსეთმა თავისი სტრატეგიის ნაწილად გამოიყენა, რათა საქართველოსთვის წონასწორობა დაეკარგვინებინა, საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია და თბილისის პროდასავლური მისწრაფებებიც საბოლოოდ ჩაეკლა.

2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე მონაწილე ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება და განაცხადეს, რომ საქართველო გახდებოდა ალიანსის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ომის არარსებობის პირობებშიც არ ექნებოდა ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანების გარანტია, ეს შანსი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის მიაღწევდა გარდატეხას საკუთარი ეთნო ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრაში. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ამ ახალი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად მიიღო რუსეთმა გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო ომში.

რუსეთმა ინტერვენცია ოსი მოსახლეობის ,,გენოციდის'' შეჩერების, სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსი მოქალაქეების და რეგიონში განთავსებული რუსი სამშვიდობოების დაცვის მოტივით ახსნა. რუსეთის განცხადებით, 8 აგვისტოს დილით ქართული მხარის მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად ორი რუსი სამშვიდობო დაიღუპა, ხოლო ხუთი დაიჭრა. საქართველომ უარყო რაიმე მიზანმიმართული შეტევა რუსი სამშვიდობოების შტაბბინაზე ცხინვალში.

,,ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ერთადერთი რაც შეიძლება იყოს - ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ. ერთი დღით ადრე შეგვეძლო, რომ დაგვეწყო. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში

შედეგი იქნებოდა ის, რაც დღეს გვაქვს"[33] - ამ განცხადებას აკეთებს ივანე მერაბიშვილი. თუმცა ფაქტია , რომ გამოსავალი იყო . არსებულ სიტუაციას წინასწარმეტყველებდნენ ამერიკაში და გამოსავალსაც ხედავდნენ, რუსეთის მიერ წარმოებული პროპაგანდისგან თავი შორს დაეჭირა პრეზიდენტს.

ომის შედეგად ოკუპირებული იქნა სამხრეთ ოსეთისა და კოდორის ხეობის ტერიტორია. დაიხოცა ასობით ადამიანი და კიდევ უფრო მეტი ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ მიწაზე.

ომმა ნათელი გახადა, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება დროში გაწელილი პროცესია და ისიც საუკეთესო შემთხვევაში. რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრამ დაადასტურა, რომ რუსეთმა აირჩია ყოფილიყო ქვეყანა, რომლის საერთაშორისო პოზიცია ემყარება არა იმას, თუ რამდენად სცემენ პატივს მას, არამედ იმას, თუ რამდენად ეშინიათ მისი.

რუსეთის ,,რბილ" პოლიტიკური თავდასხმასთან გასამკლავებლად მთავრობამ უნდა შეიმუშაოს თანმიმდევრული პოლიტიკა. პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მან უნდა დაგეგმოს და კოორდინირებული ძალით დაუპირისპირდეს რუსეთის დეზინფორმაციას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. საპასუხო ღონისძიებები უნდა მოიცავდეს საქართველოში ფაქტობრივად დაუსაბუთებელი ახალი ამბების მაუწყებლობის აღკვეთას. მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების მიხედვით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება და ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩაბმა, რაც უდიდეს წვლილს შეიტანს დემოკრატიული განვითარების დაბრკოლებების გადალახვაში და მკვეთრად გაზრდის საქართველოს, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის მიმზიდველობას.

---

33 http://www.civil.ge/geo/article.php?id=20097&search=%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91 .

გამოყენებული ლიტერატურა:

- ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი, ქევხიშვილი სანდრო. პოლიტიკის დოკუმენტი, 2016 , კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა.
- ალბოროვა დინა, ალენი სუზან, კალანდარიშვილი ნინო, 2016, კონფლიქტის საფასური: ქართულ - სამხრეთოსური კონტექსტი .
- ზაქარეიშვილი პაატა, 2014, როგორ მივედით 2008 წლის ომამდე ანუ რუსული პოლიტიკის რეალიზაცია ,,ნაციონალურად''.
- კიბერუსაფრთხოების ბიუროს ვებ-გვერდი : http://www.csbd.gov.ge/
- სვანაძე ვლადიმერ, (2015) . კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები.
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი. (http://www.civil.ge/files/files/2011/NationalSecuirtyConceptDraft.pdf) .
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 2009, # 2 (http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-02-uni.pdf) .
- საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური მოხსენება, 2008, ცხინვალის რეგიონთან მოსაზღვრე სოფლებისპირველადი შეფასება. (http://ombudsman.ge/old/files/downloads/ge/icmqdpmngfmytuhkqvez.pdf)
- ტუღუში ლაშა,გაგუა მალხაზ, ღვედაშვილი გოგიტა,ლაფაჩი ნინო, 2016, რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში.(http://www.ei-lat.ge/images/doc/rusetis%20rbili%20da%20xisti%20safrtxeebi%20saqartveloshi.pdf)
- ფხალაძე თენგიზ.2010. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში. (http://www.d999110.u-telcom.net/pdf/publications/SOFT-POWER-GE.pdf).
- ძველიშვილი ნატა, კუპრეიშვილი თაზო,2015, რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე.

- DEPARTMENT OF DEFENSE STRATEGY FOR OPERATIONS IN THE INFORMATION ENVIRONMENT, 2016. (https://www.defense.gov/Portals/1/Documents/pubs/DoD-Strategy-for-Operations-in-the-IE-Signed-20160613.pdf).
- Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia,2009, Volume1. (http://www.civil.ge/files/files/2009/iiffmgc_report_volume1.pdf).
- Faruk Gul and Wolfang Pesendorfer, 2012, The War of Information. (https://www.princeton.edu/~pesendor/warinfo.pdf) .
- Jose Nazario, An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008 (http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf).
- Keohane Robert and Joseph S. Nye, Jr. Power and Interdependence revisited. (http://www.ri.ie.ufrj.br/intranet/arquivos/power_and_interdependece.pdf).
- ДМИТРИЙ ТРЕНИН , Статья / интервью 09 августа 2010 Ведомости . (http://carnegie.ru/publications/?fa=41353) .

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
მე-2 სემესტრის დოქტორანტი
მარიამ გრიგალაშვილი
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

"შესაძლებლობათა ფანჯრის" 13 წლიანი გამოუყენებლობა- საგარეო აქტორის გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე

თბილისი
2017

სარჩევი

შესავალი 3

თეორიული ჩარჩო 4

მეთოდოლოგია 7

ტერმინთა განმარტება 8

უკრაინის „კავშირები და ბერკეტები“ რუსეთის ფედერაციასთან და ევროკავშირთან (იუშენკო-იანუკოვიჩის მმართველობის წლებში) 10

ეკონომიკური კავშირი 10

გეოპოლიტიკური კავშირები 13

ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების კავშირები 14

სოციალური კავშირი 15

ინსტიტუციური მსგავსება 16

უკრაინის „ბერკეტები და კავშირები“ რუსეთთან და დასავლეთთან მაიდნის მოვლენების შემდეგ 20

ბერკეტებისა და კავშირების გარდამქმნელი ძალა- “გეითქიფერ ელიტა” 21

გეითქიფერ ელიტა იუშენკოსა და იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს 22

გეითქიფერ ელიტა დღეს 27

დასკვნა 28

ბიბლიოგრაფია 30

შესავალი

უკრაინის დემოკრატიზაციის საკითხის აკადემიურ სფეროში განხილვა 2004 წლის ე.წ ნარინჯისფერი რევოლუციის ერთგვარი პროდუქტი გახლდათ. ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური მმართველი ელიტის მოსვლამ დემოკრატიზაციის პროცესების დაწყებისა და უკრაინის დასავლეთ რელსებზე გადასვლის იმედი გაუჩინა არამხოლოდ უკრაინას, არამედ მის მეგობარ ქვეყნებს. დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია ქვეყნის ახალი ელიტის მთავარი გაცხადებული მიზანი გახლდათ. მიუხედავად ამგვარი მოლოდინებისა, უკრაინამ ვერ შეძლო სრულად გამოეყენებინა ე.წ. "შესაძლებლობათა ფანჯარა", გამხდარიყო დემოკრატიული სახელმწიფო, სრულყოფილი პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის ხარჯზე.

ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, რევოლუციით მოსული მთავრობა მოსახლეობამ 5 წლის შემდეგ გადაირჩია, და იგი ჩაანაცვლა, იმ ძალით, რომელ ძალასაც 2004 წლის რევოლუციით პროტესტი განუცხადა. ამას მოჰყვა იანუკოვიჩის მმართველობა, რომელმაც საბოლოოდ უკრაინა მეორე მაიდანამდე მიიყვანა. ნაშრომი ცდილობს გაანალიზოს უკრაინის 13 წლიანი ბრძოლა დემოკრატიზაციის გზაზე და გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: ორი ან მეტი საგარეო აქტორის შემთხვევაში, რომელ მათგანი ახდენს მეტ გავლენას სამიზნე ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესზე? არის თუ არა დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია შინაარსობრივად ერთი და იგივე ისეთი ქვეყნებისთვის როგორიც უკრაინაა? 13 წლის განმავლობაში რა აბრკოლებს უკრაინას გამოიყენოს მისთვის უკვე მეორედ მიცემული შანსი, დაიწყოს დემოკრატიის მშენებლობა პრაქტიკულად, სრულიად ახალი ელიტის ცვლილების ხარჯზე.

ამ კითხვების ასახსნელად ნაშრომი იყენებს პროფესორ სტევენ ლევიცკისა და ლუკან ვეის „ბერკეტებისა და კავშირების" თეორიულ ჩარჩოს, რომელიც თავის მხრივ აპრიორად ასახელებს უცხოურ ზეგავლენას დემოკრატიაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო სემინარის ნაშრომი, არ გამორიცხავს შიდა ფაქტორების როლს ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე, თუმცა ხელისშემშლელი/წამხალისებელი შიდა ფაქტორების

არსებობას, ისეთ არასტაბილურ გარემოში როგორიც უკრაინაა, სწორედ უცხოური გავლენების პროდუქტად მიიჩნევს.

გამომდინარე მთავარი კითხვიდან-„ორი ან მეტი საგარეო აქტორის შემთხვევაში, რომელ მათგანი ახდენს მეტ გავლენას სამიზნე ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესზე?“ ნაშრომის ჰიპოთეზა ყალიბდება შემდეგი ფორმულირებით: ორ/ან მეტ საგარეო აქტორს შორის დემოკრატიზაციის პროცესზე გავლენის მოხდენა იმ აქტორს შეუძლია, ვისი „ბერკეტები და კავშირები“ ჭარბობს სამიზნე ქვეყანაში. თუმცა, აქვე ნაშრომი რეკომენდაციის სახით განიხილავს შემდეგ შესაძლებლობას: როცა არადემოკრატიული აქტორის „ბერკეტები და კავშირები“ გაცილებით სჭარბობს დემოკრატიული აქტორის ინსტრუმენტებს სამიზნე ქვეყანაში, სამიზნე ქვეყნის ერთადერთი გამოსავალი მაღალი ლეგიტიმაციის მქონე „გეითქიფერი ელიტის“ ხელშია, რომელსაც მტკივნეული რეფორმებით თუმცა მაინც, შესწევს ძალა, შეცვალოს ბერკეტებისა და კავშირების ადრესატი არადემოკრატიული აქტორიდან დემოკრატიული აქტორისკენ.

თეორიული ჩარჩო

გასული წლების განმავლობაში მრავალი ნაშრომი დაიწერა დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის გზაზე შემდგარი სახელმწიფოების გარემოს გასაანალიზებლად. გაჩნდა უფრო მეტი კითხვა, თუ რა როლი აკისრია დემოკრატიული ტრანზიციის დროს საგარეო აქტორებს. ზოგადი თეორიული სურათის წარმოსადგენად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ რამდენიმე მიმართულება რაც პორტ-საბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციის ახსნისას აკადემიურ ნაშრომებში გამოიყენება: წინა სოციალისტური სისტემის გამოცდილება, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოსტ-კომუნისტური რეფორმების ბუნება, ისტორიული მეხსიერება- გარკვეული რეჟიმის წევრობა (Pavlinek, 2003). აღნიშნულნი თეორიულ მიდგომებიში ორ ჯგუფად თავსდება: (1) თეოლოგიკური „ტრანზიცია“, უფრო ცნობილი როგორც ტრანზისტოლოგია (transitology)- მეტწილად ნეო-ლიბერალური და ნეო-კლასიკური ეკონომიკური მოდელების ინტერპრეტაცია. (2) არა-თეოლოგიკური მიდგომა- „ტრანსფორმაცია“, რომელიც უფრო მეტად გამომდინარეობს

ევოლუციური და ინსტიტუციური ეკონომიკიდან (Pavlinek, 2003). ნაშრომის მიერ გამოყენებლული ძირითადი თეორიული ჩარჩო ლევიცკისა და ვეის „ბერკეტები და კავშირები“ სწორედ ტრანზისტოლოგიის სტუქტურალისტურ თეორიულ სკოლას მიეკუთვნება.

პროფესორი სტევენ ლევიცკი და ლუკან ვეის თეორია დემოკრატიზაციის გზაზე მხოლოდ დასავლეთის გავლენას განიხილავს. მათი ახსნით დასავლეთის ზეგავლენა ვრცელდება სამიზნე ქვეყანაზე როგორც შედეგი ბერკეტებისა და კავშირების. ბერკეტები თავის მხრივ გაიგივებულია სამიზნე ქვეყნის მოწყვლადობასთან, რომელსაც გარე აქტორი იყენებს განსხვავებული გზებით, როგორიცაა პოლიტიკური მდგომარეობა, სანქციები, დიპლომატიური წნეხი და სამხედრო ინტერვენცია. ლევიცკისა და ვეის ახსნით დასავლური ბერკეტი არის „ხარიხსი რა ხარისხითაც მთავრობები არიან მოწყვლადნი საგარეო აქტორის დემოკრატიზაციის წნეხის მიმართ“ (Levitsky & Way, 2006). ავტორები გვთავაზობენ კავშირების განსაზღვრის 5 მიმართულებას : ეკონომიკური კავშირები; გეოპოლიტიკური კავშირები; სოციალური კავშირები; კომუნიკაციური კავშირები და ტრანსნაციონალური სამოქალაქო კავშირები; მიუხედავად იმისა რომ ლევიცკი და ვეი თავიანთ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებენ დემოკრატიზაციის თვალსაზრისით ევროკავშირის ზეგავლენის გავრცელებას სწორედ ბერკეტებისა და კავშირების გავლით, მთავარი მინუსი ამ თეორიული მიდგომის გახლავთ ის რომ , ისინი ყურადღებას არ ამახვილებენ, მეორე გარე აქტორის როლზე, ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორზე. მაშასადამე, თეორიის ნაკლოვანება დემოკრატიზაციის პროცესში მხოლოდ ხელშემწყობი აქტორის გაანალიზებაა და ყურადღების მიღმა ხელისშემშლელი აქტორის არსებობა.

რაც შეეხება, აღნიშნული თემის რეკომენდაციის თეორიულ ჩარჩოს, იგი ეყრდნობა იდეას ე.წ. „გეითქიფერ ელიტების“ შესახებ მიდგომას. ზოგადი წარმოდგენა გეითქიფერ ელიტებზე მდგომარეობს შემდეგში, ისინი არიან მთავარი მედიატორები რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას რა ინფორმაცია შემოვა, ან არ შემოვა ქვეყანაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: “გეითქიფერები იღებენ სოციალურ სისტემაში გადაწყვეტილემას რა განსაზღვრული პროდუქტი - მატერიალები, საქონელი ინფორმაცია, შემოვა სისტემის შიგნით” (Theory clusters, 2015). მნიშვნელოვანია, აგრეთვე გავაანალიზოთ, რომ

''გეითქიფერებს" შესწევთ უნარი აკონტროლონ საზოგადოების ცნობიერება გარკვეული ინფორმაციების მიღების დაშვებით ან მათი უგულვებელყოფით (მედია და მასკომუნიკაცია, 2006). გეითქიფერებს შეუძლიათ ასევე არეგულირონ ინფორმაციის შემოდინებასთან ერთად პოლიტიკური ზეგავლენის ხარისხი" (Theory clusters, 2015).

პოლიტიკურის მეცნიერების ასოცირებული პროფესორის იაქობ ტოლსტრაფის მიერ შემუშავებული გეითქიფერ ელიტის თეორია ერთგვარ გადახედვას წარმოადგენს ლევიცკისა და ვეის სტრუქტურული თეორიის. ტოლსტრაფი განსაზღვრავს სამ ტიპს გეითქიფერებისა: პოლიტიკური ელიტა, ეკონომიკური ელიტა და სამოქალაქო ელიტა. გამიჯვნა ამ სამი ჯგუფისა არც თუ ისე მარტივია. მაგალითისთვის, უკრაინის წარმატებული ბიზნეს ელიტა ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა პოლიტიკური ძალაუფლება, რათა მფარველობა გაეწიათ საკუთარი ბიზნესებისთვის. იგივე ხდება სამოქალაქო ელიტის შემთხვევაშიც. მაშასადამე, გასაკვირი არაა, თუ მთლიან ორიენტირს გავაკეთებთ პოლიტიკურ ელიტაზე, რომლებიც რეალურად ფლობენ ქვეყნის მართვის ბერკეტებს. მაშინ როცა ეკონომიკური ელიტა ან სამოქალაქო ელიტა დაიწყებს პირდაპირ ჩარევას პოლიტიკურ თამაშში, სახელმწიფო აპარატზე კორტოლის მოპოვებით ან მცდელობით დაიკავონ მაღალი თანამდებობები, ისინი იწოდებიან როგორც პოლიტიკური ელიტა და არა როგორც ეკონომიკური ან სამოქლაქო ელიტა (Linz and Stepan, 1996, p. 67). მაშასადამე, როცა ოლიგარქებს სხვადასხვა გუბერნიებში, ერთი მხრივ უკავიათ ბიზნეს ელიტის სადავეები, ხოლო მეორე მხრივ ფორმალურად თუ არაფორმალურად მმართველები არიან პოლიტიკური კლასის, ძნელია დიფერენციაცია მოახდინო სხვაობებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სამოქალაქო ელიტას შორის.

ქვეყნის დემოკრატიზაციის განხილვისას ტოლსტრაფი არ უარყოფს, „ბერკეტებისა და კავშირების" მნიშვნელობას ქვეყნის დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზაზე, თუმცა დასძენს რომ „ბერკეტები და კავშირები" არ არის გარდაუვალი მოცემულობა, და რომ გეითქიფერ ელიტას შესწევს ძალა წამოიწყოს ახალი კავშირები სტრუქტურული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება სტრუქტურული თეორიის მიმდევრებს, რომელთა მოსაზრებით გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკური კავშირები არიან განმსაზღვრელი ელემენტები ქვეყნის პრო/ანტი პოლიტიკის გატარებისას საგარეო

აქტორის მიმართ. მათი ლოგიკიდან გამომდინარე თუ ქვეყანა არის მეზობელი დიდი სახელმწიფოსი, მსგავსად რუსეთისა, ეს ავტომატურად ნიშნავს სამიზნე ქვეყნის მოწყვლად საგარეო თუ საშინაო კურსს დიდი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. ამის საწინააღმდეგოდ, ტოლსტრაფი აღნიშნავს რომ კავშირები არ არიან განსაზღვრულნი მხოლოდ ქვეყნის გეოგრაფიული, ისტორიული თუ კულტურული ელემენტებიდან გამომდინარე, გეითქიფერ ელიტას შეუძლია შექმნას ზემოაღნიშნული სრუქტურული წინაპირობებისგან დამოუკიდებელი გარემო.

თუკი ზემოაღნიშნული ავტორების ძირითად იდეას შევაჯამებთ მივიღებთ შემდეგ სურათს: ლევიცკის და ვეის თეორიიდან გამომდინარე, ეკონომიკური კავშირები (ვაჭრობა, სოციალური კავშირები და ა.შ) არის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი საგარეო აქტორზე დამოკიდებულების, რომელიც არის მოცემულობა, ხოლო ტოლსრაფისეული განმარტებით მმართველ ელიტას შესწევს ძალა, შეაკავოს გარე აქტორის ზეგავლენა და წამოიწყოს ახალი კავშირები განსხვავებულ აქტორებთან (Tolstrup, 2013). თუკი, უკრაინის დემოკრატიზაცია-ევროპეიზაციის გზას განვიხილავთ, როგორც საგარეო აქტორთა (ევროკავშირ-რუსეთის) ბერკეტებისა და კავშირების ჭიდილს, შევამჩნევთ რომ რუსეთის ხელთ არსებულმა ბერკეტებმა კარგად იმუშავა შეეჩერებინა ევროკავშირიდან წამოსული „ზეგავლენა“, თუმცა ნაშრომი ტოლსტრაფის მიერ შემუშავებულ გეითქიფერების თეორიას განიხილავს, როგორც ალტერნატიულ სცენარს უკრაინის ძლიერი პოლიტიკური ელიტის შემთხვევაში „ბერკეტებისა და კავშირების“ ევროკავშირის სასარგებლოდ წარსამართავად.

მეთოდოლოგია

საკვლევ კითხვაზე პასუხის მისაღებად ნაშრომი იყენებს ხარისხობრივი კვლევის დიზაინს. ხარისხობრივი მეთოდის გამოყენებით, მკვლევარი აგროვებს ინფორმაციას ე.წ. ქეის სთადის, ეთნოგრაფიული სამუშაოს, ინტერვიუებისა და სხვა მრავალი გზის გამოყენებით (Oxford Academic, 2016). აღნიშნული მეთოდი მკვლევარს ეხმარება ლოგიკური კავშირი იპოვოს ერთი მხრივ საკვლევ კითხვასა და მეორე მხრივ შესაძლო პასუხებს შორის.

კვლევაში გამოყენებულია პირველადი წყაროები, ნაშრომი აგრეთვე ეყრდნობა ოფიციალურ განცხადებებს ქვეყნის პოლიტიკური ელიტის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებულს. თითოეული მოვლენის შესწავლა-გაანალიზება ნაშრობს ეხმარება უკრაინის პოლიტიკური კლიმატისა და ელიტის როლის სტულყოფილად დანახვაში. ნაშრომი ასევე წარმოაჩენს მმართველი ელიტების ძირითად მახასიათებლებს და მოცემულ პირობებში სხვადასხვა საგარეო აქტორის ზეგავლენის გავრცელების წარმატებულობას.

იმისთვის რომ გავიგოთ პროცესების დინამიკა აღნიშნულ დროით ჩარჩოში (2004/5-2017 წლები) , ნაშრომი იყენებს ე.წ. პროცესის მიდევნების (process tracing) მეთოდს, როგორც ერთ-ერთ ძირითად ხელსაწყოს ხარისხობრივი კვლევისა. პოლიტიკის მეცნიერის დავიდ კოლიერის განმარტებით, პროცესის მიდევნებას შეუძლია ერთი მხრივ აღწეროს პოლიტიკური და სოციალური ფენომენი, ხოლო მეორეს მხრივ შეაფასოს არამწყობრი მტკიცებულებები (Collier, 2011). პროცესის მიდევნება არის მეთოდი, რომელიც იდენთიფიცირებას უკეთებს მოვლენათა ჯაჭვს (Collier, 2011). მეთოდი საკვანძო საკითხების გამოყოფით კვლევას ეხმარება, კავშირის დადგენაში აქტრებსა და მათ კონტექსტს შორის. უკრაინაში განვითარებული 13 წლიანი პოლიტიკური მოვლენების შეგროვებით და მათი ანალიზით ნაშრომი სცემს პასუხს საკვლევ კითხვას.

ტერმინთა განმარტება

მნიშვნელოვანია ნაშრომში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრა დავიწყოთ, კვლევის კითხვაში არსებული ტერმინებით: ორ ან მეტ საგარეო აქტორს შორის რომელი მათგანი ახდენს გავლენას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე?

დემოკრატიზაცია:

ნაშრომში დემოკრატიზაცია აღქმულია, როგორც პროცესი, დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მოწყობის დემოკრატიულ მოდელის

ფორმირების. დემოკრატიზაცია არის განსაზღვრული როგორც, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება არადემოკრატიული სისტემიდან დემოკრატიული სისტემისკენ (Samuels, 2014).

ევროპეიზაცია: ეს არის პროცესი როდესაც ხდება სამიზნე ქვეყნის მმართველობისა და ინსტიტუციების მიერთება ევროპულ სტანდარტებთან. ევროპეიზაცია ისეა კონცეპტუალიზებული რომ, მას შეუძლია შეადაროს ევროპული დინამიკა სხვა მმართველობის სისტემებს. იოჰან ოლსენის განმარტებით ევროპეიზაცია მოიცავს 5 მიმართულებას: ცვლილება გარე საზღვრების; ინსტიტუტების განვითრება ევროპულ დონეზე; მმართველობის ეროვნულ სისტემებში შეღწევადობა; ფორმებისა და ორგანიზაციების გადმოტანა; პოლიტიკური უნიფიკაციის პროექტი (Olsen, 2002);

ბერკეტები და კავშირები: ბერკეტი არის მთავრობის მოწყვლადობის ხარისხი საგარეო წნეხზე, ხოლო კავშირი არის განსაზღვრული, როგორც კავშირების სიმჭიდროვე საგარეო აქტორისადმი (Levitsky & Way, 2006). (კვლევაში, სტრუქტურული ფაქტორები, მეტწილად ფარავს გეოგრაფიული სიახლოვის საკითხს, ეკონომიკურ კავშირებს, თუმცაღა განხილულია სხვა წინაპირობებიც.) ლევიცკისა და ვეის მიდგომით კავშირებში და ბერკეთებში იგულისხმება შემდეგი ელემენტები: ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციალური, კომუნიკაციური და ტრანსნაციონალური.

საგარეო აქტორები: კვლევა ორიენტირებულია საგარეო აქტორებად განიხილოს, რუსეთის ფედერაცია და ევროკავშირი. გამომდინარე იქიდან, რომ პოსტ საჭოთა ქვეყნებში საკითხი ორ ალტერნატივას შორის ყველთვის დასავლეთზე და რუსეთზე ვრცელდება, ნაშრომი სწორედ ამ ორ ძალაზე ამახვილებს ყურადღებას.

საგარეო აქტორების ზეგავლენა: იგულისხმება ნეგატიური და პოზიტიური გავლენები. რუსეთის ზეგავლენა უკრაინაზე ცალსახად ნეგატიურ ეფექტს ატარებს (გამომდინარე უკრაინის ნების საწინააღმდეგოდ, დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის ხელშეშლა), მაშინ როცა დასავლელით პოლიტიკა დადებითი ხასიათის მატარებელია ამდენად იგი მეტწილად აღქმულია არა ზეგავლენა, არამედ დახმარება/ ხელშეწყობა (Levitsky & Way, 2006).

უკრაინის „კავშირები და ბერკეტები“ რუსეთის ფედერაციასთან და ევროკავშირთან (იუშენკო-იანუკოვიჩის მმართველობის წლებში)

ზემოაღნიშნული თეორიების შემოწმება უკრაინის ქეისზე დაყრდნობით შეიძლება შემდეგნაირად წამოვიდგინოთ: ერთი მხრივ განვიხილოთ უკრაინის კავშირებისა და ბერკეტების არსებობა რუსეთის ფედერაციასთან სამი ხელისუფლების პირობებში და შევადაროთ ევროკავშირთან იმავე ელემენტებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ უკეთესი კავშირებისა და ბერკეტების ფლობის პირობებში რუსეთი უფრო ეფექტურად ახორციელებდა ზეგავლენას სამიზნე ქვეყანაზე, ვიდრე ევროკავშირი; ხოლო მეორე მხრივ განვიხილოთ ალტერნატიული თეორია („გეითქიფერ ელიტების“ მიდგომა), რომელიც რეკომენდაციის სახით სთავაზობს ქვეყნებს ბერკეტებისა და კავშირების გათიშვით არადემოკრატიული აქტორიდან დემოკრატიულ აქტორზე მიბმას.

სადოქტორო სემინარი იყენებს ლევიცკისა და ვეის განმარტებით ახსნილ კავშირებისა და ბერკეტების ელემენტებს: გეოგრაფიული სიხლოვე, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციალური კავშირები და ამატებს ასევე ინსტიტუციური მსგავსების ფაქტორს, როგორც საგარეო აქტორთან კავშირის დამატებით ელემენტს. დასაწყისშივე, უნდა აღინიშნოს რომ ისეთი ფაქტორი, როგორიც გეოგრაფიული სიახლოვეა რუსეთთან წარმოადგენს სტატიკურ ელემენტს და წლების სამივე კატეგორიზაციის პირობებში შეუცვლელ წინაპირობას წარმოადგნენს.

ეკონომიკური კავშირი:

2005-2010 წლებში, მიუხედავად ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგად ანტირუსული ძალების სათავეში მოსვლისა, რუსეთთან ეკონომიკური კავშირები საკმაოდ დიდია. როგორც სავაჭრო პარტნიორი, რუსეთი კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებს და განაგრძობს ეკონომიკური ბერკეტების შენარჩუნებას უკრაინის ბაზარზე. სტატისტიკურად უკრაინის იმპორტ-ექსპორტი 2005 წლიდან, ორივე შემთხვევაში დიდი მაჩვენებლით იმატებს 2009 წლამდე. 2009 წელს გამომიმდინარე რუსეთის პოლიტიკისა ენერგო რესურსის გადაკეტვით დაესაჯა უკრაინა აისახე იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებელზე, თუმცა 2010 წლიდან კვლავ განაგრძობს მატებას (იხილეთ გრაფა1).

(ინდიკატორი 1000 აშშ. დოლარი. წყარო:World Integrated Trade Solution გრაფა,1)

ქვეყანა	პარტნიორი	სავაჭრო ბრუნვა	2005	2006	2007	2008	2009	2010
უკრაინა	რუსეთი	იმპორტი	12842462.708	13787221.472	16838245.636	19413625.911	13235748.70	22198005.847
უკრაინა	რუსეთი	ექსპორტი	7489792.087	8650699.794	12668477.619	15735241.918	8494860.633	13431880.078

ეკონომიკური კავშირი (2010-2014) იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდი არამდგრადი ტენდენციით ხასიათდება (გრაფა 2). მიუხედავად ამისა, რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება გაფორმებული უკრაინა-რუსეთის მიერ რუსეთის ხელში კვლავ ტოვებს სერიოზულ ბერკეტებს, რაც თავის მხრივ მთავრობის მოწყვლად საგარეო პოლიტიკას რუსეთის სასარგებლოდ წარმართავდა.

(ინდიკატორი 1000 აშშ. დოლარი, გრაფა 2. წყარო:World Integrated Trade Solution)

ქვეყანა	პარტნიორი	სავაჭრო ბრუნვა	2010	2011	2012	2013	2014
უკრაინა	რუსეთი	იმპორტი	22198005.847	29132197.528	27418295.955	23243994.298	12678683.213
უკრაინა	რუსეთი	ექსპორტი	13431880.078	19819713.34	17631749.446	15077259.13	9799143.633

რუსეთთან ეკონომიკური კავშირების ინდიკატორად ექსპორტ-იმპორტის გარდა, შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთიდან უკრაინაში შემოსული ფული (იგულისხმება რუსეთში მცხოვრები უკრაინელი ოჯახების მიერ გამოგზავნილი თანხა). უკრაინელების დიდი რაოდენობა რუსეთიდან გამოგზავნილი ფულის ხარჯზე ირჩენდა თავს, რაც მათ განწყობებს რუსეთის მიმართ უფრო ლოიალურს ხდიდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით მექსიკა-ამერიკის საემიგრაციო კორიდორის შემდეგ უკრაინა-რუსეთისა და რუსეთ-უკრაინის კორიდორი რიგით მეორეა. რუსეთ-უკრაინის შემთხვევაში 3,7 მილიონი , ხოლო უკრაინა-რუსეთის შემთხვევაში 3,6 მილიონი. უკრაინაში გადმორიცხვების რაოდენობა მთლიანობაში 2010 წლის მონაცემით 5,7 მილიარდი ამერიკული დოლარია, სიდანაც დიდი წილი სწორედ რუსეთიდან მოდის (The World Bank, 2010). აღნიშნული მონაცემები რუსეთის ხელში პოლიტიკური მანიპულირების იარაღი ყოველთის იყო. ეკონომიკური დამოკიდებულებით რუსეთის ხელში არსებული იარაღი არაერთხელ ამოქმედებულა, თუნდაც უკრაინის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის წინააღმდეგ მიმართებით; მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რუსეთის მხრიდან ენერგო რესურსების, როგორც პოლიტიკის იარაღის

გამოყენება, მათ შორის ყველაზე უკეთ ეს 2006-2009 წლებში გამოჩნდა. ამ პერიოდში რუსეთმა ორჯერ გადაუკეტა გაზი უკრაინას, რითაც დაადასტურა უკრაინის (თუნდაც რევოლუციური) მთავრობის მოწყვლადობა რუსეთისადმი. მეორე მასშტაბური მაგალითი ბერკეტების გამოყენების იყო იანუკოვიჩის მმართველობის ბოლო წლებში, როცა მოიუხედავად იანუკოვიჩის განცხადებებისა პროევროპული საგარეო ორიენტაციის შესახებ, პრაქტიკაში განსხვავებული შედეგი მივიღეთ. 2013 წლის ნოემბერში ლიტვური სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას ლიტვის პრეზიდენტს დალია გრიბაუსკაიტესა და უკრანის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის სატელეფონო საუბრის შესახებ. როგორც გრიბაუსკაიტეს მრჩეველს ნიალუპშენე აცხადებდა: „უკრაინამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა რუსეთის ეკონომიკური ზეწოლას და შანტაჟს. ქვეყანას რუსეთი პროდუქციის იმპორტის შეზღუდვით ემუქრეობდა, ეს განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთ უკრაინის კომპანიებს, სადაც კონცენტრირებულია წარმოების ძირითადი ნაწილი, რომელშიც ასობით ადამიანია დასაქმებული. უკრაინაში ჩათვალეს, რომ ქვეყანას მილიარდობით ზარალი მიადგებოდა. სწორედ ეს მიზეზები დაასახელა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ლიტვის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრისას. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ კავშირებს, რომელიც იქმნება ზეწოლის არაცივილიზებული მეთოდებით. ასეთი კავშირები არ შეიძლება იყოს გრძელვადიანი“ (უკრაინამ ევროინტეგრაციაზე უარი რუსეთის ზეწოლის გამო თქვა, 2013). რუსული მუქარის შესახებ დადასტურდა ვილნიუსის სამიტის არაოფიციალური შეხვედრს ჩანაწერებშიც, სადაც ანგელა მერკელის რეპლიკას „რომ ის მეტს ელოდა“ უკრაინისგან, იანუკოვიჩი პასუხობს: „უკრაინაში სიტუაცია ძალიან რთულადაა. იყო სერიოზული მუქარებიც... მინდა რომ მომისმინოთ. მე სამნახევარი წელი, ძალიან არათანაბარ ვითარებაში, ძალიან ძლიერ რუსეთთან ერთი ერთზე ვიყავი“ (Telegraph, 2013). როგორც დავინახეთ, რუსეთის მხრიდან წამოსულმა ზეწოლამ აემოქმედებინა კავშირებისა და ბერკეტებს იარაღი, ამავე დროს თვითონ იანუკოვიჩისა და მისი გარემოცვის პირადმა ინტერესებმა რუსეთთან კარგი ურთიერობების შენარჩუნებაზე, იანუკოვიჩს გადააფიქრებინა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

რაც შეეხება ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვას, მაჩვენებელი თითქმის თანაბარია რუსეთთან მიმართებით 2004-დან 2014 წლის პერიოდში. საგულისხმოა, ის ფაქტი რომ

უკრაინის იმპორტ-ექსპორტი ევროკავშირის ყველა სახელმწიფოსთან ერთად აღებული, თანაბარია უკრაინის იმპორტ-ექსპორტისა რუსეთის ფედერაციასთან. რაც თავის მხრივ რუსეთზე, როგორც სავაჭრო პარტნიორზე მაღალი მაჩვენებლით დამოკიდებულებას უსვამს ხაზს (Jonavicius, 2009). იუშენკო-იანუკოვიჩის მმართველობისას ეკონომიკური კავშირი უკრაინა-ევროკავშირის ქვეყნებს შორის დრამატულ ცვლილებას არ განიცდის. ევროკავშირიდან შეტანილი საქონელი 2010 წლიდან 2013 წელს იზრდება , თუმცა უკრაინიდან ექსპორტი დაახლოებით იმავე პერიოდის განმავლობაში ერთსა და იმავე ნიშნულს აჩვენებს (ევროკომისია, 2017)

(გრაფა 3. ინდიკატორი 1000 ევრო, ევროკომისიის დირექტივა- ვაჭრობაზე, 2017)

უკრაინა-ეუ	2005	2006	2007	2008	2009	2010
იმპორტი	13,299,392,156	18,287,266,185	22,431,080,332	25,158,711,978	13,991,378,861	17,412,507,629
ექსპორტი	8,718,253,491	9,948,225,381	12,484,177,256	14,642,098,710	7,942,993,980	11,546,844,578

(გრაფა 4. ინდიკატორი 1000 ევრო, ევროკომისიის დირექტივა- ვაჭრობაზე, 2017)

უკრაინა-ეუ	2010	2011	2012	2013	2014
იმპორტი	17,412,507,629	21,283,074,055	23,864,583,211	23,899,123,143	16,985,816,418
ექსპორტი	11,546,844,578	15,152,298,656	14,642,683,644	13,882,077,514	13,730,737,590

შესამჩნევია, რომ ორივე მთავრობის შემთხვევაში რაიმე მზარდი ტენდენცია ევროკავშირთან სავაჭრო მაჩვენებლის გაზრდისთვის არ ფიქსირდება. თუკი, შევადარებთ იმავე წლებში რუსეთთან ვაჭრობის ტენდენციას, უკრაინა ორივე პრეზიდენტის ვადაში ცდილობდა ერთგვარი ბალანსის შენარჩუნებას. რაც თავის მხრივ ევროკავშირს არ აძლევდა შესაძლებლობას მეტი აქტიურობით „ჩარეულიყო“ უკრაინის დემოკრატიზაციის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის ხელში კვლავ ტოვებდა ეკონომიკურ დამოკიდებულებას, როგორც კრემლის პოლიტიკურ იარაღს.

გეოპოლიტიკური კავშირები:

ლევიცკისა და ვეის თანახმად გეოპოლიტიკური კავშირი გულისხმობს მთავრობათშორისო ურთიერთობებს ორგანიზაციებისა და ხელშეკრულებების გაფორმების ფონზე. თუკი 2005 წლიდან 2014 წლამდე გადავავლებთ თვალს უკრაინა გვხვდება თითქმის ყველა

რეგიონალური ორგანიზაციის წევრი, რომლის ლიდერიც გახლავთ რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდშიც კი უკრაინა რიცხობრივად უფრო მეტ პროდასავლურ ორგანიზაციებში გვხვდება, პოლიტიკური დატვირთვითა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხით რუსეთის ხელმძღვანელობით ორგანიზაციები მეტ გავლენას ახდენენ საბოლოოდ პოლიტიკის შემუშვებაში. ცხადია, ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა, არც რეგიონალური და არც საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე ხდება სიკეთის მომტანი.

პრორუსული	**პროდასავლური**
დსთ	სუამი
ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება (დამკვირვებელი)	დემოკრატიული არჩევნის საზოგადოება (CDC)
საერთო ეკონომიკური სივრცე (CES)	ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)
	აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა

(მთავარ საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის მონაწილეობა 2010 წლის მონაცემებით, Jonavicius, 2009)

ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების კავშირები:

აღნიშნული ინსრტუმენტი თავის მხრივ ფარავს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობასა და აქტივობას სამიზნე ქვეყნებში; აგრეთვე რელიგიური ინსტიტუტების როლს რუსული გავლენის გავრცელებაში.

ა) მართლმადიდებლური ეკლესია

უკრაინის ეკლესიზე რუსეთის გავლენა, მეტად ბუდნოვანია, გამომდინარე თვითონ უკრაინული ეკლესიის დაქსაქსულობიდან. უკრაინს მართლმადიდებელი მრევლი ექვემდებარება უკრაინული მართლმადიდებლური - მოსკოვის საპატრიარქოს, უკრაინული მართლმადიდებლური - კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის ავტოკეფალიური საპატრიარქოს. უკრაინული მართლმადიდებლური - მოსკოვის საპატრიარქოს ლოიალობა მოსკოვისადმი იმთავითვე ცნობილი ფაქტია. დანარჩენი ორი

საპატრიატქოს წარმომადგენლები კი ყოველთვის ღიად აფიქსირებენ ანტირუსულ განწყობებს.

ბ) პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა სამიზნე ქვეყნებში

რასაკვირველია, რუსული პროპაგანდის წარმოება ქვეყანაზე, რომელზეც გავლენის მოპოვებას ცდილობს, ღიად არ ხორციელდება. თუმცა არის გარკვეული პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი შენიღბვის გარეშე აწარმოებს. მაგალითისთვის გამოდგება ე.წ. "რუსკი მირის" იდეა, რომელის შინაარსიც ყველა რუსულეროვანი მოსახლეობის ურთიერთკავშირში მდოგარეობს. ზემოაღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით ტრანსნაციონალურ საკითხებში რუსეთის გავლენები ერთმნიშვნელოვნად დიდია ევროკავშირის კავშირებთან შედარებით.

სოციალური კავშირი:

კიდევ ერთი ელემენტი „ბერკეტებისა და კავშირების" გახლავთ, სოციალურ კავშირში უმეტესწილად იგულისხმება ორი ქვეყნის ურთიერთობები სამოქალაქო დონეზე: მიმოსვლა, დიასპორა, მიგრაცია და ა.შ. პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ერთ-ერთ განსახილველ ელემენტად გვევლინება ეთნიკურად რუსების არსებობა სამიზნე ქვეყნებში. 2004 წლის მონაცემებით რუსების პროცენტული მაჩვენებელი უკრაინაში 18 პროცენტს შეადგენს (Ulasiuk, 2013). რასაკვირველია, რაც უფრო მაღალია ეთნიკურად რუსების არსებობა ქვეყანაში, მათი როგორც რუსულ იარაღად გამოყენება მეტად შეიცავს რისკებს. 2004 წლის მონაცემით რუსეთსი 3 მილიონმდე უკრაინელი ცხოვრობდა, რაც რასაკვირველია უფრი მეტად ზრდიდა, რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2005 წლის მონაცემებით მთლიანობაში 6 მილიონამდე უკრაინელი ცხოვრობდა უკრაინის საზღვრებს გარეთ, რომელთაგანაც თითქმის ნახევარი ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, დანარჩენი ნახევარი იყო გადანაწილებული ყაზახეთი, ისრაელი, აშშ და ევროპის ქვეყნებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს უკრაინის დამოკიდებულების მაღალ ხარისხს რუსეთისადმი (მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი, 2015).

ინსტიტუციური მსგავსება: იმისთვს, რომ უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ თუ რომელი ინსტიტუციური წყობისკენ იხრება უკრაინა საჭიროა ჯერ განვსაზღვროთ თითოეული შესადარებელი ქეისი და შემდეგ მოვახდინოთ მათი დაკავშირება უკრაინის მაგალითთან.

ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა ორიენტირებულია დემოკრატიულ ელემენტებზე. ამის გამო ხშირად ევროინტეგრაცია სწორედ, რომ დემოკრატიზაციასთან იგივდება, მითუმეტეს შიდარეგიონულ დონეზე. ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორ ლაურნა იონავიჩიუსის განმარტებით, ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა მრავალ მონაწილე ძალაზე დგას. ძალაზე, რომელის გავლენებიც გადანაწილებულია სხვადასხვა აქტორზე (Jonavicius, 2009) მოკლედ, რომ ვთქვათ ევროკავშრის ინსტიტუციური სტრუქტურა ატარებს დემოკრატიულ ხასიათს, სადაც წარმოდგენილია : ინსტიტუტებს შორის ძალის განაწილება, კანონის უზენაესობა, კორუფციის დაბალი ინდექსი, პრესის თავისუფლება და ა.შ.

რაც შეეხება, რუსულ ინსტიტუციურ სტრუქტურას, მას ახასიათებენ როგორც "მთლიან საზოგადიებას'' (holistic society), როცა საზოგადოებაზე გავლენას ახდენს კონკრეტული იდეოლოგია ან რელიგია. ამ შემთხვევაში, რუსულ ინსტიტუციური სტრუქტურაში დომინირებს არაფორმალური პრაქტიკები. იონავიჩიუსი ხსნის რუსული ინსტიტუციური სისტემის რამდენიმე ძირითად მახასიათებელს, რომელთა რიგებშია: ე.წ შავი პიარი; კომპრომატი; "კრუგოვაია პორუკა" ; "ტენევოი ბარტერ" "დვოინაია ბუხგალერია" "პოსტ-საბჭოთა ტოლკაჩი" (Jonavicius, 2009) აღნიშნული ელემენტები, მთლიანობაში გვაძლევენ, დასავლური საზოგადოებისთვის არადამახასიათებელ და შუფერებელ სტრუქტურას, რომელიც თანაცხოვრობს და თანაარსებობს იმ სტრუქტურებთან, რომელიც ყველაზე მეტად იზიარებს მის ტენდენციებს.

უკრაინის ინსტიტუციური სტრუქტურა, გამომდინარე არაფორმალური მმართველობის (შემდეგ თავებში დეტალურად იქნება განხილული) უპირატესობისა და ზოგადად, უკრაინის "ბერკეტებისა და კავშირების" სიახლოვისა, უფრო მეტად რუსული მოდელისკენ

იხრება, ვიდრე დასავლური ინსტიტუციური სტრუქტურისკენ. სწორედ ეს იწვევს, უკრაინის დემოკრატიზაციის პროცესში რუსეთის მეტ გავლენას, რაც უარყოფითად აისახება უკრაინის საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე.

იუშენკოს პრეზიდენტობის დროს უკრაინის საკონსტიტუციო ცვლილებებმა და პრეზიდენტის ძალაუფლების ნაწილობრივ შეზღუდვამ პარლამენტის სასარგებლოდ, უკრაინის კუჩმას დროინდელი ავტორიტარული ინსტიტუციური წყობა ნამდვილად შეცვალა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მიგვეღო რევოლუციით გამოწვეული მოლოდინები. კატერინა მალიგინა, ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის მკვლევრი, მიიჩნევს რომ არაფორმალური წესები უკრაინის მმართველობაში პოსტ-რევოლუციურ პერიოდშიც ნარჩუნდებოდა (Malygina, 2010). 2006 წელს უკრაინის საკონსტიტუციო ცვლილებებით, პარლამენტს გადაეცა პრემიერ მინისტრისა და მისი კაბინეტის დანიშვნის უფლება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იუშენკოს ნებას, ძირეული ინსტიტუციურო ცვლილება მოეხდინა ძალის გადანაწილებით უკრაინაში. აღნიშნულმა ცვლილებამ ვერ იმუშავა, და ფაქტობრივად პარლამენტის ახალი ფორმალურ სტატუსი გამოუსადეგარ ცვლილებად იქცა ინდივიდუალური წევრების ხარჯზე (Malugina, 2010), რომელთა შორის განუწყვეტელი დაპირისპირება აფერხებდა დემოკრატიზაციის პროცესს (განსაკუთრებით რევოლუციური ლიდერების იუშენკო-ტიმოშენკოს დაპირისპირებით გამოწვეული შიდასაპარლამენტო შუღლი).

ინსტიტუციური სტრუქტურის თვალსაზრისით იანუკოვიჩის მმართველობა (2010-2014) კიდევ უფრო მიემსგავსა რუსულ მოდელს, რაც ავტომატურად იწვევდა ევროკავშირის სტანდარტებისგან გაუცხოება/დაშორებას. იანუკოვიჩის პრეზიდენტობა ხასიათდება კლანურ-ოლიგარქული ძალების გადანაწილებით, რომელშიც მთავარ მოქმედ პირებს მმართველ კლანთან დაახლოებული პირები ან პირდაპირ ოლიგარქები წარმოადგენენ. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ე.წ „ოჯახი“, რომელიც ასოცირებული იყო იანუკოვიჩთან და რომელიც მართავდა უკრაინის ყველა მნიშვნელვან ორგანოს.

შეჯამებისთვის, მიუხედავად მთავრობის ცვლილებისა ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, არ მომხდარა კავშირებისა და ბერკეტების ცვლილება რუსეთიდან ეროკავშირის ქვენებისკენ. რუსეთის ხელში არსებული ყველა ბერკეტი ნარჩუნდებოდა და მხოლოდ

ქვეყნის მმართველი ელიტის სურვილი არ აღმოჩნდა საკმარისი ძირეული საგარეო ორიენტაციის ცვლილებისთვის. უკრაინაში 2010 წელს იანუკოვიჩის გაპრეზიდენტებამ კიდეც უფრო გააძლიერა კავშირები რუსეთის ფედერაციასთან. 2010 წელს უკრაინის პარლამენტმა ხმა მისცა უკრაინის ნატოს წევრობის სურვილის გაუქმებას (Ukraine-Tieline, BBC, 2017). 2010 წლის აპრილშივე პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა რუსული შავი ზღვის ფლოტის ბაზის გახანგრძლივებას სევასტოპოლის, ყირიმის ტერიტორიაზე 25 წლით, გაზის იაფი იმპორტის სანაცვლოდ (Ukraine-Tieline, BBC, 2017). სწორედ იანუკოვიჩმა წამოაყენა იდეა, განათლების მიღება მომხდარიყო რუსულ ენაზე, რუსულენოვან რეგიონებში, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა რუსულის, როგორც მეორე ოფიციალური ენის არსებობას.

იანუკოვიჩის მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და მის განცხადებებს თუ შევაფასებთ, მეტწილად იგი ხასიათდება რუსეთთან თბილი ურთიერთობების ფონზე, დასავლეთთან კავშირების შენარჩუნების სურვილოთ, რაც იდეაშივე წარსული გამოცდილებების ფონზე შეუძლებელ პირობას წარმოადგენს.

უკრაინაში პრო-რუსული ძალის მოსვლამ რუსეთის ხელისუფლებაში განცხადებებისა და თამაშის წესების ცვლილება შესამჩნევი გახადა. რუსეთი, იანუკოვიჩის პერიოდში, არა იმდენად ულპიმატუმებით, არამედ დაყოლიების ენით იწყებს საუბარს, თუმცა ეს დიდხანს არ გძელდება. 2012 წლის ივლისში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა თავისი პარტნიორებისთვის დაეძალებინა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება, რასაც იანუკოვიჩის საპასუხო განცხადება მოჰყვა: „ჩვენ არ ვამბობთ არას, ჩვენ ახლა ვართ შესწავლის პროცესში. ჩვენი მომავლის შესახებ ძალიან მალე მივიღებთ გადაწყვეტილებას.“ რასაც 2012 წელშივე მოჰყვა რუსეთ-უკრაინას შორის პარტნიორობის დოკუმენტი, რომელიც თითქმის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროს ფარავდა (სამხედრო, ეკონომიკა, ტექნიკა და ა.შ) (RT, 2012). იანუკოვიჩის მიერ გადადგმული ნაბიჯები, სწორედ “ბერკეტებისა და კავშირების“ უფრო მეტი გაძლიერება გახლდათ, რაც თავის მხრივ რუსეთთან დაახლოებისა და ევროკავშირის გავლენის შესუსტებას უწყობდა ხელს.

კავშირები-ბერკეტები	**2005-2010**		**2010-2014**	
	რუსეთი	**ევროკავშირი**	**რუსეთი**	**ევროკავშირი**
გეოგრაფიული სიახლოვე	2,063.04 კმ.	1291 კმ. საზღვარი ევროპასთან	2,063.04კმ.	1291 კმ. საზღვარი ევროპასთან
ეკონომიკური	მზარდი	არაა შესამჩნევი ცვლილება	არამდგრადი	არაა შესამჩნევი ცვლილება
სამოქალაქო	მზარდი დინამიკა	რუსეთთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი	მზარდი დინამიკა	რუსეთთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი
ტრანსნაციონალური	ორგანიზაციებში (რუსეთის ლიდერობით) წვრობის შენარჩუნება	რამდენიმე დასავლურ ორგანიზაციაში გაწევრიანება	ორგანიზაციებში (რუსეთის ლიდერობით) წვრობის შენარჩუნება,+ გაწევრიანება	შენარჩუნება, მაგრამ ახალ წევრობაზე უარის თქმა
ინსტიტუციონალური	რუსეთთან მსგავსი ინსტიტუციური წყობა	დემოკრატიული ლიდერი	რუსეთთან მსგავსი ინსტიტუციური წყობა	არადემოკრატიული ლიდერი

(გრაფა 5, აწყობილი ავტორის მიერ, სადოქტორო სემინარის კვლევაზე დაყრდნობით)

როგორც დავინახეთ, მიუხედავად 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციისა, ძირეული გარდაქმენები, გააქტიურებული სვლა სტრუქტურული ელემენტების მიერთებისა ევროკავშირთან და პირიქით, შესუსტება ამ კავშირების რუსეთთან არ მომხდარა. იგივე სიტუაცია გვაქვს იანუკოვიჩის პერიოდშიც, თუმცა, ტენდენცია კიდევ უფრო პრორუსულია. მიუხედავად იუშენკოს პროდასავლურობისა, „ბერკეტებისა და კავშირების“ თითოეულ ელემენტში ორივე მთავრობის დროს რუსეთთან კავშირები ლიდერობს.

მაშასადამე, დემოკრატიზაციის ევროპული ნორმები სტრუქტურულად ძნელად გასაზიარებელი ხდებოდა უკრაინისთვის, და პირიქით, რუსეთისთვის იქმნებოდა შესაფერისი გარემო ეფექტურად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ბერკეტები.

უკრაინის „ბერკეტები და კავშირები“ რუსეთთან და დასავლეთთან მაიდნის მოვლენების შემდეგ

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან გამომდინარე ეკონომიკური კავშირები მკვეთრად შემცირებულია (Tomkiw, 2016) ამ მხრივ რუსეთის მიერ უკრაინაში ეკონომიკური ბერკეტის გამოყენება, ომის პირობებში შეზრუდულია. სამაგიეროდ გაზრდილია, ევროკავშირის ქვეყნებთან იმპორტ-ექსპორტის წლიური პროცენტული რაოდენობა. მაგალითისთვის უკრაინული ექსპორტის მთავარი დესტინაციიდან რუსეთმა ადგილი ევროკავშირს დაუთმო და უკრაინის მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 9,9 პროცენტს წარმოადგენს, მაშინ როცა 2013 წელს ეს მაჩვენებელი 24 % იყო (Dragneva, Wolczuk, 2016). იმპორტს რაც შეეხება, უკრაინის იმპორტი რუსეთიდან 2014-2015 წლების მონაცემებით დაეცა 12 მილიარდიდან 4 მილიარდამდე (უკრაინის სახელმწიფო სტატისტიკის სერვისი). ამასთანავე უკრაინაში ევროკავშირის ქვეყნებიდან სავაჭრო პროცენტული მაჩვენებელი 31,5% გაიზარდა მაშინ როცა რუსეთთან ვაჭრობა 18,2 %-მდე დავიდა (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სტატისტიკა უკრაინაზე, 2015).

რაც შეეხება გეოპოლიტიკური კავშირებს, პეტრო პოროშენკოს მიერ ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ ფონზე, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ოფიციალურად შევიდა ძალაში (ევროპარლამენტი, ახალი ამბები, 2017), რაც უფრო მეტად გაზრდის ევროპასთან კავშირებს სამოქალაქო დონეზე. რუსეთში მიგრაცია ბოლო წლების მანძილზე შემცირებულია. (იხილეთ გრაფა.1) და გაზრდილია სხვა ქვეყნებში მათი მიგრაციის წილი. რაც შეეხება კომუნიკაციური კავშირების არსებობა, ძალზედ მნიშვნელოვანია უკრაინაში რუსული საინფორმაციოს წყაროების არსებობა, ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი

რუსულ მედიაზე კეთდება. 2014 წლის მარტში უკრაინის მედია მარეგულირებელმა ბრძანება გასცა ყველა საკაბელო პროვაიდერის მისამართით აეკრძალათ რუსული არხების ტრანსლაცია (ენის, 2014). საჭიროება ამგვარი მოთხოვნის მეტწილად განპირობებული იყო რუსული მაუწყებლობის ფართო მოხმარებით უკრაინის რუსულენოვან ნაწილში, კერძოდ, აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში, სადაც რუსეთი, მედიის დახმარებით, მნიშვნელოვან პროპაგანდას ეწეოდა. დღესდღეობით, რუსული მაუწყებლობა მთლიანად მოიცავს ყირიმის მხარეს და უკრაინული არხები მთლიანად ჩანაცვლებულია რუსული მაუწყებლობით. თუმცა, არც პოროშენკოს მთავრობა უყურებს მოვლენეს უმოქმედოთ: 2017 წლის 15 მაისს, პოროშენკომ გამოცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში იბლოკება რუსული სოციალური ქსელები და სხვა ბიზნეს ვებგვერდები, რომლებიც საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდნენ ამ დრომდე უკრაინაში (Oliphant, 2017). მაშასადამე, წარსული კავშირები რუსეთთან, ნაწილობრივ ნარჩუნდება უკრაინაში, თუმცა ბოლო წლებში მათი კლების ტენდენცია საკმაოდ თვალშისაცემია.

შეჯამებისთვის, ისეთი კავშირების არსებობა როგორიცაა გეოგრაფიული სიხლოვე, ეკონომიკური და სოციალური კავშირები, ინსტუტუციური მსგავსება დიდი ხნის განმავლობაში ტოვებდა უკრაინას რუსული გავლენის ქვეშ. გამოსავალი რომელიც უკრინის ამჯამინდელი მმართველის ხელშია მდგომარეობს შემდეგში: მაქსიმალურად შეასუსტოს კავშირები რუსეთის ფედერაციასთან და მიმართოს ის ევროპის ქვეყნებისკენ. ამის გაკეთებას იგი შეძლებს ძლიერი პროდასავლური პოლიტიკური ელიტითა და უკრაინის ინსტიტუციური მსგავსების აღმოფხვრით რუსეთისთან. ამ თავში განხილული მონაცემებით, პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა, საჭიროა ტენდენციის შენარჩუნება.

ბერკეტებისა და კავშირების გარდამქმნელი ძალა- "გეითქიფერ ელიტა"

როგორც უკვე თეორიეულ ნაწილში აღინიშნა, სადოქტორო სემინარის ნაშრომი ლევიცკისა და ვეის თეორიას ბერკეტებისა და კავშირების შესახებ ამხსნელ თეორიად მიიჩნევს უკრაინის პრეზიდენტების ვიქტორ იუშენოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის

დროს, თუმცა სარეკომენტაციოდ აღნიშნავს, რომ ბერკეტები და კავშირები არაა სტატიკური/უცვლელი და ის შეიძლება შეიცვალოს ან შენარჩუნდეს გეითქიფერ ელიტის მეშვეობით (თუ არ ჩავთვლით გეოგრაფიულ სიახლოვეს).

თუკი გეითქიფერი ელიტა ტრადიციული თეორიული განმარტებით მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ დ სამოქალაქო ელიტას, უკრაინაში პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის გამიჯვნა ძალიან ძნელია. მაგალითისთვის, უკრაინის წარმატებული ბიზნეს ელიტა ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა პოლიტიკური ძალაუფლება, რათა მფარველობა გაეწიათ საკუთარი ბიზნესებისთვის. ამრიგად, უკრაინაში მუდმივი ჭიდილია ბიზნეს ელიტებს შორის მართონ პოლიტიკური ინტერესები.

გეითქიფერ ელიტა იუშენკოსა და იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს

ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, ქვეყანა უნდა დამდგარიყო განვითარების ახალ რელსებზე, რომელიც ფუნდამენტურად შეცვლიდა აქამდე არსებულ ინსტიტუციურ წყობას. მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ იუშენკო წარმოადგენდა რევოლუციური ძალის გამორჩეულ ლიდერს, მან ვერ მოახერხა მთავარი საკითხის, უკრაინის მოწყვლადობის შემსუბუქება რუსული გავლენისგან. ერთი მხრივ დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის სურვილმა, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის ხელში ბეკრეტებისა და კავშირების შენარჩუნებამ საკმაოდ მტკივნეული ასახვა ჰპოვა უკრაინის უახლოეს წარსულზე. ფაქტობრივად ახლო ეკონომიკურმა თანამშრომლობის შენარუნებამ რუსეთთან, იგულისხმება საბაჟო კავშირისა და თავისუფალი ვაჭრობის შენარჩუნება, იუშენკოს პრეზიდენტობის დროსაც კი გამორიცხა რაიმე სერიოზული კავშირების წარმოქმნა ევროკავშირთან (Jonavicius, 2009). პროფესორ იონავიჩიუსის აზრით, სწორედ ორი ინსტიტუციური წყობის დაპირისპირებამ გამოწვია ის რომ უკრაინამ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ევროკავშირთან ურთიერთობაში. “მცდელობა ერთსა და იმავე დროს იჯდე ორ სკამზე, ვერ მოიტანს სარგებელს”, სწორედ ორ განსხვავებულ აქტორთან ურთიერთობამ, ერთი მხრივ ძლიერი კავშირებით რუსეთთან, ხოლო მეორე მხრივ

სურვილით დასავლეთის ნაწილად ყოფნისა, გამორიცხა უკრაინის პროგრესი (Jonavicius, 2009). ამას დაემატა, ფაქტი რომ უკრაინისთვის დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია მოითხოვდა ძირეულ რეფორმებს, მაში როცა რუსეთთან ურთიერთობამ და მრავალწლიანმა გამოცლიდებამ, გააქრო ინსტიტუციური და პროცედურული თვალსაზრისით რაიმე სახის შეფერხება უკრაინა-რუსეთის თანამშრომლობაში.

რუბაჩუკი, იუშენკოს აპარატის უფროსი, ამბობდა: გამომდინარე მისი უდიდესი პოპულარობისა, იუშენკოს შეეძლო ჩადგომოდა სათავეში "თავზეხელაღებულ" რეფორმებს (Feifer, 2010). თუმცა მან ვერ შეძლო მაღალი ლეგიტიმაციის ქონის პირობებშიც კი, კავშირების ერთი აქტორიდან მეორესკენ მიმართვა. რიბაჩუკი დასძენს, „...მან (იუშენკომ) გაფლანგა საუკეთესო დრო მისი პრეზიდენტობის" (Feifer Feifer, 2010). ძნელია, იუშენკოს მმართველობის შეფასებისას გამორიცხო ობიექტური მიზეზები რაც მის პასიურობას გასდევდა ფონად, თუმცა "შესაძლებლობების ფანჯარა", სწორედ ამ ქარიზმატული ლიდერის ხელში გახლდათ, რომელსაც რეალური შანსი ჰქონდა გარდამტეხი რეფორმებით ინსტიტუციური რევოლუცია მოეხდინა ქვეყანის დემოკრატიზაციის გზაზე, თუმცა დაქსაქსულმა სამთავრობო ელიტამ, სუსტმა მმართველობამ უკრაინა დატოვა იმ რეალობაში, რა რეალობაშიც რევოლუციამდელი უკრაინა იყო.

2005-2010 წლების უკრაინის მოვლენების ქრონიკას თუ მივადევნებთ თვალს, დავინახავთ რომ 5 წლის განმავლობაში, ინტენსიურად მიმდინარეობს ძალთა გადანაწილება, ჩანაცვლება, ინდივიდებს შორის. აშკარაა, რომ ნებისმიერი ცვლილება ინსტიტუციების გაძლიერებისკენ კი არა, არამედ კონკრეტული ინდივიდუალური პოლიტიკოსების გაძლიერებისკენ ან დაქვეითებისკენ იყო მიმართული. 2005 წელს მთავარ მოვლენას წამოადგენდა იულია ტიმოშენკოს, ნარინჯისფერი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ლიდერის პრემიერ მინისტრობის პოსტიდან დათხოვნა, რაც რეალურად იქცა შემდგომ წლებში მიმდინარე მოვლენების მთავარ საწყისად. 2006 წელს იუშენკო-იანუკოვიჩის დაპირისპირება საარჩევნო ყუთებთან გაგრძელდა სადაც იანუკოვიჩის პარტიამ "რეგიონების პარტია" უმრავლესობა მოიპოვა. რეგიონები პარტიამ კოალიციაში გააერთიანა სხვა საპარლამენტო პარტიები ("უკრაინის სოციალისტური პარტია" და "კომუნისტური პარტია"), სწორედ ამ გაერთიანებამ უზრუნველყო იანუკოვიჩის პრემიერის

სავარძელი. კვლავ შიდა დაპირისპირებებმა და ძალაუფლებისთვის ბრძოლამ, 2007 წელს პრეზიდენტი იუშენკო აიძულა გამოეცა ბრძანებულება რადას დათხოვნასთან დაკავშირებით, რასაც რადა შეეწინააღმდეგა. საბოლოოდ, 24-25 მაისს კონფლიქტში შეიარაღებული ძალები ჩაერთვნენ. მოლაპარაკების შედეგად, 2007 წლის სექტემბერში არჩევნები ჩატარდა (Feifer, 2010). პრო- იუშენკოსა და პრო-ტიმოშენკოს გუნდებმა შექმნეს კოალიცია, რის შედეგადაც 2007 წლის დეკემბერში უკრაინის პრემიერად კვლავ იულია ტიმოშენკო გვევლინება. ამას მოჰყვა 2008 წელს კვლავ, გაყოფა ტიმოშენკო-იანუკოვიჩის ალიანსის. ტიმოშენკოს პარტიის მიერ იანუკოვიჩთან მიღწეულმა შეთანხმებამ კონსტიტუციურ ცვლილებაზე, იუშენკოს უბიძგა დაეტოვებინა ალიანსი (Feifer, 2010).

როგორც დავინახეთ, ცვლილებებს, რომელიც თავის დროზე ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარდა, და რომელიც უზრუნველყოფილი იყო რევოლუციური გუნდის (მმართველი ელიტის) კონსოლიდაციით, უკრაინაში მყარი საფუძველი არ დახვდა. ამის მიზეზი კი გახლდთ: ფრაგმენტული ელიტა და ნეოპატრიმონიალისტური სახელმწიფო ტიპის შენარჩუნება. ინსტიტუციონალურად მეტმა მსგავსებამ რუსეთთან, და სწორედ ამ მსგავსების ვერ აღმოფხვრამ შემდგომში უკრაინა მიიყვანა მეორე მაიდანამდე. საინტერესო იქნება კიდევ ერთხელ განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ ინსტიტუციურ მსგავსებაში. ზოგადად, პრინციპი, რომ მსგავსი მმართველობის მქონდე ქვეყნები, უფრო თანამშრომლობენ ერთმანეთთან მრავალი ქეისით დასტურდება. უკრაინის შემთხვევა, ვგულისხმობ იუშენკოს მმართველობის ხანას, განსხვავდებოდა რუსული მოდელისგან (თავისუფალი მედია, მეტი დემოკრატიული ღირებულებები), თუმცა ინარჩუნებდა ინსტიტუტების ფუნქციონირების რუსულ სტანდარტს (არაფორმალური მმართველობის უპირატესობას). არაფორმალური მმართველობა თავის მხრივ არის, ფორმალური ბიუროკრატიის მიღმა არსებული არაფორმალური ძალების მიერ წესების დაწესება და მეორე, მხრივ პოლიტიკიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა, ვიწრო ინტერესების დასაკმაყოფილებლად (Peters, 2007). რა სიტუაცია გვქვს ამ მხირვ უკრაინაში, "ქრთამის გადასახადი", ადმინისტრაციული კორუფცია და "არაფორმალური გადასახადი" არის მთავარი ბარიერი, როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე ეკონომიკური პრაქტიკის

ფორმალიზაციის. მსოფლიო ბანკის 2009 წლის მონაცემებით ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით უკრაინას ეკავა145-ე ადგილი, 181 ქვეყნიდან. გადასახადების გადახდის თვალსაზრისით კი 2005 წლსი მონაცემით 181 ქვეყნიდან უკრაინა 180-ე ადგილს იკავებდა (Williams, Round & Rodgers, 2014, p. 6). შეიძლება ერთი შეხედვით არაფორმალურ მმართველობა ვერ დავუკავშროთ, კორუფციის დონეს ქვეყანაში, თუმცა რეალურად ისაა მთავარი გამომწვევი უკრაინაში მოუშორებელი კორუფციული სისტემის. იგი პირდაპირაა დაკავშირებული იმ ძალებთან, რომლებიც ოფიციალური წესების თავის არიდებით ატარებენ თავიანთ ინტერესებს ქვეყანაში, მეტწილად ესენი არიან მსხვილი ბიზნესის მფლობელი ოლიგარქები.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ოლიგარქების ჩართულობა ფონად გასდევს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებულ უკრაინის ყველა ხელისუფლებას. იმდენად ძლიერია უკრაინის ბიზნეს ელიტის გავლება ქვეყანაში, რომ მათი ინტერესების დაკმაყოფილებას სახელმწიფო ვერ არიდებს თავს. 2015 წლის მონაცემებით უკრაინის 10 უმსხვილესი ოლიგარქის საერთო ქონება (11 მილიარდი ამერიკული დოლარია) უკრაინის ეშპ-ს 13 პროცენტს წარმოადგენს (შედარებისთვის:პოლონეთისა და ამერიკის იგივე მონაცემი, 10 უმსხვილეს ბიზნესმენის ქონებასთან შედარებით მხოლოდ 3 პროცენტს წარმოადგენს) (Ukraine Crisis Media Center, 2017). ტიმ ბეიჩელტისა და სუსან ვორსჩეჩის წიგნი “ტრანსნაციონალური უკრაინა? ქსელები და კავშირები, რომელიც გავლენას ახდენს თანამედროვე უკრაინაზე” ყურადღებას ამახვილებს ოლიგარქთა პოზიციაზე ევროკავშირისა და რუსეთთან მიმართებით. საგულისხმოა, რომ უკრაინელი ოლიგარქების პოზიცია ევროკავშირთა დაკავშირებით, არ გადის უკრაინის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე, მათი ინტერესი ფოკუსირებულია უკრაინის პოლიტიკის შეცვლის შედეგად მათივე შესაძლო ფულად დანაკარგებზე (Beichelt & Worschech, 2017). არსებული სისტემა და პოლიტიკაზე გავლენა, სასათბურე პირობებს უქმნის ბიზნეს ელიტას, მეტი მოგებისთვის.

ამასთანავე, რაც კიდევ უფრო ართულებს ოლიგარქების პოლიტიკური პროცესებიდან „განდევნას“ არის ის ფაქტი რომ უკრაინაში მოღვაწე ოლიგარქების ბიზნეს სფერო არ

შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული პროდუქტის წარმოებით, მათი ქონებისა და გავლენის ერთ-ერთ მთვარ წყაროს წარმოადგენს მედია ბიზნესი. მაგალითად, რინატ ახმეტოვი ფლობს უკრაინის ტოპ-რეიტინგულ არხს- "უკრაინას" და გაზეთს "სეგოდნიას" (Ukraine Crisis Media Center, 2017); ვიქტორ პინჩუკი რიგით მესამე უმსხვილესი ოლიგარქი, კი უკრაინაში ყველაზე დიდი მედიაჰოლდინგ "უკრაინა სტარლაითმედიის" მეპატრონეა. პინჩუნკი (პრეზიდენტ კუჩმას სიძე), რომელიც ყველაზე პროდასავლურ ოლიგარქად ითვლება, ისიც კი 2005 წელს ნიუ იორკ თაიმსის კომენტარში წერს, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკრაინისთვის. „ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან არის არსებითი, ისტორიული და სტრატეგიული ჩვენი მომავლისთვის,... ჩვენს გვაქვს ძლიერი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, მათ შორის ენერგო კავშირები. მაშასადამე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვავითაროთ თანამშრომლობა და არ დავაზიანოთ ურთიერთობები" (New-York Times, 2006).

ოლიგარქები, როგორც მთავარი მმართველი ფენა იანუკოვიჩის დროს განსაკუთებით გაძლიერდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს პოლიტიკური ელიტა უფრო მეტად კონსოლიდირებული იყო, მისი მმართველი ფაქტობრივად წარმოადგენდა კლანის სათავეში მყოფ ლიდერს. ძალიან ბევრი ოლიგარქისთვის იანუკოვიჩის გაპრეზიდენტება მომავალი მილიარდების დაგროვების შანსად იქცა (Aslund, 2015), უფრო მეტიც ბევრი მათგანი მთავრობის კაბინეტებში აღმოჩნდა, მაგალითად ვალერი ხოროშოვსკი, რომელიც უკრაინის პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი გახლდათ, მანამდე კი ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებდა (Stratfor, 2012). იანუკოვიჩმა ფაქტობრივად უკრაინის მმართველი სადავეები გაყო „ოჯახისა'' და ე.წ. „გაზის ლობის" ინტერესთა სასარგებლოდ (Stratfor, 2012), რომელთაც უფრო მეტად სტატუს ქვოს შენარჩუნება აწყობდათ.

(ავტორის მიერ შედგენილი)

	პოლიტიკური ელიტა	ეკონომიკური ელიტა-ოლიგარქები
იუშენკოს მმართველობა	არასტაბილური/დაქსაქსული ელიტა	ძლიერი ოლგარქული სისტემა

იანუკოვიჩის მმართველობა	კონსოლიდირებული ელიტა	ძლიერი ოლიგარქული სისტემა, მეტწილად წარმოდგენილნი მთავრობაში

ორივე მმართველის შემთხვევაში, იუშენკოს დროს პოლიტიკური ელიტის შიგნით მუდმივმა შუღლმა, ხოლო იანუკოვიჩის პერიოდში ოლიგარქული და კლანური სისტემის პოლიტიკურ ელიტაში აღრევამ უკრაინის დემოკრატიულ პროგრესს შეუშალა ხელი და ის რუსული ინსტიტუციური სისიტემის მსგავს ერთეულად დატოვა.

გეითქიფერ ელიტა დღეს

საინტერესოა, განვსაზღვროთ რა ვითარება გვაქვს პოროშენკოს დროს არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, უკრაინის პრეზიდენტსა და უკრაინის ოლიგარქებს შორის 2015 წელს საკმაოდ საინტერესო მოვლენები განვითარდა. უმსხვილესი ოლიგარქი იგორ კოლომოისკსა და პოროშენკოს შორის მტრობა პოროშენკოს გაპრეზიდენტების პირველ წლებში განსაკუთრებით გამწვავდა(Politiko, 2015). კოლომოისკი არ ერიდებოდა მთავრობისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, მაგალითად კოლომოისკიმ სცადა შეიარაღებული ჯგუფის ფორმირება რომელიც დაიცავდა დნეპროპეტროვსკის გუბერნიას, გადაწყვეტილება რასაკვირველია, ცენტრალური ხელისუფლებისან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. დაპირისპირება გამწვავდა ოდესის გუბერნატორის პოსტიდან კოლომოისკის მეგობრის განთავისუფლებისა და მისი მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლების დროსაც (Politiko, 2015).

უკრაინის საპარლამენტო სისტემის გამოცდილება გვაჩვენებს რომ არ არსებობს სერიოზული პოლიტიკური ძალა რომელსაც შეუძლია წარმატებით იმოღვაწეოს უკრაინის პოლიტიკურ ასპარეზზე ოლიგარქებისგან ძლიერი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ერთ-ერთი პრეს რიპორტის თანახმად დიმიტრი ფირტაში (ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ოლიგარქი) იყო მთავარი „მომლაპარაკებელი“ ვიტალი კლიჩკოსა და პეტრო პოროშენკოს შორის 2014 წლის მარტში. კლიჩკო, რომლის „უდარ“ პარტია დაფინანსებული იყო

ფირტაშისგან, გამოეთიშა საპრეზიდენტო მარათონს და გარდაუვლი გამარჯვება დაუტოვა პეტრო პოროშენკოს. მაიდნის მოვლენების შემდეგ 2014 წლის 26 ოქტომბერის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა რომ მთავარი უკრაინის ოლიგარქთა ჯგუფი ინარჩუნებს მნიშვნელოვან ზეგავლენას პარლამენტში ათობით მათი კონტროლქვეშ მყოფი დეპუტატის წყალობით, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ წინა პარლამენტზე ოლიგარქების გავლენა გაცილებით დიდი იყო (Konończuk, Cenușa & Kakachia, 2017). პროცესი, რომელიც პოროშენკოს მეთაურობით უკრაინაში მიმდინარეობს უკვე იწოდა როგორც დეოლოგარქიზაცია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს უკრაინის პოლიტიკური ელიტის ოლიგარქული ზეგავლენიდან გათავისუფლების პოლიტიკას. „ბრძოლა“ მთავრობასა და ოლიგარქებს შორის გვეუბნება, რომ ოლიგარქები კვლავ ნარჩუნდებიან როგორც მთავარი აქტორები უკრაინის პოლიტიკურ თამაშში (Konończuk, Cenușa & Kakachia, 2017), თუმცა არა გადამწყვეტნი. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, უკრაინას მოუწევს გადალახოს ეს ეტაპი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა ვერასდროს შეძლებს გაატაროს ძირეული ინსტიტუციური რეფორმები და დაუახლოოს ქვეყანა ევროპულ ღირებულებებს.

დასკვნა

სადოქტორო სემინარის ნაშრომის თემა “შესაძლებლობთა ფანჯრის 13 წლიანი გამოუყენებლობა- როდის ახდენს გავლენას საგარეო აქტორი დემოკრატიზაციის პროცესზე?“, მთავარი მიზანი გახლდათ გამოეკვლია ის გარემო, რა გარემოშიც უკრაინამ მიუხედავად მისი მისწრაფებისა გამხდარიყო დემოკრატიული სახელმწიფო ვერ შეძლო ამ იდეის განხორციელება. კვლევის განმავლობაში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: (1) როდესაც დემოკრატიზაციაზე არის საუბარი, მკვლევართა უმრავლესობა საგარეო აქტორის განხილვისას იყენებს მხოლოდ ევროკავშირის გავლენის განსაზღვრებას და

უყურადღებოდ ტოვებს რუსეთის გავლენას, როგორც ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესის მთავარი ხელშემშლელი ძალის; სადოქტორო სემინარის ნაშრომის სიახლეს კი წარმოადგენდა დემოკრატიზაციის პროცესში რუსული გავლენის განხილვის ჩართვაც. (2) დემოკრატიზაცია, როგორც ეს არაერთ ნაშრომში ჩანს, არ არის მხოლოდ შიდა პოლიტიკური პროცესი და ისეთი ქვეყნებისთვის როგორც უკრაინაა, საგარეო პოლიტიკური ვექტორის ელემენტსაც კი წარმოადგენს. (3) მიუხედავად ბოლო 13 წლის განმავლობაში 2 მაიდანის გადატანის და ამ გზით ხელისუფლების ცვლილების, უკრაინაში არცერთხელ მომხდარა სისტემური ცვლილება. ვგულიხსმობ, რომ რევოლუციის გზით იცვლებოდა მმართველი ელიტა და არ იცვლებოდა სისტემა, რომელის მეშვეობითაც უნდა მომხდარიყო ქვეყნის მართვა. (4) ინსტიტუციურმა მსგავსებამ (არაფორმალურმა მმართველობამ) და „ბერკეტებისა და კავშირების“ არსებობამ რუსეთთან, ხელი შეუშალა უკრაინის დემოკრატიზაციის პროცესს. ტოლსტრაფის „გეითქიფერ ელიტის“ თეორიის განხილვით, სადოქტორო სემინარმა მიმოიხილა პოროშენკოს პრეზიდენტობის მიმდინარე წლები და შემოგვთავაზა ალტერნატიულ მოდელი- თუ რა ელემენტებზე დაყრდნობით შეუძლია უკრაინას პოროშენკოს პრეზიდენტობის პირობებში შექმნას დემოკრატიზაციის სასურველი სტანდარტისთვის საჭირო გარემო.

ბიბლიოგრაფია

Aslund, A. (2015, May 29). Re: How oligarchs are losing out [Web log comment]. Retrieved June 02, 2017, from https://www.kyivpost.com/article/opinion/op-ed/how-oligarchs-are-losing-out-390953.html

Beichelt, T., & Worschech, S. (2017). *Transnational Ukraine?: networks and ties that influence(d) contemporary Ukraine*. Stuttgart: Ibidem-Verlag.

Collier, D. (2011). Understanding Process Tracing. *PS: Political Science & Politics,44* (04), 823-830. doi:10.1017/s1049096511001429

Dragneva, R. Wolczuk K, (2016) *Between Dependence and Integration: Ukraine's Relations With Russia*, Europe-Asia Studies Volume 68,- Issue 4: The Ukrainian Crisis and the Post-Post-Cold War Europe

Ennis, S. (2014, March 12). Ukraine hits back at Russian TV onslaught. Retrieved June 25, 2017, from http://www.bbc.com/news/world-europe-26546083

European Commission Directorate-General for Trade. (n.d.). Retrieved June 25, 2017, from http://exporthelp.europa.eu/thdapp/display.htm;jsessionid=EF65BA2466FF0A94DC089EDA67F8A48A?page=st%2Fst_Statistics.html&docType=main&languageId=en

Feifer, G. (2010, February 25). Unloved But Unbowed, Ukraine's Viktor Yushchenko Leaves Office. Retrieved June 10, 2017, from https://www.rferl.org/a/1967436.html

Iryna Ulasiuk, (2013). *National Minorities and Migration in Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, Russia and Ukraine* (Rep.). CARIM-East Research Report 2013/33.

Jonavicius , L. (2009, January). WHY UKRAINE AND GEORGIA HAVE NOT USED THE "WINDOW OF ... Retrieved May 25, 2017, from https://www.bing.com/cr?IG=E399003F86E2420C928EB8DDF8BD3DD0&CID=3D9AB7A178846C9C1B9EBD0D79826D87&rd=1&h=tor-tJc59Hk9jcYLuFt5UW6egzJLFnoBTctMXBiR9Vc&v=1&r=https%3a%2f%2fwww.ucm.es%2fdata%2fcont%2fmedia%2fwww%2fpag-72510%2fUNISCI%2520DP%252019%2520-%2520JANOVICIUS.pdf&p=DevEx,5055.1

Konończuk, W, Cenuşa, D & Kakachia, K. (2017, May 24) *Oligarchs in Ukraine, Moldova and Georgia as key obstacles to reforms*, Understanding the EU's Association Agreements and Deep and Comprehensive Free Trade Areas with Ukraine, Moldova and Georgia. From: /www.3dcftas.eu

Levitsky, S., & Way, L. A. (2006). Linkage versus Leverage. Rethinking the International Dimension of Regime Change. *Comparative Politics, 38*(4), 379. doi:10.2307/20434008

Linz, J. J., and A. C. Stepan. 1996. *Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press, 66

Malygina, K. (2010). Ukraine as a neo-patrimonial state: understanding political change in Ukraine in 2005-2010. *Seer, 13*(1), 7-27. doi:10.5771/1435-2869-2010-1-7

Media and Mass Communication. (2006). *Encyclopaedia of Journalism and Mass Communication,* 33. Retrieved April 25, 2017.

Migration Policy Institute tabulation of data from the United Nations, Department of Economic and Social Affairs (2015). Trends in International Migrant Stock: Migrants by Destination and Origin (United Nations database, POP/DB/MIG/Stock/Rev.2015). Available here: http://www.un.org/en/development/desa/population/migration/data/estimates2/estimates15.shtm

Oliphant, R. (2017, May 16). Ukraine bans Russian social networks in sweeping expansion of sanctions . Retrieved June 15, 2017, from http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/16/ukraine-bans-russian-social-networks-sweeping-expansion-sanctions/

Olsen, J. P. (2002). The Many Faces of Europeanization. *JCMS: Journal of Common Market Studies, 40*(5), 921-952. doi:10.1111/1468-5965.00403

Oxford Academic, წვდომა 30 აპრილი, 2017.
http://www.oxfordjournals.org/our_journals/tropej/online/ce_ch14.pdf

Parliament approves Ukraine visa waiver | News | European Parliament. (n.d.). Retrieved June 25, 2017, from http://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20170329IPR69065/parliament-approves-ukraine-visa-waiver

Pavlínek, P. P. (2003). Alternative Theoretical Approaches to Post-Communist Transformations in Central and Eastern Europe. *Acta Slavica Iaponica,* 80-108. Retrieved April 10, 2017.

Peters, B. G. (2007). Forms of Informal Governance: Searching for Efficiency and Democracy. *The Role of Committees in the Policy-Process of the European Union*. doi:10.4337/9781847205322.00011

Russia, Ukraine hammer out historic strategic partnership. (n.d.). Retrieved June 25, 2017, from https://www.rt.com/politics/russia-ukraine-agreement-putin-yanukovich-113/

Theory clusters | Overview by cluster. (n.d.). Retrieved April 25, 2017, from https://www.utwente.nl/cw/theorieenoverzicht/Theory%20Clusters/Media,%20Culture%20and%20Society/gatekeeping/.

Tolstrup, J. (2013). When can external actors influence democratization? Leverage, linkages, and gatekeeper elites. *Democratization, 20*(4), 716-742. doi:10.1080/13510347.2012.666066
Tomkiw, L. (2016, January 13). Ukraine Ban On Russian Products Expands As Economic Trade War Continues. Retrieved June 20, 2017, from http://www.ibtimes.com/ukraine-ban-russian-products-expands-economic-trade-war-continues-226311

TOP 5 Ukrainian oligarchs and their impact on the economy. (2017, April 07). Retrieved June 25, 2017, from http://uacrisis.org/54793-top-5-ukrainian-oligarchs

Ukraine aligns with Moscow as EU summit fails, 2013, ნოემბერი, https://www.theguardian.com/world/2013/nov/29/ukraine-yanukovych-moscow-eu-summit,ნანახია 9 მაისი, 2017

Ukraine profile - Timeline. (2017, February 03). Retrieved June 7, 2017, from http://www.bbc.com/news/world-europe-18010123

Ukraine: A New Political Shake-Up and Its Implications [Web log post]. (2012, February 24). Retrieved from https://www.stratfor.com/analysis/ukraine-new-political-shake-and-its-implications

Ukraine: A New Political Shake-Up and Its Implications [Web log post]. (2012, February 24). Retrieved from https://www.stratfor.com/analysis/ukraine-new-political-shake-and-its-implications

Ukraine: Firmly planted in East and West - Editorials & Commentary - International Herald Tribune. (2006, July 10). Retrieved June 20, 2017, from http://www.nytimes.com/2006/07/10/opinion/10iht-edpin.2165683.html

Williams, C. C., Round, J., & Rodgers, P. (2014). *The role of informal economies in the Post-Soviet World: the end of transition?* London: Routledge

World Integrated Trade Solution, http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Compare/Country/UKR/Indicator/MPRT-TRD-VL/partner/WLD/product/Total/region/ECS/show/line

WTO Statistics on Ukraine, (September 2015). Retrieved May 29, 2017, from http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Country=UA,
ევროკომისია, ევროკავშირის უკრაინასთან ვაჭრობა, მაისი 3, 2017 http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113459.pdf ნანახია, 30 მაისი, 2017

მსოფლიოს ბანკი, 2010, http://data.worldbank.org/country/ukraine
უკრაინამ ევროინტეგრაციაზე უარი რუსეთის ზეწოლის გამო თქვა. (2013, November 22). Retrieved May 7, 2017

უკრაინის ეროვნული სტატისტიკა,ნანახია 10 ივნისი, 2017 ხელმისაწვდომია,
http://www.ukrstat.gov.ua/

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტის

ნუცა ფანგანის სასემინარე ნაშრომი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი; ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

იდეოლოგიური კრიტიციზმი მედიანალიზში

შესავალი

შეტყობინების შექმნა, ანუ ტექსტის სახით მისი ფორმირება გარკვეული შემეცნებით, ორგანიზაციულ და შემოქმედებით საქმიანობასთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, ეს იმ მასალის მოპოვებაა, რომელიც შეტყობინების შინაარსში უნდა მოექცეს და ამისათვის მასმედიის მუშაკები იყენებენ გამოკითხვის, დაკვირვების, დოკუმენტის ანალიზის და სხვა მეთოდებს. მასმედიის შეტყობინებაში თავს იყრის ე.წ. ობიექტური და სუბიექტური რიგის ფაქტორები. ობიექტური რიგისაა ის ელემენტები, რომლებიც ობიექტური სინამდვილის მოვლენებში, ფაქტებსა და მათ კონტექსტებში არსებობს, რაც შეეხება სუბიექტური რიგის ელემენტებს, ისინი თვით ნაწარმოების ავტორის ცოდნაში, რწმენასა და მის სოციალურ გარემოში იღებს სათავეს.

მედიური ტექსტის/შეტყობინების ანალიზისას ამერიკელი კომუნიკაციათმცოდნე არტურ ასა ბერგერი განასხვავებს ოთხ დოქტრინას: **1. სემიოლოგიური ანალიზი; 2 იდეოლოგიური ანალიზი; 3 სოციოლოგიური ანალიზი; 4ფსიქოანალიზი.**იმავე არტურ ასა ბერგერის აზრით, ეს ანალიტიკური მიდგომები სუფთა სახით თითქმის არ გვხვდება. იდეოლოგიური მიდგომა ხშირად გვევლინება, როგორც დომინანტური მიდგომა, რომელიც დამატებით ინსტრუმენტად იყენებს სემიოლოგიურ ანალიზს და სოციოლოგიურ ანალიზს. ასევე, საკმაოდ ხშირია ფსიქოანალიზის დომინანტობის პირობებში ინსტრუმენტად იქნას გამოყენებული სემიოლოგიური ანალიზი, ანუ ტექსტში მოცემული და კოდირებული ნიშნების ინტერპრეტაცია მოხდეს ფსიქოანალიტიკური მიდგომის პარადიგამში.

ჩემი სემინარის თემად ავირჩიე იდეოლოგიური კრიტიციზმი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომა მედიური ტექსტის კვლევისას. გარდა გავრცელებულობისა, იდეოლოგიური კრიტიციზმი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ იგი თავის თავში მოიცავს მრავალ ურთიერთგადამკვეთ იდეოლოგიურ ჩარჩოს, მიდგომას და კულტურას.

იდეოლოგიური კრიტიციზმი, როგორც წერს არტურ ასა ბერგერი თავის წიგნში Media Analysis Techniques (California University Press, 2013)პრაქტიკულ მედიაკვლევებში ვლინდება რამდენიმე სახით: **1.მარქსისტული ანალიზით,**

2. ფემინისტური ანალიზით, 3. იდენტობის ანალიზითა და 4.პოლიტიკური კულტურების ანალიზს.

მარქსისტული ანალიზი

მეცნიერული სიზუსტისთვის აუცილებელია თქმა იმისა, რომ მკვლევრებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვავონ მარქსიზმი, როგორც მსოფლმხედველობრივი დოქტრინა, და ე.წ. ვულგარული მარქსიზმი - ანუ ის, რადაც მაქრსიზმი პრაქტიკულმა პოლიტიკამ გადააქცია საბჭოთა კავშირში, კუბასა თუ ჩრდილოეთ კორეაში. აქ მე მარქსიზმს განვიხილავ როგორც გერმანული ფილოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო პარადიგმას, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის აზროვნებაზე.

შესაძლებელია, ითქვას, რომ მარქსიზმმა, როგორც სოციალურ გარდაქმნათა თეორიამ, მარცხი განიცადა, მაგრამ მის შეხედულებებსა თუ პოსტულატებს თანამედროვე საზოგადოებაში მასმედიის ფუნქციონირების შესახებ დღესაც ბევრი მიმდევარი ჰყავს. უშუალოდ მარქსისტული თეორია ემყარება დებულებას, რომლის თანახმადაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქციის წარმოების წესი სოციალურ კონფლიქტზეა დამყარებული. კომუნიკაციის საშუალებები და კულტურა ასეთ საზოგადოებაში ასახავს იმ ადამიანთა ღირებულებას და ნორმებს, რომლებიც წარმოების საშუალებებს ფლობენ. ამ საშუალებათა ფლობა კი იგივეა , რაც ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალა. ამიტომ გაბატონებული კლასიდან მომდინარეობს გაბატონებული იდეოლოგიაც, რომლითაც ხემძღვანელობს მასმედია. იგი

ავრცელებს და განამტკიცებს ამ იდეოლოგიას და კლასთა შორის მოჩვენებითი თანხმობის სიტუაციას ქმნის.

ნეომარქსისტების აზრით, მასმედიის ინდუსტრია კარგად მოერგო კაპიტალისტური წარმოების წესს და მათი მეპატრონეები ნაციონალური და საერთაშორისო მაშტაბის მწარმოებლებად იქცნენ. იგი ამტკიცებს ისეთ იდეებსა და მსოფლხედვას, რომელიც გამორიცხავს მმართველი ფენების შეხედულებათა ალტელნატიული აზრის გავრცელებას, რითაც ხელს უშლის ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ფორმირებასა და სოციალურ ცვლილებებს. ნეომარქსისტები ამტკიცებენ,რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მმართველი ფენების სასარგებლოდ ერთდროულად მოქმედებენ „სახელმწიფო იდეოლოგიური აპარატი“ მაგ. მასმედია და სადამსჯელო სახელმწიფო აპარატი, მაგ. პოლიცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ძალადობას. იქმნება ჰეგემონიური კულტურაც, რომელიც მსჭვალავს მთელ საზოგადოებას და შეგნებულად ამკვიდრებს გაბატონებული ელიტის იდეოლოგიას. დაბალ ფენებს ამგვარად ორგანიზებულ საზოგადოებაში უკმაყოფილდებათ „ყალბი მოთხოვნილებები“ მაგ. ხელფასი, გართობა და ექმნებათ ყაბი ცნობიერება, რომელიც არსებული სოციალური სისტემის სასურველობის ილუზიას ქმნის. თავის მხრივ, „ყალბი ცნობიერება“ შლის საზრვრებს სხვადასხვა ფენებს შორის და ყალიბდება ერთგანზომილებიანი იდეალური საზოგადოება. ადამიანთა ცნობიერებით მანიპულაციის ამ საყოველთაო პროცესში, ნეომარქსისტების აზრით, მთავარ

როლს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებეი ასრულებენ. („ინფორმაციული საზოგადოება“ ე. იბერი. გვ. 49,50.)

მარქსისტული თეორია ეფუძნება დაუსრულებელ კლასობრივ კონფლიქტს _ დაუსრულებელს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. საზოგადოებისა, რომელშიც კლასები გაქრებიან და კლასთა გაქრობასთან ერთად გაქრება მათ შორის კონფლიქტი.

ორი კლასი, რომელთაც კარლ მარქსი თავის ნაშრომში ეხება, არიან: ერთის მხრივ, ბურჟუაზია, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს, ფაბრიკა-ქარხნებს, რომელნიც ქმნის მმართველ კლასს და მეორე მხრივ, პროლეტარიატი, მუშათა უზარმაზარი მასა, რომელსაც ბურჟუაზია უწევს ექსპლუატაციას და რომლის მდგომარეობაც ყოველდღიურად უარესდება.

მარქსისტული თეორიის მიხედვით, ბურჟუაზია კლასობრივ კონფქლიქტს, ამ კონფლიქტის გამწვავებას იმით არიდებს თავს, რომ პროლეტარიატს უნერგავს „მმართველი კლასის იდეებს“, როგორიც არის , მაგალითად „self-made man”-ის იდეოლოგია, ასევე იდეას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობა, კლასთა ქონებრივი დისპოზიცია არის „ბუნებრივი“ და არა „ისტორიული“. თუკი სოციალური განლაგება, საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია ბუნებით არის მოცემული, იგი არ შეიძლება მოდიფიცირებული იქნას, აქედან გამომდინარე - მოცემული წესრიგი ადამიანმა უნდა მიიღოს როგორც „გარდაუვალი“, ღვთისგან თუ ბუნებისგან დადგენილი და ასე შემდეგ. მარქსისტები კი ამტკიცებენ, რომ მოცემულ

საზოგადოებაში მოცემულ დროს არსებული სოციალური განლაგება ისტორიულია, ანუ ადამიანის მიერ არის შექმნილი და ამდენად, - მისი შეცვლა ადამიანს შეუძლია.

ერთ-ერთი მიდგომა, რომელსაც მართველი კლასი იყენებს, მდგომარეობს იმაში, რომ იგი არწმუნებს ყველას, რომ ამ საზოგადოებაში არავითარი კლასი არ არსებობს ან კლასი რაღაცს შემთხვევითსა და არაარსებითს წარმოადგენს. შეერთებულ შტატებში გაბატონებულია ამერიკული საზოგადოების მითი, როგორც „უკლასო“ საზოგადოებისა. ეს მითი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ამერიკულ საზოგადოებაში მართლაც არ არსებობდა მემკვიდრეობითი არისტოკრატია და შედარებით მაღალი კლასის წარმომადგენლები ყოველთვის მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდნენ დაბალი კლასის წარმომადგენლებთან. მარქსისტებისათვის ის გარემოება, რომ უმსხვილესი კორპორაციის პრეზიდენტი დამლაგებლის ან მეკარის სახელით მიმართავს, ნიშნავს რეალურად არსებული სოციალური ურთიერთობების შენიღბვას, კამუფლაჟს.

მარქსისტებისათვის ამერიკული მედია საშუალებაა იმისათვის, რომ ადამიანების ყურადღება მოადუნოს, გზას ააცდინოს, ჩამოაშოროს რეალობას _ რასიზმს, სექსიზმს, სიღატაკეს, დაუბინდოს მათ გონება მმართველი კლასისთვის სასურველი იდეებით. რიგ შემთხვევებში, მედია საზოგადოებას სთავაზობს ისეთ გმირებს, რომლებიც გამოხატავენ ბურჟუაზიულ, მმართველი კლასისათვის მისაღებ ხაზს, გმირებს, რომლებსაც საზოგადოება მიჰყვება,

მათით ინტერესდება წიგნებში. ზოგადად რომ ვთქვათ, მედია ან ემსახურება კლასობრივ კონფლიქტის შენიღბვას ან გვევლინება მმართველი კლასის აპოლოგეტად, რათა არ დაუშვას არსებული წესწყობილების შეცვლა.

მარქსისტებისთვის კი კლასების არსებობა ფაქტია, და დაპირისპირებული კლასების წევრები იყოფიან ორ ურთიერთდაპირისპირებულ, ერთმანეთის მოძულე და ურთიერთგანადგურებისკენ მიმართულ ბანაკად. მარქსი წერდა, რომ „საზოგადოება სულ უფრო და უფრო მკვეთრად იხლიჩება ორ დიდ ბანაკად, ორ დიდ კლასად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად“. ამ დიალექტიკის გადაჭრა მარქსისტებისთვის გარდაუვალია, ადრე თუ გვიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მმართველი კლასის ხელში არსებული მედია ახერხებს კლასობრივი კონფლიქტის თავიდან არიდებას, დროებით - ასე იტყოდნენ მარქსისტები.

ფრანგმა მარქსისტმა ანრი ლეფებვრმა, კლასობრივი კონფლიქტისა და მმართველი კლასის მანიპულაციური ტაქტიკების შესწავლისას, შექმნა კონცეფცია იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები „ტერორის“ მდგომარეობაში ცხოვრობენ. იგი შემდეგნაირად ხსნის თავის ამ მიგნებას. პირველი - ნებისმიერი საზოგადოება, რომელსაც რადიკალური კლასობრივი განსხვავებები ახასიათებს, რომელსაც ერთი მუჭა პრივილიგირებული ადამიანები მართავენ, ხოლო უმრავლესობა სიღატაკეში ცხოვრობს, იძულებულია, საკუთარი მდგომარეობა შეინარჩუნოს მასების იძულებითა და დარწმუნებით. მეორე, საზოგადოება ამგვარი კლასობრივი

სტრატიფიკაციით იძულებულია იყოს უკიდურესად რეპრესიული და ამ მიზნით გამოიმუშაოს რეპრესიის შენიღბვის დახვეწილი მეთოდები და ის ადამიანები, რომლებიც არაფერს ეჭვობენ, აქციოს ან თვითრეპრესიის ან სხვათა რეპრესიის ინსტრუმენტად. საბოლოოდ, ჩვენ მივდივართ „ტერორისტულ საზოგადოებამდე“, რომელშიც „თანაარსებობენ და ერთმანეთს შერწყმიან იძულება და თავისუფლების ილუზია; ...ტერორისტულ საზოგადოებაში ტერორი ყოველთვის გაფანტულია, ძალადობა ყოველთვის ლატენტურია (ფარულია), წნეხი ყოველი მხრიდან ვლინდება საზოგადოების წევრებზე, ადამიანებს მხოლოდ ზეადამიანური ძალისხმევით შეუძლიათ ამ წნეხის არიდება და მისი სიმძიმის გადატანა; ... საზოგადოების თითოეული წევრი ტერორისტი ხდება, რადგანაც თითოეულს სურს იყოს ძალაუფლებაში.

ეს მტკიცება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები გამუდმებული, უწყვეტი ტერორის მდგომარეობაში ცხოვრობენ, ძალიან ბევრ მკვლევარმა ზედმეტად ექსტრემისტულად, ანუ უკიდურესად გაზვიადებულად აღიქვეს. თუმცა სწორედ ამ მტკიცებამ ახსნა, რატომ განიცდიან ადამიანები გამუდმებულ შფოთს თავისი დღევანდელობისა თუ მომავლის გამო.

დღევანდელი პერსპექტივიდან შევხედოთ ამ მტკიცებას. ლეფებვრმა ეს სიტყვები იმ დროს დაწერა, როცა მარქსიზმი მორალურ უპირატესობას ფლობდა ყველა სხვა იდეოლოგიასთან შედარებით. 70-იანი წლებიდან, ფილოსოფიური და იდეოლოგიური მიდგომების ნაცვლად, საზოგადოებაში გაბატონდა ე.წ. სოციოლოგიური მიდგომები. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სოციოლოგიურმა

სკოლებმა უარყვეს საზოგადოების მაქრსისტული სტრატიფიკაცია, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა აბსტრაჰირების ის ხარისხი, რომელიც ახასიათებდა მარქსიზმს, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა კლასებად დაყოფის მაქრსისტული კრიტერიუმები. სოციოლოგებმა სოციალური და კულტურული კაპიტალის კუთხით სეხედეს თითოეულ კლასს და აღმოაჩინეს, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატშიც არსებობს სხვადასხვა გრადაცია: მაგალითად, რას წარმოადგენს საშუალო კლასი? ვინ არიან ელიტები? რომელ კლასს განეკუთვნებიან კვალიფიცირებული მუშები, რომელთა შემოსავალი უტოლდება საშუალო კლასის შემოსავალს? ვინ არის საბჭოთა ინტელიგენცია ან ნომენკლატურა? იქნებ მარქსიზმი წმინდა წყლის ევროპული (გერმანული) ხედვაა?

გზა, რომლითაც ლეფებვრი „ტერორიზებულ საზოგადოებამდე“ მივიდა, გადიოდა მარქსის მიერ დამკვიდრებულ ტერმინზე - „გაუცხოება“. ეს ტერმინი აღნიშნავს სეპარაციას, გამოყოფას და დისტანცირებას. იგი მომდინარეობს სიტყვიდან alien, რომელიც ნიშნავს „უცხოს“იმ საზოგადოებაში, ერთობაში, რომელთანაც არავითარი კავშირი და ბმა არ გააჩნია“; იგი უცხოა სხვებისთვის, იმავე საზოგადოების წევრებისთვის. ეს ცნება ერთ-ერთი ცენტრალურია მარქსიზმის გასაგებად, რომელიც გულისხმობს გაუცხოებას კაპიტალისტურ-ეკონომიკური სისტემისაგან. კაპიტალიზმს შეუძლია აწარმოოს მატერიალური სიკეთე ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის, მაგრამ იგი იმავდროულად შობს გაუცხოებას და ამ გაუცხოებით ზიანდება ყველა კლასი, იმისდა მიუხედავად აცნობიერებს ამას ის თუ არა. გაუცხოება, როგორც ფენომენი უკავშირდება

ცნობიერებას. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გაუცხოების მდგომარეობაში, იტანჯებიან „ ცრუ ცნობიერებით“. იმ ცნობიერებით, რომელსაც აყალიბებს ის იდეოლოგია, რომელიც გაბატონებულია მათ აზროვნებაში. თუმცა შესაძლებელია, არსებობდეს არაცნობიერი გაუცხოებაც, როცა ადამიანი არ აღიარებს რომ გაუცხოებულია.

ამრიგად ადამიანები გაუცხოვდებიან თავიანთი სამუშაოსაგან, მეგობრებისაგან, საკუთარი თავისგან. ადამიანის სამუშაო, რომელიც უმნიშვნელოვანესია თვითიდენტიფიკაციისთვისა და თვითობის განცდის შესაქმნელად, მისგან ცალკევდება და დესტრუქციულ, დამანგრეველ ძალად იქცევა. მუშები საკუთარ თავებს ობიექტებად აღიქვამენ, იმ ობიექტებად, რომელზეც ზემოქმედებენ.

ამ სიტუაციაში მასმედიის გადამწყვეტი როლი ეკისრება. მან უნდა შექმნას მომენტალური, მყისიერი კმაყოფილება გაუცხოებულ სულებს, მან უნდა გამოიყვანოს გაუცხოებული ადამიანი გაჭირვების შეგრძნებიდან, ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორიც არის რეკლამა, უნდა გაუმძაფროს სურვილი ამა თუ იმ ნივთისა და სიკეთის დაუფლებისა, რითაც კიდევ უფრომეტ ადამიანს უბიძგებს უფრო მეტი მუშაობისაკენ, მაშინ სულ უფრო მეტი ადამიანი გრძნობს გაუცხოების განცდას.

ყველაფრის დასაქონლება აყალიბებს მომხმარებლურ საზოგადოებას, რეკლამა ამ საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი ინსტრუმენტია. მარქსისტული შეხედულებით, რეკლამა შფოთს ზრდის, რეკლამა აიძულებს ადამიანს,

დაიჯეროს, რომ მას მართლა სჭირდება რეკლამირებული პროდუქტი, თუნდაც სინამდვილეში არც კი არსებობდეს ამ პროდუქტისა თუ მომსახურების ობიექტური საჭიროება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად ფუნქციას საზოგადოების პოლიტიზაცია, საზოგადოებრივ აზრზე აპელირება, მოვლენების მრავალწახნაგოვანი გაშუქება, ღირებულებების ჩამოყალიბება და სხვა, წარმოადგენს. მას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, იყოს ობიექტური ან არაობიექტური.

იდენტობითი პოლიტიკა - ფემინიზმი, როგორც იდენტობითი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაირსახეობა

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ მაქრსისტული აზროვნება და მისეული პოლიტიკური ფილოსოფია ფართოდ არ გავრცელებულა ამერიკულ საზოგადოებაში, ამერიკულ და სხვა ლიბერალურ მეცნიერებებში, მარქსისტულმა მიდგომებმა დიდი გავლენა იქონიეს ამერიკულ პოლიტიკურ კულტურაზე. ფაქტი ის არის, რომ მაქრსისტული დოქტრინის უარყოფამ ან მისმა ინტერპრეტაციამ ამერიკელი მეცნიერების მიერ საფუძველი დაუდო ისეთი ანალიტიკურ-იდეოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბებას, როგორებიც არის: იდენტობითი პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურების თეორია. აზროვნების ეს ტიპი, როგორც მიიჩნევს კარლ მანჰეიმი (1936), ძალიან ახლოს დგას უტოპიურ, ან მაქრსისტულ-უტოპიურ აზროვნებასთან. ის, რითაც ეს იდეოლოგიური ხედვები განსხვავდება მარქსიზმისგან, არის აბსტრაჰირების

შედარებით დაბალი ხარისხი, როცა საზოგადოება განიხილება არა როგორც ორკლასიანი პარადიგმა, არამედ როგორც რამდენიმე, მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფისგან შემდგარი ერთობა.

იდენტობის ანალიზი ეფუძნება მკაფიო იდენტობითი საზღვრებით შემოფარგლული ჯგუფების შესწავლას. ჯგუფებს გააჩნიათ როგორც ანტროპოლოგიური, ისე სოციოლოგიური საფუძველი: მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც იქმნებიან ეთნიკური ან რასობრივი ნიშნით, ემყარებიან ანტროპოლოგიურ საფუძველს, ხოლო ჯგუფები, რომელთა შექმნაც განპირობებულია იდენტობის სოციოეტალური კატეგორიებით, ემყარებიან სოციოლოგიურ წანამძღვრებს - ფემინისტური ჯგუფები, ლგბტ თემიდან წამოსული ჯგუფები, კონტრკულტურაზე დაფუძნებული ჯგუფები და ასე შემდეგ.

იდეოლოგიური კრიტიციზმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ფემინისტური კრიტიციზმი. ფემინისტური კრიტიციზმი შეისწავლის გენდერის სოციალურ კონსტრუირებას საზოგადოებაში. ფემინისტური კრიტიციზმი მედიაში ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

- *რა როლი აქვთ განკუთვნილი ქალებს მედიურ ტექსტებში? რამდენად შეესაბამება ეს მედიურად გაშუალებული და კულტურულად კონსტრუირებული როლი ქალების რეალურ მდგომარეობას როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ბიზნეს სამყაროში?*

- *გვხდება თუ არა მედიაში ქალის ექსპლუატაცია, როგორც მამაკცის სექსუალური ჟინისა და გარყვნილების ობიექტისა (ე.წ. „სექსპლუატაცია“)?*
- *რას ნიშნავს, იყო ქალი ანდროცენტრულ კულტურაში (ანუ კულტურაში, რომელშიც კაცი დომინირებს)?*
- *ამყარებს თუ არა მედია ანდროცენტრული კულტურის მიერ შექმნილ მითს, რომ ქალების არაუპირატესი მდგომარეობა ბიზნესში და სამუშაო ადგილას კომპენსირდება მათი უპირატესობით ყოველდღიურ, ყოფით და ოჯახურ ცხოვრებაში?*

ფემინისტურ კვლევებში, როგორც უთითებენ ლესლი სტივზი და მერილინ კრაფტონ სმიტი (H. Leslie Steeves and Marilyn Crafton Smith; Class and Gender in Prime-Time Television Entertainment: Observation From a Socialist Feminist Perspective“ (1987)), შეინიშნება განსხვავებული მიდგომები ლიბერალ ფემინისტებსა და სოციალისტ (მარქსისტ) ფემინისტებს შორის. სოციალისტი ფემინისტები, ლიბერალი თანამოაზრეებისგან განსხვავებით, აღიარებენ, რომ სწორედ კლასობრივი სისტემა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს, მთლიანად არის პასუხისმგებელი ქალთა ჩაგვრის გამო. თუმცა იმავდროულად, სოციალისტი ფემინისტებიცა და ლიბერალი ფემინისტებიც ეთანხმებიან ე.წ. „რადიკალ ფემინსტებს“, რომ პატრიარქატისთვის დამხასიათებელი გენდერულ ჩაგვრა კაპიტალიზმამდე ბევრად ადრე არსებობდა.

როგორ ვხედავთ, ფემინისტური კრიტიციზმი, როგორც იდენტობითი კრიტიციზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, მჭიდრო კავშირშია მარქსისტულ იდეოლოგიურ კრიტიციზმთან. თუმცა, იდენტობითი კულტურებისა და იდენტობითი პოლიტიკის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ფემინიზმი სხვა იდენტობით პოლიტიკებზე ნაკლებად ექვემდებარება ერთიან ხედვას. ამის დასტურად მათ მოჰყავთ ფემინისტური მოძრაობის ის ფრთა, რომელიც კაცების ბატონობის, დომინაციას პრობლემას არა ისტორიაში, არა სოციალურ ურთიერთობებში, არა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, არამედ კაცის სხეულში, მათ გენიტალიებში ხედავს. ფალოცენტრული თეორიის თანახმად, საზოგადოებაში არსებული ინსტიტუციები, როლი, რომელსაც კაცები ასრულებენ საზოგადოებაში, ქალების რეპრეზენტაცია მედიასა თუ ხელოვნებაში განპირობებულია კაცის სექსუალური ბუნებით, მისი ფალოსის ძალაუფლების ძალით. ამ ფრთის წარმომადგენელი ფემინისტები ასევე საუბრობენ ე.წ. „კაცის მზერის“ შესახებ - იმ სოციალური თუ კულტურული უპირატესობის შესახებ, როცა კაცს შეუძლია, ღიად შეხედოს ქალს, როგორც ვნების ობიექტს. „კაცის მზერა“ არ არის მხოლოდ ფიზიოლოგიური აქტი, არამედ კაცის თვალით დანახული ქალი მედიაშიც აისახება როგორც ქალის „ნამდვილი სახე“. რადიკალი ფემინისტები აპროტესტებენ იმ გარემოებას, რომ ძალიან ბევრი ქალი კრიტიკის გარეშე იღებს თავის საკუთარ სახეს, კაცის თვალით დანახულს, და ცდილობს დაემსგავსოს ანდროცენტრული მედიითა თუ ხელოვნებით შექმნილ ქალს.

ფემინისტებისთვის მედია ის ინსტრუმენტია, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ჰუმანისტური პრინციპების გავრცელება, რათა დაცული იქნას გენდერული პარიტეტი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. მასმედიამ ხელი უნდა შეუწყოს ქალის ახალი ცხოვრებისეული მოდელის პროპაგანდას, უზრუნველყოს იმ ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც განაპირობებს ქალის სოციალური სტატუსის ცვლილებას, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა გამოცდილების გაზიარებას.

პოლიტიკური კულტურა, მედია და კომუნიკაცია

ოთხი პოლიტიკური კულტურის თეორია, რომელიც ამერიკელ პოლიტოლოგს აარონ ვილდავსკის ეკუთვნის, წარმოადგენს ბრიტანელი სოციალური ანთროპოლოგის მერი დუგლასის grid-group theory-ს გაგრძელებას. მერი დუგლასის აზრით, ინდივიდუმის სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის ფარგლები შეიძლება ადეკვატურად გამოიხატოს სოციალობის ორი განზომილებით: ჯგუფურით და ე.წ. წესებისა და ვალდებულებების მორჩილებითი ქცევით (grid). ამ შემთხვევაში ცნება „ჯგუფური“ აღნიშნავს სოციალიზაციის იმ ფარგლებს, იმ მოცულობას, რომლითაც ინდივიდუუმი ჩართულია (ინკორპორირებულია) საზღვრებით შემოფარგლულ ერთეულში. რაც უფრო მეტია ჩართულობა, მით მეტია ლაბათობა იმისა, რომ ინდივიდუუმის გადაწყვეტილება ემორჩილება ჯგუფის არჩევანს. Grid (სიტყვა-სიტყვით: ცხაური) აღნიშნავს იმ ხარისხს, რომლითაც ინდივიდუუმის ცხოვრებას განსაზღვრავს გარედან თავს მოხვეული ვალდებულებები. რაც

მეტად ექვემდებარება, ემორჩილება ინდივიდუუმი გარედან თავს მოხვეულ წესებსა და ვალდებულებებს, მით ნაკლებად არის ინდივიდუუმი გახსნილი თავისი საკუთარი აზრის საზოგადოების წინაშე წარსადგენად ან მასზე სამსჯელოდ.

იმ დროს, როცა მერი დუგლასი „ცხაურ-ჯგუფის თეორიას“ ქმნიდა, აარონ ვილდავსკი შეისწავლიდა ინტერესთა ჯგუფებს ამერიკულ საზოგადოებაში. ემპირიული მონაცემები, ინტერესთა ჯგუფების შექმნის ისტორიები მას ვერ აძლევდა საკმარის საფუძველს, რათა გამოეკვეთა ჯგუფის ან განსაზღვრული პოლიტიკური კულტურის შექმნის წინაპირობები ან მექანიზმები. ვილდავსკი იდგა უკვე ჩამოყალიბებული, კონკრეტულ აღწერას დაქვემდებარებული, კონკრეტული მახასიათებლების მქონე ჯგუფების წინაშე, თუმცა არ ჩანდა ის სოციოლოგიური წინაპირობები, რომლებმაც ამა თუ იმ ჯგუფის ჩამოყალიბება სწორედ ამ წესებითა და ამ ფარგლებით განსაზღვრეს.

მერი დუგლასის ნაშრომმა, ფაქტობრივად, მეთოდოლოგია შესთავაზა ვილდავსკის. ვილდავსკიმ იდეური სუბსტანციების ძიება დუგლასის მიერ შემოთავაზებული ორი ღერძის გადაკვეთაზე დაიწყო: (1) **ჯგუფის საზღვრების სისუსტე, სიძლიერე და (2) გარედან თავს მოხვეული მოთხოვნების, ვალდებულებების,წესების სიმრავლე ან სიმცირე.**

1982 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Conditions for a Pluralist Democracy, or Cultural Pluralism means More Than One Political Culture in a Country” ვილდავსკიმ გამოჰყო პოლიტიკური კულტურის ოთხი ტიპი:

1. **ფატალიზმი**
2. **იერარქიული ელიტიზმი**
3. **ინდივიდუალიზმი**
4. **ეგალიტარიზმი**

ფატალიზმი - ესაა მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც, სამყაროს ყოველგვარი ხდომილება და ადამიანის მოქმედება წინასწარ არის მკაცრად განსაზღვრული, ყველაფერი გარდაუვალია, რადგან გამორიცხულია შემთხვევითობა, შესაძლებლობა, ალბათობა და თავისუფლება. ვილდავსკის აზრით, ფატალიზმი, როგორც პოლიტიკური კულტურა, ხასიათდება ჯგუფის საზღვრების *სისუსტით* და *მრავალი* ვალდებულებითა და წესით.

იერარქიული ელიტიზმი - ესაა კონცეფცია , რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მართვა უნდა იყოს და პრაქტიკულად არის კიდეც „პოლიტიკური კლასის“ ანუ პოლიტიკური მართვის ხელოვნებაში კომპეტენტური ხალხის საქმე. ელიტისტური კონცეფციები ზოგიერთ შემთხვევაში ეჭქვეშ აყენებს ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლის მართლზომიერებას და მიზანშეწონილობას, ხოლო ზოგჯერ კი პრაქტიკულ რეალობას. ელიტიზმი ასევე შესაძლებელია გაგებული იქნას როგორც სწრაფვა კარიერული წინსვლისკენ, როგორც სოციალრი მობილობა ორივე მიართულებით. კარიერული წინსვლის საქმეში მნიშვნელოვანი კომპონენტია მასმედია. მისი ესა თუ ის არხი მუდმივი ინსტრუმენტია იმ ადამიანის ხელში,ვინც ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე ადის.ვილდავსკის ხედვით,

იერარქიული ელიტიზმი გამოირჩევა ჯგუფის საზღვრების სიმტკიცით და მრავალრიცხოვანი წესების დავის ვალდებულებით.

ინდივიდუალიზმი არის ერთდროულად მორალური, პოლიტიკური და სოციალური მსოფლმხედველობა, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ თავისუფლებას, პიროვნების პირველხარისხოვან მნიშვნელობას, პირად დამოკიდებულებას და აღიარებს „საკუთარი თავის იმედად ყოფნის“ პრინციპს. ინდივიდუალიზმი უპირისპირებს საკუთარ თავის, პიროვნების ჩახშობს იდეას. განსაკუთრებით თუ ეს ჩახშობა განხორციელებულია საზოგადოების ან სახელმწიფოს მიერ. აარონ ვილდავსკის კლასიფიკაციაში ინდივიდუალიზმი, როგორც პოლიტიკური კულტურა ხასიათდება ჯგუფის სუსტი საზღვრებითა და მცირერიცხოვანი წესების დაცვის ვალდებულებით.

ეგალიტარიზმი არის სოციალური თანასწორობის კონცეფცია. მასში უმთავრესია უნარებისა და მოთხოვნილებების , შეტანილი წვლილისა და ანაზრაურების თანაფარდობის პრობლემა. ეგალიტარიზმი მოიაზრებს ისეთ საზოგადოებას, სადაც არსებული დიფერენციაციის პირობებში განაწილების ნორმა, აგრეთვე სოციალური სტატუსის მიღწევის შესაძლებლობა საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარია. როგორც პოლიტიკური კულტურა, ეგალიტარიზმი გამოირჩევა ჯგუფის საზღვრების სიმტკიცით და მცირერიცხოვანი წესების დაცვის ვალდებულებით.

ოთხი პოლიტიკური კულტურა მედიაში

არტურ ასა ბერგერი, აანალიზებდა რა მედიასა და პოპულარულ კულტურას - კონკრეტულ ფილმებზე, სატელევიზიო შოუებსა და სარეკლამო პროდუქციაზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ განსხვავებული იდეოლოგიური პოზიციის მატარებელი ადამიანები სხვადასხვა რამეებს ხედავენ მედიურ ტექსტებში, რაც ძალიან ართულებს მედიის თვისობრივ კვლევას. თუმცა, აღნიშნავდა ბერგერი, არსებობს იმგვარი მედიური ნიმუშები, რომელთა ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ იდეოლოგიური კრიტიციზმის პრიზმაშია შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური სისტემები დიდად განაპირობებენ მედიური სისტემის ბუნებას. დღევანდელი დასავლური პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს იერარქიული ელიტიზმისა და ინდივიდუალიზმის ნაზავს. ის მედიური სისტემები, რომლებიც განვითარების ლიბერალურ მოდელს ირჩევენ, ასევე ხდებიან ამ პოლიტიკური კულტურის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი.

ქართულ მედიურ კულტურაში ეს ტენდენცია ყველაზე მკაფიოდ რეალითი შოუების მაგალითზე ჩანდა. სიუჟეტური ხაზის მიხედვით, ქართულ რეალითი შოუებში შემდეგი სურათი იკვეთება:

"უკანასკნელი გმირი - „ოდისეადას" ტიპის რეალითი-შოუ; მისი გამარჯვებული უკაცრიელი, ღმერთისა და კაცისგან მიტოვებული კუნძულიდან დაფნის გვირგვინით თავდამშვენებული ბრუნდება - როგორც არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ბუნებისა და სტიქიის მომთვინიერებელი. შოუს იდეის მიხედვით, ეს

უნდა იყოს განსაკუთრებული თვისებების მატარებელი ადამიანი, წარმოუდგენლად გამძლე, ახალ გარემოსთან ადაპტაციის გამორჩეული უნარით: აბა ვინ უფრო მალე დაივიწყებს ცივილიზაციას? გამარჯვებული სხვებზე უფრო სწრაფად იივიწყებს აზროვნებას საზოგადოებრივი მორალით (წინააღმდეგ შემთხვევაში - დაიღუპები, წააგებ); იგი სხვებზე უფრო სწრაფად გადაერთვება „თავის გადარჩენის“ რეჟიმზე ე.წ. „კულტურულ ჯუნგლებში.

„ამტანი“, „მდიდრები და ღარიბები“, „ყაზარმა“, „ჯეობარი“ - სიუჟეტურად რეალითი შოუების ისეთ ტიპს მიეკეუთვნებიან, რომელიც დრამატურგიულად თამაშის კონკრეტულ წესებზეა აწყობილი. თავად რეალითი შოუში მონაწილეობს ეგრეთ წოდებული მოდერატორი, რომელიც მსაჯის, მენტორი, შემფასებლის ფუნქციას ასრულებს, რომელიც ადგენს წესებს, ამოწმებს მათ შესრულებას, გამოთქვამს თავის აზრს და ამით დამატებით სიმწვავეს ანიჭებს შოუს მსვლელობას. მოდერატორი - შოუს დრამატურგიის კატალიზატორია, რომელიც აჩქარებს ან ანელებს სანახაობის განვითარებას. ამგვარი რეალითი შოუების გამარჯვებული ხდება ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ გამძლეა, არამედ ადამიანი, რომელიც ალღოს უღებს განსაზღვრულ სისტემას, სოციალურ ურთიერთობათა იერარქიას და ისწრაფვის ამ იერარქიული ბარიერების დაძლევისკენ.

„დასი“, „კანდიდატი“, „შეგირდი“, „იდეა, ფული და ერთი შანსი“ - ეს არის პროფესიული კასტინგის მოდელირებული, მასობრივ კულტურაში გადასული ვარიანტი. რეალითი შოუს მონაწილეები იბრძვიან რეალური სამუშაო ადგილისთვის, რეალური ინვესტიციისთვის თავიანთ იდეაში. აქ მენტორის

ფუნქცია ოდნავ განსხვავებულია, მაგალითად, „ამტანის“ მოდერატორის ფუნქციისგან. რაც შეეხება შოუს გამარჯვებულს, ეს არის ადამიანი, რომელიც რეალურად (და არ მხოლოდ რეალითი შოუსთვის მოგონილ ან დადგმულ) იერარქიაში შედის და იმკვიდრებს ადგილს. როგორც ვხედავთ, ქართული რეალითი შოუები იდეოლოგიურად სრულიად თავსდებიან დასავლეთში გაბატონებულ იდეოლოგიურ პარადიგმაში: ინდივიდუალისტური და ელიტისტური პოლიტიკური კულტურების გადაკვეთაზე. აქ ინდივიდი მკვეთრად ემიჯნება ფატალიზმისა და ეგალიტარიზმისგან. „უკანასკნელ გმირში“ ინდივიდუალიზმი ამარცხებს ფატალიზმს, ხოლო ეგალიტარიზმი (ყველას თანასწორობა) იმთავითვე უარყოფილია, როგორც დასაშვები კულტურული გარემოს სახითაც კი.

გარდა პოლიტიკური კულტურებისა, ქართულ რეალითი შოუები ასევე იმეორებენ ლიბერალური პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელ შაბლონს: ადამიანის ემოციების, სურვილების, ინსტინქტების დასაქონლებას, როცა შოუს ჰყიდის ცრემლები, ტანჯვა, აკრძალვები, ღამღამობით „მოპარული სექსი“ და ა. შ.

შოუს მსვლელობისას იკვეთება, რომ სიუჟეტური ხაზის მიხედვით რეალითი შოუები ერთდროულად არის სერიალური, ისე სერიული ტიპის - ანუ, მთლიანი შოუს ამბავი ვითარდება და გრძელდება ყოველდღიურად; ხოლო მიკრონარატივები (სკანდალები, გაუგებრობები, ერთ პერსონაჟზე აგებული ამბები) მთავრდება განსაზღვრულ დროით მონაკვეთში.

განვიხილოთ პოლიტიკური კულტურების გამოვლინებები მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებულ პუბლიკაციებში.

ფატალისტური პოლიტიკური კულტურის აშკარა გამოვლინებაა ინტერვიუ აიათოლა რუქოლა ხომეინისთან,იტალიელი ჟურნალისტის ორიანა ფალაჩის ინტერვიუ ირანის სულიერ ლიდერთან აიათოლა ხომეინისთან გამოქყვეყნდა გაზეთში Corriere della Sera 1979 წლის 26 სექტემბერს. აიათოლა ხომეინი პოლიტიკური და სულიერი ლიდერია 1979 წლის ისლამური რევოლუციისა, რომლის შედეგად ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა ირანის უკანასკნელი შაჰი. ხომეინი სულიერ წინამძღოლადაა მიჩნეული და ირანში მას ოფიციალურად იმამს უწოდებენ აიათოლას ნაცვლად. ამდენად მის მოსაზრებებს დიდი ავტორიტეტი აქვს ირანი ხალხისათვის, - იმამის სიტყვა ღვთის სიტყვას უტოლდება. კაცის განსჯა ვერაფერს ცვლის ღვთის ნებაში - ამ მოსაზრებას ავიტარებს ხომეინი თავის ინტერვიუში. მისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე გარდაუვალი სახით აღიქმება ირანი ხალხისათვის , რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია, რასაც ხშირ შემთხვევაში ფატალური დასასრული აქვს. მაგალითისათვის ირანის რევოლუციის შემდგომ ხუთასი ადამიანი დახვრიტეს შეთქმულების ბრალდებით, რომლებიც რეალურად არ იყვნენ დამნაშავენი, ასევე სასტიკად უსწორდებიან იქ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანეს და „მრუშობაში“ შემჩნეულ ქალებს და ამ ყოველივეზე იმამ ხომეინის პასუხი არის შემდეგი; „თუკი ხელის მტევნის ერთ თითზე განგრენაა, სხვა რა გვრჩება? დავტოვოთ ხელუხლებლად, რომ განგრენა ჯერ მთელს ხელს, შემდეგ კი მთელს სხეულს მოედოს? თუ თითი მოვჭრათ? ის, რაც მთელ ერს

ხრწნის, ხორბლის ყანას მოდებული სარეველასავით უნდა ამოიძირკვოს. მე ვიცი, რომ არსებობენ საზოგადოებები, რომლებშიც ნებადართულია, რომ ქალი სიამით ტკბებოდეს კაცთან, რომელიც მისი ქმარი არ არის, ხოლო კაცი სხვა კაცთან ეძლეოდეს ტკბობას. მაგრამ ის საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, ამას არ დაუშვებს. ისლამის წესებით ჩვენ გავატარებთ პოლიტიკას, რომელიც განწმენდს საზოგადოებას, ამისათვის კი საჭიროა, რომ ისინი, ვინც ბოროტებას ატარებს და ხრწნის ჩვენს ახალგაზრდობას, დაისაჯოს. მოგწონთ ეს თუ არა, ჩვენ ვერ მივცემთ უფლებას ბინძურ ადამიანებს, მთელს ქვეყანას გადასდონ ის ბიწი, რომლის მატარებლებიც თვითონ არიან. განა თქვენც ასე არ იქცევით? განა ქურდს ციხეში არ სვამთ? განა ბევრ ქვეყანაში მკვლელს სიკვდილით არ სჯიან? განა იმავე სისტემით არ მოქმედებთ - რომ თუკი ისინი დაუსჯელნი და ცოცხალნი დარჩებიან, სხვებსაც დაასნებოვნებენ და თავიანთ ბოროტ საქმეებს გააგრძელებენ? ბოროტმოქმედები უნდა განადგურდნენ, სარეველასავით უნდა ამოიძირკვონ. როცა მათ ძირფესვიანად მოვაშთობთ, ქვეყანა გასუფთავდება“.

ორიანა ფალაჩი, რომელიც წარმოადგენს მედიას და რომელიც არის ასევე დასავლეთის სახე, ღიად საუბრობს ხომეინისთან იმის შესახებ, რომ მასდამი ირანელი ხალხის დამოკიდებულება, გამოხატული ოვაციები ეს ფატალიზმია, თან ძალიან საშიში ფატალიზმიც კი, ფაშისტური ტიპის. ის ეუბნება იმამ ხომეინის, რომ ბევრი მართლაც ხედავს ირანში ფაშისტურ საფრთხეს და საერთოდაც ამტკიცებს, რომ ირანში ფაშისტური ძალების კონსოლიდაცია ხდება. რა თქმა უნდა, ხომეინისათვის ეს არც ფანატიზმია და არც ფაშიზმი.

მისთვის ეს დიდი სიყვარულია, რომელსაც უკავშირებს ისლამს და ამ უკანასკნელს იგი იყენებს იარაღად, რითაც კარგად „იფუთება“ დიდი ბოროტება. იმამ ხომეინი: „ისლამისთვის. ხალხი ისლამისთვის და ისლამის სახელით იბრძოდა. ისლამი ნიშნავს ყველაფერს: იმასაც კი, რასაც თქვენს სამყაროში თავისუფლებასა და დემოკრატიას უწოდებენ. ისლამი თავის თავში ყველაფერს მოიცავს. ისლამი ყველაფერია.“ (იტალიელი ჟურნალისტის ორიანა ფალაჩის ინტერვიუ ირანის სულიერ ლიდერთან აიაითოლა ხომეინთან. გამოქვეყნდა 1979 წლის 26 სეხტემბერს ჟურნალში Corriere della sera).

ისლამი ყველაფერია _ ეს არის ყველაზე დიდი ფატალიზმი, ყველაზე დიდი გარდაუვალობა, რაც ირან ხალხს თავს აქვს მოხვეული რელიგიის, ისლამის მეშვეობით. მედია, ოღონდ დასავლეთის, კარგად წარმოაჩენს ამ ფატალიზმს და მის ცუდ მხარეებს, მაგრამ ეს შერაცხულია „დამღუპველად“ - ამ შემთხვევაში იმამ ხომეინის იდეოლოგიით მსხვერპლად ისევ ირანელი ხალხი რჩება.

ელიტისტური პოლიტიკური კულტურის კარგ მაგალითს წარმოადგენს ფილიპ მისფელდერის მუდმივი სწრაფვა დაწინაურებისკენ გერმანიის ქრისტიან - დემოკრატიულ კავშირში, მაგრამ საჭირო იყო მერკელის „კურთხევა“. იგი მუდვიმად სთავაზობს საკუთარ თავს კანცლერს, მის განკარგულებაშია, მის სამსახურშია. „ მერკელისა, რომლის ჩრდილიც არის მისფელდერი, რომელსაც განუწყვეტლივ თვალსადევნებს და რომელსაც, სამწუხაროდ, შეუძლია გააბედნიეროს ან გააუბედუროს, მისფელდერი იქნებ ოდესმე ბუნდესკანცლერიც გახდეს... იღიმის ირიბი ღიმილით უსიხარულო სახეზე,

გაყინულნი ღბად რომ ქცევია“.

აქ აშკარად იკვეთება ზრუნვა და მუდმივი ფიქრი, დამოკიდებულებები რომლის ერთადერთი მიზანია იყოს მაღალ საფეხურზე. **ამისათვის რა არის საჭირო?** ზემდგომი პირის კეთილ განწყობა (მერკელის ღიმილი, უნდა იყო მისი იდეოლოგიის გამტარებელი), თუ შესაძლებელია გარეგნობაზეც ფიქრი(დაიკლო წონაში), როგორც პიარის ელემენტი და მასმედია.

მასმედიის ფლობა, ამ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობას, რადგან გააკეთო სწორი კომენტარი ამა თუ იმ საკითხზე. იმიტომ რომ ეს შეიძლება გახდეს გადამწყველი და შესაძებელია გამოიწვიოს კარიერული თუ გინდ ელიტური დაქვეითება, რაც მონათლულიაა „უბედურებად“.

თუ მისფერდელს ურეკავენ ტელევიზიიდან, რათა გააკეთოს კომენტარი სადაზღვევო რეფორმაზე, იგი ცდილობს, მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს ამ საკითხზე და ლამის „მესამე ხელი“ გამოიბას : „მისფელდერი მოსასმენს ირგებს თავზე, თავის კავშირში რეკავს, ბერლინში. ბოლო ინფორმაცია უნდა მიიღოს თავისი ხალხისგან ამ დავის შესახებ.

– რა თქვა კანცლერმა, – ეკითხება თავისიანებს. მარჯვენა ხელში მეორე მობილური უჭირავს, სააგენტოების ინფორმაციას ამოწმებს. თან 120 კილომეტრის სიჩქარით მართავს მანქანას. გადამღები ჯგუფი ვალტროპში ელოდება. საჭეს მარცხენა ხელით მართავს. მანქანა ზიგზაგებს ხაზავს ტრასაზე, მაგრამ სწორი სიტყვები ახლა სიცოცხლეზე მეტს ნიშნავენ.

ყველაფერი რიგზეა, ვალტროპის მზიანი ცის ქვეშ დგას და ღია ეთერში ლაპარაკობს. ამბობს სრულიად არაფერს, უშინაარსო, ცარიელ სიტყვებს, რომლებზეც არავინ გაბრაზდება რამდენიმე ახირებული მაყურებლის გარდა, რომელთაც არსურთ საკუთარი სიცოცხლის თუნდაც რამდენიმე წუთის ფუჭად დახარჯვა.

მისფელდერს მესამე ტელეფონიც აქვს თან. მისი ცხოვრება ასეთია: ესემესები, იმეილები, ფეისბუქი, კომუნიკაცია, კომუნიკაცია... უსაზღვროდ და უკიდეგანოდ, პაუზის გარეშე. სხვათა მიერ ნათქვამი სიტყვები მოედინებიან მისფელდერთან ყოველ წუთიერად. ასევე ყოველწუთიერად გადასცემს მისფელდერი საკუთარ სიტყვებს ყველა მიმართულებით. დრო პოლიტიკაში აღარ არის განგრძობადობა. მომხდარი მყისიერად იქცევა სიტყვად. მისფელდერის მობილური ვიბრირებს და მან იცის, რომ დადგა ახალი წუთი, ახალი მომენტი, რომელზეც მისგან რეაქციას ითხოვს, ელის. მომენტების, ხდომილებების წუთიერება – ეს არის პოლიტიკა, და არა განგრძობადობა. არც არის განგრძობადობა ის, რაც მისფელდერს ესაჭიროება.(ადამიანი ჩრდილი. ამბავი ადამიანის პოლიტიკაში)

ეს არის პოლიტიკა და ეს არის ელიტიზმი, სწრაფვა ახვიდე ან შეინარჩუნო მაღალი პოზიცია და ამისათვის გააკეთო სწორი აქცენტები. დაიხმარე მასმედია , რადგან იყო „სწორად“ სუბიექტური.

როდესაც ვსაუბრობთ პიროვნებაზე და მის წარმოჩენაზე, აქ უმთავრესია მისი უნარ_ჩვევები. არ აქვს მნიშვნელობა ეს მას ჰქონდა თუ შემდეგ გამოიმუშავა,

შეიძინა. მაგალითისათვის ასეთი უნარ-ჩვევა შესაძლებელია იყოს ინტელიგენტობა, განსწავლილობა და ა.შ. თუ აღნიშნულს პიროვნებას მიუსადაგებთ, კარგ მაგალითად გამოდგება ექიმი ფიოდოროვი. ეს უკანასკნელი ნამდვილად იყო ინტელიგენტი, განსწავლული, განსაკუთრებით თავის საქმეში. ის იყო წარმატებული თვალის ექიმი. მისმა დიდმა შრომამ განაპირობა ის რომ ჩაატარა პირველი ოპერაცია თვალში ხელოვნური ბროლის ჩადგმისა , რაც იმ დროისათვის იყო ინოვაცია და დიდ გამბედაობას მოითხოვდა. **რა შუაშია მასმედია?** **თავშია,**რადგან იმპერიოდისათვის ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებაში, გაზეთში, დაიბეჭდა წარმატებულ, ინოვატორ ექიმ ფიოდოროვზე, რაც მისასალმებელია, მაგრამ გაიპარა მცირე უზუსტობა, ალბად შემთხვევით, მაგრამ ვაი რომ ვირაცისთვის თავზარდამცემი. ექიმი ფიოდოროვი გაზეთმა საავადმყოფოს დირექტორად მოიხსენია და ამით დაასრულა მისი წარმტაცი კარიერა ამ საავადმყოფოში. რა თქმა უნდა მოქმედმა დირექტორმა ექიმი ფიოდოროვი „გოლგოთის გზაზე“ დააყენა. უფრო მეტი სიზუსტისათვის: „ ექიმი ფიოდოროვი ხელმარჯვე ოსტატებს ეძებდა და ერთ-ერთი მათგანი ძალიან დაეხმარა მას - ბროლი პლასტმასასგან დაამზადა. შედეგად - 12 წლის ლენა პეტროვამ, რომელიც ორი წლის ასაკიდან თანდაყოლილი კატარაქტის გამო მარჯვენა თვალით ვერ ხედავდა - უცებ თვალში გამოიხედა. **წარმატება!** მერე ადგილობრივ გაზეთში ნარკვევი დაიბეჭდა: ექიმი ნოვატორი, ხელმარჯვე ოსტატი, გოგონა ჩუვაშური სოფლიდან - ყველაფერი საუკეთესოდ იყო წარმოჩენილი ამ ნარკვევში. მერე ეს ნარკვევი ერთ-ერთმა ცენტრალურმა გაზეთმა გადაბეჭდა, რომელშიც ექიმი-ნოვატორი შეცდომით ფილიალის დირექტორად

მოიხსენიეს, რითაც სამუდამოდ აქციეს იგი მოქმედი დირექტორის მტრად... მთელი უბედურებაა, თუ თქვენს შესახებ გაზეთში დაწერენ! ცუდია, თუ გაგაკრიტიკებენ - ყველასთვის ცხადია. მაგრამ მოინანიებთ, და მოგეტევებათ. სხვა საქმეა, თუ შეგაქებენ - აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამას არასდროს გაპატიებენ. მოკლედ, ექიმი ფიოდოროვი ჩებოქსარიში ტრივიალურად შეჭამეს. მოსკოვში ჩავიდა, და გულისხმიერად არც იქ მიიღეს.(ანატოლი აგრანოვსკი. ექიმ ფიოდოროვის აღმოჩენა)

კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით რომ მასმედიის როლი მნიშვნელოვანია და რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი იმ გაგები, რომ მომდინარე ნეგატიურ ტალღას შესაძლოა ვერ გაუძლო და გადაგთელოს. ექიმ ფიოდოროვის შემთხვევაში ყველაფერი კარგად წარიმართა, რადგან მან თავისი ადგილი სხვაგან წარმატებით დაიმკვიდრა, რაც განაპირობა მისმა ინდივიდუალიზმმა, იმ შინაგანმა მახასიათებლებმა, რაც მას ბუნებით და ასევე შეძენილი ქონდა.

თანასწორობა მისაღებია ყველა საზოგადოებისათვის ყველა ეპოქაში, მაგრამ არ ყოფილა მიღწეული არასდროს. ამიტომ გვიწევს მუდმივად საუბარი უთანასწორობაზე და გვინდა ყოველთვის თანასწორობა. უთანასწორობის შემთხვევები ხშირად შუქდება მასმედიის მიერაც და მაგალითისათვის გავიხსენოთ მოჰამედ შურაბი. ისრაელი_პალესტინის დაპირისპირების პერიოდში ის პალესტინის მხარეს აღმოჩნდა, რადგან პალესტინელად დაიბადა და რამაც განსაზღვრა მისი და მისი ორი ვაჟის არსებობა. იმ პირობებში რომ იგი სრულად ემორჩილებოდა ყველა კანონს, რაც ისრაელებმა დააწესეს მას მაინც

მოუკლეს ორი ვაჟი. **ვინ არის** დამნაშავე? უთანასწორობა. მას ჩაჰბერეს სული.

დასკვნა

„იდეოლოგია ეს არის ყალბი ცნობიერება“, ალბათ უფრო სწორი იქნება მისი შეჯამება დებულებით „იდეოლოგია ძალაუფლების იარაღია“. ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებას სჭირდება საშუალებები, ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის. ძალაუფლება შესაძლებელია მოიპოვო ძალადობით თუ გნებავთ დაძალებით, მაგალითად ხელისუფლებაში შესაძლებელია ძალით მოხვიდე და მერე ის ძალითვე შეინარჩუნო, ასევე არსებობს ეკონომიკური საშულება ანუ ქრთამი **და მედია.**

კარლ მარქსს, იდეოლოგიის, როგორიც „ყალბი ცნობიერების“, კონცეფციის შემქმნელს იდეოლოგიის ნიმუშად მიაჩნდა მოძღვრება, რომელიც საბაზრო ეკონომიკას და „ბურჟუაზიულ დემოკრატიას“ უდევს საფუძვლად. ეს მოძღვრება, მისი აზრით, ამახინჯებს რეალობას, უპირველეს ყოვლისა, იმით რომ ადამიანის ბუნებას წარმოაჩენს როგორც ეგოისტურს, ინდივიდუალურ მოგებაზე ორიენტირებულს. თუ ადამიანი ბუნებით ეგოისტია, თუ ის ბუნებით, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალურ კეთილდღეობას და ბედნიერებას ესწრაფვის და ამას აღარაფერი ეშველება, მაშინ კერძო საკუთრების ინსტიტუტი და მასზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემა გამართლებული გამოდის. მაგრამ, ამტკიცებდა მარქსი, ეგოისტური ინტერესით შეპყრობილი ინდივიდი ობიექტური რეალობის გამოხატულება კი

არ არის , არამედ კაპიტალისტური სინამდვილის და ბურჟუაზიული იდეოლოგიული იდეოლოგების მიერ შექმნილი სოციალური კონსტრუქტია. კაპიტალისტური საზოგადოებს ადამიანი იმიტომ კი არ მიისწრაფვის პირადი კეთილდღეობისათვის , რომ ეს წრაფვა მის ბუნებაშია ჩადებული, არამედ იმიტომ, რომ აქეთკენ მას გაბატონებული იდეოლოგია უბიძგებს. ეს იდეოლოგია კი იმიტომ არის გაბატონებული, რომ ასეთია გაბატონებული კლასის ინტერესი, რომ ასე სჭირდება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას. მაგრამ, თუ შეიცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, ადამიანი განთავისუფლდება ყალბი იდეოლოგიისგან, რომელიც მისი ნამდვილი ბუნების დამახინჯებას ახდენს.

ანტიიდეოლოგიის თეორიის გამოყენების კიდევ ერთ ნიმუშად შეგვიძლია განვიხილოთ თანამედროვე ფემინიზმი. ფემინიზმის ცენტრალური იდეაა იმის მტკიცება, რომ სქესი არაა ბუნებრივად მოცემული რეალობა, არამედ სოციალური კონსტრუქცია, რომლის მიზანიცაა დომინირებული ჯგუფის გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნება. მიზანმიმართული იდეოლოგიური პროპაგანდის ნიმუშად შესაძლოა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უამრავი პოპულარული ჟურნალის გარეკანს ლამაზი და სექსუალურად მიმზიდველი ქალის სურათი ამშვენებს. ამ გარეკანის მიზანია დაამკვიდროს ქალის, როგორც სექსუალური ობიექტის , და არა სოციალური სუბიექტის სახე.

სწორედ მედიური შეტყობინების/ტექტის ანალიზისას გამოჰყოფს ამერიკელი კომუნიკაციათმცოდნე არტურ ასა ბერგერი იდეოლოგიურ ანალიზს, ხოლო

იდეოლოგიური კრიტიციზმი თავის თავში მოიცავს მარქსისტულ და ფემინისტურ ანალიზს. ეს უკანასკნელი საუბრობს იმ საზღვრებზე, რომელიც ქალს უქმნის ჩარჩოს და რომელშიც მითუმეტეს „თანამედროვე“ ემანსიპირებული ქალი „იხრჩობა“. საზოგადოებაში არსებული საზღვრები ერთის მხრივ ხელს უწყობს ადამიანის (კაცი, ქალი) სოციალიზაციას საზოგადოებაში, ხოლო მეორე მხრივ ეს საზღვრები შემზღუდველია . იგი ამ წესებს, ვალდებულებებს ემორჩილება. სწორედ ამაზე საუბრობს მერი დუგლასი. მისის აზრით, რაც უფრო მეტია ინდივიდის ჩართულობა ჯგუფში, მისი გადაწყვეტილება მით უფრო ემორჩილება ჯგუფის შეხედულებებს. სწორედ ეს საზღვრები, გარედან შეთავაზებული წესები და ვალდებულებები იყო აარონ ვილდავსკისათვის იმ მეთოდოლოგიის საფუძველი რითაც მან სექმნა ოთხი იდეოლოგიური სუბსტანცია. **დასკვნისთვი,** მთავარი შეკითხვა არის ის, თუ რატომ ემორჩილება ადამიანი ამ წესებს, რომელიც ჯგუფისგან არის მიწოდებული და ამ წესების/იდეების/შეხედულების კონსტრუქციის შექმნაში მთავარი როლი მიუძღვის მასმედიას?

მასობრივი კომუნიკაციის საშულებები დიდ გავლენას ახდენს აუდიტორიაზე სოციალრი რეალობის გარკვეული პრინციპით კონსტრუირების მეშვეობით. აღსანიშნავია ნოელ_ნოიმანის „დუმილის სპირალი“. მისი ძირითადი დებულებებია ის რომ, საზოგადოება ცდილობს იმ ინდივიდების იზოლაციას, რომლებიც არ ეთანხმებიან უმრავლესობის აზრს, ხოლო ინდივიდი მუდმივად განიცდის იზოლაციის შიშს, იზოლაციაში მოხვედრის შიში უბიძგებს ინდივიდს უმრავლესობის აზრის მიღებისაკენ, ეს გამოვლინდება მის ქცევაში,

განსაკუთრებით კი საჯარო გამოთქმებში. რაც უფრო მეტი ინდივიდი ემორჩილება ამ ტენდენციას და იზიარებს უმრავლესობის თვალსაზრისს , მით უფრო სწრაფად აღწევს საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას ერთი აზრი. საზოგადოებრივ აზრს კი ორი წყარო უდევს საფუძვლად: სინამდვილეზე უშუალო დაკვირვება და გარემომცველი სამყაროს სურათები, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერაა გაშუალებული. თუ ეს საშუალებები თავს ახვევს რეციპიენტს გარკვეულ თვალსაზრისს, იგი თანდათანობით ენაცვლება ინდივიდის საკუთარ წარმოდგენებს.

ბიბლიოგრაფია

1. იტალიელი ჟურნალისტის ორიანა ფალაჩის ინტერვიუ ირანის სულიერ ლიდერთან აიათოლა ხომეინთან.
2. ადამიანი ჩრდილი. ისტორია ადამიანისა პოლიტიკაში.
3. ანატოლი აგრანოვკი _ „ ექიმ ფიოდოდროვის აღმოჩენა“
4. ელდარ იბერი _ „საზოგადოებრივი მაუწყებელი და მაუწყებლობა საზოგადოებისათვის“
5. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი _ „ტოლერანტობის სკოლა“.

6. აარონ ვილდავსკი _ „Conditions for a Pluralist Democracy, or Cultural Pluralism means More Than One Political Culture in a Country”.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

მე-2 სემესტრის დოქტორანტი

ემზარ სვანიძე

სადოქტორო სემინარი

"სირიის სამოქალაქო ომის სამხედრო-პოლიტიკური მახასიათებლები"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **რევაზ ჯორბენაძე. პროფესორი**

თბილისი

2017

შინაარსი

1. შესავალი ---------- 1
2. სირიის ეთნიკურ-კონფესიური სურათი ---------- 3
- სუნიტი მუსლიმები ---------- 4
- შიიტი მუსლიმები/ალავიტები ---------- 4
- ქურთები ---------- 5
- თურქმენები ---------- 6
- ასურელები ---------- 6
- დრუზები ---------- 6

3. არაბული გაზაფხული ---------- 7
4. დაპირისპირებული მხარეები ---------- 11
- სირიის შეიარაღებული ძალები ---------- 11
- ეროვნული თავდაცვის ძალები ---------- 11
- ჰეზბოლა ---------- 12
- სირიის თავისუფალი არმია ---------- 12
- ისლამური ფრონტი ---------- 13
- ალ-ნუსრას ფრონტი/ჯაბჰატ ალ-ნუსრა ---------- 13
- ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო ---------- 14
- სირიის დემოკრატიული ძალები ---------- 16
- ხალხის დამცველი გაერთიანება ---------- 16
- ქალთა დამცველი გაერთიანება ---------- 18
- ჯაიშ ალ-თუვარ/რევოლუციონერთა არმია ---------- 18
- ჯაიშ ალ-სანადიდი ---------- 19
- საუდიის არაბეთი ---------- 19
- ირანის ისლამური რესპუბლიკა ---------- 20
- თურქეთი ---------- 21
- რუსეთის ფედერაცია ---------- 23
- ამერიკის შეერთებული შტატები ---------- 30

5. დასკვნა ---------- 33

შესავალი

ბოლო ორი ათეული წელია განსაკუთრებული სიმწვავით დგას უსაფრთხოების საკითხი მსოფლიო მასშტაბით. ცივი ომის შემდგომ ევროპის როგორც ცენტრალური, ასევე აღმოსავლეთ ნაწილის უსაფრთხოების არქიტექტურის უხეშმა ხელყოფამ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება და გაჩაღება გამოიწვია, რაც დომინოს პრინციპით გავრცელდა ევროპის ორივე ნაწილში. აღნიშნულმა თავისებური ასახვა ჰპოვა ახლო აღმოსავლეთშიც, სადაც საზოგადოების განსხვავებული სოციალური და მენტალური მახასიათებლების გამო კიდევ უფრო საშიში ხასიათი შეიძინა ვიდრე ვინმეს აქამდე წარმოედგინა. ბოლო პერიოდში, ევროპის შუაგულში განხორციელებულმა ტერორისტულმა და სხვა ძალადობრივმა აქტებმა თავიანთი გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, ნათელი გახადა, რომ ცალკეულ სახელმწიფოს, რამდენადაც ძლიერი შეიარაღებული ძალები არ უნდა გააჩნდეს, არ ძალუძს გაუმკლავდეს მსგავსი ტიპის გამოწვევებს. გარდა ამისა, რაც ასევე ძალიან ნიშანდობლივია, არსებულმა რეალობამ აჩვენა, რომ ეროვნულმა სახელმწიფოებმა დაკარგეს მონოპოლია შეიარაღებული ძალების ყოლასა და მის გამოყენებაზე, როგორც ზოგადად - საერთაშორისო უსაფრთხოების, ასევე საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად და დღეს ასეთი შესაძლებლობით თითქმის შეუზღუდავად სარგებლობენ კერძო - არასახელმწიფო მოთამაშეები.[1] აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების ძირითად მახასიათებლად იქცა არა სახელმწიფოთაშორისი ღია ომები, არამედ დეზინტეგრაციული პროცესები სახელმწიფოების შიგნით და ამის შედეგად ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე გაჩაღებული სისხლისმღვრელი შიდაომები. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება უსუსური აღმოჩნდა აღნიშნული გამოწვევის წინაშე. ამ ომების შედეგად მიღებული ზარალი, არც მსხვერპლთა რიცხვით, არც ნგრევითა და განადგურებით არ ჩამოუვარდება ე.წ კონვენციური ტიპის ომებს. შედეგად მივიღეთ მრავალი დასუსტებული სახელმწიფო, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეარყიეს მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურა და მრავალ მანკიერ მოვლენას მისცეს გასაქანი, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმს. ის

[1] Identifying and Preventing Future Security Threats. http://www.global-economic-symposium.org/knowledgebase/the-global-polity/identifying-and-preventing-future-security-threats

ქვეყნები, რომლებიც დროზე ვერ გააცნობიერებენ აღნიშნულ გარემოებას მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამხედრო ქმედებების მსხვერპლნი გახდებიან ან დაუსრულებელ ქაოსსა და სიღარიბეში ჩაიძირებიან, როგორც ეს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მოხდა. ამ ფონზე საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მსოფლიო ცივილიზებული სამყარო დაფიქრდეს და გაატაროს ქმედითი ზომები არა მხოლოდ ვიწრო, შიდა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, არამედ გლობალური მასშტაბით მსოფლიო უსაფრთხოებაში წვლილის შეტანისათვის. მით უფრო, რომ როგორც დაკვირვებებმა აჩვენა, საფრთხეების უმრავლესობა ვერ მიაღწევდა ისეთ მაღალ დონეს, როგორიც დღესაა, მათი დროული აღმოჩენის და ადრეულ ეტაპზევე ადეკვატური რეაგირების შემთხვევაში.[2] ამისათვის ერთ-ერთი მთავარი იდეური საფუძველი არსებული თუ მომავალი კოალიციების და ალიანსებისათვის უნდა იყოს საერთაშორისო უსაფრთხოების ზომების უპირობო მხარდაჭერა და დესტაბილიზაციის პრევენცია მათზე დროული და მიზანმიმართული რეაგირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიანებული რეაგირება, ან/და საფრთხის არასათანადო შეფასება გაცილებით უფრო დამანდრეველი შედეგის მომტანი იქნება, როგორც ეს უკვე მოხდა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და ამჟამადაც ხდება თითოეული ჩვენთაგანის თვალწინ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სირიის არაბთა რესპუბლიკაში. დაგვიანებულ რეაგირებასთან დაკავშირებით დაკავშირბითა ნატო-ს ამჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, ორიოდე წლის წინ გააკეთა განცხადება და რბილ ტონში, თუმცა საკმაოდ მკაფიოდ გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა. კერძოდ, გაიხსენა ის ეპიზოდი, როდესაც ობამა სირიის სამოქალაქო ომში ჩარევაზე ფიქრობდა და საბოლოოდ დააანონსა, რომ „ჩარევა მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუკი სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა“. როგორც ცნობილია, ასადმა გამოიყენა ქიმიური იარაღი, მაგრამ

[2] Identifying and Preventing Future Security Threats. http://www.global-economic-symposium.org/knowledgebase/the-global-polity/identifying-and-preventing-future-security-threats

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მაინც არ ჩარეულიყო, რამაც მიგვიყვანა იმ უბედურებამდე, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

სირიის ეთნიკურ -კონფესიური სურათი

სირიაში განვითარებულ მოვლენებს გააჩნიათ თავის შიდა ისტორიული საფუძვლელი და წინაპირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოვლენათა ამგვარ დრამატულ განვითარებას არც კი ჰქონოდა ადგილი. თავის დროზე ისტორიული წინაპირობების პოლიტიკურად ერთობ არასტაბილურად ჩამოყალიბებამ, თავისი წვლილი შეიტანა ქვეყანაში შექმნილი კრიზისისათვის ნაყოფიერი ნიადაგის მომზადებაში.

სირიას ახლო აღმოსავლეთში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. დიდი ხნის განმავლობაში ეს მხარე ოსმალთა (თურქეთი) იმპერიაში შედიოდა. როგორც კი მე-19 საუკუნეში ოსმალთა იმპერია დასუსტდა, სირიაზე მაშინვე განაცხადა პრეტენზია ეგვიპტემ, რომელიც თურქების ე.წ. დაუმორჩილებელ ვასალად ითვლებოდა იმ პერიოდში. სირია ერთგვარი კარიბჭე იყო აფრიკის კონტინენტიდან აზიაში და ამასთანავე, ხმელთაშუა ზღვაზეც გადიოდა. თურქებმა მაშინ სირია შეინარჩუნეს, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოსმალთა იმპერია დაიშალა, ფრანგებმა და ინგლისელებმა კი ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე გაიყვეს იმპერიის სამფლობელოები და გარიგების შედეგად ერაყი ინგლისელებს დარჩათ, სირია კი – ფრანგებს. არაბებმა, რომლებიც ომის დროს თურქებს აუჯანყდნენ, ეს გარიგება გააპროტესტეს, რადგან მათ ერთიანი არაბეთი სურდათ, ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ჩათვლით. სირიის გასაკონტროლებლად ფრანგებმა მას ქრისტიანებით დასახლებული ტერიტორია ჩამოაჭრეს (ასე იშვა პოლიტიკურ რუკაზე ლიბანი – სირიის კიდევ ერთი კონფლიქტის კერა), დარჩენილ ტერიტორიაზე კი უმრავლესობაში სუნიტები აღმოჩნდნენ, უმცირესობაში კი – ალავიტები, რომლებმაც საბოლოოდ ქვეყნის მართვის სადავეები აიღეს ხელში. თუმცა, საფრანგეთი მალე დასუსტდა და სირიაზე კონტროლიც დაკარგა. 1958 წელს ეგვიპტემ საწადელს მიაღწია – სირიასთან გაერთიანდა და ასე იშვა ე.წ. ერთიანი არაბული რესპუბლიკა. სამიოდე წლის შემდეგ სირია ეგვიპტეს გამოეყო ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა. იმ დროისთვის ცივი ომის პიკზე მყოფ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ

მთავარ არენას სწორედ ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენდა. სირია მოსკოვის მხარეს გადაიხარა და ამავე ორიენტაციის დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ეს მოკლე ისტორია უკვე საკმაოდ გასაგებ აქცენტებს აკეთებს ამ ქვეყნის პოლიტიკურ მომავალთან და საერთოდ, გლობალურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში. სტაბილური და დალაგებული სირია მეტად სასიკეთო როლს ითამაშებდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, თავის დროზე სირიის საზღვრები საეჭვოდ ხელოვნურად ჩამოყალიბდა და შედეგად გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ ამ ქვეყანას გრძელვადიანი მშვიდობა არ ეწერა.

აღნიშნულს ემატება შიიტ და სუნიტ მუსლიმებს შორის ისტორიული ეთნოკონფესიური კონფლიქტი, რომელიც საუკუნეებს ითვლის და ხშირ შემთხვევაში გვევლინება, როგორც ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების მთავარ მიზეზადაც კი. ის, რომ სირიაში მიმდინარე კონფლიქტი რთული ბუნებით ხასიათდება, გამოწვეულია იმითაც, რომ ამ ქვეყანაში ბევრი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმოშობის ჯგუფი ცხოვრობს.

სუნიტი მუსლიმები - ყველაზე დიდი ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფია სირიაში არის სუნიტი მუსლიმი არაბები, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 70%.[3] როგორც ცნობილია, სუნუტური ისლამი ყველაზე პოპულარული ისლამური მიმდინარეობაა მსოფლიოში, რომელიც ძირითადად მხარდაჭერილია საუდიის არაბეთის მიერ. სუნიტები ამბოხებულთა ძირითადი მხარდამჭერები და შემადგენელნი არიან სირიის სამოქალაქო ომში, რომლებიც გამოირჩევიან აქტიური წინააღმდეგობრივი განწყობით ასადის შიიტური ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ უმრავლესობას ქვეყნის მოსახლეობისა, ქვეყანა მაინც, თითქმის ყოველთვის, იმართებოდა შიიტი წარმომავლობის მთავრობის მიერ, რაც კონფლიქტის ასევე ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება.

შიიტი მუსლიმები/ალავიტები - შიიტი მუსლიმი მიმდინარეობა არის მოსახლეობის რაოდენობით მეორე სუნიტის შემდეგ, რომლებიც სირიაში მოსახლეობის დაახლოებით 12% შეადგენენ.[4] მათი უმრავლესობა არიან ალავიტები, ისევე როგორც პრეზიდენტი ბაშარ

[3] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[4] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

ალ ასადი. მიუხედავად იმისა, რომ ალავიტები უმცირესობაა ქვეყანაში მათ 1971 წლის შემდეგ ხელთ უპყრიათ ყველა მნიშვნელოვანი მმართველობითი პოზიციები ქვეყანაში. შიიტები მსოფლიოში ძირითადად მხარდაჭერილი არიან და ფინანსდებიან ირანის მიერ, როგორც საუდიის არაბეთის საპირწონე რეგიონში.[5] შიიტები მრავალი სუნიტის მიერ განიხილებიან როგორც ერეტიკოსები და იმის გამო, რომ ყოველი შიიტი განიხილება როგორც ასადის რეჟიმის მხარდამჭერი, ამდენად არსებობს შიში იმისა, რომ სუნიტების მიერ ხელისუფლებაში მოსვლა გამოიწვევს მათ გენოციდს შურისძიების საფუძველზე.

ქურთები - ქურთები ცალკე ეთნიკური ჯგუფია ერაყსა და სირიაში, რომლებიც სირიის მოსახლეობის დაახლოებით 7-10% შეადგენენ.[6] დიდი ხნის განმავლობაში ცდილობენ პოლიტიკური ავტონომიის შექმნას და გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც მის შენარჩუნებას. სირიის სამოქალაქო ომმა შექმნა პირობები აღნიშნული ოცნების რეალობად ქცევისათვის და ქურთები თითქმის ერთადერთნი არიან რეგიონში, ვინც ქალთა უფლებებს აღიარებს და გააჩნიათ სეკულარული საზოგადოება, რომელიც რელიგიას და სახელმწიფო ხელისუფლებას ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ შტოებს განიხილავს. ყველაზე ნაკლებად შეინიშნება დისკრიმინაციის შემთხვევები როგორც რელიგიური, ასევე ეთნიკური ნიშნით. გარდა ამისა გამოირჩევიან მოქმედებათა თავისებურებით, რომელაც არ ახასიათებს არააუცილებელი აგრესული ან სხვა ტიპის ძალადობრივი აქტები თავიანთ მოქმედებებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ქურთები განიხილებიან ნატო-ს ერთადერთ სტაბილურ და ნამდვილ მოკავშირედ აღნიშნულ საბრძოლო მოქმედებების დროს.[7] უნდა აღინიშნოს ერთი გამონაკლისიც - თურქეთის, როგორც ნატო-ს წევრი ქვეყნის შესახებ, რომელიც ვერ ეგუება ქურთთა ნებისმიერ წარმატებას და განიხილავს მათ როგორც მტერს თურქეთის სახელმწიფოებრიობისათვის. რის გამოც არაერთხელ განუხორციელებია დაბომბვები მათი ქვედანაყოფების წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედებები გარკვეულწილად ართულებს თურქეთის დანარჩენ ნატო-ელებთან ურთიერთობებს, რომლებიც თურქეთისაგან განსხვავებით იარაღს აწვდიან ქურთებს. ქურთთა უმრავლესობა სუნიტი

[5] რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს;
[6] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[7] იქვე

მუსლიმია, თუმცა რელიგიურობა არ წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ ვითარებაში წინააღმდეგობის საფუძველს.

თურქმენები - სირიელი თურქმენები ძირითადად არიან ეთნიკურად თურქები, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ დაახლოებით მე-11 საუკუნიდან.[8] ისინი ლაპარაკობენ თურქულად. დიდი ხანია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ფინანსდებიან და იარაღით მარაგდებიან თურქეთის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 1%, საკმაოდ ხშირად იკვეთება მათი აქტიურობა მიმდინარე მოვლენებში. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ იმ დაჯგუფებას, რომელთაც შეიპყრეს და მოგვიანებით მოკლეს (ერთ-ერთი მათგანი) რუსი პილოტები, რომლების გადარჩნენ თურქული საბრძოლო თვითმფრინავის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებისას. აღნიშნული ჯგუფი ებრძვის როგორც ასადის სამთავრობო ძალებს, ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ ქვედანაყოფებს.

ასურელები - არიან შთამომავლები მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის და თავიანთ თავს განიხილავენ როგორც ძირძველ მოსახლეობას იმ ტერიტორიისა , სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. ისინი შეადგენენ მოსახლეობის 4%.[9] ისინი ქრისტიანები არიან და ამდენად ყველაზე მეტად იჩაგრებიან და განიცდიან დისკრიმინაციას სხვადასხვა ყაიდის ექსტრემისტული ორგანიზაციებისაგან სირიაში მიმდინარე მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში. შედეგად ბევრმა მათგანმა აიღო ხელში იარაღი რათა დაეცვა თავი და გადაერჩინა ოჯახი მიმდინარე ქაოსის დროს. მათ შორის არიან როგორც არსებული რეჟიმის ასევე ოპოზიციის მხარდამჭერები, თუმცა ყველა ისლამისტი დაგჯუფებას განიხილავენ როგორც მოწინააღმდეგეს რეგიონში.

დრუზები - არიან 10 საუკუნიდან მოყოლებული შიიტური ისლამის მიმდევრები. შეადგენენ მთლიანი მოსახლეობის 3%.[10] მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ თავს მუსლიმებს უწოდებენ სუნიტ ისლამისტები არ ეთანხმებიან აღნიშნულს. იმის გამო რომ უმცირესობას წარმოადგენენ, ხშირად ხდებიან სხვადასხვა დაგჯუფების ჩაგვრის

[8] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[9] იქვე
[10] იქვე

ობიექტები. მაგალითად 2015 წელს ჯაბჰათ ალ-ნუსრამ[11] სასაკლაო მოუწყო მათ, ვინც უარი განაცხადა ეღიარებინა და მოქცეულიყო მათი რწმენის შესაბამისად. რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ დამოკიდებულებას, ისინი არ უშვებენ ხელიდან შესაძლებლობას უცერემონიოდ გაუსწორდნენ და გაანადგურონ აღნიშნული ეთნიკური ჯგუფი. ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს არსებული ეთნო-კონფესიური გარემოს როლს ქვეყანაში განსხვავებული ინტერესების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში, რამაც შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლი ითამაშა კრიზისის შემდგომ გაღრმავებაში. ამ გარემოების გათვალისწინება კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიმდინარე ვითარების სწორი ანალიზისათვის.

სირიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საუბრისას აუცილებელია საკითხი გააზრებული იქნას აგრეთვე რეგიონის კონტექსტშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი სურათი ნაკლებად ნათელი იქნება, რაც ნამდვილად არ იქნება სწორი დასკვნების გამოტანის საწინდარი. შესაბამისად საჭიროა არაბულ სამყაროში ე.წ. სირიის კრიზისისწინა მოვლენებიც განვიხილოთ, რამდენადაც ისინი პირადაპირ დაკავშირებულია ხსენებულ კრიზისთან.

არაბული გაზაფხული

ჩრდილოეთ აფრიკა 2010 წლის ბოლომდე იმით იყო ცნობილი, რომ კონტინენტის ამ ნაწილში განლაგებული ქვეყნების უმეტესობა ნავთობის სიუხვითა და “მარადმწვანე" ლიდერებით ხასიათდებოდნენ.[12] მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა სტაბილურ სიღარიბეში ცხოვრობდა, ლიდერები კი სტაბილურად იკავებდნენ პოსტებს ათობით წლის განმავლობაში და ასევე სტაბილურად მდიდრდებოდნენ. თუმცა 2010 წლის დეკემბერში ამ იდილიურ “სტაბილურობას" ჩრდილი მიადგა. ექსპერტების აზრით ამ ქვეყნებში ხელისუფლებების რყევა მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გამოიკვეთა, რომ ამერიკის მაშინდელი ადმინისტრაცია მათ ისე აღარ სწყალობდა, როგორც ამას აკეთებდნენ ძველი ადმინისტრაციები. აღნიშნული დამოკიდებულება მალევე მოხვდა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების მხედველობის არეში და საპროტესტო ტალღამაც არ დააყოვნა.

[11] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[12] „არაბული გაზაფხული“. http://24hour.itdc.ge/news/story/89632-arabuli-gazafkhuli

პროტესტის ტალღამ პირველად ტუნისში 2010 წლის 18 დეკემბერს იფეთქა და რამოდენიმე დღეში საკმაოდ ფართო მასშტაბი შეიძინა. პირველი სისხლიც სწორედ აქ დაიღვარა, როდესაც პოლიციასთან დაპირისპირებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. აღნიშნულმა ტრაგედიამ, ახლო აღოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში თავისუფლებისათვის ბრძოლის ახალ ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი.[13] მისი დაწყების საბაბი 26 წლის უმუშევარის მუჰამედ ბუაზიზის მიერ თავის დაწვა გახდა.[14] „არაბული გაზაფხულის პირველი შედეგი ტუნისში დავინახეთ, რომელსაც შემდეგ ეგვიპტე, ლიბია და სირია მოჰყვა. საბოლოოდ (2011 წლის იანვარი) დაპირისპირებას ტუნისის პრეზიდენტის - ბენ ალის გადადგომა და მისი გაქცევა მოჰყვა. ტუნისის შემდეგ რევოლუციის ტალღამ ეგვიპტეს გადაუარა, რასაც ჯერ ქვეყნის მთავრობის, შემდეგ, 2011 წლის თებერვალში პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის გადადგომაც მოჰყვა.

ტუნისისა და ეგვიპტის შემდეგ არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები ლიბიაში. ლიბიის საპორტო ქალაქ ბენღაზიში (2011 წლის დეკემბერი) დაიწყო მასშტაბური გამოსვლები. ეს ქალაქი რეჟიმით უკმაყოფილოთა ნამდვილ თავშესაფრად იქცა და გამოსვლებიც სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო. მიზეზი იურისტისა და სამართალდამცველის ფატხი ტერბალის დაკავება (2011 წლის თებერვალი) გახდა, რომელიც იმ ოჯახების უფლებებს იცავდა, რომელთა წევრები 1996 წლის 19 ივნისს აბუ-სალიმის ციხეში[15] მომხდარი ბუნტის დროს დახოცეს. იმავე 2011 წლის თებერვალში ბენღაზიში გამართული აანტისამთავრობო გამოსვლები შეიარაღებულ ამბოხში გადაიზარდა და სწორედ ამ დღეებში გაიმართა პირველი ბრძოლა ბენღაზისათვის, სადაც ამბოხებულებმა გაიმარჯვეს და ბენღაზიმ ცენტრალურ ხელისუფლების მორჩილებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად აქვე 2011 წელის თებერვალ-მარტში შეიქმნა ლიბიის დროებითი მთავრობა.[16]

---

[13] არაბული გაზაფხულის შედეგები http://www.amerikiskhma.com/a/yearender-arab-spring--136227573/537664.html

[14] იქვე

[15] ციხე ლიბიაში სადაც ათასობით პოლიტპატიმარი იხდიდა სასჯელს

[16] არაბული "გაზაფხული" http://www.24saati.ge/weekend/story/23690-arabuli-gazafkhuli

ლიბიის პრეზიდენტის კადაფის ჩამოგდებისა და მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ე.წ. გარდამავალი ეროვნული საბჭო ტრიპოლიში გადმობარგდა. ადამიანის უფლებათა დამცველებმა კი იმის გარკვევა დაიწყეს თუ ვინ უფრო მეტი მასობრივი მკვლელობა და სამხედრო დანაშაული ჩაიდინა - პოლკოვნიკის კარგად ორგანიზებულმა არმიამ, თუ არა-დისციპლინირებულმა და რეჟიმის სიძულვილით ფანატიზმამდე მისულმა მეამბოხეებმა.[17] ანალიტიკოსთა აზრით, თავის დროზე (2011 წელს) ყურადსაღები იყო ის წინასწარმეტყველური განცხადებები, რომლებიც ლიბიის მაშინდელმა ლიდერმა გააკეთა არაბული ქვეყნების კონფერენციაზე, ვიდრე აღნიშნული მოვლენები უშუალოდ მის ქვეყანას შეეხებოდა. კერძოდ მან თქვა: „ლიბიაში სტაბილურობის შერყევა და ხელისუფლების შეწყვეტა გამოიწვევს მსოფლიოში კოლაფსს ხმელთაშუა სივრცეში არასტაბილურობის გამოწვევით. აფრიკიდან ხალხების მიაწყდებიან იტალიას, საფრანგეთს. ევროპა გახდება შავი. ჩვენ ხელს ვუშლით მიგრაციას და ალქაიდას გავრცელებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს“.[18] ფაქტი სახეზეა. ყველაფერი ზუსტად ისე განვითარდა, როგორც პოლკოვნიკმა იწინასწარმეტყველა. ევროპა დევნილთა რამოდენიმე მილიონიანმა ტალღამ მოიცვა, რამაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რამოდენიმე ქვეყნის განსაკუთრებით გერმანიის ე.წ. „გაშავება“ გამოიწვია. ასეულ ათასობით უდანაშაულო მსხვერპლი, მათ შორის განსაკუთრებით ბავშვები, ქალები, მოხუცები. ეს მოვლენათა ის მცირედი ჩამონათვალია რომელიც მოჰყვა მოგვიანებით არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილ იმ მოვლენებს, რომლებმაც ხელისშემწყობი თუ არა, წამახალისებელი როლი უდაოდ ითამაშეს სირიის მომავალი კრიზისის დაწყებასა და შემდგომ მის განვითარებაში.

და მაინც, რამ განაპირობა მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება ამ ქვეყანაში? როგორ მოხდა რომ ერთი მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტი გადაიქცა ამოდენა ომად? ყველაფერი კი 2011 წლის მარტში დაიწყო, როდესაც სირიის ქალაქ დერაასში კედლებზე ანტისახელისუფლო ლოზუნგები გამოჩნდა.[19] ამ დროს არაბული ლიგა ბაშარ ალ-ასადს

---

[17] „არაბული გაზაფხული“. http://24hour.itdc.ge/news/story/89632-arabuli-gazafkhuli

[18] Миропорядок. http://vsoloviev.ru/

[19] ვინ ვის ებრძვის სირიაში ?სამოქალაქო ომის ქრონიკა http://www.ghn.ge/com/news/view/140247

ოპოზიციასთან დიალოგისკენ მოუწოდებს და გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართავს სირიაში საშვიდობო გეგმის შემუშავება და მისი დაუყოვნებლივი განხორციელება დაიწყოს.[20] პოლიციამ ოპოზიციის აქტივისტები დააკავა. ციხეში ისინი სასტიკად სცემეს. პასუხად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სამთავრობო დაწესებულებების დარბევა დაიწყეს. სამთავრობო ძალებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ათობით ადამიანი დაიღუპა. განვითარებული მოვლენების გამო არაბული ლიგა კიდევ ერთხელ მიმართავს და მოუწოდებს ალ-ასადს გამოიყვანოს შეიარაღებული ძალები ამბოხებული ქალაქებიდან, გაათავისუფლოს პატიმრები, დაიწყოს ოპოზიციასთან დიალოგი რეფორმების განხორციელების თაობაზე და ქვეყანაში შეუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები. სხვა გამოსვლებსაც ჰქონდა ადლი ამავე პერიოდში, რასაც რეჟიმის უსფრთხოების ძალებმა გაუხსნეს ცეცხლი, რის შემდეგაც გამოსვლებმა უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა და მოთხოვნებიც უფრო რადუკალური გახდა. ხალხი უკვე ასადის გადადგომას ითხოვდა. უფრო მეტი უსაფრთხოების ძალები ცდილობენ გამოსვლების ჩახშობას ამჯერად უკვე არაერთ ქალაქში. ოპოზიციის მხარდამჭერმა ძალებმა ამჯერად იარაღიც აიღო, რათა განედევნათ სახელისუფლებო უსაფრთხოების ძალების თავიანთი ქალაქიდან. ამ დროს ხელისუფლების მხარდამჭერი მხარის განცხადებით „უსაფრთხოების ძალებმა მას შემდეგ გამოიყენეს იარაღი, რაც თავად ოპოზიციის მხარდამჭერებმა გახსნეს ცეცხლიო“. ძალადობა სწრაფადვე გავრცელდა და ქვეყანა ჩაიძირა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. შეიქმნა ამბოხებულთა შეიარაღებული დაჯგუფებები, სადაც ბევრი სამთავრობო ძალების სამხედრო მოსამსახურეც გაერთიანდა. უკვე 2012-2013 წლებში ამბოხებულებსა და სამთავრობო ჯარებს შორის შეტაკებებმა მოიცვა სირიის დედაქალაქი დამასკო და ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქი ალეპო. ამ პერიოდისთვის გაეროს შესაბამისი სამსახურების ინფორმაციით სამოქალაქო ომში დაღუპულთა რაოდენობა 90000 ადამიანს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით აღნიშნულმა ციფრმა უკვე 250 000 მიაღწია.

[20] არაბული ლიგა გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართავს http://www.amerikiskhma.com/a/article------23232-135806953/537552.html

და მაინც, ვინ ვის ებრძვის სირიაში?[21] - ქვემოთ წარმოდგენილია თითქმის ყველა ძირითადი სამთავრობო თუ არასამთავრობო ურთიერთდაპირისპირებული მხარე, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის მრავალეთნიკური და მრავალ-კონფესიური მოსახლეობისაგან. ასევე, რეგიონის და მის გარეთ არსებული დაინტერესებული სახელმწიფო სუბიექტები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენდნენ და კვლავ ახდენენ ზეგავლენას მიმდინარე პროცესებზე, თუმცა მათ ქმედებებს თუ უმოქმედობებს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დღემდე ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის მეტი არაფერი მოუტანია.

დაპირისპირებული მხარეები

სირიის შეიარაღებული ძალები - სანამ ამბოხება და ომი დაიწყებოდა სირიის შეიარაღებული ძალების რეგულარული ქვედანაყოფების რაოდენობა დაახლოებით იყო 325 000.[22] მათგან 220 000-მდე იყო სახმელეთო ქვედანაყოფები, ხოლო დანაჩენი საზღვაო და საჰაერო ელემენტები. გარდა ამისა რეზერვისტები დაახლობით 280 000 – 300 000. 2011 წლის ივნისის პირველი პროტესტის შემდეგ მრავალი სამხედრო მოსამსახურე განუდგა სახელისუფლებო ძალებს. 2012 წლისათვის სირიაში ადამიანის უფლებათა დამკვირვებელი ოფისისა (SOHR) და თურქული წყაროების ინფორმაციით მათი რიცხვი რამოდენიმე ათასს ითვლიდა.

ეროვნული თავდაცვის ძალები (NDF) - ეროვნული თავდაცვის ძალები ჩამოყალიბდა ხელისუფლების მხარდამჭერი სამოქალაქო ელემენტებისაგან. ისინი ხელფასებს და სამხედრო ფორმა-აღჭურვილობას იღებდნენ მთავრობისაგან. მათი რიცხვი დაალოებით 100000-სს აღწევდა.[23] ისინი მოქმედებდნენ როგორც ქვეითი ქვედანაყოფები ამბოხებულთა საწინააღმდეგოდ. მათ საარტილერიო და ლოგისტიკურ მხარდაჭერას უწევდა სირიის არაბული არმია.

---

[21] სამოქალაქო ომის ქრონიკა http://www.ghn.ge/com/news/view/140247
[22] Syrian armed forces. http://syriancivilwarmap.com/government-forces/
[23] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

ჰეზბოლა - ირანის სადაზვერვო სამსახურების ფილიალი „ჰეზბოლა“ რომელიც ირანმა 1980-იან წლებში ჩამოაყალიბა.[24] ჰესბოლას ჩართულობა სირიის ომში, რომელიც ამბოხის დაწყებისთანავე (2011 წლის ივნისის ბოლო) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. კიდევ უფრო გააქტიურდა ჩართულობა 2012 წელში. 2014 „ჰეზბოლა“ სტაბილურად იყო ჩართული და იბრძოდა ასადის რეჟიმის მხარდამხარ. ამ დროს მათი რიცხვი ათასეულებს აღწევდა. 2015 წლისათვის მათი რიგებიდან დაღუპულთა რიცხვმა 2000 ჯარისკაცი შეადგინა, ხოლო დაჭრილთა და დადაშავებულთა რიცხი 5000-მდე აღწევდა. ასადის დაცემის შემთხვევაში „ჰეზბოლა“ იზოლაციაში დარჩება, რაც მას ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს და შესაძლოა მისი განადგურებითაც დამთავრდეს.

სირიის თავისუფალი არმია (FSA)- შეიარაღებული ძალები, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წელს სირიის მთავრობის საწინააღმდეგო მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა ჩამოყალიბების დღიდან. მთავარ სამიზნეს ბაშარ ალ ასადი, ხოლო მთავარ მიზანს კი მოქმედი რეჟიმის დამხობა წარმოადგენდა. მისი წევრთა ძირითადი ნაწილი შედგებოდა სირიის სამთავრობო ძალებისაგან განდგომილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მოხალისეებისაგან. შექმნიდან რამდენიმე თვეში თავისუფალ არმიას კიდევ ერთი ახლადშექმნილი ფორმირება „თავისუფალ ოფიცერთა მოძრაობა“ შეუერთდა. ოპოზიციური არმიის 90 პროცენტს სუნიტები, 15 პროცენტს ქურთები, 5 პროცენტს კი ალავიტები შეადგენენ.[25] 2011 წლისათვის ამ შეიარაღებული დაჯგუფების რაოდენობა დაახლოებით 15000 -25000 ითვლიდა. მიუხედავად მათი საკმაო რაოდენობისა, იმ პერიოდისათვის მათ ვერც ერთ ტერიტორიაზე ვერ ჰქონდათ კონტროლი დამყარებული. 2012 წლის დეკემბერში სირიის თავისუფალი არმიის ბრიგადები გაერთიანდნენ ახლად ჩამოყალიბებული უმაღლესი სამხედრო საბჭოს (SMC) შემადგენლობაში, რადგანაც დასავლელ და ზოგიერთ არაბულ ქვეყნებს უნდოდათ ჩამოყალიბებულიყო ამბოხებულთა ე.წ. ზომიერი, ცენტრალიზებული და მტკიცე ხელმძღვანელობა.

[24] http://iveria.biz/176-siriis-omsi-ucxo-saxelmwifota-carevis-strategiuli-mizezebi.html
[25] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

2015 წლის ივლისის მონაცემებით, „თავისუფალ არმიაში“ 45-დან 60 ათასამდე მებრძოლი ირიცხება.[26] ძირითადად აღჭურვილნი არიან რუსული წარმოების იარაღით. ჩამოყალიბების დღიდან ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მათთვის საჰაერო მხარდაჭერის არარსებობა წარმოადგენს. ამის გამო ისინი ასადის მომხრე ფორმირებებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

ისლამური ფრონტი (IF) - კიდევ ერთი შეიარაღებული დაჯგუფებაა, რომელიც სირიის ტერიტორიაზე მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. 2013 წლის ბოლო პერიოდისათვის შვიდმა ისლამურმა დაჯგუფებამ გამოაცხადა, რომ ისინი აყალიბებენ „ამბოხებულთა უდიდეს ალიანსს“ სირიაში, რომელიც ითვლის დაახლოებით 45000 მებრძოლს. ამათსავე დეკლარაციაში ისლამური ფრონტი აცხადებდა, რომ მათი მიზანია „სირიის არსებული რეჟიმის ჩამოგდება და ისლამური სახელმწიფოს აშენება“. დეკლარაცია ხელმოწერილი იყო შემდეგი ჯგუფების მიერ: ჯაიშ ალ-ისლამი, აჰრარ ალ-შამი, ანსარ ალ-შამი, ქურთთა ისლამური ფრონტი, ლივა ალ-თავჰიდი, სუქოურ ალ-შამი და ლივა ალ-ჰაქქი. ისლამური ფრონტის შემადგენლობაში არ შედიოდა „სირიისა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) ალქაიდას სირიული დაჯგუფება „ალ-ნუსრას“ ფრონტი, თუმცა მათი წესდება მზადყოფნას გამოთქვამდა უცხოელი მებრძოლების თავის რიგებში მისაღებად. „ისლამური ფრონტისა“ და „ალ-ქაიდას“ შეხედულებები პრაქტიკულად იდენტური იყო თავიდანვე, ამდენად იყო შემთხვევები, როდესაც ისინი არა მხოლოდ ასადის რეჟიმს, არამედ „ისლამურ სახელმწიფოსაც“ ებრძოდნენ.

ალ-ნუსრას ფრონტი/ ჯაბჰათ ალ-ნუსრა - სირიის ჯიჰადისტთა დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთ თანამოაზრედ ითვლება. ისინი მასშტაბურ ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ და ასადის არმიას გამუდმებით ესხმიან თავს. დაჯგუფების მთავარ მიზანს სირიის მოქმედი რეჟიმის ჩამოგდება და ალავიტებისა და ქრისტიანებისგან სირიის გაწმენდა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა წარმოადგენს.[27] ეს დაგუფება შეიქმნა დაახლოებით 2011 წლის შუა პერიოდში. დაჯგუფებაში სხვადასხვა მონაცემებით, 6-დან 10

[26] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[27] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

ათასამდე მებრძოლი იყო გაწევრიანებული.[28] ოპოზიციური დაჯგუფებებისგან განსხვავებით, „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“ ყოველთვის კარგად გაწვრთნილი და შედარებით უკეთ შეიარაღებული მებრძოლები ჰყავდა, რომელთა თითქმის მესამედს დაქირავებული მებრძოლები შეადგენენ, მათ შორის კავკასიელები. სირიის ომში ეს დაჯგუფება ხასიათდება როგორც ყველაზე ეფექტური მებრძოლი ორგანიზაცია.

ბევრი მსგავსება იკვეთება ალ-ნუსრას დაჯგუფებასა და ამ დროს ერაყში მოქმედ ალ-ქაიდას დაჯგუფებას შორის, რომელთა წარმოშობის ისტორია მსგავსია და იწყება ადრეული 2000 წლებიდან. ჯაბჰათ ალ-ნუსრას სტრატეგიული გათვლები სამხედრო წარმატებების მიღწევასთან ერთად გარკვეულწილად უკავშირდებოდა ასევე მოსახლეოვბის მხარდაჭერის მოპოვებას, რისთვისაც საზოგადოებრივ საქმიანობებსაც ახორციელებდნენ და თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიებზე ქმნიდნენ პირობებს სოციალური სამსახურების ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული მათ ისლამურ სახელმწიფოსთან ერთგვარ მსგავსებადაც შეიძლება იქნას განხილული.

ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო (ISIS)

„ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“ არის ტერორისტული ჯიჰადისტთა დაჯგუფება, რომელმაც სირიისა და ერაყის დიდი ნაწილი დაიმორჩილა. იგი თავდაპირველად „ალ-ქაიდას“ ნაწილს წარმოადგენდა. დაჯგუფებამ თავის დედაქალაქად სირიული ელ-რაყა გამოაცხადა.[29] ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოქმნა ერაყში ამერიკული სამხედრო კამპანიის შედეგი იყო და მისი საწყისები დაკავშირებულია 2003 წლის სპარსეთის ყურის მეორე ომთან, კერძოდ როდესაც აშშ შეიჭრა ერაყში და შედარებით მცირე კოალიციური ძალების დახმარებით ჩამოაგდო დიქტატრი სადამ ხუსეინი. კოალიციური ძალებისა და ერაყის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა ექსტრემისტული ისლამისტთა დაჯგუფება ალ-ქაიდა ერაში (AQI). „ისლამური სახელმჭიფო“ (IS) შეიქმნა მოგვიანებით ალ-ქაიდას ერაყული განშტოებისაგან, რომელსაც დღემდე მეთაურობს აბუბაქრ ალ ბაღდადი. გავრცელებული ინფორმაციით იგი

[28] იქვე
[29] იქვე

დაიბადა ერაყში 1971 წელს. დაჯგუფებას დიდი სამსახური სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილმა ოფიცრებმა გაუწიეს, რომლებიც ერაყის ახალმა ხელისუფლებამ სამსახურიდან დაითხოვა. ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწრთვნილმა ერაყის არმიამ ისლამისტებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და რადიკალებს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქები თითქმის უბრძოლველად ჩააბარა. ომის პერიოდში დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ საბოლოოდ ჩამოშორდა. ამის შემდეგ ისლამისტებმა ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილის დაქვემდებარებაც შეძლეს. „ისლამურ სახელმწიფოს“ ანუ, როგორც მათ თავიანთ თავს უწოდეს - ხალიფატის გაფართოება სპარსეთის ყურესა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზეც სურდა. ამიტომ, დაჯგუფება ომს მთელ მსოფლიოს და „ალ-ქაიდას“ ზოგიერთ თანამოაზრე დაჯგუფებასაც უცხადებდა.

„ისლამური სახელმწიფო“ მიუხედავად ბოლო პერიოდში მასზე როგორც კოალიციური, ასევე ასადის რეჟიმის მოკავშირეთა მხრიდან განხორციელებული საჰაერო და სხვა ტიპის თავდასხმების შედეგან განცდილი დამარცხებათა სერიებისა, ამ პერიოდისათვის კვლავ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს აკონტროლებს დასავლეთ ერაყსა და სირიის არაბულ რესპუბლიკაში. მათ კარგად გამართული სააგიტაციო სისტემის წყალობით და გლობალური ინტერნეტ ქსელის დახმარებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით ადამიანის გადაბირება შეძლეს. დაპყრობილ ტერიტორიებზე კი სამოქალაქო ადმინისტრაციების მაგვარ ერთეულებს ქმნიდა, რითაც სხვა აქამდე არსებული შეიარაღებული დაჯგუფებებიდან გამოირჩეოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის სტილით, რომელიც შარიათის კანონებით იმართება. მიღწეული წარმატეტბების შედეგად მათ ხელში ჩაიგდეს ერაყსა და სირიაში მსხვილი სანავთობო ობიექტები, რაც მათ სოლიდურ შემოსავალს აძლევდა და შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. კონტრაბანდული ნავთობი იორდანიასა და თურქეთის ტერიტორიების გამოყენებით გაჰქონდათ და შედეგად მილიარდობით დოლარს იღებენ.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ ისარგებლა შექმნილი ქაოსით სირიასა და ერაყში, ახალი ერაყული არმიის არაკომპეტენტურობით, შეძლო ხელში ჩაეგდო კონტროლი ორივე ქვეყნის ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებზე, როგორიცაა ერაყში - ფალუჯა, ტიკრიტი და

მოსული, ხოლო სირიაში ძირითადი მათი წარმატება რაქასა და პალმირას ხელში ჩაგდება იყო. აღნიშნული პერიოდისათვის ჯიჰადისტთა ეს დაჯგუფება აცხადებდა, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა მებრძოლთა 100000 დაჯგუფება და მათი უმრავლესობა იყვნენ ევროპის ქვეყნებიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან და საუდიის არაბეთიდან.[30] ეს დაჯგუფება იყო ყველაზე სასტიკი და ბრძოლისუნარიანი და ეფექტური რეგიონში.

2014 წელს კოალიციური ძალების მიერ განხორციელებული იქნა საჰაერო დარტყმები „ისლამური სახელმწიფოს“ ძალების მიმართ, თუმცა მოგვიანებით შეწყდა, რათა გავრცელებული ხმების მიხედვით - აღნიშნულით არ ესარგებლა ასადის სამთავრობო ძალებს და არ გაეძლიერებინათ თავიანთი პოზიციები ე.წ. ზომიერი ოპოზიციის წინააღმდეგ. საჰაერო თავდასხმებში ჩაერთო რუსეთის ფედერაციაც, თუმცა სულ უფრო მეტი ადგილობრივი ამტკიცებდა რომ რუსეთის მიერ განხორციელებული დაბომბვები ძირითადად ანადგურებდა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ ამბოხებულებს და სამოქალაქო მოსახლეობას, ვიდრე ტერორისტებს.

მას შემდეგ რაც აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიციურმა ძალებმა ქურთთა ძალების მიმართ, ხოლო რუსეთმა ასადის ხელისუფლების ძალების მიმართ დახმარების აღმოჩნა დაიწყეს, „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაკარგა მის მიერ ხელში ჩაგდებული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ძირითადი დანაკარგები მიიღეს ქალაქებში: ერაყშიტი -კრიტი, ხოლო სირიაში - რამადი, კობანი, ჰასაკაჰ და პალმირა.

სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) - სირიის დემოკრატიული ძალები წარმოადგენენ ქურთი, არაბი, თურქმენი, ასირიელი და სომხური ეროვნების მებრძოლებისაგან შემდგარ ალიანსს, რომლებიც ძირითადად ებრძვიან „ისლამური სახელმწიფოს“, „ალ-ნუსრას“ ჯიჰადისტთა დაჯგუფებას. აღნიშნული დაჯგუფების მიზანია ჩრდილოეთ სირიაში როჯავას ფედერალური რეგიონის შექმნა და დაცვა.

ხალხის დამცველი გაერთიანება (YPG) - არის ქურთთა პოლიტიკური პარტიის (PYD) სამხედრო ფრთა. დაჯგუფებას აერთიანებს დაახლოებით 50000 მებრძოლს, მათ შორის

[30] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

ბევრია უცხოელი მებრძოლიც.[31] აღნიშნული დაჯგუფება სირიის ომში გამოჩნდა 2012 წლიდან, მას შემდეგ რაც სირიის არაბული არმია გავიდა ქურთთა ქალაქებიდან. აღნიშნულ გაერთიანებას შეტევითი ხასიათი არ გამოუვლენია საწყის პერიოდში, ძირითადად ორიენტირებული იყო თავდაცვითი ხასიათის მოქმედებებზე ქურთთა უმრავლესობით დასახლებებში და თავს არიდებდნენ სხვა ძალებთან შეტაკებებს ამ რაიონების გარეთ. დაჯგუფებამ შეცვალა ტაქტიკა მას შემდეგ რაც „ჯაბჰატ ალ-ნუსრამ“ ხელში ჩაიგდო ალ-აინის დასახლება. დაჯგუფებამ დაიწყო მიმდებარე ტერიტორიებზე თავდაცხმითი მოქმედებები მთავრობის კონტროლის ქვეშ, რათა შეეჩერებინა სირიის თავისუფალი არმიის ძალები, რომ მათ ხელში არ ჩაეგდოთ კიდევ უფრო მეტი ტერიტორიები რეგიონში. დაჯგუფება ძირითადად ებრძოდა ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს. საბოლოოდ ალ-აინის ბრძოლები დასრულდა 2013 წლის ივლისში „ხალხის დამცველი გაერთიანების“ გამარჯვებით.

სირიის სამოქალაქო ომის ე.წ. ამბოხებულთაშორისი კონფლიქტების გააქტიურებამ გამოიწვია შეიარაღებული დაპირისპირება სირიის თავისუფალი არმიასა და „ისლამურ სახელმჭიფოს“ შორის 2014 წლის იანვარში. ხალხის დამცველი გაერთიანება სირიის თავისუფალი არმიის ძალებთან ერთად ებრძოდა „ისლამურ სახელმჭიფოს“ ძალებს არ-რაქქას პროვინციაში. თუმცა საბოლოო შედეგის მიხედვით ამ ბრძოლებიდან „ისლამურმა სახელმჭიფომ“ საკმაო შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია და ჩამოაშორა ქ. როჯავას აღმოსავლეთი ნაწილი მის დანარჩენ ნაწილს. „ისლამური სახელმჭიფო“ 2014 წლის მარტში აგრძელებდა წარმატებულ ბრძოლებს ხალხის დამცველი გაერთიანების წინააღმდეგ თავდასხმებით კობანის რეგიონის მიმართულებით 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნული ბრძოლები ცნობილია როგორ სასტიკი სასაკლაო. აშშ-ს მიერ მართულმა კოალიციურმა ძალებმა აღნიშნული ბრძოლების დროს განახორციელეს ხალხის დამცველი გაერთიანების ახლო საჰაერო მხარდაჭერა. ანალიტიკოსების უმრავლესობა ელოდა „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ქურთების სწრაფ განადგურებას კობანიში, თუმცა ხალხის დამცველმა გაერთიანებამ აჩვენა მტკიცე წინააღნდეგობა, რომელმაც განაპირობა კიდეც მაშინ მათი გამარჯვება.

[31] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/

ამერიკული საჰაერო მხარდაჭერის წყალობით ხალხის დამცველი გაერთიანების დაგჯგუფებამ დაიწყო შეტევითი მოქმედებები ქ. ჰასაკაჰ-ის მიმართულებით და მის დასავლეთით, რომლის კულმინაცია იყო 2015 წლის ივლისში სასაზღვრო ქალაქის თელლ აბუადის ხელში ჩაგდება, რომელიც კობანისა და ჰასაკაჰ-ს აკავშირებს ერთმანეთთან. ამ შეტევითი ოპერაციის შემდეგ ქურთთა ძალებმა გააგრძელეს წარმატებული მოქმედებები იმ რაიონებშიც, სადაც მოსახლეობა არ წარმოდგენდა ქურთთა უმრავლესობას.

ქალთა დამცველი გაერთიანება (YPJ) - არის ქურთთა სამხედრო დაჯგუფება, რომელიც შეიქმნა 2012 წელს როგორც ხალხის დამცველი გაერთიანების ქალთა ბრიგადა. აღნიშნული დაჯგუფებები ორთავე არის ქურთთა პოლიტიკური პარტიის დაჯგუფებები, რომლებიც აკონტროლებენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილის დიდ ტერიტორიებს დასახელებით როჯავა. ორგანიზაცია საწყისი პერიოდისათვის აერთიანებდა დაახლოებით 10000 მოხალისე 18-დან 40 წლამდე ქალ მებრძოლს.[32] ქალთა დამცველი გაერთიანება მაშინ შეუერთდა თავის მოძმე დაჯგუფებებს სირიის სამოქალაქო ომში ისლამისტ ჯიჰადისტთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აღნიშნულმა დაჯგუფებამ დიდი როლი ითამაშა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში და სხვა ბრძოლებში კობანის ტერიტორიებზე.

ჯაიშ ალ-თუვარ/რევოლუციონერთა არმია - არის შეიარაღებულ ამბოხებულთა დაჯგუფება, რომელიც მონაწილეობს სირიის სამოქალაქო ომში და თავის რიგებში ითვლიდა 3000-მდე მებრძოლს.[33] მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერთა არმია აღნიშნავდა, რომ ისინი წარმოადგენენ „სირიის თავისუფალი არმიის“ ნაწილს, დაჯგუფება მაინც შევიდა დამოუკიდებლად შეიარაღებულ კონფლიქტში სხვადასხვა ჯიჰადისტურ დაჯგუფებებთან და ამბოხებულებთან. რევოლუციონერთა არმიის ელემენტებმა მოგვიანებით კიდევ უფრო გააღრმავეს კავშირები ქურთთა ხალხის დამცველ გაერთიანებასთან და შეუერთდნენ სირიის თავისუფალ არმიას.

[32] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[33] იქვე

ჯაიშ ალ-სანადიდი - მოსახლეობისაგან (არაბული თემი - შამმარ) ჩამოყალიბებული დაჯგუფებაა, რომელიც იბრძვის „ისლამურ სახელმწიფოსა“ და სხვა ჯიჰადისტთა დაჯგუფებების წინააღმდეგ. ალ-სანადიდის ძალები ჯაზირაჰს რაიონის მმართველთან და ამ რაიონის თემთა ლიდერებთან არიან ასოცირებული. დაჯგუფება 2015 წლისათვის ითვლიდა დაახლოების 9000 მებრძოლს.[34] ამა წლის დასასრულისათვის ისინი შეუერთდნენ სირიის დემოკრატიულ ძალებს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დაწყების დღიდან დღემდე სამოქალაქო ომში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული როგორც არასახელწიფო (შეიარაღებულ დაჯგუფებათა), ასევე სახელწიფო სუბიექტთა რაოდენობა და წარმომავლობა შეიძლება ითქვას უპრეცენდენტოა თავისი მასშტაბით. ასევე განსაკუთრებით მრავალფეროვანია ინტერესთა სპექტრი კონფლიქტში ჩართულ სახელმწიფო სუბიექტთებისა, რაზედაც დამატებით ქვემოთ გვექნება საუბარი. იმის მაგივრად, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებს ყველა ღონე ეხმარათ და გაეერთიანებინათ ძალები ქაოსისა და ძალადობის საწინააღმდეგოდ, მათ პირიქით, რეგიონში საკუთარი გავლენის მოპოვებისა თუ გაძლიერების მიზნით, თავიანთი ქმედებებით მხოლოდ ხელი შეუწყვეს და წაახალისეს უამრავი აქამდე გაუგონარი სისასტიკე. შედეგად მივიღეთ ის რაც მივიღეთ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოთა და არსახელმწიფო მოთამაშეთა ინტერესების კონფლიქტი, რომელმაც რეგიონი აქცია განუკითხაობისა და უკონტროლობის ზონად, სადაც ნგრევა და ადამიანთა ხოცვა ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობა გახდა.

საუდიის არაბეთი - როგორც ცნობილია საუდიის არაბეთის ინტერესებში შედის და ოდითგანვე შედიოდა მისი იდეოლოგიური მოწინაარმდეგის - შიიტური ირანის დასუსტება, რომელიც შეიძლება ითქვას სირიის პირველი მოკავშირეა ახლო აღმოსავლეთში. ამის გამო საუდიის არაბეთი ამარაგებს ამბოხებულებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით იორდანიისა და თურქეთის საშუალებით. იგივეს აკეთებენ ქუვეიტის სალაფიტი შეიხებიც თურქეთის საშუალებით.[35] გარდა ამისა ცნობილია, რომ ყატარი თავის მხრივ ასპონსორებს ისეთ რადიკასლურ ჯგუფებს, როგორიცაა „ჯაბჰათ ალ-

[34] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[35] იქვე

ნუსრა“ და „ალ-შაამი“, რომელიც ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ალ-ქაიდასთან“ დაახლოებული დაჯგუფებაა. სამივეს საერთო ინტერესია შიტური ირანისა და ზოგადად შიიტების დასუსტება, რის გამოც უარს არ ამბობენ რადიკალებთანაც კი ითანამშრომლონ თავიანთი მიზნების მისაღწევად. საბოლოო ჯამში ცხადია ზარალდება ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა - შიიტური ირანი სირიის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა, რომელიც დამასკოს აწვდის იარაღს, ფულს და სამხედრო მრჩევლებს. „ჰესბოლა“, რომელიც ირანის სადაზვერვო სამსახურის ფილიალია, დასაწყისიდანვე იყო ჩართული მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებებში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის, როგორც კრიზისში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი სუბიექტის და ირანის ინტერესები სირიაში ერთმანეთს ემთხვევა. სუნიტური სახელმწიფოებით გარშემორტყმულ თეირანს ასადის ალავიტური რეჟიმის გადარჩენა სურს. საკმაო მსხვერპლი ნახეს ირანელებმა, რომლებიც რუსებისგან განსხვავებით, ხმაურისა და აფიშირების გარეშე მონაწილეობენ სირიის კონფლიქტში. ცხადია, ოფიციალური სტატისტიკა არ მოიპოვება, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ალეპოსთან მარტო ერთ შეტაკებაში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (ელიტარული და რეჟიმის ფანატიკურად ერთგული შეიარაღებული დაჯგუფება) 13 მებრძოლი დაიღუპა.[36]

დიდი ალბათობით ირანის მხარდაჭერის გარეშე სირიის რეჟიმი მალევე ჩამოიშლებოდა. ზოგიერთის აზრით ირანი სირიას საერთო რელიგიური ფესვების გამო ეხმარება, თუმცა ეს მთლად ასე არაა. აქ მთავარ როლს გეოპოლიტიკური ფაქტორი თამაშობს. კერძოდ, მის ირგვლივ არსებული პროდასავლური სახელმწიფოების არსებობა აიძულებს მას აქტიური ზომები მიიღოს, რათა ჰყავდეს შეძლებისდაგვარად მეტი იდეოლოგიური მოკავშირე, რათა დარწმუნდეს, რომ რეგიონში მისი ინტერესები დაცულია გრძელვადიანად.[37]

გარდა ამისა, ბრძოლობს რა სირიაში, არა მარტო ახდენს თავისი იმპერიული ზრახვების რეალიზებას, არამედ შეიძლება ითქვას ფინანსურ სარგებელსაც პოულობს, რათა რუსეთს

[36] სამთა ლაშქრობა სირიაზე. http://factcheck.ge/article/samtha-lashqroba-siriaze/

[37] The Real Reason Why Iran Backs Syria. http://nationalinterest.org/feature/the-real-reason-why-iran-backs-syria-14999

გადაუხადოს მიწოდებული შეიარაღების საფასური. ისეთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორიცაა „Военное обозрение“ და „Красная звезда“ წერდნენ, რომ ირანს არ გააჩნია 900 მლნ დოლარი, რომელიც უნდა გადაეხადა რუსეთსათვის C-300 საჰაერო თავდაცვის საშუალებების მიწოდებისათვის. ექსპერტების აზრით იხდიდა მას სამარი მოქმედებებში მონაწილეობით სირიაში. ამასთან ერთად რუსეთისათვის საჰაერო ბაზების დათმობა და საჰაერო კორიდორი სირიის ქალაქების დაბომბვისაც ამ მომსახურების შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდნენ. კრემლის გეგმები სირიაში ირანთან დაკავშირებით კვლავ უცვლელია და იგი ოპოზიციის წინააღმდეგ საჭიროების შემთხვევაში სამარი ოპერაციების წარმობისათვის ფსონის დადება კვლავ ირანზე აქვს გადაწყვეტილი.[38]

თურქეთი - მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტი, თუმცა იგი სეკულარული სახელმწიფოა. ამ ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც შეიძლება ითქვას ცეცხლს ეთამაშებოდა, როდესაც საშუალებას აძლევდა ჯერ კიდევ "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წევრებს ქვეყნის ტერიტორიის გამოყენებისათვის, რათა ემკურნალად საკუთარი დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის და რაც ასევე მთავარია, გამოეყენებინათ ეს ქვეყანა ხელში ჩაგდებული კონტრაბანდული ნავთობის გასაღებისა და შედეგად მილიარდობით თანხების მობილიზებაში.[39]

სირიის კრიზისთან დაკავშირებით ანკარასა და ვაშინგტონს შორის უთანხმოებამ ბოლო პერიოდში კრიზისის შინაარსიც კი შეიძინა, რასაც საკმაოდ სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვა პრაქტიკულადაც და დიპლომატიურ არენაზეც. „დომინირებს არაპროგნოზირებადობა, გაურკვევლობა და სერიოზული კრიზისი. 2003 წლიდან ეს მართლაც ყველაზე მძაფრი კრისიზია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის“.[40]

---

[38]Россия хочет сбежать из Сирии, начав новую войну
http://vnews.agency/exclusive/48511-rossiya-hochet-sbezhat-iz-sirii-nachav-novuyu-voynu.html
[39]სამთა ლაშქრობა სირიაზე http://factcheck.ge/article/samtha-lashqroba-siriaze/
[40] რუსეთი ამერიკასა და თურქეთს შორის სირიის საკითხზე გაჩენილი უთანხმოებით ტკბება
http://factum.ge/geo/news/1/640

მაგრამ რას მოიტანს თურქების ახალი ინტერვენცია სირიაში? ანკარა „თავისუფალი სირიის არმიის“ დახმარებით „ისლამური სახელმწიფოს“ ალ-ბაბიდან გაძევებისთვის იბრძვის. გასული წლის 24 აგვისტო-სექტემბრის მდგომარეობით 600 ჯარისკაცით (ანუ ორი მექანიზირებული ბატალიონით და 10-12 სპეცდანაყოფით) დაწყებული ოპერაცია დღევანდელი მდგომარეობით 4000 თურქ ჯარისკაცს ითვლის.[41] თუმცა ალ-ბაბის ასაღებად ბრძოლა დროში გაიწელა და ანკარასა და ვაშინგტონს შორის ე.წ. კრიზისიც გამძაფრდა. გასული წლის დეკემბერში (27 დეკემბერს) პრეზიდენტმა ერდოღანმა აღნიშნა, რომ „ამერიკის თაოსნობით შექმნილი კოალიციის ძალებისგან თურქეთი შესაფერის მხარდაჭერას არ იღებდა“.[42] მან კოალიციის ძალებს „ისლამური სახელმწიფოს“, ქურთთა „სახალხო დაცვის შენაერთებისა“ და ქურთი ნაციონალისტების „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ მხარდაჭერაში დადო ბრალი და განაცხადა, რომ „ჩვენს ჭიპლარს ჩვენ თვითონვე მოვიჭრით და კოალიციასთან კავშირს გავწყვეტთო“[43].

რუსეთისა და თურქეთის მიერ გასული წლის 20 დეკემბერს ხელმწოერილი „მოსკოვის დეკლარაციის“ მიხედვით ანკარა აღიარებს სირიის ტერიტორიულ მთლიანობას. შესაბამისად თურქეთმა ალ-ბაბი „ისლამური სახელმწიფოსგან“ რომც გაათავისუფლოს, მან ის სირიის მთავრობას უნდა ჩააბაროს. ანალოგიურად უნდა მოიქცეს სირიის ჩრდილოეთ რაიონებთან მიმართებაში, რომელსაც ქურთი „სახალხო დაცვის შენაერთები“ აკონტროლებენ და რომელთაც აშშ უჭერს მხარს. რამდენადაც აშშ „ქურთისტანის მშრომელთა პარტიასთან“ დაკავშირებულ „სახალხო დაცვის შენაერთებს“ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში ადგილობრივ მოკავშირედ მიიჩნევს, ანკარაში ფიქრობენ, რომ: „ობამას „ქურთისტანის მშრომელთა პარტია“ ჩვენ თავს ურჩევნია.“[44] ამდენად გასაგებია არსებული უთანხმოების მიზეზი - ქურთული სეპარატიზმის პრობლემა, რომ არაფერი ვთაქვათ გასულ წელს ქვეყანაში განხორციელებულ ამბოხის მცდელობაზე,

[41] The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
[42] რუსეთი ამერიკასა და თურქეთს შორის სირიის საკითხზე გაჩენილი უთანხმოებით ტკბება http://factum.ge/geo/news/1/640
[43] იქვე
[44] იქვე

რომელსაც თურქეთი აშშ ინტერესებსაც კი მიაწერდა და ბოლოს, რუსეთთან შექმნილ ალიანსის დაკანონებასა და მის აქტიურ ინსტიტუციონალიზაციაზე.

მოკლედ, სირიაში სამი დიდი სახელმწიფო იბრძვის. სირიის დაშლა, წესით, არც ერთს არ აწყობს – თურქეთსა და ირანს, აქვთ რა სეპარატიზმის პრობლემები არც ზოგადად, ასეთი პრეცედენტის დაშვება სურთ და არც ქურთების გაძლიერება. ამავე დროს არც რუსეთს აწყობს. მას ურჩევნია, რომ მისი მოკავშირე მთელი და უვნებელი იყოს, მაგრამ არის კი ვითარებიდან ლოგიკური გამოსავალი, სირიის დაშლის გარდა? როდემდე აპირებს ეს სამი ქვეყანა ომს უცნობია. და ბოლოს, როგორც ჩანს, რუსეთ-თურქული ურთიერთობების ფონზე არ არის გამორისხული მოხდეს თურქეთის მიერ გარკვეული პრიორიტეტების გადახედვა. კერძოდ ეს შესაძლოა შეეხოს სირიის რეჟიმის ცვლილების საკითხსაც.

რუსეთის ფედერაცია - საყოველთაოდ ცნობილია, რომ სირიის მოქმედი რეჟიმი კატასტროფას ირანის, რუსეთის, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის დახმარებით უძლებდა.[45] ეს ქვეყნები ასადს იარაღით ამარაგებდნენ, ერაყი, ალჟირი და ვენესუელა კი დამასკოს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევდნენ. ჩინეთი და რუსეთი, რომლებიც მხარს უჭერენ ასადის რეჟიმს, არიან გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი ლოგიკური განმარტებების გარეშე ბლოკავდნენ რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ ყველა რეზოლუცას. ასევე ცნობილია, რომ მოსკოვი მუდმივად ამარაგებდა სირიის არმიას სხვადასხვა ტიპის საბრძოლო იარაღით. ახლო აღმოსავლეთში იარაღით ვაჭრობა ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის ერთ-ერთ მთავარი ეკონომიკურ ინტერესს. მისი სტრატეგიული ინტერესი კი ხმელთაშუა ზღვაზე წვდომა (ნავსადგური ტარტუსი) იყო. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ 2011 წლიდან მოყოლებული კრემლი ვერ ეგუებოდა აშშ-ს და მისი პარტნიორების ინტერვენციას ლიბიაში, რომელიც როგორც ცნობილია, სამოქალაქო პირების დაცვას უნდა მომსახურებოდა, თუმცა საბოლოოდ დასრულდა ლიბიის ლიდერის მოამარ კადაფის ჩამოგდებით. ეს კი დღესაც ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობრივი თემაა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მათ შორის სირიის საკითხშიც.

[45] ვინ ვის ებრძვის სირიაში?-სამოქალაქო ომის ქრონიკა http://www.ghn.ge/com/news/view/140247

ზოგადად, რუსეთისთვის სირიის რელიგიური (ალავიტური თუ სუნიტური) ფაქტორი მეორეხარისხოვანი იყო ყოველთვის, თუმცა რამდენადაც ასადი მისი უკანასკნელი ახლო მოკავშირეა რეგიონში, იგი იძულებულია აღნიშნული ფაქტორიც გაითვალისწინოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, რასაც საკმაოდ წარმატებულადაც ახერხებს კიდეც. ბოლო პერიოდში რუსეთმა იმასაც მიაღწია, რომ ოპერაციებში მონაწილეობისათვის ირანისაგან ერთ-ერთი მთავარი საჰაერო ბაზის გამოყენების უფლებაც მიიღო, რაც თეირანის გარკვეულმა პოლიტიკურმა წრეებმა სრულიად დასაშვებად მიიჩნიეს, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარვე იცოდნენ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საზოგადოებაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომაც ირანის ხელისუფლება ამ ამბის აფიშირებას ერიდებოდა და არაა გამორიცხული, საერთოდაც არ აპირებდა გახმაურებას, მაგრამ რუსებმა თავად ამცნეს ზარ-ზეიმით მთელ მსოფლიოს, რომ მათი ავიაცია ირანში დაეშვა. როგორც ცნობილია, ირანელ საზოგადოებაში ამ ამბავს უკმაყოფილება ტალღა მოჰყვა და სულ რამდენიმე დღეში თეირანმა რუსების გასტუმრების შესახებ განაცხადა. თავდაცვის მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ „რუსეთმა მთელი ეს ისტორია შოუს დასადგმელად გამოიყენა, რათა მთელი მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ ის კვლავაც ზესახელმწიფოა“. ირანის მთავრობამ საკუთარ მოსახლეობას აუხსნა, რომ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია ყატარის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების არდაშვება. ამ პროექტისთვის აუცილებელია სირიის ტერიტორიის გამოყენება, რითაც ფაქტიურად შეეცადა აღნიშნული პოლიტიკის გამართლებას გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების გამჟღავნებით.[46]

რაც შეეხება სირიის კრიზისში მოგვიანებით (2015 წლის სექტემბერი) რუსეთის უფრო აქტიურ სამხედრო ჩართულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით აშშ-ს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პოსტზე დასახელებული კანდიდატმა რექს ტილლერსონმა თქვა, რომ „რუსეთის გადაწყვეტილება შეჭრილიყო უკრაინაში, მოეხდინა ყირიმის ანექსია და მხარი დაეჭირა დიქტატორი ასადისათვის, არის შედეგი

[46] სირიის ომში უცხო სახელმწიფოთა ჩარევის სტრატეგიული მიზეზები. http://iveria.biz/176-siriis-omsi-ucxo-saxelmwifota-carevis-strategiuli-mizezebi.html

ობამას მიერ, როგორც პრეზიდენტის სუსტი და დაუზუსტებელი სიგნალებისა“.[47] თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგივე საინფორმაციო წყაროები საუბრობენ რექს ტილლერსონის ლოიალურ დამოკიდებულებაზეც პუტინის მიმართ. აღნიშნულისაგან განსხვავებით მოქმედმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ თქვა, რომ: „მიზეზი რუსეთის ჩარევისა იყო ისლამური სახელმწიფოს გაძლიერება“, რომელიც ასადის რეჟიმს ემუქრებოდა.[48] აქედან გამომდინარე, რეალობასთან ახლოსაა ის მოსაზრება, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ საშუალებით ასადის რეჟიმის დასუსტების მცდელობისაგან შესაძლოა აშშ-სა და მისი პარტნიორი ქვეყნების მიერ სარგებელი მართლაც მიღებულიყო, რომ არა რუსეთის უშუალო ჩართულობა და „საქმის გაფუჭება“. ამ ფონზე შესაძლოა რუსეთის მსგავსი ჩართულობა პოლიტიკურად გამართლებულიც კი იყოს იმ ორი მთავარი მიზეზის გამო: პირველი - კანონიერმა ხელისუფლებამ მოიწვია კანონიერებისა და წესრიგის აღდგენაში დახმარების თხოვნით და მეორე - საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა. ასე, რომ ყველა ლეგიტიმური საფუძველი რუსეთის ჩართულობისა შეიძლება ითქვას სახეზეა, ხოლო ის რასაც ეს ჩართულობა რეალურად ემსახურებოდა და დღემდე ემსახურება, ეს პოლიტიკური ხელოვნების თემაა, რასაც თავის სასარგებლოდ წარმატებულად იყენებს კიდეც რუსეთი. აქვე უნდა ითქვას, რომ „რუსეთი გონივრულად ავსებს აშშ-სა და თურქეთს შორის გაუცხოებით გამოწვეულ სიცარიელეს“[49] და მარჯვედ იყენებს აშშ-ს ნახევრად პარალიზებულ გადაწყვეტილების მიღების უნარს, რაც სავარაუდოდ ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებამდე გაგრძელდება, ხოლო რუსეთისა და თურქეთის ბოლოდროინდელმა თანამშრომლობამ, რაც ალეპოდან დარჩენილი ოპოზიციური ჯგუფების (ან მათი ნაწილის) ევაკუაციით დადასტურდა, აშშ და ევროპა სირიის საკითხში თითქმის თამაშიდან გაიყვანა. აღნიშნულის კიდევ ერთი დადასტურება იყო სამ მთავარ მოთამაშეს - რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის, რუსეთის დედაქალაქში - მოსკოვში 2016 წლის 20 დეკემბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომლის

---

[47] Sneak Peek: Rex Tillerson on Russia, China, and the Islamic Statehttp://www.breitbart.com/big-government/2017/01/11/sneak-peek-rex-tillerson-russia-china-radical-islam/

[48] Obama hoped to use Islamic State as leverage against Assad, John Kerry revealshttp://www.washingtontimes.com/news/2017/jan/10/obama-hoped-to-use-isis-as-leverage-against-assad-/

[49] რუსეთი ამერიკასა და თურქეთს შორის სირიის საკითხზე გაჩენილი უთანხმოებით ტკბება. http://factum.ge/geo/news/1/640

გარანტორადაც ზემოაღნიშნული სამი სახელმწიფო მოგვევლინა. თუმცა უკრაინის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი მისახვედრია თუ რამდენად სანდოა რუსეთის მიერ გაცემული თითოეული მსგავსი გარანტია. აღნიშნულ შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა - " პირველ რიგში ჩვენ საერთო ხედვა გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ სირიის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობას პატივი უნდა სცენ".[50] ზემოაღნიშნული განცხადება კი მინიმუმ ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებოდა: პირველი - სირიის ჩრდილოეთში ახალი ავტონომია არ ჩამოყალიბდება, რაც როგორც უკვე აღინიშნა თურქეთის პირდაპირი ინტერესებია ქურთებთან დაკავშირებით და რაც თურქულ-ამერიკული უთანხმოების ძირითადი ელემენტია; მეორე - სირია გარანტირებულად რჩება რუსული გავლენის ქვეშ, რაც ასევე ხელს უწყობს და მხარს უჭერს ირანის როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ და თუნდაც რელიგიურ - კონფესიურ ინტერესებს რეგიონში. ამავე შეხვედრაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მორიგი შეხვედრის შესახებ, რომელიც დაგეგმილია 2017 წლის 23 იანვარს.[51]

რაც შეეხება თავად ცეცხლის შეწყვეტის შეთანმებას და მის დაცვას, უნდა ითქვას, რომ „2016 წლის ბოლოს გამოცხადებულმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ პრაქტიკულად კოლაფსი განიცადა"[52] არა იმიტომ, რომ სირიის ოპოზიცია სერიოზულად არ განიხილავს და აღიარებს მას, არამედ იმიტომ, რომ ასადის რეჟიმმა და მისმა მოკავშირეებმა სულ სხვა დატვირთვა მიანიჭეს თავად პროცესს და სირიაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები გახდა ბრძოლის ე.წ. ახალი მეთოდი, „პროცესი ჩამოყალიბდა როგორც ხელსაწყო ტაქტიკური დონის სამხედრო წარმატების მისაღწევად, პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად და თამაშად ძალაუფლების მოპოვებისათვის"[53].

---

[50] სერგეი ლავროვი: რუსეთი, თურქეთი და ირანი სირიაში ყველაზე ეფექტურ ძალას წარმოადგენენ. http://www.ipress.ge/new/55274-sergei-lavrovi-ruseti-turqeti-da-irani-siriashi-yvelaze-efeqtur-dzalas-tsarmoadgenen

[51] ასტანაში სირიის საკითხზე მოლაპარაკებებზე შეიძლება აშშ მიიწვიონ.
Read more: https://sputnik-georgia.com/russia/20170115/234539733/astanashi-siriis-sakitxze-molaparakebebze-sheizleba-ashsh-miiwvion.html

[52] How ceasefires in Syria became another tool of warfare. http://edition.cnn.com/2017/01/05/opinions/ceasefires-tool-or-warfare-khatib-opinion/

[53] ასტანაში სირიის საკითხზე მოლაპარაკებებზე შეიძლება აშშ მიიწვიონ.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირველი შეთანხმება მიღწეული იქნა ჯერ კიდევ 2016 წლის თებერვალში და სწრაფადვე იქნა მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. შეთანხმება რუსეთის მხარის დაჟინებული მოთხოვნით შეგნებულად გამორიცხავდა „ისლამურ სახელმწიფოს“ და ჯაბჰათ ალ-ნუსრას დაჯგუფებებს, რასაც რუსეთი ამართლებდა იმით, რომ ესენი იყვნენ ტერორისტული დაჯგუფებები. ანალოგიური მიდგომა ჩამოყალიბდა სირიის ჩრდილოეთთან მიმართებაში, სადაც სირიის დემოკრატიული ძალები აგრძელებდნენ სირიის ჩრდილოეთით ამბოხებულთა მიერ ადრე ხელში ჩაგდებული ტერიტორიების კონტროლს, რითაც თურქეთს ეძლეოდა საბაბი მათზე საარტილერიო ცეცხლის განხორციელებისათვის. ამავე დროს, სირიის არმიაც აგრძელებდა შეტევებს მეამბოხეთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიების მიმართ ალეპოს მიდამოებში. აღნიშნული სამხედრო მოქმედებებით სირიის რეჟიმი და მისი მოკავშირეები ახდენდნენ ზეწოლას იმ ოპოზიციურ ძალების პოლიტიკურ წარმომადგენლებზე, რომელთაც თანხმობა განაცხადეს მიეღოთ მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში მხოლოდ იმ პირობით: თუ შეწყდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის განურჩეველი დაბომბვები, ჰუმანიტარული დახმარება იქნებოდა დაშვებული ამბოხებულთა მიერ კონტროლირებად დასახლებებში და სამოქალაქოთა ალყაში მოქცევები შეწყდებოდა, თუმცა არც ერთი ეს პირობა არ შესრულებულა, რაც იწვევდა მოლაპარაკებათა ჩაშლას. ამასობაში კი ასადის რეჟიმი თავის მხარდამჭერებთან ერთად ახორციელებდა მოპოვებული უპირატესობის ექსპლუატაციას.

მორიგი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მცდელობას ჰქონდა ადგილი 2016 წლის სექტემბერში, რაც შეიძლება ითქვას იყო პირველის სცენარის განმეორება, რამაც ასევე მიიყვანა რუსეთ-აშშ შეთანხმება კოლაფსამდე. კერძოდ აშშ საჰაერო დარტყმებმა რომლებიც გამიზნული იყო „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებებისათვის, შეცდომით (როგორც ცხადდება) დაბომბეს სირიის არმიის პოზიციები, რა დროსაც რუსული მხარის ინფორმაციით დაიღუპა სირიის არმიის სულ მცირე 62 სამხედრო მოსამსახურე.

Read more: https://sputnik-georgia.com/russia/20170115/234539733/astanashi-siriis-sakitxze-molaparakebebze-sheizleba-ashsh-miiwvion.html

შესაბამისად სირიის რეჟიმმა ოფიციალურად გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ანულირების შესახებ.

ბოლო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება არც ისე განსხვავებულია წინამორბედებისაგან. მიუხედავად გავრცელებული ხმებისა მისი შესრულების მაღალი მაჩვენებლების შეახებ, სირიის რეჟიმი და მისი მოკავშირეები კვლავ აგრძელებენ ამბოხებულთა მიერ დაახლებული ტერიტორიებზე ცეცხლის წარმოებას. აღნიშნულის შედეგად ამბოხებულთა მხრიდან ა.წ. 2 იანვარს გაჟღერდა ინიციატივა იმის შესახებ, რომ მათ ამის გამო შეწყვიტეს მონაწილეობა ე.წ. სამშვიდობო მოლაპარაკებებში. თუმცა, იგივე საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიუხედავად სირიის რეჟიმისა და მისი მოკავშირეების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების ცალმხრივი დარღვევებისა, ოპოზიცია თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ასტანაში ა.წ. 23 იანვარს დაგეგმილ სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები სირიაში გადაიქცა ბრძოლის წარმოების ხერხად. რუსეთი და სირიის რეჟიმი იყენებს ამ შეთანხმებებს მოპოვებული უპირატესობის ექსპლუატაციისათვის დამასკოს მიმართულებით, ზუსტად იგივენაირად, რაც განახორციელა 2016 წლის თებერვალში ალეპოს მიართ. ამ დროს მოპოვებული უპირატესობები სირიის რეჟიმსა და მის მოკავშირეებს აძლევდა და აძლევს საშუალებას სირიის თავისუფალი არმიის მოქმედებების შეღუდვის ფონზე თავისუფლად განეხორციელონ საკუთარი ქვედანაყოფების გადაადგილებები, დაეგეგმონ და განეხორციელონ მათზე გარშემორტყმა და თავდასხმები. ამდენად, ამჟამად არსებული შეთანხმებაც ასევე წარმატებით შეიძლება ჩაითვალოს რეჟიმისათვის მორიგ ხელსაყრელ გარემოებად დამატებითი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და ამბოხებულთა შევიწროებისათვის.

იგივე მეთოდები არაეთხელ გამოიყენა რუსეთმა საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე კონფლიქტის დროს, რა დროსაც დაშორიშორებულ ერთ-ერთ მხარეს შეასრულებინა შეთანხმების ყველა პირობა, გაატანინა შეიარაღება და გააყვანინა საბრძოლო შენაერთები კონფლიქტის ზონიდან, რა დროსაც მეორე მხარეს (ე.წ. აფხაზურ

მხარეს) პირიქით - მიაწოდა შეიარაღება, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, საკუთარი რეგულარული შენაერთებიც კი ჩართო მათ მხარდასაჭერად და ისე განახორციელა თავდასხმები ქართული მხარის მიერ კონტროლირებად დასახლებებზე და შედეგიც სახეზეა.

რუსეთი ცეცხლის შეწვეტის შეთანხმებებს იყენებს აგრეთვე სხვა მსგავსი მიზნების მისაღწევად. იგი შერჩევით აკუთვნებს ტერორისტის სახელს ნებისმიერ დაჯგუფებას, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სჭირდება მის სამხედრო ინტერესებს. მაგალითისათვის შესაძლებელია განვიხილოთ ჯაბჰათ ალ-ნუსრა, რომელსაც შეთანხმება არ ითვალისწინებდა, თუმცა მათ მაგივრად წინასწარ გამიზნულად, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით რუსებმა არაერთხელ დაბომბეს ამბოხებულთა მთავარი ქალაქი (ალეპოს შემდეგ) იდლიბი.

ცნობილია, რომ ბოლო პერიდის მოვლენებთან მიმართებაში სირიის რეჟიმი ზოგ შემთხვევებში არც კი ემორჩილებოდა რუსეთის ინსტრუქციებს ჰუმანიტარული დახმარების ამბოხებულების მიერ კონტროლირებად გარკვეულ ტერიტორიებზე დაშვების შესახებ. აშკარაა, რომ რუსეთი ვერ უზრუნველყოფს სრულად რეჟიმის მოქმედებების კონტროლს და მხარდაჭერას. რეჟიმსაც არ ძალუძს დამოუკიდებლად რუსეთის გარეშე მიზნების განხორციელება. ამ ფონზე აშკარაა, რომ ამ ე.წ. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელშეკრულებების ტაქტიკით აპირებს რუსეთი და სირიის რეჟიმი სირიის კრიზისის სამხედრო ძალით და არა პოლიტიკური დიალოგით მოგვარებას. აქედან გამომდინა ისმის კითხვა: იმ პირობებში, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა, რომ საგრძნობლად შეამციროს საკუთარი შეარაღებული ძალების რაოდენობა სირიაში და ეს მაშინ, როდესაც იგი ხელშეკრულების თანახმად დასახელებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტად, ვინ უნდა იყოს ის ძალა, რომელიც პრაქტიკულად აღასრულებს საჭიროების შემთხვევაში ამ ე.წ. „შავ სამუშაოს“ და დაიცავს ასადს? რა თქმა უნდა ეს იქნება ირანი, ზემოთ უკვე ჩამოთვლილი მრავალი მიზეზის გამო. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, რუსეთი აღნიშნული სამუშაოსთვის ჰპირდება ირანს დამატებით შეიარაღებას და საბრძოლო ტექნიკას. ამავე დროს ექსპერტები არ გამორიცხავენ ირანისა

და თურქეთის დაპირისპირებასაც, რასაც რუსეთი ალბათ დააკვირდება იმ ორი სამხედრო ბაზიდან, რომელიც ასადის რეჟიმმა მას დაუთმო. ექსპერტების აზრით, ზემოაღნიშნული წარმოადგენს დედააზრს, რომელიც დევს მოსკოვის სამშვიდობო შეთანხმების კომუნიკეში, რომელ შეთანხმებასაც მოსკოვმაც წინასწარ იცის, რომ ასადი და ჰეზბოლა არასოდეს დაიცავს.[54] რაც შეეხება თავად შეთანხმებას სამხედრო ბზებთან დაკავშირებით, „ტარტუსში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზის გაფართოების შესახებ შეთანხმება ძალაში 49 წლის ვადით შევიდა, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ იგი ავტომატურად გაგრძელდება 25 წლით. აღნიშნულ შეთანხმებას რუსეთმა და სირიამ 18 იანვარს მოაწერეს ხელი.[55]

ამერიკის შეერთებული შტატები - მთავარი ანტიასადური კოალიცია აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების მონაწილეობით ჩამოყალიბდა 2012 წელს. თავად აშშ ყოველთვის უარყოფდა სამხედრო ჩარევას საკუთარი ქვედანაყოფით სახმელეთო ოპერაციებში მიუხედავად 2013 წელს ასადის რეჟიმის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღით განხორციელებული შეტევისა, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იგი ძირითადად ასადის ზომიერი ოპოზიციის (მათ შორის ქურთების) საჰაერო მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა. აღნიშნულ მიდგომას ყოველთვის ჰყავდა როგორც მომხრეები, ასევე აქტიური მოწინააღმდეგეებიც. მომხრეები ძირითადად აპელირებდნენ თავის დროზე ამერიკის მიერ ახლო აღმოსავლეთში მიღებულ გაკვეთილებზე – ერაყული კამპანიაზე, რომელიც აშშ-ს მეტისმეტად ძვირი დაუჯდა. ათიათასობით დაღუპული და დაშავებული, ასეულობით მილიარდი დოლარი და რაც მთავარია, შელახული პრესტიჟი. ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა ობამასათვის, რათა მიუხედავად ამერიკისათვის რეგიონის მნიშვნელობისა, ერაყის მსგავსად საბრძოლო შენაერთებით ომში უშუალო ჩაბმის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიეღო. მათი აზრით დროა ახლა ეს გაკვეთილი სხვებმა

[54] Россия хочет сбежать из Сирии, начав новую войну. http://vnews.agency/exclusive/48511-rossiya-hochet-sbezhat-iz-sirii-nachav-novuyu-voynu.html

[55] რუსეთი სირიას ტარტუსში სამხედრო საზღვაო ბაზის გაფართოებაზე შეუთანხმდა. http://www.pia.ge/post/98147-ruseti-sirias-tartussi-samxedro-sazrvao-bazis-gafartoebaze-seutanxmda

მიიღონ, მათ შორის, რუსეთმაც, რომელსაც როგორც ირანის თავდაცვის მინისტრმა შენიშნა, „ძალიან უნდა, რომ კვლავ ზესახელმწიფოდ ჩათვალონ“.[56]

აშშ ყოველთვის ბრალს დებდა პრეზიდენტ ასადს და უშუალოდ მას აკისრებდა პასუხისმგებლობას ყველა იმ დანაშაულების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრიზისის დაწყების დღიდან და მოუწოდებდა მას წასულიყო და დაეტოვებინა თანამდებობა. აქვე ხაზს უსვამდა უფრო აქტიური პოლიტიკური მოლაპარაკებების საჭიროებას და დროებითი, გარდამავალი ადმინისტრაციის ფორმირების აუცილებლობას.[57] ხოლო რაც შეეხება უშუალო ჩარევას, იგი შემოიფარგლებოდა ძირითადად სირიის ე.წ. „ზომიერი“ ოპოზიციისადმი შეზღუდული სამხედრო დახმარებით, რომელიც გულისხმობდა სამხედრო ინსტრუქტორებითა და ტაქტიკუტური (საბრძოლო მანქანებისა და მძიმე ტექნიკის გარდა) დონის საცეცხლე საშუალებების მიწოდებას. რაც შეეხება „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ჯიჰადისტ ორგანიზაციებს, მათ წინააღმდეგ აშშ, როგორც საერთაშორისო კოალიციის ნაწილი, ახორციელებდა საჰაერო დარტყმებს ჯერ კიდე 2014 წლიდან. თუმცა, მათ მოგვიანებით შეწყვიტეს აღნიშნული საჰაერო დარტყმების წარმოება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი ამ გადაწყვეტილებას მიაწერდა აშშ-ს მხრიდან გარკვეული პოლიტიკური თუ სამხედრო დივიდენდების მიღებას. უფრო მეტიც, სხვადასხვა საკმაოდ ავტორიტეტული საინფორმაციო საშუალება საუბრობდა იმაზეც, რომ საწყის პერიოდში, ვიდრე რუსეთი უშუალოდ ჩაერეოდა თავისი შეიარაღებული ძალებით, აშშ თითქოს გარკვეულ იმედებსაც კი ამყარებდა „ისლამურ სახელმწიფოზე“ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მისი გამოყენებაში და ამ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მიმართებაში, რომელიც ასადს თითქოსდა აიძულებდა ეთანამშრომლა აშშ-ებთან და გამოეცხადებინა ე.წ. კაპიტულაცია. ზემოაღნიშნულის ერთგვარ დადასტურებად შეიძლება განხილული იქნას აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის სიტყვები, სადაც იგი ამბობს: „გაცილებით ადრე, ვიდრე რუსეთი საბრძოლო ქვედანაყოფები შევიდოდნენ, რეგიონში და კერძოდ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებების გამო, ჩვენ გვეგონა, რომ ასადი

[56] სამთა ლაშქრობა სირიაზე. http://factcheck.ge/article/samtha-lashqroba-siriaze/
[57] Syria crisis: Where key countries stand. http://www.bbc.com/news/world-middle-east-23849587

ითანამშრომლებდა ჩვენთან, თუმცა მან ამის მაგივრად რუსეთის პრეზიდენტის პუტინის დახმარება მიიღო“.[58] რასაც მალევე მოჰყვა აშშ ადმინისტრაციის კომენტარი, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მსგავსი მიდგომის პოლიტიკის არსებობას.

თავად აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას სტრატეგიას სირიის საკითხთან მიმართებაში ანალიტიკოსები ახასიათებენ, როგორც „არც ლიბერალურს და არც რეალისტურს“, რამაც განაპირობა ასადის მსგავსი ავტოკრატისათვის ხელისუფლების გრძელვადიანი შენარჩუნება. ე.წ. „ობამას დოქტრინას“ სულ უფრო ხშირად განიხილავენ იმდენად წარუმატებელს, რომლიც წარმოდგენაც კი საკმაოდ ძნელი იქნებოდა თავის დროზე. პოლიტიკურ წრეებში გავრცელებული აზრის მიხედვით, ობამას საგარეო პოლიტიკური იდეოლოგია, მთელი მისი პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-თვის მსოფლიო საქმეებთან დაკავშირებით „უკანა სავარძლის დაკავებით“ გამოიხატებოდა, რამაც აშშ-ი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით დააყენა იმ გზაზე, რომელმაც „მდგომარეობა მიიყვანა ტრაგუკულ შედეგამდე, სადაც ექსპანსიონისტები და ტირანები განაგებენ ვითარებას“ და რამაც ქვეყანაში სამოქალაქო კოლაფსი გამოიწვია.[59]

ბოლო პერიოდში აშშ-ევროკავშირი პოზიციების შესუსტების შედეგად ერთგვარი ცვლილებები შეინიშნება აშშ-ს პოლიტიკურ გზავნილებთან დაკავშირებით ასადის რეჟიმის პოლიტიკურ მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუ 2015 წლამდე, ჯერ კიდევ კრიზისში რუსეთის აქტიურ ჩარევამდე, აშშ-ევროკავშირის უპირობო მოთხოვნა იყო ასადის მიერ ხელისუფლების დაუყოვნებელი დატოვება და გარდამავალი ხელისუფლების ფორმირება, ამჟამად აშშ თანხმდება იმ აზრზე, რომ ასადის დაუყოვნებელმა წასვლამ შესაძლებელია უფრო უკონტროლო და ფეთქებადსაშიში ვითარება შექმნას და თანახმაა მისი ე.წ. თანმიმდევრული ჩანაცვლებისა. თუმცა იქვე

[58] Obama hoped to use Islamic State as leverage against Assad, John Kerry reveals. http://www.washingtontimes.com/news/2017/jan/10/obama-hoped-to-use-isis-as-leverage-against-assad-/

[59] The failure of Obama's 'liberal realism'. http://www.middleeasteye.net/columns/failure-president-obamas-liberal-realism-1693944900

ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „საბოლოო ჯამში სირიის პრეზიდენტის გადადგომა წარმოადგენს აუცილებელ პირობას საბოლოო მშვიდობის მიღწევისათვის“.[60]

და ბოლოს, აშშ-ის აზრით, სამთა კავშირის (რუსეთი-თურქეთი-ირანი) მიერ მიმდინარე ე.წ. სამშვიდობო თუ სხვა ტიპის პოლიტიკური მოლაპარაკებები შედეგს ვერ გამოიღებს, თუ შეთანმებებსა და მოლაპარაკებებში ჩართული არ იქნებიან ქვეყნის (სირიის) სუნიტი მოსახლეობის წარმომადგენლები. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯონ ქერიმ თქვა:“ თუ რუსეთი ასადის, ირანის და „ჰეზბოლას“ მხარეს დაიჭერს, ეს ყველაფერი მას სერიოზულ პრობლემად მოუბრუნდება რეგიონის იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა სუნიტია“.[61]

დასკვნა

სირიის კრიზისი, რომელიც ერთი შეხედვით მშვიდობიანი საპროტესტო აქციით დაიწყო გადაიზარდა ე.წ. მარიონეტულ ომში, სადაც მსოფლიო ზესახელმწიფოები ედავებიან პირველობას ერთმანეთს. თითქმის ექვსწლიანმა ომმა, არაოფიციალური მონაცემებით, 200 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, 10 მილიონამდე კი ლტოლვილად იქცა. არსებული კრიზისის ძირითადი მიზეზი სხვა დანარჩენთან ერთად, სახელისუფლებო მართვისა და კონტროლის ე.წ. ვაკუუმია, რომელიც საკუთარი მიზნების მისაღწევად წარმატებით გამოიყენეს ზემოაღნიშნულმა როგორც არასახელმწიფო, ასევე სახელმწიფო სუბიექტებმა (რუსეთი-სირია-ირანის ღერძი). პოლიტიკოსთა ნაწილის აზრით, მდგომარეობიდან გამოსავალი შესაძლებელია ყოფილიყო სირიის აღმოსავლეთ ნაწილში ე.წ. სალაფიტური ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფდა სირიის რეჟიმის იზოლირებას დანარჩენი ნაწილისგან, რომელიც ასევე მისაღები იქნებოდა ოპოზიციის მხარდამჭერი ხელისუფლებებისთვისაც. თუმცა ასადის ბოლო პერიოდის წარმატებებმა, რაც რუსული სამხედრო ჩარევით იქნა გამოწვეული, აშშ-ს ადმინისტრაციის წევრებს შორის გაჟღერებულ იდეასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი მიდგომები გააჩინა.

---

[60] США изменили позицию по отставке сирийского лидера. http://vnews.agency/newshead/16601-ssha-izmenili-poziciyu-po-otstavke-siriyskogo-lidera.html

[61] США изменили позицию по отставке сирийского лидера. http://vnews.agency/newshead/16601-ssha-izmenili-poziciyu-po-otstavke-siriyskogo-lidera.html

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის ერთ-ერთი ყოფილი მრჩეველის აზრით „ბრძნული იქნებოდა სირიასთან მიმართებაში ზოგიერთი ფუნდამენტალური საკითხისადმი ადმინისტრაციის მიდგომების გადახედვა“, რაც მდგარეობს იმაში, არსებული რეალობიდან გამომდინარე ასადის დაუყოვნებელი გადადგომის მოთხოვნა ძალაში არ უნდა დარჩეს. თუმცა უნდა გაიზარდოს ზეწოლა ასადზე და მის მხარდამჭერ ძალებზე, რათა აიძულოს იგი ითანამშრომლოს საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საბოლოოდ მის გადადგომას უკავშირდება.

ექვსი წლის წინ სირია მხოლოდ ვიწრო - ლოკალურ პრობლემას წარმოადგენდა, ხოლო დღეს იგი საერთაშორისო დონის პრობლემაა, რაც შედეგია გაუბედავი გადაწყვეტილებების და უშედეგო რიტორიკისა, ხოლო მოვლენების ამგვარ განვითარებასა და მისი არსებულ მდგომარებამდე მიყვანაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს როგორც რეგიონის, ასევე რეგიონის გარე სახელმწიფოთა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ინტერესებმა. სახელმწიფო სუბიექტებთან ერთად მოვლენათა არსებული სახით განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით არასახელმწიფო სუბიექტებს, რომელთა აღზევება და იმ სახით ჩამოყალიბება, რა სახითაც ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც ზემოთ აღინიშნა, განაპირობა ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოების როგორც უმოქმედობამ ასევე დესტრუქციულმა ქმედებებმა.

და ბოლოს, დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროს არ აქვს უფლება შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მხოლოდ მცირედი და ამავე დროს უშედეგო მცდელობებით, რომელსაც სირიის კრიზისთან მიმართებაში დღემდე ჰქონდა ადგილი და რამაც გამოიწვია ის, რომ დღეს რეგიონი და კერძოდ სირიის არაბთა რესბუბლიკა გადაქცეულია მსოფლიო მასშტაბის სამარ არენად.

ბიბლიოგრაფია

1. Identifying and Preventing Future Security Threats. http://www.global-economic-symposium.org/knowledgebase/the-global-polity/identifying-and-preventing-future-security-threats
2. The background of the conflict: http://syriancivilwarmap.com/ethnic-and-religious-groups-of-syria/
3. „არაბული გაზაფხული“. http://24hour.itdc.ge/news/story/89632-arabuli-gazafkhuli
4. არაბული გაზაფხულის შედეგები http://www.amerikiskhma.com/a/yearender-arab-spring--136227573/537664.html
5. სამოქალაქო ომის ქრონიკა http://www.ghn.ge/com/news/view/140247
6. არაბული ლიგა გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართავს http://www.amerikiskhma.com/a/article------23232-135806953/537552.html
7. სამთა ლაშქრობა სირიაზე. http://factcheck.ge/article/samtha-lashqroba-siriaze/
8. The Real Reason Why Iran Backs Syria. http://nationalinterest.org/feature/the-real-reason-why-iran-backs-syria-14999
9. Россия хочет сбежать из Сирии, начав новую войну. http://vnews.agency/exclusive/48511-rossiya-hochet-sbezhat-iz-sirii-nachav-novuyu-voynu.html
10. რუსეთი ამერიკასა და თურქეთს შორის სირიის საკითხზე გაჩენილი უთანხმოებით ტკბება. http://factum.ge/geo/news/1/640
11. სირიის ომში უცხო სახელმწიფოთა ჩარევის სტრატეგიული მიზეზები. http://iveria.biz/176-siriis-omsi-ucxo-saxelmwifota-carevis-strategiuli-mizezebi.html
12. Sneak Peek: Rex Tillerson on Russia, China, and the Islamic State. http://www.breitbart.com/big-government/2017/01/11/sneak-peek-rex-tillerson-russia-china-radical-islam/
13. Obama hoped to use Islamic State as leverage against Assad, John Kerry reveals. http://www.washingtontimes.com/news/2017/jan/10/obama-hoped-to-use-isis-as-leverage-against-assad-/
14. სერგეი ლავროვი: რუსეთი, თურქეთი და ირანი სირიაში ყველაზე ეფექტურ ძალას წარმოადგენენ. http://www.ipress.ge/new/55274-sergei-lavrovi-ruseti-turqeti-da-irani-siriashi-yvelaze-efeqtur-dzalas-tsarmoadgenen
15. Where key countries stand. http://www.bbc.com/news/world-middle-east-23849587
16. The failure of Obama's 'liberal realism'. http://www.middleeasteye.net/columns/failure-president-obamas-liberal-realism-1693944900
17. США изменили позицию по отставке сирийского лидера. http://vnews.agency/newshead/16601-ssha-izmenili-poziciyu-po-otstavke-siriyskogo-lidera.html.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

IV სემესტრის დოქტორანტი
ეკატერინე ქრისტესაშვილი

დოქტორანტის სემინარი

ოიამმართველობა-პარტნიორობისათვის მონაწილე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შედარებითი ანალიზი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე

თბილისი
2017

შესავალი

21-ე საუკუნეში მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ღია მმართველობას დემოკრატიული ალმშენებლობის პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. ღია მმართველობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიურ პროცესს და ეროვნული კონსენსუსის ჩამოყალიბებას მმართველობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ზრდის მოქალაქეთა ნდობას საკუთარი მთავრობისადმი და, შესაბამისად, აძლიერებს დემოკრატიულ წყობას. 2016 წელს გაეროს მიერ ჩატარებული "ჩემი მსოფლიო"-ს კვლევის შედეგების თანახმად, სხვადასხვა კონტინენტზე ადამიანები განათლების, ჯანდაცვის და დასაქმების გამართული სისტემების შემდეგ პრიორიტეტულად პატიოსან და ანგარიშვალდებულ მმართველობას ასახელებენ. მსოფლიო ბანკის 2016 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, საჯარო მმართველობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემად დასაელდა 40 ქვეყნის მოქალაქეებს შორის.

ღია მმართველობის პარტნიორობაში ქვეყნები 5 კონტინენტიდან ერთიანდებიან დემოკრატიულ პროცესების გასაძლიერებლად. ფორუმში თითქმის თავიდანვე აქტიურად ჩაერთნენ რიგი ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. მიუხედავად დასახელებული ქვეყნების განსხვავებული მმართველობის სტილისა, საკანონმდებლობაზის და კულტურულ-ისტორიული თავისებულებებისა, მათ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს მმართველობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესების ტრანსპარენტულობის და ინკლუზიურობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულ ქვეყნებში მეტ-ნაკლები წარმატებით ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც იბრძვის სახელმწიფო მმართველობაში საკუთარი ადგილის დასაკავებლად.

წინამდებარე ნაშრომში მე შევეცდები დავასაბუთო, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის უნიკალურმა მოდელმა მასში მონაწილე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ტრანსპარანტულობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა წაახალისა. ამასთანავე, ბუნებრივია, რომ მიღწეული შედეგები განსხვავდება ქვეყანათა სპეციფიკის, ისტორიულ-კულტურული და, თანამედროვე გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა გაიარეს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა ნაციონალური პოპულიზმის აღზევება, სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო სივრცის შეზღუდვა და

საზოგადოების უნდობლობა მთავრობების მიმართ, უთანასწორო ეკონომიკური განვითარების გამო საზოგადოების ნაწილს უკიდურესი გაღატაკება, ელიტარული კორუფციის აღზევება, რეგიონალური და გლობალური საგარეო პოლიტიკის გავლენა ქვეყნების შიგნით მიმდინარე პროცესებზე და ა.შ. ბუნებრივია, მსგავსი გამოწვევები ჩამოთვლილ ქვეყნების დემოკრატიზაციის ხარისხს ერთმანეთისაგან განსხვავებულს ხდის.

ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობის დადებით შედეგებზე საუბრისას, ასევე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თავად ფორუმის შესაძლო გავლენის ლიმიტაცია. ღია მმართველობის პარტნიორობა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელის წევრი ქვეყნები თავად ირჩევენ მათ მიერ განსახორციელებელ რეფორმებს და აცვლილებათა ფორმატს. რეფორმათა წარუმატებლობის შემთხვევაში ფორუმს ასევე არ აქვს საკმარისი ბერკეტები თავის წევრებზე ადექვატური ზეწოლის მოსახდენად. შესაბამისად, ღია მმართველობის პარტნიორობაში გაერთიანება მონაწილე ქვეყნებისათვის დემოკრატიზაციის აღმშენებლობის მიმართულებით ერთ-ერთი და არა უმთავრესი წამახალისებელი მექანიზმია.

ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითადი მიზნები

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) მრავალწევრიანი გლობალური ინიციატივაა, რომელის მთავარი მიზანი ღია მმართველობის წახალისება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა, ეროვნულდონეზე მმართველობის ეფექტურობის და, შესაბამისად, მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. ინოვაციები და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება ამ პროცესის თანმდევია. ინოვაციურ იდეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფორუმი არ კარნახობს ინდივიდუალურ წევრებს თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან მათ დასახული მიზნების მისაღწევად. ამას თავად ქვეყნები სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით საზღვრავენ და თავად ირჩევენ განსახორციელებელ მიზნებს და მათი შესრულების ინოვაციურ გზებს. პროცესი აბსოლუტურად ნებაყოფლობითია. წევრი ქვეყნები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებებს და ასევე ნებაყოფლობით უგზავნიან ღია მმართველობის პარტნიორობას მათი შესრულების შესახებ ინფორმაციას. მთავარია, რომ ქვეყნების მთავრობებმა მოქალაქეებთან კონსულტაციით განსაზღვრონ განვითარების კონკრეტული ტაპზე რეფორმის მათთვის საინტერესო პრიორიტეტები, მოძებნონ მათი გადაწყვეტის ინოვაციური, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გზები და განახორციელონ ეს უკანასკნელი.

ღია მმართველობის პარტნიორობას საფუძველი 2011 წელს ჩაეყარა რვა დამფუძნებელი მთავრობის მიერ (ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ნორვეგია, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, დიდი ბრიტანეთი და აშშ). აღნიშნულმა მთავრობებმა დაამტკიცეს ღია მმართველობის დეკლარაცია და შეიმუშავეს მისი შესრულების პირველი ეროვნული გეგმები. ამის შემდგომ ფორუმის წევრობის წინაპირობა სწორედ აღნიშნული დეკლარაციის აღიარება და სამოქმედო გეგმების წარმოდგენა გახდა.

დღეს ინიციატივაში მონაწილე ყველა ქვეყანა მმართველობის ძირითად მიმართულებებთში გაუმჯობესების მისაღწევად ახდენს ვალდებულებების აღების საჯარო დეკლარირებას. ქვეყნები ვალდებულებებს 2 წლიან ეროვნულსამოქმედო გეგმებში ასახავენ. ვალდებულებების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება. მიღწეულ პროგრესს

ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი აფასებს, რომელიც ძირითადად ეროვნული ექსპერტებისგან შედგება. მისი ანგარიშების სისწორეს ვაშინგტონში განლაგებული საერთაშორისო ექსპერთა პანელი ადასტურებს. გამოცემული ანგარიშები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, მოიცავს კონკრეტული ქვეყნების მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებებს და შესაბამის რეკომენდაციებს. ანგარიშგების აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს ეროვნული მთავრობების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მაღალხარისხს. შესრულებულ სამოქმედო გეგმას შემდეგ 2 წელზე გათვლილი ახალი გეგმა მოყვება, სადაც ეროვნული მთავრობები ახალი ვალდებულებების შესრულების გზებს და ვადებს ათანხმებენ სამოქალაქოსაზოგადოებებთან.

დღისათვის ინიციატივას 75 მონაწილე ქვეყანა ჰყავს სხვადასხვა კონტინენტებიდან, რომლებმაც მოახდინეს ღია მმართველობის დეკლარაციის ათვარება და ღია მმართველობის დარგში ერთობლივად 2500 ვალდებულების შესახებ გაკეთეს განაცხადი. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) OGP-ის აქტიური მხარდამჭერია მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით საკანონმდებლო ღიაობის კომპონენტში. ყოფილი საბჭოთა სივრციდან, როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, ღია მმართველობის ინიციატივაში მონაწილეობენ საქართველო, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. აზერბაიჯანი ამ ეტაპზე მიჩნეულია ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპთა საპირისპიროდ მოქმედ ქვეყანად და მას აქტიური წევრობის სტატუსი შეჩერებული აქვს. წევრობის კრიტერიუმებს ამ ეტაპზე აკმაყოფილებს ყაზახეთი, და საკვარაუდოდ უახლეს პერიოდში გახდება ფორუმის წევრი.

ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: https://www.opengovpartnership.org/

ღია მმართველობის პარტნიორობის დეკლარაცია, რეგიონების პოლიტიკა და წევრობის ძირითადი კრიტერიუმები

ღია მმართველობის დეკლარაცია 2011 წლის სექტემბერში 8 დამფუძნებელმა ქვეყანამ დაამტკიცა. მას შემდეგ დეკლარაციის აღიარება ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. მასზე მიერთებით ქვეყნები იღებენ ვალდებულებას "წვლილი შეიტანონ ღია მმართველობის კულტურის განვითარებაში, რაც აძლიერებს მოქალაქეებს, აუმჯობესებს მათ ყოფას და აძლიერებს 21-ე საუკუნის ღია მმართველობის იდეას" (იხილეთ დეკლარაციის ტექსტი). დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებთან ღიაობის პრინციპზე აგებული ურთიერთქმედებისას მიზნად ისახავენ სერვისების და სახელმწიფო რესურსების მართვის გაუმჯობესებას, ინოვაციური მიდგომების წახალისებას, უსაფრთხო საზოგადოებების ჩამოყალიბებას, საბოლოოდ კი, საკუთარი საზოგადოებების კეთილდღეობის ხარისხის გაუმჯობესებას". ამის მისაღწევად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას:

- საჯარო ინფორმაცია გახადონ მზარდადხელმისაწვდომი (მათ შორის სისტემატურად შეაგროვონ და მომხმარებლისთვის ხელსაყრელ ფორმატში გამოაქვეყნონ საჯარო მონაცემები, მათ შორის პირველადი, რათა მათი გაანალიზების შესაძლებლობა მისცენ დაინტერესებულ მოქალაქეებს/ორგანიზაციებს);

- ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე წაახალისონ სამოქალაქო მონაწილეობა (საზოგადოების ჩართულობა მთავრობის ეფექტურობას ზრდის) და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გახადონ ღია და ტრანსპარენტული; შექმნან საზოგადოებასთან კომუნიკაციის მექანიზმები და გააღრმავონ საზოგადოების მონაწილეობა სამთავრობო აქტივობების ჩამოყალიბებაში, შეფასებასა და მონიტორინგში;

- მმართველობა განახორციელონ პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების დაცვით, მათ შორის საჯარო მოხელეთათვის მაღალი ეთიკური სტანდარტებისა და ქცევის კოდექსების შესაბამისად, ქმედითი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებით, საჯარო ფინანსების ღიაობით და კანონის უზენაესობით;

- ღიაობისა და ანგარიშგების, მათ შორის სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გაზარდონ წვდომა ახალ ტექნოლოგიებზე; ინფორმაციის ურთიერთგასაცვლელად გამოიყენონ უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ელექტრონული პლატფორმები; უზრუნველყონ ახალი ტექნოლოგიების მოხმარების პროცენტის ზრდა როგორც საჯარო მოხელეებს, ასევე მოქალაქეებს შორის.

ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის დარგობრივი კრიტერიუმები ზემოაღნიშნულ დეკლარაციაში ასახულ პრინციპებს ეყრდნობა. კერძოდ, კანდიდატი ქვეყნების კანონმდებლობა და პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თისკალურ ტრანსპარანტულობას, შემოსავლების და აქტივების ღიაობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოქალაქეთა მზარდ ჩართულობას. მიიჩნევა, რომ აღნიშნული 4 დარგობრივი მოთხოვნა ხელს უწყობს წევრ ქვეყნებში ტრანსპარანტულობასა და საჯარო ანგარიშგებაზე გამიზნული მექანიზმების გაძლიერებას და საერთო ჯამში მმართველობის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების, ცოდნის ამაღლებას. ამრიგად, თორუმში გაერთიანებული ქვეყნები ამ მიმართულებით ცდილობენ საკანონმდებლო რეფორმების გატარებას, საკუთარი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებას, ტექნოლოგიების დახვეწას, და ა.შ., რათა აღნიშნული მიმართულებით პროგრესს მიაღწიონ.

გარდა აკუმულირებული ცოდნისა, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივა მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევს ერთმანეთთან ითანამშრომლონ და ერთმანეთის საუკეთესო პრაქტიკა გამოიყენონ/მიუსადაგონ საკუთარი ქვეყნების საჭიროებებს. წევრი ქვეყნები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს რეგიონალურ და გლობალურ ონლაინ ფორუმებზე, შესაბამისად, მათ უშუალოდ ეძლევათ საშუალება განიხილონ ერთნამეთის მიღწევები და ისწავლონ ერთმანეთისგან. ბოლო წლებში დამკვიდრდა დეკემბრის თვეში ორგანიზაციის თავჯდომარეობის ქვეყნებში მსოფლიო სმიტების გამართვა.

2014 წელს ფორუმმის სამეთვალყურეო კომიტეტმა 'საპასუხო პოლიტიკის' სახელთ წოდებული ახალი რეგულაცია დაადგინა, რომლის მეშვეობით შეეცადა მეტი კონტროლი დაეწესებინა წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე და, რაც მთავარია, ღია მმართველობის დეკლარაციის პრინციპების დაურღვევლობაზე. პოლიტიკის სრული დასახელებაა: "ღია მმართველობის დეკლარაციაში ასახული პრინციპების და ფასეულობების დაცვა". რეგულაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წევრი ქვეყნების მიერ სამოქალაქო საზოგადოებისათვის

თავისუფალი საქმიანობის სივრცის უზრუნველყოფას, რამდენადაც ქვეყანათა განვითარების განსხვავებული დონეების მიუხედავად მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებს ქონდეთ თავისუფალი აზრის ქონის და მისი გამოხატვის, თავისუფალი ასოცირების/გაერთიანების საშუალება. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პრინციპის მნიშვნელობას ასევე დამატებით ხაზს უსმევს ღია მმართველობის პარტნიორობის 2015-18 წლების სტრატეგიულ დოკუმენტში ასახული ცვლილების თეორია.

კონკრეტული ქვეყნების მიმართ რეგირების პოლიტიკის ამოქმედების ყველაზე გავრცელებული მიზეზი შეიძლება გახდეს შემდეგი გარემოება:

- სამოქალაქო საზოგადოებისათვის და მოქალაქეებისათვის ინფორმაციის თავისუფლების შემზღუდავი ახალი პოლიტიკის/რეგულაციების შემოღება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სამოქმედო არეალის, კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის, ასევე საშინაოდა საგარეო დონორებისაგან დაფინანსების მიღების შემზღუდავი რეგულაციების/პოლიტიკის დაწესება;
- სამოქალაქო საზოგადოების პრინციპთა შელახვა და ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესით მანიპულირება (მხოლოდ 'სამთავრობო' არასამთავრობო რგანიზაციებთან თანამშრომლობა);
- ძირითად თავისუფლებათა (გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლებები) შემზღუდავი პოლიტიკის/კანონმდებლობის დაწესება;
- მედია საშუალებების (მათ შორის ელექტრონული) თავისუფლების, დამოუკიდებლობის შემზღუდავი, ასევე მედიის საკუთრებაში ფლობის შემზღუდავი რეგულაციების შემოღება.

ქვეყნები, რომელთა წინააღმეგ გამოყენებულიქნება 'რეაგირების პოლიტიკა" მაქსიმუმ ერთი წელი დარჩებიან პარტნიორობის მონაწილედ. თუ ამ 'დროის განმავლობაში მათ ვერ გამოასწორეს მდგომარეობა, მათ დიდი ალბათობითა.წ. 'არამოქმედ' ქვეყანათა სტატუსს მიანიჭებენ, რითაც მათ პრაქტიკულად შეუჩერდებათ ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობა მდგომარეობის გამოსწორებამდე. დღეისათვის ერთადერთი ქვეყანა, რომლის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული მსგავსი ზომა -აზერბაიჯანია.

აღნიშნული მექანიზმის მოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: https://www.opengovpartnership.org

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიღწევები ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ღია მმართველობის პარტნიორობაში 2011 წლიდან ჩართული არიან საქართველო, სასომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ლიტვა და ლატვია. პროცესს 2012 წელს ესტონეთი მიუერთდა. აღნიშნულ ქვეყნებს სხვადასხვა ვალდებულებები აქვთ აღებული და სხვადასხვა ტემპით და შემართებით ახორციელებენ მათ შესრულებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, აზერბაიჯანს 2015 წლის აპრილიდან შეჩერებული აქვს ფორუმში მონაწილეობის აქტიური მონაწილის სტატუსი.

	მიმდინარე საქმიანობა/გეგმების თემატური პრიორიტეტები								
ქვეყანა	შესრულების სტატუსი/შესრულების პროცენტი (შუალედური ანგარიშები)	აღებული ვალდებულებები	ფისკალური ტრანსპარანტულობა	კანონმდებლობა და რეგულაციები	მონაცემთა მენეჯმენტი	ელექტრონული მმართველობა	საზოგადოების ჩართულობა	საჯარო სერვისების მიწოდება	დაპირებათა შესრულების თვით შეფასება (შუალედური ანგარიშები)

აზერბაიჯანი	არააქტიური (2016)								
სასომხეთი	აქტიური /	26			75%	100%	88%		
საქართველო	აქტიური /50%	64		24		75%	58%	42%	
ლატვია	აქტიური /76%	26		33%		33%	22%		
ლიტვა	აქტიური /25%	23	22%			78%			
ესტონეთი	აქტიური /60%	31				67%	67%	44%	
უკრაინა	აქტიური /65%	62		31%		54%	23%		65%
მოლდოვა	აქტიური /50%	56				100%	25%		

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანი დღესდღეობით არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის მიმართებითაც ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა აქტიური მონაწილის სტატუსის შეჩერება. უფრო კონკრეტულად, ამ ეტაპზე აზერბაიჯანი იმყოფება რეაგირების პოლიტიკის გადახედვის ქვეშ. 2015 წლის აპრილში, მექსიკაში ჩატარებულ მინისტრთა დონის სამეთვალყურეო კომიტეტის შეხვედრაზე აზერბაიჯანს ერთი წლის ვადა მისცეს ღია მმართველობის პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპთა აღსადგენად საკუთარ ტერიტორიაზე. აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოებისათვის სამოქმედო არეალის მზარდი შეზღუდვა მიჩნეულ იქნა ღია პარტნიორობის მმართველობის პრინციპებთან შეუთავსებლად.

ერთი წლის თავზე აზერბაიჯანის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მას მიენიჭა არააქტიური ქვეყნის სტატუსი. ამასთანავე მას მაინც აქვს საშუალება მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს და მხარდაჭერის განყოფილების, ღია მმართველობის პარტნიორობის სამუშაო ჯგუფების და სხვა მონაწილე ქვეყნების დახმარება. ამ პერიოდში აზერბაიჯანის მთავრობამ უნდა წარმოადგინოს განახლებული სამოქმედო გეგმა და ჩამოაყალიბოს ახალი ვალდებულებები კრიტერიუმთა და სტანდარტთა ქვეკომიტეტის რეკომენდაციათა საპასუხოთ. ამ მხრივ, ძირითადი აქცენტი, რასაკვირველია, სამოქალაქო საზოგადოების მოქმედებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაზეა.

აზერბაიჯანის მთავრობასა და ღია მმართველობის პარტნიორობის შესაბამის ორგანოებს შორის მიმდინარე მიმოწერა მოწმობს, რომ აზერბაიჯანის მხარე არ ეთანხმება დასკვნას მის ტერიტორიაზე სამოქალაქო საზგადოების საქმიანობის შეზღუდვებთან დაკავშირებით. მეტიც, აზერბაიჯანის მთავრობის აზრით, პირველი სამოქმედო გეგმის შესრულება 75%-ს უტოლდება და ამ ეტაპზე აზერბაიჯანი მზადაა დაიწყოს რიგით მეორე, 2016-2018 წლებზე გათვლილი სამოქმედო

გეგმის იმპლიმენტაცია, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობის შეფასებით, მომზადდა სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან მჭიდრო კონსულტაციით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და სამოქალაქო ჩართულობის გასაღრმავებლად 2016 წელს დიალოგის პლატფორმა „ჩამოყალიბდა ანტიკორუფციული კომისიის, პარლამენტის, რიგი სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ქმედებით. სამოქმედო გეგმაში ასევე ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა უშუალოდ მოაწერა ხელი განკარგულებას სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური დახმარებისათვის საერთაშორისო დონორთა ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრების შესახებ. აზერბაიჯანელებს სჯერათ რომ ასეთი მიდგომით არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუადვილებენ საგარეო გრანტებზე ხელმისაწვდომობას. პრეზიდენტის განკარგულებას საპარლამენტო გადაწყვეტილებაც მოჰყვა საგრანტო კონტრაქტების რეგისტრაციის შესახებ. და ასე შემდეგ.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის კონტენტი აშკარად მიანიშნებს, რომ აზერბაიჯანის მთავრობას კარგად არ აქვს გააზრებული რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ადექვატური სამოქმედო ასპარეზის, ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება. სავარაუდოდ მას ამ ეტაპზე არ აღუდგება ღია მმართველობის პარტნიორობის აქტიური მონაწილის სტატუსი. ასევე შესაძლებელია, აზერბაიჯანის მაგალითზე თავად ფორუმმაც მეტად დახვეწოს იმ ქვეყნებზე რეაგირების ინსტრუმენტები, რომლებიც არ იცავენ სადამფუძვნებლო პრინციპებს, კერძოდ, პირდაპირ არღვევენ ღია მმართველობის დეკლარაციას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მყიფე პოზიციისა, აზერბაიჯანის მთავრობა დიდი შემართებით ცდილობს ღია მმართველობის პარტნიორობის შესაბამის ორგანოებს დაუმტკიცოს მის მიერ ვალდებულებების შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯების ქმედითობა. დემოკრატიზაციის მიმართულებით აზერბაიჯანში არსებული გამოწვევების მიუხედავად, ქვეყნის მთავრობისთვის მაინც მნიშვნელოვანი რჩება საერთაშორისო ფორუმებში ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის კონტექსტში მოხსენიება.

სასომხეთი

სასომხეთმა დღემდე 3 სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელთა შესრულების შეფასება ღია მმართველობის პარტნიორობის ავტორიზირებულ ორგანოს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს გაკეთებული. შესაბამისად, საჯარო არ არის ინფორმაცია სომხეთის მიერ ვალდებულებათა შესრულების პროცენტულ/თემატური შედეგების შესახებ. არსებობს მხოლოდ სომხეთის მიერ შესრულების ხარისხის თვითშეფასების ანგარიშები, რომელთა თანახმად პირველი სამოქმედო გეგმის შესრულება 53%, ხოლო მეორე სამოქმედო გეგმის 36% შეადგინა. ორივე სამოქედო გეგმა ძირითადად მიზნად ისახავდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა ჩართულობის, საჯარო

ანგარიშგების გაუმჯობესებას და ტექნოლოგიების/ინოვაციების დანერგვას. ღია მმართველობის პარტნიორობის რეკომენდაციებიც სასომხეთის მიმართ ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებს. კერძოდ, ხაზგასმულია 3 ძირითადი მიმართულება, სადაც საჭიროა მდგომარეობის გამოსწორება:

- სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესება, განსაკუთრებით რეგიონებში;
- ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპთა პოპულარიზაციის მიზნით საჯარო კამპანიების ინიცირება, და
- საჯარო შესყიდვებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებში ვალდებულებების შემუშავება.

წინა წლებში ღია მმართველობის პარტნიორობის ანგარიშგების დამოუკიდებელმა მექანიზმმა სასომხეთს მისცა რიგი რეკომენდაციები, მათშორის ურჩია:

- საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება ინფორმაციის თავისუფლების და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში;
- ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოების საქმიანობის ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვის სფეროში დაფინანსების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;
- მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა შემოსავლების და ქონების დეკლარაციების ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო პოლიტიკის და კანონმდებლობის შემუშავების პროცესების ღიაობის, ტრანსპარანტულობის, მონაწილეობის და ანგარიშგების უზრუნველყოფა. და სხვა მსგავსი რეკომენდაციები

სომხეთთან მიმართებაში ანგარიშგების დამოიუკიდებელი მექანიზმის რეკომენდაციებში დომინირებს ღიაობის, ტრანსპარანტულობის, პროცესთა კონსოლიდაციის/დეექვატური მართვის, ასევე მოქალაქეთა ჩართულობის უზრონველყოფის მოთხოვნები. აშკარაა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის პოსტ საბჭოთა ქვეყნებს შორის სომხეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფორუმის პრინციპთა სწრაფდა ეფექტურ შესრულებაში.

სომხეთის მიმდინარე სამოქმედო გეგმა თარიღდება 2016-2018 წლებით.

უკრაინა

ღია მმართველობის პარტიორობის წევრობის სურვილი 2011 წელს უკრაინის მთავრობამ ქვეყანაში დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთგულებით დაასაბუთა. ოფიციალურ წერილში ნათქვამი იყო, რომ უკრაინის მთავრობა გეგმავდა საჯარო აქტივობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმთა დახვეწას, საჯარო ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის ზრდას, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებას და მმართველობის ეფექტურობის გაუმჯობესებას (ადმინისტრაციული სერვისების ხარისხის ზრდას და ელექტრონულ მმართველობის განვითარებას). დღემდე მიღწეულშედეგთა ჩამონათალშია:

- **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაუმჯობესება,** რაც ძირითადად მოხდა: (ა). საკანონმდებლო აქტებში არასამთავრობო ორგანიზაციების და საქ„ველმოქმედო ფონდების უფლებათა გაუ„მჯობესებით; (ბ). სამთავრობო ვებ-გვერდის "სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობა" ამოქმედებით, სადაც შესაძლებელია სამთავრობო პროექტების ირგვლივ დისკუსიის გამართვა; (გ). დიდი რაოდენობით საჯარო კონსულტაციების გამართვით.

- **საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**, რაც მიღწეულ იქნა: (ა). შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედებით და მოქალაქეებისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებით.

- **კორუფციასთან ბრძოლა** წარიმართა: (ა) 5 შესაბამისი კანონის მიღებით; (ბ). კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის საჯარო განხილვით და შეთანხმების მიღწევით მისი ზოგიერთი ასპექტის გაუმჯობესების შესახებ.

- **მმართველობის ეფექტიანობის ზრდა** მიღწეულ იქნა: (ა) ადმინისტრაციული სერვისების შესახებ კანონის მიღებით; (ბ). ადმინისტრაციული სერვისების 140 რეგიონალური ცენტრის დაარსებთ; (გ). საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგიის დამტკიცებით; (დ). "ელექტრონული მმართველობის ერთი ფანჯრის პრინციპის" სისტემის დანერგვის პირველი ეტაპისთვის განსახორციელებელ ქმედებებზე შეჯერებით; (ე). ადმინისტრაციული სერვისების რეგიონებში განსახორციელებლა დელექტრონული სერვისების ამუშავებით.

დღეს უკრაინა რიგით მესამე 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესშია. გეგმის შემუშავება უკრაინას ნახევარ წელზე მეტი ხნით დაუგვიანდა, რაზეც 2016 წლის 14 ნოემბერს უკრაინის ვიცე-პრემიერმა პარტნიორობის მხარდაჭერის განყოფილებიდან მიიღო გამაფრთხილებელი წერილი[iii], რომლის თანახმადაც უკრაინას ეძლეოდა დამატებითი ვადა მისი ახალი სამოქმედო გეგმის წარმოსადგენად და ევალებოდა ყველა თვითშეფასების ანგარიშის დროულად ჩაბარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორუმის მიერ დადგენილი წესების დარღვევის გამო უკრაინის საკითხი განსახილველად გადაეცემოდა კრიტერიუმთა დ სტანდარტთა

ქვეკომიტეტს. აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობაში ქვეყნის სტატუსის განსაზღვრა სწორედ დასახელებული ქვე-კომიტეტის პრეროგატივაა.

მოლდოვა

მოლდოვა ღია მმართველობის პარტნიორობას დაწყებული ელექტრონული მმართველობის რეფორმის კვალდაკვალ მიუერთდა და ძირითადი აქცენტი ტრანსპარენტულობაზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ანგარიშგებაზე, მოქალაქეთა ჩართულობაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე გააკეთა. მას შემდეგ პროგრესი იქნა მიღწეული, მათ შორის შემდეგი მიმართულებებით:

- **ღია მონაცემთა ინიციატივის** ფარგლებში დამტკიცდა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი კანონი საჯარო ინფორმაციის შესახებ, რასაც მოჰყვა საზოგადოებისათვის დიდი რაოდენობით ელექტრონული მონაცემების ხელმისაწვდომობა, მათ შორის საჯარო დანახარჯების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, მიწის კადასტრის და საჯარო მოხელეთა შემოსავლების დეკლარაციების ღიაობა. მოლდოვის მთავრობა აგრძელებს ღია მონაცემთა კონსოლიდაციის პროცესს.
- მოქალაქეთათვის და კერძო სექტორისათვის განვითარდა **ელექტრონული საჯარო სერვისები**, როგორიცაა ელექტრონული ლიცენზირება, ელექტრონული ანგარიშგება, მობილური ხელმოწერა და საჯარო სერვისების ელექტრონულად შეძენა. ელექტრონულ სერვისთა რიცხვი იზრდება და მათ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პორტალზე: www.servicii.gov.md.
- საჯარო სექტორსა და მოქალაქეებს შორის გააქტიურდა კომუნიკაცია სოციალური მედიის და მოქალაქეთა ჩართულობის პორტალის მეშვეობით.

2017 წლის 12 იანვარს მოლდოვის ტექნოლოგიების და კომუნიკაციების მინისტრმა გამაფრთხილებელი წერილი მიიღო ღია მმართველობის პარტნიორობის უფროსი აღმასრულებელი ოფიცრისგან, რომლის თანახმადაც ქვეყანას მესამე სამოქმედო გეგმის წარდგენის ვადა 6 თვით გადაიწია 2017 წლის 30 ივნისზე. მოლდოვისგან ელიან 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის წარდგენას.

ლატვია

ლატვია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრონული მმართველობის გაუმჯობესებას, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწას და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას მმართველობის პროცესებში. ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითადი პრინციპების

განხორციელება ლატვიას სურს მმართველობის ყველა (ლოკალურ, რეგიონალურ, ეროვნულ, ასევე საერთაშორისო) დონეზე. "სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით ლატვიამ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, სადაც აღწერილია ადამიანებზე ორიენტირებული, ეფექტიანი, ღია და პატიოსანი საჯარო ადმინისტრირების და მმართველობის მისაღწევად გასავლელი გზა", აღნიშნულია 2011 წლის სექტემბერში ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობაზე გაკეთებულ განაცხადში.[iv] ლატვიის ძირითადი მიზნები კიდევ ერთხელ შეგვიძლია შემდეგგვარად ჩამოვაყალიბოთ:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების და ზოგადად საზოგადოების ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება;
- საჯაროსერვისების ხარისხის ზრდა;
- კორუფციის შეზღუდვა;
- ინფორმაციის თავისუფლების ფასილიტაცია და მონაცემთა ღია სისტემების დამკვიდრება.

ბოლო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი მიღწევები:

- მონაცემთა ბაზების პორტალებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დახვეწა და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნა;
- სამთავრობოვებ-გვერდების ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბება;
- საჯარო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის ტრანსპარენტულობა;
- საჯარო რესურსებზე პასუხისმგებელპირთა ზედამხედველობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ქმედითი მოდელის შემუშავება;
- რეფერენდუმისას ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვება;
- პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების სქემის შეფასება;
- საჯაროსექტორისთვის ეთიკის კოდექსის და საჯარომოხელის შრომის გზამკვლევის შექმნა.

ლატვია დღეისათვის რიგით მეორე, 2015-2017 წლებზე გათვლილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესშია. ქვეყნის ეროვნული გეგმა შედარებით მცირე რაოდენობის ვალდებულებებს მოიცავს, მაგრამ ყოველი მათგანი ძალზედ პტაქტიკული, კონკრეტული შედეგის მიღებაზეა ორიენტირებული.

ლიტვა განსაკუთრებით აქტიურია ელექრონული მმართველობის და ფისკალური ტრანსპარანტულობის საკითხებში. შესაბამისად მნიშვნელოვნად მიიჩნევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მზარდ ჩართულობას, საჯარო სამსახურების ღიაობას და ეფექტურობას და კორუფციასთან ბრძოლას. ამ პროცესებში ახალ ტექნოლოგიებს და ელექტრონულ მმართველობას განსაკუთრებული როლი აქვთ. ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის ლიტვის მთავრობის თავდაპირველ განაცხადში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ "ღია მმართველობის ინიციატივები კარგი მენეჯმენტის სხვა პრინციპებთან ერთად უნდა იქნეს შემუშავებული და გახდეს სამთავრობო აქტივობების კულტურის განუყოფელი ნაწილი".[v] ლიტვის ბოლოდროინდელი მიღწევებიდან ხაზგასასმევია შემდეგი:

- საზოგადოებასთან კონსულტაციის მექანიზმთა შექმნა, სამთავრობო აქტივობების და მმართველობაში სამოქალაქოსაზოგადოების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვება;
- საჯაროსექტორში ღია მმართველობის კულტურის პოპულარიზაცია;
- არასამთავრობოორგანიზაციების მონაცემთა ბაზის და ფონდის შექმნა;
- ღია მონაცემთა ბაზის შემცვლელი პორტალის შექმნა და მისი ინტეგრაცია ევროპულ ერთიან ბაზარში;
- ეროვნული და მუნიციპალური ინსტიტუტების საბიუჯეტო გასავლების გასაჯაროვება ელექტრონულფორმატში;
- ჯანდაცვის სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის სოციალური რეკლამის შექმნა და ტრანსლიაცია;
- არჩევნების და ხმის მიცემის შესახებ ინფორმაციის ადვილად მისაღებად იურიდიული, ორგანიზაციული და ტექნიკური ბაზის შექმნა.

ლიტვა ამჟამად 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესშია და გლობალურად ელექტრონული მმართველობის ერთერთ პროგრესულქვეყანადითვლება.

ესტონეთი

ყოფილ საბჭოთა სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ესტონეთი პარტნიორობას 2012 წელს შეუერთდა, რათა გაეუმჯობესებინა მმართველობის ხარისხი, სხვებისგან ესწავლა და საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინა სხვებისათვის, განსაკუთრებით ელექტრონული მმართველობის დარგში. ესტნეთს ამ მხრივ აქვს ხელშესახები წარმატებები და სარგებლობს მოსახლეობის ნდობით/კმაყოფილებით არსებული ელექტრონული სერვისების გამო. ელექტრონული სერვისების დანერგვამ, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებამ ამ პროცესში მნიშვნელოვნად შეზღუდა კორუფცია და საზოგადოებას მისცა მეტი საშუალება ჩართულიყო გადაწყვეტილებების მიღების

პროცესებში. ესტონეთი დღეს გლობალურად ელექტრონული მმართველობის მიმართულებით ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ესტონეთის ამ დროისათვის 2 სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო და არის ელექტრონული საჯარო სერვისების შემდგომ გაუმჯობესებაზე, სახელმწიფო/საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობასა და კორუფციასთან ბრძოლაზე. ამ მიმართულებით ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული კონკრეტული, აჟამინდელი ვალდებულებები მოიცავს მათ შორის შემდეგს:

- უფრო ღია და ტრანსპარენტული კანონშემოქმედების შექმნა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ხელისუფლების ქმედუნარიანობის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა;
- ადგილობრივ დონეებზე მონაწილეობის პრინციპზე დაფუძვნებული ბიუჯეტირების გააქტიურება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ტრანსპარანტულობის ზრდა;
- სასკოლო განათლების სისტემაში მონაწილეობაზე დაფუძვნებული დემოკრატიზაციის განმარტება და კომპეტენციების ელექტრონული მოდელის შემოღება;
- 2020 წლამდე ელექტრონული გადასახადების და საბაჟოსისტემების დანერგვა;
- ნულოვანი ბიუროკრატიის პროექტის განხორციელება;
- ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ღია მმართველობის პრინციპების განხორციელება ადგილობრივ დონეებზე;
- ცენტრალური მთავრობის დონეზე მზარდად ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკის დანერგვა.

ესტონეთი ამჟამად ახორციელებს რიგით მე-3, 2016-2018 წლებზე გათვლილი სამოქმედო გეგმის შესრულებას.

საქართველო

2011 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობა ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რათა შეასრულოს სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების, სახელმწიფო სერვისებისა და საჯარო სექტორში

ანტიკორუფციული სისტემის გაუმჯობესების ვალდებულებები. საკუთარი წევრობის დასაწყისში ვე საქართველომ OGP-ის 65 წევრ ქვეყანას შორის მიიღო ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (15 ქულა მაქსიმალური 16-დან) ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კუთხით.

საქართველოს 2014-15 წლების სამოქმედო გეგმა OGP-ის ფარგლებში მოიცავს 27 ვალდებულებას, რომელზეც 16 დაწესებულებაა პასუხისმგებელი. აღებული ვალდებულებები ეხმიანება OGP-ის ოთხ გამოწვევას: ეფექტიანი სახელმწიფო სერვისები, საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა, საზოგადოებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის პირველი და მეორე სამოქმედო გეგმები (2012-2013 და 2014-15) მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა. მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის - ფორუმის - მეშვეობით, რომლის თანათავმჯდომარე ხელისუფლების მხრიდან იუსტიციის სამინისტრო, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებიდან - IDFI-ია.

ამ მიმართულებით აღებული ვალდებულებების შეასასრულებლად გადაგდმული ნაბიჯთაგან ბოლო დროს აღსანიშნავია შემდეგი:

- სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის და გამოყენების ელექტრონული პორტალის შექმნა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ პეტიციების ელექტრონული პორტალის და ვებ-გვერდი ““ZUGDIDI-INFO””-ს შექმნა;
- ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეხვედრების ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა;
- სამთავრობო პოლიტიკის და საკანონმდებლო აქტების შეფასების და მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- ქუთაისის, ოზურგეთის, ბათუმის და ახალციხის ადგილობრივი ბიუჯეტირების ელექტრონული მექანიზმების შექმნა;
- საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- სასამართლო სისტემის გადაწყვეტილებათა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ერთიანი რეგულაციის დადგენა;
- რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სფეროებში ტრანსპარანტულობის და ინტეგრირებულმიდგომაზე დაფუძვნებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განვითარება;

- სასჯელაღსრულების სისტემის ელექტრონულ მენეჯმენტზე გადაყვანა და პატიმართა მონაცემთა ბაზების გაუმჯობესება, და სხვა (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.opengovpartnership.org/countries/georgia)

მიუხედავად ამისა, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტში, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებას. ამჟამად საქართველო რიგით მესამე, 2016-2018 წლებზე გათვლილი სამოქმედო გეგმის იმპლიმენტაციას ახორციელებს. 2015-16 წლებში საქართველო იყო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი და დღემდე არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე.

პოსტ საბჭოთა ქვეყნების რეიტინგები ოია მმართველობის პარტნიორობისთვის პრიორიტეტულ სფეროებში

ელექტრონული მმართველობის გლობალური ინდექსი

2001 წლიდან გაეროს ეკონომიკური და სოციალური დეპარტამენტი გამოსცემს გაერთიანებული ერების ელექტრონული მმართველობის კვლევას, სადაც ასახავს ელექტრონული მართველობის შედეგად ადამიანებისთვის მიწოდებულ საბაზისო ეკონომიკური და სოციალური სერვისების ეფექტურობას 6 ძირითად სფეროში (განათლება, ჯანდაცვა, შრომა და დასაქმება, ფინანსები, სოციალური კეთილდღეობა, გარემოს დაცვა). პროგრესის გასაზომად გამოიყენება ა.წ. ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი (EGDI), რომელიც 3 ძირითადი პარამეტრს აერთიანებს: ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ინდექსი (TII), რომლის მონაცემებს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება იძლევა; ადამიანური კაპიტალის ინდექსი (HCI), ეყრდნობა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის მონაცემებს; ელექტრონული სერვისების ინდექსი (OSI), ეყრდნობა დამოუკიდებელი გამოკითხვის მონაცემებს, რომელიც გაერის 193 ქვეყანაში ტარდება.

ელექტრონული მმართველობის განვითარების გაეროს 2016 წლის მსოფლიოს ინდექსი ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებს შემდეგ კარეტოგიებად აჯგუფებს: (ა) ძალიან მაღალი ინდექსი - ესტონეთი (13), ლატვა (23); (ბ). მაღალი ინდექსი - ლატვია (45), აზერბაიჯანი (56), საქართველო (61), უკრაინა (62),

მოლდოვა (65), სომხეთი (87) (გაერო, 2016, გვ. 156), რაც მიანიშნებს, რომ აღნიშნული პოსტსაბჭოთა ქვეყნები გეგმაზომიერად ვითარდებიან ელექტრონული მმართველობის დარგში, თუმცა ესტონეთის და ლიტვის გარდა, ყველა დანარჩენის განვითარების ტემპი საშუალოა. აღსანიშნავია, რომ გაეროს აღნიშნული რანგირება ასევე ითვალისწინებს ელექტრონულ სერვისებზე მოსახლეობის, მათ შორის, ყველაზე ღარიბი ნაწილის წვდომას ინტერნეტზე (გაერო, 2016, გვ.153)[vi].

კონკურანტუნარიანობის გლობალური ინდექსი

კონკურენტუნარიანობის გლობალური ანგარიში ყოველწლიურად 140 ქვეყნის ეკონომიკას ათვლიებს მოქალაქეების და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელთა გამოკითხვებზე დაყრდნობით. სხვა პარამეტრებს შორის ანგარიშში შეფასებულია მთავრობათა საქმიანობის გამჭვირვალობა და ამ მხრივ ეფექტური და ღია მმართველობის შეფასებისთვის მნიშვნელოვან შედეგის იძლევა. 2015-2016 წლების ანგარიშის თანახმად ესტონეთი (30-ე რანგი) კონკურანტუნარიანობაში უპირობოლ დერია, რომელსაც მოსდევს ლიტვა (36-ე რანგი), აზერბაიჯანი (მე-40), ლატვია (მე-44), საქართველო (66-ე), უკრაინა (79-ე), სასომხეთი (82-ე) და მოლდოვა (84-ე). დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მე შევეცდები გამეანალიზებინა ღია მმართველობის პარტნიორობის ფორმატში ყოფილ საბჭოთა ქვეყნების - აზერბაიჯანის, სასომხეთის, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინას, ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის მონაწილეობის დადებითი შედეგები დემოკრატიულ მმართველობის კონსოლიდაციის მიმართულებით. მოხდა თითოეულ ქვეყნის მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ფორმატში აღებულ ვალდებულებების გაანალიზება და მიღწეულ შედეგების გადახედვა. ნაშრომის მთავარი გზავნილი ხაზს უსმევს აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობის დადებით როლს, ასევე დიდ მნიშვნელობას ჩამოთვლილ ქვეყნებისათვის. ამასთანავე, აღინიშნა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის გავლენას ჩამოთვლილ ქვეყნებზე აქვს ობიექტური ლიმიტაცია. დემოკრატიულ მექანიზმების და მიდგომების დამკვიდრება დამოკიდებულია თითოეულ ქვეყნისათვის ინდივიდუალურ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის კულტურულ-ისტორიულ მოცემულობაზე, თანამედროვე გეოპოლიტიკაზე (განსაკუთრებით რეგიონალურ და გლობალურ გავლენებზე), და ასე შემდეგ.

[i] The activity of the Government of Azerbaijan in Open Government Partnership, https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Azerbaijan_OGP-full-report_May2017.pdf

[ii] ღია მმართველობის პარტნიორობა, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Armenia-RC.pdf

[iii] ღია მმართველობის პარტნიორობის მხარდაჭერის განყოფილების წერილი უკრაინის ვიცე-პრემიერის სახელზე, 2016 წლის 14 ნოემბერი, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/LateLetterNovember2016-Ukraine.pdf

[iv] ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის განაცხადი ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის შესახებ, 14 სექტემბერი, 2011, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/LOI%20Latvia.png

[v] ღია მმართველობის პარტნიორობის სახელზე ლიტვის პრემიერ მინისტრის წერილი, 2011 წლის 1 სექტემბერი, https://www.opengovpartnership.org/countries/lithuania

[vi] United Nations E-government Srvey 2016, available at http://workspace.unpan.org/sites/Internet/Documents/UNPAN96407.pdf

ბიბლიოგრაფია

ღია მმართველობის პარტნიორობის ვებ-გვერდი, https://www.opengovpartnership.org/

United Nations E-government Srvey 2016, available at http://workspace.unpan.org/sites/Internet/Documents/UNPAN96407.pdf

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა
მე-5 სემესტრის დოქტორანტი
ელენა დარჯანია

სადოქტორო სემინარი

„ზონირება: მიწათსარგებლობის დაგეგმვის აპარატის განვითარება საქართველოში (ქ. თბილისის მაგალითზე)“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
იოსებ სალუქვაძე

თბილისი
2017

სარჩევი

1. **შესავალი** 3
2. **მეთოდოლოგია** 5
3. **მიწათსარგებლობითი ზონირების განვითარების ისტორია** 6
4. **საბჭოთა ქალაქგეგმარების მოდელი** 15
5. **გარდამავალი პერიოდის ქალაქგეგმარების გამოწვევები** 19
6. **მიწათსარგებლობითი ზონირების საქართველოში მოქმედი მოდელი** 20
7. **დასკვნები** 26
8. **გამოყენებული ლიტერატურა** 28

ილუსტრაციების ნუსხა

ილუსტრაცია 1: მაინის ფრანკფურტის მიწათსარგებლობის ზონირების გეგმა, 1891 წ. 11

ილუსტრაცია 2: ორთაჭალა. უბნის რეკონსტრუქციის მაკეტი 1970 წლის ქ. თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით 17

ილუსტრაცია 3: ლოჭინი. უბნის რეკონსტრუქციის მაკეტი 1970 წლის ქ. თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით 18

ილუსტრაცია 4: ქ. თბილისის გენერალური გეგმა (1970 წ.) 23

ილუსტრაცია 5: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმები და ჩარჩო გეგმები ქ. თბილისში (2017 წ.) 25

1. შესავალი

25-წლიანი ტურბულენტური გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ქალაქებმა (ისევე როგორც მათი დაგეგმვის პრაქტიკამ) რადიკალური, ფუნდამენტური ცვლილებები განიცადეს. საბჭოთა გეგმარებითი ეკონომიკა და equalitarian სოციალური ურთიერთობები (Hirt, Stanilov, 2009) თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმმა შეცვალა (ibid.). ახალი სოციო-ეკონომიკური ურთიერთობები ახალ სივრცით წესრიგს და მისი მართვის ადექვატურ მექანიზმებს მოითხოვდა, რომელთა დანერგვაც გარდამავალი პერიოდის თანმხლები პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, თითქმის ოცი წლით გადაიდო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და ქალაქებში მშენებლობის ტემპების ზრდის და, მეორეს მხრივ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების აღსასრულების კვალდაკვალ, ურბანული დაგეგმვის საჭიროების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ ფრაგმენტულადაა ასახული აკადემიურ კვლევებსა და დისკუსიებში.

ქალაქგეგმარება საქალაქო მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს დასახლების ეკონომიკურ და ფიზიკურ განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის სფერო, რომელიც, გარკვეულ ტერიტორიაზე, აწესრიგებს რესურსების გეოგრაფიულ განაწილებასა და სოციალური ინტერაქციებს, ისევე როგორც მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების სხვა ასპექტებს.

ქალაქგეგმარების ერთ-ერთი მიმართულებაა ტერიტორიის მიწათსარგებლობის დაგეგმვა. ამ ტერმინის უნივერსალური განმარტება არ არსებობს და, როგორც წესი, ის განისაზღვრება ეროვნული ან/და ადგილობრივი/მუნიციპალური კანონმდებლობით. ზოგადად კი, მიწათსარგებლობითი დაგეგმვა ქალაქის ტერიტორიის სხვადასხვა დანიშნულების არეალებად - ზონებად - დაყოფასა და ამ ზონების საზღვრებში მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის განვითარების პარამეტრების

დადგენას გულისხმობს. მიწათსარგებლობის გეგმა იურიდიული ძალის მქონდე დოკუმენტია, თუმცა მისი რეგულირების საგანი და მაგნიტუდა ინდივიდუალურია ყოველი კონკრეტული ტერიტორიისათვის.

ურბანული სტრუქტურები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, თუმცა, საქართველოში ქალაქების უპრეცედენტო ზრდა და, შესაბამისად, ურბანული ფორმის რადიკალური ცვლილება საბჭოთა მასობრივი საცხოვრისის პროგრამებისა და ქალაქის ინდუსტრიალიზაციის შედეგია.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დააუძლურა სახელმწიფოს უნარი, განეხორციელებინა მიწათსარგებლობითი დაგეგმვა და კონტროლი. ახლადწარმოქმნილი სტრუქტურები ნაკლებად იზიარებდნენ არსებულ და ჯერ კიდევ მოქმედ ქალაქთმშნებლობით დოკუმენტაციას და იყვნენ ე.წ. *laissez-faire* პოლიტიკური ეთიკის (Salukvadze & Golubchikov, 2015) ან ბნელი ფინანსური გარიგებების და 'დაჭერობანა-სტრატეგიების' (Van Assche & Salukvadze, 2012) შედეგი.

ახალ რეალიებზე მორგებული, თანამედროვე მიწათსარგებლობის გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა დასავლეთში მიღებულ ზონირების მოდელს, პირველად დედაქალაქმა 2009 წელს მიიღო. ფაქტობრივად, ამან საფუძველი დაუდო საქართველოში ახალი ტიპის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების ტენდენციას. მას შემდეგ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები რამდენიმე ქალაქისათვის დამუშავდა. თუმცა, პროფესიული საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ ურბანული დაგეგმვის როგორც ნორმატიული, ასევე მეთოდოლოგიური ჩარჩო არასრულია და დახვეწას, ადგილობრივ კონტექსტსა თუ საჭიროებებზე მორგებას საჭიროებს.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზნებია:

- მიწათსარგებლობითი ზონირების, როგორც ქალაქგეგმარებითი ხელსაწყოს მიმოხილვა. ამ მხრივ, წარმოდგენილია ზონირების წარმოშობისა და

განვითარების ისტორია გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთი შედარებითი ანალიზის მიზანია გამოავლინოს ის ნიუანსები, რომლებიც განსაზღვრავენ ზონირების პროცესში მონაწილე ძალების (მმართველობა, დეველოპერები, მოსახლეობა) ურთიერთმიმართებას სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეჟიმებში;

- საბჭოთა ქალაქგეგმარების მოდელის მიმოხილვა და მისი გავლენის წარმოჩენა პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციაზე. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ ის წინაპირობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მიწათსარგებლობითი დაგეგმვის ქართულ (თბილისურ) მოდელს.
- მოქმედი ზონირების მოდელის მიმოხილვა და მისი თეორიზაცია როგორც პოლიტიკური პროცესის პროდუქტის.

2. მეთოდოლოგია

წარმოდგენილ კვლევით კითხვებზე საპასუხოდ, გამოვიყენებულია პოზიტიური პოლიტიკური თეორია და შემდეგი ემპირიული მონაცემები:

- ვიზუალური მასალები - მიწათსარგებლობის გეგმები, ფოტოები, არქიტექტურული პროექტების ასლები. ეს მასალები გამოყენებულია ქალაქის ტერიტორიული სტრუქტურის, მიწათსარგებლობის ზონების ტერიტორიული განაწილებისა და შედეგად წარმოშობილი სივრცითი წესრიგის ანალიზისათვის;
- სამართლებრივი და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები. ამაში მოიაზრება როგორც საქართველოს და, უფრო კონკრეტულად, ქ. თბილისისათვის შემუშავებული ნორმატიული აქტები. ასევე, კომპარატიული ანალიზისათვის გამოყენებულია ევროპული ქალაქგეგმარებითი სამართლის დოკუმენტების მიმოხილვები;
- ინტერვიუები ქართველ და გერმანელ ქალაქმგეგმარებლებთან. აღსანიშნავია, რომ გერმანულ გამოცდილებაზე აქცენტი განპირობებულია ერთის მხრივ იმით,

რომ სწორედ გერმანია მოიაზრება ზონირების სამშობლოდ ხოლო მეორეს მხრივ იმ ფაქტით, რომ საქართველოში გამოყენებადი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი ნორმატიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო აგებულია გერმანიაში მოქმედი მოდელის შესაბამისად.

- წარმოდგენილი ნაშრომი ასევე იზიარებს იმ გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (2030) მიმდინარე განახლებითი სამუშაოების მიმდინარეობისას;

კვლევა კონცენტრირებულია საქართველოს დედაქალაქზე, რომელიც სამხრეთ კავკასიის სამ "მილიონერ" ქალაქთაგან ერთერთია. საქართველოში მოქმედი ზონირების მოდელის აღწერა თბილისის მაგალითზე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ნორმატიული ბაზის სრულყოფილება საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით;
- ქალაქის განვითარებაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და გრაფიკული მასალების ხელმისაწვდომობა;

3. მიწათსარგებლობითი ზონირების განვითარების ისტორია

ჟან-ჟაკ რუსო, მის მეორე წიგნში უთანასწორობის დისკურსის შესახებ, წერს:
"პირველი ადამიანი, რომელმაც შემოსაზღვრა მიწის ნაკვეთი [enclose un terrain] და ამით განაცხადა რომ ეს არის ჩემი და იპოვა ადამიანები, საკმარისად უბრალოები იმისთვის რომ დაეჯერებინათ მისთვის, იყო სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი ფუძემდებელი. რამდენი დანაშაულის, ომის, მკვლელობის, რამდენი უბედურებისა და საშინელების აცილება შეეძლო ადამიანთა რასას, რომ გამოძჩენილიყო ვინმე, ვინც თავის მოძმეს შესძახებდა: ნუ დაუჯერებთ ამ მატყუარას; მცდარია ის, ვისაც

დაავიწყდა რომ მიწის ნაყოფი ეკუთვნის ყველას და რომ მიწა [terre] არავის ეკუთვნის." (Jean-Jacques Rousseau, Discourse on the Origin of Inequality)

ამ პასაჟის გაგრძელებაში ავტორი ასკვნის, რომ მიწაზე კერძო საკუთრება უცებ კი არ გაჩენილა, არამედ წარმოიშვა დროთა განმავლობაში ფორმულირებადი ურთიერთობების შედეგად. "მიწის [terres] კულტივაციას მისი დაყოფა მოყვა; და აღიარებული საკუთრების უფლებას - აუცილებელი სამართლის წესები"(ibid).

მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეგილირების საჭიროება, მიმდებარე ნაკვეთების მიმართ, საუკუნოვანი ტრანსფორმაციების შედეგად, ტერიტორიების მართვის პოლიტიკურ-სამართლებრივ მექანიზმის - ზონირების სახით ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიწაზე საკუთრების საკითხი ანტიკური დროიდან რეგულირდებოდა, დასავლურ სამართალში, ზონირების წინაპრად "საზოგადოებრივი ნიუსანსის" [public nuisance[1]] კანონმდებლობის დახვეწა მოიაზრება (Madsen, 1960).

სერ ვილიამ ბლექსტონი (ibid. გვ.110) ინგლისის კანონის კომენტარებში (1765-1769) წერდა რომ "ნუისანსი" არის "ყველაფერი რაც აზიანებს სხვის მიწას, სახლ-კარს [tenements] ან ქონებას. <...> საერთო ან საზოგადოებრივი ნუისანსი არის ქმედება საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფოს ეკონომიკური რეჟიმის წინააღმდეგ."

---

[1] ქართულ კანონმდებლობაში აღნიშული ცნება არ არსებობს. თუმცა, მასთან ყველაზე ახლოს დგას დელიქტურ ვალდებულება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992 მუხლით შემდეგნაირად განისაზღვრება: *"პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი".* დელიქტი - ლათინური სიტყვაა (delictum) და ნიშნავს სამართალდარღვევას. ფართო გაგებით იგი არის საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული და ზიანის მომტანი ქმედება, რომელიც ისჯება კანონით (თვარაძე, 2013).

ამდენად, ადამიანის ჯანმრთელობის, მიწის ან/და ქონების დაზიანების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა რიგი რეგულაციების შემოღება, რომლებმაც შემდგომში ზონირების დადგენილების [zoning ordinance] სახე მიიღეს. მსგავსი შეზღუდვების შემოღებას ხელს უწყობდა ძველ ქალაქებში ხშირი კატასტროფები. მაგ., 1666 წლის ლონდონის ხანძარმა აიძულა ინგლისის პარლამენტი ლონდონის ხელახალი განაშენიანების[2] აქტი მიეღო.

შედეგად, საზოგადოებრივი 'ნუისანსის' კონცეფციის განვითარებამ მოიცვა ტერიტორიის დაგეგმვის, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე დაშვებული საქმიანობების და სამშენებლოდ განვითარების პარამეტრების რეგულირების საკითხები. 1897 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ დაადგინა (ibid. გვ.110):

"ალდრედის შემთხვევიდან მოყოლებული ... ამ ქვეყანაში, ისევე როგორც ინგლისში, კანონით დადგინდა რომ ადამიანს არ აქვს უფლება საკუთარ მიწის ნაკვეთზე იქონიოს შენობა-ნაგებობა, რომელიც, შემაწუხებელი სუნების, ხმაურის ან უჩვეულო ხმების, სქელი კვამლის, მომშხამვლელი გაზების, მექანიკის უსიამოვნო ხმების ან მწერების გაუმართლებელი რაოდენობის მოზიდვის გამო, მიმდებარე ნაკვეთს წარმოადგენს როგორც საშიშ, აუტანელ და არაკომფორტულს მისი მფლობელისათვის. მსგავსი ზიანის გამომწვევი პიროვნება ვერ ისარგებლებს კერძო საკუთრების უზენაესობით."

მე-19 საუკუნის ინდუსტრიალიზაციამ და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის მაღალმა ზრდამ შექმნა მაღალი წნეხი შემოღებულიყო დამატებითი რეგულაციები კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ. ამ პერიოდისათვის დასავლეთის რიგ ქალაქებში უკვე დამტკიცებული ჰქონდათ მსგავსი დადგენილებები, რომელთა მიზანიც იყო ქალაქის დაგეგმვაში შეზღუდვების გამკაცრება (Madsen, 1960; Babcock, 1966).

[2] ორიგინალში: Act for rebuilding of the City of London

თუმცა, ზონირება, როგორც ქალაქის ტერიტორიის მოწყობის ხელსაწყო, პირველად გაჩნდა გერმანიაში მე-19 საუკუნის ბოლოს (Logan, 1976). ეს განპირობებული იყო ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის მაღალი დონით, რომელიც ამასთან ხასიათდებოდა ქალაქში ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციით. შედეგად, გერმანული ქალაქების შუასაუკუნოვანი წყობა ვეღარ პასუხობდა ახალი ეპოქის გამოწვევებს და აუცილებელი შეიქმნა ქალაქის მოწყობის ახალი მოდელის შემუშავება (ibid.).

რეფორმების სათავეში ბარონ ვონ შტეინის მაღალპროფესიული გუნდი იდგა, რომელმაც, მაშინდელ ევროპაში პოპულარულ სოციალისტური იდეოლოგიის საფუძველზე, მიზნად დაისახა მუშათა კლასის საბინაო პირობების გამოსწორება, ისევე როგორც ქალაქის იერსახის დაცვა "სიმახინჯეებისაგან" (ibid.).

განაშენიანების სიმჭიდროვის რეგულირება ზონალური დადგენილებით პირველად 1890-იან წლებში, რუდოლფ ებერჰარტის იდეის საფუძველზე განხორციელდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მაღალი სიმჭიდროვით მშენებლობა იწვევდა მიწის ფასების ზრდას. შესაბამისად, ზღვრული სიმჭიდროვის დადგენა შეაჩერებდა მიწით სპეკულაციებს. ამ თეორიის საწინააღმდეგო მიდგომა განხორციელდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვაიმარის რესპუბლიკაში, როდესაც უპირატესობა მიენიჭა საზოგადოებრივ საცხოვრისს, რომელიც მიწაზე გადასახადებით ფინანსდებოდა (ibid.).

1891 წელს ფრანკფურტის მერმა ფრანზ ადიკენსმა მიიღო ახალი ზონალური დადგენილება, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ყველა წინამორბედისაგან. ეს დადგენილება ქალაქის ტერიტორიას ყოფდა ექვს ზონად, რომელთაგან ორი იყო საცხოვრებელი, სადაც ინდუსტრიული ფუნქციის შეტანა იკრძალებოდა. ინდუსტრიული ობიექტების მიმართ დადგენილება ადგენდა დამატებით პარამეტრებს. მაგალითად, არასასურველი ინდუსტრიების ჩამონათვალს, ხოლო მავნე წარმოებებისათვის დადგენილი იყო სავალდებულო

დაშორებები [setbacks]. სხვა ორი ზონა ე.წ. "შერეული" ხასიათის იყო და ითავსებდა საცხოვრებელ, კომერციულ და მსუბუქი ინდუსტრიის ობიექტებს. ასევე გამოყოფილი იყო საწარმოო ზონა, რომლის მოთხოვნები მიწის ნაკვეთის მიმართ ზღუდავდა საცხოვრისის განვითარების შესაძლებლობას. ცალკე ზონას წარმოადგენდა ძველი ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდა შეზღუდვა საწარმოო ფუნქციის ობიექტებზე (ibid.).

ამასთან აღსანიშნავია, რომ უკვე მაშინ გერმანიაში მოქმედებდა დაგეგმვის ორდონიანი სისტემა. პირეველი - მიწათსარგებლობის ზონირების გეგმა მხოლოდ ზოგადი ზონების პარამეტრებს ადგენდა, მაშინ როდესაც გეგმარებითი ერთეულის დეტალური გეგმა[3] უშუალოდ არეგულირებდა ურბანულ ფორმას. ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ გეგმებს გერმანიაში უფრო დიდი ისტორია აქვთ, ვიდრე ზონირებას.

შეიძლება ითქვას, რომ ზონირების ადრეული გერმანული მოდელის მიზანი იყო შუასაუკუნოვან ქალაქებში საცხოვრებელი უბნების დაცვა ახლად აღმოცენებული საქმიანობების (მძიმე და მსუბუქი ინდუსტრია) მხრიდან შესაძლო ზიანისაგან. სხვაგავრად რომ ვთქვათ, მაშინდელი ქალაქგეგმარებლების პირველად მიზანს არ წარმოაგდენდა ქალაქის ტერიტორიის მონოფუნქციურ ზონებად დაყოფა, რაც შემდგომ ათწლეულებში ზონირების სინონიმი გახდა.

ამის მიზეზი, პირველ რიგში გერმანული ზონირების მოდელის ამერიკის შეერთებულ შტატებში "გადამუშავება" გახდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ერთეულ ამერიკულ ქალაქებში მოქმედებდა ზონირების დადგენილება. ამ ხელსაწყომ პოპულარობა რამდენიმე მნიშვნელობანი სასამართლო პროცესის შემდეგ მოიპოვა.

[3] დღევანდელ პრაქტიკაში, ასეთ გეგმების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები გენერალური გეგმა ან/და მასტერ-პლანი (master plan).



ილუსტრაცია 1: მაინის ფრანკფურტის მიწათსარგებლობის ზონირების გეგმა, 1891 წ.

ილინოისის შტატის უზენაესმა სასამართლომ 1925 წელს დაადგინა, რომ ხანძრისა და ინფექციების რისკი მცირდება, თუ მაღაზიები და საწარმოები გამიჯნულია საცხოვრებლისაგან. შესაბამისად, ასეთი რეგულაციის შემოღებით, შესაძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა (Madsen, 1960). თუმცა, იმ ეპოქის ამერიკის შეერთებული შტატების ზონირებების დადგენილებების ყველაზე ცნობილი მაგალითია სოფელი ეკლიდის, ოჰაიო ზონირების დადგენილება, რომლის კონსტიტუციონალურობაც 1926 წელს ამერიკის

შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა. ამ შემთხვევამ საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ, ე.წ. "ეკლიდიანურ ზონირებას".

ეს ამერიკული მოდელი "კუმულატიური" ხასიათის იყო და ადგენდა ფუნქციათა იერარქიას. აღნიშნული ნიშნავდა რომ ამ იერარქიის ზედა საფეხურის ფუქნციის განთავსება შესაძლებელი იყო ქვედა საფეხურის ფუნქციის ზონაში, მაგრამ არა პირიქით. ამასთან, ყველაზე მაღალ საფეხურზე ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანება ხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ზონირების გაცხადებულ მიზანსა და პრიორიტეტს მუშათა კლასისთის კეთილგანწყობილი საცხოვრებელი პირობების შექმნა წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ის გადაიქცა პრივილიგირებული ფენის ინტერესების დაცვის მექანიზმად. ამერიკის ქალაქებში მიწათსარგებლობითი ზონირება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანების დაცვას სხვა, ე.წ. "არასასურველი ფუნქციებისაგან" (Schleicher; Madsen, 1960; Babcock, 1966).

ზონირება გადაიქცა საქალაქო სივრციდან კონკრეტული სოციალური ჯგუფების გასარიყ ხელსაწყოდ. ამის შედეგი იყო ზონირების მექანიზმის არაპროპორციული გამოყენება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში, რეგულირება უფრო მკაცრი და დიფერენცირებული იყო, ვიდრე ამას ზონირების უპირველესი მიზანი - ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნა გულისხმობდა (Logan, 1976, Babckock, 1966).

ზონირების შედეგად სოციალური სეგრეგაციის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი 1885 წელს, სან ფრანცისკოში დაფიქსირდა, როდესაც ქალაქმა რიგ უბნებში აკრძალა საზოგადოებრივი სამრეცხაოები. ამის მიზეზი უფრო იყო ერთნიკურად ჩინელი მოსახლეობის გარიყვა, ვიდრე ამ უბნებში სანიტარიული რეჟიმის მოწესრიგება. რეგულაცია ერთ წელიწადში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა (Erikson, 2012).

სოციო-ეკონომიკური სეგრეგაცია არ იყო მავნე ინდუსტრიის საცხოვრებლისაგან გამიჯვნის ადრეული პრაქტიკის შედეგი. ამ პროცესს იწვევდა ინდივიდუალური, ცალკე მდგომი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ზონა, თავისი მოთხოვნებით მიწის ნაკვეთის მიმართ და მოვლა-პატრონობის მინიმალური ხარჯის დადგენით. ეს ზომები არ ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, არამედ ქმნიდა პრივილიგირებულ, პრესტიჟულ საცხოვრებელ უბნებს.

ასე მაგალითად, საგარეუბნო (სუბურბანული) დასახლების ზონაში არასასურველ ფუნქციად, მათ შორის, ითვლებოდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც არა საცხოვრებელ, არამედ კომერციულ ფუნქციად კლასიფიცირდებოდა. შედეგად, წარმოიშვა პრივილიგირებული საგარეუბნო დასახლებები, რომლებიც "მოწყვეტილი" და "გამოფიტული" იყო სხვა ტიპის ობიექტებისაგან. ასეთი უბნები მოსახლეობის ჰომოგენურობით ხასიათდებოდა და არ იყო ტოლერანტული უფრო დაბალი სოციო-ეკონომიკური ჯგუფების მიმართ (Babcock, 1966).

ეს გარემოება უფრო ვრცლად რობერტ ფიშმანმა (1987) აღწერა. თავის წიგნში ბურჟუას უტოპია ის აანალიზებს სუბურბიის წარმოშობის წინაპირობებს, პროცესსა და შედეგებს. ამ ნაშრომში ის ადგენს, რომ მიწათსარგებლობითი ზონირება, რომელიც თავდაპირველად ბუნების წიაღში აღმოცენებულ ბურჟუაზიულ სუბურბანულ დასახლებებს იცავდა ინდუსტრიის მავნე ზემოქმედებისაგან და მიზნად ისახავდა საოჯახო იდილიაზე მორგებული გარმოს შექმნას, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოჩნდა მთავარი მიზეზი ქალაქებში მონოფუნქციური არეალების - სუბურბანული საცხოვრებელი კვარტლების გაჩენისა. ფიშმანი ასევე ადგენს, რომ მიწათსარგებლობითი ზონირების იმ დადგენილებებმა, რომლებმაც ქალაქისაგან განაცალკევეს საცხოვრებელი ფუნქცია, იმავდროულად დასავლეთის ქალაქებში წარმოშვეს სრულიად ახალი ზონის ტიპი - ბიზნესის ცენტრალური უბანი [Central Business District (CBD)].

მსგავსად, საწარმოო და კომერციული ზონების ერთმანეთისაგან გამოყოფა მაშინაც კი, როდესაც ამის სანიტარიული აუცილებლობა არ არსებობდა, შედეგად წარმოშვა სრულიად უსიცოცხლო და უხასიათო [generic] ინდუსტირული ლანდშაფტები (Logan, 1976; Hirt, 2010) და ღამის მოსახლეობისაგან დაცლილი კომერციული ან/და ბიზნეს უბნები.

ასეთი რადიკალური დაყოფა არ მოხდებოდა რომ არა რკინიგზის განვითარება. ამ სწრაფი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიყვანის შესაძლებლობამ საგარეუბნო ზონებში შექმნა ე.წ. "სარკინიგზო უბნები" [Railway districts] და საბოლოოდ გამიჯნა საცხოვრებელი და სამუშაო არეალები ერთმანეთისაგან (Fishman, 1987).

ამდენად, ზონირების ადრეული კონცეფციის ცენტრალური პრინციპი იყო მსგავსი საქმიანობების დაჯგუფება საცხოვრებელი, კომერციული და ინდუსტრიული კატეგორიების მიხედვით და ქალაქის სხვადასხვა ნაწილში განთავსება (Hirt, 2007; Babcock, 1966; Logan, 1976). იმ პერიოდის ქალაქმგეგმარებლებს ჯეროდათ, რომ ეს იყო აუცილებელი და გარდაუვალი რეაქცია ინდუსტრიული რევოლუციის გამოწვევებზე საპასუხოდ. მართალია, ზონირებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მხრივ, თუმცა, ქალაქებს ეს სამოქალაქო ცხოვრების, სოციალური სეგრეგაციისა და უთანასწორობის ფასად დაუჯდა.

ამგვარად, დასავლეთის ქვეყნებში მიწათსარგებლობითი ზონირება წარმოიშვა როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეთა შორის ურთიერთქმედების მარეგულირებელი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი. ზონირების შემოღების მიზანი იყო ზიანის შემცირება. ამის მიღწევა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უფრო ადვილი იყო ადმინისტრაციული რეგულირებით, ქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფის გზით, ვიდრე დავების წარმოებით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის (Schleicher).

ყოველივე შემდეგნაირად შეგვიძლია დავაჯამოთ:

ზონირების გერმანული მოდელი: მავნე წარმოების შეზღუდვა და განცალკევება სხვა სახის ზონებისაგან. ფუნქციური ზონების შედარებით "მსხვილი კატეგორიები" ითავსებს სხვა ფუნქციებსაც სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე. შედეგად, ყველა ზონა თავისი ხასიათით, შერეულია. ზონირება ფოკუსირებულია სიმჭიდროვესა და მოცულობებზე.

ზონირების ამერიკული მოდელი: ფუნქციათა გამიჯვნა, მათ შორის საცხოვრებლის, წარმოების ტიპისა და კომერციული აქტივობის მიხედვით. იქ, სადაც მოქმედებს კუმულატიური მოდელი, ერთბინიანი სახლების განაშენიანების განთავსება შესაძლებელია ყველა ზონაში.

4. საბჭოთა ქალაქგეგმარების მოდელი

კომუნისტურმა რეჟიმმა ქალაქგეგმარება იდეოლოგიური ბრძოლის ხელსაწყოდ აქცია. გეგმიური ეკონომიკა 5-წლიანი გეგმებით იმართებოდა, რომლებითაც ტექნოკრატიული მმართველობა განსაზღვრავდა უფრო მცირე-მასშტაბიან გეგმებს ინდუსტრიების ცალკეული დარგებისათვის, რესპუბლიკებისათვის, რეგიონების, ქალაქების და ქარხნებისათვის (Hirt, Stanilov, 2009).

შესაბამისად, საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მთელი ტერიტორია დაფარული იყო იერარქიული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით. ქალაქის დონეზე, განვითარება რეგულირდებოდა გენერალური გეგმებით, რომელსაც უნდა გამოენახა შესაბამისი სტანდარტით[4] დადგენილი მიწის რესურსი ცენტრალურად დაგეგმილი განვითარებისათვის (სალუქვაძე, 2010).

[4] საბჭოთა პერიოდში მოქმედებდა ქალაქთმშენებლობითი სტანდარტი "სამშენებლო ნორმები და წესები - ქალაქთმშენებლობა", რომელიც ადგენდა მაქსიმალურ ნორმატივებს სხვადასხვა საქალაქო ფუნქციისათვის.

იმ პერიოდის ქალაქგეგმარება იყო პრესკრიფციული: განვითარება ზედმიწევნით ზუსტად და დასახულ ვადებში უნდა "აღსრულებულიყო" ნახაზის შესაბამისად, რასაც კერძო საკუთრების, საბაზრო მექანიზმებისა და ტერიტორიის გამოყენებათა სახეობებს შორის კონკურენციის არარსებობა განაპირობებდა. ასეთი გეგმები ეფუძნებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებულ იდეოლოგიურ ჩარჩოს და მიზნად ისახავდა არსებულ ქალაქებში ბურჟუაზიული სტრუქტურების აღმოფხვრას რეკონსტრუქციის გზით და ახალი, სოციალისტური ქალაქების ჩამოყალიბებას. (ibid.).

მიუხედავად მკაცრად გაწერილი იერარქიული სისტემისა, გაცხადებული მიზნებისა და დაგეგმვაში ინტერესთა კონფლიქტების არარსებობისა, აღნიშნული გეგმები იშვიათად ხორციელდებოდა. ზოგჯერ დასახული გეგმები იმდენად ამბიციური იყო, რომ მათი შესრულების შეუძლებლობა აშკარა იყო (Hirt, Stanilov, 2009.). თბილისის შემთხვევაში, ასეთ პროექტად თბილისის ზღვის ირგვლივ უკვე არსებული ქალაქისოდენა განაშენიანების მოწყობა შეგვიძლია ვიგულისხმოთ.

ქალაქთმშენებლობითი პროექტების მასშტაბურობასა და მათი აღსრულების სირთულეს შორის ზღვარი განპირობებული იყო იმით, რომ ეკონომიკური გეგმარება და ფიზიკური გეგმარება ერთმანეთთან არ იყო ინტეგრირებული. ეს ვითარება კარგად ჩანს ჯერ კიდევ შემორჩენილ განათლების სისტემაშიც: ეკონომიკის განვითარების სპეციალისტები და არქიტექტორები სხვადასხვა ფაკულტეტებზე, სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობდენ და თითქმის არ ქონდათ ე.წ. "საერთო გადაკვეთის წერტილები". სივრცითი დაგეგმვა, როგორც ინტერდისციპლინარული საგანი და რომელსაც დასავლეთი იყენებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, საბჭოთა რეალობაში არ არსებობდა და მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს.

მიწათსარგებლობის ზონირების გამოყენებას საბჭოთა ქალაქგეგმარებაში საკმაოდ შეზღუდული როლი ჰქონდა. კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების

გარეშე ზონირებას გამოეცალა როგორც ეკონომიკური - დაინტერესებულ მხარეთა ქონების ღირებულების დაცვა, ისე სამართლებრივი - მესაკუთრეთა შორის კონფლიქტების მოგვარება, ასპექტები. შესაბამისად, მისი დანიშნულება დავიდა მხოლოდ ქალაქის ტერიტორიის ჰომოგენურ ფუნქციონალურ ზონებად დაყოფამდე.

ქალაქის გენერალური გეგმის გარდა, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია მუშავდებოდა უფრო წვრილ მასშტაბშიც, რაც იმეორებს კონტინენტური ევროპის დაგეგმვის ორსაფეხუროვან სისტემას. თუმცა, მთავარი განსხვავება იყო ის, რომ ეს კონკრეტული გეგმარებითი დოკუმენტები არქიტექტურულ პროექტს წარმოადგენდა, სადაც, ზოგადი კომერციული დანიშნულების ობიექტების მაგივრად, პირდაპირ იყო მითითებული უბნისათვის ნორმატიულად დადგენილი ფუნქცია: კვების ობიექტი, აფთიაქი, სასურსათო მაღაზია და ა.შ.



ილუსტრაცია 2: ორთაჭალა. უბნის რეკონსტრუქციის მაკეტი 1970 წლის ქ. თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით

თუკი დასავლეთში ზონირებას იდეოლოგიური საფუძველი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და საცხოვრებელი ფუნქციის (კერძო მესაკუთრეთა და მოქალაქე-ამომრჩეველთა ძირითადი ქონების - სახლების) სხვა ფუნქციებისაგან

შესაძლო ზარალის მიყენებისაგან დაცვა იყო, საბჭოთა კავშირში, სადაც საცხოვრებელი ფონდიც სახელმწიფო იყო, ასეთი ამოცანა არ იდგა.

ის, რომ საბჭოთა დროს მიწის რესურსისადმი უდიერი დამოკიდებულება იყო, სამეცნიერო ლიტერატურაც ცხადყოფს (სალუქვაძე, 2010; Smith 1996; Sykora, 2009, Hirt, Stanilov, 2009). თბილისის შემთხვევაში, გენერალურმა გეგმებმა (1934, 1955, 1970) დასახეს განვითარების ის მიმართულებები, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის სტრუქტურასა და ფუნქციურ ზონირებაზე.



ილუსტრაცია 3: ლოჭინი. უბნის რეკონსტრუქციის მაკეტი 1970 წლის ქ. თბილისის გენერალური გეგმის მიხედვით

5. გარდამავალი პერიოდის ქალაქგეგმარების გამოწვევები

დამოუკიდებლობის აღდგენა პოსტ-კომუნისტური მმართველობისათვის ნიშნავდა მკვეთრ შემობრუნებას მემარჯვენე იდეებისაკენ. *laissez-faire* სისტემის ნეო-ლიბერალურმა პოლიტიკამ განაპირობა დაგეგმვის სფეროს სრული დერეგულირება (Andrusz et all, 2008; Aslund, 2012; Pickles, Smith, 2005; Van Assche, Salukvadze, 2011). ამასთან, დაგეგმვის პრაქტიკა კრიზისში აღმოჩდა, რადგან ერთის მხრივ ის საზოგადოებაში ქვაზი-კომუნისტურ საქმიანობად მოიაზრებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, სათანადო მექანიზმების არქონის გამო (Hirt, Stanilov, 2009).

"მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ახალი გენგეგმის მიღების საჭიროების საყოველთაო აღიარება, რომელიც ახალი რეალობების პირობებში ქალაქის განვითარებას დაარეგულირებდა, ქალაქის ხელმძღვანელობა სულაც არ ჩქარობდა ასეთი დოკუმენტის შემუშავებას და დამტკიცებას. არც ქვეყნის პოლიტიკა აიძულებდა მათ ამის გაკეთებას. ფაქტობრივად, ძველი, 1970 წლის გენგეგმა იძლეოდა მრავალმხრივ შესაძლებლობას, რათა მომხდარიყო "საჭირო კავშირების" არმქონე პირების არასასურველი პროექტების უარყოფა და დაბლოკვა."(სალუქვაძე, 2010, გვ.158).

სახელმწიფო საკუთრების - მიწის, უძრავი ქონებისა (მათ შორის საცხოვრებელი ფონდის) და წარმოების საშუალებების - რესტრუქტურიზაცია და თითქმის უკონტროლო პრივატიზაცია ნიშნავდა სრულიად ახალ სოციო-ეკონომიკურ კონტექსტს დამგეგმარებლებისათვის. ურბანული განვითარებაში მრავალი მოთამაშე გაჩნდა, რომელთა შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად პოსტ-საბჭოთა ქალაქეგეგმარებამ დასავლეთის დაგეგმვის მექანიზმების ადაპტირება დაიწყო. თუმცა, აღნიშნული პროცესი ქმედით ფაზაში მხოლოდ 2000-იანი წლებში გადავიდა.

6. მიწათსარგებლობითი ზონირების საქართველოში მოქმედი მოდელი

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენეული მოდელი გერმანულს ეფუძნება, ამ ორ მიდგომას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც, მმართველობის არაფორმალური პროტოკოლებით არის განპირობებული.

საქართველოში მიწათსარგებლობის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ (2005). კანონის მიხედვით, მიწათსარგებლობის დაგეგმვა არის "საქმიანობა, რომელიც განსაზღვრავს მიწის (დასახლებათა ტერიტორიების) გამოყენების სახეობას, ინტენსივობას და პირობებს ზონირების მეთოდით" (მუხლი 2, პ."ზ");

დასახლების მიწათსარგებლობითი დაგეგმვა ხორციელდება ორსაფეხურიანი სისტემით:

1. მიწათსარგებლობის გეგმა: "ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს;" (მუხლი 2, პ."მ").

2. განაშენიანების რეგულირების გეგმა: ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას,

ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას;

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა წარმოადგენს უფლებრივი ზონირების გეგმას, რომელიც, თავის მხრივ წარმოადგენს ფუნქციური, სტრუქტურული და შეზღუდვითი ზონირების გეგმების ზედდებას. დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მსგავსი დაყოფა სხვაგან არ გვხვდება.

ამასთან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ზოგადი ზონირების განმსაზღვრელი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც არ აქვს იურიდიული ძალა კონკრეტული ნაკვეთების მიმართ.

მშენებლობის ნებართვის გასაცემად და მიწის ნაკვეთის გარკვეული ვალდებულებებით დასატირთად - განაშენიანების პარამეტრების დასადგენად - აუცილებელია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც უფრო კომპლექსური დოკუმენტია, ვიდრე კონკრეტული უფლებრივი ზონირების გეგმა.

გერმანული მოდელის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენეულ სისტემას, დასახლების მიწათსარგებლობის ზონირება განისაზღვრება ფედერალური კანონით - *Baunut- zungsverordnung* ან *BauNVO.* ეს დოკუმენტი განსაზღვრავს მიწის რეგულირების უბნების რამდენიმე კლასს და ქვე-კლასს და ამ უბნებს შიგნით დაშვებული მიწათსარგებლობის სახეობებს. ამდენად, კანონი განსაზღვრავს ყველა შესაძლო კლასის სიას, რომლიდანაც ადგილობრივი თვითმმართველობა ირჩევს მიწის მხოლოდ იმ კლასებს, რომელიც აუცილებელია ტერიტორიის დასაგეგმად. ამასთან, ადგილობრივ თვითთმართველობას არ შეუძლია ახალი ზონის დამატება. *BauNVO* ადგენს ფუნქციური ზონირების ოთხ ძირითად კლასს, ესენია: საცხოვრებელი, შერეული, კომერციული და სპეციალური. ზოგადი კლასები შემდეგ იყოფა 11 კონკრეტულ ქვე-კლასად. (Hirt, 2007).

გერმანული მოდელისაგან განსხვავებით, საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია განსაზღვროს დამატებითი მიწათსარგებლობითი ზონები და მათი პარამეტრები.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის დადგენილება #59 ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე გამოყოფს 11 ზოგად ფუნქციურ ზონას და 22 კონკრეტულ ფუნქციურ ზონას.

ამასთან, ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ასხვავებს 21 კონკრეტულ უფლებრივ ზონას (იხ. ილუსტრაცია 4)



ილუსტრაცია 4: ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (2009 წ.)

ზონების ასეთი მრავალფეროვნება და საქალაქო სტრუქტურის დანაწევრება თბილისის ზონირების მოდელს უფრო ახლოს აყენებს მიწათსარგებლობის ზონირების ამერიკულ ვარიანტთან. შედეგად, მცირდება ზონებში ფუნქციათა "შერეულობა", რაც პროფესიულ საზოგადოებაში საქალაქო სიცოცხლისუნარიანობის სინონიმია (Jacobs, 1961; Congress for the New Urbanism 2001).

ამასთან, საგულისხმოა რომ გერმანული მოდელის მსგავსად, ზონებს შიგნით დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები განლაგებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, ეს ფუნქცია არ არის ექსკლუზიური და დასაშვებ საქმიანობათა სია ასევე მოიცავს სოციალური და კომერციული ობიექტების ჩამონათვალსაც.

ილუსტრაცია 5: ქ. თბილისის გენერალური გეგმა (1970 წ.)

შედარებისათვის, საბჭოთა გენერალურ გეგმებს გაცილებით ნაკლები დანაწევრება ქონდათ. მაგ., 1980-იანი წლების ბოლოს ქალაქის მიწის გამოყენების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა (სალუქვაძე, 2010, გვ. 152):

საცხოვრებელი - 31%; წარმოება - 17%; მომსახურება - 7%; ტრანსპორტი - 21%; რეკრეაცია 6%; აგრარული 3%; გამოუყენებელი 12% და სხვა - 3%.

ქალაქის სტრუქტურის ნაკლები დანაწევრება შესაძლებლობას იძლევა ფუნქციური/უფლებრივი ზონის შიგნით შეიქმნას ფუნქციათა მრავალფეროვნება. ამის რეგულირებისათვის კი ზუსტად მეორე დონის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი - განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა იყოს გამოყენებული.

როგორც ჰირტი (2010) წერს, მრავალდეროვნება - ადამიანების, ნაშენი ფორმების, აქტივობებისა და მიწათსარგებლობის ტიპების - არის ე.წ. "ურბანულობის" საწინდარი. მას აქვს პოტენციალი მოიზიდოს მეტი საფეხმავლო აქტივობა, გაზარდოს სოციალური ინტერაქციები და განავითაროს მდიდარი სამოქალაქო ცხოვრება.

თბილისური მოდელის კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება არის მისი "ოპერატიულობა". 2009 წელს მიღებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა წარმოადგენდა უფლებრივი ზონირების რუკას, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნული გულისხმობს რომ ქალაქის განვითარება მიმდინარეობს "საგანგებო სიტუაციის" (Agamben, 2005) რეჟიმში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალაქი, იმის მაგივრად რომ ზუსტად აღასრულოს კანონით დადგენილი პროცედურა - შეიმუშავოს ერთის მხრივ, მიწათსარგებლობის გეგმა და შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმები მშენებლობების ადმინისტირებისათვის, ირჩევს "საგანგებო სიტუაციის" რეჟიმს და შესაბამისად მართავს განვითარებას.

აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ თბილისის ზონირების მოდელი წარმოადგენს ქვაზი-ფორმალურ რეგულაციას, რომელიც ფორმალური დასავლური ურბანიზაციის ტიპისაგან განსხვავებულ ვარიანტს წარმოშობს. ამგვარი 'ურბანიზაციის' პროცესის სამიზნედ ცალკეული მიწის ნაკვეთებია და არა მთლიანი ქალაქი. გარდამავალ პერიოდში შემუშავებული სამართლებრივი აპარატი, რომელიც ახლაც "წარმატებით" ფუნქციონირებს, მიმართულია ნაგებობის აშენებისთვის საჭირო საკითხების გადაწყვეტაზე მინიმალური რეგულაციების პირობებში. ამან საბოლოო ჯამში, შენობების და ცალკეული ქუჩების/უბნების გამოკვეთილი ტიპი წარმოშვა.



ილუსტრაცია 6: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმები და ჩარჩო გეგმები ქ. თბილისში (2017 წ.)

თბილისში, ამის ნათელი მაგალითია მაღალი სიმჭიდრობის საცხოვრებელი უბნები ალექსიძის და ყოფშიძია ქუჩების გასწვრივ. მსგავსი პრაქტიკა ქალაქის შიგნით უთანაბრო განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგად იქცა. შედეგად, მიმდინარეობს

ურბანული ქსოვილი ფრაგმენტაცია, რომელიც სპონტანური და შემთხვევითი განვითარების პრინციპებს ემორჩილება.

7. დასკვნები

როგორც ანალიზმა აჩვენა, მიწათსარგებლობითი ზონირების, როგორც ქალაქის სტრუქტურის რეგულირების ხელსაწყო საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და ეფუძნება კერძო მესაკუთრეთა შორის კონფლიქტების თავიდან აცილებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. იდეოლოგიურად, დასავლეთში განვითარებული ეს მიდგომა პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა დროს გამოყენებადი ზონირებისაგან, რომელიც უგულებელყოფდა ამ ხელსაწყოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა დაგეგმვის სისტემა, რომელიც დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის, რეგიონის, ქალაქისა თუ განაშენიანების რეგულირების დოკუმენტაციის ტიპზე, იმეორებს ტერიტორიის დაგეგმვის დასავლურ პრაქტიკას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია ფრაგმენტულია და არ არის დროში შემოწმებული. ამდენად, ჯერ კიდევ რთულია მისი შედეგების შეფასება. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ნათლად ჩანს რომ მიუხედავად არსებული იურიდიული და ინსტიტუციონალური აპარატისა, პრაქტიკაში მიწათსარგებლობა სარგებლობს ქვაზი-ფორმალური პროტოკოლებით.

წინამდებარე ნაშრომში არ არის განხილული მიწათსარგებლობითი დაგეგმვის ინსტიტუციონალური ჩარჩო და რა როლს ითამაშებს საქართველოში მოქმედ მოდელზე ევროკავშირთან ასოცირების პროცესი.

ასევე, საკითხზე სრული წარმოდგენის შესადგენად აუცილებელი იქნება მიწათსარგებლობაში ჩართული სტეიკჰოლდერების ურთიერთქმედებების

შესწავლა. მათ შორის, მიწათსარგებლობის პროცესში თანამონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ რომ დასავლურ მოდელში მოქალაქეს - ამომრჩეველს - მესაკუთრეს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გარემოს ფორმირებაზე.

ჩვენს რეალობაში მოქმედი მოდელი ასევე უგულებელყოფს ზონირების ეკონომიკურ ასპექტს. ის თითქმის არ ახდენს გავლენას საგადასახადო პოლიტიკაზე. ამ მხრივ, ზონირების შესწავლა პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდიდა შეგვეფასებინა სხვადასხვა ზონების თანაწყობის ეფექტიანობა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დასკვნა კი მდგომარეობს იმაში, რომ მიწათსარგებლობითი ზონირება არის პოლიტიკური პროცესის შედეგი.

8. გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ;

საქართველოს მთავრობის დადგენილება #59 ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #14-39 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ.

სალუქვაძე, ი. (2010). პოსტსაბჭოთა თბილისის სივრცითი ტრანსფორმაცია: ქლაქგეგმარების კრიზისი და საბაზრო მექანიზმების როლი. შემდგენლები: ვან აშე, კ., სალუქვაძე, ი. შავიშვილი, ნ. თბილისი ცვლილებების ხანაში: ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Andrusz, G., Harloe, M., & Szelenyi, I. (2008). *Cities After Socialism: Urban and Regional Change and Conflict in Post-Socialist Societies*. John Wiley & Sons.

Aslund, A. (2012). *How Capitalism Was Built: The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, the Caucasus, and Central Asia*. Cambridge University Press.

Borén, T., & Gentile, M. (2007). Metropolitan processes in post-Communist states: an introduction. *Geografiska Annaler: Series B, Human Geography*, *89*(2), 95–110.

Bouzarovski, S., Salukvadze, J., & Gentile, M. (2011). A socially resilient urban transition? The contested landscapes of apartment building extensions in two post-communist cities. *U rban Studies*, *48* (13), 2689–2714.

Cook, L. J. (2013). *Postcommunist Welfare States: Reform Politics in Russia and Eastern Europe*. Cornell University Press.

Davidson, M., & Wyly, E. (2012). Class-ifying London: Questioning social division and space claims in the post-industrial metropolis. *City*, *16* (4), 395–421.

Fischel, W. A. (2001). *An economic history of zoning and a cure for its exclusionary effects*. Hanover, NH: Dept. of Economics, Dartmouth College.

Hamilton, F. E. I., Andrews, K. D., & Pichler-Milanović, N. (2005). *Transformation of*

Cities in Central and Eastern Europe: Towards Globalization. United Nations University Press.

Hirt, S. A., & Stanilov, K. (2009). *Twenty years of transition: The evolution of urban planning in Eastern Europe and the Former Soviet Union, 1989-2009*. Nairobi: UN-HABITAT.

Hirt, S. A. (2012). *Iron Curtains: Gates, Suburbs and Privatization of Space in the Post-socialist City*.

Hirt, S. A. (2007, 12). The Devil Is in the Definitions. *Journal of the American Planning Association, 73*(4), 436-450. doi:10.1080/01944360708978524

Hirt, S. A. (2015). *Zoned in the USA The Origins and Implications of American Land-Use Regulation*. Ithaca: Cornell University Press.

Logan, T. H. (1976, 10). The Americanization of German Zoning. *Journal of the American Institute of Planners, 42*(4), 377-385. doi:10.1080/01944367608977742

Marcińczak, S., Musterd, S., & Stępniak, M. (2012). Where the grass is greener: social segregation in three major Polish cities at the beginning of the 21st century. *European Urban and Regional Studies*, *19* (4), 383–403. http://doi.org/10.1177/0969776411428496

Marcińczak, S., & Sagan, I. (2011). The socio-spatial restructuring of Lódź, Poland. *Urban Studies*, *48* (9), 1789–1809.

Musterd, S., & Ostendorf, W. (2013). *Urban segregation and the welfare state: Inequality and exclusion in western cities*. Routledge. Retrieved from http://books.google.com.sci-hub.org/books?hl=en&lr=&id=K5wrEE87BYgC&oi=fnd&pg=PP1&dq=Musterd,+S.,+%26+Ostendorf,+W.+(2013).+Urban+segregation+and+the+welfare+state:+Inequality+and+exclusion+in+western+cities.+Routledge.&ots=jSTegPEpU9&sig=qHSmz9GUF_efiR KCcDPpAloq9I4

Nove, A. (1991). *The economics of feasible socialism revisited*. Routledge. Retrieved from http://books.google.com/books?hl=en&lr=&id=_HSIAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=Housing+allocation+under+socialism:+the+Soviet+case+revisited&ots=UDCX2j8lhG&sig=qmYVrJYC1ze Xt4S3dNpbrSx1wBk

Pickles, J., & Smith, A. (2005). *Theorizing Transition: The Political Economy of Post-Communist Transformations*. Routledge.

Schleicher, D. (n.d.). City Unplanning. *SSRN Electronic Journal*. doi:10.2139/ssrn.1990353

Schmidt, S., & Buehler, R. (2007, 02). The Planning Process in the US and Germany: A Comparative Analysis. *International Planning Studies, 12*(1), 55-75. doi:10.1080/13563470701346592

Smith, D. M. (1996). The Socialist City. In G. Andrusz, M. Harloe, & I. Szelenyi (Eds.), *C ities After Socialism* (pp. 70–99). Blackwell Publishers Ltd. Retrieved from http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9780470712733.ch3/summary

Smith, N. (2010). *Uneven Development: Nature, Capital, and the Production of Space*. University of Georgia Press.

Stanilov, K. (2007). *The Post-Socialist City: Urban Form and Space Transformations in Central and Eastern Europe after Socialism*. Springer.

Sỳkora, L. (2009). Post-socialist cities. In *International encyclopedia of human geography* (Vol. 8, pp. 387–395).

Sỳkora, L., & Bouzarovski, S. (2012). Multiple Transformations Conceptualising the Post-communist Urban Transition. *Urban Studies*, *49*(1), 43–60.

Tsenkova, S., & Nedovic-Budic, Z. (2006). *The Urban Mosaic of Post-Socialist Europe: Space, Institutions and Policy*. Springer.

Urban Policy in Germany. (1999, 07). doi:10.1787/9789264173194-en

Van Assche, K., & Salukvadze, J. (2011). Tbilisi reinvented: planning, development and the unfinished project of democracy in Georgia. *Planning Perspectives*, *27*(1), 1–24. http://doi.org/10.1080/02665433.2011.601611

Van Assche, K., Salukvadze, J., & Duineveld, M. (2012). Speed, vitality and innovation in the reinvention of Georgian planning aspects of integration and role formation. *E uropean Planning Studies*, *20*(6), 999–1015.

Van Assche, K., Salukvadze, J., & Shavishvili, N. (2009). *City culture and city planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet*. Edwin Mellen Press. Retrieved from http://library.wur.nl/WebQuery/clc/1906138

Young, C., & Kaczmarek, S. (1999). Changing the Perception of the Post-Socialist City: Place Promotion and Imagery in Łódź, Poland. *T he Geographical Journal*, *165*(2), 183–191. http://doi.org/10.2307/3060416

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო სწავლების პირველი კურსის

სადოქტორო სემინარი

თემა

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება და იმპორტი საქართველოში

დოქტორანტი რამაზ სართანია

2017 წელი

სარჩევი

შესავალი	3
საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება	4
მეურნეობების რაოდენობა და მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა	5
მემარცვლეობა	9
ერთწლიანი კულტურები	14
მრავალწლიანი ნარგავები	19
მეცხოველეობა	23
საგარეო ვაჭრობა და იმპორტი	35
დასკვნა	42
გამოყენებული წყაროები	45

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებიდან გამომიდინარე სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში წარმოებული პროდუქციის წილი ძალინ მცირეა მშპ-ში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სტაბილური, მინიმუმ ნახევარმილიარდ დოლარიანი დეფიციტი კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსს და კორექტივები შეაქვს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში. საქართველოს სოფლებში ცხოვრობს 1.6 მილიონი ადამიანი და მათი კეთილდღეობის ძირითად წყარო სამეურნეო საქმიანობაა. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის საერთო ღირებულებამ 2014 წლიდან უკვე 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამ პროდუქტების ნაწილი მიეკუთვნება კატეგორიას, რომლის წარმოება საქართველოში შეუძლებელია კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. თუმცა დანარჩენი სახეობები საქართველოს ბაზრის პოტენციურად რეზერვს წარმოადგენს. მათი წარმოება დამოკიდებულია სასელექციო სამუშაოების, სასოფლო-სამეურნეო ქიმიის ოპტიმალური გამოყენების, მიწის რეფორმის და ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. ქვეყანას არ ამოუწურავს თავისი რესურსები, თუმცა მალთუსის თეორია ძალიან მნიშვნელოვანწილად რეალობად არის ქცეული.

თემის მიზანია ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებული პპროცესების ფონზე ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის დახასიათება. საქართველოს მონაცემები გაანალიზებულია დროის ჭრილში ქვეყნის ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. საქართველოს მონაცემები ამავე დროს შედარებულია მსგავსი ფიზიკურ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული პირობების მქონე ქვეყნებთან. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაანალიზდა საგარეო ვაჭრობის ჭრილშიც, რაც მიზნად ისახავდა ბაზრის მდგომარეობის შეფასებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალის გაფართოების თვალსაზრისით ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საფუძველზე.

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება

სოფლის მეურნეობა მიუხედავად მისი სტრატეგიული დანიშნულებისა, განუხრელ დაღმასვლას განიცდის გასული საუკუნის ბოლო წლებიდან.

1998 წლიდან ძირითადი სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობებიც და მოსავლიც მკვეთრად შემცირდა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გარდამტეხია 2005-2006 წლები, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ წელიწადში განახევრდა და შემდგომში ამ დონეზე შენარჩუნდა.

ცხრილი #1. საქართველოს სავარგულები 1998 -2014 წწ.

	1998	2000	2003	2014
სახნავი	791.2	792.9	801.8	377,4
ნათესი ფართობი:				
ხორბალი	145	105.5	117.3	48.6
სიმინდი	220	220	197.6	129.1
მრავალწლიანი ნარგავები	270	269	264	109.6
სათიბი	1936.5	1938	1940	300

(საქართველოს სტსტისტიკის ეროვნული სამსახური, 2005, 2010, 2015).

ქვემოთმოყვანილი გრაფიკი ასახავს მოსავლის რაოდენობის დინამიკას იგივე პერიოდში.

გრაფიკი #1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავალი 1998-2014 წლებში



სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით რომელიც ჩატარდა 2014 წელს აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში არსებული (საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე) მეურნეობები - ყველა ის შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჰყავდა პირუტყვი, ფრინველი, ფუტკრის ოჯახი ან ჰქონდა მრავალწლოვანი ნარგავი (სასოფლო-სამეურნეო), მიუხედავად იმისა, საანგარიშო წელს აწარმოა თუ არა რაიმე სახის სასოფლო–სამეურნეო პროდუქცია.

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არის 842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% (734.8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა) - დროებით სარგებლობაში.

2014წლის 1ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაშია 842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% (734.8 ათასი ჰა) მუდმივ საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა)-დროებით სარგებლობაში.1991-2002 წლებში მსოფლიო ბანკის შეფასებით, სოფლის მეურნეობა საქართველოში საშუალოდ 11%-იან კლებას განიცდიდა. 2011 წელს სოფლის მეურნეობამ შეადგინა მშპ-ის 8%, მაშინ როცა 2010 წელს ის იყო 8.4%, ხოლო 2009 წელს - 9.4%. ფერმერების 95% არის მცირე ფერმერი, რომელიც დაახლოებით 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს, სავარაუდოდ ჰყავს 2 ძროხა და ამდენად, მისი მოსავალი მცირეა. ბანკები თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის სექტორისთვის კრედიტის გაცემისგან, უძრავი ქონების დაბალი ლიკვიდურობის გამო. სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ნელი ტემპი კი, მიწების მიტოვებასთან ერთად, განაპირობებს სიღარიბის შენარჩენაბას გადაუჭრელ პრობლემად. (ENPARD. (2016).

აღწერის შედეგად, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი - შინამეურნეობა და 2.2 ათასი - იურიდიული პირი. მეურნეების 30.9%-ს ქალი მეურნეები შეადგენენ, რაც შესაძლებელია მექანიკური გაყოფით იყოს გამოწვეული.

რეგიონების მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19.6%), კახეთსა (15.1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (13.3%) დაფიქსირდა.

მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 87%-ს სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, 68.1 ათასი უმიწოა. მეურნეობების სარგებლობაში საერთო ჯამში 787.7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მათ შორის 86.5% (681.1ათასი ჰა) შინამეურნეობების, ხოლო 13.5% (106.6ათასი ჰა) იურიდიული პირების სარგებლობაშია. (სასოფლო სამეურნეო აღწერა, 2014).

ქვემოთ მოცემულცხრილში წარმოდგენილია მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო მაჩვენებლები მეურნეობის კატეგორიების მიხედვით.

ცხრილი #2. მეურნეობების სარგებლობაშიარსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო სიდიდე (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

მაჩვენებელი	ყველა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობები	იურიდიული პირები
მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით, ათასი ერთეული	**574.1**	**571.9**	**2.2**
სასოფლო-სამეურნეო მიწა, ათასი ჰა. მათ შორის:	**787.7**	**681.1**	**106.6**
სახნავი	377.4	322.7	54.8
მრავალწლოვანი ნარგავები	109.6	92.6	17.0
სათიბები და საძოვრები	300.0	265.2	34.8
სათბურები	0.7	0.6	0.1
სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობი*	**1.4**	**1.2**	**49.2**

**საშუალო ფართობი გაიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეფარდებითი მეურნეობების რაოდენობასთან, რომელთაც სარგებლობაში აქვთ სასოფლო-სამეურნეო მიწა.*

ცხრილი #3. მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგიონების მიხედვით (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

რეგიონი	სასოფლო - სამეურნეომიწა	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეომიწით	საშუალო ფართობი
	ათასიჰა	ათასიერთეული	ჰა
საქართველო	**787.7**	**574.1**	**1.4**
მათ შორის:			
ქ. თბილისი	2.8	13.6	0.2
აჭარისარ	19.7	43.9	0.4
გურია	26.9	33.5	0.8
იმერეთი	65.7	111.2	0.6
კახეთი	315.5	88.8	3.6
მცხეთა-მთიანეთი	20.8	29.9	0.7
რაჭა-ლეჩხუმი დ აქვემო სვანეთი	5.8	13.5	0.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	66.7	76.4	0.9
სამცხე-ჯავახეთი	76.1	34.5	2.2
ქვემო ქართლი	122.3	67.5	1.8
შიდა ქართლი	65.4	61.3	1.1

2014წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში 377.4 ათასი ჰა სახნავია, მათ შორის 85.5% - შინამეურნეობების, ხოლო14.5% -იურიდიული პირების სარგებლობაში. მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის საშუალო ფართობი 0.7 ჰა-ს შეადგენს. მეურნეობების 86.9%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები სახნავი. სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართობის70.3% (265.4 ათასიჰა) ნათესებით არის დაკავებული. აღნიშნული მაჩვენებელი შინამეურნეობებისათვის 77.2%-ს (249.2 ათასი ჰა), ხოლო იურიდიული პირებისათვის 29.5%-ს (16.2 ათასი ჰა) შეადგენს. 1 ჰა და მეტი ნათესი აქვს 49.4 ათას მეურნეობას; 5 ჰა და მეტი-3.5 ათასს, 10 ჰა და მეტი კი-1.6 ათასს.

შინამეურნეობებზე გადანაწილებული სახნავი მიწების საშუალო ფართობი ნათლად გამოხატავს, რომ მათ დასამუშავებლად ტექნიკის შეძენა არარენტაბელურია. მოწეული მოსავალი, ანუ შრომა ვერ ამართლებს იმ დანახარჯებს, რაც მის მოყვანას სჭირდება. ძალიან დაბალია სახნავი მიწების გამოყენების კოეფიციენტი 0.7; სახნავი მიწები მარცვლეულის მოსაყვანად გამოიყენება და იმ პირობებში, როდესაც ქვეყანის ტერიტორიის მხოლოდ 10%-ია ვარგისი დამუშავებისათვის, მისი გამოყენება სრულად არ ხდება და როგორც ქვემოთ იქნება განხილული, მოსავლიანობაც ძალიან დაბალია.

შესადარებლად ცხრილის #__ ასახავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობს საქართველოში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სლოვენიაში და ავსტრიაში. შედარების ამოსავალი პრინციპია საქართველოს მსგავსი ოროგრაფიის და კლიმატის მქონე ქვეყნებიდან ევროკავშირის დიდი ხნის და ახალი წევრები და ტრანზიტული ეკონომიკის მქონე (ბოსნია-ჰერცოგოვინა) სახელმწიფოების შედარება. როგორც ცხრილიდან ჩანს სავარგულების განაწილება თითქმის საქართველოს პროპორციულია.

ცხრილი # 4. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი

	საქართველო	ბოსნია-ჰერცეგოვინა	სლოვენია	ავსტრია
ფართობი, ათასი კვ. კმ	69.7	50.02	20.27	83.9
ნათესები და ნარგავები(მლნ. ჰა)	1.1 (15.8%)	0.7 (13.7%)	0.285 (14.01%)	1.4 (16.7%)
მათ შორის , სარწყავი (მლნ. ჰა)	0.5 (45%)	-	-	0.12 (8.5%)
საძოვრები	1.9 (27.3%)	1.2 (23.5%)	0.5 (24.2%)	2 (23.8%)

(FAO, 2016).

მემარცვლეობა

საქართველოს მემცენარეობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ტრადიციული კულტურების წარმოების არაეფექტურობა (დაბალი მოსავლიანობა) და გეოგრაფიული პირობებისა არასრული გამოყენება ნათესი კულტურების გავრცელების არეალების ჩამოყალიბებისას. მემარცვლეობაში ხორბლის დაბალი მოსავლიანობა განაპირობებს მუდმივ დანახარჯებს ქვეყნისთვის აუცილებელი ხორბლის იმპორტირებისათვის. სასელექციო კვლევების შედეგების მიუწვდომლობა და მისი მნიშვნელობის უგულვებელყოფა დიდ გავლენას ახდენს ნათესი ტერიტორიების შერჩევაზე, კულტურათა როტაციაზე და მოსავლიანობაზე. ფერმერები იყენებენ სასუქსა, თუმცა ძალიან ხშირად არ იციან მისი დანიშნულება. ისეთი პრაქტიკის არარსებობა, როგორიცაა ნიადაგის ანალიზი, კიდევ უფრო ართულებს ფერმერთა მდგომარეობას. სასუქის შერჩევა ხდება ზოგადი ცოდნის საფუძველზე, ან დაუსაბუთებელი რაოდენობით. სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ჩარევა, როგორიცაა 20 ლიტრი საწვავის დარიგება, ან გარკვეული ჯიშის პრიორიტეტულად გავრცელება ფერმერთა შორის, ხელისშემშლელია სასოფლო-სამეურნეო კვლევაში დასაქმებული პროფესიონალებისთვის და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის. ასეთი მიდგომები გარკვეულ ანომალიებასც იწვევს. მაგალითად, სიმინდის თითქმის ორჯერ მეტი მოსავლიანობა კახეთში დასავლეთ საქართველოსთან შედარებით,იმის გამო რომ იმერეთში და ქვემო ქართლში 2003 წელთან შედარებით 2.6-ჯერ შემცირდა მოსავალი, სამეგრელო -ზემო სვანეთში - 2-ჯერ, კახეთში კი 2-ჯერ გაიზარდა. 2003 წელთან შედარებით 6-7-ჯერ შემცირდა ხორბლის მოსავალი ქვემო ქართლში და შიდა ქართლში.

ცხრილი#6.

		საქართველო	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ხორბალი	წარმოება	**126.6**				103		5.3			6.9	10
	მოსავლიანობა, ტ/ჰა	2.6				2.7		2.7			0.2	2.2
ქერი	წარმოება	**47.2**				23		10.8			2.8	9.4
	მოსავლიანობა, ტ/ჰა	0.2				2.3		2.2			1.5	1.7
სიმინდი	წარმოება	**243.7**	4.8	22	54	77	2.8	2.2	2.7	52	17	1
	მოსავლიანობა, ტ/ჰა	2.6	1.8	3	2	4.5	0.2	2.2	1.9	2.4	3	2.3

FAO-ს მონაცემების მიხედვით 2014 წლის ხორბლის მოსავლიანობით საქართველო შერჩეული 126 ქვეყნიდან 110-ს ჩამორჩებოდა. მათ შორის: ჩადს, ალჟირს, სირიას, მონღოლეთს, ავღანეთს, სუდანს. საქართველო არა მხოლოდ ვერ იყენებს იმ ბუნებრივ პირობებს, რომელიც შესაფერისია ხორბლის მოსაყვანად, არამედ მოსავლიანობაც ძალიან დაბალი აქვს ნათეს ფართობებზე. ამიტომ ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ 10% აწარმოებს. იმპორტი 2009 წელს შეადგენდა 521 ათას ტონას, ხოლო 2014 წელს - 567 ათას ტონას. (საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2014)

ცხრილი # 7. ხორბლის მოსავალი 2009 – 2014

	საქართველო		**ბოსნია-ჰერცეგოვინა**		**სლოვენია**		**ავსტრია**	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
ნათესი ფართობი, ათასი ჰა	50.2	40.1	67.8	59.6	34.5	33.1	309	304.6
მოსავალი, ათასი ტ	53.9	50.2	255.8	170.6	136.9	173.2	1 523.4	1 804
მოსავლიანობა ტ/ჰა	10.7	12.5	37.8	28.6	39.6	52.3	49.3	59.2

http://www.fao.org/faostat/en/#data/QC

რუკა #1. ხორბლის მოსავლიანობა საქართველოს ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით



გარდა იმისა, რომ სახელმწიფოში ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონ აშშ დოლარს იხარჯება ხორბლის შესაძენად, ამ სტრატეგიული ნედლეულის ყიდულობენ რუსეთის ან მისი არაფორმალური გავლენის მქონე ქვეყნებში. ეს არჩევანი სხვა კონტინენტებიდან საზღვაო ტრანსპორტირების სიძვირით არის ახსნილი, თუმცა წისქვილები ხშირად აღნიშნავენ, რომ რუსული და ყაზახური ხორბალი დიდი რაოდენობით შეიცავს გრუნტის მინარევებს და დაბალი ხარისხისაა.

ცხრილი # 8. სიმინდის მოსავალი 2009 - 2014

	საქართველო		**ბოსნია-ჰერცეგოვინა**		**სლოვენია**		**ავსტრია**	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
ნათესი ფართობი, ათასი ჰა	123.7	151	38.6	38.3	34.5	33.1	178.5	216.3
მოსავალი, ათასი ტ	291	347.2	962.9	799.5	302.6	350.6	1 890.5	2 334.3
მოსავლიანობა ტ/ჰა	23	23.5	51	47	78.4	91.5	106	108

რუკა #2. სიმინდის მოსავლიანობა საქართველოს ადმინისტრაციულ მხარეების მიხედვით



ცხრილი # 9. ქერის მოსავალი 2009 - 2014

	საქართველო		**ბოსნია-ჰერცეგოვინა**		**სლოვენია**		**ავსტრია**	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
ნათესი ფართობი, ათასი ჰა	17.4	23.4	22.5	18.3	20	18.5	181.5	145.8
მოსავალი, ათასი ტ	19.9	31.5	77.2	48.6	70.8	89.7	835.1	845.7
მოსავლიანობა ტ/ჰა	11.4	12.5	35.3	26.6	35.2	48.5	46	58

ცალკე განხილვის თემაა სასუქების გამოყენება საქართველოში. ქვეყანაში ძირითადად აზოტოვანი სასუქები გამოიყენება, ხოლო ფოსფოროვანი (მცენარის თანაბარი განვითარებისა და ნაყოფის ჩამოყალიბების ხელშემწყობი) და კალიუმის (მცენარის ზრდას უწყობს ხელს, გვალვის და დაავადებების გამძლეობას მატებს და მოსავლიანობას ზრდის) სასუქები თითქმის უგულვებელყოფილია. საქართველო 2002-2014 წლების მონაცემების თანახმად თითქმის იმდენივე აზოტოვან სასუქს იყენებდა, რამდენსაც ავსტრია, მოსავლიანობა კი 5-ჯერ ნაკლებია. დიაგრამაში მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში სასუქების გამოყენება არამიზნობრივად ხდება, რაც მოსავალს აძვირებს,

ამასთანავე ჰაერის (შარდოვანადან აორთქლებული აზოტი, თუ წვიმის წინ არ იქნა გამოყენებული), ნიადაგის და ჰიდროგრაფიული ქსელის დაბინძურებას იწვევს.



http://www.fao.org/faostat/en/#data/RF

ბ) ერთწლიანი კულტურები

ერთწლიანი კულტურები, მათ შორის ძირითადად ბოსტნეული, საქართველოსთვის მნიშვნელოვან პროდუქტებს წარმოადგენენ, რადგან კვებით რაციონში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ. მიუხედავად შესაფერისი კლიმატური პირობებისა, ერთწლიანი კუტურებიდან მხოლოდ კარტოფილი აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას თითქმის 100%-ით. 2009 და 2014 წლებში საქართველოში კარტოფილის მოსავალი დაახლოებით ერთნაირი იყო და 216 ათას ტონას შეადგენდა, თუმცა მოსავლიანობის მხრივ ბევრად ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს.

კარტოფილის მოსავლიანობის განხილვისას ეს სხვაობა ნათლად ჩანს. მიუხედავად ქვეყნისთვვის დამაკმაყოფილებელი მოსავლისა, კარტოფილის მეტი რაოდენობით მოყვანის პოტენციალი არსებობს. სათესლე კარტოფილად გამოიყენება ე.წ. „ჰოლანდიური“ კარტოფილი, რომელიც უკეთეს მოსავალს იძლევა და მოხმარებისას ნაკლებ

დანაკარგებთანაა დაკავშირებული. ერთი კილოგრამი სათესლე კარტოფილის ფასი 2010-2014 წლებში დაახლოებით 2-3 ლარის ფარგლებში მერყეობდა, რაც ფერმერების დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელი იყო და მათ არათანაბარ კონკურენტუნარიანობას წარმოშობდა.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი #10 ცხადად გვიჩვენებს, რომ სომხეთმა და თურქეთმა შეძლეს ევროკავშირის წევრი სლოვენიის და ავსტრიის დონის მოსავლიანობის მიღწევა.

ცხრილი #10. კარტოფილის მოსავლიანობა, ტ/ჰა

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	სლოვენია	ავსტრია
2009	13	21	17	34	25	33
2014	13	26	15	36	27	35

რუკა #3. კარტოფილის მოსავლიანობა ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით, 2014



შესაძლებელია კარტოფილის მოსავლიანობის შედარება არჩეული ქვეყნების სამეულთანაც:

ცხრილი #11.	საქართველო		ბოსნია-ჰერცეგოვინა		სლოვენია		ავსტრია	
	2009	2014	2009	2014	2009	2014	2009	2014
ნათესი ფართობი, ათასი ჰა	18	18.2	36.7	34.2	4.2	3.6	22.2	21.4
მოსავალი, ათასი ტ	216.8	216.2	413.6	300.4	10.3	9.6	722.1	751
მოსავლიანობა ტ/ჰა	12	11.9	11.2	8.8	24.8	27	32.5	35.1

ბოსტნეული ხორბლის შედეგ სიდიდით მეორე კატეგორიაა იმპორტირებულ სურსათში. 2009 წლიდან შემდგომ ხუთ წელიწადში იგი 60%-ით გაიზარდა და 113 ათას ტონას გადააჭარბა, რომლის საერთო ღირებულება 59.5 მილიონი დოლარია. საქართველოში წარმოებული ბოსტნეულის რაოდენობა კი ამავე პერიოდში 10%-ით შემცირდა 153.6 ათას ტონამდე. რადგან ექსპორტი მთელი წარმოების 3-5%-ს შეადგენს ის შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს მოხმარებას და იმპორტს შორის ბალანსზე. 2014 წელს საქართველოში მოხმარებული ბოსტნეულის 45% იმპორტირებული იყო, 2009 წლის 30%-თან შედარებით. ბოსტნეულის დიდი წილის იმპორტირება მალფუჭებადობის გამო მეზობელი სახელმწიფოებიდან ხდება, რომლებიც დიდად არ განსხვავდებიან საქართველოს კლიმატური პირობებისგან, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერებით ჩამორჩებიან კიდევაც. 2003 წელთან შედარებით შიდა ქართლში, ქვემო ქართლში და იმერეთში 2.5-3 -ჯერ შემცირდა ბოსტნეულის მოსავალი 2014 წელს, კახეთში კი -5-ჯერ. ამ 4 რეგიონზე ორივე წელს მთელი მოსავლის 80% მოდიოდა.

მებოსტნეობაში და მებაღჩეობაში არასრულად არის გამოყენებული სასათბურე მეურნეობები, რაც ქვეყნის ბაზარს სეზონურს და იმპორტზე დამოკიდებულ ხდის. 2011-2013 წლებში USAID-ის ხელშეწყობით მოეწყო საინფორმაციო ტრენინგები 52 მეწარმის მონაწილეობით, რომლებიც სასათბურე მეურნეობებს ფლობენ. მათ განმავლობაში წარმოდგენილი იყო მშენებლობის ტექნოლოგიები, ენერგოეფექტურობის სახეობები, ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია და ა.შ. ამას მოჰყვა დაახლოებით 16 მილიონი დოლარის ინვესტირება როგორც კერძო მეწარმეების ასევე USAID მხრიდან. ამ პროექტის პროგნოზით საქართველოში ბოსტნეულის წარმოება უნდა გაოთხმაგდეს.

ცხრილი #12. მემცენარეობის პროდუქტები მოსავალი მხარეების მიხედვით

2016		საქართველო	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ლობიო	წარმოება	**5.8**	0.3	0.2	0.7	0.6	0.4	0.2	0.2	0.4	0.3	2.4
	მოსავლ. ტ/ჰა	0.7				0.7	0.5	0.7			0.6	0.7
კარტოფილი	წარმოება	**249.0**	14.2			4.5	3.2	160.5			44.1	16.0
	მოსავლ. ტ/ჰა	12.3	12.3			5.3	5.7	14.9			10.5	7.9
ბოსტნეული	წარმოება	**141.7**	4.7	1.8	14.5	16.2	1.8	3.7	0.7	5.2	52.8	40.1
	მოსავლ. ტ/ჰა	8.2	3.8	5.0	3.3	4.4	4.2	5.1	4.5	6.2	13.6	9.5
ბაღჩეული	წარმოება	**72.8**			8.2	62.1					1.3	
	მოსავლ. ტ/ჰა	2.2			10.9	26.1					11.5	

ცხრილი #13. ბოსტნეულის მოსავალი 2009 – 2014

ათასი, ტონა	საქართველო		ბოსნია-ჰერცეგოვინა		სლოვენია		ავსტრია	
	2009	2014	2009	2014	2009	2014	2009	2014
კომბოსტო	40	23	82	60	30	14	94	90
სტაფილო და თალგამი	4	11	21	20	4	4	84	107
ბროკოლი და ყვავილოვანი კომბოსტო	-	-	-	-	2	2	7	6
კიტრი	31	31	26	18	3	8	42	46
პომიდორი	51	65	46	29	4	7	42	57
ბადრიჯანი	10	10	-	-	-	-	0.2	0.9

კარტოფილი	217	216	414	300	103	97	722	751
შაქრისჭარხალი	-	-	0	1	-	-	3 083	4 244
მზესუმზირა, მარცვალი	2	10	0.2	0.6	0.3	0.5	71	58

http://www.fao.org/faostat/en/#data/QC

სოფლის მეურნეების მთავარი პრობლემა მოწეული მოსავალის რეალიზაციაა. არასათანადო ხარისხის გამო იგი ხშირად ვერ უწევს კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქტებს. მოსავლის დასაწყობების მიზნით 2008 წლიდან საქართველოში დაიწყო სამაცივრე საწყობების პროგრამა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მოსავლის მალფუჭებადობის პრობლემა და შეემცირებინა ქართული პროდუქციის მიწოდების სეზონური რყევა.

ამ საწარმოებს „ლოგისტიკური ცენტრები“ ეწოდა, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავმოყრილი იყო თბილისში და მის სიახლოვეს, რაც თავიდანვე ხელისშემშლელი აღმოჩნდა არსებული პროგრამის არსის სრული ეფექტით წარმოსაჩენად. მეურნეებისთვის პრობლემური აღმოჩნდა პროდუქციის ტრანსპორტირების დანახარჯების გაწევა, რადგან ე.წ. „ლოგისტიკური ცენტრები“ ფაქტიურად მხოლოდ თბილისი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად იყო გამიზნული. არსებული სამაცივრე საწარმოები შემნახავის ფუნქციას ასრულებდნენ და არ მონაწილეობდნენ პროდუქტების შესყიდვაში და სავაჭრო ოპერაციებში. შესაბამისად არსებულ გაყიდვის ჯაჭვს „გლეხი-გადამზიდავი-გადამყიდველი-მყიდველი“ დაემატა რგოლები და ჩამოყალიბდა „გლეხი-გადამზიდავი-საწყობი-მებითუმე-გამყიდველი-მყიდველი“ სახით.

არსებული სამაცივრე მეურნეობების აბსოლუტური უმრავლესობა დაბალი ტექმოლოგიებით, პრობლემური თერმული რეჟიმით და მცირე მოცულობით გამოირჩევა.

ყოველივე ეს ისევ საქართველოში წარმოებული პროდუქციის დანაკარგების ზრდას და ხარჯების მატებას იწვევს. ამას ემატება საქართველოში ტრადიციულად გავრცელებული ბოსტნეულის და ხილის ჯიშები თხელკანიანი და ტრანსპორტირების და გადამუშავების

დაბალი კულტურა, რის გამოც ადგილობრივი პროდუქცია გაცილებით მეტად ზიანდება ვიდრე იმპორტირებული პროდუქტები.

დაბალმოსავლიანი ჯიშები, სასოფლო-სამეურნეო ქიმიის არასათანადო გამოყენება, გადამუშავების და შენახვის მინიმალური შესაძლებლობები, ძლიერი კონკურენცია იმპორტიორების მხრიდან - ეს არის იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალი, რომელიც არარენტაბელურს ხდის პროდუქციის წამოებას და აფერხებს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში თანდათან მკვიდრდება აგრიბიზნესი. იურიდიული პირები, რომლებსაც დიდი ინვესტიციების საშუალება აქვთ ყალიბდებიან უმსხვილეს მეწარმეებად. ეს პროცესი არ არის უჩვეულო და სოფლის მეურნეობის განითარების ჩვეულებრივი ეტაპია. საქართველოს შემთხვევაში ნაკლოვანია ამ მსხვილი მეწარმეების გამოუცდელობა, შესაბამისი განათლების მიღების უმოტივაციობა, მდგრად განვითარებაზე ნაკლები ორიენტირებულობა და სწრაფი, დიდი შემოსავლების გადაჭარბებული მოლოდინები.

გ) მრავალწლიანი ნარგავები

საქართველო ტრადიციული მევენახეობის ქვეყანად ითვლება. ექსპორტის ორიენტირება ამ პროდუქტზე ძირითადად ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოებამ განაპირობა, რომლითაც საქართველო დსთ-ის ქვეყნებს ამარაგებდა.

ცხრილი #14. ვენახების ფართობი და ყურძნის მოსავალი

	საქართველო		**ბოსნია-ჰერცეგოვინა**		**სლოვენია**		**ავსტრია**	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
ნარგავი ფართობი, ათასი ჰა	48	59.4	5.8	4.1	16	16	45.1	44.8
მოსავალი, ათასი ტ	150	225	25.6	26.2	113	94	313.6	266.5
მოსავლიანობა ტ/ჰა	31.2	37.8	44	64	70	59	70	60

წყარო: http://www.fao.org/faostat/en/#data/QC

ღვინის წარმოებსათვის მნიშვნელოვანია გეოგრაფიული პირობები რაც ადგილწარმოშობის მიხედვით განისაზღვრება, ე.წ "Terroir". ქართული მეღვინეობა დიდწილად დამოკიდებულია ბუნებრივი პირობების ხელშეწყობით მოყვანილ ნედლეულზე, რადგან ვენახების დიდი წილი ეკუთვნით მცირე კერძო ერთეულებს (ხშირად 2-3 კაციან), რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ცოდნა და ფინანსება რომლის ინვესტირებას მოახდენდნენ საკუთარ მეურნეობებში.

ტრადიციული ბაზრები მიჩვეულია ნახევრადტკბილი წითელი ღვინის მოხმარებას, მაშინ როდესაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლიანად მშრალი ღვინოების ექსპორტს უკავია. შესაბამისად აქ ტექნოლოგიური განვითარებულობა და ბაზრის ცოდნა თამაშობს მთავარ როლს.

ხილი სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი მოსალოდნელი წყაროა. განსაკუთრებით გამოსაყოფია ვაშლის და ატმის მოსავალი. პირველი, ფაქტიურად შიდა ქართლის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საარსებო წყაროა. ატმის მოსავალი ძირითადად კახეთზე მოდის, თუმცა ამ მხარის სოფლის მეურნეობის მეტი დივერსიფიცერებულობის გამო, მოსახლეობის შემოსავლებზე ბევრად ნაკლებ გავლენას ახდენს. ვაშლის და სხვა კულტურები დაბალმოსავლიანი ხეხილის „გადაბერების" გამო. 2009 წელს საქართველოში ვაშლის მოსავლიანობა აზერბაიჯანზე თითქმის სამჯერ ნაკლები იყო, ბულგარეთზე - 4-ჯერ, შვედეთზე - 5-ჯერ, სლოვენიაზე, სამხრეთ აფრიკაზე, აშშ-ზე, საფრანგეთზე კი - 10-11-ჯერ ნაკლები. მოწეული მოსავლის 50% არაკონდიციურია და მხოლოდ კონცენტრატის დასამზადებლად ვარგა, ფერმერებისგან მისი შესყიდვის ფასი 20 კილოგრამიან ყუთზე საშუალოდ 80 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობს. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურად გაუმართლებელია ასეთი ხილის წარმოება. უხარისხო მოსავალი განპირობებულია დაბალნაყოფიერი ხეხილით. მოსახლეობას არ აქვს საშუალება გააახლოს ბაღები ახალი ნარგავებით და ამას ეტაპობრივად ახორციელებს, რაც თითქმის 10-15 წელი გრძელდება. ეს კი რეალურად განუწყვეტელ გაახლების პროცესს გულისხმობს, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოსავლიანობას.

ცხრილი #15. ხილის მოსავალი 2009 – 2014 (ათასი ტონა)

	საქართველო		ბოსნია-ჰერცეგოვინა		სლოვენია		ავსტრია	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
ვაშლი	81	87	72	45	96	100	486	560
გარგარი	0.2	0.7	1	1			24	25
მსხალი	11	16	25	14	10	10	167	51

ციტრუსის მოსავალი ცვლილება და საბაზრო ორიენტაციის შეცვლა ძირითადად ფორთოხლის ნარგავების შემცირებამ გამოიწვია, რადგან იმპორტირებულ ფორთოხალს ველარ გაუწია კონკურენცია. მანდარინის ბაზრის გეოგრაფიული არეალი ძალიან მცირეა და მისი ექსპორტი ძირითადად უკრაინაში და ბელარუსში ხდება. ციტრუსების რელიზაციის პერიოდი შედარებით მოკლეა, ხილთან შედარებით, რადგან მისი შენახვა კიდევ უფრო ტექნოლოგიურად განვითარებულ სამაცივრე საწყობებს მოითხოვს. სათანადოზე მაღალ ტემპერატურაზე შენახვა ნაყოფის წონის თითქმის 40 %-ით კლებას იწვევს. ეს კი მოსავლის შემცირების ტოლფასია.

ცხრილი #16. ჩაის და ციტრუსის მოსავალი, 2016 წელი

		საქართველო	**აჭარა**	**გურია**	**იმერეთი**	**სამეგრელო-ზემო სვანეთი**
ციტრუსი	მოსავალი, ათასი ტ	**65.5**	36.4	21.3	0.3	1.9
ჩაი	მოსავალი, ათასი ტ	**3**	0.8	0.4	0.7	1.1



გრაფიკი #2.

(ეროვნული სტატისტიკური სამსახური, 2015)

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო შიდა ბაზარზე მოხმარებაც შემცირებულია 90-იან წლებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედებს ხილის გადამამუშავებელი რამდენიმე საწარმო, მათ შორის HIPP-ის და RAUCH-ის (2017 წლის ივნისიდან) საწარმოები, განუვითარებელი საკონსერვო მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს დაბალი ხარისხის ხილის გადამუშავებას და დაკონსერვებას, რაც შეამცირებდა ხილის დანაკარგს. გარდა ამისა, ქართული წარმოების ხილის კონსერვები ხშირად დასავლეთ ევროპიდან იმპორტირებულ შესაბამის პროდუქციაზე ძვირია და ხშირად არც აქვს მითითებული ხილის შემცველობა.

2. მეცხოველეობა

საძოვრების დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელში რაც პირუტყვის ერთად ძოვებას იწვევს და ძნელია მათი იზოლირება დაავადებების გავრცელების შემთხვევაში. სუსტია საძოვრების კონტროლი მათი აღდგენისუნარიანობის შეფასების გარეშე. გადაძოვებული საძოვრები არამარტო გარკვეული სასოფლო თემის პრობლემა ხდება, როგორც დაკარგული სავარგული, არამედ ეროზიის წყაროდ იქცევა და ინტენსიურ დეგრადაცია განიცდის. მიტოვებული საძოვრების შემთხვევში ას პროცესი კიდევ უფრო შექცევადი ხდება. დაბალი ხარისხის საძოვრები უშუალო კავშირშია პროდუქტიულობის კლებასთან და ის ტრადიციული ჯიშებიც კი, რომლებიც არ გამოირჩეობა დაკლული წონის მაღალი

პროცენტულობით და მაღალი წველადობით, კიდევ უფრო დეგრადირდებიან. სარძევე მეურნეობებისთვის ხელისშემშლელია რძის პროდუქტების წარმოების დაბალი დონე რაც განაპირობებს მათ დამოკიდებულებას რძის ფხვნილზე. ეს ურთიერთდაკავშირებული „მოჯადოებული წრეა“ - ნედლეულის დაბალი ხარისხის (ცხიმიანობა) და არასტაბილური მომარაგების გამო (რძის წარმოება მკვეთრად კლებულობს ზამთარში რადგან მეცხოველეები ისევ ტრადიციულად მხოლოდ თივას იყენებენ პირუტყვის საკვებად), განაპირობებს კვების მრეწველობის სფეროში რძის ფხვნილზე მოთხოვნის შენარჩუნებას. ამასთანავე, რძის ფხვნილის ფასების რყევა ხელს უწყობს მეწარმეებს არჩევანი გააკეთონ არა ახალი რძის, არამედ რძის ფხვნილის გამოყენების სასარგებლოდ. მიღებული კანონის თანახმად 2016 წლის 1 აგვისტოდან საქართველოში სავალდებულო გახდა რძის პროდუქტების შეფუთვაზე მის შემადგენლობაში არსებული მცენარეული ნაწილის არსებობის შესახებ ინფორმაციის მითითება, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

მაღალპროდუქტიული ჯიშებისთვის წველადობის სეზონური კლება ანარჩუნებს პირუტყვის ყოლის ეკონომიურ დასაბუთებას, საქართველოში გავრცელებული ჯიშების შენახვა ზამთრის განმავლობაში მეურნეებისთვის მომავალი სეზონისთვის სულადობის შენარჩუნებას უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე ეკონომიური სარგებელის ნახვას. ფინანსური შემოსავლების კომპენსაციას მეურნეთა დიდი ნაწილი ცდილობს რძის ნაწარმის ფალსიფიკაციის მეშვეობით. სახელმწიფო რეგულაციები არ ავალდებულებს სოფლის მეურნეებს შეფუთული და გადამუშავებული სახით გაიტანონ პროდუქცია ბაზარზე სათანადო სერთიფიკატების დართვით, რომელიც აღწერდა სურსათის უსაფრთხოების (რომელიც ასევე არა არის სავალდებულო ქვეყანაში) ნორმატივებთან შესაბამისობას და მომხმარებელ მიაწვდიდა ინფორმაციას პროდუქტში გამოყენებული ნედლეულის და მისი წილობრივი შემცველობის შესახებ. რძის მიწოდება სეზონურ ხასიათს ატარებს - ზაფხულში რძის რაოდენობა მეტია, ხოლო ზამთარში საგრძნობლად იკლებს, ზამთრის საკვების გამო. მეცხოველეები მსხვილფეხა პირუტყვს მაღალხარისხიან საკვებს არ აძლევენ. ისინი ძირითადად უფასო ან ძალიან იაფი საძოვრებით კმაყოფილდებიან, ზამთარში -თივით. ამის გამო არა მხოლოდ წველადობაა დაბალი, არამედ ძალზე ძნელია კონკურენტუნარიანი ხორცის წარმოებაც. ეს ნაწილობრივ მოთხოვნის, და

ნაწილობრივ - მიწოდების პრობლემითაა გამოწვეული. პირუტყვის საკვებზე მოთხოვნა დაბალია, ძირითადად ფინანსური საშუალებების ნაკლებობისა და მაღალ რისკთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ინვესტიციებისადმი უარყოფითი განწყობის გამო. მდგომარეობა გამწვავებულია, რადგან ადგილობრივ დონეზე საქონლის მაღალი ხარისხის საკვები მცირე რაოდენობით იწარმოება, ამიტომ ფერმერები იძულებული არიან ძვირი იმპორტირებული საკვების იმედზე იყვნენ. საქართველო ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს, უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით. სოფლის მეურნეობის სექტორი ძალზე უმნიშნველოდაა დაცული იმპორტის დაბალი ტარიფებით, საშუალოდ უფრო ნაკლებად, ვიდრე საქართველოს მრავალი სავაჭრო პარტნიორი. ეს ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რძის ჩამბარებელი ცენტრების შექმნა, რაც მცირე მწარმოებლებს (უმრავლესობას) საშუალებას აძლევს მოახდინონ ახალირძის მიწოდების კონსოლიდაცია და მიწოდების კონტრაქტები გააფორმონ რძის პროდუქტების მწარმოებლებთან. დღეისათვის 104 ასეთი ცენტრი არსებობს (20 შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში), თუმცა მათგან მხოლოდ 20 ფუნქციონირებს. ეს ძირითადად გამოწვეულია მშრალი რძის ფხვნილის ფასის ცვალებადობით და მისი პირდაპირი ზემოქმედებით რძის პროდუქტების შიდა ბაზარზე.

რუკა #4. რძის წარმოება ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით, 2014



მეცხოველეობის და მემცენარეობის დარგებისათვის გაწეული დახმარების შეფასების თანახმად რომელიც “FAO-ს რეგიონული ოფისმა ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის“ შეიმუშავა ევროპის კავშირის სამეზებლო პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულია რომ „სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა იწყება მოკლევადიანი ინვესტიციებიდან ისეთ გრძელვადიან ინვესტიციებზე გადასვლით, როგორიცაა, საირიგაციო და დრენაჟის სისტემები, და მომსახურების ინფრასტრუქტურა. თუმცა, მექანიზაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი დანახარჯების საპირისპიროდ, რაც ძირითადად კერძო სექტორის ფუნქციაა, მომსახურების უზრუნველსაყოფად რაიმე ხარჯები არ გაუღიათ. სოფლის მეურნეობის სექტორზე არ გავრცელებულა არც მაკროეკონომიკური რეფორმები და არც ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება. სექტორის რეფორმების შედეგად არ გაუმჯობესებულა პროდუქტიულობა, რომელიც სტაგნაციას განიცდის. სექტორმა რეაგირება ვერ მოახდინა ვერც ინტენსიურ კონკურენციაზე, რომელიც ვაჭრობის რეფორმებმა მოიტანა, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და გლეხური ტიპის მეურნეობის ხარვეზებით.

ჩაურევლობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ აგრარული და სასოფლო განვითარების სექტორი პრიორიტეტული გახდა, ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სოფლის მოსახლეობას მნიშვნელოვანი წილი უკავია დასაქმებისა და მშპ-ის მაჩვენებლებში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სათანადო სტრატეგიებისა და დაფინანსების არქონის გამო სოფლის მეურნეობასა და სასოფლო განვითარებას ყურადღება თითქმის არ ექცეოდა. ფერმერთა და მწარმოებელი ორგანიზაციების განვითარების სტიმულების უქონლობის შედეგად ფერმერები და სოფლის მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გაირიყნენ. (FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალურიაზიისთვის, 2012, გვ. 11)

ENPARD-ის მიერ განისაზღვრა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სექტორის განვითარების ხარვეზები:

1. სასოფლო განვითარების პოლიტიკის არქონა

2. მწარმოებელი ორგანიზაციებისთვის ძირითადი პრობლემაა დანაწევრებული მიწის ნაკვეთები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების გასამსხვილებლად კოოპერაციებისა და ასოციაციების მეშვეობით.

3. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

- სასოფლო თემებში პროფესიონალიზმისა და ტრენინგის დაბალი დონე;
- სტანდარტებთან, რეგულაციებთან, კანონმდებლობასთან და შედარებით
- ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- ცუდად განვითარებული სურსათის უვნებლობის სისტემა; სანიტარიისა და
- ვეტერინარიის დონე.

აღნიშნული შეფასების მიხედვით,რძე და რძის პროდუქტები

აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში ყველაზე ღირებული პროდუქტებია და მათი წარმოების ხელშესაწყობად საჭიროა:

- რძისა და რძის პროდუქტებისთვის საერთო და ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამოყალიბება დარეგიონში რძის პროდუქტების წარმოების კომერციულ ჭრილში გადაყვანა
- რეგიონში საწარმოებისთვის და თემებისთვის აკრედიტებული ფერმების

ბრუცელოზის და ტუბერკულოზისგან თავისუფალი სტატუსის მიღწევა

ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და კონტროლის პროგრამების

მეშვეობით, რადგან ეს დაავადებები ადვილად ვრცელდება ცხოველებსა და ადამიანებს შორის რძისა და რძის პროდუქტების მეშვეობით.

- რძის წარმოებაში უფრო მაღალი ხარისხისა და დამატებითი ღირებულების

მიღწევის ღონისძიებები (მაგ., შეიძლება შემოღებული იქნეს გეოგრაფიული

მითითებები რძის ნაწარმზე, ქართულ ღვინოზე წარმატებული გამოყენების

მსგავსად). (FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალურიაზიისთვის, 2012, გვ. 50)



გრაფიკი #3.



გრაფიკი #4.



გრაფიკი #5.



გრაფიკი #6.

(ეროვნული სტატისტიკური სამსახური, 2015).

ცხრილი #16. პირუტყვისა და ფრინველის სულადობის საშუალო მაჩვენებლები (2014წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

მაჩვენებელი	ერთეული	ყველა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობები	იურიდიული პირები
მსხვილფეხარქოსანი პირუტყვი	სული	3.7	3.7	60.4
ცხვარიდათხა	სული	41.7	40.6	700.7
ღორი	სული	2.3	2.1	424.1
ფრინველი	ფრთა	22.5	14.9	32,264.0

ცხრილი #17.

	საქართველო		**ბოსნია-ჰერცეგოვინა**		**სლოვენია**		**ავსტრია**	
	2009	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**	**2009**	**2014**
საქონლის ხორცის წარმოება, ათასიტონა	29	20	23	11	35	32	226	223
რძე, ათასი ტ	569	662	816	703	656	618	3 257	3 525
ღორის ხორცი, ათასი ტ	8	16	9.7	9.7	44	30	540	527
ფრინველის ხორცი,	12	15	33	43	60	60	125	135
კვერცხი, მლნ ც	426	543	786	702	359	358	1 533	1 784
თაფლი, ტ	2.5	4.1	3.3	2.7	1.6	0.5	5.6	3.9
ცხვრის და თხის ხორცი, ათასი ტ	4.1	4.1	1.6	1.5	2	1.6	7	8

http://www.fao.org/faostat/en/#data

რუკა #5. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით, 2014 .



ცხრილი #18. მეცხოველეობა და პროდუქცია მხარეების მიხედვით, 2016

		საქართველო	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	სულადობა, ათასი	**453.4**	34.3	23.5	78.2	47.9	14.8	55.0	8.3	92.8	69.7	27.5
	ხორცის წარმოება, ათასი ტ	**21.5**	2.0	0.5	4.7	3.1	1.8	1.0	0.7	3.2	2.1	2.4
ფური და ფურკამეჩი	სულადობა, ათასი	**509.3**	36.0	25.0	93.2	49.3	20.0	61.2	10.2	98.0	79.2	34.7
	რძე, მილიონი ლ	**530.2**	35.5	25.6	102.1	48.5	18.5	75.6	7.0	71.0	102.7	40.7
ღორი	სულადობა, ათასი	**136.2**			19.0	25.5		9.2		33.1	22.6	9.9

	ხორცის წარმოება, ათასი ტ	**16.1**			3.3	2.5		1.0		2.5	3.3	1.5
ცხვარი და თხა	სულადობა, ათასი	**936.5**		3.5	34.1	503	64.5	73.8		11.3	211.6	29.9
	ხორცის წარმოება, ათასიტ	**4.6**				2.6	0.2	0.5			0.7	
	მატყლის წარმოება, ათასიტ	**2.0**				1.1	0.1	0.2			0.5	
ფრინველი	ფრთა, ათასი*	**8238**	86.4	292	1008	1187	223	193.1	48.6	876.7	3455	446.0
	დაკლულიწონა, ათასიტ	**23.5**	0.2	0.4	1.8	1.3	0.7	0.2	0.1	1.8	15.3	1.1
	კვერცხი, მილიონიცალი	**590.4**	5.1	10.6	53.7	116	7.4	10.1	1.6	29.5	227.2	36.5
ფუტკარი	ოჯახი, ათასი **	**205.3**	14.1		41.9	45.4		17.9		28.2	20.2	10.2
	თაფლის წარმოება	2.1	0.1		0.3	0.8		0.2		0.3	0.1	0.1

** 422,5 ათასი ფრთა - თბილისი*

*** 27,4 ათასიოჯახიდანარჩენირეგიონები*

(საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2014)

საგარეო ვაჭრობა და იმპორტი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 2009 წელს 5 609 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური იყო, 2015 წლამდე იგი გაორმაგდა და 11 463 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური გახდა. 2014 წელს ექსპორტ-იმპორტის წილი 20/80-ზე იყო, 2014 წელს - 26/74-ზე. (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo)

ამავე პერიოდში აბსოლუტური გამოხატულებით უარყოფითი სავაჭრო სალდო 490.5 მილიონი აშშ დოლარიდან 713.3 მილიონ დოლარამდე გაიზარდა

ცხრილი #19. საქართველოს საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობა	2009	2014
მთლიანი ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	1,133.6	2,861.0
მთლიანი იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	4,475.7	8,601.8
სასოფლო სამეურნეო პროდუქციის (სურსათი) ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	147.2	299.4
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (სურსათი) იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	637.7	1,012.7
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (სურსათი) წილი მთლიან ექსპორტში (%)	13	10
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (სურსათი) წილი მთლიან იმპორტში (%)	14	12

სასურსათო პროდუქტების საგარეო სავაჭრო ბალანსის ცვლილება ძირითადად შეეხო ხორბლის, ხილის და ბოსტნეულის ჯგუფებს. ეს ის პროდუქტებია, რომლებიც დაბალი წარმოების დონით და დაბალი ხარისხით გამოირჩევა საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ.

ცხრილი #19. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითადი პროდუქტების მიხედვით

საქონლის დასახელება, ათასი ტ	2009	2014
ხორბალი, ექსპორტი	15.2	39.8
ხორბალი, იმპორტი	521.1	566.8
შაქარი, ექსპორტი	0.5	0.2
შაქარი, იმპორტი	104.9	127.4
მცენარეული ზეთი, ექსპორტი	0.1	-
მცენარეული ზეთი, იმპორტი	28.6	34.0
ბოსტნეული, ექსპორტი	5.1	12.0
ბოსტნეული, იმპორტი	70.3	113.4
ხილი, ექსპორტი	27.5	30.9
ხილი, იმპორტი	25.3	69.9

ცხრილი #20. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითადი პროდუქტების მიხედვით

ღირებულებით გამოსახულებაში (მილიონი აშშ დოლარი)	2009	2014
ხორბალი, ექსპორტი	3.2	12.4
ხორბალი, იმპორტი	105.1	151.8
შაქარი, ექსპორტი	0.3	0.1
შაქარი, იმპორტი	50.4	57.9
მცენარეული ზეთი, ექსპორტი	0.1	0.1
მცენარეული ზეთი, იმპორტი	29.2	40.4
ბოსტნეული, ექსპორტი	2.6	8.9
ბოსტნეული, იმპორტი	19.5	59.5
ხილი, ექსპორტი	74.4	191.9
ხილი, იმპორტი	16.6	55.5

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის 75%-ამდე შეადგენდა ოთხი სასურსათო კატეგორია (თხილის და კაკალი; ღვინო; მინერალური წყალი და უალკოჰოლო სასმელები; სხვა ალკოჰოლიანი სასმელები). ექსპორტის ორი მესამედი კი

დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა მიუხედავად რუსეთის მიერ დაწესებული შეზღუდვების. მათი არარსებობის პირობებში დსთ-ის წილი სავარაუდოდ საგრძნობლად მეტი იქნებოდა.

რუკა #6.

ექსპორტის უმსხვილესი 15 წყარო (2014)



იმპორტის უმსხვილესი 15 წყარო (2014)



საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაბალი სტანდარტების და სუსტი სავაჭრო კავშირები ხელს უშლის საქართველოს აითვისოს ახალი სავაჭრო ბაზარი და იძულებულია ისევ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებულ ტრადიციულ ბაზარზე იყოს ორიენტირებული (Anderson, K. 2013).

ქვეყნის დაბალეფექტური სოფლის მეურნეობის გამომხატველია ის ფაქტიც, რომ სოფელში მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 54%-ს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი დაახლოებით 9%-ის მშპ-ში. სიღარიბის დონე სასოფლო დასახლებებში ბევრად მაღალია ვიდრე ქალაქებში. 2012 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი სოფელში 1.8-ჯერ მეტი იყო ვიდრე ქალაქში. მსოფლიო ბანკი მიხედვით ჩინეთში სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგი 3.5-ჯერ უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ქალაქში; ლათინური ამერიკის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2.7-ს უდრიდა. (World Bank, 2008)

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და წარმოების ეფეწტურობის ამაღლების ხელშემწყობია ექსპორტზე ორიენტირებულობა. მსგავსი მიდგომა გამართლებულის ზოგადად ყველა ეკონომიკურ სფეროში. ექსპორტზე ორიენტირებული ფირმა თუ მეურნეობა დაინტერესებულია წარმოების გაზრდაზე,

ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური საქმიანობის ოპტიმიზაციაზე. ამ კატეგორიის კომპანიები მაგალითის მიმცემი და წამახალისებლები არიან თავისი დარგის საწარმოების და მთლიანად ეკონომიკისთვის. გათვლილი ინვესტიციები, თანამედროვე ტექნოლოგიების ძიება და დანერგვა, საწარმოო პროცესის დახვეწა აუმჯობესებს ეკონომიკურ გარემოს და სტაბილური განვითარების საფუძველს ქმნის. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) მონაცემები, რომლის მიხედვით ევროპაში 142 მილიონი ტონა სურსათის დანაკარგებიდან წარმოების დანაკარგებზე მოდის 56%, ხოლო გადაყრილზე - 44%; საჰარის რეგიონში: 128 მილიონი ტონიდან 96% - წარმოების დანაკარგებზე, 4% - გადაყრილ ნარჩენებზე; ჩრდილო ამერიკასა და ოკეანეთში - 36% წარმოების დანაკარგებზე, 64 - ნარჩენებზე; ლათინურ ამერიკაში: 85%- წარმოების დანაკარგებზე, 15% - ნარჩენებზე. (FAO, 2011).

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსში სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის დეფიციტი არ იკავებს ყველაზე მეტ წილს, მაგრამ მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების განვითარება, რომელიც შეაძლებელს გახდიდა ცალკეული პროდუქტების იმპორტის შემცირებასაც და ექსპორტის გაზრდასაც შეუწყობდა ხელს. ამის მაგალითებად გამოდგება თხილის წარმოება და ექსპორტი, რომელთა მიხედვით საქართველო მსოფლიოში სამეულშია. თუმცა აზერბაიჯანში მისი წარმოების სწარფი ზრდა განაპირობებს იმას, რომ ბოლო ხუთი წლის საშუალო მაჩვენებლით ის უკვე უსწრებს საქართველოს და გადადის მესამე ადგილზე. (International nuts and dried fruits., 2016)

რაც შეეხება ღვინის წარმოებას და ექსპორტს, საქართველო არასახარბიელო სავაჭრო აქტიურობის შედეგად ჩამორჩება ისეთ არამწარმოებელ ქვეყნებსაც კი როგორიცაა დანია, ლიტვა და ჰონგკონგი. წარმოების მხრივ საუკეთესო 25 ქვეყანაშია და ჩამორჩება სხვა ქვეყანათა შორის სერბეთს, ახალ ზელანდიას, ხორვატიას, მოლდოვას, კანადას, ბულგარეთს. ამ ქვეყნების უმრავლესობა საქართველოს ჩამორჩება ნარგავების ფართობით. საქართველოს ვენახების მოსავლიანობა ბევრად ნაკლებია ვიდრე ავსტრიაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიაში. (International Organization of Vine and Wine., 2016).

დასკვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. ეს პერიოდი ხასიათდება ორი მკვეთრად განსხვავებული პროცესით. 90-იან წლებში დაიწყო მარცვლეულის ნათესი ფართობების ეტაპობრივი გაზრდა,რაც ქვეყნის შეზღუდულ საგარეო ეკონომიკურ რესურსებს უკავშირდებოდა.საქართველოს სოფლის მეურნეობა თანდათან თვითუზრუნველყოფის გზას დაადგა და გამიზნული იყო საბჭოთა კავშირის დროინდელი მაჩვენებლების მიღწევა. თუმცა შემდგომში არსებული მაჩვენებლებისც შემცირდა და საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტმა ჩაანაცვლა ადგილობრივი წარმოება.

გამომდინარე იქიდან, რომ სოფლებში არსებული ტენდენციის შენარჩუნების გამო მოსახელობის სიღარიბის დონის ზრდის საშიშროება არსებობს, საქართველოს აგრარულ პოლიტიკით დაინტერესებულები არიან ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურები და ისინი ტექნიკურ დახმარებას სთავაზობენ ქვეყანას. აგრარული წარმოების დონის ამაღლების ერთ-ერთი ხელშემწყობია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. სოფლის მეურნეობის სექტორში ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმებული ყოვლისმომცველი მიდგომა ეხება რეფორმებს და სოფლის მეურნეობის სტრატეგიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა მომდევნო ათი წლის განმავლობაში განახორციელებს. ამას დაემატება საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური დახმარება ეროვნული სამსახურებისა და სამინისტროებისთვის. ამავდროულად, პროგრამის მიზანია, გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიცშესაძლოა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. საქართველოს და ევროპის კავშირს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისფალი ვაჭრობის შესახებ დადებული შეთანხმების (DCFTA)მ იხედვით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის წახალისება. ამ პროცესის შემაფერხებელი იყო მაღალი საიმპორტო ტარიფები ევროკავშირში და სურსათის უსაფრთხოების განსხვავებული მიდგომა საქართველოსა და

ევროკავშირის ქვეყნებში. DCFTA-ის შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე უქმდება ყველანაირი საიმპორტო გადასახადი. საქართველომ, შეთანხმებაში ასახული პროცედურების შედეგად, უნდა განახორციელოს რეფორმები მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის და ჰიგიენის სფეროში, რომელიც დაცული უნდა იყოს წარმოების ყველა ეტაპის განმავლობაში (წარმოება, შენახვა. მიწოდება)

ეს ცვლილებები გზას გაუხსნის შესაბამისი ხარისხის ნაწარმის ექსპორტს ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც ნახევარმილიარდზე მეტ საშუალოზე მაღალი დონის მსყიდველობითი უნარის მომხმარებს უზრუნველჰყოფს. განხორციელებული ცვლილებები სიკეთის მომტანი იქნება ადგილობრივი მომხმარებლებისათვისაც, რადგან წარმოების რეჟიმის „საექსპორტოდ“ და „ქვეყანაში მოსახმარებლად გაყოფა ტექნიკურად არალოგიკურ დანახარჯებს და საქმიანობას მოითხოვს. ხოლო საწარმომ ეს წესები უნდა დაიცვას შიდა ბაზარზე მუშაობისასაც. ამ რეფორმების შემდეგ ევროკავშირი შეამოწმებს საქართველოს სურსათის უსაფრთხოების სისტემას და შესაბამისობის შემთხვევაში გაუთანაბრებს საკუთარ სტანდარტებს.

აღნიშნული შეთანხმება, ირიბად, მაგრამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს მომხმარებლების პირობებს რადგან ბაზარზე არსებული პროდუქცია იქნება უფრო უსაფრთხო და უკეთესი ხარისხის. გავრცელებული აზრი ფასების განუხრელი მომატების შესახებ ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად, რადგან წარმოების სიმძლავრის ზრდა პირდაპირ კავშირშია ერთეულ პროდუქტზე დანახარჯების შემცირებასთან. ამასთანავე, წარმოების უკეთესი სისტემი ნიშნავს ნაკლებ დანაკარგებს და შესაბამისად, ნაკლებ ხარჯებს.

ყოველივე ზემოაღიშნული სამომავლო და ხანგრძლივ მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკაა. ამავე დროს საყურადღებოა ფერმერთა მოკლევადიანი პრობლემები და საბანკო ვალდებულებები, რომელთა მომსახურება მათი წლიური ბიუჯეტის საგრძნობ წილს წარმოადგენს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ეს ვალდებულებები არა მეურნეობის განსავითრებლად, არამედ წამგებიანი საქმიანობის გამო არასაკმარისი ფინანსური სახსრების შესავსებად გამოიყენება ყოველდღიური საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

გამოყენებული წყაროები:

1. Anderson, K. (2013). Is Georgia the next 'new' wine-exporting country? Robert MondaviInstitute Center for Wine Economics Working Paper 1301.
2. Dahlberg analysis. (2011). Global food losses and food waste, FAO 2011;
3. EU. (2016). Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). Brussels.
4. ENPARD-GEORGIA. (2016). ENPARD-საქართველო: ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის
5. FAOSTAT
6. http://data.worldbank.org/country/georgia. The World Bank, Washington D.C.
7. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
8. http://www.fao.org/faostat/en/#data/QC
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
10. International Organization of Vine and Wine. (2016). Yearly review 2016. Paris, France
11. International nuts and dried fruits (2016). Nuts and dried fruit: Global statistic review 2015/2016. Reus, Spain,.
12. von Cramon-Taubadel, Stephan. (2014). Georgia's agricultural exports. Berlin/Tbilisi.
13. World Bank (2008). World Development Report: Agriculture for Development. World Bank (2014).
14. World Bank. (2014). World Development Indicators for Georgia.
15. FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალურიაზიისთვის. (2012). ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა:სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში - საქართველო.
16. ENPARD. (2016). ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის: 2013 წლისმარტი – 2016 წლისმარტი.
17. სტატისტიკის ეროვნული სამსახური . (2010). საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2005.

18. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2011). საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010.
19. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014.
20. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014
21. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016) სასოფლო სამეურნეო აღწერა 2014.